

111
1958 / 3



მნათობი

10

მეცხე წელი



1958



საზოგადოებრივი ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური უწყისი

წელიწადი 35-ე

№ 10

ოქტომბერი, 1958

საქართველოს საბჭოთა მწიგნობის კავშირის ორგანო

9575

შ ი ნ ა კ რ ს ი

• ჩაკლი აბაშიძე — მცხეთაში. ლექსი	39
ალექსანდრე ჭეიშვილი — ოჭროსფერი აბლაბუდა. რომანი	4
გიორგი ლეონიძე — ლექსები	24
დავით სულიაშვილი — გულშარბილი. გაგრძელება	25
ვრიგოლ იმედაძე — ჩინარები. ლექსი	32
სიმონ წვერაძე — სასტვენიაში. გაგრძელება	33
გიორგი ჯიბლაძე — ხელოვნების შორეულ ძეგლებთან. გაგრძელება	46

თბილისი 1500 წლისა

მიხეილ ჭვლიჭიძე — ლექსები	53
შოთა ნიშნიანიძე — უცხოელების მიწა. ლექსი	54
ლადო სულაბერიძე — ლექსები	56
მ. ლერმონტოვი — პაემანი. ლექსი, თარგმანი ანზორ სალუქვაძისა	56
ნიკოლოზ ზაბლოცკი — თბილისი. ლექსი, თარგმანი მურმან ლებანიძისა	58
ნიკოლოზ ტიხონოვი — ქალაქი მტკვრის პირას	58
არამ ხაჩატურიანი — ქალაქი, რომელიც მღერის	63
ლევ ნაყულიანი — ჩვენი საერთო სიხარული და სიამოვნება	67
ვ. პერცივი — მოგონებები თბილისზე	68
ევგენი ვეტუშენკო — დაბადების დღეს ვილოცავ, თბილისო	71
ი. ლიბედიწკი — იბრწყინე, თბილისო	72
ორესტ ვერეისკი — „მნათობის“ რედაქციას	73
ტატიანა ტესი — თბილი ქალაქი	75
დიმიტრი კოსარივი — თბილისი — კიევი	76

(იხ. მეორე გვ.)

სახელმწიფო გამომცემლობა
«საბჭოთა საქართველო»
თბილისი





პეტრუს ბრაცა — საქართველოს გული, ლექსი, თარგმანი ლადო სულაბერიძისა	79
მიხას ლინკოვი — ილდეგრძელის თბილისში	79
მარაფ რაშიდოვი — უძველესი და მარად ვახუთი თბილისი	80
სულეიმან რუსტამი — ერთად, ლექსი, თარგმანი ვახტანგ გორგანელისა	80
მირზა იბრაჰიმოვი — საყვარელი ქალაქი	86
მარტიროს სარიანი — თბილისელ მეგობრებს	86
ერვანდ ჭონარი — ქმობის ქებათა ქება, ლექსი, თარგმანი თამაზ ჩხენცელისა	87
აშოტ გრანი — ულამაზესი ქალაქი	91
ოვანეს კარიანი — თბილისი, ლექსი, თარგმანი ემელიან ქუთდიანისა	92
უორთი ამადუ — ყუავილები ზოზე დიასისათვის, თარგმანი პორტუგალიურიდან	93
მ. ფერაშტინისა და ო. დემეტრაშვილისა	93
პროფ. ალექსანდრე ბიოლივი, დოქტ. ვერტრუდა ბიოლივი — რამდენიმე დღე თბილისში	94
ედმუნდო ვალდესი — მომზიბლავი თბილისი	95
ლ. ა. მატულევიჩი — თბილისის მხატვრული მორთულობის საკითხისათვის მის პირვანდელ პერიოდში	96
სარგის კავაბაძე — თბილისი მე-5 საუკუნის მეორე ნახევარში	99
ბუენ ლორთქიფანიძე — ახალი თბილისის ცენტრი	112
გიორგი ბუფანიშვილი — თბილისის წარსული, აწმყო და მომავალი	115
კირილე ზღანევიჩი — თბილისი მხატვრების შემოქმედებაში	120
გიორგი ნადირაძე — საქართველო და თბილისი უცხოელს თვალთ	124
დავით ჩავეტაძე — დედაქალაქის მიწიდან ამოწმეურებული ძეგლები	131
ამბერკი ვაჩეჩილაძე — მეზობელ ხალხთა კულტურული ურთიერთობის კერა	136
წაქრო გომელაური — თბილისის მუშათა თეატრის ისტორიიდან	139
ლ. გორიაგინა — ბრძოლა თბილისის უნივერსიტეტის გარშემო რევოლუციის შემდეგდროინდელ პრესაში	146

კრიტიკა და კუბლიცისტიკა

გიორგი ხუბაშვილი — ბილივიდან დიდ გზაზე	155
გიორგი შარგველაშვილი — ლეგენდა „ორი მიაიკოესკის“ შესახებ ფაქტების საშუაჯაროს წინაშე, დასასრული	164
ჭურაბ კავაბაძე — თანამედროვე პროგრესული საზღვარგარეთული ლიტერატურა მშვილობისათვის ბრძოლაში	179

წიგნების მიმოხილვა

რ. ირჯონიკიძე — როსტომ ბეჟანიშვილის მოთხრობების კრებული	183
აღ. კოკია — ფრიდონ ხალვაშის ლექსების კრებული	184
სერგო გერსამია — მონოგრაფია ალექსანდრე წუწუნაიაზე	186
პროფ. დ. ვერიტიშვილი — საბჭოთა საქართველო სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში	188

ქსალი წიგნები გარეკანის მესამე გვ.

ირაკლი აბაშიძე



მცხეთაში

პასუხად...

თუ ყველაფერი არის სიზმარი,
თუ ბინდის ფერი არის ყოველი,
მაშინ რატომ დგას დღეს მცხეთის
ჯვარი,
რატომ დგას ისევ სვეტიცხოველი?

რატომ ელვარებს უძველეს ქვაში
სამთაერწის სვეტი მცირე და დიდი,
ან ზედ ქალაქთან შეგუბულ მტკვარში
რატომ ჩანს ისევ პომპეის ხიდი?

მე დაგანახებე არმაზის მხარეს
კედლებს, ნანგრევებს, ძველ
ნაქალაქებს,
სადაც არაგვის უძლეველ მთავრებს
სძინავთ ბაგნითის ძვალშესალაგებს.

და გაგახსენებ იმ დღეებს, როცა
მცხეთას ზღაპრული გახსნეს თაღები
და ჩვენს წინ, როგორც მეორედ
მოსვლა,
აღდგნენ არმაზის სარკოფაგები.

ჩვენ ალტაცებით დაეკვირვით განძებს,
აკლამის ქვებში მარჯვედ
ჩასმულებს,
საოცარ თვლებით მოკვიდილ თასებს,
საოცარ თვლებით შემკულ სასმურებს.

სურებს, გვირგვინებს, ლარნაკებს,
ბონჩებს

კვლავ ცოცხლებს რაღაც ძვირფას
წამალით...
(თუმცა ამოდ ვეძებდით ჩონჩხებს —
ქვებში არ ჩანდა ძვლის ნატამალიც.)

და მე ვფიცავდი თავსა და სინდისს
ამ უცხოდ ნაჭედ განძის მპოვნელი,
რომ ყველაფერი არ არის ბინდი,
რომ არც სიზმარი არის ყოველი.

რომ იქნებ მათაც —
მიწიდან ეხლა
ამ ძვირფას თვლებით რომ
შემოგვებდეს,
სიზმრად მიაჩნდათ ყოველი ქვეყნად,
ამ უკვდავ განძის ძველ შემოქმედებს.

ჩვენ კი დღეს სწორედ,
ჩვენ კი დღეს სწორედ
ათას წელს ქვებში მოწმედ დებულებს
ათას წლის შემდეგ მალა ვწევთ
სურებს, —
სასმურებს — მათგან მოწოდებულებს.

არა, არ წაგყვეს,
არ წაგყვეს ჯვარი:
თუ ბინდის ფერი არის ყოველი —
რატომ დგას, რატომ დღეს მცხეთის
ჯვარი,
რატომ დგას ისევ სვეტიცხოველი?!



მკროსფერი აბაგზა

რა უკუღმართად აეწყო ეს დღე, — გაიფიქრა არიადნამ. დილიდანვე, თითქოს საბელი აიწყვიტაო, ერთბაშად ამოიქრა გრივალი. ქარი ხეებს წელში ხრიდა, გამვლელებს ამოიღლივებდა და ბიძგის კერით წინ მიერეკებოდა. დარაბებს დაგადუვი გაუდიოდა და შუშის ნამტვრევები ლაწალაწით ცვივოდა ტროტუარზე. სადღაც ახლოს სახურავიდან აგულჯილი თუნუქი დაეცა ქვაფენილზე. ისეთი გრიალი მოილო, იტყოდი, ყუმბარა გასკდაო. ერთხანს კი სცადა პროფესორის მეუღლემ „სტაქიონთან შებრძოლება“, თავზე საბანი წაიხურა, რომ გააგებული ქარის ზღუზნი დაეხშო. ქირის დღესავით სძულდა ქარი, მით უმეტეს, ასეთი სუსხიანი. პირდაპირ ძვალ-რბილში ატანს, ქარისაგან მუდამ თვალები და ცხვირი უწითლდება, თმა ეწეწება... „რა უცნაურია, რომ ზოგიერთს ქარი და სუსხი უყვარს. აი, თუნდაც, ნათელა... სულ ავლიანების ჯიშისაა“... ჩამოშლილი თმები ყელზე უღიბნებდა. ხელის ნერვული მოძრაობით უკან გადაიყარა აბრეშუმით რბილი თმა... „ოქროცურვილი კულულები“, — მოაგონდა ცნობილი მოქანდაკის ლეონიდე ქარშიძის ქათინაური და სიაშოვნებისაგან გაიშორა... ლეონიდემ ჯორჯონეს მძინარე ვენერასაც კი შეადარა არიადნა. მის ნატიფ თქობებს მუდამ ასე ხარბად აშტერდებოდნენ ლეონიდეს თვალები... აბა, რას ამბობს! ხარბად კი არა, წმინდა ესთეტიკური, პროფესიული ინტერესით, — შეასწორა არიადნამ თავისივე აზრი. ყოველ შეხვედრისას აენთებოდა ხოლმე ლეონიდეს გამჭვალავი თვალები... ახლაც ურში ჩაესმის მოქანდაკის სიტყვები:

„თქვენი ტანი მღერის არიადნა, და ეს სიმღერა მე მარმარილოში უნდა ამოვკეთო. ის არ უნდა დაიყაროს ხელოვნებისათვის“. რამდენს ემუდარებოდა, ნება მიეცა, გამოქანდაკებინა... „ხელოვნებისათვის, ხელოვნებისათვის“ — დაყენებით იმეორებდა ლეონიდე. არიადნაც ხომ ხელოვნების მოთაყვანეა. რამდენი წელი ვარჯიშობდა სტენის ცნობილ ოსტატებთან, რომ მხატვრული კითხვის ხელოვნებას დაუფლებოდა. ბევრჯერ გაუწია კიდევ გულმა, რომ ლეონიდეს თხოვნა შეესრულებინა, მაგრამ ვერაფრით ვერ წარმოედგინა, როგორ უნდა დამდგარიყო დედიშობილად უცხო მამაკაცის, თუნდაც მოქანდაკის, წინაშე. როგორც კი ცდიდა ხოლმე, თავისი ნაცნობ-მეგობრების თვალით შეეხედა ამ ნაბიჯისათვის, მყის უჯვადებდა ამაზე ფიქრსაც კი.

— მაინც რა ნახა ლეონიდემ ჩემში ასეთი? — შეუღიბინა ტეინში მაკდუარმა ფიქრმა; ღია ყვითელი ჩინური ქსოვილის საბანი გადაიძრო და ჩამოსხმულ ფეხებს უცხო თვალით გახედა. არიადნა ყოველთვის გრძნობდა ქუჩაში გამვლელ-გამომვლელთა აღტაცებულ მზერას, აბრეშუმის რბილ ქსოვილში მისი სხეულის ნაკეთები ხშირად ჯიუტად იკვეთებოდნენ, თითქოს სურდათ ქვეყნისათვის ეჩვენებინათ თავიანთი სილამაზე. არიადნას მეუღლე, პროფესორი მირიან ავალიანი კი სულაც არ ამჩნევს ამას... თუ განგებ ხუჭავს თვალს? — გულნაკლულად გაიფიქრა არიადნამ. მამ რად უნდა ყველაფერი ეს? და თითქოს თავისი თავი ებრალებო, ერთხანს რალაც დანანებით ათვალერებდა თავის ლამაზ ტანს. მაგრამ ზღვის სანაპიროზე ოდნავ მზედაკრუ-

ლი, ატლასივით რბილი კანი სიცივისაგან აებურებნა და არიადნა კვლავ საბანში გაეხვია. ქარი კი ისევ თავგამეტებით ასკდებოდა ფართო ვენეციურ ფანჯრებს. საღლაც კარის ნასვრეტებში მსუბუქი ნიავივით იპარებოდა ქარი და შიშვე ფარდებს ოდნავ არხევდა. როგორღაც მისი ფიქრი ისევ ნათელაზე გადავიდა. „ეს თავუზლარი ასეთ ამინდშიც ფუნქციონირზე და კოჯორში გარბის თხილამურებზე სასრილოდ“. უკანასკნელ დროს არიადნას გულს უმღვრევდა უმცროსი ქალშვილის ქცევა. სულ მთლად აიშვა თავი, დედას აღარ უჯერებს, გოგის აპყოლია და კუდივით უკან დასდევს.

იმ დამლაგებლის ბიჭისაგან რამდენი უსიამოვნება შეხვდა მათ ოჯახს. ღმერთო, რა ქირის დღე გამოიარა მაშინ, როცა იმ საზოხარმა არიადნას გურამი აიყოლია და საზაფხულო არდადეგებზე სამუშაოდ წაიყვანა მშენებლობაზე. საქვირველია, რომ გოგამ მაშინ მირიანიც კი დაარწმუნა და იმანაც ჩვეულებრივი გატაცებით მხარი აუბა ბიჭების ფანტაზიას. ისინი კი მამლაცინწებივით დაბიჯებდნენ, და რაკი რამდენიმე კაბიკი იშოვეს, თავი უკვე დასრულებულ ვაჟკაცებად მოჰქონდათ. მერე ვის რად სჭირდება იმათი ნაშოვნი ფული? ყოველ შემთხვევაში, გურამს ხომ არა? განა არიადნას შვილს ისე გაუქირდა, რომ თავისი ოფლით იშოვოს ჯიბის ფული? რასაც კი მოისურვებს, ყველაფერი მზამზარეულად მიერთმევა. მირიანიც რა ბავშვივით გაიტაცა ამ აზრმა, დაიქინა, ჩვენ ყველამ შეიღებო შრომაში უნდა აღვზარდოთო და გურამს დიდი ამბით დაულოცა გზა. დათანხმდა, რომ ბავშვს ცემენტის მტვერი ესუნთქა, თიხა აიღო, აგურები ეზიდა, ხარანოებზე ებობდა და კიდევ ვინ იცის, რა ეკეთებინა. „შრომა, შრომა აყალიბებს ადამიანის მორალურ სახესო“, თავის ფიქრებში გამოაჯაგვრა ქმარს არიადნამ. ჩვენს წრეში ვინ ზრდის ამრიგად შეიღებს! ყველა ჭკუთამყოფელ ადამიანს უკვირდა მირიანის საქციელი, უცნაურსა და ახიკბულს უწოდებდნენ მას. ცდილობდნენ დაერწმუნებინათ, რომ „ამჯერა“ უკან მანტიკა“ მის ასაკში სასაცილოა. მირიანი კი ზღარბივით აიჯაგრა და, პირიქით, მათ შეუტია, კიცხვა დაუწყო, ამბობდა, რომ ბევრი მისი კოლეგა უქნარებსა და განებვიგრებულ მუქთახორებს ზრდისო... რა არ აკადრა თავის მეგობრებს. თითქოს დინჯი და წინდახედული ადამიანია და ასეთი მიუტევებელი რამ კი ჩაიდინა. ვინმე უცხოს ყური რომ დაეგდო მისი ლაპარაკისათვის, ეგონებოდა, ღვიძლ შვილისათვის თარიოდე გროში ენანება და ამიტომ გზავნის საშოვარზეო. მეზობლებსაც კი ებრალებოდათ პროფესორის შვილი, როცა იგი სალამობით დადილილი, მტვერში ამოგანგლული, ხელებდაკარული ბრუნდებოდა მშენებლობიდან. პელაგიას გოგის, აღბათ, სჭირდებოდა კიდევ მუშაობა, რომ შარვლისა და ფეხსაცმლის ფული ეშოვა, მაგრამ ჩვენს წყნარ, დალაგებულ ოჯახში რას შემოიჭრა და აიყოლია გურამი?... სწორედ მაშინ მოხდა პირველი სერიოზული შეჯახება არიადნასა და მირიანს შორის. როგორ უნდა აპატიოს ეს იმ საქაგელს!

ახია მირიანზე, არიადნასთან ერთად მანაც რა შიში ნახა, რა გულის ხეთქვა გამოიარა, ქვიშის ზიდვის დროს გურამი ავარიამი რომ მოჰყვა და კინაღამ დაიღუპა.

მართალია, ავარია არც ისე სერიოზული იყო — მანქანა მდინარეში გაიხერგა და გურამი ღამით ძალიან გვიან დაბრუნდა შინ, მაგრამ ხომ შეიძლება უარესი რამეც შემთხვეოდა!.. ამ ამბის მოგონებაზე არიადნას ტანში გააფრცოლა.

ეს უსიამოვნო ფიქრები რომ მოეშორებინა, არიადნამ კვლავ სცადა დაძინება, თავზე საბანიც კი წაიხურა. მაგრამ უდროოდ დროს გამოღვიძებამ და მოუსვენარმა ფიქრებმა საბოლოოდ დაუფრთხო დილის სანუკვარი ძილი, რომელიც სიცოცხლეს ერჩია.

მირიანი, როგორც არიანდა ოდნავ დამცინავ კილოზე იტყოდა ხოლმე, „სოფლურად“, ბავშვობიდან შესისხლ-ხორცებული ჩვეულებისამებრ, დილა-ადრიან დგებოდა. იგი უკვე დიდი ხანია სამუშაო კაბინეტში იყო, საიდანაც დროადრო მოისმოდა მისი ჩახველე-ბა. მაშო სამზარეულოში ხმაურობდა. არიანდას თვალწინ დაუდგა მუდამ მოფუსფუსე, ცოტა უხიაგი ხასიათის მაშო, რომელსაც ჩვეულებად ჰქონდა, სანამ რაიმე საქმეს შეუდგებოდა, თავის თავს ხმამალა გამოუცხადებდა: „ახლა რძეს ავადუღებ“. რძეს რომ მორჩებოდა, იტყოდა: „ახლა სარეცხს დავაღბობ, მერე ქურას გავაჩაღებ და სადილის მზადებას შევედგები“. ხოლო სადილის მზადებისას, — სადილი კი მრავალი წერილმანისაგან შედგება, — განუწყვეტლივ ესაუბრებოდა თავის თავს.

არიანდა ლოგინში ველარ გაჩერდა. „კარგი, რომ დღეს არსად არ მჭირდება გასვლა“, გაიფიქრა მან. წამოდგა. ხალათი ჩაიცვა, ფანჯრის ფარდები გადასწია, ერთი გახედა სახურავეებზე ჩამოწოლილ ცას, რომელზედაც ტყვიისფერი ღრუბლები ირეოდა, ტუალეტის მაგიდასთან დიდი ოვალური სარკის წინ თმები გადაივარცხნა და მყის შეუდგა „დილის გამამხნეველ ვარჯიშს“. ამ ვარჯიშს ზედმეტი სიმსუქნისაგან უნდა ეხსნა არიანდა. ამას წინათ ქმარს შესჩივლა, ტანადობა მიფუტლებო.

— ეპ, დედიჯან დრო არის პაპიჩემისა, ეამთა სელას ზომ ვერ შევებრძოლებით, — ისეთი მიამატი ღიმილით მიუგო მირიანმა, თითქოს არ იცოდა ზნე თავისი კოკობზიცა მეუღლისა, რომელსაც ყველაზე მეტად ის აბრაზებდა, თუ ვინმე ხანდაზმულებში ჩარიცხავდა.

არიანდამ იფეთქა — „ვერ შევებრძოლებით!“ გამოაჯავრა ქმარს, და გულში გაივლო, შენ თუ გინდა, ბებრებში ჩაირიცხე, მე კი ჯერ სულაც არ ვაპირებ ფარ-ხმალის დაყრასო.

მირიანმა არაფერი შეიმჩნია, უთხრა,

რაიმე სპორტს მიპყე ხელიო, მაგრამ არიანდას ეს ემძიმა; მაშინ ერთხანად დილით ერთი კოლოფი შასანტი იატაკზე და მერე სათითაოდ აკრიფეო. დღესაც არიანდამ ასანთი მოაპნია იატაკზე. დაიხარა, ერთი-ორი ღერო აიღო. ამ დროს მეზობელი ოთახის კარმა გაიჭრიალა და გამოჩნდა მხრებში ოდნავ მოხრილი პროფესორ მირიან ავალიანის ვეება ფიგურა. მისი ფართო სახე, წოლა ცხვირი, ხშირი, უკან გადავარცხნილი ჭიკაბა თმა, ჯილა, შეკრული წარბები მრისხანე ადამიანის შთაბეჭდილებას მოახდენდა, თუ არა ეს ფართო ქუთუთოებში ჩამჯდარი, კეთილად მომლიმარი გულადი თვლები, რომელსაც ის ახლა არ ამორებდა გაკვირებაში ჩავარდნილ ცხოვრების თანამგზავს.

— ოპ! მოვკვდი, მეტი აღარ შემიძლია, — ამოიოხრა ქმრის დანახვებზე არიანდამ, ღონეშიხდილი დაეშვა სავარძელზე და სასოწარკვეთილად გასძახა შინამოსამსახურეს:

— მაშო, მოდი, ასანთი აკრიფე!

— რაო! — გაკვირვებით აზიდა წარბები მირიანმა — მაშომ რად უნდა აკრიფოს?

— არაფერი მოუვა, სხვა რა საქმე აქვს?

— აბა, აბა, — მოიღუშა მირიანი, უნდოდა რაღაც კიდევ ეთქვა, მაგრამ ამ დროს ოთახში შემოვიდა აქანდახითა და ცოცხით შეიარაღებული ტანდაბალი, ძვალმსხვილი, სახეხენდრო შუახნის ქალი, მან გულმოსულად მოავლო თვალი არიანდას, და დიასახლისს რომ ვერაფერი გაუბედა, თავისი წყრომა სამსახურში წასასვლელად გამზადებულ პროფესორზე გადაიტანა:

— ეს რა ჩემდა ჭირად მოიგონეთ, პატივცემულო მირიან, თითქოს უსაქმო ვიყო... ესლა მაკლდა, ყოველ დილით იატაკზე ვიფორთხო და ასანთი ვკრიფო.

— არა უშავს რა, ჩემო მაშო, ხომ გაგიგონია, ძმა ძმისთვისო, შავი დღისთვისო, — რაღაც დამცინავი თანაგრძნობით გადახედა პროფესორმა სავარ-



ძელში ჩასვენებულ მეუღლეს და შინამოსამსახურეს შემარიგებლად მხარზე ხელი მოუთათუნა.

არიადნამ მწუთხედ მოკემა ტუჩები.

აღნავობაც ბუმბერაზული ჰქონდა მირიანს, ხმაც, სიცილიც მჭუხარე და მგრავინავი, მაგრამ როგორც მთელ მის არსებაში, ისე ახლანდელ პასუხში იყო რალაც ბავშვურად მიამიტი და უბოროტო, რამაც მყის დაამშვიდა ყალყზე შემდგარი ქალი. მაშის სახე გაებაღრა, ასანთის ღეროები აკრიფა და საწოლი ოთახიდან მისთვის ჩვეული ბუტბუტით გავიდა: „ახლა ქალიშვილების ოთახს დავალაგებ!“

— შენ კი, ქალბატონო, — მიუბრუნდა მირიანი ცოლს, — ამას იქით კეთილი ინებე და თავად აკრიფე ასანთის ღერები, ანდა სულაც ნუ ფანტავ. მაშომ კი არა, შენ აიკვიატე ეგ გახდომა.

— რა ჩემი ბრალია, თუ არ შემძლია დაბრა. ისე მტკივა მუხლი! — განებიერებული ბავშვივით შესჩივლა არიადნამ ქმარს.

— რა დაგემართა?

— გუშინ როიალს მივიარტყი.

— კაი, კაი — ხელი ჩაიქნია მირიანმა, ეგონა, არიადნა თავს იკატუნებდა.

— არა გჯერა? მოდი ნახე, როგორა მაქვს დალურჯებული, — არიადნამ ვარდისფერი ხალათი გადაიწია და შიშველი ფეხი გამოაჩინა. მუხლის თავი მართლაც ცოტა გალურჯებული ჰქონდა.

— არა უშავს, არა უშავს, გაივლის, მირიანმა თვალი მოარბია მაცთუნებლად გამიშვლებულ ფეხს, მაჯის საათს დახედა, მაგვიანდებო, ჩაილაპარაკა და სწრაფად გაეცალა იქაურობას.

არიადნამ თავი დახარა, ბრაზისაგან ცრემლები მოადგა თვალებზე. მირიანის უყურადღებობა მწვევედ მოხვდა მის ქალურ თავმოყვარეობას. ამან თითქოს დაუდასტურა უკანასკნელ დროს აღძრული ეჭვი, რომ მირიანს მასზე გული გაუცივდა, წინანდებურად აღარ უყვარს. ამ გარინდებული მდგო-

მარეობიდან შინამოსამსახურის შემოსვლამ გამოიყვანა.

— მაინც საიდან მოიგონებთ თორიან ასეთ უცნაურ რამეს, — ჩაიფრუსტუნა მაშომ და ლოკინების ალაგებას შეუდგა. — ჰი, ჰი, ჰი, თქვენც რომ გაგაბრიყვით, ქალბატონო! ნეტავ რად გინდათ ეს გახდომა? არ გირჩევნიათ, ასე ვარდივით იყოთ გამლილი?

როგორც კი მაშომ დიასახლისის მტანჯველ სავანზე ჩამოაგდო ლაპარაკი, არიადნა ხელად გამოცოცხლდა.

— მართლა, მაშო, არ ვარ გასუქებული?

პროფესორის მეუღლე ძალიან ბევრს ფიქრობდა თავის გარეგნობაზე. როგორც ადამიანის აზროვნებას თან სდევს მარად ვადაუწყვეტი, სიკვდილ-სიცოცხლის, ყოფნა-არყოფნის პრობლემები, ისე არიადნას არ ასვენებდა ფიქრი საკუთარ გვამის გახდომა-გასუქებისა, თუ ჰქნობა აყვავებაზე და ეს თავისი საზრუნავი მსოფლიო მნიშვნელობის პრობლემად ესახებოდა.

იგი მუდამ ორ ცეცხლს შუა იწოდა. როცა ოდნავ შესუქდებოდა, საშინელი სევდა შემოაწევებოდა ხოლმე გულზე. მთელი დღე სარკის წინ ტრიალებდა, თავის თავს კრიტიკულად ათვლიერებდა და ოხრავდა:

— ღმერთო რას დავემსგავსე, რამსისქე გავხდი, პირდაპირ დავმახინჯდი! — შეწუხებული არიადნა სასწრაფოდ უბრუნდებოდა კეების მკაცრ რეკიმს. მაგრამ, როგორც კი ოდნავ გახდებოდა, თვალის კილოებთან უფრო შესამჩნევი ხდებოდა წვრილი ნაოჭები. ეს კი მთლად სასოწარკვეთილებაში აგდებდა.

— არა, გახდომა სულ არ მიხდება, პირდაპირ აღარ ვიცი, რა ექნა? — აფორიაქდებოდა ხოლმე პროფესორის მეუღლე.

ამყამად ცოტა შესუქებული იყო არიადნა და ასანთის ღეროებით ვარჯიშსაც ამიტომ მოეკიდა.

მაინც წინანდებურად კოხტა და ტანადი იყო.

— ცოტა გასუქებული კი ხართ, მაგრამ ქალიშვილივით მსუბუქად დაგაქვთ ტანი, — მოულაქუცა მაშომ დიასახლისს.

— არა, მაშო, სახეზე არა, და ტანზე კი მინდა გახდომა... — ისევ სარკეს მიუბრუნდა არიადნა.

ამ დროს ტელეფონის ზარმა დაიწკრილა. დიასახლისი სწრაფად დასწვდა ყურმილის და მინაზებული, გაწეილი ხმით ჩასძახა:

— ჰალლო! — თან ისე გრაციოზულად გაიქნია ხელი, თითქოს მისი თანამოსაუბრე იქვე იყო.

— პროფესორ ავალიანის ბინაა? — გაისმა ვიღაცის ხმა.

— დიახ, ავალიანის ბინაა. თქვენ ვინ გნებავთ?

— არიადნა, გენაცვალე, შენა ხარ? მე ტასო ვარ, ტასო, ნუთუ ვერ მიცანი? — და ხმა ერთბაშად ნაცნობი და მახლობელი გახდა. უცებ საუბარი შეწყდა და შემბრანიდან ნერვული კისკისი ზოისმა: — კარგი, მომშორდი, ნუ მიშლი!

— რათ, რა მითხარი? — ჰკითხა გოცებულმა არიადნამ.

— არა, შენ არ გელაპარაკები.

— მაშ ვის?

— კატაა აქ, გამიწყალა გული!

არიადნას მოეჩვენა, თითქოს ყურმილში მამაკაცის შეკავებული სიცილი მოესმა.

— ორფეხა კატა ხომ არ არის? — გაეხუმრა არიადნა და არც შემცდარა.

სანამ არიადნა ლაპარაკობდა, ტასომ მარცხენა ხელი დააფარა ყურმილის მიკრაფონს და მიუბრუნდა ახალგაზრდა კაცს, რომელიც ამ დროს ცდილობდა ყურთან ჩამოშლილ კულულზე ეკოცნა.

— ჩუმად, ჩუმად, მგონი რაღაცას მისვდა, — ტასო ამორჩაღივით გვერდულად იჯდა ტელეფონის დასადგმელ დაბალ მაგიდაზე, თვალები კი გამომწვევად მიეპყრო კაცოსთვის, და ამ თვალთა სიღრმეში თითქოს ღვედღწყარელი ნაკვერცხლები ღვიოდა... რაღა თქმა

უნდა, კაცოც გულგრილი არ იყო. მაგრამ იგი ცდილობდა დაეფერებინა თავისი გულისთქმა და ყურმის დაგვრდა რაღაც გაურკვეველი შრიალისათვის, რომელიც კედლის იქით ისმოდა.

— ყურადღებას ნუ აქცევ, დეიდაჩემია, აქ არ შემოვა, კარგად მყავს გაწვრთნილი. არიადნა კი, — ტასომ ჩუმად ჩაიცინა, — რა კარგია, რომ ტელეფონს ჯერ ტელევიზორიც არ ახლავს...ო, ახლა რომ შეეძლოს ჩვენი დანახვა ამ დიდ მემარხულეს.. — რაღაც მოზეიმე კილოზე წარმოთქვა მან.

— ნუთუ მართლა ასე მიუქარებელია? ასეთი მომზიბლავი და... — სათვალეების სქელი შუშების მიღმა კაცოს თვალებში გაოცებამ და ვნების ნაპერწყალმა იელვა. რაღაც სხივი აუთამაშდა ჩამრგვალებულ სახეზე.

ტასოს სახე მოედრებოდა. კაცომ ეს შენიშნა და სიტყვა გაუწყდა.

— ალლო, ალლო, — ისევ გაისმა ყურმილში არიადნას მოუთმენელი ხმა.

— იცი, რა მომხდარა? წყნეთის აგარაკები სულ მთლად დაუნგრევია ქარიშხალს! — აჩქარებით წარმოთქვა ტასომ.

— რას ამბობ, — ცივი ხმით შეჰკვივლა არიადნამ. — ჩვენი აგარაკი რა დღეშაა თუ იცი?

— სახურავი აუგლეჯია და ეზოს მესერი წაუქცევია, — გამოეპასუხა ტასო. — მე ახლავე მივლივარ წყნეთში, შენც ხომ არ წამოხვალ?

— რა ვქნა, — პროფესორის მეუღლეს თეთრმწითურ სახეზე შემფოთება გამოეხატა, — კარგი, კარგი, გამომიარე, მეც წამოვალ. — არიადნამ ყურმილი სასწრაფოდ დადო და ფანჯარასთან მიიჭრა, — დედა რა საშინელი ქარია, — ჩაილაპარაკა შეძრწუნებულმა.

— ქალბატონო, სად მიდიხართ ასეთ ამინდში?

არიადნა ხმას არ იღებდა. მაქმანის ფარდა გადასწია, წუთით გაიტაცა აბოზოქრებული სტიქიის სურათმა, რომელიც ერთსა და იმავე დროს იზიდავდა

და კიდევ აფრთხობდა მას. გარშემო ყველაფერი მოძრაობდა, ტრიალებდა, სადღაც მიქროდა. ჰაერის მძლავრი ნაკადი მთაწმინდის გასწვრივ მიერეკებოდა დაბლა, თითქმის სახლების სახურავებამდე ჩამოწოლილ ჯანღს. გეგონებოდათ, მთის დაღარულ ფერდობებს ყომრალი ბოლი ედებოა. გააფთრებულ ქარის შემობერვით დაწეწილი ღრუბლები რუხად შელესილი ცის თაღისკენ მიისწრაფვოდნენ.

ქარი რომ შეწყდებოდა, ეს ამობოქრებული ჰაერის ნაკადი წამით უძრავად შედგებოდა, იტყოდით, ზეციდან მძიმე ნაკლებად შეყრილი ფარდა ჩამოუშვესო. შემდეგ ქარიშხალი კვლავ მძლავრად შემოუტევედა, ამ რუხ საბურველს მიფლეთ-მოფლეთდა და უცბად, თითქოს ვილაკამ ვეება ბუმბულის ნაალი გაფხრიწოა, წამოვიდოდა მსხვილი ფანტელები, ქარი გაშმაგებით ატრიალებდა თოვლს და ბუმბერაზული მუჭით აყრიდა მთაწმინდის ქედს — ამ საუკუნოებით ჩაძინებულ, გაქვავებული მამონტის ზურგს, გეგონებოდათ, უნდა შეანჯღრიოს, გააღიზიანოს და საბრძოლველად გამოიწვიოსო.

— უჰ, რა სახარელი ამინდია! — აწურა არიადნამ წვრილი წარბები და ფანჯარას მოშორდა.

— რა ამბავია, ქალბატონო, სად მიღიანართ ასეთ ამინდში? — ჩასციებოდა მამო.

არიადნამ არაფერი მიუგო, ტელეფონთან მივიდა და რამდენჯერმე აკრიფა ნოჰერი, მაგრამ ტელეფონი დაკავებული აღმოჩნდა.

— ჯანდაბას მავათი თავი, — ჩიბუზლუნა გულმოსულმა.

წინაქარში ზარის ხმა გაისმა.

— მამო, ეს ალბათ ტასოა, კარი გაულე ჩქარა, — გასძახა არიადნამ მოსამსახურეს.

— აჰ, როგორ ცივა გარეთ. შემოცურდა სასტუმროში მელისბეწვიანი, შუტანის ქალი, რომლის ფუნთუშა სახეზე განსაკუთრებით გამოირჩეოდა თეთრად მოვლვარე, წინწამოყრილი კბი-

ლები. მას უკან მოსდევდა ქვიშისფერ გრძელ პიჯაკში და კოკეზთან ვეწრო, მუქმწვანე შარვალში ზგამოწყობილი ახალგაზრდა არქიტექტორი კაკო ნებიერიძე. ტასოს მოთენთილ, შემპარავ მიხვრა-მოხვრაში, მის მუდამ მოწყურულ, თითქოს ვნებით დანისნულ თვლებში იგრძნობდა ის გამომწვევი სითამამე, რაც არიადნას ერთსა და იმავე დროს მოსწონდა და აფრთხობდა კიდევ.

— გარეთ კი არა, ყველა ოთახში რადიატორები გახურებულია და მაინც ვიყინები.

— რა ვიცი, მაისის ვარდივით კი ჰყვავი და, შეაგება ტასომ დიასახლისის ქათინაური, რომელშიც მახვილი ყური შერს შეამჩნევედა, და ისე ისტურად მიუშვირა ტუჩები, რომ სქლად დადებული ულტრამოდური პომადა არიადნას სახეს ოდნავადაც არ მოსცხებია.

— ოჰ, კაკო, მობრძანდით, მობრძანდით, კარებში რას დგახართ, — განსაკუთრებული თავაზით მიეგება არიადნა კაკო ნებიერიძეს, რომელიც ფეხს ითრევედა. დიასახლისმა გუნებაში გაივლო: ნეტავი ეს ზომ არ იყო ის ორფება კატა, ტასოს რომ უშლიდა ტელეფონით ლაპარაკსო, და ფარულად დააკვირდა ვაქს, თითქოს უნდოდა მის სახეზე ამოეკითხა თავისი ვარაუდის დადასტურება.

— კაკო ახლა ჩამოვიდა წყნეთიდან, ჩემი აგარაკის მშენებლობის საქმეზე იყო წასული და ეს სახარელი ამბავი ჩამოიტანა — ტასომ პალტოს კალთა გადაიწვია და სავარძელში ჩაეშვა. წელში გამოყვანილ ლურჯ პალტოს ქობაზეც მელის ფაფუკი კუდები ჰქონდა მოვლებული, რაც მთელ მის გარეგნობას რაღაც ესტრადულ იერს აძლევდა.

— სამინელებია, სამინელებია, — წარმოთქვა კაკომ, თვალები ვადმოკარკლა და ორივე ხელის მტევანი შეათამაშა, — აგარაკების მებატონეები ქუდმოგლეჯილი გარბოდნენ წყნეთისაკენ, ხამსა-

ხურიც მიუტოვებიათ და ლექციებიც.

— თქვენ ნახეთ ჩვენი აგარაკი, კაკო?

— შეეკითხა არიდანა.

— როგორ შეიძლებოდა, ქალბატონო არიდანა, წყნეთში ავსულები და თქვენი აგარაკი არ შენახა! — გადაჭარბებული თავაზიანობით მიუგო კაკომ და სათვალე შეისწორა, — თქვენსაც კიდევ რა უშავს, კოჩიკაძის და ბურძგლას აგარაკები უნდა ნახოთ, სულ მთლად დაღიწილია... — ეტყობოდა, კაკოს დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა, ამ ცხელ-ცხელ ამბებს რომ აწვდიდა არიდანას.

— რა ექნა, გადაეყვიე პირდაპირ მაგ აგარაკს, შენ ხომ იცი, ტასო, ჩვენს ოჯახში ქალის საქმეც ჩემს კისერზეა და კაცისაც... — თავის მეგობარ ქალს მიმართავდა არიდანა, თუმცა ამჟამად ჩანდა, რომ ამას კაკოს გასაგონად ლაპარაკობდა... — მირიანისათვის ხომ სულ ერთია, საქათმეში ვიცხოვრებთ თუ სასახლეში.

არიდანამ ირგვლივ მოატარა მზერა, გული სიამაყით ევსებოდა, რომ დიდა ბნის ნალოლიაგები ოცნება შეასრულა, მისი ოჯახი ყველაფრით სავსე იყო, ან, როგორც მამო იტყოდა ხოლმე „მდაბიურად“, ნამდვილი „მიოს მარანი“ იყო. არიდანას შეეძლო ეამბა ისტორია თვითელი ნიეთის, თვითელი სამკაულის, რომლებსაც მირიანი დაცინვით „ხიჭა-პაჭულებს“ ეძახდა. შეეძლო ზუსტად აღედგინა, თუ სად, როდის შეიძინეს ბოჭემური ბროლი თუ რაბოთური ლარნაკი, ხორასნული ნოხი თუ სევრის ფაიფურის სერვიზი, ცნობილი მხატვრების ყალბით ნახატი სურათები. რა თქმა უნდა, ის არავის გაუმტყავნებდა, რომ ამ ნიეთების შერჩევაში მას ზელმძღვანელობდა მუდმივი მრჩეველი ამ საქმეში, ნამდიდრალი ხანდაზმული მანდილოსანი, არიდანას ბავშვების უცხო ენების მასწავლებელი. თითქოს ახლა მოაგონდაო, ტელეფონს დაავლო ხელი...

— ისევ დაკავებულია, ოპ, რა უბედურებაა. — ფიქრით ისევ წარსულში გადავიდა არიდანა — რამდენი წინააღ-

მდეგობის დაძლევა მოუხდა, და მთავარი მოწინააღმდეგე ხომ იყო მისი მამა, ნირიანი. მოაგონდა, თუ როგორ მოხდა მოუხდა ქმართან ახალ ბინაში გადმოსვლის გამო. მირიანი გაიძახოდა: ჩვენ კიდევ რა ვეიშავს, ძალიან კარგი ბინა გვაქვს, სხვებს ჩვენზე უფრო უკირისია. სახლის მშენებლობა რომ დასრულდა და მეცნიერ მუშაკებს შორის ბინების განაწილება დაიწყო, მირიანმა არაფრის გულისათვის არ შეიტანა განცხადება ინსტიტუტში. არიდანას რომ არ ერბინა, სამინისტროს კარები არ აეტალახებინა, ახლაც იმ ძველ, ადამის დროინდელ სახლში იქნებოდნენ, პელოგიასა და დაროს მეზობლად. და როგორც ძნელად მისაღწევ მწვერვალზე ასულ ალპინისტს, არიდანას გულა შეუგუბა ფიქრმა:

— სად ვიყავით და სად ამოვედით!

საქათმესა და სასახლეს რომ ადარებდა არიდანა ბინას და მთელ მის მორთულ-მოკაზმულობას გულისხმობდა, რომლის შეძენაზე ამდენი ოფლი დაღვარა. სამაგიეროდ, როცა საშუალება ეძლეოდა თავისი შენაძენი ნათესავეებისა და ნაცნობ-მეგობრებისათვის ეჩვენებინა და მათს ალტაცებისაგან ანთებულ თვალეში შურიც შეემჩნია, არიდანას სიამისაგან გული ეწურებოდა. განსაკუთრებით მამის გრძნობდა თავს ბედნიერად, როცა ისეთი ადამიანი ესტუმრებოდა, რომლის აზრსაც ის აფასებდა. პირდაპირ დღესასწაული უდგებოდა არიდანას, თუ განცვიფრებული სტუმარი დიასახლისს ნატიფ გემოვნებას შეუქებდა. ახლაც განჭრახ აგვიანებდა, რომ საშუალება მიეცა არქიტექტორისათვის, რომელიც მოურიდებლად ათვალიერებდა სასტუმრო ოთახის მორთულობას, ღირსეულად შეეფასებინა მასპინძლის მხატვრული ნიჭი.

— როგორ, შენ აქამდე არ ჩავიცივამს, რას აკეთებდი ამდენ ხანს? — ვითომ წყრომით შეეკითხა ტასო მეგობარს.

— ოპ, გენაცვალე, ხომ იცი, რამდენ-



ეროვნული
გზაობა

ნი საქმეა ოჯახში. მე ახლავე, ახლავე,
— კაკოს ბოდიში მოუხადა და საწოლ
ოთახში გავიდა.

— ვიცი შენი „ახლავე“, — ბუზღუ-
ნით დაადევნა ტასომ, კაკოს თვალი
ჩაუქრა და თვითონაც შესრიალდა სა-
წოლ ოთახში.

— თავზე დაგადგები, რომ შეხებუ-
რად მთელი საათი არ მოუნდე ჩაცმას.

— არ ვიცი, რა უნდა ჩავიცვა, სულ
ტიტველი ვარ, — და თავისი განიერი
სამკარიანი კარადა გამოალო.

ტასოს რაღაც ხარბი შუქით გაუბრ-
წყინდა თვალები და მხერა ტანსაცმ-
ლით გატენილი კარადისაკენ გაექცა.
ჯერ სხვადასხვა ფერის კაბების აკი-
დოებს ათვალაერებდა, სინჯავდა ქსო-
ვილს. კარადა ისე იყო გამოტენილი,
რომ თითო კაჩხაზე რამდენიმე კაბა
ეკიდა. შემდეგ მისი ხარბი მხერა კარა-
დის ფსკერს მისწვდა და იქ ჩარაზმუ-
ღმა ფეხსაცმელებმა სუნთქვა შეუგუბა.

არიადნამ რამდენიმე კაბა ვადმოიღო
და ტურაბრეცით დაავლო საწოლზე.

— ერთი შეხედვით მოგეჩვენება,
თითქოს ბევრი მაქვს, მაგრამ ვერა-
ფერს გამოარჩევე, ზოგის ფასონი გამო-
ვიდა მოდიდან, ზოგის ფერი და ზოგის
— ქსოვილი. მგონი ეს არის ყველაზე
თბილი, — დაავლო ხელი აგურისფერ
შალის კაბას, ხალათი ვაიძრო, სიცივი-
საგან მოიბუხა და სწრაფად გადაიკვა;
სამკაულების შერჩევას და კოსმეტი-
კას დიდი დრო აღარ მოანდომა და სას-
ტუმროში გავიდნენ. კაკომ მომზადე-
ბული ობუნჯობა შეაგება ქალებს:

— ქალბატონო ტასო, თქვენ დღეს
დიდი პატივი გხვდათ წილად, დასწრე-
ბოდით დედოფლის დილის ტელეტს,
როგორც ეს ფეიხტვანგერს აქვს აღწე-
რილი რომან „გოიამი“.

— ეს პატივი მე საკმაოდ ხშირად
მხვდება ბოლმე წილად, — ობუნჯობი-
თვე მიუგო ტასომ.

— მაშინ თქვენ უბედნიერესი ადამი-
ანი ბრძანდებით ამ ქვეყანაზე, — თავი
დაბლა დახარა და ქუსლი შემოაკრა
კაკომ.

როცა მუქლურჯად მოზიმზიმე მან-
ქანა ავალაინების სადარბაზო კარებ-
თან მოვრიალდა, ტასოს უნებურად
აღმოხდა:

— რა მშვენიერებაა, ახალი „პობე-
და“ გყავთ! აი შენ, მართლაც, შეგიძ-
ლია თქვა, ბედნიერი ქალი ვარო.

არიადნას ოდნავ ნაღვლიანად გაე-
ღიმა.

მან ვერც კი შენიშნა, თუ როდის
გაქრა ამდილანდელი სცენით გამოწვე-
ული უსიამოვნო გრძობა, რომელიც
აქამდე გულს უწურავდა, სხვა დროს
შეიძლება ყურადღებაც არ მიექცია
ქათინაურისათვის, რომელზედაც ასე
ჰქონდა შეჩვეული ყური, მაგრამ ახლა
თავიდან არ გამოსდიოდა კაკოს სიტყ-
ვები.

— ვ-ვ-ვ-უ! ვერ ვიტან სიცივეს. ვერც
ბუნებაში და ვერც ადამიანებში, —
წარმოთქვა ტასომ და სწრაფად შეს-
რიალდა მანქანაში. კაკომ მის გვერ-
დით მოიკალათა.

მანქანა სწრაფად მიქროდა. შოფრის
გვერდით მჯდომი არიადნა გულის-
ტკივილით ფიქრობდა:

— აი კაკოს, ლეონიდესა და ბევრი
სხვისთვის მე „დედოფალი“ ვარ, მირი-
ანი კი ამ ბოლო დროს ყურადღებასაც
აღარ მაქცევს... — და ამ უსიამოვნო
ფიქრების მოსაშორებლად არიადნა
თანამზავრებს მიუბრუნდა.

— კაკო, თქვენ ხომ არა გავქვთ ფეიხ-
ტვანგერის „გოიამი“?

პროფესორის მეუღლემ თვალი მოკ-
რა რომ ტასომ სწრაფად გამოსტაცა
ხელი არქიტექტორს და განზე გაიწია.
საზურგეზე გადებული მეორე ხელი კი,
რომელიც ტასოს მხრებზე ჰქონდა მოხ-
ვეული, ნებიერიძემ ნერვულად აათამა-
შა საჯდომის ბალიშზე. არიადნა დაიბ-
ნა და სწრაფად მოიბრუნა სახე. რატომ-
ღაც ისეთი განცდა ჰქონდა, თითქოს
სხვისი საიდუმლოს თვალთვალზე მიუ-
სწრესო, უხერხული მდგომარეობიდან

თავის დასაღწევად არიადნამ განუწყვეტელი რატრატი ვაბა:

— გენო, შენ არ ჩაფრთხილავს ელექტროლუმები? მაშ რატომ ცივა ასე საშინლად, — შოფერმა მხრები აიხუნა. — იცი, კაკო, მე ამ ბოლო დროს ვეღარ ვასწრებ ახალი წიგნებისათვის თვალყურის მიდევნებას. იმდენი საქმე მაქვს, რომ თავბრუ მესხმის.

— რაღა თქმა უნდა, ამოდენა ოჯახის გაძღოლა ხუმრობა საქმე არ არის, — მოეპირფერა დიასახლისს კაკო.

— მაშ, მაშ, აი ხელებისთვისაც ვეღარ მიმიხედავს, ისეთი საშინელი გამიხდა.

— რას ბრძანებთ, თქვენ ღვთაებრივი ხელები გაქვთ! მიეღაცეცა კაკო პროფესორის შეუღლებს.

იმ დროს, როცა ესენი ერთმანეთს ეხმიანებოდნენ ამ არაფრის მთქმელი სიტყვებით, კაკომ სწორად განსაჯა, რომ არიადნა ჩქარა ვეღარ გაბედავდა მათკენ მობრუნებას, და კვლავ ხელთ იგდო ტასოს ფაფუკი ხელი, ხელთათმანი გადაუწია და გაშიშვლებულ მაჯას დაეკონა. არიადნას მართლაც ვერ გაებდნა თავის თანამგზავრისკენ მობრუნება, თუმცა ცნობისმოყვარეობა კვლავ და თვალები უნებურად გაურბოდა მძლოლის წინ დამაგრებულ პატარა სარკისაკენ, რომლის კუთხეში იგი მეზობლისაკენ დახრილ კაკოს თავს ხედავდა. არქიტექტორი რაღაცას ეჩურჩულებოდა ტასოს და ტუჩებით თითქმის ეხებოდა მის ყურს.

ტასოს თავი უკან გადაეგდო, შეღებილი წამწამები ძირს დაეხარა, ტუჩები ოდნავ გაეღო... შემდეგ წამწამები შეარხია და მსუბუქი ღიმილი აუთამაშდა ბაგეზე. არიადნას გუნება აემღვრა, თვალი მოარიდა სარკეს და მანქანის ფანჯარაში გაიხედა. უცებ ნაცნობი სახე დაინახა, მირიანის თანამშრომელი დოცენტი ივანიძე ხელაწეული იდგა გზის პირას. არიადნამ თავი ისე დაიქირა, თითქოს ვერ შენიშნა, არ უნდოდა, ამ გარეშე პირს დაერღვია უკანა სკამზე მჯდომთა განმარტოება,

რაც ერთსა და იმავე დროს მწკვევ ცნობისმოყვარეობას და არაღაც ბნელ, შურის მაგვარ გრძნობას უტკივებდა მას.

— უცნაურია, როგორ ცვლის ცხოვრება აღმიახსნა! წინათ, ქალიშვილობაში, როცა ბიბლიოთეკაში ვმუშაობდი, ერთ დღესაც ვერ გავძლებდი ახალი წიგნის გარეშე; მაშინ მე ვურჩევდი მირიანს ყოველივე მნიშვნელოვანს ბელეტრისტიკის დარგში, ახლა კი... — დიდხანს ასე ლაპარაკობდა თანამგზავრისკენ შურგმეტიეული არიადნა, მაგრამ საუბარში თითქოს გონება არ მონაწილეობდა. იგი ფიქრობდა: აი, ტასო ცხოვრებისაგან იღებს ყველაფერს... არც ერთ შემთხვევას ხელიდან არ უშვებს... მე კი ასეთი სულელი და გაუბედავი ვარ... მიუხედავად იმისა, რომ ბუნებას ჩემთვის მეტი მოუცია, და უფრო სრულად შემიძლია შევიგრძნო ცხოვრება“.

არიადნა ხელის ქნევით ფანტავდა მანქანაში დატრიალებულ პაპიროსის ბოლს და თან ამაოდ ცდილობდა ტენისგამხვრეტი ფიქრების მოშორებას. თვალწინ ეხატებოდა ცოტა ხნის წინ ასე მწკვევდ განცდილი შთაბეჭდილება—ტასოს გაპოზილი ბაგეები, ყორნისფრად შეღებილი წამწამების თრთოლვა, ლაწკვების მეწამული ფერი, არქიტექტორის წყლიანი, მოელვარე თვალები, შემდეგ კი ბურუსიდან იკვეთებოდა მირიანის ჯიქურად დახრილი შუბლი, მისი ქაღარა, ვერცხლის ძაფებით დაქსელილი სქელი ფაფარი და რატომღაც მის გვერდით ლეონიდეს მომღიმარი სახე.

არიადნა ტალახიან გზას გასცქეროდა, მაგრამ ფიქრებში წასული თითქოს ვერაფერს ხედავდა. გზის გასწვრივ კი ხელუხლებელი თოვლი თეთრად ქათებდა და გაჭაღარავებულ მთის ფერდობებს ერწყმოდა. გზას არმთავრით გასდევდა ქვის დაბალი ბოძები, რომლის მიღმაც ახალგაზრდა ნარგავები მოჩანდა. გრძელ მწკრივად გაჭიმული ბუნჩულა ნაძვები მიაგავდნენ სასიერ-

ნოდ გამოსულ მოწაფეებს, რომელთაც ინც ქარს გუნდაობა გაემართა.

რა გულით მოუნდა არიადნას, უცებ ამ ფართოდ გაშლილ სივრცეში აღმოჩენილიყო, მთელი მკერდით ჩაესუნთქა სუფთა ჰაერი, ბაგეებით, სახით შეხებოდა ამ ქათქათა თოვლს და გზურებელი შუბლი გაეგრილებინა. როგორ იზიდავს ამ ფეხდაუდგამი, გაუთელავე უმანკო თოვლის კაშკაშა სითერე, გაზაფხულის ყვავილების ფურცლებივით მსუბუქი და ნაზი. არიადნას რატომღაც ჰგონია, რომ თოვლს შროშანის ნაზი სურნელი უნდა ჰქონდეს. ნეტავი იქ, ცის ტატნობზე ოდნავ მოხაზულ მთავრეხილთან დასვა, რომ არ ხედავდეს ამ ტალახში აზელილ თოვლს, რომელსაც თითქმის ფიზიკურად შეიგრძნობს, ოღონდ ნუღარ იფიქრებს ისე, როგორც ამ ერთი წუთის წინ, ნუ იგრძნობს თავს თანამგზავრებში გათქვეფილად. იქ ალბათ გამეფებულია სიწყნარე და სიმშვიდე, რომელიც მის აღელვებულ სულში ჩაიდგარება. მაგრამ იქნებ არც არსებობს სიმშვიდე, სანამ ადამიანი ცოცხალია.

წყნეთში რომ ავიდნენ, გრიგალი უკვე ჩამდგარიყო. მაგრამ ქარის შემობერვა დროდადრო მაინც არყვედა ხის კენწეროებს. არც კი შეუნიშნავთ, ისე გასცდნენ სოფლის ერთფეროვან სახლებს. შემდეგ იწყებოდა კერძო აგარაკები. ისინი გაფანტულად აკრილიყვნენ მთის კალთებზე და იქიდან იმაყად გადმოიყურებოდნენ, მხარგანლილობითა და მორთვა-მოკაზმულობით თავს იწონებდნენ. სხვადასხვა ფერი-სანი იყვნენ: თეთრად შეფეთქილა, რუხი, ვარდისფერი, მოყვითალო, წითელი აგურისა; ერთმანეთში ირეოდნენ ნაირფერი სახურავები. ზოგი სახლი სადა, უპრეტენზიო, ფინური ყაიდისა იყო, ზოგიც ციხე-დარბაზივით გაზიდული. მუქმოლურჯო პობედას თავს უვლოდნენ აგარაკების მებატრონეთა მანქანები. ეზოებში ფუსფუსებდნენ შეწუხებული, აფორიაქებული ადამი-

ნები. გრიგალის თარეშს აქ მართლაც დაემჩნია კვალი. ზოგან თანჯრის მიწები ჩაელეწა, ზოგან სახურავი ვეხადა განსაკუთრებით ცუდი დღე დასდგომოდა დაუმთავრებელ აგარაკებს. არიადნას უფრო და უფრო ეუფლებოდა მღელვარება, გული არ უთმენდა, მალე გაეგო, თუ რა მოუვიდა მათ აგარაკს.

მანქანამ მთის შუაწელს მიაღწია, მარჯვნივ შეუხვია და მიადგა ავალის ნების აგარაკს. პირველად მოხვდა თვალში, მწვანედ შეღებილი ჰიმარის სახურავი, რომელიც ქარს ჩამოეგდო და გზაში გაეხიდა. კაკომ ფრთხილად გადასწია იგი და ქალები წინ გაუშვა.

ეზოში შევიდნენ და დაინახეს, რომ ხუთუღობიანი მწვანე ფანატური გრიგალს მხარ-თემოზე წამოეწვინა, ორი ახალგაზრდა ატმის ხე ამოეგლიჯა, მდბალი მესერი კი ჰაერში აეტაცა და თალივით დაეხორავებინა.

— ვაიმე, — აღმოხდა არიადნას, კიბის წაქეცილი მოაჯირი, სახურავის ჩამოწოლილი კუთხე და ქვედა კოჭყურზე საცოდავად ჩამოკიდებული დარაბა რომ დაინახა. არიადნამ ისე აკრიფა ძირს ჩამოყრილი კრამიტის ნამტვრევები, თითქოს ძვირფასი ლარნაკის ნამსხვრევებიყო, და წუწუნით აპყვა მოაჯირმორღვეულ კიბეს.

— წყნეთში ამ აივანს რომეო და გულიეტას აივანი დაარქვეს, — უთხრა ტასომ კაკოს, როცა ფართო აივანზე გავიდნენ.

არიადნა ისე იყო ჩანთქმული თავის ფიქრებში, რომ ტასოს სიტყვებისთვის ყურადღება არ მიუქცევია.

— რა მშველება, რა ალაღვენს აქაურობას, ჩემი ძალ-ღონე ამ აგარაკს შევალე და როგორ წყალში ჩამიცვივდა ყველაფერი! — ძმახდა ის.

— ნუ სწუხხართ, ქალბატონო არიადნა... ხომ გაეგონიათ, ზოგი ჰირი მარგებელია... იცით, მე ერთი კარგი იდეა დამებადა, — და კაკომ კვლავ მრავალმეტყველად აათამაშა ხელის მტევანი, — თუ ნებას მომიცემთ, სულ

ახლებურად გადავაკეთებ თქვენს აგარაკს...

— როგორ, არ მოგწონთ ჩვენი აგარაკი? — შეეკითხა არიანდა.

— არა, რა ბრძანებაა, მაგრამ მაინც ისეთი მდიდრული არ არის, როგორც თქვენი შეგვეფერებათ, — და კაკომ დაუფარავლ აღტაცებით თავით ფეხამდე აათვალიერა არიანდა.

— იცი, არიანდა, რა მშვენიერი პროექტები აქვს კაკოს, — ჩაერია საუბარში ტასო, — თან ხომ არა გაქვთ? — მიუბრუნდა იგი ვაქს.

კაკომ პორტფელი გახსნა, არქიტექტურული პროექტების მთელი დასტა ამოაღა და ერთ-ერთი არიანდას მიაწოდა.

— ახლა სულ სხვა სტილით ვმუშაობ, — საზეიმო ტონით წარმოთქვა მან, — თქვენს აგარაკს ირგვლივ აივანი მოუხდება. ამ მხარეს კიდევ — ოთხკუთხე კოშკი, სვანური კოშკის მსგავსი... აი, როგორც ამ ესკიზზეა, — თითოთ უჩვენებდა პროექტზე. — ეს კიდევ ათსართულიანი სახლის პროექტია. ძალიან მოეწონათ კონკურსზე, — უფრო და უფრო ემზებ მოდიოდა კაკო და თვითონვე სჯეროდა თავისი ნათქვამისა, — მოსკოვიდან ჩამოსული აკადემიკოსი აღფრთოვანებული იყო, გადამხვია და გადაამკიცხა...

არიანდა და ტასო ისე გულდასმით ათვალიერებდნენ ახალგაზრდა არქიტექტორის ნახაზებს, თითქოს ხეროთ-მოძღვრების დიდი სპეციალისტები ყოფილიყვნენ...

— ნება მიბოძეთ, — მოხდენილად შეარხია ტანი კაკომ, პორტფელიდან ყვითელი კალკის გრაფილი ამოიღო და ქაღალბის წინ გაშალა. მაგრამ ქარის მოულოდნელმა შემობერებამ კინაღამ ხელიდან გაავდებინა. კაკო ზურგით შებრუნდა და კალკი დაკეცა. მოუსვენარმა ქარმა ახლა ქუდი მოსტაცა და ეზოში გადაუღო. კაკომ კიბე ჩაირბინა და ქუდს დაედგინა. გაანცებული ქარი კი თითქოს ჯიბრში უღვასო, სათამაშო სალტესავით მიაგორებდა მის

მწვანე ფეტრის ქუდს ბაღის ტერასებზე.

იმ სცენის შემდეგ, რომელსაც უნებლიეთ შეასწრო თვალი მანქანაში და რამაც რაღაც ბუნდოვანი ფიქრები აღუძრა არიანდას, მას აღარც ეგვიპტოლოგის და ახალგაზრდა არქიტექტორის ურთიერთობა, მაგრამ მაინც უნდოდა საბოლოოდ დაწმენებულიყო თავისი გუჟინის სისწორეში. ამ შემთხვევაში მართო ცნობისმოყვარეობა როდი ამოძრავებდა. ისევე როგორც გზაში, იგი თითქოს უსაზმოდ ცდილობდა გაეღიზიანებინა მის გულში დაბუდებული ყრუ ტყვილი.

არიანდა ტასოსკენ დაიხარა, თვალი თვალში გაუყარა და შემავლუიანებელი ღიმილით უთხრა:

— რა ზრდილი, სანდომიანია.

— მაშ, ყველას მოსწონს, — რამდენადაც შექმლო, გულგრილად მიუგო ტასომ. მაგრამ ეს ხელოვნური ტონი არ გამოეპარა არიანდას გამახვილებულ ყურს და რატომღაც მოუნდა თავისი გულითადი მეგობრის გაბრაზება.

— ნიჭიერი ახალგაზრდაა, დიდი მომავალი აქვს... შესაფერისები არ იქნებიან ერთმანეთისათვის ჩემი ნათელა და კაკო?

— ო, რასაკვირველია! — ტასოს ეშმაკური ღიმილი აუთამაშდა ტუჩებზე და გულში გაივლო:

— ამოდ ცდილობ, ჩემო გერიტო, არაფერი გამოგივა. განა არ მიცნობ?!

ამასობაში არქიტექტორი, რომელმაც უკვე დაიჭირა თავისი ქუდი, ქალებთან დაბრუნდა.

— მე ძალიან მომწონს თქვენი პროექტები, ბატონო კაკო, — განაგრძო შეწყვეტილი საუბარი არიანდამ. — ისეთი რაღაც არის... — მან გაურკვეველი მოძრაობა გააკეთა ხელებით. — ახლაც უნდა შევეუდგე აგარაკის შეკეთებას. საზამთრო არდადეგებს აქ გავატარებთ. აქვე გადავიხდით ნათელას დაბადების დღეს. თქვენც ხომ გვეწვევით?

— როგორ არა, დიდი სიამოვნებით,

— თავი მდაბლად დაუკრა კაკომ პროფესორის მეუღლეს. უცებ თვალში მოხვდა ტასოს მოღუშული სახე. ოდნავ შეცბა, მაგრამ მალე დააღწია თავი უხერხულობას. მკვირცხლად მიეჭრა ოდილაეაძის ქალს.

— თქვენ, ეგონებ, შეგაცივდათ, ქალბატონო ტასო, ხომ არ წავიდეთ?

— როგორც გნებავთ, — რაღაც გულგრილად მიუგო ტასომ.

— არა, არა, ჯერ აღრეა... აქ მართლაც ცივა. ოთახში შევიდეთ, ღუმელი გავაჩალოთ... გასათბობად აქ სხვა რამესაც ვიშოვით, — არიადნამ ეშმაკურად ჩაუკრა ტასოს თვალი. ხელჩანთიდან გასაღები ამოიღო, გაყინული ხელით ძლივს გააღო კარი და სტუმრები შეიბატივა.

პირველ, ნახევრად ცარიელ, ფართო ოთახში გატეხილი ფანჯრიდან შემოჭრილი ქარი დასერილობდა. ცივი ლინოლეუმი კიდევ უფრო უყინავდა ფეხებს ოდილაეაძის ქალს. იგი აქაც ერთ ადგილას როკავდა, მსუქან, ოდნავ მოკლე ფეხებს აბაკუნებდა იატაკზე.

— უჰ, აქ უფრო ცივა, ვიდრე გარეთ, კაკო, შეხედე, როგორ დამისუსხსა ყინვამ ფეხები, ისე მეწვის! — მართლაც, წინდის თხელ სიფრიფანა აბლაშუდაში გამოსქვიოდა გაწითლებული კანი. კაკომ ერთი კი გადმოხედა სათვალეებს ზემოდან და დიასახლისს მიუბრუნდა: — ქალბატონო არიადნა, არაფერი გაქვთ, რომ ამ ჩამტვრეულ მინას ჩამოვაფაროთ?

— მოდი სამზარეულოში შევიდეთ, ეს ჩვენი ავარაკის ყველაზე თბილი კუთხეა. — გვერდით ოთახი ვაიარეს და აღმოჩნდნენ პატარა, კრილა, სუფთა სამზარეულოში, რომლის კედლები შუამდე კაფელის თეთრი ფილებით იყო ამოყვანილი. არიადნამ კაკოს ასანთი სთხოვა, მაგრამ არქიტექტორმა თავად იყისრა ცეცხლფარეშობა. სასწრაფოდ გაიხადა აქლემის ფერი რატიონის შალტო, პრილა ატლასის სარჩულის მხრიდან გადააბრუნა, რომ არ გა-

კუეყიანებულიყო, და კაჩხაზე ჩამოკიდა. შემდეგ იქვე დაწყობილი უგვიდაჩ რამდენიმე ნაჭერი აიღო და ღუმელში შეწყობა დააპირა, მაგრამ მაშინვე ძირს დაყარა.

— ოჰ, რა დაბნეული ვარ, ჯერ ხომ რითიმე უნდა გავაჩალო ცეცხლი, — და ირგვლივ მიმოიხედა, რომ შესაკეთებელი რამ ეპოვნა. ბოლოს ერთ კუთხეში ხავსით და ჩალით შეფუთული ძირხვეწები აღმოაჩინა.

— ამით შეიძლება? — შეეკითხა დიასახლისს და ასაღებად დაიხარა.

— არა, არა, როგორ შეიძლება! — შესძახა არიადნამ, — ეს ჩვენი ჭჭროს ფონდია, ტუბეროზების ბოლქვები, მოსკოვიდან გამოგვიგზავნა მირიანის მეგობარმა, პროფესორმა დორონინმა...

— არიადნამ წუთით შეწყვიტა სიტყვა, კარადის უკან დაწყობილი, წვრილად დაჩეკილი კვარი და ნაფოტი მოიტანა, და ღუმელის წინ იატაკზე დაყარა. — აი ეს კიდევ ტიულიაქების ბოლქვებია, ნამდვილი პოლანდიური ტიულიაქებია, — მიუთითა მან კუთხეში მიყრილ ბოლქვებზე. — უნდა ნახოთ, ფერების რა შესანიშნავი გამა ჩვენს ბაღში აღრე გაზაფხულიდან დაწყებული — გვიან შემოდგომამდე. იცით, ცოტას რომ გავთბებით, მე თქვენ დაგათვალერებინებთ ბაღს, — გატაცებით ლაპარაკობდა არიადნა. — მართალია, ახლა ყველაფერი დამზრალია, თოვლითაა დაფარული, მაგრამ თქვენი მდიდარი ფანტაზიით ადვილად წარმოიდგენთ, თუ რა მშვენიერებაა, როცა აქაურობა ჰყვავის და სურნელს გამოსცემს.

სანამ არიადნა ლაპარაკობდა, არქიტექტორმა ცეცხლი გააჩაღა და ღუმელში შეშას მხიარული ტკაცანი გაუდიოდა.

— არიადნა, შენ, როგორც მახსოვს, კიდევ სხვა რამეც დაგვიბრდი... შესათბობი, — ეშმაკურად გადაუკრა ტასომ.

— ახლაც, ახლაც, — დაფაცურდა და სამზარეულოს თეთრი კარადიდან კონიაკი გადმოიღო. ბოთლი ტასოს მიაწოდა. შემდეგ უჯრიდან დაკეცილი

სუზანი ამოიღო და მაგიდაზე გაშალა.

— კი, მაგრამ, რა უნდა შევატანოთ? — შეეკითხა თავისთავს არიადნა და თვით, მრგვალ შუბლზე თითი მიიღო, — აქ სადღაც, ვგონებ, კონსერვები უნდა იყოს... — არიადნა რატომღაც ისე ლაპარაკობდა, ვითომდა თავის ნათქვამს გულისყურს არ ატანდა; თავს ისე აჩვენებდა, თითქოს არაფერი გავგებოდა ყოველდღიური მოსაწყენი საოჯახო საქმეებისა და ამ უმნიშვნელო წვრილმან რამეებში ჩაწვდომას თავის ღირსებისათვის შეუფერებლად თვლიდა. იგი თავის თავსაც არ უტყუდებოდა, თუ რა გულით ეწადა ფართო, ირისტული ბუნების მქონე აღამიანის შთაბეჭდილება მოეხდინა ახალგაზრდა არქიტექტორზე, სწორედ კაცზე, თორემ ტასომ კარგად იცოდა თავისი თვალხარბი მეგობრის ზნე და ხასიათი. არიადნას ოჯახში აღრიცხული ჰქონდა ძველთაგან ლურსმანი და თვითველი ცარიელი ბოთლი. მას კარგად ახსოვდა, რომ ეს „ფართო ბუნების“ აღამიანი რამდენიმე თვის განმავლობაში ხელფასიდან უქვითავდა მამოს მის მიერ გატეხილი ბაჟანის ღირებულებას, უქვითავდა, მიუხედავად იმისა, რომ ამ წვრილმანმა ანგარიშიანობამ საშინლად აღაშფოთა მისი მეუღლე. მაგრამ ქმარი ვერაფერს გახდა. არიადნამ დიეინა, ეს წმინდა აღმზრდელითი დონისძიებაო და თავისი გაიტანა კიდევ ახლა არიადნამ მომხიბლავი ღიმილით წარმოთქვა:

— პურის მაგივრად კი მხოლოდ ნამცხვარი შემიძლია შემოგთავაზოთ... და მაგიდაზე ჭრელი, გაუხსნელი კოლოფი დაღო.

— ხასმისებს არ გვაძლევ? თუ ლოთილოთურად პირდაპირ ბოთლიდან შევსვით! — გაიხუმრა ტასომ.

— თურმე პაწია ხასმისები არა გვქონია, აი ეს გამოდგება, — შეატრიალა არიადნამ ხელში უბრალო ქაშანურის ფინჯანი.

— ეს ძალიან ორიგინალურიც იქნება! — აიტაცა კაკომ და თვითონ დაას-

ხა კონიაკი ფინჯნებში. არქიტექტორმა სულუქცევრად გადაატყუ, მას უცებ გაუჭარბლდა მრგვალ სახე-ორი-საში გაუბედავი ყლუბის შემდეგ ქალები შეთბნენ და გამოცოცხლდნენ, მოჰყვენ სახუმარო სადღეგრძელოებს, გაიბა მზიარული საუბარი. კაკომ რამდენიმე საკმაოდ თამამი ანეგდოტი უამბო ქალებს. არიადნა ცეცხლის შესაკეთებლად წამოდგა. კაკო ფიცხლად წამოხტა, დიასახლისთან მიიჭრა, ოდნავ ხელი მოხვია წელზე და ღუმელს მოაშორა:

— ეს ხომ ჩემი მოვალეობაა, ქალბატონო არიადნა, მე ხომ თქვენი ცეცხლფარეში ვარ, — კაკომ თავი დახარა, მარჯვენა ხელი კი თავაზისა და პატივისცემის ნიშნად მკერდზე დაიდო.

— თქვენ მოხალისე ცეცხლფარეში ხართ, ასე რომ ჯილდო არ გერგებათ, — ორაზროვნად შენიშნა ტასომ.

— ჯილდოდ ისიც მეყოფა, ჰაერს რომ ვსუნთქავ თქვენთან ერთად!

ტასოს ხმაში შური გამოსკვიროდა და არიადნა შეეცადა, გულში ჩაეჭრო გამარჯვების სიხარული:

— მართლა, კაკომ მომაგონა, იქნებ ჰაერზე გავიდეთ, ჩვენი ბალი დავათვლიეროთ.

არიადნამ სტუმრები ჯერ თავის სამაყო, ვაზით შემოგრაგნილ ხუთკუთხიანი ფანჩატურისაკენ წაიყვანა. ქარიშხლისაგან წაქცეული ფანჩატური მიწაზე ეგდო. სვეტებზე დახვეულ ლირწებს კიდევ ეკიდა თითქოს ენგაინი თუნუქისაგან გამოტყრილი დაკბილული ფოთლები და თითო-ორიოა რაღაც სასწაულით შერჩენილი დამზრალი მტევნის კუთხალი. სტუმრებმა გასინჯეს მომთავრობილი ნაყოფი. ტასომ შენიშნა, რომ ყურძენსაც ენგის გემო დაჰქრავდა.

— ეს ფანჩატური პლაგიატი, — ღიმილით წარმოთქვა არიადნამ. — მე ასეთი ნაგებობა ერთ საზღვარგარეთულ ქურნალში ვნახე და დავეყინე, რომ ჩვენს ბაღში სწორედ ასეთი იქნებინათ.

კაკომ აღფრთოვანება გამოთქვა დია-

სახლის მალაღი გემოვნების გამო, რომელიც არქიტექტორის თქმით, პლაგიატსაც დიდ ორიგინალობას ანიჭებდა. არიადნა კი გატაცებით განაგრძობდა:

— თქვენ ყურადღება არ მიაქციეთ ჩვენს პატარა იტალიურ შიდა ეზოს — და დიასახლისი გაეშურა, რომ ეს საკვირველებაც ეჩვენებია სტუმრებისათვის. ბაღის კიბისებურ ბილიქს აპყვენ და გამოვიდნენ პატარა, ოთხკუთხედ, ნაირფერი თლილი ქვებით მოკირწყულულ ეზოში, რომელიც სწორედ ვერანდის ქვეშით მდებარეობდა. ეზოს სამი მხრიდან დაბალი ქვიტიკრის ზღუდე ჰქონდა შემოვლებული, ზღუდის კუთხეებში კი ორი მრგვალი ლამპიონი იყო დატანებული. რძისფერი ლამპიონები კაქტუსის ჩხვლეტა თათებში იყო ჩამჯდარი. არიადნამ ახალგაზრდა კედრის ხეივანს მიაპყრო სტუმრების ყურადღება და გრძნობამორეცხვით წარმოთქვა: „აი, აქედან უყვარს მირიანს ხეობის ჰერტა“. შემდეგ ბაღის ტერასებზე დაატარა ისინი და უამბო, თუ სად რა იზრდება, როგორ შეარჩიეს მცენარეები ფერისა და ყვავილობის მიხედვით ისე, რომ მათ ბაღში არასოდეს შემწყყდარიყო ვარდფურცლობა.

კაცმა რომ თქვას, ეს ექსპერსია არიადნას სამფლობელოებში კაცოსათვის იყო გამიზნული, ვინაიდან ტასო აქ სხვა, უფრო შესაფერის დროსაც ყოფილა — იგლისის პაპანებაში აქ აფარებდა თავს თბილისის სულშემსუთველ სიცხეს.

კაცოს კი, რომელიც დიდი ინტერესით ათვალეირებდა თვით შენობას, ბაღის კუთხეში აგებულ პატარა წყალსაცავს, მის პირას კენტად აზრდილ ძეწნას, ალყაფის კარებთან გუშაგბივით ჩამწყრივებულ ტაშარისკებს, აშკარად ეტყობოდა, რომ პირველად იყო ავლიანების აგარაკზე. არქიტექტორის ქათინაურებით აცუნდრუკებულმა არიადნამ ეს ვერ შენიშნა. თავის ტრფიალზე განაწყენებულ ტასოს კი ეს მაშინვე მოხვდა თვალში და ერთ


წუთს თავში გაუღვია ანცმა ფიქრის სიცრუეში დაეკირა კაცო, რომელმაც წარბშეუხრელად ამცნო პრაფეზორის მეუღლეს, ამ დილით ქარიშხლისაგან დაზარალებული თქვენი აგარაკი დავათვალიერო. მაგრამ შემდეგ ტასომ უკუაგლო ეს განზრახვა. ფუნთუშას საკმაოდ მობეზრდა გაყინავ ქარში სეირნობა, და რაკი დიასახლისისათვის ვერ გაებედა თავისი უკმაყოფილების გამოთქმა, მხოლოდ დროდადრო ჩაილაპარაკებდა:

— რა უბედური ამინდია, არ იცი, რა დაიკირო, ქუდი თუ პალტოს კალთები, ქარი თავზე პირდაპირ გახურავს. — იგი ისე მისჩერებოდა დიასახლისს, თითქოს ეკითხებოდა, როდის დამთავრებ ამ ახსნა-განმარტებასო. მას, რასაკვირველია, შეეძლო სახლში შეეფარებინა თავი, მაგრამ არ უნდოდა კაცო და არიადნა მარტო დაეტოვებინა.

პროფესორის მეუღლე კი თითქოს ვერ ამჩნევდა სტუმრის მოუთმენლობას და თავისას განაგრძობდა:

— აი იქ, ქვეშით, ბოსტანია, მაგრამ მე ის სრულებით არ მაინტერესებს. ბოსტნის მოვლა მაშოს კომპეტენციაში შედის. მე და მირიანი კი ყვავილებით ვართ გატაცებული. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა სიყვარულით აღვვინებს იგი თვალყურს თვითიული ყვავილის, თვითიული ბალახის ზრდას. თქვენ ხომ შენიშნეთ, თუ რა მალაღი ზღუდეები აქვს შემოვლებული სხვა აგარაკებს, გეგონება, ციხე-სიმაგრის გალავანიაო. აქ კი ხედავთ, რა დაბალი მესერია. ეს მირიანმა დაიჩემა, ამბობდა:

„რატომ, რისთვის უნდა გავემიჯნოთ ადამიანებს, ჩავიკეტოთ, დაე უყურონ ჩვენს ბაღს, თვალს გაახაროს მერხიც, ხომ ხედავთ, გარეთ, მესერის ვადაღმა დადგა, რომ გამვლულ-გამომვლულები ჩამოსხდნენ, დაისვენონ. ეს ხომ ჩვენი შევიცარია... ჭიშკარი კი მან მთლად ისეთი გააკეთებინა, როგორიც თვინათ სოფელში აქვთ. აქ არიადნას სახეზე ბოდიშნარევი დიმილი ვაუკრთა, რომელიც თითქოს ამბობდა: „რა უნდათ,



უნდა ვაპატიოთ ეს ახირებო!“. გაზაფხულზე და ზაფხულში აქ ისეთი სუნი დგას უამრავი ყვავილისაგან, რომ ჩვენ იცით, რა შეგვარქვეს... ოღონდ არ დამცინოთ!

— რა, რა? — ჰკითხა კაკომ, რომელიც თვალს არ აშორებდა დიასახლისს.

— სურნელოვანი ავალიანები, — მორცხვად დახარა თავი არიადნამ.

— გენიალურია, გენიალური! ეს ზამთარშიც კი იგრძნობა.

— ჰე, ჰე, — ისე წარმოთქვა ტასომ, თითქოს კაკოს აფრთხილებდა: აბა, ძალიან ნუ შესტობავო.

არიადნა კარვად მიუხვდა არქიტექტორის ნართაულებს, მაგრამ დაეშურა, ისე შემოებრუნებია საუბარი, თითქოს ეს მას სრულიად არ შეეხებოდა.

— რას ბრძანებთ, ბატონო კაკო! ახლა ეს გაძარცული ბაღი რაღა სანახავია, იგი მხოლოდ სევდას მოჰგვრის მნახველს.

— „სევდის ბაღს შეველ შენადონები“, — ჩაუღელქვა კონიაკისაგან ამღვრებულმა კაკომ.

არიადნა კი თავისას განაგრძობდა:

— მე და მირიანი ზაფხულში დილის ხუთ საათზე ვდგებით ხოლმე, რომ ვანთიადი არ გამოგვეპაროს... საღამოთი კი, აი აქედან მზის ჩასვლის სურათით ვტყბებით... — არიადნამ ხელი გაიწვდინა დასავლეთისაკენ, სადაც ფართოდ გაშლილი პანორამა უსაზღვროების შთაბეჭდილებას ქმნიდა. ერთიმეორეზე ვადამბული მთები მიაგვადნენ, ყალყზე შემდგარ ტალღებს, რომლებიც განგების მსახერგელი ხელის ერთ დაქნევას თავის მძაფრ ქროლვაში გაუქვავებია.

— ო, რა ზღაპრულია ეს ბაღი, როცა მთვარის შუქით არის გაბრწყინებული... ჩემთვის და მირიანისათვის ეს ყვავილები ყველაფერია.

აქ უცებ არიადნას ღიმილი გაუქრა სახეზე, ვაირინდა, ერთბაშად დაუბრუნდა ამდიღანდელი ტკივილი, წყენა, რომელიც მას მირიანმა მიაყენა. მაინც რა მოხდა ისეთი? თითქოს საიმისო

არაფერი. მაგრამ მირიანის დღევანდელი გულცივობა ის წვეთი იყო, რომელმაც გამოამძლავნა უთანხმოება და განხეთქილება ცოლ-ქმარს შორის, ის დამორება, დაუცხოება, რომელიც კარგა ხანია შეიმჩნეოდა მათ ოჯახში.

„და აი, ახლა მე იძულებული ვარ ვიც-რუო“, — გაიფიქრა არიადნამ და სტუმრებს თვალი აარიდა.

მისი საუბარი მსმენელს თვალწინ უშლიდა გულისგამაზარებელ, „სურნელოვანი ავალიანების“ (როგორც არიადნა თვითონ ამბობდა) უღრუბლო ცოლქმარული ბედნიერების სურათს. ეს ბაღი და აგარაკიც ამ ბედნიერების ერთი კუნძული იყო. სინამდვილეში კი არიადნა მთელი ამ საუბრის დროს ცდილობდა დაეფარა, და არათუ სხვებისაგან დაეფარა, არამედ საკუთარ გულშიც ჩაეხშო მწვავე ფიქრი იმაზე, თუ რა ძვირად დაუჯდა ეს აგარაკი. ზანგრძლივ და შეუპოვარ ბრძოლაში მირიანთან თითქოს გამარჯვება არიადნას ზედა წილად, მაგრამ ეს, იმავ დროს, მის დამარცხებას ნიშნავდა. და ერთ წუთს საშინელი სიმართლევ იგრძნო. გული შეეწურა. შემცივებულებით აიწია ქურქის საყელო და თავის სტუმრებს გადახედა. მხოლოდ ახლა შენიშნა, რომ ტასოს სახე ვალურჯებოდა, არქიტექტორი კი სიცივისაგან აბუხულ ფრინველს დამსგავსებოდა.

— ბოდიში, სულ მთლად ვაგყინეთ ამ ქარში, — ისე წარმოთქვა პროფესორის მეუღლემ, თითქოს ახლა მოეგო გონსო. სტუმრები სახლში შეიწვია. ამასობაში ღუმელში ცეცხლი კიდევ უფრო გაჩაღებულიყო. პატარა სამზარეულოში უკვე ცხელოდა.

— ყოჩაღ, კაკო, თქვენი ცეცხლი არ ჩამქრალა, — ემშაყურად ჩაუქრა ტასომ ნებეირიძეს.

— არათუ ჩაქრა, კიდევ უფრო აგიზვიზდა, — აიტაცა კაკომ ეს ანცი ტონი და ისე ფართოდ გაშალა ხელები, თითქოს ორივე ქალს უპირებს მოხვევასო, არიადნა ნარნარი მოძრაობით დაუსხლტა აცელქებულ არქიტექტორს.

— თქვენ ტასოს უშველეთ პალტოს გახდაში, — თქვა დიასახლისმა და სწრაფად გაიძრო ქურქი. — ახლა კი შევსვით, — აგზნებულად წარმოთქვა მან და სტუმრები ფართო ექსტით მიიწვია სუფრაზე.

ტასომ გაოცებით შეხედა მეგობარს, რომელმაც ქურქთან ერთად თითქოს თავისი ჩვეული თავდაპერილობა ჩამოიშორა.

პროფესორის მეუღლე სხვა დროს ყოველგვარ გულისთქმას უმორჩილებდა თავის „მდგომარეობის“ მოთხოვნებს, რაც მისი აზრით, ბევრ რამეს აკისრებდა, მაგრამ ახლა თითქოს ეშმაკი ჩაუძვრა გვამში, აიტაცა და საითკენღაც გააქანა, და ისიც წინააღმდეგობას ვეღარ უწევდა. გადაწყვიტა, დანებებოდა ამ მაკდურს ყველასი და, პირველ რიგში კი, საკუთარი თავის ჯიბრზე. შეიძლება არიადნას გადაედო მისი სტუმრების გიჟმაყი, თავაწყვეტილი განწყობილება. ვინ იცის!

კაკო ტასოს მიეშველა და თავადაც გაიხადა პალტო. შემდეგ ფუნთუშას ხელი მოავლო მსუქან, მხრისთავამდე გაშიშვლებულ მკლავზე და ზარ-ზეიმურად წაიყვანა სუფრისკენ.

— თუ ქეიფია, ქეიფი იყოს, — წამოიძახა არიადნამ და კარადის სიღრმიდან ამოაძვრინა ერთი ბოთლი ტვიშის ღვინო და ზეთისხილიანი ჭილა. — ხედავთ, მე მეგობრებისათვის არაფერი მშურს, — სიცილით თქვა მან. — კაკო, გახსენით ბოთლი!

— დღეს როგორ გუნებაზე ხარ, მე ასეთი არასოდეს მინახავხარ, — უთხრა ტასომ.

არიადნამ პასუხად მხოლოდ ჩაიკისკისა და არქიტექტორის გასძახა:

— კაკო, ტოსტები!

— არ ვიცი, როგორ დაგაშორით ერთმანეთს, — ერთ წუთს შეჩოთიარდა კაკო, რომელიც ტასოს მომღურებას ერიდებოდა. მაგრამ მალე იპოვა გამოსავალი, — წესისამებრ, პირველად დიასახლისის სადღეგრძელო უნდა შეისვას, ამ ვარდ-ყვავილთა სამეფოს დედო-

ფლის, ოქროსკულულებიან არიადნას სადღეგრძელო!

— თქვენ პოეტი ხართ, ხამღველუ პოეტი! — წამოიძახა ალტაცებულმა ტასომ და კაკოსთან ერთად დასცალა სასამისი.

— შევსვათ ტვიში, შევა ტვინში! — სტყორცნა ექსპრომატი შექებით გამხნეებულმა კაკომ.

არიადნამ ჯერ ცოტა მოსვა, წარბები ოდნავ შექმუხნა და სამადლობელი დასცალა.

— ხედავთ, რამდენი დავლიე, მაგრამ ეს თურმე არც ისე საშიშია! — წამოიძახა სახეალეწილმა.

ამქვეყნად არაფერია საშიში, მხოლოდ შეურჩევლობის გამო ეჩვენება კაცს ზოგი რამ საშიშად, — შენიშნა კაკომ. გულში კი გაივლო, მემარხულე, ვგონებ, გახსნილებას აპირებს, ძალიან კარგი, დავეხმაროთ ამ კეთილ განზრახვაში.

— „ვერ შეგვაშინოს სიცივემ, თუ თავში ღვინო ბრწყინავდეს“, — თითქოს თავისი მეგობრის ფიქრს მისწვდაო, დაურთო ტასომ, სკამი ღუმელთან მიდგა და რალაც გაიწიშატებით შეუდგა დაწითლებული წვივების ზეღვას.

— ისე მსუბუქად ხარ ჩაცმული, ჩემო ტასიკო, რომ შენ მაგივრად მე მცივა, — შენიშნა არიადნამ, რომ საუბარი სხვა თემაზე გადაეტანა.

— მართლაც, ჰკუთნა სავსე ქალი ხართ და დღევანდელ მგზავრობისთვის კი ძალიან მოუფიქრებლად ჩაგიცვამთ, — კაკომ თვალი შეავლო შალის უსახელო ჯემპრში შემოსხურტულ მის ჩამრგვალებულ ნაკეთებს და გაშიშვლებულ მკლავზე ალერსიანად მოუსვა ხელი.

— ხელს ნუ მახლებთ, ველეავ, — მიბნედილი ხმით წასჩურჩულა ტასომ. არიადნამ იგრძნო, რომ ამ თამაშში იგი ზედმეტი იყო. გათამამებული თამადის წყალობით მეორე ბოთლიც ჩქარა დაიცალა. როცა არქიტექტორს თვალები აუჭრებდა, ქალები კი მხიარულ-

ლად აჭიკვიდნენ, მანქანის წყვეტილი სიგნალები გაისმა.

— ჩვენი გენო გვაძლევს ნიშანს, — წამოიძახა ოღნაე შემკრთალმა არიადნამ.

— ალბათ გაიყინა საწყალი, — წამოვდა ტასო.

— ხიფათში ჩავარდნილების ნიშანს იძლევა, აბა, მივეშველოთ, მივეშველოთ, მეგობრებო, გაიცინა კაკომ.

ღუმელში გაჩაღებულ ცეცხლს წყალი დაასხეს, სასწრაფოდ ტანთ ჩაიცვეს და აივანზე გამოვიდნენ. სანამ არიადნა დანესტიანებული კარის დაკეტვაზე წვლობდა, კაკომ თოვლი დააგუნდავა და ტასოს უთავაზა.

— მოგილოცავ ზამთარს, ჩემო ძვირფასო! — დააყოლა მან.

ტასომ იწივლა, მაგრამ არ დაიბნა, და როცა არქიტექტორი მიბრუნდა, დრო იხელთა, აივანის მოაჯირიდან თოვლი მოხვეტა, საყელოში ჩაუყარა და გაიქცა. კაკო მსწრაფლ შემობრუნდა, გაქცეულ ტასოს სახლის კუთხეში დაეწია, ერთი ხელით მყერდზე მიიკრა, მეორით თოვლს დასწვდა და ფუნთუშას მთელი სახე თოვლით დაუხილა.

დაუყოვნებლივმა კაპიტულაციამ და არიადნას გამოჩენამ იხსნეს ტასო შემდგომი სასჯელისაგან.

ქალი ყოველთვის ქალს უნდა გამოეჭიომაგოს და არიადნამაც თოვლის გუნდა ესროლა ტასოს მჩაგვრელს. კაკომ პასუხი არ დააყოვნა.

— საცა ორი ჩხუბობს, მესამე არ უნდა ჩაერიოს, — შეგონების კილოთი უთხრა თავის მეგობარს ტასომ, რომელიც მაქმანიანი ხელსახოცით იწმენდა და სახეზე დამდნარ თოვლს.

შოფერს უკვე აემუშავებინა ძრავი, მანქანის კარი გაეღო და მოუთმენლად გასცქეროდა თავის აცუნდრუკებულ მგზავრებს.

მართლაც საშურო იყო ქალაქში დაბრუნება. ქარი გაძლიერდა, ცა ჩამობნელდა და მსხვილი თოვლი წამოვიდა. აქეთობისას არიადნამ თავის მეგობრებთან ისურვა დაჯდომა; მოიმჩეზა,

უფრო თბილად ვიქნები, თანაც ბენზინის სუნს ვერ ვიტანო, თუმცა მზანსკე-მდე არასოდეს უჩიოდ.

ქალებმა შენიშნეს, რომ კაკოს სულ მთლად გაუქარხლდა მრგვალი სახე, მასზე ძლიერ იმოქმედა უქანასკნელმა ქიქა კონიაქმა, რომელიც „საბოლოოდ“ გადაკრა, — წრე უნდა შეიკრას, რითაც დაეიწყეთ იმით უნდა დაეასრულოთ.


სუფთა ჰაერზე გამოსულს სასმელი უფრო მოეკიდა. გენოსაც ამ გზობა უცნაურად მიჰყავდა მანქანა. მოსახვევებში და სულ პატარა ორმოებზე რატომღაც ძალუმად შეისროდა და აქეთ-იქით ახუტებდა. კაკოც თავის მეზობელს აწყუბებოდა, თან ვითომ კედელზე მიჯავბინისაგან ვიცავთო, მდგომარეობით სარგებლობდა და ხან ერთს, ხან მეორეს ხვევდა ხელს. უფრო ხშირად ეს ბიონირება არიადნას ხედებოდა წილად. დროდადრო პროფესორის შეუღლის ხელს აიღებდა და ნაბახურევი ორთქლით ათბობდა. ზოგჯერ კი თითქოს მთლად მოერიდა ღვინოო, თავს ხან ერთ, ხან მეორე ქალს ადებდა მხარზე.

„რაღაც ძალიან ატრუებელი ჩანან ჩემი მგზავრები“, — ფიქრობდა გენო, საჭეზე დახრილს, თვალები გზისათვის მიეშტრებინა და გაქვავებულიყო.

არიადნამ შენიშნა გენოს მგელივით გამეშებული კისერი, მზერაშიც უსიტყუო გაკიცხვა ამოიკითხა, თვალი რომ შეეაღო პატარა სარკეს, საიდანაც იქითობისას თავისი მეგობრების ქცევას უყურებდა. გუნება წაუხდა. აქამდე კიდევ ითმენდა არქიტექტორის უსაქციელობას, მთვრალს ზოგი რამ ებატებო. გარდა ამისა მოსწონდა, როცა თავისი მეგობრის თვალებში გამომკრთალ შურისა და ექვიანობის ნაპერწკლებს ხედავდა. თავისი უგუნებობის ნამღვილი მიზეზის დასაფარავად ტასომ გაბრაზებით წამოიძახა:

— რა საშინელი ყინვაა, მთლად დამაზრო ფეხები.

კაკომ თითქოს ერთბაშად დაკარგა დიპლომატის ალლო, რომლითაც ასე



უხვად იყო დაჯილდოებული, იმის მაგივრად, რომ ტასოსთვის გამოეთქვა თანაგრძნობა, უცებ დაიხარა, არიადნას ფეხს მოუსვა ხელი და შეეკითხა:

— თქვენც ხომ არ გაგვიყინათ ფეხები?

აქ კი იგრძნო არიადნამ, რომ კაკო ყოველგვარ საზღვარს გადასცდა. კვლავ თვალი მოავლო საქვე დახრილ გენოს ზურგს და კაკოს ჩაულაპარაკა:

— რა მოვლით? წესიერად დაიჭირეთ თავი! — პროფესორის მეუღლე მიბრუნდა და ფანჯარაში დაიწყო ცქერა,

კაკო, თითქოს ენა ჩაუვარდაო, დაღმდა და გაიტრუნა. ტასომ კი მოშინურად გაივლო გულში: „ახია შენზე, ახლაც არ მოიხვენებ!“.

ფიქრებში წასულ არიადნას თვალწინ მაღიმალ იზრდებოდნენ თოვლის ფანტელების მძიმე საბურველიდან გამომსხლტარი, ღრმა ხევახუვებითა და ღარტაფებით დასერილი მთის ფერდობები.

ახლა მანქანაც უფრო წყნარად მისრილებდა და მგზავრებს აქეთ-იქით აღარ ისროდა. არიადნამ გაიფიქრა:

„ალბათ წედან ამ სამაგელ გენოს განზრახ მოყავდა ისეთი ხეთქებ-ხეთქებით მანქანა. ცხადია, მან ყველაფერი დაინახა და გაიგონა...“

მორიალუ ფანტელების მარმავში პროფესორის მეუღლემ ახლა მრუმე კვიპაროსების კენწეროები გაარჩია და მიხვდა, რომ სასაფლაოს დაუსწორდნენ.

„მაღლობა ღმერთს, უკვე ქალაქში ვართ“, მოეშვა გულზე არიადნას.

ჩქარა მანქანა ავლიანების სახლს მიუახლოვდა. არიადნამ არ იცოდა, რა ექნა: შუადღე გადასული იყო და სტუმრების უსადილოდ გაშვება არ შეიძლებოდა. მაგრამ წყნეთში ასვლამ სულში რაღაც უსიამო ნალექი დაუტოვა და მარტო დარჩენა სურდა. არიადნა მანქანიდან გადმოვიდა, თანამგზავრებს გამოემშვიდობა და გენოს უბრძა-

ნა, სტუმრები თავთავიანთ ბინებში მიეყვანა. კაკომ კარის მძვინვარება წერ მოასწრო, რომ ტასომ არიადნას დააღვენინა:

— პროექტს არ წაიღებ, მირიანს არ უნდა უჩვენო განა?

— ოჰ, სულ დამავიწყდა. — შემობრუნდა არიადნა. სანამ კაკო პორტფელში საჭირო ფურცელს ეძებდა, საიდანღაც მურაყვითელი ჭუჭყიანი კატა გამოტყვრა. კატამ პროფესორის მეუღლესთან მიიბრინა, ქალს ფეხებზე წაეგლასუნა და კნავილით რაღაც შესთხოვა.

— ეს ტურტილიანი კატა შენია? როდის აქეთ გახდი მაგათი ქომაგი, — გაიცინა ტასომ.

— არა, რას ამბობ, ეს ჩვენი ფაუსტის ცოლყოფილია, საბრალო შეცდენილი მარგარიტა. ყოველთვის, როცა დამინახავს, აღიმენტებს მთხოვს, — ღიმილით მიუგო არიადნამ.

— კი, მაგრამ ხშირად გამოჩნდებიან ხოლმე ასეთი მაძიებლები? სასამართლოში ხომ არ გიჩივიან? — სიცილით ჰკითხა კაკომ და არიადნას ამოსარჩევად რამდენიმე პროექტი გადასცა. დიასახლისის სიტყვებში მან იგრძნო იმ აცუნდრუებული განწყობილების გამოძახილი, რომელიც არიადნას წყნეთში დაეუფლა. ახლა გზა იხსნებოდა არიადნასთან შესარიგებლად, რაც დიდად ახარებდა არქიტექტორს. მანქანაში დატუქსვის შემდეგ კაკო ცოტათი შეშინდა, იგი ნაწყენიც კი იყო არიადნაზე. ახლა კი ისევ გამოცოცხლდა.



სუფრა გაშლილი იყო, მაგრამ მაშოს გარდა შინ არავინ ჩანდა. სხვა დროს ეს გუნებას წაუხდენდა არიადნას, ახლა კი იამა კიდევ. საწოლ ოთახში გვიდა, არც კი ჩამოიჯდარა, ისე გაიძრო ფეხსაცმელები და ფეხები რბილ, საშინაო ქოშებში წაყო. უცებ საშინელი დაღლილობა იგრძნო, ტანგაუხდელი მოწყვეტილივით დაეცა საწოლზე. ჩვე-

ულ შინაურ გარემოში მან მალე დააღწია თავი რაღაც ბურუსს და აქ კიდევ უფრო უხვამად წარმოუდგა მთერალი კაკოს არმყოფობა. მის სულში კვლავ გაიღვიძა ყრუ გაბრაზებამ მირიანის წინააღმდეგ, რომელმაც ჯერ კიდევ ამ დილით იფეთქა და შემდგომ მიუჩნდა მოზღვავებული შთაბეჭდილებების ქვეშ. ის არის ყველაფერში დამნაშავე. არა, ყველაფერი ჩემი ბრალია, მე თვითონ დავისე თავზე, — ის უნდა წასულიყო ქარიშხლისაგან დაზიანებული აგარაკის დასათვალისწინებლად, მაშინ მე არ მომიხდებოდა ამდენი ტყუილების შეთხზვა, ეპ, მაგათ რომ იცოდნენ, რა ფასად მიღირს ეს აგარაკი — კინაღამ მთელი ოჯახი თავზე დამეგრა სულ მაგის ჯიუტობის გამო. ჰმ! კაცმა ერთი იფიქროს, რა მდგომარეობას მიადწია ყველა ანგარიშს უწევს, მისი სახელი ცნობილია შორს, ჩვენი ქვეყნის საზღვრების მიღმაც, იაპონიაშიც კი ითარგმნა მაგის შრომები. ყველგან ასე მიღებულია და მანაც ვერ მოუხერხებია, თუ არ სურს, მოსწყდეს თავის ძველ ფესვებს, რომლებიც სოფელთან აკავშირებს. ერთ მშვენიერ დღეს... ეპ, ნეტამც არ გათენებულიყო ის დღე... მოაგონდა არიადნას, ერთხელ მირიანმა თავის ნაშრომში საკმაოდ დიდი ჰონორარი მიიღო და გადაწყვიტა, არიადნა „გაეზარებინა“. ადგა და გამოუცხადა თავის მეუღლეს, რომ მუხათში თავისი ქვრივი რძლისთვის აპირებს დიდი სახლის აშენებას, — იქ ჩვენი მშვენიერად გაეტარებოდა ყოველ ზაფხულს ისე, რომ მასპინძლებს არ შეგავიწროებთო. რაღა უქირს არიადნას! ყოველ ზაფხულს თვენახევარი ან ორი თვე უნდა მოსწყდეს ყველაფერს და გადაიქარგოს სადღაც მიყრუებულ, ღვთისა და კაცისაგან მივიწყებულ მუხათში (ასეთად ეჩვენებოდა მას მუდამ ქმრის მშობლიური სოფელი). ავალიანების ნაცნობ-მეგობრები კი ამ დროს სოჭაში — და კისლოვოდსკში, რიგის სანაპიროზე მიემგზავრებიან, — აკადემიკოს კორინთელის მეუღლე ელი-

კო კარლოვი ვარშიც კი ვაბრძანდი „საქმიანობა“, თუმცა თავის დღემდე ფრჩხილიც არ წამოსტყენია. *შეზღოვნი*

ვერაფერით ვერ გააგებინებ მირიანს, რომ მუხათის სახლი არაფრად გამოადგებათ. აბა ვის მიიწვევ მუხათში! სულ სხვაა საპატრიო სტუმრის, საჭირო აღამიანის მიწვევა საკუთარ აგარაკზე წყნეთში, კიკეთში ან ბორჯომში. და ვინლა დარჩა ჩვენი ახლო ნაცნობ-მეგობრებიდან, რომლებსაც საკუთარი აგარაკი არ აეშენებინოს. რატომ უნდა ვიყოთ მუდამ სხვისაგან დავალებული. ჩვენ რომ ჩავდივართ მოსკოვში, ხომ ესარგებლობთ ჩვენი მეგობრების სტუმართმოყვარეობით, ზოგჯერ მთელი კვირისაგან ვცხოვრობთ იმითან აგარაკზე. თითქოს ჭკვიანი კაცია და ასეთი უბრალო რამეების გაგება ვერ მოუხერხებია, ნუთუ არ ესმის, რომ ჩვენი მდგომარეობა ბევრ რამეს გავალბებს, რამდენი ედავა მაშინ არიადნა ქმარს. აბა ბრძანოს, სად უნდა მივილოთ უცხო სტუმრები ზაფხულში. ახლა ხომ არც ერთი სესია არ ჩატარდება უიმისოდ, სხვადასხვა ქალაქიდან და რესპუბლიკიდან ჩამოსული მეცნიერი მუშაკები არ დაესწრონ. რა უნდა ქნან, ზაფხულობით თბილისის ბულში ამოახრჩონ სტუმრები თუ სხვებს გადაულოცონ? განა არ ახსოვს მირიანს, შარშან სესიის დამთავრების შემდეგ რა მეგჯლისი გამართეს კორინთელებმა წყნეთში. ბევრი ასეთი სარწმუნო საბუთი წამოუყენა ქმარს არიადნამ, მაგრამ თავისი ნათქვამიდან ვერ გადაახვევინა. მირიანი თავისას გაიძახოდა, ძალიან მიყვარს ზაფხულობით ჩემს სოფელში ყოფნა, მშობლიური ეზო-გარემო სულიერად და ხორციელად ამშვიდებს და აღორძინებს აღამიანს. ბავშვებისათვისაც სოფელი ნამდვილი სამოთხეა, მათთვის დროდადრო იქ ყოფნა აუცილებელია, უნდა იცოდნენ, როგორ ცხოვრობს ხალხი და თავისი ძალ-ღონის კვალობაზე შრომშიც უნდა დაეხმარონო მათ. ბევრ რამეს კი გააკეთებენ იქ რუსიკო და ნა-

თელა ან თუნდაც გურამი, ააშენებენ ქვეყანას! — ამის მოგონებაზე არიადნამ უკმაყოფილოდ მოკემა ტუჩები.

არიადნამ მაშინ ამ სისულელეების მოსმენაც არ მოისურვა, გადაწყვიტა, ქმრისათვის დაესწრო, თავად გამოეყენებია ფული, რომელიც მირიანმა შემნახველ სალაროში შეიტანა. საქმე ის იყო, რომ არიადნას სწორედ მაშინ დაებადა იდეა, რომელსაც ის ჯერჯერობით საიდუმლოდ ინახავდა. მან განიზრახა მირიანისთვის მოულოდნელი საჩუქარი მიერთმია. არიადნამ, რომელსაც საქათო ციებ-ცხელება დაეუფლა, წყნეთში საავარაკე ნაკვეთის აღება მოახერხა ისე, რომ ქმრისათვის არაფერი გაუმხელია. მაგრამ დახეთ უბედურებას, — როცა არიადნა შემნახველ სალაროს წიგნაკთან მიიჭრა, იქ მხოლოდ ჩვეულებრივი „სამძველო“ ნაშთი — რვა მანეთი და 25 კაპიკი ირიცხებოდა. აღმოჩნდა, რომ მირიანი არათუ აპირებდა სახლის, აშენებას, არამედ შეეძინა კიდევ მუხათში, რის გამოც გადაჭრით უარი თქვა წყნეთში ავარაკის მშენებლობაზე.

ღმერთო ჩემო, რა ამბავი დატრიალდა ამის გამო! ამის მოგონებაზე არიადნა ახლაც სიცივემ აიტანა და ხოიანი შალის საბანი ფეხებზე გადაიფარა. ბოლოს და ბოლოს ავარაკი არიადნას ხომ არ სჭირდებოდა, იგი ბავშვებსა და ყველაზე მეტად თვით მირიანზე ზრუნავდა. წყნეთს რა სჯობს, მუშაობით გადაღლილ პროფესორს შეუძლია სულ რაღაც თხუთმეტი წუთის განმავლობაში თავი დააღწიოს თბილისის სიცხე-პაპანაქებას. არიადნა მისთვის

(გაგრძელება იქნება)

ცდილობს. ის კი სულ არ ზოგავს თავის-თავს. და ესეც რომ არ ეყრდნობოდა უნდა გამოეთიშონ ისინი თავისი წიგნის ადამიანებს.

მირიანმა მაშინ თავის ჩვეულ ხერხს მიმართა, ყველაფერის ზუმრობაში გატარება მოინდომა. ის ყრ გვეყოფა, სექტემბრიდან ივნისამდე მე და ჩემი კოლეგები თავს ვაბეზრებთ ერთმანეთს, ახლა კიდევ ზაფხულშიც თვალზე ლიბრი არ გადავაცრათო. არიადნა მაინც იმედს არ კარგავდა, რომ ბოლოს და ბოლოს მოახერხებდა თავისი ქმრის სიჯიუტის დაძლევას. ის ხან ეალერსებოდა მირიანს, ხან ტიროდა, ხან იმუქრებოდა, ხან თავის ნათესავებსა და ქმრის ამხანაგებს სთხოვდა, მირიანისათვის შეეგონებინათ რაიმე, მაგრამ როცა არაფერი გამოუვიდა და მირიანმა ცივი უარი თქვა წყნეთში ავარაკის მშენებლობისათვის სახსრების გაღებაზე, არიადნას ნერვებმა ველარ გაუძლო და ავალიანების ოჯახში საშინელი ქაჩიშხალი დატრიალდა. ამან მთელი ოჯახი შეარყია, განსაკუთრებულის ძალით კი თავს დაატყდა მირიანის ძმის ქვრივს, რომელმაც რამდენიმე დღით ადრე, ვიდრე ეს ამბავი მოხდებოდა, თავისი თორმეტი წლის შვილი ჩამოიყვანა თბილისში. მირიანმა გადაწყვიტა, ძმისწული თავის ოჯახში დაეტოვებინა და თავს ედვა ზრუნვა მის აღზრდაზე.

— როგორ იფიქრე ეს, სხვისი ბავშვის აყვანა... უშვილოდ გადასულები ხომ არ ვართ! — მე მაგ მათხოვრებს ხომ არ უნდა გადავაცოლო ჩემი ცხოვრება! — იძახდა უჩვეულოდ გააფთრებული არიადნა.

ბიოგრაფიული



ის მოგონება გავასისხამე,
რადგან სიყვარულს არ აქვს საშანი...
კნინა თიკო. მისის ღამე.
მთვარე. თარი და იასამანი...
ნაღწობის ღვეთი... ციცინათელები,
ქველს აივანზე ოხვრა თარისა,
რას დაკვესავდა სხივი მთვარისა,
თუ არ სიყვარულს და განშორებას? —
— ჩემო შორენა!
— ჩემო შორენა!
ვიგონებ ღამეს შენთან გათეულს,
დიდ კაკლის ხეებს დაგუმბათებულს,
ქვიშხეთის ღამეს, რძედაღვრილ ღამეს...

განა იმ ღამეს სიტყვები ზღამენ?
ან და სიყვარულს სად აქვს საშანი?
დიდო ნიგვზებო! ჩემი საღამო!
ვარ ავადმყოფი აბესალოში!
ის ეთერ — ქალი!
მისის ღამე...

მთვარე. თარი და იასამანი...
მე იმ აივნის ნელმა ნიავმა
თითქოს გამკოცნა... გაუჩინარდა,
როგორც აჩრდილი გზაზე, ჩინართან...
ეს ლექსიც, ოხვრაც, ისევ ძველია,
ეპ, აჩრდილივით მიმბაძველია..



სულ პირველი ენძელა,
მაშ, არ გაგხარებია?
იზმის ნაწილ ფოთოლში.
არსად დაგლაგებია?
გადაწმენდილ მთვარეში,
ღიმილით თვალბში,
მაშ არ ჩაიხივდია?

მაშ, იმ დიდ სიყვარულში
წილი არა გდებია?
შუქი არ შეგინიშნავს:
— აი, ჩემი ბედია!
უამისოდ სიცოცხლე,
მართლაც ნათავხედია!

დავით სალიაშვილი



გუბნართალი*

ქუთაისის ციხეში რომ მიმიყვანეს, — ჩემ სიხარულს არ ჰქონდა დასასრული. ამხანაგებს შევხვდი. დაქერის ამბავს მოვეყვი.

დაიწყო ციხის შეხუთული ცხოვრება. ყოველ დღე მოსაუდლო დაპირებები. შალე ციხეში მოიყვანეს კოტე ცინცაძე, კამოს დიდი მეგობარი და ცოლის ძმა, მებრძოლი რაზმის ჯგუფის წევრი. შეხვედრისთანავე კამოს ამბავი ვკითხე.

— კამო? კამო, აი, ასე! — მარჯვენა ხელის ცერი ააყიარა. — რა ბეცია, იცი? — გამბედავი, გულოვანი, ჩვენი ჯგუფის სულის ჩამდგმელია. რა საქმეც ვინდა დაეაღწე — ყველაფერს შესარულებს. კოჭი მუდამ აღწეს უჯდება. მართალია, ცოტა ანკობს, მაგრამ ეს საქმეს ხელს არ უშლის...

— გავიგე, პეტერბურგში იყო, მართალია?

— კი! მართალია! პეტერბურგიდან დაბრუნებული, ზესტაფონიდან გატაცებული ფულით, საზღვარგარეთ წაიღია იარაღის ჩამოსატანად. მაგრამ იარაღი დაიღუპა. კამო გადარჩა.

— როგორ? გეში დაიღუპა?

— იარაღით დატვირთულ გემ „ზარას“ გამოგზავრება მეტად უღელური გამოდგა. გამოსვლისთანავე ზღვაზე ამოვარდა ძლიერი ქარიშხალი. გემს ნაფოტივით ისროდა თერმე აქეთ-იქით. პოლას ველარ ვაუქლო ტალღების ცემას. საშინელი ხმაურით შევარდა წყალი სამანქანო განყოფილებაში. „ზარა“ აძლიერდა საგანგაშო ნიშნებს. მაგრამ არსაიდან არაფეთარი დახმარება არ იყო. მხოლოდ უკანასკნელ წუთებში მიეშველნენ მეთევზეთა ნაეები. ხალხი გამოიფანეს. გემი კი ჩაიძირა.

— მერე?

— „გემი დაგვეღუპა, იარაღიც! მაგრამ მოვადრო, როცა ჩვენი იქნება ყველა გემი და იარაღიო!“ — გულს არ იტებს კამო. ამის შემდეგ კამო რემინეთის პოლიციას დაუპატიმრებია, მხოლოდ დიდი ვიავგლახით გაუნთავისუფლებიათ და წამოსულა რუსეთში. ბედი წყალობს. კიდევ გადურჩა სიკვდილს...

— მერე, მერე? — ჩავეკითხე დაინტერესებულად.

— შემდეგ ზომ ისევ პეტერბურგში ამოყო

თავი. უნდა გენახა, როგორ აღფრთოვანებული დაბრუნდა იქიდან — „რა ბეცები არიან, იცი? ვენაცალე! ისეთი გულწრფელები, ისეთი სანდომიანები... და მერე როგორ უყვარათ საქართველო... ნამდვილი ბოლშევიკები, აი ისინი არიან. ლენინს ზომ დიდ პატივს სცემენ. ყველა მის შუბსა ფიცვულებს.“ ერთი სიტყვით, ზომ იცი მისი ამბავი! იქიდან უმბარები ჩამოიტანა, აი, ნახე რა ამბავი დატრიალდება ხვალ ქუთაისში...

— რა?

— რა და, ხვალ პუშკინის ქუჩაზე — დაბალი ხმით თქვა კოტემ, — მისი ყუმბარა დაიქუხება.

— ტერორისტული აქტი? უნდა მოკლან ვინმე?

— არა! ექსი!

— კამოც იქ იქნება?

— ყველა ჩვენი ბიჭები! მეც იქ უნდა ვყოფილიყავი, მაგრამ, ზომ ხედავ! — გაიღიმა კოტემ.

მეორე დღეს, ჩვენი სეირნობის საათზე, ციხის ეზოში რომ დაველიოდით, ყურებ გაღვრული ველოდით ყუმბარის ვრიას. ავტო შესრულდა პირველის ნახევარი და... ერთი, ორი, მესამე... ყუმბარის ხმა შეიზანხარა გარემო.

— მეტი აღარ! ასეც უნდა ყოფილიყო! — თქვა კოტემ.

— როდის როდის გავიგებთ, რით დამთავრდა? — ვეკითხები.

— შეიძლება დღესვე, თუ არა და ხვალ მაინც!

მეორე დღეს გავიგეთ, — ექსპროპრიაცია მოხდა ქალთა კომისიის ახლო, სადაც ოთხი ქუჩა იყრებოდა. კამო დასეირნობდა ქუჩაში, გიმნაზიისა და ზიდის შუა, რათა ფოსტის გამოჩენისთანავე ნიშანი მიეცა ამხანაგებისათვის. გამოჩნდა ფოსტა. ესროლეს ყუმბარა. მოკვდა მეტრე და ცხენი. მცველები დაფრთხნენ. ერთმა დამცვეთაგანმა დასტაცა ხელი ფულიან ყუბს და ნაავლო ეტლში, რომელშიც ამხანაგი იჯდა. ფული გაიტაცეს — სულ თქმესმეტი ათასი მანეთი, რომელიც ერთი თვის შემდეგ გააგზავნა ბოლშევიკურ ცენტრში.

* გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 7, 9.

• •

ამის შემდეგ აგრეთვე დაისახა უფრო რთული და სახიფათო ოპერაციების ჩატარება. ეს იყო ერევნის მოედნიდან ორასი ათასი მანეთის გატაცება. აქაც კამო იყო საქმის ორგანიზაციის მონაწილე.

უთვლ რთულ საქმეს კამო უბრალოდ და მასთან გახედულად ჰქედებდა ხელს. მის სიპაბუყე არ ჰქონდა დასრულებული, ამიტომ გულადი და შეუპოვარი, საქმეს გატაცებით მისდევდა. უყვარდა, როცა ძნელად შესასრულებელ საქმეს დაივალებდნენ.

ამ ეპიოდ საქმით იყო ფინეთში წასვლა ურემბარგების ჩამოსატანად. ამისათვის მაღალხარისხიანი მოხელის ან რომელიმე არისტოკრატის პასპორტი და შესაფერი ტანისამოსი იყო საჭირო.

პასპორტისა და ტანისამოსისათვის მამართეს კოტი დლიანს — მაშინდელი ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს. ის შეყოყმანდა. დიდ ხანს პასუხი ვერ გასცა, — ორ წყალშუა იდგა, ან მათი წყრობა უნდა მიეღო, ან მთავრობისა. მთავრობასთან უფრო მოახერხებდა რაიმე დამაჯერებელი საბუთის მონახვას, ვიდრე აგრეთთან, ამიტომ დათანხმდა.

კამო გამოეწყო პაკონენთან ჩოხა-ახალცხში. რასაკვირველია, მოუხდა. ხშირად თავს გვერდზე გადახრიდა. თავის პაკონებს დახედავდა. გაემგზავრა პირველი კლასის ვაკონით. ჩავიდა ფინეთში. მალე შეიძინა იარაღი, ტყვია-წამალი და ჩამოიტანა თბილისში.

ჩამოვიდა თუ არა მაშინვე მოაწყო ლაბორატორია ავქალში. დაიბრავა სოლოლაკში ბინა, სადაც ვადმოქონდა ლაბორატორიაში დამზადებული იარაღი და ურემბარგები. კამოს ახალისებდა ტანისამოსის ცვლა, პოლიციელებს მოტყუება, ძნელი, სახიფათო საქმის გაკეთება. ყველაფერ ამას აკეთებდა უბრალოდ, გულუბრყვილობით, ერთუზიანობით. მის გონებაში არეული იყო რეალური და ფანტასტიკური. იმას, რასაც აკეთებდა, უსათუოდ გაახევედა ოცნების ფარდებში. მაშინ, როცა მისი ამხანაგები ნერვიულობდნენ, შფოთავდნენ და მკმუნვარე სახით დიარებოდნენ — კამო მოღიპარი, მზიარული, ბრწყინვალე თავლებით უმზერდა ცხოვრებას. დარწმუნებული იყო, რომ რევოლუციური მუშაობა და ბრძოლა მომავლისათვის და მის კეთილდღეობისათვის წარმოადგენს ადამიანის ერთადერთ დანიშნულებას.

როცა კამომ პეტრობურგი და ფინეთი მოიარა და აქიდან მასალები ჩამოიტანა — ამ დროს აგრეთვე უკვე მომზადებული ჰქონდა ერევნის მოედნიდან ფულის გატაცების ორგანიზაცია. შესწავლილი ჰქონდათ, საიდან და რა დროს გამოქვინდათ ფული. განაწილებული

და მიანეული იყო თვითფულისათვის ადგილი, სადაც უნდა მდგარიყო და რა უნდა შეესრულებინა თავდასხმის დროს.

ლორის მელნიქოვის (ახლა კეცხოველის) კონიანი წამოსულ ვეტლს, რომელსაც გაიღერებელი ბადრავი მოუყვებოდა — თან მოსდევდა ეტლი ფულიანი ტომარით და ქანდაკებით. შემდეგ კიდევ კახაკები. მათ ერევნის მოედანი უნდა გაველოთ და შეეხეიათ სოლოლაკის ქუჩაზე.

ამ ხანად ოფიცის ტანისამოსში გამოწყობილი კამო, ველიამინოვის ქუჩაზე დასიერნობდა, იქვე ეტლი უცდიდა. მას უნდა წავლოფული. ვიღაც ურემბარგების ფაქა-ფუთქი ატყუებოდა, იგი ტროტუარზე დადიოდა, შენერებულეს აფრთხილებდა — ნუ ქუჩადებოდნენ, თავიანთ ბინებში წასულიყვენ.

თავდასხმის მოლოდინში კამო ღელავდა. მაგრამ გამახვილებული გონება ფხიზლობდა. ხშირად იხედებოდა აქითყენ, საიდანაც ფული უნდა გამოეტარებინათ.

ერევნის მოედნის ცხოვრება ჩვეულებრივ მიმდინარეობდა. ხალხი ფუსფუსებდა, კონყების ზარების წყარუნი სიერცქში იჭებოდა, ეტლები ქვაფენილზე დგრილით მირბოდნენ, ძახილი და ყრუ ხმავრი მტკრიან ჰაერში ღლილილობდა. დინჯად, აუნჭარებლად მიდიოდა დრო, კამოსაც უძნელდებოდა ლოდინი. გვერდზე ჩამოკიდებული ხმალი ფეხებში ებლანდებოდა. ხშირად აწევდა თასმას, რომ ხმალი გაესწორებინა. უცდიდა ნიშანს. გამალებით ეწყოდა პაპიროსს. თვითფული წუთი უსასრულოდ გრძელდებოდა. ავი თუ შარბურტი შესცვალეს? იქნებ დღეს აღარ გადაეჭრათ ფული — იქნებ სხვა დღისათვის გადადეს?.. და როცა პირველი წყება კახაკებისა სოლოლაკის ქუჩას გაესწორდა — მაშინლა ამოისუნთქა თავისფულად. გულმა გამალებით იწყო ცემა. ის იყო ჩაჯდა ეტლში, რომ იგრიალეს კიდევ ურემბარგება.

ატყდა აურზაური, სარბილი, დარაბების კეტვა. თითქმის ერთ წუთში დაცარიელდა მოედანი. მირბიან ეტლში შებმული ცხენები. კორიანტელში ხეხევა ეტლი. აგერ დაპრილი ცხენი დაეცემა. მორბის ხმალიმოღებული კახაკი. ზანზარებს მოედანი. ურემბარგების ბათ-გაბუტქი არ ნელდება. კამო ეტლის საფეხებზე დგას. თვალბით გუფართობია ზედავს, როგორ მიჰქრიან დამფრთხალი, ფფარაყრილი ცხენები. ამ ეტლშია ფული. კამო ზედავს ამას. უძახის, უყვირის გახნეულ ამხანაგებს. აგერ კიდევ მოვარდა ერთი მოთვანი. იევადა ურემბარამ. ეტლი აფუთქდა. მაგრამ მსროლელი პავრის ტალღამ ძირს დასცა. ამ დროს მეორე ამხანაგი მივარდება, ფულიან ტომარას კამოს ეტლში შეუდგებს. კამო უხეზლად გადის მოედნიდან. ეტლი მიჰქრის. ც-



რეალდება მოედანი, დამცემებიც ხალხში აი-
რყეიან, მოედანს შორდებიან.

როცა კონსპირატულ ბინაზე შეიკრებნენ,
აღმონდა რომ ის ამხანაგე, რომელმაც ეტლი
ააფეთქა, არ მოსულყო. კამო, რომელმაც ფუ-
ლი დანიშნულ ალაგას დაბინავა და ის იყო
შემოვიდა ოთახში, ამხანაგის დაღუპვა რომ
გაიგო იყვირა: „ეი, ჩვენი ბრალი ეს როგორ
დაგვემართა!.. რათ გვინდოდა ფული, თუ საუ-
კეთესო ამხანაგი დაგვეღუპებოდა. რაღა ვქნათ!
რა გვემგლებს!..“

მიუხედავად იმისა, რომ ექსპრობრაციის
მარჯველ ჩატარდა, გლოვამ მოიკცა ამხანა-
გები.

უბედ კარი გაიღო და ოთახში შემოვიდა
ის, ვისაც ელოდნენ. ყველა სიხარულმა მოი-
ცვა მიცივდნენ. კონიდნენ. სული მოით-
ქვეს. მზინიანი თვლებით ერთმანეთს შეხე-
დეს. მოსული ყვებოდა თავის ამბავს, — რო-
გორც კი ვარს მოსულა, წამომდგარა. ნელი
ნაბიჯით გასულა ტროტუარზე. შეუმჩნევლად
გარეულა ცნობისმოყვარე ხალხში. მერე ფი-
ტონში ჩამჯდარა და... ავტო ბლა ზომ აქ არის
მათთა...
* * *

დაუცბრომელი რევოლუციონერი, დღე-მე-
დამ რევოლუციის გამარჯვებაზე რომ ფიქ-
რობდა, უცილობლად გულწრფელი მუშაკი
ყო. „თუ ამისთვის საჭიროა თავგანწირვა,
მზად ვარ, ტანსაცმლის ქვეშ ჯოჯობათის
მანქანა ვაიყურო, როგორც მინისტრი ვინა-
ხელა მთავალ თუ არა, აფეთქდები. დავლუ-
პე მასაც, შეც დაეიღუპები.“ — დამაჯერებ-
ლად უთქვამს ჩემთვის კამოს.

თუ რევოლუციისათვის საჭირო იქნებოდა
მისი სიცოცხლის შენარჩუნება, პოლიციელე-
ბისაგან თავის დაღწევა, — გამაბეზლებოდა
კამოს გონება და გამოსასვლელ გზას ახოვნი-
და. გამარჯვებდა. სიცოცხლეს დაიცავდა.

მას არ უყვარდა ლეგალურად მომუშავე
თორეტიკოსები, რომლებიც კაბინეტში ჩამს-
ბარბყენ და ეურნალ-გაზეთებში თანამშრომ-
ლობდნენ. „ვე დღინძიდები“ — იტყოდა ხოლ-
მე ხშირად ცხვირში დუღუნით — „სხედან
კაბინეტებში და ისე ჰგონიათ საქმე თავისთ
კეთდება. ეგენი შეიღოსა, სახელისათვის მუ-
შაობენ; საზოგადოებად გაიცნოს, მათზე ილა-
პარაკონ.“ დამწერენ წერილსა, მოაწერენ თი-
ვიანთ ვეჯისა და ატყულებს მეორე დღეს ვინა-
ში: — „წაიკითხე ესა და ეს წერილიო?“ —
იმთავც ეს უნდათ, ჩვენ კაცსა კი, აბა თუ
ვინმე იცნობს, გარდა მუშების ვიწრო წრისა...
კამო იყო არა პუბლიცისტი, ეურნალისტი,
ლიტერატორი, რომელთა სახელი ვრცელდება
ლეგალური მუშაობით: მაგრამ მას თავისი

პროფესიულ რევოლუციური მუშაობა ნაყო-
ფიერ სიმალლეზე აყვავდა. **პარტინენული**

ჩემი, შეუმჩნეველი იატყვემეშვენი მუშაკი,
ფუტკარივით აგროვებდა იმ სიტყვის, იმ ძი-
ლას, რომელიც შემდეგში დაეხმარებოდა პრო-
ლეტარიატს თავისი იდეების განხორციელება-
ში. მან იქნებ არც კი იცოდა, რა დიდ საქმეს
ემსახურებოდა! არ გრძნობდა, როგორ ნაყოფს
გამოიღებდა მისი მუშაობა.

მუდამ ხალხისანი, მუდამ მოღიბირი, თაფ-
ლისფერ თვალება, თავისი გატაცებით შენც
გამხნევებდა. სამუშაოზე მიგზიზიდავდა.

მიუყვება მის პროპაგანდისტო წრეში, აწყო-
ბდა დემონსტრაციის, თუ აგროვებდა იარაღს
მომავალი ბრძოლებისათვის — ის ვრთინირი
ხალხითა და გატაცებით ემსახურებოდა პარ-
ტიას.

მიდიოდა, მიიმღეროდა. გულში იმედი უღ-
ვიყოდა. გამარჯვებაში დარწმუნებულს, სახე
უარწყინავდა, თვალები ცისყრის სიღებზეით
ენთებოდა.
* * *

ერევისს მოედნიდან ფულის გატაცების
შემდეგ, კამოს ჯგუფმა სექტემბერში, მოაწყო
ქუთაისის ციხიდან ოქლათით პოლიტიკური
ტუსალის გაქცევა ზვრელის საშუალებით. ამ
მზნით თბლისიდან ქუთაისში კამო ჩავიდა,
თან ჩაიყვანა მარო ბოქორიძე — მიხა ბოქო-
რიძის და. ციხის პირდაპირ, ქუჩის პირად
დაიჭირავეს ერთსართულიანი სახლი მატარ-
ეზოთი. მიხაზე მარომ გამართო ვითომდა ქალის
წინდების საქსოვი სკოლა, აიყვანა ორიოდ
მომწაფე, ეზოში გააბა თოკი და ზედ წინდები
ჩამოყიდა. ჩვენ, ტუსალები, — ციხის ფანჯრის
მეორე სართულიდან დაეცქვროდით ამ გამო-
ფენას და ვიცოდით, რომ ამ დროს საბლს
სარდაფიდა, ქუჩის ძირში ამხანაგებს გაყუ-
ვდათ ზვრელი, რომელიც ქვედა სართლის
ერთ-ერთ საყვანში უნდა გამოსულიყო.

კამომ სამუშაოზე დატოვა ქუთაისელი ამხა-
ნაგები: გადსახლებიდან გამოქვეული კორე
ცინკაძე, ბუტუა ქუბრაშვილი, ვანო კალანდ-
ძე. კიათურიდან ჩამოიყვანა ერთი ამხანაგი —
მტრეიგერი, რომელიც გვირახის გაყვანის წე-
სებს კარგად ფლობდა, მოამარაგა რითაც სა-
ჭირო იყო და თვითონ თბლისში გაბრუნდა.

ზვრელი იყვებოდა საბლის სარდაფიდან,
სარდაფში კი ოთახიდან ჩადიოდნენ, რისთვისაც
იატკის აიკულეს ორი ფიცარი. ერთი
ამხანაგე ჩამერებოდა ზვრელში. თხრიდა მიწის
და იქვე ყუთში ყრიდა. ყუთს თოკი ჰჭირდა
მომშული, გაიესებოდა თუ არა, ზედიზე მდგა-
რი ამხანაგი გამოსწვედა თოკს და გამოქპონ-
და მიწით სავსე ყუთი, რასაც იქვე სარდლის
კუთხეში ჰყრიდა. ზვრელის ბოლოში რომ



გვიდნენ, (ერთი თვე მოუდნენ ნუშობას) პაერი აღარ ეყოთ, ამიტომ დადგეს საბერავი მანქანა და მილის საშუალებით პაერს აწვდიდნენ მომშენავს. ზერელის სიგრძე თორმეტ მეტრზე მეტი იყო, ხოლო იმდენად ვიწრო, რომ შიგ მომშენავი მხოლოდ იდაყვებზე და მუხლებზე დაიოქილი იმართებოდა.

უსათუოდ დიდი საყვარული და თავდადება ამოძრავებდა ამხანაგებს ამ საქმისადმი. ზერელი ქუჩას ქვეშ გაყვებოდა. გაღვანსა და ციხის საბირკელის ქვეშ გაძვრებოდა. მერე შიგ საკანში ამოვიდოდა.

* * *

ზერელის გაყვანა თითქმის მთავრდებოდა, როცა სახლის პატრონი მოვიდა. მან მოითხოვა სარდაფის გასაღები.

— რად გინდა გასაღები, ან რა საქმე გაქვთ სარდაფში? — შეეკითხა ფერწასული მარო. მინდა ვნახო!

— გასაღები ჩემს ქმარს აქვს წაღებულნი — იტრა მარომ.

— მაშ, ქურტუხიდან მაინც შეეხებდა!

— არ შეიძლება! — გზაზე გადაუღდა დიასახლისი. — მყისვე მხებდა მარო, რამოც იყო საქმე. აღარ იცოდა, რა გზას დასდგომოდა. უცბად მოისახრა:

— მობრძანდით შინ ჩემი ქმარიც აქ არის! მას მოუღაპარაკეთ! — შეიპატრვა ოთახში, თვითონ მუორე ოთახში გაეარდა. ზერელში მომშენავი ამხანაგები ამოიყვანა.

— სახლის პატრონი მოვიდა, სარდაფის ნახვა უნდა. როგორ მოვიკეთ? — მიმართა მარომ.

— მოიცი! რა გაღვლეებს? როგორც ჩანს, გუგია. — თქვა კოტემ — რაღაც უნდა მოვიფიქროთ.

— იცით, რა გქნათ? — დაიწყო ბაქუა კუბრაშვილმა.

— რა? — ჩაეკითხა შემფთხებული მარო.

— აი, რა! მოდი, ვიდრე ზერელს დავამთავრებთ, აქ დავაშუქვდიოთ!

— როგორ?

— ანდა ჩავიყვანოთ ზერელში, მაგასაც ვათხრევიოთ!

— მერე?

თუ წინააღმდეგობას გაეცინეს, შევკრათ! სარდაფში დავაგდოთ, — დაუმატა ბაქუამ, — სამუშაოს რომ მოგჩვენებთ, ჩვენთან ერთად გავიყვანოთ! საღაც თაგისი დაიკვებოს, იმაც ჩვენი თქვას!

— მოიცი! ჯერ მოველაპარაკოთ, გეაგოთ, რამოც საქმე — არ დავთანხმე კოტე.

სამიყვანი დაუბატოებელ სტუმართან გვიღწენ.

როცა სახლის პატრონმა მიწით მოთხუბნული მდგმურები დაინახა, გაფითრდა. უცბად

ფიხზე წამოღდა.

— აი, სად ვიღებებოდი თურმე მართალი ვოფილა! შე კიდევ არ მჯეროდა!

— დილ, ბატონო ფანცხავა, მართალი უთქვამს! ჩვენ თქვენი სარდაფიდან ზერელი გაგვყავს, პოლიტიკური ტუსაღები უნდა გვათავისუფლოთ! თქვენ ამის წინააღმდეგი ხართ? — უთხრეს მას.

— დაბრძანდით, ბატონო! — მიმართა მარომ. ყველანი ჩამოსხდნენ.

— მაგის წინააღმდეგი როგორ ვიქნები, მაგრამ, შე რომ ვიღებებოდი!

— რატომ?

— სახლს ჩამომართმევენ! ცილს დამწამებენ, რომ მეც ვიღებდი ამაში მონაწილეობას.

— ამდენი ტუსაღი რომ გვათავისუფლოთ, ეს არა სჯობია თქვენს სახლს! თქვენ ხომ შეგნებელი ჭართელი ინტელიგენტი ხართ!...

— კი მაგრამ...

— მაგრამ, თქვენ გინდათ გუბერნატორს განუცხადოთ, — საბუღალსო დამსახურებთ და სახლსაც ვადაარჩენო?

— არა, მაგრამ...

— ათფერი მაგრამ! თქვენ დატყვევებული ხართ! — ფიცხლავ განაცხადეს ამხანაგებმა და ფიხზე წამოღდნენ.

— როგორ! რას მიშვრებით? ეგ ხომ უარესია! მაშინ ხომ მთლად დავიღუპე! — იძახდა გაფითრებული ფანცხავა.

დიდნანს სიხუმრე ჩამოვიარდა. ყველანი ფიხზე იდგნენ.

— მაშ, რა გქნათ? დავგანებებთ თავს?

— რაც გინდათ, ის ქენით, მხოლოდ შე ვამიშვით! წავალ!

— არა, ბატონო! ახლა აქედან თქვენი წასვლა შეუძლებელია! ვერსად წახვალთ!

— რა გქნა, თქვენ ტუსაღებს ათავისუფლებთ, მე კი მატუსაღებთ? ეს როგორ შეიძლება!

— დროებით, ბატონო!

— მერე?

თქვენც გავათავისუფლებთ, განათავისუფლებულ ამხანაგებთან ერთად!

— შე რაღა უნდა გქნა? თქვენ საღაც გადაცვივდებით, გადაიკარგებით, შე კი რა დამემართება! შეიბრალოთ ჩემი ცოლ-შვილი, შეიციოდეთ! იმათ რა ღამეა?

— მაშ, იცით, რა? — მოისახრა ბაქუა კუბრაშვილმა. — თქვენ ხომ ზღანვეითან მსახურებთ.

— დილ, ბატონო! — ღმობიერად, თითქმის საბარულოთ თქვა „ტუსაღმა“.

— წავიღეთ მასთან, იმან გადასწყვეტოს ეს საკითხი.

— კი, ბატონო, წავიღეთ! — აღტაცებით თქვა ფანცხავამ.

ჩამდენიმე წუთის შემდეგ ორივე ზღანვეი-

თან მივიდა, ის თავის კაბინეტში საწერ მაგი-
დასთან იჯდა. სტუმრებს შეხედა. ჩარივეს ხე-
ლი ჩამოართვა. მიიპატივა. საქმის ვითარებას
გაეცნო.

— ბატონო ფანცხავა, თქვენ რა გაწუხებთ? —
შეეკითხა ზღანვეიანი.

— სახლს დამწევავენ ან ჩამომართმევენ,
დავალაშუბნი.

— რატომ? თქვენ ხომ სახლი ამთ მიაქირა-
ვეთ! იქ აღარ ცხოვრობთ? თქვენ სრულიად
არ გვეალეებით, გაჭირავებული სახლი ათე-
ლიერათ!

— არა, მაგრამ...

— ჰოდა, ხელს რატომ უშლით?

— არა, მაგრამ...

— მაგრამ რა? თქვენ იქნებ რამე სანაზღა-
ურო გინდათ მიიღოთ?

ფანცხავა დუმდა.

— რა ღირს თქვენი სახლი?

— არ ვიცი, ბატონო, თქვენ თითონ გან-
საზღვრეთ.

— ექვსი ათასზე მეტად ხომ არ შეფასდე-
ბა? — ზღანვეიანი საწერის მაგიდას უჯრიდან
ამოიღო რაღაც ქაღალდი, დაწერა, გააშრო და
ფანცხავას მიაწოდა.

— აი, მიიღე ჩემგან თამასქვი. თუ სახლს
რამე დავმართებ, ისარგებლეთ ამ თამასქვით,
თუ არა და დაიმბრუნეთ.

— კი ბატონო!

— ამხანაგო! ვისურვებთ მხნეობას, თქვენი
საქმის გამარჯვებით დავიერგვიწებას — გა-
მოეთხოვა ზღანვეიანი კუპრაშვილს.

ფანცხავა კი ზღანვეითან დარჩა.

ერთი კვირის შემდეგ ზურგი დაამთავრეს.
ამ ზურგლით ციხიდან ოცდაათი ტუსალი გამო-
ვიდა. ოცდაათ განთავისუფლებულ ამხანაგთა-
გან ამჟამად ცოცხლები არიან: ლეო ქიჩე-
ლი და ამ სტრქონების დამწერა.



ციხიდან გამოქცევის შემდეგ თბილისში
შეხვედი კამოს. ალექსანდრეს ბაღის დაღმარ-
თზე შემეფეთა. ჯერ ვერ ვიციანი. — ნაყრის-
ფერ ახალ კოსტუმში გამოწყობილი, ცისფერ
ზოლებიანი პალსტუხით, გამაბებულ ზედა პე-
რანზე თეთრი საყელოთი და მანქეტებით გა-
მწყობილი სათათბიროს დეპუტატი გეგონე-
ბოდათ. მე თუმცა ლურჯი სათვალეები მეყე-
თა, უღვაწევიც შეკრებილი მჭონდა და ეკო-
ლობდი კიდევ, კამომ მაინც მიცნო, ზელი
მომკიდა, ბაღის ხიდანვეში წაიყვანა და მით-
ხრა:

— აბა, მომიყევი გამოქცევის ამბავი ვიცო-
დი, რომ იქ ჩამოხვედი, მაგრამ ვესთან უნდა
მეძებნე! ბიჭო, ხომ იცი დიდხანს იქ დარჩენა
არ ივარჯებს! ამბობენ, ჭუთაისის ციხის გადაც-

მული ზედამხედველები არიან ჩამოსულინი.
— რა თქმა უნდა, აქ არ გაეჩერდები! ყოველ-
დღე ღამის გასათევ ბინას ვეძებ. ხომ იცი,
ერთ ღამეს თუ გამთვინვებს უნდა, შეორქედ
იმასთან ველარ მივდივარ! ძნელი ყოფილა არა-
ლგვალერად ცხოვრებას..

— მაშ რა გეგონა? მე სულ მაგ დღეში არა
ვარ? მე კიდევ ჩემი დაბალი ტანი მიწყობს
ხელს, ყველას ტანსამოსი მარგია, უღვაწებს
გაეიპარსავ, გომწაზივლის ფორმასი გამოეყე-
ყობი და მოსწავლე ვარ, უღვაწს გავიზრდი,
ჩოჩა-ახალუხით დავიმშვენებ გულმჭერდს და
ვარ ნამდვილი კნიაზი. პა? ახლა კი ცოტა მეწ-
ქარება, იქნებ ვეღარც შეგხვდე.

— რატომ აღარ შემხვდები? რა მოხდა? მი-
ღიხარ სადმე?

— საზღვარგარეთ! პარტია მგზავნის. ერევე-
ნის მოედნიდან გატაცებული ფულით იარა-
ღი, ახაფეთქებული მასალა და სხვა საჭურველი
უნდა შევიძინოთ.

— ამიტომაც ხარ ვეროპულ ტანისამოსში
გამოწყობილი?

— მაშ!

— რა ბედნიერი ხარ, კამო! როდის მიღიხარ?

— ამ ორ-სამ დღეში შენი გამოქცევის ამ-
ბავს რატომ არ მოყვები?

მოკლედ მოვეუყვი, როგორი წარმატებით
დამთავრდა ზურგი და ჩვენდა მოულოდნელად
ათი ტუსალისათვის დანიშნულმა ზურგლმა ოც-
დაათი ტუსალი გაათავისუფლა.

— ახლა რას ამბობ? — მკითხა კამომ.

— არ ვიცი, ნეტავი შენსავით მეც
საზღვარგარეთ მივდიოდე! მხოლოდ იქ ამოვი-
სუნთქავდი თავისუფლად, აქ კი რა შემე-
ლება.

— არა გიბირს! იქნებ როგორმე მოახერხო
წამოსვლა. იქ შეგხვდეთ ერთმანეთს.

რამდენიმე თვის შემდეგ მეც წავედი საზ-
ღვარგარეთ ემიგრაციაში. კამოს აღარ შეხვე-
დრივარ. ვიცოდი კი ყოველი მისი ნახატი.



რუსეთში გამეფებულმა რეჟიმამ დასავლეთ
ევროპაშიც გამოიწვია რეჟიცია. პრუსიის მთავ-
რობა სასტიკად დევნიდა ყოველ რევოლუცი-
ურ გამოსვლას. თუმცა კონსტიტუციის ძალით
მას არ შეეძლო რუსეთის ემიგრანტების და-
ტუსალება, დევნა და მათი რუსეთში გადაგზა-
ვნა, მაგრამ სხვა გზით და მოხერხებით არ
ინდობდა მათ. შემწინეულ რუს ემიგრანტს პრუ-
სიის ყანდარმები აკავებდნენ, მატარებელში
ჩასვამდნენ, რუსეთის საზღვარზე მიიყვანდნენ.
შემდეგ კი, რაც მას მოელოდა, პრუსიის ზელის-
უფლებამ კარგად იცოდა.

ერევნის მოედნიდან გატაცებულ ფულში
ხუთას მანეთთანებიც ერია, რამელთა ნომრები



თბილისის ბანკს ჩაწერილი ჰქონდა, ვინაიდან რუსეთში მათი დახურვადაც არ შეიძლებოდა, გერმანიისა და შვეიცარიის ქალაქების პარტიულ კავშირებს დავაღალა მათი გადახურვადაც. რუსეთში ვეროპაში ყველა ბანკს აცნობა მათი ნომრები, ამის გამო დახურვადაც დროს რამდენიმე ამხანაგი დაატუსაღეს. ამან მთელი ვეროპა აღაშფოთა. სოციალისტური პარტისა დაირაზნა რუსეთის მთავრობისათვის დამატებრებულია გადაცემის წინააღმდეგ. თბილისში მომხდარ ექსპროპრიაციას რევოლუციურ აქტად მიიჩნეოდნენ და არა პირადი ინტერესებისათვის ჩადენილ დანაშაულად.

სახლმწარგარეთის ბოლშევიკებმა ცენტრმა ყოველგვარი ზომები მიიღო და დატუსაღებულ ამხანაგებს გაათავისუფლებინა. ამავე ცენტრმა დიდი ბრძოლა გასწია მენშევიკების წინააღმდეგ, რომელნიც ზელს უშლიდნენ ფულის რეალიზაციას.

ფულის გადაცემას ძალიან შეუშალა ზელი ც. კს აგენტმა, ეჭიშმა პროვოკატორმა ეიტომირსკიმ, რომელიც „ოტკოვის“ სახელით იმ დროს ბერლინში იმყოფებოდა.

ამხანაგ კამო მირსკის გვარით ბერლინში ცხოვრობდა ელზას ქუჩაზე. მას უკვე ჰქონდა შექმნილი საკმაო ნაწილი იმ იარაღებისა, რისთვისაც ჩავიდა ვეროპაში.

აღბათ კამოც პროვოკაციის მსხვერპლი გახდა. ცხრა ნოემბერს მიცვიდნენ მასთან ჟანდარმები. განხრეყეს, დააბატონრეს და პოლიციისა წაიყვანეს. უპოვეს ასაფეთქებელი ნივთიერების დიდი ნაწილი, — ელექტროძრავი, რომლის სამუშაოზეთ განსაზღვრულ მანძილზე შეიძლებოდა აფეთქების მოხდენა და დიდძალი იარაღგაღურა ლიტერატურა რუსულ ენაზე.

პრუსიის პოლიცია დაინტერესდა კამოს პიროვნებით. სასტიკად მოეცა პატიმარს. საზელწიფით დასატი დაბრალდა, კამოს ქვერტმა გონებამ, რომელიც ყოველთვის იქითგან იყო მომართული, რომ უკიდრეს მდგომარეობაშიც გამოსასვლელი გზა მოეძებნა, აქაც უკანანა ეთქვა, — რომ ის რუსეთის ქვეშევრდომია, რევოლუციონრს და აქ იმისთვის ჩამოვიდა, რათა შეიძინოს ასაფეთქებელი მასალები პარტიის მიზნებისათვის.

მაგრამ ასეთმა განცხადებამ კამოს ვერ უწყეღა. პოლიციამ მას უფრო სასტიკად მოჰკიდა ზელი.

რუსეთისა და გერმანიის პოლიციას შორის საიდუმლო მიმოწერამ დაადგინა კამოს ვინაობა.

მართალია, გერმანიის სოციალ-დემოკრატიამ მხურვალე მონაწილეობა მიიღო მისი განთავისუფლებისათვის, მაგრამ ამანაც ვერაეთიარი ნაყოფი ვერ გამოიღო. ბერლინში მას წაუყენეს ბრალდება, როგორც ანარქისტ-ტერორისტს.

კამომ იცოდა, რა ბედს მიაღწიდა, როლო რამდენადაც მძიმეა და ძნელი მდგომარეობიდან გამოსასვლელი გზა იმდენად შეტია თავის დაღწევის სურვილი. მის სიცოცხლეს საფრთხე ელოდა. საჭირო იყო კვლავ მთელი ნებისყოფის დამაბეა, რომ სიცოცხლე შეენარჩუნებინა კვლავ თავისუფლება ეხილა. ამაზედა შეიძობდა დედელამ ბერლინის ციხეში დამწყვედული კამო. ყველას, ვინც კი სანახავად მოვიდოდა, სთხოვდა — რჩევა მიეცათ, რა გზას დასდგომოდა.

კამო მთლად გამოიცვალა, ნერველობამ, უძიობი ღამეებმა თავისი დიდი დაანია. პარტიის დაეღუბით მის სანახავად ცახეში ლ. ბ. კრასინი მივლიდა, კამოს გამოუვალი მდგომარეობა რომ გაეგო, თავის მოგვიიანება ურჩია.

— მხოლოდ ეს გიხსნის! იქნებ მაშინ აქვე გავათავისუფლონ. რუსეთში აღარ გადაგვაგზავნიან!

დღეიხანს უმზერდა გამტერებელი კამო კრასინს. მერე ტუნებზე დიმი გამოუერთა, კბილებიც დაკრიჭა. ლაყებზე ნაოქები აინძნა. ცხენებით დაიხეხინა, გადაიხარჩარა.

— სწორედ ვერე! — შესძახა კრასინმა. — სიგეფე, სხვა არაფერი! მაგრამ შესძლებ კი!.. — შევძლებ, ამხანაგო კრასინ! შევძლებ! — სიხარულთ შევივია კამოს და ისეთი ჭიხინი მორთო, რომ გერმანელ ყარაულებს ტანში ვრუანტელმა დაუარა.

— მაგრამ მარტო ვე არ კმარა! — უთხრა ლ. ბ. კრასინმა.

მეფე კამომ შმაგი შეშლილობის სიმულაცია დაიწყო. მაგრამ ეს არა მარტო ძნელი ასატანი იყო, არამედ თითქმის შეუძლებელიც. ეს იყო თავებდური ვადამწყვეტილება, მაგრამ კამომ იცოდა თავის ნებისყოფის ძალი. ამ ვადამწყვეტილებას მაქიდა ზელი და ბოლოს მაინც მიადწია საწადელს. ერთი მიწნით, ერთი სურვილით ვატყებელი ადამიანი თავის გულის ზრახვებს უსათუოდ შეისრულებს!

კამოს დაპატიმრებამ საზღვარგარეთ მყოფ ამხანაგებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ცნობილია, რომ ლენინი დიდ გულისხმიერებას იჩენდა დამატმარებელი ამხანაგებისადმი. მათზე ზრუნავდა და ურადლებას აქცევდა კამოს დატუსაღების ამბავი რომ გაეგო, დავაღალა ამხანაგებს, დაუყოვნებლივ მიეღოთ ენერვიული ზომები, რათა კამო ჟანდარმერიის ზელიდან გამოეგლიჯათ.

ლენინმა მისი საქმის მოსავერებლად, სპეციალურად ვაგზავნა ბერლინში ლიადოვი, რომლის ვადმუღმით, „ოლინს ძალიან უყვარდა კამო, ძალიან აფასებდა მას და ამბობდა, — ყოველგვარია ზომები უნდა მივიღოთ კამოს ვადსარჩენად. ამ მიწნით დაცვის მოწყობა

ვთხოვე კარლ ლებენბერგს. მან საქმის ოფიციალური მხარის ვასაძლად თავისი პარტიული ამხანაგისა და მეგობრის ოსკარ კონის კანდიდატურა წამოაყენა. თვითონ კი ეიხრა, პრესაზე და ფენებზე ვაჟღერა მოეხდინა“...

ოსკარ კონი თარჯიმან კლემენსისკისთან ერთად მივიდა კამოსთან. ინახულა იგი. გაბასების შემდეგ ორივემ ისე იგარმნა თავი, თითქო დიდი ხანია ერთმანეთს იცნობენო. კამო ძალიან კმაყოფილი დარჩა, როცა დაინახა, თუ როგორ მზრუნველობას იჩენდა მისიდაჲ პარტია. იმ ვერმანელმა შორის, რომელნიც დატუსაღების შემდეგ კამოს გარს ეხვეიენ, ოსკარ კონი მეტად სათნო და გულსხმივარი აღმოჩნდა. ერთი იღვით აღმურაველი ორი სხვადასხვა ჭეშუვნის ადამიანი ხელების მოჭრაობით უფრო მალე და კარგად აგებინებდა ერთმანეთს თავიანთ ზრახვებს, ვიდრე თარჯიმანის შემწეობით. ოსკარ კონმა იგარმნა, რომ არანვეულებრივ პირივენებისთან ჰქონდა საქმე. მასში დინახა პრაქტული რევოლუციონერი, გულთან ახლოს მიიტანა მისი ბედი და მთ შორის გაიბა ამხანაგური, მეგობრული კავშირი.

კამო დაბრუნდა თავის საკანში იმდით სიყვსე, აღფრთოვანებული და ენერგიულად შეუდგა თავისი გადაწყვეტილების შესრულებას. არ ინდობდა თავის თავს, არ ზოგავდა ენერჯიას, ოღონდ ერთხელ კიდევ გაენაჯარდა თავისუფლად, ერთხელ კიდევ შესდგომოდა საყვარელ საქმეს.

მას აწუხებდა ის, რომ ანარქისტ-ტერორისტად თვლიდნენ და არა წევრად პარტიისა, რომლის დავალებებს ის აბორციელებდა. რომ ის იყო შემსრულებელი პარტიის ზრახვებისა, რომელსაც თვითმპყრობელობის დამხობა და სოციალიზმის დამყარება სურდა. მას ეგონა, რომ გერმანია ამისთვის არათუ დასჯიდა, არამედ ხელსაც შეწყუბოდა. მაგრამ სასტიკად ნორტყუდა და გულმოკლული, დამძაბებული დადიოდა საკანში.

განზრახვის შესრულება აღარ დაუფენა. სიმულაცია შმაგობით დაიწყო. იგი ხტუნაედა-ყვიროდა, ტანისამოსს იგლეჯდა, ამტერყვდა

მურქულს. ზედამხედველებს ცნობა-პირში უჭენდა მეშტებს. როგორც შეფოთიანი, დაუღვგარი და მოხუხბარი, ის ვადაიუვანეს ცხკე სარდაფში. ცხკა დღის განმავლობაში განწყვეტილიც მტრად, დაჩბოდა, ხელფებს ამობრავებდა, რათა არ გაციებულიყო. უძილო ღამეებს ატარებდა, რომ სიმულაცია ვანმტკიცებინა.

როცა ოსკარ კონი კვლავ მივიდა მის სანახავად, იგი ვანციფრდა, შეწყუბდა, ვრახანად იფიქრა: კამო მართლა ხომ არ ვადასცდა კუურსო. მაგრამ კამომ მოხერხებულად ანიშნა მარჯვენა ხელის ცერით, — კარგადა ვარო.

პირველ ხანებში კამო ხალისიანად სიმულიანტობდა. მრავალნაირი თავის მიერ მოგონილ საზრიანი სიმულაციებებით ატყუებდა გამოცდილ ფსიქიატრებს. დასცინოდა, ხარხარებდა. ხოლო რა დაღმრეტელი ენერჯიის და ჯანმრთელობის პატრონი უნდა იყო, რომ ორი წლის განმავლობაში სიმულაციას აგრძელებდე, დაუღლავად ებრძოდე ცნობილ ფსიქიატრების დაჯერივებებს; იჯდე ცახეში, უცხოეთში, უცნობ ადამიანთა შორის, არავინ გყავდეს გვერდით მახლობელი — შენი ტანჯვისა და ვანცილების გამზიარებელი და მინეც გამარჯუებული გამოხვიდე ამ უმწეო მდგომარეობიდან.

განსაცვიფრებელია! შემდეგში თავისუფალი და მტრებზე გამარჯუებული კამო, როცა გორკის შეხვდა, ისეთი უბრალოებით აუწერდა მის თავის ურთიერთ დამოკიდებულებას ექიმებთან თითქოს ეს ამბავი მისთვის ჩვეულებრივი უმნიშვნელო რამ უოფილიყოს.

...ძალიან მიინტერესებდა, — წერდა გორკი, — როგორ შეძლო ამ ადამიანმა, ამ უბრალო ადამიანმა თავის თავში გამოეცნა იმდენი ძალა და მოხერხება, რომ დაერწმუნებინა ფსიქიატრები მოგონილ სიგეეეში. ეტყობოდა, მას არ მოსწონდა, როცა ამის შესახებ ეკითხებოდნენ. მზრებს იჩენდა და გურკყველად ამბობდა: — აბა, რა ვითხრათ! საქარო იყო! ცვლილობად თავი ვადამერჩინა, ვიცოდა, რევოლუციას კიდევ ვამოვადგებოდიო... თუმცა კი ისინი სხეულზე ხელებს მიფათურებდნენ, ფუხის გულზე მცემდნენ, მაგრამ ვანა შეიძლება სულს შეეხი?“.

(გაგრძელება იქნება)



ჩ ი ნ ა რ ე ბ ი

მტკვარს დასცქერენ ჩინარები —
ტანლატანა ქალები,
ვიდრე მათ ქვეშ ვიმალები,
მზით არ გავიალები.

ქარი დაქრის იავარდად,
ეს უჩანგო მოლექსე,
განა მისი იავნანა
მომწყინდება ოდესმე?

ამ ნაპირს რომ ჩაუყვები,
იმ ნაპირით ამოხვალ.
ხედავ ციხეს დამუხლებულს,
ნათურქალს და ნაოხარს!

მალა მოჩანს ნარიყალა,
გალმა რუხი მეტეხი,
ცამ ღრუბელი გადიყარა
მთებს დაეცა მეხტეხით.

ეს თაბორი, ის მახათა
ღრუბელს მოსიოას აჩქარის,
რომ მოიგდონ ნისლის კალთა,
დაიხურონ ჩაჩქანია...

ვერის ბალში ჩიტბატონებს
გაუმართავთ ოთურმა.

თბილისს ასე ვინ დატოვებს,
სამაისოდ მორთულა.

აქ მომაგდო ხელგაშლილი
მეც ნიაემა დილისამ,
რომ შეირგოს ზედაშრევით
ეს სიმღერა თბილისმა.

თავს ჩინარი დამშრიალებს
სამიჯნურო ბაიათს,
რტონი ფოთლებჯავშნიანი
მტკვარში გაუბანია, —

თუ ცვარნაში დამფრქვევია
მხრებზე მანანასავით!
გულზე ვარდიც დამფენია
სუფთა, წვიმანასვამი!

მაშ, რა მინდა მეტი, მარქვი,
მტკვარო, ტალღებტაკუნა,
სხვა მგოსანი ცაში დაქრის,
ანდა ზღვაზე დაცურავს;

ზოგი ეტრფის ბებერ მთვარეს,
ხმას იბოხებს მეხურად,
მე კი ჩინარს შევეფარე,
ვით წვიმაში — ბელურა



სასტუმროში*

მართლაც ელისაბედი ბარნაბას უკერავდა, ურეცხავდა და ისე უვლიდა, როგორც თავის შვილს. დედით თბოლ ბარნაბას ელისაბედი დედად მიაჩნდა, სამაგიეროდ, როცა ლევანი შინ არ იყო, განსაკუთრებით ომის დროს, ელისაბედისათვის წყლის მომტანი, შეშის დამპობი, წისქვილზე დამფქველი — ბარნაბა იყო. თუ ერთი მხრივ, მარია ედგა მხარში ელისაბედს, მეორე მხარეს ბარნაბა უმავრებდა. ამაზე დედა ხშირად სწერდა შვილს. ახლა ძმობილიც აქ იყო და მერგოლური ბარნაბა ისე შეჰყურებდა ბრიგადირს თვალბში, როგორც ძველისძველ მეგობარს. და როცა კიკილია დარსაველიძე ლევანის ზოგიერთ ღონისძიებებზე ცხვირს მალა წევდა, ტუჩებს აიბზუებდა, ბარნაბას გული მოდიოდა. ხშირად უტევდა კიდევ:

— ჰე, შე ჰოკიავ! ცხვირს მალა ვინ წევს, არ გაგიგონია?

— მერე შენ რა გინდა!

— ბევრი არაფერი, მიწას დახედე. მალა ნუ იყურები, სიმინდი მიწაზე მოდის და არა ცაში.

— ჩემი უფროსი შენ არა ხარ, — შეუღრინა კიკილიამ. — ჩემს საქმეში ნუ ერევი!

— შენს საქმეში კი არა, საერთო საქმეში ვერევი, — გაცხარდა ბარნაბა. — ბრიგადირო, ასეთ თავაშვებულ ხალხს ჰკუა თუ არ ვასწავლეთ, არაფრად არ ეღირება ჩვენი მუშაობა. რა მაგალითი უნდა მისცეს ასეთმა უქნარა ბრიგადირმა თავის წევრს? თვითონ განზე სამუშაოდ დადის, ბრიგადა უპატრონოდ აქვს მიტოვებული.

— მართალი ხარ, ბარნაბა, — დაემოწმა ლევანი.

კიკილიამ კიწის გადახედა. ისედაც ზომავე მეტად აწითლებულ კიწის ახლასულ ქარხლისფერი დაედო, წვრილი, კროლა თვალეზი აუციმციმდა და ულვაშის გრეხით თქვა:

— სანამ თქვენ გამავდებდეთ, მანამ მე თვითონვე ვაგებრძანდები, ჩემო ლევან.

— რატომ, კიწი?

— კმ, კერძო სამუშაოზე არ ვახვიდვო! მაშ ვინ არჩინოს ჩემი ცხრა შვილი? კერძო სამუშაოზე სიარულით მიდგას სული. ზოგს ურემს ვუკეთებ, ზოგს სახლს, ზოგს ქიშკარს. ასე გამაქვს ეს გამაძლებული წუთისოფელი.

— რამდენი შრომადლე გამოიმუშავე კიწი, გასულ წელს? — ჰკითხა ლევანმა.

— ორმოცი, შრომადლეზე კი თქვენც იცით, რა გვერგო.

ლევანი ჩაფიქრდა, ბოლოს უთხრა:

— ძალიან კარგი, ჩვენ ურამები გვაქვს საკეთებელი, ბელლებიც, ბოსელიც და სახლებიც.

— ქვე-შენი ჰირამე, თუ გული გულობს, საქმეს რა დაღევს ჩვენიან? — წამოიძახა ეგნატე მეშველიანმა.

— უყურე, უყურე ამ ჩამოთრეულს?

— კიწი, ეგნატე ახლად დასახლებული კაცია, შენ ჩვენი სოფლის მკვიდრი ხარ. ერთი იმის ეზოსა და ვენახს შეხედე და მერე შენსას. სათქმელი არაფერი გაქვს, მონაშენი თუ რამ გებადა, მოსპე და გააჩანაგე. შენი ბავშვების პატრონი ხეხილს უნდა ჰკრიდეს ეზოში თუ უნდა აშენებდეს, რგავდეს? — გამოექომაგა ეგნატეს აღმასხანი.

კიწის ცეცხლი შემოენთო სახეზე. უნდოდა გამოელანძდა აღმასხანი. მაგ-

* გაგრძელება იხ. „მნათობი“ № 9.

რამ თავი შეიკავა. მოხუცი აღმასხანი სოფელში ქვეიან კაცად ითვლებოდა. მეზობლები მის გალანძღვას არ მოუთმენდნენ. ამიტომ ენას კბილი დააკი-რა.

— მაშ ასე, ამხანაგებო, ვინც საბა-ტო მიზეზის გარეშე სამუშაოზე არ გა-მოვა, არ მოვერიდებით, დავსჯით. მე ჩემს ბრიგადაში ასეთი წესის შემოღე-ბას ვირჩევდი. სხვა ბრიგადებშიც მოგე-ბაძავენ ჩვენ, თუ მხარს დამიჭერთ და ამ წესს მივიღებთ.

ბრიგადამ ხმის უმრავლესობით მიი-ლო ლევანის წინადადება.



ცხენისწყლის ნაპირზე ათიოდე კაცი ფუსფუსებდა. ზოგი ხის სვეტებს არ-ჭობდა ორმოში, ზოგს ქეიშა გადააქონ-და. მოედანს ტყეზნიდნენ. იქვე მახლობ-ლად, გორაკის ძირას, ხუთიოდე მეტრის სისქის თიხის ფენა მოჩანდა.

ინჟინრებმა დაასვენეს, ეს თიხა სამ-შენებლო მასალააო.

აღმასხან ქათამაძეშვიც დაადასტურა: სწორია, მახსოვს ეს მიწა მთაზე ურმე-ბით ამოქონდათ, საჭურჭლე თიხას ამ-ზადებდნენო.

კოლმეურნეობას ბევრი სათავსოები სჭირდებოდა. ცხენისწყლის პირას, ქვე-მოთ უკვე გამოკომუნიკო შენობა ჯი-შიანი საქონლის ფერმისათვის, იქვე საქათმეებშიც მოჩანდა.

ეს ათიოდე კაცი ქარჩხეთის კოლმე-ურნეები იყვნენ. მუშაობა მაინცდამა-ინც სწრაფი ნაბიჯით ვერ მიდიოდა.

— ბრიგადირი მოდის!

შეშინებულივით წამოიძახა კიწი ფა-ლავამ. ყველამ გზისკენ მიიხედა. მათ ლევან ლეშაშვილი შენიშნეს. ის ორ-თვალაზე შემჯდარიყო და გრძელი წყებლით მიერეკებოდა ფაშატს.

— მოდის, აბა სად წავა! — შეუღრი-ნა კიწის ბარნაბა კინწურაშვილმა. ბარ-ნაბას ვეებერთელა წერაქვი ეჭირა ხელ-ში და მიწას მაგრად სცემდა.

კიწის არავისი ეშინოდა, არც არავის

სცემდა პატივს ქარჩხეთში, ლევანს კი ერიდებოდა.

— როგორაა, ამხანაგებო, ესაქმე! — შეეკითხა ყველას მისვლამდე ლე-ვანი.

ბასუხის გასაცემად ბარნაბამ აიღო თავი, მაგრამ კიწიმ დაასწრო:

— სახმობი ფარდულის გადახურვას დღეს-ხვალ დავამთავრებ. დურგლობა ჩემი ხელობაა, ლუმელებსა კი მე არა შეეკითხება რა.

გაოცებული მიაჩერდა მას ბარნაბა.

— ერთ კვირაში, იქნებ, ლუმელიც მოვთავითო, — უთხრა ბარნაბამ. ლევან-მა გაუცინა, ხელი ჩამოართვა, მის მახ-ლობლად ჩამოჯდა.

— ორი თვის შემდეგ რომ მაინც გა-მოვწვავდეთ პირველ ქურას, ხელს შე-გავლებდეთ ჩვენს აგურს, ჩვენს კრა-მიტს... — ჩაულაპარაკა ლევანმა კინწუ-რაშვილს.

— უბჭველად, უფრო მალე, იქნებ ერთ კვირაშიც! — კვლავ დაასწრო ბარ-ნაბას კიწიმ და უთხრა:

— თუ ერთ გაწყობა თუთუნს მომა-წვევინებ, ქორწილში მაყრად წაგყვებ-წამოგყვები.

— ბიჭო, სულ თუთუნს უნდა თხო-ულობდე?

— შენ ხელში აბა რა სიკეთე დამეყ-რება. ოქრუსავით ერთი შეილი რომ მყავდეს, არაფერზე შევიწუხებდი თავს... ჩემს ცხრა შეილს რა გადარჩე-ბა? კიდევ მეუბნებით, არსად წახვიდე, ჩვენთან მოიკალი თავიო? მე ხელოსანი ვარ. როცა კერძო სამუშაოზე მივეყვარ ვინმეს, საუზმეს მაკმევს, არაყს გადა-მაკვრევენებს, სადილს მაკმევს, ღვინოს დამალევენებს. დაღამდება და ფულს ჩამიჩხრიალებს ჯიბეში. შენ კი შრო-მადღეს მიწერ მხოლოდ, რომელსაც წლის ბოლოს გვისწორებენ. თუთუნი საიდან მექნება?

ლევანმა კიწის ხელი მოკიდა, განზე გაიყვანა, თუთუნი მიაწოდა, მერე იქვე ახლად დახერხილ ფიჭვის ფიცრებზე ჩამოჯდა ორივე.

— ამ ქარხანას რომ ავამუშავებთ,

შემდეგ საშენ მასალაზე შორს აღარ ვერბნენ. რას ჰგავს კოლმეურნეობის კანტორა? ახალს ავაშენებთ, პირუტყვი რატომ უნდა იყოს გარეთ? ბოსელს ავაშენებთ. სიმინდი ყანიდან პირდაპირ ოჯახებში რატომ უნდა იგზავნებოდეს შესანახავად? სასიმინდეებს ავაშენებთ. ცისქვეშ რატომ უნდა მიიმუნობდნენ ჩვენი ბავშვები? კლუბს ავაშენებთ. კრაქით რატომ უნდა ვიბოლავედეთ სახეს? ელსადგურს ავაშენებთ, ურუმბსა და სასოფლო-სამეურნეო მანქანებს რატომ უნდა ვალპობდეთ, წვიმაში? ფარდულს ავაშენებთ! — აღფრთოვანებით ეუბნებოდა ლევანი.

— მომხედა ღმერთმა და ისაა, ხელობა ჩემი იყოს, ლევან ჩემო, თუკი საქმელი მექნება, გარეთ წოწიალს აქ არ მირჩენია მუშაობა?

— მოიცა, კიწი, მოიცა! — შეაჩერა თვალბგაბრწყინებული ოსტატი ლევანმა. — დღეს კაცი გავგზავნეთ სვანეთში ხე-ტყის დასაცურებლად. ტყე რა ხანია გამოგვიყვეს. მორი გაზაფხულზე წყლიდან ამოსაღები გვექნება. ორი დიდი ხერხი — გებენი და ხინტიკა ამ დღეებში მოგვივა, აგურ-კრამიტის ქარხნის ახლოს სახერხ ქარხანას ავაშენებთ. მაშინ ნახე, ჩვენი სოფელი როგორ გამოიცილებას! კიწი, შენ გავალბე ხუროები, დურგლები და კალატოზები შეარჩიო. კოლმეურნეობასთან არსებული წარმოებების ხელმძღვანელობა გამგეობამ შე დამავალა. ხელოსანთა ბრიგადას ვაყალიბებთ, როგორ ფიქრობ, ვინ იქნება მათი ბრიგადირი?

კიწის თითქოს არ გაუგონია ლევანის სიტყვები, პაპიროსი გააბოლა.

— რასაკვირველია, კიწი ფალავა! ცოტა ზარმაცი რომ არ იყოს ეგ რჯულძალი, მაგას ვერაინ აჯობებდა. ოქროს მარჯვენა აქვს. შეხედე, როგორი კარ-ფანჯრები ჩაუსვამს? — და ბარნაბამ ახლად აშენებულ ქარხნის კანტორისაკენ მიახედა ლევანი.

— ეე, ბიჭო, ნუ ამიტყვდი, ზარმაცი ხარ, ზარმაციო! მაგისი რა მოგახსენოდა სიღარიბეზე კი არა მეთქმის რა.

— ნუ გწყინს, კიწი, როცა სწავრთ-ლეს გეუბნებიან. ზარმაცი ვარ, ცოტათი. ცხრა შვილის პატრონობაზე ბეს არ უხსენებენ. ბარნაბა გეხუმრება, კარგ ხასიათზეა. დღეს გამგეობის სხდომაზე აგურ-კრამიტის ქარხნის დირექტორად დავნიშნეთ. ახლა შენსას არ იკითხავ, ვინ ბრძანდები? ბარნაბა შენთან მოგონილია. იმიტომ, რომ ხელოსანთა ბრიგადას ჩაგყენეთ სათავეში. ნახე, როგორ შემოგვხვეწება ბარნაბა კინწურაშვილი: ამიშენე, შემეკეთე, დამისურე სახლი, თორემ ქალს არავინ გამომატანსო!

ლევანმა გასუფთავებული ადგილი დაათვალიერა... მერე კიწის და ბარნაბას ის ადგილი უჩვენა, სადაც სახერხი ქარხანა უნდა აეშენებინათ. ქარხნის აშენების პროექტი დიდი ხანია ეგდო ბიკენტის მავიდის უჯრაში.

— მდინარეც ასლოს არის, — აღტაცებით ამბობდა ლევანი. — დაცურებულ მორებს აქვე ამოვიღებთ წყლიდან. პირდაპირ მანქანას მივცემთ პირში.

— ოპო, პლატონიც მოვიდა! — წამოიძახა ლევანმა და სამივემ ხელი ჩამოართვა პლატონ გოფოძეს, რომელიც რამდენიმე მუშასთან ერთად შემოუერთდა მათ.

პლატონ გოფოძეს სპეციალური ტექნიკური განათლება არ ჰქონდა, მაგრამ იმდენად ნიჭიერი და დაკვირვებული კაცი იყო, რომ აგურ-კრამიტის ქარხნების მოსაწყობად და გასამართავად ერთი რაიონიდან მეორეში ეძახოდნენ. გოფოძეს განსაკუთრებით ეხერხებოდა ხე-ტყის სახერხი ქარხნების მშენებლობა. ლევანმა ეს კაცი რაიონმასკომის ადგილობრივ მრეწველობის განყოფილებას გამოტყუა. ახლა პლატონი ცხენისწყლის პირად დაიარებოდა. ზომავედა სამშენებლო ადგილებს და სამირველების ჩასაყრელად ორმოებს ათხრევიანებდა მუშებს. ამ მუშებს შორის იყვნენ კიკილია დარსაველიძე და არისტარხო უჯმაჯურიძე.

— ბიჭო, ღდინი არ გაგვართვა მუშაობით ამ წყეტლმა! — შეჩიოდნენ ისი-

ნი ერთმანეთს და ლევანს ლანძღავდნენ. ამ დღის შემდეგ კიწი ფაღავა საყვირის ხმაზე წამოვარდებოდა, ცოლშვილს დახედავდა, წყალს და შეშას მოუშარაგებდა, ცეცხლს გაუჩაღებდა, დანაყრდებოდა და მერე სამუშაოდ მიდოდა.

* * *

იმ წელიწადს დიდი ზამთარი დაიჭირა. რაღვან საქონლის საკვები საკმაოდ არ დაემზადებიათ, ლევანმა მეწველი ძროხები ჰალადიღში გადააყვანინა მომვლელებს. ამ სოფელში, თოვლი თითქმის არ იცის. საკვების შემოკლების შემთხვევაში, საქონელი თვითონ იპოვნის მას მიწაზე.

ახლა დარჩენილი იყო თხის დიდი რაოდენობა და უდუმო ცხვრის ფარა.

ერთ დღეს ლევანი მთისკენ გაემგზავრა. დილით ბინიდან გასული საღამოს უკვე ცხვრის ბინებს მიუახლოვდა.

— ბრიგადირი მოდის, ბიჭებო! — გასძახა ფერმის გამგემ მათე ფარცვანიამ მწყემსებს და მწველავებს.

ლევანს ბარნაბა კინწურაშვილი და კიწი ფაღავა ახლდა. ბინების მახლობლად ერთ ვეებერთელა, სუროთი დაბურული წაბლის ქვეშ კარავში დაბინავდნენ.

მათემ ცეცხლი გააჩაღა. კარგად შეთბნენ, გულიც გაიხურეს ბარიდან ამოტანილი არყით.

ლევანმა სადგომები დაათვალიერა. სამი დღე-ღამის განმავლობაში საშინელ ყინვასა და ქარბუქში ყველა შეუსვენებლივ მუშაობდა. დადგეს თხებისათვის ახალი თბილი სადგომები, თივა და ჩალაც სამყოფად ამოიტანეს.

მათე მოხუცებული კაცი იყო, მაგრამ ამ შთებსა და ტყეებში ისე დადიოდა, როგორც მოტიტელებულ მინდორში. მასზე ზუმრობით ამბობდნენ, სამოცი წლის კაცია და სამოცი ღამე არ ექნება გათენებული სახლშიო. მთიდან რომ ჩამოვა, დიდი — ორი-სამი დღე დარჩეს შინ, თხების დარდი არ მოასვენებს, და ისევე მთაში გარბისო. მას

ზედმეტ სახელად „ტყისკაცს“ ეძახდნენ. გაბურძნული წვერები, სუსტლევად წითელი თვალები, ხშირი წარბები და ოდნავ გვერდზე მოხნეპილი მსხვილიცხვირი თითქოს საშინ სახანავს ხდიდნენ მას. მაგრამ მათე მეტად გულთბილი და კეთილი კაცი იყო. მისი სახის გარეგნულ მრისხანებას თვითონვე გრძნობდა და როცა ბავშვებს შეხედავდა, გვერდს აუვლიდა, არ შეეპინოო. მათე ტყეში ისე დაფათურობდა, როგორც მებაღე ბალში.

— ხომ არაფერს დაგვაბარებ, ბიძია მათე? — იკითხა წასვლისას ლევანმა.

— ერთი სათხოვარი მაქვს!

— გვითხარი, გვითხარი!

— ხშირ-ხშირად ამოდით, აქ მგლებისა და დათვების მეტს ვერავის ვხედავ, ხანდახან მონადირის ნაკვალევს რომ წაეაწყდები, ისე გამიხარდება, თითქოს ჩემი დაკარგული ბიჭის ნაფურისთვის მიმეგნოს!

მათეს თვალებზე ცრემლი მოადგა.

— კიდევ რას ისურვებთ, ბიძია მათე? — ჰკითხა თანაგრძნობით ლევანმა.

— კიდევ ერთი სათხოვარი მაქვს!

— თქვი, ბიძია მათე, თქვი!

— ომიდან დაბრუნებული კაცი ხარ, მიშოვე ერთი კარგი ბერდანკა, ასეთი დიდი თოვლის დროს მგლები დღეში ათჯერ მაინც ჩამოვარდებიან ფარეში და თავს ესხმიან თხებს.

— ისეთ თოფს გამოგიგზავნი, ბიძია მათე, მისი ხმა ბარშიაც გვესმოდეს, — გაეხუმრა ლევანი.

— დიდი მადლობელი ვიქნები!

მათემ კარგა მანძილზე გააცილა ისინი. ერთმანეთს რომ დაშორდნენ, რამდენიმე ხნის შემდეგ მალალ მთიდან გადმოსძახა:

— ტყვია-წამალი არ დაგავიწყდეთ, შეილებო!

ხევიდან-ხევეში ქუხილივით გაისმო მოხუცის ხმა.

ლევანი ბრძოლით მიარღვევდა კაცის სიმაღლე თოვლს. ხან შედგებოდა, ხან ნაბიჯს აუჩქარებდა, ირგვლივ მიმოიხედავდა, კიდევ ამოძრავდებოდა. მოი-

ზიზილა დათოვლილი მთებისა და ხევე-
ბის სანახაობით. ოთხი წელია არ ყო-
ფილიყო აქეთ და ასე ეგონა, თითქოს
მთელმა საუკუნემ გაიარა მას შემდეგ,
რაც პირველად ამოვიდა მთაში აღმას-
ხანთან ერთად.

ცხენისწყლის ნაპირებიდან ასხისა და
წყრიმელას თოვლიან მთებამდე ტყეები
და ბუჩქნარები ლევანს დიდ ხეივანდ
ეჩვენებოდა.



კიკილია დარსაველიძე იშვიათად და-
დიოდა თავის ბრიგადაში. მას არის-
ტარხო უჯმაჯურიძესთან უფრო ხში-
რად ხედავდნენ, ვინემ თავისი ბრიგადის
წყევრებთან.

არისტარხო უჯმაჯურიძეს თავის
დღეში მიწაზე ბარი არ დაუკრავს. ომის
დროს, როგორცაც ორიოდე კვირის
მანძილზე იკისრა კოლმეურნეობაში
მუშაობა, თუმცა მის ოჯახში პური,
ხორცი, ღვინო და ხორაგი ყოველთვის
გამოთლევდელი იყო. მისი ორსართული-
ანი სახლიც ყველასგან გამოირჩეოდა.
სახლის სარდაფში ერთი საიდუმლო
ოთახი ჰქონდა. მის გასაღებს ცოლსაც
არ ანდობდა.

— რა ქალების საქმეა, რა მაქვს შიგ
და რა არა? ოჯახის უფროს კაცს სახ-
ლში ერთი კუთხე ისე უნდა ჰქონდეს
გამოკეტილი, როგორც ადამიანს საკუ-
თარი გული. სურს — გახსნის, სურს —
ჩახურავს! — ამაყად ამბობდა არის-
ტარხო.

მარიკა მისი ცოლის, ოლღას შორეულ
ნათესავს დარჩენოდა ობლად. თორმე-
ტი წლის უპატრონო ვოვონა ოლღამ
შეიფარა. ჯერ შინამოსამსახურედ ჰყავ-
და, შემდეგ კი, რადგან სწავლა ისურვა,
სკოლაში მიიბარა, თუმცა დაგვიანებუ-
ლი იყო, მაგრამ მარიკამ მაინც შეძლო
აგროტექნიკური სასწავლებლის დამ-
თავრება.

არისტარხოს არ უნდოდა სხვისი შვი-
ლის ოჯახში შემოყვანა: რადგან ღმერ-
თმა ჩემი არ მომცა, არც სხვისი მინდაო.

ვერ შეეგუა მარიკას, ამიტომ საუკუნის
ცდაში იყო, რამენაირად მალე გაეთხო-
ვებინა.

არისტარხო ერთ დღეს მთაში წაი-
ბარეს.

— ერთი ოთახი უნდა დაგვიტომო! —
მორიდებით უთხრა საბჭოს მდივანმა.

არისტარხო ავარდა და დავარდა.
მაგრამ რომ შეიტყო, მისი მომავალი
მდგმური რაიადმასკომის მიწათმოქმე-
ლების განყოფილების გამგე იყო და,
თან, უცოლო, მწყრალი სახე უცებ შე-
ეცვალა.

— მთავრობას ენაცვალოს ჩემი თა-
ვი. თუ რამეში გვირდებათ, ჩემი სახლ-
კარი, ინებეთ! — განუცხადა საბჭოს
მდივანს.

შინ რომ დაბრუნდა, ცოლი ეზოში
დახვდა. მუხჯივით ჩაუარა. კიბეები
აირბინა. ერთი ოთახიდან მეორეში შეგ-
ლიჯინდა, მეორედან მესამეში, მაგრამ
ვისაც ეძებდა, რომ ვერსად ნახა, ისევ
ეზოში ჩამოირბინა. ამ დროს მარიკაც
მოვიდა. მთელ თავის სიცოცხლეში მა-
რიკას ერთხელაც პრ. ახსოვს, ასეთი ღი-
მილით და სიხარულით შემოგვებებული
მამა.

არისტარხო მდგმური — კირილე
ბენდელიანი ორმოცდახუთი წლის და-
ბალ-დაბალი კაცი იყო. კირილეს მარც-
ხენა მხარი დახრილი ჰქონდა. მუდამ
იმის ცდაში იყო, სიარულის დროს ეს
ნაკლი არავის შეემჩნია.

არისტარხო ერთ დილას მგზობლებს
ჩამოუარა და თითქოს მუქარით უთხრა
ყველას:

— არ იფიქროთ, ვინმემ დამჩაგროს,
მთავრობის ისეთი კაცი შემოვიყვანე
სახლში, რომ აწი უკაცრავად არ ვიყო
და, დედას ვუტირებ ჩემს მტრებს.

ეს სიტყვა განსაკუთრებული სიძლიე-
რით მაშინ გაიმეორა, როცა ლეშკა-
შელს შეხვდა. ლევანს გაეცინა, მაგრამ
არაფერი უთქვამს.

არისტარხო მახალი მდგმურის პატივ-
საცემად წვეულება გამართა. ყოველ
სადღეგარძელოზე გრძელ-გრძელ სიტყ-
ვას ამბობდა. დიდი სიცილ-ხარხარი გა-

მოიწვია კირილესადმი მიმართულმა მისმა სიტყვამ. არისტარხომ იმდენი ილაპარაკა კირილეს კარგ ადამიანობაზე, რომ თვით კირილე გახდა იძულებული, ეთხოვა მისთვის, თავი დამანებეთ. მაშინ არისტარხომ ასე დაასრულა სიტყვა:

— მაშ, გაუმარჯოს „დედო-მიწის უფროსს“, ჩვენს კირილეს! — ამ სიტყვის შემდეგ კირილეს ყველა „დედო-მიწის უფროსს“ ეძახდა. ეს სახელი დიდხანს შერჩა მას და რაიონშიაც იცნობდნენ, როგორც „დედო-მიწის უფროსს“. კირილემაც ისე შეიფერა და შეითვისა ეს სახელი, რომ თუ ასე არ მიმართედნენ, ყურსაც არავის ათხოვებდა.



ზამთარი უკვე მიიწურა. თოვლის ქვეშ გამოშუშებულმა მიწამ თეთრი საბანი გადაიხადა. თოვლი აქა-იქ, ისიც მხოლოდ ნაპრალბესა და მთის კალთებს შერჩა. მზეს სითბო მოეძალა. დღეებმაც ზამთრის უკანასკნელი ღორღი ჩაიტანეს და ჩარეცხეს ცხენისწყალში.

ლევანი კოლმეურნეობის ბოსელს არ შორდებოდა, ნაზამთრ ხარებს ამოწმებდა, გულდაგულ ნაპატეობი პირუტყვი მომვლელთ სამუშაოზე გასასვლელად მოემზადებინა.

დადგა გაზაფხული. მალე გუთანიც გაიტანეს ყანაში. ლევანი როგორც თავის ბრიგადაში, ასევე სხვა ბრიგადებშიაც თავს დასტრიალებდა მერგოლურებს, მესრეებს და გუთნისდედებს.

მკედელ ოქრუას ამდენი სამუშაო არასოდეს არა ჰქონია. თუ სადმე ძველი რკინა, ძველი თოხი, ბარი და სახნისი იყო, ლევანმა ბავშვებს მოაგროვებინა. ყველა ოქრუას სამკედლოს ეზოში მოაქუჩა. მკედელი თავს არ ზოგავდა: ჰედავდა და ჰედავდა. როცა კერძოდ მუშაობდა ოქრუა, მას კვირაში მხოლოდ სამ დღეს ხედავდნენ სამკედლოში. დანარჩენ დღეებს მეზობელ სოფლის ბაზარზე მიდიოდა და ჰყიდდა მისი ხელით გამოკედილ სახნისებს.

თოხებს, ცულებს, ნამკედლებს, სასხლეებსა და ნალებს. ახლა კი სხვანაირი გაუშვებდა? სულ გრძობდასტრიალებდა. ისედაც ზანგივით შავი მისი სახე ნახშირის მურს სულ გაეშავებინა.

— ბიჭი მაინც არ წავერთმია? — უსაყვედურა მან ლევანს.

— ბარნაბა?

— დიახ, ბარნაბა!

— ოქრუა ბიძია, ბარნაბას ნუ ეხუმრები, იგი ახლა დიდი საქმის კაცია. ხომ ნახე, როგორი კარგი აგურ-კრამიტის ქარხანა გაგვიწყობ. წელიწადში ასი ათასი ცალი აგური და კრამიტი უნდა გამოწვას.

— მაშ შეილო ამ სამკედლოსაც გადამიხურავთ?

— მაშ, ბიძია, მაშ! — უთხრა ლევანმა.

ამ დროს სამკედლოში სახეაწითლებული მარცხა შემოვიარდა.

— მთელი ყანები შემოვიარე, ლევან, შენს ძებნაში, — უთხრა ლევანს.

— აზომეთ? გამოარკვიეთ?

— აი, ნახაზებიც გავაკეთეთ! — მარცხამ სამკედლოში მაგიდაზე გაშალა ნახაზებით დაქსელილი ქაღალდი. მასზე დაწერილებით იყო ნაჩვენები, თუ რომელ ბრიგადაში რა სიგრძის, და სიღრმის არხი იყო გასაპრელი და გასაწმენდი.

— ძალიან კარგი, მაგრამ მთავარი არხი სად გაივლის და რა სიგრძე ექნება? — იკითხა ოქრუამ.

— მთავარი არხი ჩვენი საყანეების შუაში გაივლის, სიგრძე ხუთი კილომეტრი ექნება, აი, აღმასხანიც მოვიდა, მან გვიჩვენა ასე!

— მობრძანდით, ბიძია აღმასხან! — შეეგება ლევანი მას.

— ძლივს არ მოვალწიე, დასწყველოს ღმერთმა ბერიკაცის სიცოცხლე, წელი თუ მაქვს, არა მგონია. იყო დრო, შვილო ლევან, მე და მამაშენი — ამ ჰალბებს ჩიტივით შემოვიფრენდით. ეკ, სადღაა ახლა ის ჯანი! — აღმასხანმა ჰალბებისკენ გაშვერილი ხელი დასწია და ლევანს გაუწოდა.

— ძალიან დაილაღე, ბიძა აღმასხან?

— ნუ შკითხავ, შვილო, თვითონ მინდოდა გამეგლო, ამ ხამთარმა გული და მუხლები დამიხუთა!

აღმასხანი ავიზგივებულ ქურას მიეფიცა.

ისე კარგად იცოდა აღმასხანმა ყოველი ნაკვეთის რელიეფი, რომ მარიკას სრულებით არ გაკორცებია შეედგინა ნახაზები არხში წამოსული წყლის დაქანებისა და ზეგანზე დამბების საშუალებით წყლის ასაყვანად.

— ნათქვამია, კვიცი გვარზე ხტისო და მართალიც ყოფილა.

— რაზე ამბობ, აღმასხან?

— მარიკას ქე ვუთხარი და შენც გეტყვი: ჩვენს სოფელში პირველად კოლმეურნეობა რომ დაარსდა, შიგ შვიდი კომლი ვიყავით. ყველაზე ბოლოს კიკილიას მამა, ანტონ დასსაველიძე შემოვიდა. ვი ასეთ შემოსვლას. სულ ბუზლუნებდა და სულ გვკბენდა. წერაკითხვა არც მაშინ ვიცოდი და არც ახლა ვიცი. შრომადღებებს ჯოხებით ვინშნავდი. ხშირად ჯოხები მეკარგებოდა. ამით ანტონი სარგებლობდა და ერთ უბედურებას ამიტებდა ხოლმე. მეტი შრომადღე მაქვს გამოიმუშავებული და რატომ მაკლებთო. ამას თავი დავანებოთ: თავისი ყანიდან ვერ ამოვიყვანეთ. თავის ხარებს ვერ მოვაცილებთ.

— რატომ?

— აბა რა ვიცი, შვილო! — და განაგრძო აღმასხანმა, — რომელ ბრიგადაშიც ჩვენ ჩაგრიცხეთ, იქ არ წაეიდა. მაინცდამაინც იმ ბრიგადაში მომაქციეთ. რომლის ფართობშიც ჩემი ყოფილი სუყანეაო. გაიტანა კიდეც თავისი. ჩაეიღოდა თუ არა თავის ყოფილ ყანაში, მშვიდდებოდა. გარეკავდა თუ არა თავის ყოფილ ხარებს, უფრო სიამოვნებდა და უფრო მშვიდდებოდა. მისი შვილიც მთლად მამას ჰგავს. ახლა მე და მარიკა რომ ვათვლიერებდით მიწებს, კიკილია თავის საბრიგადოში ენახეთ. გაეიგეთ, რომ მისი ყოფილი საყანე მიწები მამამისივით თავის ბრიგადაში მოუქცევი.

— ხედავ? ბერიკაცმა მიაქცია ამ, თითოს ერთი შეხედვითარწმუნადსაქმეს ყურადღება და ჩვენს მიწებს შევნიშნეთ, თუმცა რა მნიშვნელობა აქვს. მიწას ზურგზე ხომ ვერ მოიცილებს და შინ წაიღებს? — თქვა ლევანმა.

— თუ ნება მიეცი, შვილო, მაგი ისეთი მამის შვილია, კიდეც წაიღებს და კიდეც ყველაფერს იზამს. — აღმასხანმა ნახაზები ხელში აიღო და თქვა: — აქ რა წერია, მე არ ვიცი, შვილო ლევან, მაგრამ მე რაც ვუთხარი, ისე თუა დაწერილი, მენდეთ. გასჭერით არხები და წყალი შურღულავით წამოვა. ახლაა დრო, ჩემო ლევან ამისათვის, თორემ მერე სხვა საქმე გავიჩნდებათ. ამას გარდა დამიჯერეთ, გაზაფხულის შლამს არაფერი ჯობია მიწის გასანოყიერებლად.

— მეც ასე ვფიქრობ, ბიძა აღმასხან! — დაეთანხმა ლევანი.

• •

მაისი იყო. ამრიგებული ტყეები და ამწვანებული ველმინდვრები თვალს იტაცებდნენ. ვოლს სიამეს პფენდნენ. ისე არაფერი ამოშინებდა და აწყნარებდა ადამიანს, როგორც ცაში მოქიქიყე ფრინველთა გალობა.

ბიკენტი ბოგველაძე ხან ერთ მინდორში გაჩნდებოდა და ხან მეორეში. სულ იმის ფიქრში იყო, როგორმე ვადაზე ადრე დაემთავრებინა თესვა. თუ არ იჩქარებდა, მადლობას ვერ მიიღებდა. გაეცხავდნენ. ჰოდა, არ იტყვიო, როგორ ეშინია ბოგველაძეს საყვედურისა? იშვიათია ადამიანი, ბიკენტისავეთ თავს რომ უვლიდეს. არა, ლევანივით გაუფრთხილებელი როდია. ამიტომ იყო, რომ იგი ბრიგადირებს არ ასვენებდა. ბრაზი მოსდიოდა და გულზე სკდებოდა, როცა თესვის შეყოვნებას შეამჩნევდა, ყოველ საღამოს ვალიკო ბუღაძესთან გარბოდა. „რაიკომში ვიყავი“, „რაიკომიდან მოვდივარ“, „რაიკომში გამომიძახესო“, ეუბნებოდა ყველას. რაიკომი ენაზე ეკერა. იკვებნიდა, ჩემთან ყველაფერი რიგზეაო. ლევან ლეშკაშელის იმედი ჰქონდა. იცოდა, არ

შეარცხენდა, სხვებიც მის მაგალითს მიბაძვდნენ, თორემ რა შვილი იყო, ბიკენტის ისე პაიპარად ეკვებნა. ზოგჯერ გულში მაინც აღეძვრებოდა ეკვი, ვაითუ რაიკომისათვის მიცემული პირობა დამერღვესო. მაშინ უნდა გენახათ, რა დღეში იყო, ცოფიანივით იქბინებოდა. არავის ინდობდა.

მეზობელი სოფლის კოლმეურნეობას თითქმის დაემთავრებინა თესვა. ბიკენტის მაინცდამაინც სახარბიელო ჯერჯერობით არაფერი ჰქონდა. მაინც ოცნებობდა, გაზეთში ამოეკითხა, ქარხნეთის კოლმეურნეობამ საგაზაფხულო თესვა აღრიანად დაამთავრაო.

ბრივადირს კი გაზაფხულის ამ მშვენიერ დღეებში ბევრი ჰქონდა საზრუნავი. მუდამდღე ერთი აზრი აწვალებდა, რა მოეხერხებინა სასტვენისათვის.

ეს ფართობი ოც ჰექტარს მოიცავდა. იგი ცხენისწყლის პირას გაშლილ ადგილას მდებარეობდა, აქ ისეთი ძლიერი ქარი იცოდა, რომ ყველაფერი, ხეები, ბუჩქები, სიმინდის ღერები ჰალები და ბალებიც კი ყველაფერი სტვენდა. ამიტომ შეარქვეს ამ საქარია ადგილს ქარხნელებმა „სასტვენია“.

ლევანს რა ხერხისთვის უნდა მიემართა, რომ აქაც უხვი მოსავალი მიეღო. დანარჩენი ფართობები მას მოშლამული და დათესილი ჰქონდა. სასტვენისადმი ახლა მთელი გულისყური იმითომ მიეპყრო, რომ იგი სულ დაშრეტილი და მწირი იყო. მოწითალო, თხანარეც ნიადაგზე თვალის ერთი შევლებით გამოიცნობოდა, რომ მასზე გაწეული შრომა უთუოდ ფუჭი და უხვავო იქნებოდა. ლევანმა გვიან შეიტყო ამ მიწის სიბერწე, თორემ აქამდე რაიმეს იღონებდა. ახლა კი ამ ორ-სამ დღეში რომელი ღმერთი უნდა ჩამოეყვანა ციდან?

სასტვენისა წყალი არასოდეს გაჰყარებოდა. ურწყავს კლერტა, მაწაქა და ჩალამ-კალამი მორეოდა. ახლა რომ ასეთ ხშირ ბალახებში იხრჩობოდა, დათესვის მერე რაღა ეშველებოდა.

სიმინდზე უფრო მეტად ისევე ეს ბალახ-ბულახი იხერებდა.

სწორედ ეს ტანჯავდა ლევანს ღმერთს. ამაზე ფიქრში გული ეღუოდა. ხუმრობა ხომ არ იყო, ოცი ჰექტარი ფართობი დაეთესა და მერე მისგან ხელცარიელი დარჩენილიყო? ასეთ ფიქრებში იყო გართული, რომ ცხენისწყლიდან გადმოყვანილ კარგად მოზრდილ ტოტში, რომელსაც ჯიხაიშელების არხს ეძახდნენ, მოშავო ფერის სულ მღვრიე წყალს მოჰკრა თვალი. ლევანს კარგა ხანია არ ენახა გაზაფხულის ლანქერი.

ბარში კარგი ამინდი იდგა. ეტყობოდა, ცანას მთის მიდამოებში და ლატბარის მთის ხეობაში წვიმოდა. ღვართქაფად ქცეულ ღელეებს მაღალ კლდეთა გულიდან მადანი ჩამოერეცხათ და ცხენის წყალში ჩამოეტანათ.

— ლანქერი მოვარდა, ბიკებო, ლანქერი! — წამოიძახა ლევანმა და გრძელი და ღონიერი მკლავები ზღვაში შესულ მოცურავესავით გაშალა.

მართლაც ლანქერი დაძრულიყო მთიდან, ნაპირზე მუხლამღე შლამი დაეღეჭა. ლევანი ხარბად დააშტერდა: რაღაც საოცარი გრძობა ჩაესახა გულში, ისეთი, როგორიც გლხეს შეუძლია მიწის შეხებისას განიცადოს. თავში ნათელმა აზრმა გაუელვა, მხოლოდ ეს ლანქერი იხსნის სასტვენისათვის. ამ აზრმა თითქოს ფრთები შეასხა. აქეთიქით მიიხედ-მოიხედა. მარტოდმარტო იყო. უცებ ეს ანაზღად მოვარდნილი აღტაცება დაეფშუტა. მოაგონდა ბიკენტი ბოგველამის სულწასულობა, თესვის კალენდარული ვადები არ დამირღვიოთო. ვალიკო ბულამის სასტიკი გაორთხილებაც ჩაესმა, თესვაში ჩამორჩენას არავის ვაპატიებო. ამ აზრმა ერთ ადგილას შეაყენა. ფიქრებმა თავი დაუმძიმა. როცა ლანქერს ისევ გახედა, კვლავ ყველაფერი გადააიწყდა. თვალწინ უღვაშმოკიდებული სიმინდის ყანები აუშრილდა. მისი ზღვასავით ლავლივი წარმოიდგინა. უეცრად თავი გაიქნია. მის თვალთა ისრები ახლა ჯერ

კიდევ თოვლით დაფარულ ასხის მთის მოეღვარე მწვერვალებს მისწვდნენ. მალე, ცის გუმბათი ლურჯად ღვივოდა. ქვევით მიწას სურნელოვანი ოხშივარი ასდიოდა. თითქო მიწის ყვილიც გაიგონა; თითქოს მიწა მართლაც ცოცხალივით ეძახდა, ამ ძახილში ლევანი თავისი გულის გამამხნეველი იდუმალ ძალას გრძნობდა. მეტი რაღა უნდოდა, მიწისა და საყუთარი გულის წადილს ენა მოენახათ, ერთმანეთს შეხმინებოდნენ, ერთმანეთის სითბოთი დამტკბარიყვნენ.

ლევანს ისევ ბიკენტი ბოგველაძე გამოეცხადა, ყურში მისი ხმა ჩაესმა. ვალიკო ბულაძეც არ შორდებოდა. მაგრამ ახლა ლევანს მათთვის არ ეცოლა, გაქვავებულიყო, იგი მხოლოდ სასტვენისას გამოფიტულ მიწას ვასცქეროდა. ამ ფიქრში ალმასხანის, ეგნატესა და ბარნაბას სახეები გამოეხატა. სიამოვნება იგრძნო. ერთხელ კიდევ ნაღვლიანად შეაელო თვალი მიწასა და ლანჭერს. მერე სწრაფად კოლმეურნეობის კანტორისაკენ გაექანა. ბიკენტი არ დახვდა, ამან უფრო გაახარა. იქიდან ბარნაბას ჩაუარა. არაფერი უთხრა. ისევ უკან გამოიქცა, ბარნაბა გამოედევნა, ნეტავ რა მოუვიდაო. ორიენი ალმასხანის ეზოში ჩავიდნენ. მოხუცი ვენახში დაფარულბოდა. ეგნატესთან ბიკი გააქციეს. მალე ისიც შემოუერთდა.

ალმასხანს დამქეჩარი თვალის უბეები გაეშალა, როცა ლევანმა ლანჭერის მოვარდნა ახარა.

მოვიდა, ბიძიკო, ლანჭერი?.. — იკითხა ნასიამოვნებმა მოხუცმა და მყისვე მოიგონა, რამდენჯერ გაუხარებია მისი გული შლამიანი ცხენისწყალის ხილვას.

— როგორ მოვიქცეთ? გეგმით თესვა ორ დღეში უნდა დამთავრდეს. ბიკენტის აზრი კარგად იცით. ოღონდაც რაიკომის წინაშე ნუ შერცხვება და...

— მასზე ნაკლებ არც ჩვენ ვუფროთხილდებით თავს! — გააწყვეტინა ბარნაბამ ლეშაშელს.

— ბიკენტის გასამართლებელი საბუთი აქვს. ის ბიუროს დედგენილებას ეყრდნობა. ბულაძეც ამას უჭიჭიჭნებს. წყალი თუ მივეუშვით სასტვენიაში, სამი დღე მაინც ხომ უნდა ჩაეაყენოთ შიგ? კიდევ სამიც გამოშრობას უნდა. ორი დაჯოლვას. ორიც დათესვას. ერთი სიტყვით, ათი დღით დავაგვიანებთ ქარხნელები თესვას! — განმარტა ლევანმა.

— სამაგიეროდ დიდ მოსავალს მივიღებთ! — მოუთმენლად წამოიძახა ბარნაბა კინწურაშვილმა.

— მანამდე გაძლება არ გინდა? აქეთ ბიკენტი, იქით რაიკომი. მოდი და გაუმკლავდი შენ მათ. შეგვეპაშენ, თორემ განა არ ვიცი, რა ბარაქა მოსკდება მოშლამულ სასტვენიაში? — ოდნავ სევდიანი ხმით თქვა ლევანმა.

— შეილებო, მე მოხუცი კაცი ვარ, ცალი ფეხი სამარეში მიდგას, მაგრამ არაფრის არ მეშინია. შიში კაცს წახედნს, ჯეელები არა ხართ? რა მოგივიდათ? ვინაა ბიკენტი, რა არის ასეთი რაიკომი, რომ დამფრთხალხართ? ბიურომ როგორი დადგენილება გამოიტანა, მე არ ვიცი, არც ის ვიცი, ბიკენტი რას ფიქრობს, მე ვიცი, რომ მიწას, როგორც ადამიანს საზრდო უნდა ბაბაია, სინოყვირე ჰირდება, გული რომ გაგიხაროს. თავი და თავი, ჩვენი სასტვენიასათვის, ჩემო ლევან, ახლა შლამია. დამერწმუნეთ, რომ შლამი ოქროსავით ყვითელ ტაროებს მოგვეცემს. ამიტომ, ბაბაია, იმაზე კი ნუ იფიქრებ, საყვედურს გამოგიცხადებენ, ანდა მოგხსნიან. იმაზე იფიქრე, რომ უკეთესი მოსავალი მიიღო მიწიდან და ხალხის გული გაახარო. ხალხი კი, ჩემო ბაბაია, ყველაფერია, ცხოვრების დედაბოძია. ჰოდა, თუ დედაბოძი სახლს რკინასავით მაგარი უდგას, პატრონსაც წელი გამართული ექნება. კარგ და სასარგებლო აზრს ყველაზე უწინ რაიკომი გაგიგებს. ვინ სხედან იქ? ჩვენი მიწის კაცები ხომ? მერე ჩვენი მიწის კაცმა არ უნდა იცოდეს, რა მოუხდება იმ მიწას, რომელზედაც ფეხი უდგას! ლევანი ხარბად უსმენდა ალმასხანს.

— აღმასხანი მართალია, კარგ მოსავლს თუ მიიღებ, საყვედურს მადლობით შეგიცვლიან.

— თუნდაც პარტიიდან გამრიცხონ, ფართობში ლანქერს მაინც მიეუშვებ.— წამოიძახა ლევანმა და განაგრძო, — ურწყავში არხები ჯერ არავის გაუჭრია. როგორ ავიყვანოთ წყალი ზეგანზე?

ამ საკითხმა ყველა დააფიქრა. რა ელნათ, ხელით როდის გაჭრიდნენ არხებს?

ბარნაბას სახე გაუბრწყინდა.

— მე... მე მომინდეთ, ლევან, ამ საქმის მოგვარება!

— როგორ?! — გაკვირვებით იკითხა ლევანმა.

— გუშინ ჩაის საბჭოთა მეურნეობამ ტრანშეების სათხრელი ტრაქტორები მიიღო.

— მართლა? მერედა ჩვენ რა?

— რა და გვათხოვებენ. შენ ხალხი მოაზნადე, მე ამ საკითხს მოვავაჯრებ...

მეორე დღეს, ბარნაბამ ორი ტრაქტორი ჩამოიყვანა სასტეენიაში. ბიკენტისათვის რომ თვალი აეხვიათ, მეორე სოფლის შარაზე გამოატარეს. ბიკენტის ტრაქტორების შორეული გუგუნის და რაბრაბი კი ესმოდა, მაგრამ ისინი საყანეებზე თუ მოჰყავდათ, ეს არ იცოდა. ლევანმა სასტეენიაში ჩამოსული ტრაქტორები რომ დაინახა, ბარნაბას ხელი მაგრად ჩამოართვა.

ჯიხაიშელების არხის შუაწელიდან სასტეენიას ირგვლივ არხების შემოვლება დაიწყო. ოცი ჰექტარი ფართობი არხებით და პატარა-პატარა კვლებით დაიქსელა. თითქო ბუნებაშიც ადამიანური ხელი გაუწოდა, გათენებამდე მთვარიანი ღამე იდგა. შიდა კვლების გაყვანის შემდეგ არხს ორივე მხრიდან დამბა გაუკეთეს. ბოქები ჩაასვეს. ფარში გარბილები ჩააწყეს და დიდი საგუბარი გააკეთეს. წყალმა დაგუბების შემდეგ მალა აიწია, მერე გაჭრილ არხში დაეშვა. გათენებისას მთელი სასტეენია წყალით იყო დაფარული.

მოქანტულმა ლევანმა ზეცას ახედა, ერთგან ცის კიდეზე გვერტის მსგავსი ღრუბლების წერტილები იდგნენ. ლევანთან წინ მოიწვედა და სწრაფად იზრდებოდა. გულში უსიამო ფიქრმა გაუბრინა. შეაკრთო.

კარგად რომ გათენდა, სასტეენია წყალში ცურავდა. ლევანმა მღეროე წყალი ჰქიაში ჩაასხა. ფსკერზე შლამი დაილექა. წყალი ნელა გადმოიღვარა. ჰქიის მესამედი შლამით დაფარულიყო. განა თიხისფერი, ან საშენი სილისფერი, არა, შავი, მკვრივად მოხელოლი ცომის მსგავსი შლამით იყო საფხე.

ლევანმა შლამი მუჭში მოიქცია, მერე თითები შეუშვა, მაგრამ შლამი კი არ დაიშალა, ისევ შეკუმშული დარჩა.

მთელმა ქარჩხეთმა გაიგო ის ამბავი, რომ ლევანმა სწორედ მაშინ მიუშვა საყანე ფართობში წყალი, როცა ის უნდა დაეთესათ. ბოგველაძესაც სწორედ ამ დღეს უნდა ევატაკა რაიკომისათვის თესვის დამთავრების შესახებ. მაგრამ დახეთ, ლევანმა როგორ მოულოდნელად უმუხთლა, ყელი გამოსჭრა, თავზე ლაფი დაასხა და სამარცხვინოდაც ჩამოარჩინა. გაპირქუშებულ ბოგველაძეს მადლობა თავისთავად გამოცლოდა ხელიდან, მაგრამ ახლა მეორე საზრუნავი გასჩენოდა, თავი არ წაეგო.

ქარჩხელებს კი სჯეროდათ, რომ ლევანის ამ წამოწყებას უთუოდ დიდი მოსავალი უნდა მოჰყოლოდა.

ღიახ, ასე ფიქრობდნენ ქარჩხელები. ლევანსაც ჩასწვდომოდა ეს ფიქრი და ამიტომ იყო, ღამითაც არ შორდებოდა წყლით დაფარულ სასტეენიას. მუხლამდე ტბორებში ტრიალებდა. ახალგაზრდებს ამხნეებდა, ათამამებდა, ყოველ წვრილმანს საკუთარი თვალით ამოწმებდა.

ამ ამბავმა ბიკენტი კინლამ ჰქუაზე შეშალა.

მაშინვე ლევანისკენ გაქანდა, მაგრამ ამოოდ, ასეთ დროს ლევანს შინ ვინ მიუსწრებდა. საკუთარ თავზე გაბრაზდა და სულმოუთქმელად ისევ სასტეე-

ნისკენ გასწია. დათესილი მიწის მაგიერ შეტბორებული წყალი რომ დაინახა, გული შეუთანადრდა.

ლევანი წყალში ჩამდგარიყო. აღმასხანი და ეგნატე მიწაყრილთან გამოეჩინა წყალს სასულეს უკეტადუნენ. ბარნაბა და ლევანი უცებ ერთ ადგილას გახედდნენ. ხელები ცხენისწყლისაკენ თავისთავად დარჩათ გაშვერილი.

ბოგველაძეც მალე წამოადგათ თავზე.

— ადამიანო, გაგიყდი, თუ რა გჭირს?! — ესლა მოახერხა ბიკენტიმ.

ლევანი ადგილიდან არ დაძრულა. რაკი ბრიგადირმა მოსვლა არ იკადრა, მაშინ ბიკენტი თვითონ მიეჭრა მას. თვალები გადმოაკარკოდა, სახეზე მკვდრისფერი დასდებოდა.

— ადამიანო, ეს რა გჭინია! — თითქოს ბრიგადირის სახელი დავიწყებიაო, ისე იმეორებდა „ადამიანოს“.

— რა იყო, ამხანაგო ბიკენტი, — მშვიდად ჰკითხა ლეშაშელმა.

— რა იყო!

— ჰო, რა იყო-მეთქი! — გულუბრყვილობით დაატანა ლევანმა.

— ეს ზღვა ვინ მოაყენა სასტვენიას!

— ჩვენ!

— მერე-და არ იფიქრე, დასათესი რომ იყო? ახლა ამ გაწამაწიაში წყალი უნდა მიგეშვა შიგ, თუ თესვა უნდა დაგემთავრებინა? ეს რა საქმე მიყავი. ეს ხომ მაენებლობაა და მეტი არაფერი. რა ვუთხრა ამხანაგ ვალიკო ბუღაძეს? ჰა, ჰა... — ველარ დაასრულა სიტყვა ბიკენტიმ.

— დაწყნარდი, ბიკენტი! — ახლა ბარნაბა ჩაერია მათს დავაში.

ამაზე ბიკენტი სულ გადაირია. სიბრაზისაგან ქვედა ყბა აუცახცახდა.

— ცუდი არაფერი მომხდარა. დამშვიდდი, აბა, ამ უხეირო ნიადაგში თესლი ხომ ვერ ივარგებდა. მოვშლამათ და მოსავალსაც უხვს მოვიწყვთ, ბუღაძესთან მე მიმიშვი, შენ მაგისი შიში ნუ გაქვს — შეეცადა ლევანი ბიკენტის დამშვიდებას.

— როგორ, მე მიმიშვიო? ვინ ბარნა, შენ, თავმჯდომარე, თუ ბრძველირი? — უფრო გაშმაგდა ბიკენტი.

— მე თავმჯდომარეობას არ გეცოდები, მაგრამ ამ საყენების მოშლამვაში ნუ შემედავები.

— არამც და არამც! თვალში სინათლე ხომ არ დაგეკარგა, აბა, გახედე ცას, როგორი ღრუბლებით ივრანება, წვიმას რომ დაუშვებს, მაშინ სად მიდიხარ, სველი მიწა როდისდა უნდა გამოშრეს, შე თუახქორო!

ლევანმა ღრუბლით დაყურსულ ცას ახედა და მიხედა, რომ წუხანდელი მისი შიში გამართლდა.

ცხადი იყო, სულ ცოტა ხანში წვიმას დაუშვებდა.

ნირი მაინც არ გაიტეხა.

— მით უკეთეს!

— ადამიანო, ხომ არ გაგიყდი, გამეცალე აქედან. მე ვიცი, რასაც ვიხამ ახლა, მომწყდი, მომცილდი-მეთქი! — იქუხა ბოგველაძემ და არხის სათავისკენ გაექანა. მიზბოლა ბიკენტი და მალიმალ უკან იხედებოდა. ბიკენტი არხში ჩაწყობილ ფიცრებს ეცა. ერთი მათგანი ამოიღო, წყალი შხუილით დაეშვა ქვევით, ახლა მეორეს მიწვდა. საყენეზე მიშვებულმა წყალმა პირი უკან იბრუნა. ამასობაში მასთან ლევანიც მიიჭრა.

— ხელო, ხელი გაუშვი, ბიკენტი, ფიცარს, თორემ...

— გამეცალე აქედან!

— ხელი გაუშვი-მეთქი! — წამოენთო ლევანი, როცა ბიკენტიმ მესამე ფიცარიც ამოაძრო ფარიდან.

ლევანი ერთი კი შედგა, მაგრამ მერე ისეთი ნახტომი გააკეთა, რომ ბარნაბამ თვალიც ვერ შეასწრო, თუ როგორ აფთარავით დაესხა იგი თავს ბიკენტი ბოგველაძეს. არე-მარე დამფრთხალი ბიკენტის არა ადამიანურმა ღრიალმა შესძრა: „მომკლესო“, და ამ ხმაზე აღმასხანი და ბარნაბა წამოადგათ თავზე. ლევანმა მარცხენა მუხლზე წამოიჩოქა და ისე მძლავრად მოიქნია ბიკენტი, რომ ბარნაბა არ მიშველბო-

და, მდინარეში მოადენინებდა ზღარ-თანს. ბარნაბა მიხვდა, რომ ეს ჩხუბი ცუდად დაბოლოვდებოდა და ამიტომაც ჩაღვა მათ შორის. მიწას მოწყვეტილი ბიკენტი მოსალოდნელ გასაჭირისაგან იხსნა.

— ბიკენტი კაცო, რას შერები, რამ გადაგრია.

— გადარეული და გიჟი სწორედ შენა ხარ ბებერო, ამ თავჭირიანებს რომ აპყოლიხარ! — დაემუქრა აღმასხანს თავმჯდომარე.

— რა გაყვირებს, თავმჯდომარე, მოდი და ნახე, რა ძვირფასი შლამი დასტოვა წყალმა, — დაუყვავა ეგნატემ და ხელი ფართობისაკენ გაიშვირა. მართლაც სასტვენისა შლამი ერთიანად მოსდებოდა.

— არა, მოდი, მოდი, შეხედე, დატკბი რა შლამია! — მადანზე მოსულივით შეევედრა ეგნატე.

გაოგნებულ ბიკენტის არაფრის მოსმენა არ სურდა. ლევანს სამივე ფიცარი დამბასთან მოეთრია და ფარში ჩაეწყო. ამის შემხედვარე ბოგველაძემ ერთხელ კიდევ მიიხედ-მოიხედა და მერე დამდულრულივით გაიქცა.

— წავიდეს, წავიდეს!

— გვიჩივლოს.

— ხატი არ დაგვაჭრას ყურებზე! — იძახდნენ იქ მყოფნი.

ფართობში ისევ შხუილით მიდიოდა ლანჭერი.

— პა, მამ ბულაძესთან გაიქცა არა? გაიქცეს, გაიქცეს! — იმეორებდა ტალახში ამოსვრილი და წელამდე გაწუწული ლევან ლეშკაშელი.

— ვერაფერსაც ვერ გვიზამს! — თავს იხუტვებდა ბარნაბა.

• •

რაიკომის მდივანი ბიკენტის ადგილზე არ დახვდა. აღმოფთებულმა და აფორიაქებულმა მისაღებ ოთახში ბოლთისცემა დაიწყო. თვითონ ხომ ვერ ისვენებდა და ბულაძის პირად მდივანს კოპწია, თვალბეჭკრიალა ვოგონასაც

არ ასვენებდა. ერთხელ ნათქვამს მე-ხუთედ იმეორებდა და გაყვირებული, მხრებზეაჩილი ვოგონაც თავს უარის ნიშნად აქეთ-იქით იქნევდა.

ამ დროს, სადღაც შორეული ყრუ გრგვინვა გაისმა. ქუხილი თანდათან ახლოვდებოდა. უცებ ბიკენტის თვალწინ გაიელვა და სულ ახლოს ისე მძლავრად დაიჭექა, რომ ბოგველაძე მოულოდნელად შექანდა. ცოტა ხანიც და საშინელ გრგვინვას უეცრად წამოსული თქეში მოჰყვა.

ლევანი ამ დროს ისევ არხის თავთან იყო. ვერც წვიმასა და ვერც ქუხილს ვერ მოეშორებინა იგი ამ ადგილისათვის. საგონებელში ჩაეარდა, მოეკეტა წყალი თუ არა სასტვენიაში! აღმასხანი იმ აზრისა იყო, რომ მოეკეტათ.

ძალიან დიდი ხათრი ჰქონდა ლეშკაშელს მოხუცისა, მაგრამ ამჯერად მასაც ვერ დაეთანხმა. მას ეგონა, წვიმა დღესვე გადაიღებს და წყალს მერე მოგვეტავო. მაგრამ მერმე წვიმამ უფრო რომ დასცხო და ერთი წუთითაც არ შეუსვენია, ამან ლევანი შეაშფოთა. რა ელონა, აღარ იცოდა, ბიკენტი ხომ გადაუღდა და გადაუღდა. ეს კარგი, მაგრამ ეს ბუნებაც რომ ლალატობდა? ცეცხლზე ნავთს უსხამდა. აი, სწორედ ამაზე წყდებოდა გული ალალ-მართალ კაცს. მართლაც-და, როდის უნდა ჩაეყარა მარცვალი?

ასეთ ფიქრებში იყო, რომ რაიკომის ბიუროს სხდომაზე გამოუძახეს.

ლევან ლეშკაშელი დინჯად შევიდა რაიკომის მდივნის კაბინეტის მოსაცდელ ოთახში. დელავდა, მაგრამ არ იმჩნევდა. ბიკენტი ბოგველაძე იქ დახვდა. მისკენ ერთხელაც არ მოუხედავს, ცოტა ხანში ორივე შეიყვანეს სხდომაზე...

ვალეკო ბულაძე ფეხზე იდგა, და ისე ატარებდა სხდომას. ლევანი მაგიდის წინ გაჩერდა. ბიკენტი კი მისგან ცოტა მოშორებით გახევდა. მდივანმა ვანყოფილების გამკვეს მისცა სიტყვა. მან თქვა, რომ ქარხნეთის კოლმეურნეობა თესვაში სამარცხვინოდ ჩამო-

ჩაო. ყველაფერში ბოგველამეს დასდო ბრალი. მანდატი, მანდატიო, თავისთვის ჩაიხურჩულა ბოგველამემ და სულ მოიკრუნჩხა, დაპატარავდა. ბულამემ სიტყვა ბოგველამეს მისცა.

— ამხანაგო მდივანო, ჩემი ბრალი არაა, რომ...

— აბა ვისია? — გააწყვეტინა სათქმელი მდივანმა.

— კოლმეურნეობაში ჩემს გარდა სხვებიც არიან.

— როგორ სხვებიც არიან, ვისზე ლაპარაკობ? — შეუწყრა ბულამე.

— პასუხი ლევან ლეშკაშელმა აგოს. მან ჩამავდო ამ დღეში, თორემ მე საათივით მქონდა აწყობილი საქმე. სამი დღე აქ არ ვიყავი. სწორედ მაშინ მოუშვა წყალი დასათესად გამზადებულ ფართობში, ახლა ხომ ხედავთ, რა წვიმაა, ვინ იცის, როდის გადაიღებს და როდის გამოშრება მიწა?

— ბოგველამე არ ტყუის! — ჩივსა ყურში ბიკენტის მტეხის დირექტორის ხმა. ამით გამხნეებულმა უფრო გაბედულად განაგრძო: — ისე გავიდა თავს ლეშკაშელი, რომ აღარ ვიცი ვინ არის თავმჯდომარე, მე თუ ის? დამაჯდა თავზე, თვითნებობს, ჩემდა დაუკიათხავად მოქმედებს. ამოდევით ლაკამი ამ თავგასულ კაცს, თორემ დაღუპავს კოლმეურნეობას.

— არ იცი ვინ არის თავმჯდომარე შენ, თუ ლეშკაშელი? — უთხრა მდივანმა და წარბი შეიკრა. — კარგი, დაჯექი. — ლევანს მიუბრუნდა. — მოახსენე ბიუროს, ამხანაგო ლევან, რა მოხდა, რაში ვდებს თავმჯდომარე ბრალს!

— ბოგველამეს უნდა რაიკომიც მოატყუოს და კოლმეურნეობაც, მაგრამ ამის საშუალებას არ ვაძლევთ და ამიტომ გვემდურისი წარმოთქვა ლევანმა.

— რაო, რას ამბობ? აი ცილისწამება. რაში მოვატყუე მე რაიკომი? — ხმა გაეზარა ბიკენტის.

— დიახ, ატყუებ! — მოუტრა სიტყვა ლევანმა.

— რაში, თქვი, რისთვის არ ამბობ? — წამოიყვირა ბიკენტი.

ლევანმა ყურადღება არ მიაქცია ბიკენტის და განაგრძო:

— ბოგველამეს ფორმალურად უნდა რაიკომის დავალება შეასრულოს, მე კი — საქმიანად, ნამდვილად. ბოგველამეს უნდა თესვა ადრე დაამთავროს, მაგრამ იმას კი არ კითხულობს, რომ მიწა არაფრად ვარგა, გამოფიტულია, ერთი ვოდორი სიმინდიც არ მოვა მასზე, ვანა ეს მოტყუება არ არის ხალხისა და პარტიის? ვანა ეს თვალის ახევა არ არის?

— მოტყუება რა შუაშია! — გამოვდავა მტეხის დირექტორი ლევანს.

— გეძებხათ? უვარგის მიწაში ჩაგდებული მარცვლი არავითარ ნაყოფს არ მოგვეცხს. ასე იყო წინა წლებში, ასე უნდა წელსაც ბოგველამეს. თესვის ვადებს არ არღვევდნენ, გეგმებს ჰექტარების მიხედვით ასრულებდნენ, მაგრამ მოსავლს ვერ იწვევდნენ, თქვენც, ამხანაგო ბიუროს წევრო, ამხანაგო ესტატე, რომ ამბობთ, მოტყუება რატომო, თქვენც მიგიძღვით ბრალი ამაში, — ამით მან რაიკომის მთელ ხელმძღვანელობას გადაკრა, ეს პირველ მდივანს არ გამოპარვია, მაგრამ არაფერი უთხრა ლევანს. ლეშკაშელმა ისევ განაგრძო: — მე ასე არ მინდა, მე ვერც რაიკომს და ვერც ხალხს ვერ მოვატყუებ. მე მინდა, რომ ოფლი ტყუილად არ დაიღვაროს. რაკილა ლანქერი დავინახე მდინარეში, ეს კი ვიფიქრე, რა დღე დამადგებოდა, მაგრამ ვერ მოვიტყუე და წყალი ფართობში მივუშვი. მერე რა გაფუჭდა ამით? წამობრძანდით და ნახეთ, თუ რა სიმდიდრე დატოვა სასტენიაში ცხენისწყალმა! ნახეთ ბოლოს, რა მოსავალი მივიღოთ იმ ფართობზე! — თქვა ლევანმა და ბიუროს წევრებს გადახედა.

(გაგრძელება იქნება)



ხედოვნების შორეულ კვდებთან*

ღარბახში შესვლისთანავე თქვენს ყურადღებას იქცევს ბიუსტი, ორ დიდ ადამიანს ერთმანეთთან ზურგმყარდნობილად რომ გამოხატავა. ესენი არიან ცნობილი პერსონაჟი ისტორიკოსები თვითდღე და პეროდოტი. ქანდაკება თარიღდება მერ საუკუნით და უთუოდ მნიშვნელოვანი ძეგლია თავისი ორიგინალობით. მის ხელმარცხნივ დგას სოკრატეს ბიუსტი, ამ გავრცელებული და ტრადიციული სახით, როგორცაც ამ დიდმა ადამიანმა ჩვენამდე მოაღწია. ეს ბიუსტი ორიგინალია და შესაძლოა ის დღემდე საფუძვლად დევნდეს არსებულ სოკრატეს გამოსახულებებს. როცა იხსენებთ სოკრატეს პიროვნებას დახასიათებთ და მისი სახას აღწერას, რომელიც მოცემული აქვთ მის მოწაფეებს, განსაკუთრებით კი ქსენოფონტე ათინელს, ვევი აღარ შეგებარებთ, რომ ეს ბიუსტი ფილოსოფოსს ძალიან ზუსტად და უნდა გამოსახავდეს.

სოკრატეს ბიუსტის გვერდით დგას პომპროსის ბიუსტი. ეს ის სახეა, ყველგან რომ გვინახავს და როგორცაც პომპროსის ლეგენდარული სახე დარჩა კაცობრიობას. ბრძოლაში, ოღონდ ზევით აწევდა სახით, — აღბათ, ეს ბიუსტი გამოიყენეს ფერმწერლებმა და მოქანდაკეებმა შემდეგ ეპოქებში, როცა „ილიადას“ ავტორის სახეს ძერწავდნენ.

ქვეყნულანდში უსოვით დემოსთენის მეგობარი პოეტის ემინის ბიუსტი. იგი ისე ცოცხლად და მოპრავად გადმოსცემს სახეს, რომ უშუალოდ ეს ერთ-ერთი ძვირფასი ანტიკური ნაწარმოებია.

მთელი დარბახი საესვა შესანიშნავი ბიუსტებითა და ქანდაკებებით, ყველა ისინი პერკულანდშია და პომპროსია ნახულო, ბევრი ორიგინალია, ბევრი კიდევ ორიგინალის ტოლფასად ღირებულ ასლი, და თუ გინდათ ზუსტი წარმოდგენა მიიღოთ ძველ ბერძნულ ან რომაულ ქანდაკებაზე, აქ უნდა მიხედოთ, რათა ყველაფერი საკუთარი თვლით ნახოთ.

ხელოვნების უნივერსალი ძეგლებით ნასიამოვნები გამოდგინათ გარეთ და ერთბაშად ვხედებით შხამუნა წვიმაში. ეს პარფეილი წვიმა, რომელიც იეროპოს ცამ გამოვლავდება.

გაიღვივოთ ნეაპოლის მთავარ ქუჩაზე, შემდეგ ეწერო ქუჩით მივემართებით, და საინტე-

რესია, რომ კინო-თეატრის რეკლამებს შორის განსაკუთრებით იქცევს ყურადღებას ერთი რეკლამა, იგი მდიდრულად ჩაყრულ ძველ რომაელს გამოხატავს, დიდი, სისხლიანი თვალებით, მაგრამ ახლა მზიარული. ეტყობა ამ რომაელს რაღაც მოსწონს, რასაც მარცხენა ცერის აწევით აღასტურებს. ვიცინით, რომ ეს ავადსახსენებელი წერონია, რომელმაც ძველი რომი დასწავა.

სწორედ ამ ძველ რომს მოგვაგონებენ ნეაპოლის ეიწრო ქუჩები, მისი ძველი კვარტალი, სადაც ფეხის ყოველ ნაბიჯზე დაისახლისებს სარკები გამოუფენიათ. წვიმის მიუხედავად, სარკები ისევ ვარეთ არის დარჩენილი, და ყველაფერი კინო-სურათებში გვინახავს. ის იტალიურ კინო-სურათებში გვინახავს.

ბევრგან შეხედებით ფართო კაბეებს, ქუჩაში მოწყობილ ღია ბაზრებს, პროდუქტებს რომ უფთხებში აწევია. ყველა ეიწრო ქუჩები აწევია, ხალხი წვიმისაგან თავსესაფარს ეძებს და ვარბის.

ახლა უკვე წვიმა კოკისპირულად ასხამს. ბევრს ქოლგა გაუშლია, ბევრი კიდევ ამ თავსმაში უქედო დარჩენილია. ხელმარცხნივ დავინახეთ სკოლის შენობა, საიდანაც ბავშვები გალიმებულა სახით უცქეროდნენ წვიმის შხამუნა და ადამიანების გაქცევა-გამოქცევას. ეტყობა, შესვენებაა, და ვინაიღო ბავშვები გზოში ეერ გამოდიან, ხალისიანად ერთობიან ამ სანახაობით.

იწყება ახალი ნეაპოლი, მისი ახალი კვარტალები. ავტომაწანა თანდათან მალაობზე აღის, და იერ ერთბაშად აღმოენდით მზიან, მშრალ ზონაში, დაბლა კი ისევ კოკისპირულად ასხამს. მიუხედავად ამისა, მაინც კარგად ჩანს ამ გორაკიდან ნეაპოლი წვიმაში, მისი მთელი პანორამა, ძველი და ომის შემდეგ აშენებული ახალი სახლები, ხეივანები, ბენენის სადგურები, რომლებიც ძალიან ლამაზია.


ჩანს მთავარი მოედანი ზამბილელი და აქედან ბევრგან ეტყობა, რომ ქუჩები ეიწროა.

მაგრამ ყველას გვაოცებს ნეაპოლის წვიმა. ისე ასხამს, თითქოს ცას პირი მუღხსნა და მთელ თავის მარაგს ახლს ხარჯავსო.

ირგვლავ ყველგან მწვანე ყვლუზებია.

როცა მანქანამ მოუხვია, დავინახეთ, რომ ნეაპოლის საერთო ხედი ნისლსა და წვიმაში იყო დაფარული. მანქანის მძღოლი წუხს, აქე-

* გავრცელება. იხ. „მნათობი“ № 4, 5, 6, 7, 9.



დან ძალიან ლამაზი სანახაობა იმლება, მაგრამ ცუდი ამინდი ხელს გვიშლისო.

ვაჩერებთ მანქანებს და ვაღმოვლივართ მოედანზე, სადაც სუვენირებისა და სხვა ფართო მოხმარების საქონლის მაღაზიებია. ამ მოედანიდან ნეაპოლის პანორამა ისე კარგად ჩანს, როგორც თბილისი მამადავითის ან ფუნიკულორის პლატოდან. მაღალი ხეები, ვრძელი ტანიოთა და კუნწარბოვ მოქცეული შტოებით, ნეაპოლის საერთო ხელის დამახასიათებელია.

აღვიდა, სადაც მოვედით და საიდანაც ნეაპოლს ამ თავისშიში ვათვალიერებთ, სანმარტინოს მოედანია.

მანქანებიდან ვაღმოსვლისთანავე შემოგვხვებენ ხელზე მოვაჭრენი, სპეკულანტები და გადაყიდველები, რომლებიც ხელის ყუთებში ჩაწყობილ თავიანთ საქონელს, მართალსა თუ ფალსიფიცირებულ ოჭრის საათებს, გუთაფანობენ, სუვენირებს გვიჩვენებენ. გვევაჭრებიან და გვეძალებიან, შეადევლებს ეძებენ, შხად არიან თქვენგან ყოველგვარი ფასი მოისმინონ, ოღონდ კი ვაჭრობა გაიმართოს. ოჭრის საათებს (ცხადია, ფალსიფიცირებულს) ვიფასებენ 15, 20, 25 ლირადა, შემდეგ კი 5 ლირად მოგვიყვან, ოღონდ აყლად. პირდაპირ გატარებულნი ვაჭრობაა გამართული და სანმარტინოს არ გაძლიერებს. ყველაფრიდან ჩანს, რომ შეიდეგლი ნეაპოლიშიც ბევრი არ არის.

დრო სწრაფად მიდის. უკვე საუბროდ ჩანს ნეაპოლის პანორამა ამ მალეობიდან. ისილი სწრაფად იფანტება და ყველაფერს ნათლად ეხედავთ. სანმარტინოს ქვეყნისათვის დამახასიათებელი ბუნება ნეაპოლიშიც გვიჩვენებს თავის ბრწყინვალეობას.

მარჯვნივ ჩანს ზღვის ყურე გემებითა და ნავეებით სავსე. მოედანზე მიმოდიან ერთტყეხნიანი, მალაბორბლიანი ურბები მოკლარუნე ეფენები. ერთტყეხნიანი ურბოთა მძღოლები ეფენებრთვლა ვრძელ მართას ატლამუნებენ და ცხენებს ერეკებიან. მათ შეხედვამე ისეთმა გრძნობამ შეგვეპყრო, თითქოს ისინი ჩვენს დროში შენაბუნებებიდან შემოვიდნენ.

სანმარტინოს მოედანი სულ რამდენიმე წუთში გადაყიდვულებითა და სპეკულანტებით ვავისო. პირველად ორი-სამი კაცი იყო, ახლა კი 30-ზე მეტი მოსულა. ალბათ, აშდენი ხალხი რომ დაინახეს, ერთბაშად მოაწყდნენ ტურისტთა ნაკადს. ისინი ჰმატრობენ და ვაჭრობენ, კლავტებს აჩენებენ და ეძალებიან. ჩვენი თვალისათვის ეს სრულიად ეგზოტერული სურათია. მაგრამ მის ყურებას მიიწე ვაობია ნეაპოლის პანორამას უცქირო და სანმარტინოს გორაკზე ვაშენებელი ვაზი, ღვინის ბუჩქი, ლიმონის, ბაღები და წაბლის პატარა ტყეები ათვალიერო. ისინი ტერასებს შეუდრიან, როგორც ჩვენს მშენებერ აქარასა და აფხაზეთში.

ორგველი მაღალი ხეებია და მეტ სილამაზეს

აძლევს ნეაპოლის პანორამას. ჩვენს უკან ხეებით კლდებზე, რაღაც უძველესი შენობები, რომლებიც ამაყად დავაუბრებს და ასევე ათვალიერებენ ჩრის ნეაპოლს.

სწორედ ამ დროს მოედანზე შემოვიდა ტროლეიბუსი, შემდეგ მეორე და მესამე. ტროლეიბუსებს აბრუნებენ წრეში და გვესმის კონტაქტორის ხმა — იგი მღერის ნეაპოლიტანურ სიმღერას. არც თუ ცუდი ტენორია, და ზვეს სიამოვნებით ვისმენ ამ მშვენიერ სიმღერას. საერთოდ, იტალია სიმღერებით ვანთქმულია, და უოველ იტალიელს თავის მოვალეობად მიიჩნია მღეროდეს.

ის ძველი შენობა, რომელიც ზევიდან დავაუბრებს, თერგი სანმარტინოს ციხე-სიმაგრე ყოფილა. აღშენებულია მე-13 საუკუნეში, ახლა კი მოწყობილია მუზეუმი, სადაც თანამედროვე ქანდაკებებია გამოფენილი. როგორც ვეთიარვს, ეს გორაკი ნეაპოლში ყველაზე მაღალი ადგილია, მას ვიშვრო ეწოდება. ვასაგებია, თუ რატომ მიიწედათ ამ მიღამოებში ააშენეს სანმარტინოს ციხე-სიმაგრე.

გბრუნდებით უკან და ვათვალიერებთ იტალიელი კომპოზიტორის სკარლატის ქუჩას, რომელიც ნეაპოლში ერთ-ერთი მთავარი ქუჩაა, მართალაა, ნეაპოლში ქუჩები საერთოდ ვიწროა ეს ქუჩაც ძალიან ფართო არ არის, მაგრამ ლამაზია. აქ თქვენ ნახეთ ყოველგვარ მაღაზიას, აჭრელებულს რველამებითა და ილუმინაციებით ეს ქუჩა ვაცილებით უფრო სუფთაა, ვიდრე ნეაპოლის რომელიმე სხვა ქუჩა. მის მარჯვნივ პარალელურად გადის ახალი ქუჩა, ახალი სახლებითა და სხვა ნაგებობებით. მისი მშენებლობა ახლაც ვრძელდება თითოეულ სახლს ამშვენებენ მწვანე ნარგავები, პატარა სუვერები, რომლებიც ნეაპოლში ეტყობა უფრო და ბევრიც ვაუშენებიათ.

მარცხნივ ვაღვივართ დანელოს ქუჩაზე. იგი ქალაქის ყველაზე მრისხნელოვანი, ყველაზე ლამაზი და მდიდარი რესტორნების ქუჩაა. აქედან კაბრიც კარგად ჩანს, ისე ახლოსაა, რომ ვგვიწინება, რამდენიმე წუთში მივალო, მაგრამ იქ მისვლას გემში სათანაბურავი მიიწე სჭირდება ნეაპოლი ძალიან ჰგავს სოხუმს, ამ ქუჩიდან კი იგი დიდ სოხუმად ვეჩვენება, განსაკუთრებით — ზღვის ფონზე.

ვეშვებით დაბლა ვხედავთ სახლებს ორიგინალური შესავლულებით. ძველი და ახალი ყველგან ისე ვამოიყურება, რომ რწმუნდები, თუ რამდენად მართალია, როცა ამბობენ: მთელი იტალია მუზეუმს წარმოადგენსო. იგი, მართლაც, მსოფლიო მუზეუმია, სადაც ანტიკურმა წარსულმა თავი შეადგრა.

ყველაფერს აქ სილამაზესა და მიზიდველობას აძლევს ტერასებზე ვაშენებული მსხვილ მტვერებიან ვენახები, ლიმონისა და მანდარინების ნარგავები, ფორთოხლისა და ტრიფოლიტის ხეები. თვით ქალაქი დიდი ჩანს, და ჩვენ

არ გავეყვირებოდა, როცა შევიტყვევებ, რომ ნეპოლიში 1 მილიონ 200 ათასი მცხოვრებელია, შატრაი კაბრიზე კი მხოლოდ 12 ათასი.

აყვირებდი აქაურობას და ხედავ ტერასებზე გაშენებულ პალატებს, დიდსა და ფართო ქვის კაბებს, რომელიც ტერასს მიჰყვება. სახლებსი მშენებლობა, ეტყობა, ფართო მასშტაბით მიმდინარეობს. ამიტომ ხარბობდა ბევრია. მარცხნივ დავანახე ამერიკული სკოლის შენობა და ვიხსენებ, რომ დაუფარავს, რომ ამჟამად მთელს იტალიაში, კერძოდ კი ნეპოლში, ძალიან ბევრი ამერიკელი საშენებლოა, იმდენად ბევრი, რომ მარტო საშენებლოთა შვილობილსათვის აქ საშენებლო სკოლებია გახსნილი.

მარცხნივ ნეპოლის ახალ კვარტალს ვხედავთ. იგი ლამაზია, სახლებიც კარგი, მაგრამ გიღმა აქ კი ისე იტრია, რომ მისი სიტყვები არავის დაუჯერებია. გვითხრა, თითქმის ეს სახლები მუშენებისათვის იყოს აგებული და აქ ბინა ძვირი არ ღირდეს — თვეში 14-15 ათასი ლირა ღირსო. მუშა კი თვიურად ღებულობს 60 ათას ლირას. მაშასადამე, ხელფასის ერთი მეოთხედი ბინაში უნდა გადაიხადოს. ჩვენ ძალიან კარგად ვიცოდით, თუ რა აუტანელ პირობებში ცხოვრობს იტალიელი მუშა. ამიტომ ძნელი არ იყო გავვეგო, რომ სახლებს, რომლებიც გიღმა გვიჩვენა, ამწებდნენ არა მუშების, არამედ ბანკების ან კიდევ სხვა დიდი დაწესებულებების მსხვილი მოხელეებისა და თანამშრომლებისათვის. მთელს იტალიაში კი საშინელი საბინაო კრიზისია.

უკვე გავედით სახელგანთქმული იტალიელი რომანტიკოსი მწერლის ალექსანდრე მანცონის ქუჩაზე. იმ კვარტალში ვართ. სადაც მუშა-მოსამსახურენი და ბანკების თანამშრომლები ცხოვრობენ. ირგვლივ ბევრი მწვანეა. როგორც სავსეოდ ნეპოლში, აქაც მაქსიმალურად გამოყენებულია მიწის ყოველი ნაჭერი. სხვა ქალაქებისაგან განსხვავებით, სახლები აგებულია თეთრი აგურით, რაც აქაურობას მეტად თავისებურ ელფერს აძლევს.

ისევ გამოჩნდა კაბრი და სორენტო. მარცხნივ პატარა ვენახების რაგი მოჰყვება სახლების გვერდით ასევე პატარა ეზოებს. მანდარინისა და ღომინის ხეები ამშვენებენ უმრავლეს ეზოებს, ხოლო ბევრ სახლს ვაზი შემოუკრავს, როგორც ულამაზესი მანდილი. ძირს კი, ჩვენს ხელმარჯვენა, ჩამომსხმელი ქარხნის კორპუსები ჩანს. მიღებიდან ამოსული კვამლი გვეღვივთ იჯალკუნება და ნეპოლის პანორამას ემატება ვეზუვის ბოლოდან ერთად. ვხედავთ პატარა კუნძულებს ნიზიდასა და ტიშტიას. კიდევ უფრო ქვევით — ეგვიპტის ქაჩახანს, რომელსაც უმაღლესად გამოიყენებოდა მისი ვარჯვენული სახით.

შევიდევართ პარკში, უცნობი ჯარისკაცის საფლავის სანახავედ და ნეპოლის პანორამის თვალგადასაყვამად. პარკის ვრცელ ტერიტორიაზე, სადაც ბევრგან ახლად ამოთხრილი ორმოები დაინახეთ, ახალგაზრდა იტალიელი ჯარისკაცი-

ბი საბრძოლო იარაღებით სამშენებლო მუშაობას გადიოდნენ. ჩვენი მოსახლესთანვე მათ მეცადინეობა დაამთავრეს და ტრენტინს დატოვეს.

ამ ფონზე ძველი რომაული ტერიტორიისა და ბუნების სანახაობათა ფონზე უფერული საშენებლო პერიოდი უსიამოვნო გვეჩვენა. ერთი მხრივ, აღამაინებო კულტურის დამამტკიცებელი ცოცხალი მოწვენი, რომელნიც ვამთავრებ ვადარჩენენ, მეორეს მხრივ კი მისი მოსპობისა და დანგრევისათვის მზადება, მთელი ეს სურათი როგორცდაც საშინელ კონტრასტად წარმოუდგა ჩვენს თვალს და გულმა უცნაურად იჭყო ძველი.

ამიტომ იქაურობას მაღე გავეცალეთ და შევხედეთ კუნძულ ბაიას, რომელიც მე-10 საუკუნეში აოხრებისა, აკლებისა და დანგრევის მსხვერპლი გამხდარა. იქ ყოფილა ქალაქი, ვულკანის მოქმედებით დაფარული. გვიჩვენეს სულფატარას ვულკანიც, შემდეგ კი ისევ ნიზიდა, პატარა კუნძული, რომელიც ნეპოლს უერთდება წყალზე გაყვანილი ხელოვნური გზით, ქუჩის მოვალეობასაც რომ ასრულებს. თვით კუნძულზე ორ ათეულამდე სახლი იქნება, ყოველ შემთხვევაში, აქედან მეტი არა ჩანს. სანახაობა კი მეტად ლამაზი და თავისებურია. მთელ ნეპოლს ხელისგულვით დასცქერი ვეზუვის ფონზე და უველიდურს გარკვევით ხედავ.

საინტერესოა პარკის ნაპირი, რომელიც მიდამოს გადაყურებს. იგი გამაგრებულია ბეტონის ტერასებიანი კედლებით. ეტყობა, დიდი შრომა და ასევე დიდი ხარჯი გაუწვივიათ პარკის გარე ნაპირების გასამაგრებლად, მაგრამ არც ერთს და არც მეორეს ამოდ არ ჩაუვლია. სანახაობა, რომელსაც აღამაინი აქედან იხილავს, და სიამოვნება, რომელსაც აქ განიცდის, უთუოდ ღირს იმ ფასად, რაც უკვე მოვიხსენიეთ. შესაძლოა, ამან გააცხოველა ჩვენი ფოტორეპორტიორების მუშაობა: ისინი დარბიან, იღებენ და ისევ დარბიან, ემებენ მოხერხებულ წერტილს, არჩევენ კადრების ვარიანტებს, უველიდური სურათ გადაიღონ და მოთავსონ მკარანობიარ ფოტო აფსკზე.

პარკის ამ მოწინავე ლატეად ჩაქმული, პირდაპირ ძონებში გახვეული აღამაინები, ქალი და ცაცი, მოხუცი და ახალგაზრდა ყიდიან კოცა-კოლას, ყვავილებს, კაეტუსის ყვითელ ნაყოფს, თითონაც უმად და მყიდველს უჩვენებენ, თუ როგორ უნდა გათალონეს ნაყოფი, რომ მისი გული მიიჩთვან.

ამ სურათში ჩვენ კიდევ უფრო დავგარწმუნა, რომ იტალია საკმაო ნაწილში ტურისტების ხარჯზე იმყოფება და აქედან მას დიდი შემოსავალი აქვს.

გვინდა ვიცოდეთ, თუ რა ეწოდება ამ ადგილს, სადაც ყოველივე ამას ვხედავთ.

გვეუბნებიან პოზილიოო ქვიკაო.

მართლაც, მშვენიერია ეს პოზილიოო, სადაც დიდხანს ვიმდა იდგე და ათვალეორო ნეპოლის ლამაზი პანორამა.

შეგრამ პოზიციამ ამავე დროს იტალიის მოსახლეობის სიღატაკე თვალწინ დაგვიყენა და გვიჩვენა ძონძებში გახვეული საყოფადგი ადამიანები, ტურისტებს ხელზე ვაჭრობით რომ ხედებოან. განსაკუთრებით საბარალნი ჩანდნენ პატარა ბავშვები, რომლებიც სკოლაში სწავლის ნაცვლად აქ ჩარჩულად ვაჭრობენ, და მოწიფული ახალგაზრდები, რომლებიც ასევე სწავლის ნაცვლად იტალიურ ლირებს თამამყვანი—გამხდარნი, ცუდად ჩაემდინი და არსებობისათვის ბრძოლაში ხელზე ვაჭრობის გზით ჩაბმულნი, მე ვხედავდი, რომ პოზიციამ შიმშველ იტალიას გვიჩვენებდა, თავისი დიდი წარსულით, მშვენიერი ბუნებითა და სოციალური უბედურებით.

ცოტა ხნის შემდეგ ვტოვებთ პოზიციას და მეორე გზით უკანვე ვბრუნდებით.

პარკში, გზის მარცხნივ, რომელი მარბაროლის ქვლების ნამტვრევებია, როგორც წარსულის დიდების ნიშთი. აქედანაც, მეორე გზის მხრიდან, მშვენიერი ხედებია, მწვანეში ჩარგული პარკებით, სკვერებითა და სახლებით. ჩანს პატარა ეენახები, წაბლისა და ზეთისხილის ხეები. სახლების სახურავებში ბრტყელია მარცხნივ დაინახეთ სკოლა და ვაიოცხელი დავირით, როცა გიღმა ვერ გვიფიქსა, თუ რამდენი სკოლაა ნეაპოლში. ეტყობა ამ კთხვას ის არ მოელოდა, ან განგებ არ გვიასახებ—მოსახლეობის რაოდენობასთან რომ არ შეგვედარებინა. სამაგიეროდ, ხელმარკვნივ გვიჩვენა ინგლისელი ლორდის რისხების მოზრდილი ეილა, რომელიც ზღვის პირას მალღობზე ღვას და გარგნულადაც ფუფუნების გამოშატველია.

ჩვენ დავეინახეს უცნობი ჯარსკაცის საფლავი. აგებულია 1860 წელს. მას დიდი, ჯგრიანი გუმბათი ადგას თავზე და ყველა მხრიდან კარგად შეიძლება დაინახოთ.

ირგვლეე კი ძალიან ბევრი საზაფხულო ეილაა, ზღვის პირას მალღობებზე გაშენებული. ისინი მოჰყვებიან ტერასების დაქანებულ კედლებს და ზღვას გადსურებენ. ვიღების წინ ან გვერდით ხეხილი პატარა ბაღებია, ვაზით დამშენებული, არის ლეღვისა და ზეთისხილის ხეებიც. ერთგან ვილასთან ჩვენ დავინახეთ პატარა ბავშვები, რომლებიც ლუღს წვედებდნენ, და მათი მოქმედებიდან აშარად ჩანდა, რომ ისინი ამას უნებართოდ სახლიდნენ, მამსადამე, ლუღს იპირავდნენ. კარგდღეობით უფრდაცკვეტილნი და მელიის თვალების პარპალით ისინი ისე გამოიყურებოდნენ, რომ ჩვენ უნებლიედ წავყავდა სიცილი ამ მართლაც ბავშვურ საქციელზე. შესაძლოა, იმიტომაც, რომ ზოგიერთს ალბათ, თავისი ბავშვობა გაახსენა.

ვაგრძელებთ ქალაქის დათვალვებებს და ჯგრიანობთ ნეაპოლის სიმშვილეს, თემცა კარგად ვიციტ მისი მღვღვარე დღეებიც. ყოველ შემთხვევაში, ახლა, როცა ჩვენ აქ ვართ, ქალაქში სიწყნარა, ნერვიულობას ვერა გრძნობთ. ქა-
4. „მნათობი“, № 10.

ლაქი ლამზად გამოიყურება. მშვენიერია ზღვის ხედაობები ნაპირთან მოწყობილი რესტორნებიც. მიღამის ამშვენებს ხელმარკვნივ დიდი შადრევანი, რომელიც მე-17 სსსტუქსში ყოფილა აგებული. ეს არის კარაჩოს ქუჩა, სადაც ბევრი რესტორანია. აქვე არიან შეთევზები. ისინი დღენიდაც თევზებს იჭერენ და რესტორნებს ამარაგებენ. ბევრია კაფე-რესტორანიც, უმაღ თევზის სუნი გვეცა და არ გვაკვირვებია, როცა შეთევზები დაეინახეთ, ზღვიდან ცოცხალი თევზები რომ ამოჰყავდათ.

ხელმარცხნივ დავეინახეს მოზრდილი დიდი შენობა. ეს ამერციის საკონსულოა. შემდეგ გენერალ ვაზნოს ქუჩაა, იქვე დიდი ბაღი, რომლის შიგნითაც თეატრის შენობაა, მაგრამ თვით თეატრი მხოლოდ ზაფხულობით მუშაობს, მიუხედავად იმისა, რომ შენობა კაპიტალურია და ზამთარშიაც შეუძლია იმუშაოს.

ჩვენი მანქანები ჩერდებიან ნეაპოლის განთქმული აკვარიუმის წაყ.

ლიტერატურაში წაითხული გვაქვს, რომ ეს აკვარიუმი შოფლიოში ერთგვარი დიდი დაწყესებულუბაა, იგი მნახველებს აოცებს ფაუნის მრავალრიცხოვანი ცოცხალი ექსპონატებით.

ნეაპოლის აკვარიუმის დაუარსებია გერმანელ მეცნიერს ანტონ დორნს, რომლის ბარელიეფიც შენობის შესავლელთან არის მოთავსებული. ბარელიეფის ქვეშ თარიღებია მიწერილი: დორნი დაბადებულია 1840 წელს და გარდაიცვლილა 1909 წელს. მის მიერ შექმნილი აკვარიუმის შენობა თეთრია, დიდი და ორიგინალურია, როგორც ამ სიმპათიურ დაწყესებულებას შემევენს.

როგორც მთელს იტალიაში, ისე ნეაპოლის აკვარიუმის წინაშეც გახურებული ხელზე ვაჭრობაა. ყიღიან ათასგვარ სუვენირს. მაგრამ ჩვენ ყიდვის თავი არა გვაქვს და სიარულს ვაგრძელებთ.

ჯერ შევდივართ აკვარიუმის მუზეუმში, სადაც გეცნობით ფიტლებს ყველა იმ ცხოველისა, რომლებიც ცოცხლად უნდა ვნახოთ თვით აკვარიუმის დიდ ოთახებში. გვიჩვენებს ხეულთაშუა ზღვის ყოველგვარ თევზებს, ზღვის ფსკერზე მცხოვრებ ათასგვარ ცხოველებს, მოლიპებსა და მფრინავ თევზებს, ელემტროთევზებს, ზღვის პატარა ცხენებს, რომლებსაც ცხენის ფეხები არა აქვთ, მაგრამ შაინც ნამდვილი პატარა ცხენებია, ფაფარაყრილი თავით. აქვეა მოზრდილ ზღვის გველთა ფიტლები.

გვეუნებებიან, რომ აკვარიუმს 300 სახის თევზი ჰყავსო. რა მოთელის ან ვინ დაახსომებს ყოველთვე იმას, რაც აქ ფიტულებისა და მკვდარი ექსპონატების სახითაა წარმოდგენილი. აკვარიუმში მალე ვიგინდა ვაგიდუმ მეზუმოდან და აკვარიუმში ცოცხლად ვნახოთ ყველაფერი ის, რაც აქ ფიტულების სახით არის წარმოდგენილი.

ვიღრე აკვარიუმში შეგვიშვებდნენ, ჩვენ გარბეთ 15 — 20 წუთი ვიკადეთ, ვინაიდან იქ შესე-

ლა მხოლოდ რიგრიგობით შეიძლება. როცა შევლავა იწყებთ, ჯერ ბნელში მოხვდებით, შემდეგ კი მკრთალი სინათლით განათებულ დიდ დარბაზში, რომლის ორივე მხარეს და ცენტრში აკვარიუმის ცალკე განყოფილებებია, ერთმანეთისაგან კედლით დაშორებული. ამ განყოფილებებს წინ სქელი მინა აქვთ, შიგ კი წყალია, რომელშია ზღვის სხვადასხვა ჯურის მობინადრნი ცხოვრობენ. წყალ გინათებულია ელექტრონის სხივებით, რაც მზახველს საშუალებას აძლევს ძალიან ნათლად და გარკვევით დინახოს, თუ როგორ ცხოვრობენ ან რას წარმოადგენენ ზღვის ეს ცხოველები. ფეხოვან, ისინი თავს აჩვენებენ გრძნობებს მათთვის სპეციალურად მოწყობილ გარემოში, ვინაიდან თავისუფლად დაცურავენ. ჩვენს მახლობლებზე რეაგირებას არ ახდენენ და მთელ თავის არსებასაც ვგრძნობენ.

რა ფორმისა და რა სახის ცოცხალი არსება არ უოფილა ზღვაში! რა მიბინადრე არ ჰყოლია მას!

ზღვის ზოგიერთი ცხოველი ისეთი უცნაური სახისა და ფორმისაა, რომ ან ძალიან შეგეზიზნება, შეგაშინებს კიდევ, ან ძალიან გაეაოცებს და გაფიქრებინებს, თუ რა საშუალებით ცხოვრობენ ისინი, რას განიცდიან, როგორ მოძრაობენ, — ზოგიერთი მაგვანი კი ისე უცნაურად მოძრაობს, რომ შეგეკოცებათ, გგონიათ უდიდეს ტანჯავს განიცდიან უოველ შერბევაზე. მღვებუმის მკედარი ელპონატები აქ ცოცხალი მოქმედის სახით ნამდვილად ღვას თქვენს წინაშე და აკვარიუმის ოდნავი სინათლე ისეთ განწყობილებებს ქმნის, თითქმის ჩვენ ზღვის ფსიქრზე ვიშოფებოდეთ, მისი საოცარი მობინადრეების ხელყოფილ სამფლობელოში.

ჩვენ ვერ ვიკისრებდით უფრო დაწვრილებით აგვეწერა აკვარიუმი, ვინაიდან ზოლოცი არა ვართ და აქ წარმოდგენილი ზღვის უცნაური, თან ათასგვარი ცხოველების სახელები არ ვიცით, ამავე დროს, მწელია აღწერო ისინი, ისეთი უცნაური სახითა და ფორმით, ისეთი დღეშდე უნახაი მოძრაობებით ხასიათდებიან.

გაოგნებულნი და განკეთფრებულნი ვართ გამოვდივართ. ნებტუნის სამფლობელოდან ისევე გვას კერძოებულ ქვეყანას ვუბრუნდებით და ჩვენს წინ ვხვდეთ მე-11 საუკუნის ციხე-სიმაგრეს, რომელიც აქაერთობას. ძველიდანვე რომ სანტა-ლუჩიაა ქვეყიდა, ამაჲად გადასურებს, როგორც მისი წარსულის ბერჯი და დიდება.

სანტა-ლუჩია

აღმათ თქვენ არაერთხელ მოგისმენიათ შვედნიერი ნეპოლიტანური სიმღერა „სანტა-ლუჩია“, და სწორედ აქ სანტა ლუჩიას მღერაიან კარგად. მწყობრად, სასიამოვნოდ.

გვეტუნებინ, რომ აქ იყო ხიდი, რომელიც ციხე-სიმაგრეს უერთლებოდა, აჲლა კი გზაა გაუვანილო.

გვიჩვენებენ სასტუმრო-რესტორან „ვიტორიას“ („გამარჯვება“), ხოლო მარცხნივ იტალიის

მეთის რიბერტის ძეგლს. როცა ამ ძეგლს შევხვდეთ, ყოვლად უგეგმოვნოდ და უსიამოვნოდ გაკეთებულს, საეროოდ დამოთვნილს ნსკოტონებისაგან, გაავივიტრდა, ვინაიდან მათი სიამაყის სპოვანი ქანდაკებებით—იტალიურა სკულპტურით—მოხიბულდებს ასეთი რამ, ცხადია, არ მოგვეწონებოდა. საოცარია მაინც, როგორ დღეგას ასეთი უშნო ანტიოსტატური ნახელავი ნეაპოლის სკამოდ კარგ და ლამაზ აფიქრებს! სამაგიეროდ, შვედნიერია ესანელებს მიერ აგებული სამეფო სასახლის წითელი შენობა, რომელშიაც აჲლა მუზეუმი მოთავსებული.

ამ ვრცელი პანორამის ფონზე ვხვდეთ, რომ მარჯვნივ კონვეირიით შეემართებინა კაბრისაკენ მისიველი ავტომანქანები. ვამოწინდა ნავსადგურში მღგარი ჩენი თეთრი, საამაყო გემი „პოზედა“, რომლის უბრალო შეხედვაც კი აქ, სამშობლოდან შორს, უცხო მიწაზე მყოფ საბჭოთა ადამიანებს, გულს კიდევ უფრო მერტი სისხრულით გავივსებს. მისი სახით სამშობლოს ვხვდეთ, სამშობლო ვეთობოს და სამშობლოს სიოს ვგრძნობთ. იგი გოლიათივით ღვას ნეაპოლის ნავსადგურის წერილსა და მსხვილ გემთა შორის, როგორც ჩენი ქვეყნის ბუმბურაზი ემიზარია.

ნავსადგურის მოედანზე ერთცხენიანი ეტლები გვეპატრებიან: მღზაერები არა ჰყავთ და ამიტომ მათ ეძებენ. არ ვიკოდით, თურმე ამ ერთცხენიან ეტლებს ტაქსებივით ჰქონიათ მოწყობილი კილომეტრების მრისხველბი. ჩვენ ვამჯობინებ ფტით ვიარათ ნეაპოლის ქუჩებში, ვიღრე ერთცხენიანი ეტლებით, ვინაიდან ვეინდა ჭალაქი უფრო დაწვრილებით დაგათვალიერათ.

ნავსადგურის მოედნიდან გაიფიქრათ და ვიწყებთ ნეაპოლის ცენტრალური ქიჩრების ვაცისებას. ვასელისთანავე ხვდამე მოვადრეების, ფალსიფიკატრებისა და ვადამყოფელების მთელი ბატალიონი მოგვწყაყდა. მოგვსდევენ და ათასგვარ საქონელს, დღისა და ჰატრას, შეფურულსა და შეუფუთავს, ძვირფასსა და უბრალოს, ბრჭყელებსა და ნამდვილად ოქროს ნაცთობას გვაძალბენ. ვიფასებენ 10 დოლარად, შემდეგ ნახევარ ფასად გაძლევენ. ხოლო თუ შეგატყვევს, რომ არც ეს ფასი ვაწყობთ. თანახმანი არიან 2 დოლარად მოგცენ, ოღონდ იყიდე, როგორმე იყიდე!

შუღველებმა მაინც არ ჩანან, და ვეღალტრიონ ვტყობს, რომ აქ თავი და თავი შეიღვეულებზე „ნადირობაა“. ამიტომ მოგსდევენ უკან. გვაჲრებიან და ისე გვეტყვიან, რომ ძლიერი ნებსაყოფი, ადამიანიც კი — გატყდე, უკანასკნელი გრომიც არ დატოვო უბეჭვი. ოღონდ ამ გამყიდველებს თუ ვადამყოფელებს, სმეკონიტებსა ოუ ფალსიფიკატრებს თავი დააწყო.

ნეაპოლის მალახებშიც ვამყიდველებს ვეჲრებიან. დადებულ ფასს არაყინ აძლევს. მიიღველსა და ვამყიდველს შორის იმართება ხანგრძლივი

ვაჭრობა, ვიღრე არ მოიკიდებინა და არ შეიინ-
დებინა. მთ კონკრეტული უწყვეტ გადავიდ-
ველები, რომლებიც მალაზიების წინ მიმოდინ
და უვიღველად გამოსულ მეშტარს საქონელს
აძალებენ. გამოიღველები ორჯერ მეტია. ხილი
შეიღველები ორჯერ ნაკლები. გვიყვირს: ასე-
თი ვაჭრობის პირობებში რა ინახავ ამ მალაზი-
ებს? ერთადერთი ახსნა იმაში ვიპოვეთ, რომ
მალაზიის პერსონალი ძალიან შეირეა. საქმიოდ
მოზრდილ მალაზიაში სულ 2 — 3 კაცი მუშაობს,
2—3 კაცი ასრულებს ყველა საქმეს: მოლა-
რის მოვალეობასაც, აქ არც საქონლის გამეგ
ჩანს და არც საქონელმცოდნე. რაკ ასე მინი-
მალური შტატი ჰყავს. ცხადია. მალაზიას ვსა-
ვალი მცირე აქვს და ამდენად შეიღველთა სიმ-
ციროს მოვხედვადეა თუი გააქვს

ნეაპოლის ქუჩებში სეირნობამ დავეაწმუნე,
რომ ქალაქი ლამაზია. სამართის ნახი ბუნება
აჭაურობას კიდევ უფრო ამშვენიერებს. ერთ-
ფეროვნებას ვერსად ვერ ივრძობთ. მთელი ქა-
ლაქი დღეს ისე გამოიყურება. თითქოს საგანგე-
ზოდ მოურთავთ. როგორც იესოდთა პატარაალი,
რომელსაც უამაზურ ტანსაცმელში გამოაწყო-
ბენ და ათასგვარ ქუჩულ-ქუჩულს ჩამოკიდებენ.
ხალხი უკრავს. ეს და რას არ ნახათ? მი-
დრულად და ღარიბულად ჩაემულს. გამძარსა
და შიერს. ვაბუნძილსა და დარდოშილს. იღუ-
მენის და მთხოვარს, წერტილქუსლებიან შვე
ტრულელებს შემდგარ გამზარ ქალებს. რომლებსაც
თანამედროვე პარიზული მოდა იტალიაში
გადმოტრანიათ. სორკით მოვატრე მანდილოს-
ნებს, პორნოგრაფიების გამოიდევლებს. პრე-
ლატებს, ერთი სიტყვით. თანამედროვე
ბურჟუაზიული ქალაქის ვრსა და ბარს. მთელ
ამ ფონზე თვალში გვეკმათ აშკარა გარყვნილ-
და დლიდაც. ისეთი სურათები. როგორც სე-
არის ნავსადგურში მოსვლისთანავე ვიხილეთ და
პარიზში ჩვევის სახით წარმოგვიდგა. თუ დღით
ასეთი სურათებია, ადვილად მახვდებით,
რა იქნება ღამით. თუმცა აქ დღესა და ღამეს
შორის დიდი განსხვავება არ არსებობს.

სალამო 7 საათზე ნავსადგურში ვბრუნდებით.
გზაზე უამრავი მთხოვარი შეგვხვდა. ბევრი მთ-
განი საცოდავი სანახავი იყო. ნავსადგურიდან
უცხოეთის ორი გემი წასულა. მთელი დღის
დადლილბის კაიორტა გვიჩინავს. მით იფრო,
რომ სალამო მშვიდი. წყნარი და დამთბობუ-
ლია. ზედა ძალიან აცრე. დილის 4 საათზე. უნ-
და აედგეთ, ეინადან 5 საათზე ნეაპოლის მა-
ტარებლით იტალიის ედქალაქ რომში მივემ-
გზავრებით.

ნეაპოლი, რომი, 20 ოქტომბერი

დილის სრულ 4 საათზე ვავიღვიფეთ და მგზავ-
რობისათვის საჭირო თადარიგს შევადგეით
რამდენიმე წუთის შემდეგ გეშინებ ავიღეთ რა
ჯერ კიდევ მიძინებულ ნეაპოლს ვაყურებუ.
ქალაქში სიწყნარება ჩამოიჩნდა არ ისმის.
მხოლოდ ნავსადგურში ისევ ცხებრებული მე-

შაობაა, როგორც დღისით მუშები ცუთან/რე-
ნიგზის ვაგონებს, ეხილებიან ტვირთებს, შაიქეთ
და მოაქეთ რალად დიდი შეჭურჭლებს ნაგებში.

ნავსადგურში ჩამომდგამი ქვეყნების საქონე-
იღურად გამოყოფილი მატარებელი — „ნეაპო-
ლი-რომი“. გვითრეს, რომ ჩვენი ჯგუფი და-
იკავებს ამ მატარებელს მესამე ვაგონა.

გათონებას ჯერ კიდევ ბევრი უცლია. ბადრი
მთავრე დაუპურებს მიძინებულ ქალაქს და თეთ-
რად ანათებს ისედაც თეთრი ღამით განათებულ
მიდამოს.

ჩვენ უავე გაღმოდვიართ გემიდან და მატა-
რებისადმი მივემართებით.

ათი წუთის დაღვიანებით, 5 საათსა და 10
წუთზე მატარებელი დაიძრა, გაიარა ელექტრო-
ნით განათებული ქუჩუიანი და ბინძერი ვარე-
უნებები, მგარამ შალე ისევ გაიჩრდა ნავსადგუ-
რიდან იგი ქალაქის რკინიგზის სადგურში შე-
იღდა. თუმცა ორთქლმავალს შემადგენლობა
მხოლოდ სადგურამდე მოჰყავს, შემდეგ კი რო-
მისადენ ელმავალით წავალთ. ამ პროცედურას
საქმიოდ დიდი დრო დასჭირდა. მთელი ორმო-
ცი წუთი სადგურში ვიდექით და ვაგონის ფანჯ-
რიდან ვათვალიერებდით ნეაპოლის საქალაქო
რკინიგზის სადგურს.

ვატვობთ, რიგრაი იწყება და გვიხარია, რომ,
თუ პერიდან პარიზამდე ორჯერვე ღამით ვიმგ-
ზავრეთ, აქ მაინც დღისით მოვეხიდეება სიარუ-
ლი და იტალიურ სოფლებს ვნახათ.

ჩვენი მატარებელი ჯერ ისევ დგას და სამუ-
ალებს გვეუბნება აჭაურობას დაეავიკრდეთ.

უხედავთ, რომ გორგოლაკებზე შედგმული კი-
ოსკები გაშლიებით ვაჭრობენ, განსაკუთრებით
ყავის გამოიღველები. ყავა ვსანთილელი ქა-
ლალის ქიქებით იყიდება იმდენი კლიენტის
ჰყავს, რომ ერთ ჩვენს კოლეგას მადა აღუძრა,
მოითხოვა ჩვენებურია არაყის ჭქის ოდენა
ქურქლით ცხელი ყავა, ორი ყლნებით მიირთ-
ვა და ვი ამ მირთმევას: იმდენი გადაახადევირეს,
რომ ამ თამაშთ რამდენიმე სუენის იყრიდა.
სხვა გზა არ იყო. ფული ვადინება. მგარამ ასეთ-
ია „ზარალის“ ნახვის შემდეგ ჩვენ ხტუმრობით
ვამბობდით. რომ თითქოს მთელი დღე მას ხასი-
თი არ გამოსწორებია. გაპურებდა, თუ რო-
გორ ვახებრებული ვაჭრობაა ირგვლივ, როგორ
აყურებენ ერთმანეთს, და, ალბათ, გული მოს-
დიოდა, რომ ამ მხებერპლთა შორის თვითონაც
იყო.

ირგვლივ კი ვაჭრობენ ყველაფრით: წიგნე-
ბით და უტრნალებით, რომლებიც ფერადი
ილუსტრაციებით არის სავსე. უდებს კი რა არა
აქვს მიხატული: შიშველი ქალების პორტრეტე-
ბი, ზვეწნა-კოცნა, ათსვჯარო ფერის სპორტუ-
ლი ტანსაცმელი, ჩაემული და ჩაუემელი,
ენების მომგვრელი სპეულები, ქსოვილებით და
უქსოვილოდ, ივიღება ყველაფერი, რისი გა-
უიღვიაც კი შეიძლება.

ნეაპოლის საქალაქო რკინიგზის სადგურიდან

6 საათსა და 15 წუთზე ვაევილით. მატარებელი ელშავის მიჰყავს, ჩქარა, მაგრამ ისე მაინც არა, როგორც პავრიდან პარზამდე.

უკვე სინათლია და მიღამოს კარგად ვაჩრევთ. რკინიგზის ორივე მხარეს უხედავთ ხეებზე გაკრულსა და ვასტელ ვაზებს. თვალგადავუვლითოც ადვილად შეამჩნევთ, რომ იტალიელი გლეხები მიწის ყოველ ნაჭერს მაქსიმალურად იყენებენ. ბევრგან ნაკლის ზეინები დგას. ძალიან ბევრი ბაღებია, გვერდით კი სიმინდის ყანები. სიმინდის ყვითელია, უკვე შემოსული, მაგრამ მოსავლის აღება უკლებლად ვერ არ დაუწყიათ. ყანები კარგად არის მოვლილი, ბევრია ნარგავი ლამაზი ხეები. ვზოები და ყანები ისეა მოვლილი, როგორც ბაღა-ბაღები. აღმათ, მიწის სიფირთვე აბრუნებს აჭარა გლეხებს ასე კარგად მოუაროს ისედაც მცირე ნაკვეთებს და იღონ მისგან რაც შეიძლება მეტი მოსავალი. პატარა-პატარა მიწის ნაჭრები ხალხებივით არის აკრებულული...

რომელდაც სადგურში შევდებით და მატარებელი გაჩერდა. სადგურს აწერია „ვეერსა“. პატარა სადგური ყოფილა, სხეულე სადგური, შესაძლოა აქ იმითომ ვაგვანარებს, რომ მობირდა-პირე მიმართულებით მომავალმა მატარებელმა დაგვაყავა?

არა. მატარებელი არ შევეხვედრია, და აერსა 2 წუთის შემდეგ დატოვეთ. ვზაზე ისეთივე სურათები იშლებაოდა, როგორც ნეაპოლიდან აერსამდე. არაფერი განსაკუთრებული არ გვინახავს. ამიტომ მოუთქვინლად მოველით მეორე სადგურს ან პეიზაჟის შეცვლას.

მაღე ჩვენი მატარებელი ისევ სადგურს მიადგა, მაგრამ არ გაჩერებულა, მისი მეორე ვაგონება მხოლოდ მაშინ მოხდა, როცა ფორმისთან მიველით. ეს სადგურიც პატარაა, თუმცა აერსასაგან განსხვავებით ფორმამ იმით ვაგვანახარა, რომ მის შემდეგ მიდამომ ცოტა განსხვავებული იერი მიიღო. მარტხნიე ზღვა გამოჩნდა, შედარებით ახლო, ხოლო სადგურიდან ვასელის შემდეგ გვირბაში შეველით. აქედან დაიწყო გვირბები, მოკლე და გრძელი, დიდი და პატარა.

მატარებელი ახლა უკვე მთებში მიიკლავება და შედობურად მიპობს სიერცეს. მარჯვენე მიდამო ძალიან წაავას კახეთს და ჩვენც ვერთობით კახეთის სეროვარები. გლეხობით თვალეულად მუშაობენ, საშემოდგომოდ კავით ხნავენ და ხელით თესავენ. ტრაქტორი, პატარა ზომისა, მხოლოდ ორჯერ დაეინასეთ. ეტყობა იტალიის სოფლის მეურნეობას ძალიან სუსტი მექანიზაცია აქვს. თითქოს სამაგეროდ, მეტ ყურადღებას აქცევენ რწყვას როგორც არხებით, ისე რკინის მილებით. გლეხები მუშაობას იწყებენ ძალიან ადრე, ჭათუნებამდე ან გამთენიისას. მოუბებულნი არიან ბაღებსა და ყანებს, ვე-

ნახებსა და მანდარინებს. ყველგან, მოედ ვაზზე, ვახისა და მანდარინის კულტურე, ცხვებელო-გორც ნეაპოლში, აქაც კოავებენ და ვაგონებზე აკრულა.

შვეინერი მზიანი დღაა და ჩვენც ვერთობით ლამაზი ბუნების წიალით. იტალიის სამხრეთიდან მისი შუაველისაკენ თანდათან მიეიწევთ. ყანებისა და ზვრების ჩრდილში შრომისაგან დაღლილი გლეხები პირველ შეცვენებას აწყობენ. ისინი საუზმოებენ დღის მ საათზე, მუშაობის დაწყებდან სამი საათის შემდეგ...

ისევე გამოჩნდა პატარა სადგური, რომელსაც ლატინა ეწოდება. ეს უკვე მესამე და უანასკნელი გაჩერებაა ნეაპოლიდან რომამდე. 5-6 წუთის შემდეგ მატარებელი კვლავ დაიძრა და ჩვენ გვიბრვს, მაღე დროში შევალთო. ყველას უხარია, რომ ასე დილა-ადრია რომში შევდებართ, შევეებლება ქალაქი ენახით დილიდან საღამომდე, მეტი ვიხილოთ და დავათვალიეროთ.

უკვე გამოჩნდა რომის სოფეტები და ჩვენც მატარებელი ქალაქის მისადგომებს მიუახლოვდა და დაიწყო გარეუბნები, საკმაოდ გრძელი და ვერცხენია.

პირველი ნაგებობა, რომელიც ვიხილეთ, ძველი ნანგრევები იყო, რომის ძველი კედლის ნანგრევები. მისი სხიით ძველმა რომმა შემოვანათა, რომმა, რომლის ისტორიიდანაც ასე ბევრი რამ ვესწავლია და ასევე ბევრი რამ გვსმენია.

რომის გარეუბნებმა წარსულის ანტურაჟში შეგვიყვანა, განსაკუთრებით ძველმა კედელმა, რომელიც ქალაქს სარტყელივით მკონდა შემოვლებული. როცა უფრო მიუახლოვდით, ჩვენ დაეინახეთ რომის პირველი ქუჩა. იგი ძველ რომელ თაღში გამოდიოდა. დაეინახეთ თანამედროვე ჩვეულებრივი ტრამვაი, ამ თაღში გამოშავალი, და ეს სურათი შერჩა მესსიერებებს, როგორც ძველისა და ახლის სიმბოზის ცოცხალი ილუსტრაცია ვინ იცის, რომის რამდენ იმპერატორს სახეიმოდ გაუელია დიდი გამარჯვებების, შემდეგ ამ თაღში, ახლა კი იქ ტრამვაის ვაგონები დასრიალებენ და ქალაქის სხვა ტრანსპორტე თავისუფლად მიმოიღის. იქვე ახლოს ძველი მრგვალი შენობის ნანგრევია, და ჩვენ ერთბაშად წარმოვივლდა თვალწინ ძველი და ახალი რომი, ერთმანეთზე ისე გადახლართული, როგორც ესტრეაში მოებევა ხოლმე რომელშიც ხეს.

ჩვენ ვერ მოვასწარით უფრო დაწერილებით გვენახა ყოველივე. შორიდან მაინც დავეითვალეებენმა რომის პანორამა. მატარებელი ველის სისწრაფით შეიჭრა ქალაქის სადგურში და, როცა გაჩერდა, ციფერბლატი დღის 9 საათს უჩვენებდა.

თბილისი 1500 წლისა

მინიერ ქვინიქა



თბილისის გახსენება

დილა აღრიან ვდგები
და თვალს მოვაველებ შორეთს:
სად გაპარულან მთები?
საოცარია სწორედ?

საით წასულან ნეტა
ჩემი ლამაზი მთები?
აყრილან ყველა ერთად,
ცას შეუხლიათ ფრთები...

მახათა აღარ მოჩანს,
ვერ ვხედავ მამადავითს,
არც შეენაბადას ცალი
ქუქუ გუმბათისთავით
არც ნარიყალას ქედი,
არც წყნეთის მწვანე გორა...
გამაგებინა ერთი:
სად გაქრა ასე უცებ
ის, მთების ზედახორა?

ირგვლივ—სახლები მხოლოდ
და აღამიანები...
ევწუხვარ... ბოლოს დაბოლოს
მომნატრებია მთები!
ამ უზარმაზარ სახლებს
რკინა-ბეტონის გულით
ერთნაირი აქეთ სახე
კარ-ფანჯრებდაღებული.
მთებო,
თბილისის მთებო,
საღლა მაქვს თქვენი შიში,
ვერ გაეუქელი, მთებო,
მე უთქვენობის შიშშილს, —
მომნატრებია ერბო
თქვენი ჯანის და ჯიშის...
როდემდე უნდა ვიყო
ამნაირ გასაჭირში!

თბილისური ბალადა

ათასხუთასი წელია
შენს ალაყაფთან ვდგავარ,
გაქვავებული ძელქვა ვარ,
თუ ნარიყალის ქვა ვარ?
ქარი მცემს. წვიმა მასველებს,
ვდგავარ დღისით და ღამით...

რაც უნდა მოხდეს, აქედან
ფებს არ მოვიცვლი წამით!
ფებს არ მოვიცვლი, არ წავალ,
ვერც მოვისვენებ ვერსად...
მოგვედები, აქვე დაერჩები
ჩანგზე დასამღერ ლექსად!

სიმღერა თბილისზე

მინდა გიმღერო ქება,
მინდა გიწოდო ჩემო,
ვერ დამავიწყეს წლებმა
შენი ჰაერის გემო.
შენი მთაწმინდის კალთა,

ქარი — კოჯრის და წყნეთის,
შენი კუკია, საღაც
დამრჩა საფლავი ღედის,
შენი ვაკე და ვერა,
მტკვარი — ქამარი ვიწრო

შენი მოსახლე ყველა,
ვისაც ღიმილით ვიცნობ...
ჩემო, საუნჯევე ფიქრთა,

შენზე სიმღერას ვბედავ,
შორს, გადახვეწილ შვილებთან
მოსიყვარულე დედაზე

მონა ნიჟნინიძე



ყვავილების მიწა

ღილით კვირადღეობით,
როცა ქალაქს ღვიძიავს
აზრიალებს მთელ უბანს:
„ყვავილების მიწა!
ყვავილების მიწა!“

სურნელებით, ხალისით
აივსება ქალაქი,
როგორც ვეებერთელა
ყვავილების კალათი.

ბანზე გადმოდგებიან
ჩვენი ლამაზბანები,
ყვავილის ქოთნებივით
დამშვენდება ბანები.

პირველად ის გამორბის
მზიარულად, მკვირცხლად
ყვავილების ქოთნები
მოუტანეს ვისაც
სიყვარულის სახსოვრად,
ერთგულების ფიცად.

ვაი, შე საცოდავო,
მაგ ყვირილზე ვიცან
ცოცხალი ხარ კიდევ,
შინდისელო ბიძავ?!
—

კაცო, სული მოითქვი,
შეისვენე ცოტა
ეჰ, რად გაწევს კისერზე
ამოდენა ცოდვა.

ნეტა რა დააშავე,
რა გაქვს დანაშაული,
ამ სიცხეში აივნებს
ათასჯერ რომ ჩაუვლი.

მთელი დღე რომ გაპყვირი, —
„ყვავილების მიწა“,
ორთაქალას, მთაწმინდას
დიდუბეს თუ ისანს.

„ყვავილების მიწა,
ყვავილების მიწა!“

ნეტა არ გყავს პატრონი,
ან ცოლ-შვილი იმედად,
ამ თაკარა სიცხეში
ასე ვინ გაგიმეტა?

ეჰ, საიდან სადამდის
წამოსულხარ ფეხითა,
იქნებ შვილიშვილისთვის
წულა გსურდა გეყიდა:

ბიჭი თავის ტოლებში
როგორ დაიკვებინდა!

ან რა ხეირს დაგაყრის
ერთი მუჟა მიწა,
მაგ ყვირილად არა ღირს,
ჩემს გოგონას ვფიცავ!

პირზე ხვითქი გადაგდის,
ყელში ჩაგდის წურწურით
აღბათ შენთვის უცხოა
ჩივილი და წუწუნი.

შენი ტანჯვაც ეგ არი,
შენი სიხარულიცა,
რა მამთმენი ვინმე ხარ,
ვახმე, შენი გულისა!

ო, ეგ ხვეწნა — ყვირილი
გულს მიღრღნის და მიწვავს



— მადლი ქენით, იყიდეთ
ყვავილების მიწა!

ზოგჯერ არ გაგიმართლებს,
გავარდება ჯანი,
ჩამოივლი შეათედ,
ვერ გაჰყიდო ჯამიც.

ბევრჯერ მიოცნებია
(ამისრულდეს, ნეტა)
დაგვხვედროდე ქუჩაზე
და კეთილად შეთქვას:

— ძიაკაცო, რა მოგცე,
ძირს დაყარე ხელად
მაგ დასაწვავ ტომარში
რაც მიწაა ყველა!

იქნებ ფული გჰირდება,
პურიც გშია ეგება,
— არა შენ გაჰირვება
აქეთ არ გერეკება!

შრომა დაგეზარება
ამდენ ჯაფის ამტანსა?
ჭირნახული მიიღო
სხვაზე მეტი ათასად.

უქმად რა დაგაყენებს,
როცა უძლებ ამდენსა,
მეტს გაიჩენ ნამყენებს
მეტს დახნავ და დათესავ!

კაცო, რკინავ დუღაბო,
ალბათ შენც გაქვს მარანი
უვენახოდ, უბალოდ
დღეს არ ცხოვრობს არავინ.

ალბათ შენც გაქვს ფარეხი
მეხრეს თუ მენახირეს...
მა ასეთი მწარე ხმით
რა ეშმაკი გაყვირებს!

დედაბრები ოხრავენ:
— რა თავს იკლავს ნეტა...
ჩივის მეზობლის გოგო:
— რა თავი აქვს, დედა!..

მე კი მძიმე სასჯელად
მაგ კალათა მიწას

აკვიდებდი... დიდ ცოდვას
ჩაიდენდა ვინცა.

და თაკარა სიცხეში
განუწყვეტლად, ფიცხლად
ერბინა და ეყვირა:
„ყვავილების მიწა,
ყვავილების მიწა!“

ჩანს თბილისის სახეზე,
როგორც ძველი ნახმლევი
ყანწებივით ქუჩები
ქოთნებივით სახლები.

სადაც დიდი ქუჩაა,
დიდი შენობებია,
შენი მძლავრი ძახილი
მათ ვერ შეომებია.

იქ არავის სჭირდება
იქ არავინ მიგიშვებს
პროსპექტებზე მაგ ყვირილს
ჩაგითვლიან სიგიყედ.

გაქრა ძველი თბილისი
თავის ციებ-ციხელებით,
თავის მაწვნის ქილებით,
სახედრებით,
ცხენებით.

ხვალ ცას შეეჭიდება
სართულებზე სართული,
შეფრინდება ჩიტებად
ჩუქურთმები ქართული,
მძიმე-მძიმე მტრეწები
ლერწებ ამოხლართული...
.....

მე კი როცა მოვეკვდები,
არ ვინაღვლო, ვფიცავ,
მოვიდოდე ოღონდაც
ყვავილების მიწად
და თბილისის ქუჩებში
დამატარონ მკვირცხლად
ლამაზებმა მიყიდონ
ყვავილების მიწა,
ყვავილების მიწა...

ღერო სელაგეიძე



თბილისის შესახვევები

ზღაპარი

იყო და არა იყო რა შენი
ცხოვრების გზაზე ცხადიც, ზღაპარიც...
შენ ახლა ძველი ნანგრევები გშვენის,
შენი წარსულის თავშესაფარი.

ბევრი ქალაქი გაქრა ჟამთსვლით,
შენ ჟამთა ქარმა გაგაქრო განა, —
იწყქ მთაწმინდის გაშლილ კალთაში
და საქართველო გიმღერდა ნანას.

გქონდა და არა გქონდა რა მრავლად
დასაბამიდან ღვინიც, ჭირიცა,
ხმლით გადაჭრილ ცას გიგავდა მარად
კისარტყელათი გადაჭრილი ცა.

იყო და არა იყო რა... შენი
წარსული ყველა ამბავს უთვალავს.
მე ახლა შენი ზღაპარიც მშველის,
როს მივისვენებ მაგ შენ გულთანა.

იყავ და არა იყავრა, როცა
წინ დახედებოდი შლევგთა ურდოთა.
დედა შვილზე რო იტყოდა ლოცვას,
ლოცვა-კურთხევა შენი უნდოდა.

იყო და არა იყო რა... ჰერი,
მეზღაპრემ თავი ვით შეიკავოს...
პოეტი ახალ სიმღერას მღერის, —
ღვინი აქა და ჭირი იქაო.

ჩემს შესახვევში

აქ ყველა ჩემი მეზობელია,
მერე რაა, რომ არ ვიცნობ ყველას.
ასე მგონია, ყველგან მელიან,
თუ ხიფათის დროს დამჭირდა შველა.

გამოვიშლებით დილა-ადრიან,
(იცით, არიან რარიგ კარგები?!)
შევეურთლებით პროსპექტს ჭადრიანს
და მერე ერთურთს დავეკარგებით.

აქ ყველა ჩემი ახლობელია,
შე მათთან ღამის თევაც მწყურია.
თბილისში ჭუნა სხვაეც ხომ ბევრია,
ეს ჭუნა უფრო მშობლიურია.

საღამოს აღმართს კვლავ ამოყვებით,
მე სულ მგონია, რომ აქ მელიან...
თითქოს არიან ჩემი მოყვრები,
აქ ყველა ჩემი ახლობელია.

მ. დავითაშვილი



კ ა მ მ ა ნ ი

1

მთის უსიერის გადაღმა
დაისის შუქი ვალხვა.
ძლიავს-ღა ელვარებს ხანდახან
ცხელი მდინარის ტალღა.
ზღვები ისევ აღივსნენ

სურნელებითა ცხოვლით.
დუმილს მოუცავს თბილისი
ჭფარავს ნისლი და ბოლი.
ფრენენ მტანჯველთა სიზმრები,
ეძებენ ცოდვილ შვილებს.
მფარველი ანგელოსები
ჩასჩურჩულევენ ჩვილებს.

2

აქ ძველი ციხის მახლობლად
მწუხრით მოფენილ მთაზე,
გრილად აღმართულ ჩინარქვეშ
ვწევარ გაფენილ ხალზე-
ვწევარ მარტო და არ მესმის,
ნუთუ სიზმარში მხოლოდ,
შეხვედრა პირქვეშ ღამეში
შენ დამინიშნე ბოლოს.
და ამ იღუმალ წამებში,
თუმც ტრფობაში რომ გეშველის
შენ, მეგობარო, მხოლოდ შენ
გიხმობს ოცნება ჩემი.

3

ქვევით მზვერავეი სანთლები
მხოლოდ ხიდზე-ღა ჩანან.
სამრეკლოები მალღები
გუშაგებივით დგანან.
და ფრთხილზე ფრთხილი ნაბიჯით:
აბანოების მხრიდან
წყვილად ქართველი ქალები,
ძეწვეი უწყვეტი ვითარ,
ვითარ მცურავეი ლანდები
ქუჩებს მისდევენ ობლად,
სახეს უფარავთ მანდილი,
არ იქნა შენი ცნობა.

4

და ბანი შენი სახლისა
ჩემთვის შორიდან ჩნდება
და კიბე შენი მერხევი
მდინარის ჩქერში კრთება.
ღამის მსუბუქი ნიავე
მტკერის სილურჯეში ცურავს
დგას შენი სახლი იავარ
ხშირი ფათალო ბურავს.
მოჩანს მაღალი საჩქმელი
აღვის რტოების იქით,
თუმც ვით ობოლი სანთელი
აღარ მინათებს იგი.

5



ვიცი და უაზრობაში
დაებეტება მზერა,
მოუთმენლობით ხანჯალი
ჩემს ქვეშ ხალიჩას სერავს.
ფუჭი დარდები მოდიან,
მძიმე გულს მაწვეს ლოდი.
აი, სიცივე ნოტიო
აღმოსავლეთით მოდის.
წითელი ფერი ატყვია
მწვერვალს ნისლეტში აკრილს
და ქარავენები აღრიან
თან მოპყვებიან ვაჭრებს.

6

სულო აღენთე, ამალღდი
განვედ, საჯაყო ცრემლომ
შენი შაებნელი ლალატი
გასაგებია, გველო.
გასაგებია, რად არი
წაქეზებული ასე,
გუშინ რად ქროდა თათარი
ქეაფენილიან გზაზე.
ფუჭი არ იყო თარეში
შენს ფანჯარასთან ვიცი,
ვიცი, რომ ზიბლავს მამაშენს
მისი სპარსული კვიცი.

7

შაშხანას ხელში ავიღებ,
გავალ კარიბჭის გარეთ,
უღაბურ კლდისკენ დაიხევე,
სად მოსახვევი არი.
დე შუადღემდე ველოდო
სამარეებთან ციალს,
შაშხანას სამლოცველოდან
გზას დაუფიხნებ მტერიანს.
გულო, შეჩერდი! რა მოგდის.
ქვაზე მივწვები ცერად.
ჩუ! რა ხმა ისმის, ვინ მოდის
შენ ხარ, წყეულო შენა?!

რსუსრ

ნიკოლოზ ხაბოლოვი



თ ბ ი ლ ი ს ი

ცხენს დასკვივლა ბუმბერაზმა —
სურდა ზეცა გადღვინა,
შეწყდა რკინის პერანგი და
ციდან მიწას დაეფინა.

ძირს დაეშვა ლურჯი ზეცა,
ჩააშტერდა რკინის პერანგს
და ურიცხვი ვარსკვლავები
შიგ ჩაბატა ღვინისფერად...

მეთხუთმეტე ასეული
წელიწადი გაფრენილა,
რაც ის უცხო განძეული
მთაწმინდის წინ დაფენილა.

საკუთარი თვლით ნახო,
თუ ვსურს გმირმა გორგასალმა

რა ქონებაც დაგიტოვა,
რა სალამიც მოგასალმა, —

მამადავითს აღმართ-აღმართ
შეჰყე, როგორც აგრილდება,
და ქალაქი მილიონი
ლამპრით შენს წინ გაბრწყინდება.

ხარაჩოებს ცაში ჰკიდებს,
საუფლოში მზეს ეჭრება.
მისი აწმყო თვალწინ გვიდევს,
არც მყოფადი შეგვეშლება.

გამარჯვება, ცრემლით სველო,
და დღეს მაინც მხნე ჩაუქო,
შენ, სატახტოვ ძეგლისძველო,
შენ, სამხრეთის მზეკაბუჯო!

თარგმანი მურმან ლეზანიძისა

ნიკოლოზ ვინოკოვი



ქალაქი მტკვრის პირას

თბილისის ათას ხუთასი წელი შეუს-
რულდა. მსოფლიოს უძველეს ქალაქთა
შორის მას უკავია თავისი განსაკუთრე-
ბული ადგილი. მიუხედავად იმისა, რომ
იგი რუსეთის ჩრდილოეთით განლაგე-
ბულ ქალაქთაგან შორს მდებარეობს,
რუსეთში მას ძველთაგანვე იცნობდნენ.
მისმა დიდებამ ყველაზე უფრო შორე-
ული სამანებიც კი გადალახა. თუმცა
ჟამთა წყვედილში იკარგება მისი აღრინ-
დელი ცხოვრების წლები, მაინც იმთა-
ვითვე იბადება ქართველთა და რუსთა
ის მეგობრობა, რომელმაც თბილისი სა-
უკუნეების მანძილზე რუსი ადამიანის-

თვის ასე ძვირფასი და მახლობელი გახ-
ადა.

მე იმის გამო არაფერს ვამბობ, რომ
დაწყებული გასული საუკუნეიდან იზრ-
დება და მყარდება ჩვენი ხალხების ურ-
თიერთთაგება და ურთიერთმისწრაფება,
რომელიც შემდეგ გადაიზარდა მხურვა-
ლე მეგობრობასა და სიყვარულში. ახლა
არა მარტო რუსები, არამედ საბჭოთა
კავშირის ყველა ხალხი იცნობს თბი-
ლისს, როგორც ხალხთა მეგობრობის
ქალაქს. აქ ჩამოდიან ჩვეულგზებიდან და
იმსკვალებიან ღრმა პატივისცემით პოე-
ტები უძღვნიან ლექსებს და სტუმრები

ყველა ქვეყნიდან მოისწრაფიან ამ სახელოვან ქალაქისაკენ, რათა დასტკბნენ მათი საოცარი სიმშვენიერით და გატარებულ დღეებზე მოგონებები თან გაიყოლონ სიცოცხლის საგზალად.

ბალღობაში რუსი მოწაფეები და მეც მათ შორის ვკითხულობდით ლერმონტოვის ლექსის მშვენიერ სტრიქონებს:

Уж за горой дремучею
Погас вечерний луч,
Едва струей гремячею
Сверкает жаркий ключ;

Сады благоуханием
Наполнились живым,
Тифлис объят молчаньем,
В ущелье мгла и дым.

ვკითხულობდით „მოგზაურობას არხრუმში“ და ჩვენს ბავშვურ მეხსიერებაში იქედებოდა კონტურები ამ უცნობი, მაგრამ ძალიან ლამაზი ქალაქისა, რომელიც კაცმა სიცოცხლეში ერთხელ მაინც აუცილებლად უნდა ინახულოს.

პირველად თბილისი 1924 წელს ვნახე. მე წინდაწინვე ვიყავი შემზადებული ყოველგვარი ლიტერატურული აღწერილობებით და რაც მთავარია, ეს ქალაქი წინასწარვე მქონდა შეგვრძნობილი. ჩემთვის ყველაფერი ახალი იყო ამ ქალაქში, სადაც არ მყავდა არცერთი ნაცნობი, გარდა თავაზიანი ქართველებისა, რომლებიც ჩემთან ერთად მგზაურობდნენ ერთ ვაგონში. მე არ ვიცოდი მაშინ რა დაწერა გასული საუკუნის ორმოციანი წლების რუსმა პოეტმა ი. პოლონსკიმ, როდესაც მან პირველად ინახულა თბილისი. მას არ მოსწონებია «Серо-каменный город над Курой». დღისით, ხოლო იმავე საღამოს იმავე ქალაქს ისე მოუხებლავს, რომ თვალი ვერ მოუწყვეტია მისთვის.

მე ვერ ვიტყვი, რომ ქალაქი როდესაც ჩამოვედი, დღისით, არ მომეწონა, მაგრამ მე ჯერ კიდევ არ ვიყავი შესული მის რიტმში, მის ხმაურიან, ფერადოვან, შესანიშნავ ცხოვრებაში. პოლონსკი ერთში მართალი იყო, თბილისი საღამოს

მოს მოულოდნელად გადასხვავებოდა და მისით შეგველო დამტყვეურებდა. იმ დღიდან მოყოლებულმა მამა ჩემსებზე უცხო ქალაქში, რომლის ქრელი, ცოცხალი საღებავები რაღაც დიდი სიახლით, სირთულით და ამასთანავე თითქოს ჩემ მიერ დიდი ხნის წინათ შექმნილი განცდებით სუნთქავდა. იტყვოდა: მე ოდესღაც უკვე ვიყავი აქ და ეს-ეს არის შემხვდება მეგობარი, რომელიც გამახსენებს ძველ შეხვედრებს.

მე ვნახე ისეთი თბილისი, რომელსაც აწველარ ნახავენ საქართველოში პირველად ჩამოსული ადამიანები. ის „მრავალაღენიანი“ ქალაქი, როგორც მას პოეტი უწოდებდა, ისევე არსებობდა მთელი თავისი ცხოვრებით და მე დავეხეტებოდი მის ვიწრო ჩრდილოვან ქუჩებში და ვხედავდი სურათებს, რომლებიც თითქოს სხვადასხვა დროის კუთვნილებას წარმოადგენდნენ. ხალიჩები პირდაპირ ქუჩაზე გაეშალათ, ხალიჩები ვკიდა ფარდულის კედლებზე და გადმოფენილი იყო შესასვლელის თავზეც. ხალიჩების ფარდულის ახლოს, მოედანზე, მიდიოდა რაჭველი მუშა, რომელსაც ზურგზე მოეკიდა ფქვილით გატენილი რვაფუთიანი ტომარა. მუშა გრძნობდა თავის ძალღონეს და იღიმებოდა, ხშირი ულუაში პეწიანად აეგრისა და თვალები ეშმაკურად უციმიციმებდა, თითქოს უნდოდა ეთქვა: ეს რა არის, შენ სხვა ნახეო!

მეორე ფარდულში ხანჯლებზე ვერცხლს ტვიფრავდნენ. ფაფახიანი ოქრომჭედლები მთელი გულისყურით მუშაობდნენ და არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ გამვლელებს. მე სიცოცხლეში პირველად ვნახე, როგორ აცხობდნენ შოთებს და როგორ აწყობდა ტაბლაზე მათ ხაბაზი და როგორ მოგზაურობდა ქუჩიდან ქუჩაზე, კარიდან კარამდე ეს აორთქლებული პურის გორა. თორინის გვერდით პირდაპირ ქვაზე იჯდა მეწაღე, ხოლო მის ზემოდ თეთრი ორთქლი ასდიოდა ვეებერთელა ქვაბებს. იხარებოდა ხარჩო, შთაგონებული მზარეული კოვზით ურევდა ქვაბს და გემოს

უსინჯავდა თავის საკვირველ კერძს ისე დაფიქრებული, რომ არ შეგეძლო არ დაინტერესებულიყავი და არ გეკითხა: ნეტავი რა საქმელი იქნება ახლა მზადო.

ხოლო რომელიღაც ღრმა სარდაფის წინ ისხდნენ დარბაისელი ქალბატონ ქართველები და მათ გვერდით ეწყო ისეთი მოცულობის ტიკები, რომ თქვენ უნებლიედ გაოცება გიპყრობდათ. ამ დარბაისელ მოქალაქეებს ხელში ეკირათ პატარ-პატარა ღვინიანი ჭიქები. მაგრამ ისინი ერთი ამოსუნთქვით კი არ სცილდნენ ჭიქებს, ნელ-ნელა წრუბავდნენ, აქაშნიკებდნენ ახლად მოტანილ ღვინოს. მათი სახეები იდუმალებით იყო მოცული, ტუჩები მოკუმული ჰქონდათ, თვალები — მოჭუტული. ისინი ჩაძირულიყვნენ თავიანთ განცდებში და არ აწუხებდათ ხმაური ქალაქისა, რომლის ქუჩებზე ბანცალით მიდიოდნენ ჩიხვირ-ჩამოკიდებული აქლემები, ეყვანებს რომ მიაწკრიალებდნენ და მიარხევდნენ მსხვილი, მტვრიანი თოკებით შემოქერილ ვეება საცალოებს.

რომელი საუკუნეა ეს? აქლემებს ეხმიანებიან აბურძგული მოწითალო ფერის ვირები. მათ ყროყინს მუეძინის გოდება აზრობს. ეს ხმა ისმის ცისფერი მეჩეთის პატარა მინარეთიდან, რომელსაც მაღლიდან დასცქერის მეტეხის რუხი კედლები, ყველაზე მაღლა კი უღრუბლო, მოკრიალებული ლურჯი ცაა.

აგერ მოდის ჰაბუკი მხედარი, რომელიც შოთა რუსთაველსა ჰგავს. გვერდით ჩაუვლიან ისეთი ლამაზმანები, რომ იგი ძალაუნებურად აჩერებს ცხენს და თავაზიანად ესალმება მათ. დარცხენილი თუ შემკრთალი ლამაზმანები პასუხს უბრუნებენ და იყარგებიან მაღაზიის შესასვლელში, სადაც ბამბისა და მატყლის გორები მოჩანს, მათ ზემოთ კი ჭრელი ხურჯინები გადმოუქიდათ.

წვერგაფანჯული მენახშირეები ნახშირით ავსებენ ტომარებს, თხელი და ძლიერი თითებით თავზე აქსოვენ წნელის ბადეს. ნახშირი მყიფეა და ადვილად იმსხვრევა, ამიტომ ისინი ჩვეული სიფრთხილით ეპყრობიან საქონელს.

ასე მიდიხართ დუქნიდან დუქნამდე და ათასგვარი სურნელებს თვებრუნს გახვევთ. ხმები ერთმანეთში ირევა და ქოთქოთებს, როგორც ჩაი დიდ სამოვარში, ხალხი გეხვევათ და თქვენ უნებლიედ ხდებით ამ დაუსრულებელ სანახაობის ერთერთი მონაწილეთაგანი. ეს სანახაობა საღამომობითაც გრძელდება მაგრამ საღამოხანად მას ემატება უცხოელ მოციმიმე სინათლები, რომლებიც ათასნაირ ბოთლებზე ცისარტყელას შეიღვევ ფერით ირეკლებიან ტბილი-წყლებით მოვაჭრეთა დუქნებში.

პირდაპირ თქვენს თავთან ჰკილია აივნები. შუშაბანდები თითქოს სახლებს მოხვევიან და გულში იხუტებენ. თქვენ განერიდებით ავლაბრისა და შაითან-ბაზრის ხმაურს და ვიწრო დაჩრდილულ ქუჩას დიდხანს მიჰყვებით. ჯერ ძველი შთაბეჭდილება არ გაგნელებიათ და თქვენს ყურადღებას ისევ ქალაქის ხმაური იპყრობს, ოღონდ ხმაური თუ ფუს-ფუსი არა ჰგავს წინანდელს, იგი იმ ქუჩისაა, რომელსაც ახლა რუსთაველის პროსპექტი ეწოდება.

აქ სხვა სამყარო ვიხილე მე, სხვა თბილისი. თუ ძველ შენობებსა და ძეგლებს კიდევ ეტყობოდით გარდასულ დროის ნიშანი, ამ უბანში მცხოვრებნი უკვე არა ჰგავდნენ იმათ, რომლებიც ავლაბრისა თუ შაითან-ბაზრის დუქნებში ვნახე.

მას შემდეგ გავიდა მრავალი წელი, მაინც კმაყოფილებით ვუბრუნდები მას, რადგან აღმოსავლურ კოლორიტით შეფერილი ბაზრების ჭრელი სურათებისა და განსაკუთრებული ყოფის მიღმა მე ვპოულობდი სხვა თბილისსაც, იმ ქალაქს, რომელსაც უდიდესი რუსი პოეტები სიყვარულს ეფიციებოდნენ, სადაც ისეთ ადამიანს, როგორც ლევ ტოლსტოი იყო, უნდოდა სიკვდილამდე ეცხოვრა, როგორც უბრალო სამოქალაქო სამსახურის მოხელეს. მას თბილისი მიაჩნდა ნამდვილ ცივილიზებულ ქალაქად, სადაც იყო დიდი, რჩეული საზოგადოება, სადაც არსებობდა რუსული თეატრი და იტალიური ოპერა. ეს თბი-

ღისი დასახლებული იყო პოეტებით, მხატვრებით, სწავლულებით, ხელოვნების მოყვარულებით.

გრიბოედოვისათვის ეს ქალაქი ისეთივე მახლობელი და მშობლიური იყო, როგორც მოსკოვი და პეტერბურგი. იგი ბევრს ფიქრობდა თბილისზე. მის განვიითარებასა და კეთილმოწყობაზე. მე დავდიოდი თბილისის ქუჩებში და ქალაქი ჩემ თვალწინ ივსებოდა საოცარი, ღრმა და მნიშვნელოვანი მოგონებებით. განა საოცარი არ არის ის, რომ ლევ ტოლსტოიმ აქ დაამთავრა თავისი პირველი დიდი ნაწარმოები „ბავშვობა“, რომ გრიბოედოვი აქ წერდა თავის კომედიას „ვაი კულისაგან“. გორკიმ წრფელად სთქვა თბილისზე: „მე არასოდეს არ მავიწყდება, რომ სწორედ ამ ქალაქში გადავდგი პირველი გაუბედავი ნაბიჯი იმ გზაზე, რომელსაც უკვე ორმოცი წელია მივყვები. შესაძლოა, რომ სწორედ ამ ქვეყნის დიდებულმა ბუნებამ და ხალხის რომანტიკულმა სიფაქიზემ — ამ ორმა ძალამ — მაწაწალა ლიტერატორად მაქცია“.

გორკის პირველი მოთხრობა „მაკარ ჩუდრა“ თბილისში დაიწერა და დაიბეჭდა. საოცარი დამთხვევაა ისიც, რომ ამ დროს თავის არტიკულ ცხოვრებას თბილისში იწყებდა შესანიშნავი რუსი მომღერალი ფ. შალიაბინი. გვიან ის იგონებდა: „იმ დროს, როცა მე ვმუშაობდი ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს საბუღალტრო ნაწილში, ალექსი მაქსიმეს ძე იმავე უწყების სახელოსნოში ზეინკლად და მხოზავად მუშაობდა“.

დავებეტებოდი თბილისის ქუჩებში და სულ იმაზე ვფიქრობდი, თუ რა დიდი და დაუცხრომელი მისწრაფება ჰქონდათ ერთმანეთის მიმართ გამოჩენილ რუს და ქართველ მოღვაწეებს. ამ მისწრაფებით, რომელმაც მოიკეა რუსული საზოგადოებრივობის მოწინავე წარმომადგენლები დაწყებული გრიბოედოვიდან, პუშკინიდან, ლერმონტოვიდან ბესტუჟევი-მარლინსკიდან, ოდოევსკიდან და კავკასიის მთებში, მზიურ „ჯარისკაცულ“ კატორ-

ღაში გადასახლებულ დეკაბრისტებიდან დაიწყო მყარი ურთიერთობა არწყვის მოწინავე მოაზროვნეთა და ქართველ დემოკრატებსა და განმანათლებლებს შორის, რომლებიც საქართველოს აყვავებაზე ოცნებობდნენ.

თბილისი ინახავდა ამ ტრადიციებს და ახლაც ყველგან აღბეჭდილია კვალი ისტორიული შეხვედრებისა. იგი როგორც ცოცხალი მოგონება შემოინახა ხალხის მეხსიერებამ.

თბილისში ჩემი პირველი ჩამოსვლისთანავე გავიცანი ქართველი პოეტები და მწერლები. ეს ნაცნობობა მერამე გადაიზარდა დიდ, ძმურ სიყვარულში. მაშინ შევხვედი თბილისში სერგეი ესენინს, მან პატარა დუქანში სადაც ღვინის ჭიქები ელავდნენ და მოქეიფენი ხალხურ სიმღერებს მღეროდნენ, წამიკითხა ახლად დაწერილი ბალადა ოცდაექვსზე. ბუნებრივი იყო ისიც, რომ სერგეი ესენინმა იმ დღეებშივე თბილისში დაწერა ლექსი, რომლითაც გამოხატა თავისი გრძნობები და დამოკიდებულება ქართველი პოეტებისადმი:

Поэты Грузии!

Я никак не вспомнил вас.
Приятный вечер Вам,
Хороший, добрый час!

Товарищи по чувствам,

По перу,
Словесных рек кипение
И шорох,

Я вас люблю,
Как шумную Куру,
Люблю в пирах и в разговорах.

იმავე აგვისტოს დღეებში თბილისის ქუჩებში გაიარა ელადიმერ მიაკოცკიმი, როგორც ქართველმა მშობლიურ მიწაზე.

თბილისი პოეტთა ქალაქი იყო და ლექსები ჯღერდნენ პოეტური ღამეების მხურვალე სივრცეში გრძნობით გაბრუნებულს გვეგონა, რომ თბილისში საუბარი შეიძლებოდა მხოლოდ ლექსებით ანდა რაღაც მაღალი პროზით. სიახლე გვათრობდა, ბევრი იყო ახალი თბილის-

ში. ბავშვებს წითელი ყელსახვევები უფრიალებდათ ყელზე. ფართოდ დააბიჯებდნენ ქუჩებში და ხმამალა ლაპარაკობდნენ კომკავშირელები, წითლად ელავდა ვარსკვლავი ტაძრის თავზე, შენობის კედლებზე გაკრული იყო პლაკატები და რევოლუციური ლოზუნგები.

თბილისი ინახავდა თავის ძველთაძველ ძეგლებს და სახელებს დიდებითა და ხალხის სიყვარულით ნასათუთებს. პოეტები წმინდა მთაზე ადიოდნენ და მთაწმინდის ხეთა ჩრდილებში ღრმად დაფიქრებული დასცქეროდნენ საფლავებს. და გვეჩვენებოდა, რომ ქართველი ხალხის დიდი მოზარენი ისევ ცოცხლობდნენ და ისევ ესაუბრებოდნენ თავიანთ ხალხს, იმით გახარებულნი რომ წარსულის ბოროტებას კეთილმან სძლია.

დღესაც ადით მთაწმინდაზე და გულთადად ესაუბრეთ ილია ქაეჭავაძეს, აკაკი წერეთელს, ნიკოლოზ ბარათაშვილს, გრ. ორბელიანს, ვაჟა-ფშაველას, გადაშლეთ მათი წიგნები და ისინი გაგესაუბრებიან ისევე მეგობრულად და ისეთივე გზნებით, რომ იტყვი ცოცხლები არიანო.

იმ თბილისმა, რომელმაც თავისი მრავალფეროვნებით, უშუალოებითა და წმინდა გულით, პირველსავე დღეს მომხიბლა, მხატვრული და ფილოსოფიური მოგონებების გვერდით, თავისი პოეტებისა და მხატვრების გვერდით, დამანახა სულ სხვა ქალაქი, რომელიც ყველას აოცებს თავისი ვაჟკაციური შემართებით.

მე ახლა ვლაპარაკობ თბილისზე — რევოლუციის ქალაქზე, გმირთა და მებრძოლთა ქალაქზე. რამდენი ადგილია თბილისში ისტორიულ წარსულთან რევოლუციურ ბრძოლებთან და დემონსტრაციებთან დაკავშირებული.

ნაბიჯ-ნაბიჯ თქვენ გაივლით გზას, რომელიც აღნიშნულია თბილისის რუკაზე და ბრწყინავს საქვეყნოდ ცნობილი სახელებით. ეს დიდებული სია ი. ბ. სტალინის სახელით იწყება. ა. წულუჯიძე, ს. ორჯონიკიძე, მ. კალინინი, ს. კიროვი ცხოვრობდნენ აქ, იბრძოდნენ

და შრომობდნენ, რევოლუციის გამარჯვებისათვის თავს არ ზღუდებდნენ.

ყველა, ვინც თბილისს დატოვა, გორც ადამიანი, რომელსაც უნდა ჩაწედეს ჩვენი დროის სიმართლეს და ოქტომბრის რევოლუციის მიერ წამოყენებულ მიზანს, თვალს გადაავლებს რევოლუციური თბილისის გმირულ გზას და იგრძნობს რა წვლილი გაუღია ამ ქალაქს იმისათვის, რაც საბჭოთა კავშირის მთელ სივრცეებზე შექმნილა, ვაიგებს მოსკოვის, კიევის, ლენინგრადის და სხვა ქალაქების ნათესაობას იმ ქალაქთან, რომელიც გაშენებულია მტკვრის ნაპირზე.

ამიტომ არ გაუკვირდება თბილისში ჩამოსულს თუ იგი რუსთაველის პროსპექტზე, იმელ-ის შენობის ფრონტონზე საქართველოს ინდუსტრიის განვითარების სურათებს დაინახავს ქვაში გამოკვეთილს. ესაა დახვეწილი მოქანდაკის, შესანიშნავი ოსტატის თამარ აბაკელიას მიერ გამოკვეთილი მუშა-მეფოლადეები, მშენებლები, მეშახტეები, მანქანათმშენებლები, ელექტრო ტექნიკოსები. ესენი არიან შთამომავალი იმ პროლეტარებისა, რომლებიც თავს იყრიდნენ ღრმა-ღელეში პირველ მაისობაზე და აწყობდნენ პირველ გაფიცვებს თბილისის სახელოსნოებში.

ამ ადამიანებს — თბილისის ერთგულ მშრომლებს ახლა არაფერი აქვთ საერთო რევოლუციამდელ უფლებაყრილ ნუშებთან ისევე, როგორც დღევანდელ თბილისს არაფერი აქვს საერთო იმ უბილისთან, რომელიც მე ვნახე ამ ოცდაათი წლის წინათ.

შორს გადავიმულა მტკვრის ხეობაში თბილისი — მოწინავე ტექნიკის დიდოსტატთა მიერ აღორძინებული დიდი ქალაქი, რომელიც ახალი პარკებითა და ბაღებით, სანაპიროებით, დიდი ხილებით, ნათელი, ახალი სახლებითა და ქუჩებით არის დამშვენებული.

თბილისი ბუნებრივად მიჰყვება მტკვრის ხეობას, მისი ზრდა კანონზომიერია. ამ ზრდისას იგი ღამაზდება, ძველი მდიდრდება ახალი ფერადებით.

ვისაც დიდხნის წინათ უნახავს თბილისი და ხელმეორედ ჩამოდის ახლა, გაოცება და სიხარული იპყრობს, რადგან მას ხედება აყვავებული და გაზრდილი ქალაქი, უღამაზესი რესპუბლიკის ქემარტი დედაქალაქი.

თბილეს დღეებში აუცილებლად ბევრი რამ უნდა მოვიგონოთ უძველესი ქალაქის შორეული და ტრაგიკული წარსულიდან. ბევრი სურათი იმდენად ბნელი მოგვეჩვენება, რომ მარტო მისი გახსენებაც კი მტკივნეული იქნება, მაგრამ ეს მოგონებები დავუტოვოთ მუხეუმებს და ძველ მემარტოანებს, ხოლო ჩვენ თვალი გაუქუსწოროთ მომავალ დღეებს.

მეცნიერებისა და ტექნიკის უდიდესი განვითარების ეპოქაში, ბუნების

გარდაქმნის დიად ეპოქაში, თბილეს როგორც კულტურული კერძოდ ცენტრს, უფრო მეტი ბრწყინვალე მანძა აყვავება შეუძლია. მაგრამ მუობადში როგორც არ უნდა შეიცვალოს მომავალი თბილისის სახე, მე დარწმუნებული ვარ, რომ იგი ყოველთვის შეინარჩუნებს იმ სულიერ სილამაზეს, იმ უშუალობას და სულიერ სიმდიდრეს, რომელიც ასე იზიდავდა გულსა და გონებას, ხელს უწყობდა ძმური ხალხობის მეგობრობას, ხელს უწყობდა აგრეთვე იმას, რომ თბილისი ჩვენი დიადი სამშობლოს ხალხთა მეგობრობის ქალაქად გადაქცეულიყო.

დიდება თბილისს — მშვიდობისა და შრომის ქალაქს, ჭარბველი და საბჭოთა ხალხების სიამაყეს!

აბამ ხაჩაზურიანი



ქ დაე, რომელიც მღერის

აქ დაეობადე, პირველი ჩემი მოგონებებიც თბილისთანაა დაკავშირებული. თბილისი ჩემთვის მუდამ — ბავშვობის წლებშიც და ახლაც — იყო და არის ქალაქი, რომელიც მღერის. სამხრეთის ბუნების მდიდარი ნაირღერობა, მზისა და ვარსკვლავების ბრწყინვა-ელეარება, მდინარის დაუღეგარი ხმაური, ფოთოლთა სენთქვა-ჩურჩული — არ შეიძლება ყოველივე ეს არ აღიქვა, თუნდაც მუსიკოსი არ იყო. როგორც ნამდვილი მუსიკა, უხალო პარმონია — დიადი, მარადიული, მშვენიერი...

მაგრამ თბილისი მომღერალი ქალაქია ამ სიტყვის პირდაპირ მნიშვნელობითაც: მე ვამბობ — «თბილისი» და მესმის ათეული, ასეულო მკლოდა. მე მახსოვს, როგორ იოიძებოა სლაქი. ღია აიანები, თანარკები და დარბები. თბილისელები უცოი თაზი დანან. ღილინებენ. ღია თანარკებთან აღწევს

ჩემს ყურამდე ეს ნაირ-ნაირ ხმები — ხან ხალისიანი, მზიარული, გამომწვევი, ხან კი ნალელიანი და მელანქოლიური. ხოლო ქვევით, ქუჩების ვიწრო ფილაქნებზე, სადაც ეს-ესაა, გარიყრეთან ერთად, გამოჩნდნენ მემწვანილეები და მემაწვნეები, ხილბოსტნეულისა და ათასი წვრილმანის გამყიდველნი, — იქ უკვე ჩქეფს სიცოცხლე, აღსავსე თავისებურ პანავთა უსასრულო ნაირღერობით:

— მა-წო-ნი! მა-წო-ნი! მა-წო-ნიიიი!

— ხერმა! ხერმა! ხუტუტურმააააა!!!

სხვადასხვა კილოზე, რიტმული მოქნილობით ინტონაციათა საოცარი სიტუვით, ყოველთვის არაჩვეულებრივი სიმწყობრით და, მე ვიტყვოდი, მუსიკალური ჩანაფიქრის სიტხადით მღეროიან ისინი. მათი ხმა პირდაპირ გაუჯადოებთ. ამ «ღღერადი რეკლამის» მკლოდიები მხოლოდ სმენაში კი არ ჩაგრჩებათ — ისა-

ნი სადაც სულის სიღრმეში აღწევენ და ცხოვრობენ იქ წლობით, მაშინაც კი, როდესაც შენ გგონია, რომ აღარ გახსოვს ისინი. და უეცრად ამოტივტივებიან მესხიერებაში გატოცხლებული სიყრმის შთაბეჭდილებებთან ერთად, ფანტაზია კი მათ გარდაქმნის, გადაახალისებს, ხანდახან ისე, რომ ვერც კი იცნობ, მაგრამ ეს ხომ მაინც ისინი არიან, ის პანგები, ის მელოდიები, რომლებმაც ამაგერად პოვეს სამყოფი მუსიკოსის რომელიღაც ქმნილებაში. და რალა სათქმელია, რომ მუსიკოსიც უდიდესი მადლიერების გრძნობით არის შეპყრობილი თავისი ბავშვობის წლებისა და მშობლიური ქალაქის, მომღერალი ქალაქის, სანუკვარი თბილისის მიმართ!

რომელმა მათგანმა, რომელი მემწვანოლისა თუ მემწვანის ქუჩის „არაამ“ მიკარნახა მე საფორტეპიანო კონცერტის მეორე ნაწილი? არ ვიცი. იქნებ ეს სულაც სხვა პანგი იყო ამავე ქუჩაში დაბადებული, მაგრამ მე ვიცი ავტორისეულ შეგრძნებათა უეჭველობით: ეს — ჩემი ქალაქის, მომღერალი თბილისის მუსიკაა, იმ შორეული სიყრმის ეამის პანგებია, როდესაც მე გაფიქრება და იცნებაც კი არ შემძლო მომავალი კომპოზიტორის ხედვარზე და იქნებ მხოლოდ უსაზნო გუმანითღა ვიქერდი, ერთხელ და სამუდამოდ, გარესამყაროს ზღაპრულ ბეგროვნებას.

ასეთივე შორეულია და ასეთივე ცხოველი ის შთაბეჭდილებანი, რომლებიც ჩემს ხსოვნაში თბილისის ბაზრებმა და აბანოებმა აღბეჭდეს. არა, ნურავის ნუ ჰგონია, რომ ისინი პროზაულნი არიან. ან, თუ გნებავთ, თვით ამ პროზაულობაში იყო იმდენი რამ მიმზიდველი, საინტერესო, ამაღლევებელი, რომ მე დღესაც კი ვიციანი გულისანდ, როდესაც ვივონებ ამა თუ იმ მხიარულ ქანრულ სცენას და შემომგზმის ის ეთივლ-ხივილი, წარმტაცი ანარეკლი იმ მჩქეფარე და ფერადოვანი, ხან სიცოცხლის ხალისით და ხან ფარული სევდით აღსავსე ცხოვრებისა.

სადარდებელიც ხომ საკმაოდ ჰქონდა ქართველ ხალხს...

თბილისის ბაზარი ფერები, რომლებიც დიდი ფლამანდელის ყალმის ღირსნი არიან! ხმაური, ღრიალცელი, შეძახილები. მოპატივება, პაექრობა, სიმღერები — გაავარავარებული ცის თაღის ქვეშ. ეს არ შეიძლება დაავიწყდეს. გავიდა წლები, ნეაპოლი მომიხდა ყოფნა და მე, ვიხელთე თუ არა დრო, ბაზრისაკენ გავეშურე. ლავარდოვან ლაგუნებსა და შეძლებულ ტურისტთათვის აღმართულ ოტელთაგან დაშორებით, იქ, სადაც არც ქლესა ვიდებსა და არც მგრძნობიარე ხმანარა მომღერლებს შეხედებით — გადაიშალა ჩემს თვალწინ ჩვეულებრივი და, ამავე დროს, ზღაპრულად ნაირსახოვანი ბაზარი, წყლის ორი წვეთით რომ წააგავდა იმას, რაც მე ბავშვობაში მენახა და გამეგონა: ნეაპოლი აქ სულ სხვა პანგებით ჟღერდა, უღარდელი სიცილი სიმწრისა და რისხვის შეძახილებში ირეოდა, ხალხი ფუტკარივით ირეოდა, ყველა მიმართულებით მიიწევდა და, ამავე დროს, თითქოს უხილავ ლობტარსაც ემორჩილებოდა. ყოველივე, რაც აქ ხდებოდა, ქეშმარიტად მუსიკალური და პლასტიკური იყო: სამხრეთის ბუნება ყველაფერში გამოკრთოდა, ხოლო ფერთა და ბგერათა ჯადოქრული ხლართის მომხიბლავი სურათი თვალნათლივ მაგონებდა ჩემს ქალაქს—თბილისს—მომღერალ ქალაქს.

...გოგირდის წყლის ბუნებრივი დუღილი თბილისის აბანოებში; კლდეში გამოკვეთილი „ნომრები“; ოჭროსწვერა შეაბანოე, რომელიც თავის მუშტრებს საოცარი მოდულაციებით დახვავებული „არითი“ იპატიებს; მამასთან ერთად აბანოში წასასვლელად სამზადისი — დინჯი, აუჩქარებელი, რიტუალივით ერთგვარი და ამიტომ განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი და მრავლისმეტყველი... თბილისელები მიდიოდნენ აბანოში ისე, როგორც ანტიკური სამყაროს მოქალაქენი: მოენახულებინათ ნაცნობნი, ემსჯელათ ქვეყნის ავკარ-

გზე, მიეღოთ ახალი შთაბეჭდილებანი, დღეთა და წელთა ტვირთისაგან განტვირთულიყვენ. ცხელი წყალი, აღმოსავლური მასაჟი, განზანვა და დაშოშმინება მშვიდობის სუფევა—ღაბაც რომ უბრუნებდნენ მოხუცებს ყრობას, ხოლო ახალგაზრდებს კიდევ მეტ ხალისსა და ძალ-ღონეს ჰმატებდნენ. ნათქვამია, რომ „აბანოს დღე“ გამორიცხულია დღეთა სათვალავიდან: იგი ბედით ნაჩუქარია, კაცის სიცოცხლის დღემეტია... სულ სხვა ხმაური, მორააკრავი, წვეთ-წვეთად მონაქური წყლის სულ სხვა, საგანგებო ჰანგები, მეგობართა დინჯი ბაასი; უცებ, ანაზღად მონახეთი მელოდია და ხმაშაღალი, გულიანი სიცილი... სიმღერის ქალაქი, სიხარულის ქალაქი...

და აი ნამდვილი მუსიკისაგან მიღებული პირველი შთაბეჭდილებანიც. მათაც აქ, თბილისში, ვეზიარე. მათ განათეს სიყრმე „აბესალომის“ მელოდიათა უქრობი შუქით. თეატრის კდემით, იქ ნაგემები აღფრთოვანებით. სცენის ჯადო, მსახიობთა მღერა-თამაში, ორკესტრის მძლავრი და უნახესი აქლერება, თვით შენობა და დარბაზი ოპერის თეატრისა გახდა იმ დღიდან ჩემთვის წმიდათა წმიდა, ქვეყნად ყველაფერზე უნეტარესი და სანუკვარი.

ფიქრობდი, ჩაივლიან წლები, მოხდებდა ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე საგულისხმო და მნიშვნელოვანი ამბავი: მე მელირსება ბედნიერება „აბესალომისა და ეთერის“ შემოქმედის, ქართული კლასიკური ოპერის დიდი ფუძემდებლის ზაქარია ფალიაშვილის გაცნობისა. ეს ამბავი ჩემთვის ორგონის ნიშანდობლივი იყო: ფალიაშვილის წინაშე მე წარმადგინა დიდმა სომეხმა კომპოზიტორმა სპენდიაროვმა. ორი უნიჭიერესი ხალხის უნიჭიერესი შვილნი საოცარი გულთბილობით, ყურადღებითა და სინაზით ებყრობოდნენ ერთმანეთს. მათი ღრმა ინტერესი ერთერთისადმი და ძმური მეგობრობა — წარუშლელ, ძლიერ, მომხიბლავ და, მე ვიტყვოდი, ვაჟკაცურ შთაბეჭდილებას

ტოვებდა. უდიდესი სიამოვნებით ვგონებ მე, აგრეთვე ჩემს მორჩეულ მძებვედრას გამოჩენილ ქართველ კომპოზიტორებთან — მელიტონ ბალანჩივაძესთან და დიმიტრი არაყიშვილთან.

ასეთი მუსიკალური — და არა მარტო მუსიკალური — კულტურის, საერთოდ, ბრწყინვალე კულტურის ქალაქს, რომელსაც გააჩნია ჩინებული ქართული და რუსული თეატრები, სადაც იმართებოდა პირველხარისხოვანი სიმფონიური კონცერტები, სადაც გამოდიოდა ყველა ცოტად თუ ბევრად გამოჩენილი მსახიობი, ქალაქს, რომელმაც მიიზიდა და გამოავლინა გორკისა და შალიაპინის გენია — ასეთ ქალაქს არ შეეძლო არ მოეხდინა უდიდესი ზეგავლენა ყოველი კაცის ესთეტიკურ შეხედულებათა და მისწრაფებათა ჩამოყალიბებაზე, თუკი ის აქ დაიბადა და გაიზარდა.

დიახ, თბილისმა ჩამოაყალიბა და განსაზღვრა ჩემი მისწრაფებანი, მან გამიზიარა მე ჩემი სიყრმის ყველაზე მკაფიო და ამაღლევებელი შთაბეჭდილებანი, მომანიჭა ყველაზე დიდი სიხარული. ეს იყო წარმტაცი განცდა თვით სილამაზისა: იყო ეს ქართული ოპერა-„რევიზორი“ რუსულ სცენაზე, დასავლეთის კომპოზიტორთა კლასიკური მუსიკა, თუ გარესამყაროს უშუალო შთაბეჭდილებანი — ქართული ექსპრესიის აღმოსავლურ სიდინჯესთან შეხამება, სკულპტურული სიმკაცრის ფერმწერლურ სიუხვესთან შერწყმა. ყველაფერს თავისი მადლი და ეშვი ჰქონდა ახალგაზრდა კაცის შეგრძნებისათვის, ყველაფერი მიბიძგებდა ჩემში იმ მთავარის, სანუკვარის გამომქლავებისაკენ, რასაც უნდა საბოლოოდ განესაზღვრა ჩემი ცხოვრება—მუსიკოსის ცხოვრება.

...დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება და მეც მომეცა შესაძლებლობა, მოსკოვში, კონსერვატორიაში წავსულიყავი. მას შემდეგ ყოველი შეხვედრა თბილისთან ახალ სიხარულს მანიჭებდა და გამოუთქმელად მადლეებდა. მიჩვენეთ კაცი, რომელიც გულგრილი დარ-

ჩება მშობლიურ ქალაქთან მიახლოებისას! მიჩვენეთ კაცი, რომელიც გულცივად აუვლის გვერდს ახალ ნაკეთებს დიდი ხნის ნაცნობი, მშობლიური, სიყრმიდანვე საყვარელი ქალაქის სახეზე! თუ კიდევაც ჩემი შეხვედრა თბილისთან საქმოდ ხშირი იყო — მე ვერ ვძღვებოდი მის იერში ცვლილებებისა და სიახლის აღმოჩენით. ახალი არქიტექტურის შენობები, განახლებული გარეუბნები, ქალაქის ცენტრს თვით დროის განუხრელი და მტკიცე ნაბიჯით რომ უახლოვდებოდნენ. ფართოდ გაშლილი, კრიალა და გამწვანებული ქუჩები, კიდევ უფრო გაზიარებული ჩრდილოვანი ბაღები, თბილისის ზღვა — ახალგაზრდა და ნათელი, მოხუცი მთა, რომლის სიმაღლიდან დამეული ქალაქი განძეულით სავსე სივრცის მოგავონებს, ისე უხვად აღმოცენდა აქ ნათურები — შავ ხავერდზე მოფრქვეული აღმასებივით მოკაიფენი... ახალი რიტმი, ახალი მელოდიები, ახალი კულტურა...

და ამასთან—დიდი, აგრეთვე სავსებით ახალი, მუსიკალური კულტურა. რაშიდაა მისი სიახლე?

ქართული მუსიკის ზოგიერთი ენარი, პირველ რიგში კი სიმფონიური მუსიკა საბჭოთა ხანაში დაიბადა და განმტკიცდა. საბჭოთა ხელისუფლებამ გამოზარდა და გამოაწრო იმდენი კომპოზიტორი, რომ მარტო მათი ნუსხაც კი (მათს მძლავრ ნიჭთან შეხამებით!) უძველი და ცხადი დასტურია ქართული ხალხის უდიდესი შემოქმედებითი პოტენციისა, ხალხის, რომელმაც ყველა თავისი ბუნებრივი მონაცემის ცხოვრების ყველა სფეროში თავისუფალი და განუსაზღვრელი გამოვლინებისა და განვითარების შესაძლებლობა მიიღო. რადგან ამჟამად მხატვრული შემოქმედების სფეროს ვეხებით, მეც მხოლოდ ერთი მაგალითით დავკმაყოფილდები.

ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადებს მინდა შევეხო. პირველმა დეკადამ ბევრით განგვაკვიფრა:

შემოქმედების თვითმყოფადობით. რესტრუქციონით, მშვენიერი ტრადიციებით, ახლის ნერგებით. მეორე დეკადამ დეკადამ სახტად დაგვტოვა — პანრების ისეთი ნაირფერობა, ტალანტების ისეთი სიუხვე, არტისტულ, მუსიკალურ, მხატვრულ, მწერალურ ინდივიდუალობათა და კოლექტივთა ისეთი ამოუწურავი „არჩევანი“ შემოგვთავაზა. ძნელი იქნებოდა ამ სასწაულის რეალობის დაჯერება, იგი ჩვენს თვალწინ რომ არ მომხდარიყო!

დეკადის ცენტრი „ოტელო“ გახდა — ბალეტი, შექმნილი ვახტანგ ქაბუჯიანის, ალიკო მაჭავარიანის, სოლოკო ვირსალაძის დიდი ნიჭით. ქაბუჯიანის დაუღალავემა ენერგიამ, უმრეტმა მხატვრულმა ფანტაზიამ და უზადო გემოვნებამ ხომ უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე შექმნა საქართველოში დიდებული კლასიკური ეროვნული ბალეტი; ისეთი ოსტატები, ქართული ბალეტის მშვენიება, როგორც ვერა წიგნაძე და ზურაბ კიკალაძე იყვნენ. — განა საჭიროა ამაზე დიდი დადასტურება ქართული მხატვრული შემოქმედების საოცარი აღმავლობისა!

მხატვრული შემოქმედების აღმავლობაზე თუ ვილაპარაკებთ, კვლავ მუსიკას დაუბრუნდები.

ჩვენს დროში, ჩემს თვალწინ ქართული მუსიკა ნაირფერ თაიგულივით აყვავდა და ისეთი ნაყოფიც გამოიღო, რომელზედაც ჩვენ ოცნებაც კი არ შეგვეძლო. მე ზემოთ ვახსენე სიმფონიური მუსიკა. რევოლუციამდე ხომ იგი თითქმის არც არსებობდა. ახლა კი ის არა მარტო იშვა და განმტკიცდა, არამედ სავსებით დამოუკიდებელ და მძლავრ ძალად გამოგვეცხადა. ძნელია ზედმეტად შეაფასო ქართული მუსიკის წვლილი საბჭოთა და მამასადამე, მსოფლიო მუსიკალური კულტურის საგანძურში. ახლა უკვე უფროსი თაობის კომპოზიტორების — ანდრია ბალანჩივაძის, შალვა შამგულის, იონა ტუსკიას, ვიორჯი კილაძის, ალექსანდრე ბუკიას, საშუალო და ახალგაზრდა თაო-

ბის კომპოზიტორების — ოთარ თავ-
თაქიშვილის, ალექსი მაჭავარიანის, არ-
ჩილ ჩიმაკაძის, რევაზ ლალიძის, სულ-
ხან ცინცაძის, ოთარ გორდელის და სხვა-
თა სახით — ქართულ საბჭოთა მუსიკა-
ლურ ხელოვნებას გააჩინა მძლავრი და
ნიჭიერი რაზმი, გასული მსოფლიო მუ-
სიკალური კულტურის ასპარეზზე.

ეს რაზმი ძლიერია თავისი ინდივი-
დუალობებით, ყოველ მათგანზე შეი-
ძლება ბევრი რამ ითქვას. მაგრამ მე
ზომ გამოკვლევას ან თუნდაც სტატიას
არ ვწერ ქართველ კომპოზიტორთა შე-

სახებ. მე მხოლოდ მინდა ვთქვა, რომ
ბედნიერი ვარ ასეთი ქალაქის დაბადე-
ბის დღეს, როდესაც მას, ანუ იმ ათას-
ხუთასწლოვანი — ასაკი შეუსრულდა,
გავისხენო თუ რამდენი სიკეთე, სიხა-
რული და სილამაზის განცდა მომანიჭა
მე (და არა მარტო მე — მთელს ჩვენს
ქვეყანას, მთელს მსოფლიოს) ჩემმა ქა-
ლაქმა, მომღერალმა ქალაქმა, ჩემმა
თბილისმა...

მე ვაძაყობ იმით, რომ ასეთ დღეს
მაქვს შესაძლებლობა გადავცე მას ჩე-
მი მოკითხვა და დღევრძელობა.

ღვწიანი



ჩვენი საერთო სიხარული და სიამაყე

თბილისი — მსოფლიოს ერთ-ერთი
ულამაზესი ქალაქი ათასხუთასი წლისაა.
ადამიანის გონებას ძალა არ შესწევს
მისწვდეს იმას, რაც სამყარომ თხუთმე-
ტი საუკუნის განმავლობაში გადაიტა-
ნა — სიკვდილი და სამეფოთა ნგრევა,
ომები, რევოლუციები, განსაცვიფრებე-
ლი აღმოჩენები, ლიტერატურის, კულ-
ტურის, და მეცნიერების დიდი მიღწე-
ვები. და მთელი ამ თხუთმეტი საუკუნის
განმავლობაში მამადავითის მთასთან არ-
სებობდა ქალაქი თბილისი — საქართვე-
ლოს გული. აქ ქალაქის მკვიდრნი შრო-
მობდნენ, ქმნიდნენ სიმღერებს, იარა-
ღით ხელში იბრძოდნენ და მტრის
ურდოებისაგან იცავდნენ თავიანთ კე-
რას, თავიანთ თავისუფლებას...

მე, უფროსი თაობის ადამიანს, მინდა
ვილაპარაკო მხოლოდ იმაზე, რაც მე
მინახავს, რისი მოწმეც ვყოფილვარ
უძველეს ქალაქ თბილისში. ამ ქალაქში
ჩემი ახალგაზრდობის დღეები გამიტა-
რებია. ეს იყო ჩვენი საუკუნის დასა-
წყისში, როდესაც იწურებოდა პირვე-
ლი ათწლეული. მე ვტკბებოდი ქალაქის
სანახებით დავითის მთიდან, ვეხეტებო-

დი ძველი თბილისის ქუჩებში, დიდხანს
ვიდექი ზიდზე, დავცქეროდი მტკვარს
და ვფიქრობდი იმაზე, რომ წარსულ სა-
უკუნეში აქ უვლიათ პუშკინს, ლერმონ-
ტოვს, ლევ ტოლსტოის...

თბილისელები პუშკინს, ლერმონ-
ტოვს, ლევ ტოლსტოის თავიანთ თანა-
მემამულეებად თვლიდნენ და მათი
ხსოვნა ცოცხლობდა და დღესაც ცოცხ-
ლობს ამ ქალაქში.

არასოდეს დამავიწყდება ის დღე, რო-
დესაც თბილისში დიდი მწერლის, ლევ
ტოლსტოის გარდაცვალების ცნობამ
მოაღწია.

ეს იყო თეატრში — არ მახსოვს რა
პიესა მიდიოდა, ჩვეულებრივ დილის
წარმოდგენაზე თეატრში ბევრ ახალგაზ-
რლობას მოეყარა თავი და უცბად სცე-
ნაზე გრიმიან მსახიობებს შორის გამოჩ-
ნდა გაფითრებული, რაღაცით ძლიერ
აღელვებული ადამიანი, მსახიობები გაი-
რინდნენ, რეპლიკა ტუჩებზე შეეყინათ.

კაცი მოადგა რამზას და მართოლვარე
ხმით თქვა: —

— ლევ ტოლსტოი... გარდაიცვალა.

სამარისებური სიჩუმე სუფევდა და უცებ დარბაზი ჩუმად აშრიალდა, რაც შემდეგ ქვითინსა და ყრუ, ნაღვლიან კენესაში გადაიზარდა.

მთელი რუსეთი დასტიროდა დიდ მწერალს, მაგრამ მე მგონი არსად არ იყო ისეთი საყოველთაო მწუხარება, როგორც საქარველოში, თბილისში, რადგანაც ტოლსტოი აქ იყო მშობლიური, ახლობელი ყველა განათლებული ადამიანისათვის.

და იმ მწუხარე დღეს მე განსაკუთრებული სიძლიერით შევიგრძენი რუსული და ქართული კულტურის ძმური სიახლოვე.

დადგა 1911 წელი. მიდიოდნენ დღეები, მე კვლავ თბილისში ვცხოვრობდი. სულ უფრო და უფრო ვეცნობოდი ქალაქს, მის ადამიანებს. მე მყავდნენ მეგობრები, ახალგაზრდა ამხანაგები, მე შევიგნე, რომ ნამდვილი წმინდა თბილისი — ეს არაა მუნდირში გამოწყობილი ბატონები, რომლებიც ოპერის თეატრში მეფის ნაცვლის ლოკაში გამოჩნდებოდნენ, ანდა მდიდარი ეპურები მარგალიტებითა და ბრილიანტებით მოოქვილი ქალბატონებითურთ.

მე ვიცნობდი მეორე თბილისს, მამაცი და ფიცები ახალგაზრდების ქალაქს. მათ

არ უღალატეს რევოლუციას შავი რეაქციის წლებში და ვინ იცის, რა შედეგმა ახალგაზრდა და მამაცმა მეომარმა თავიანთი სამარე შორეულ ციმბირში პოვა.

ეს ადამიანები იყვნენ ჰემშირები შეილები თავიანთი ხალხისა, ისინი იყვნენ ნამდვილი შეილები თავიანთი ამაცი და მშვენიერი ქალაქისა.

მას შემდეგ ნახევარმა საუკუნემ განვლო. ცხოვრება ისე მოეწყო, რომ მე მომიხდა გავყრობა მშვენიერ ქალაქს, მაგრამ ეს ჩემი ახალგაზრდობის ქალაქია და მისი დავიწყება ისევე შეუძლებელია, როგორადაც შეუძლებელია ახალგაზრდობის დავიწყება.

და, აი საქართველოს დედაქალაქი, თბილისი, ათასხუთასი წლისაა, მაგრამ ფიქრობ მასზე და ხედავ მის ქუჩებს ავსებულს ცოცხალი, მხიარული საზეიმო ხალხთა კრებულებით, ხედავ მის მოედნებს დროშებით მორთულს, საზეიმო ილუმინაციებით გაცისკროვნებულს. არა, ეს არაა ძველი თმაქალარა მოხუცი, ესაა მუდამ ახალგაზრდა, ლამაზი და ახოვანი ქაბუცი, რომელიც განსახიერებაა თავის მუდამ ახალგაზრდა ნიჭით მომადლებული ხალხისა — ესაა ჩვენი საერთო, სახალხო დიდება, სიხარული და სიამაყე.

მოსკოვი, 29 აგვისტო 1958 წ.


3. პეისოვი



მომონებები თბილისზე

1937 წლის დასასრულია, შოთა რუსთაველის პოემის „ვეფხისტყაოსნის“ შექმნის შეიდას ორმოცდაათი წლისთავი. თბილისში მწერალთა კავშირის დიდი საზეიმო პლენუმი, მიძღვნილი ამ ღირსშესანიშნავი თარიღისადმი. პლენუმზე მოსკოვიდან მიემგზავრება დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში ვარ მეც. ჩემს მეგობარ ქართველ მწერლებსა და პოეტებს პირველად შეხვ-

დი მათი მშობლიური ქალაქის ფონზე. საქართველოს დედაქალაქისა და მის ხალხთან პირველი შეხვედრის შთაბეჭდილება ისე ცოცხლად ჩამრჩა მესხიერებაში, თითქოს ეს ერთადერთი შეხვედრა ყოფილიყო. ამას — ვარა, შემდეგ თბილისში არა ერთხელ ვყოფილვარ, დიდხანს ვცხოვრობდი ამ ქალაქში, ვმუშაობდი არქივებში და, საქართველოს კულტურის მშვენიერებით.



დატყვევებული. ეცდილობდი შემესწავლა რუსთაველისა და სტალინის ქვეყნის ენა. პოეტმა იოსებ გრიშაშვილმა, რომელთანაც მომიხდა სტუმრად ყოფნა, მის ცნობილ ხარფუხის ბიბლიოთეკაში, მაჩუქა იშვიათი თვითმასწავლებელი ქართული ენისა. ამ წიგნს ეინახავ მასპინძლის თავაზიანობისა და უსაზღვროების შეცნობისადმი ჩემი გულწრფელი მისწრაფების სახსოვრად.

მოსკოვის დელეგაციაში ბევრი საინტერესო აღმოჩანი იყო, რომლებთან მჭიდრო კავშირში მე გაეატარე თბილისის პლენუმის მთელი დღეები, მათ ვუზიარებდი საქართველოში შეხვედრის შთაბეჭდილებებს. მახსოვს სასტუმრო „ორიანტი“, სადაც ცხოვრობდნენ პლენუმის დელეგატები, ახალგაზრდა აღტაცებული სახე თავმდაბალი ალექსანდრე მალიშვინისა, მას თან ახლდა მეუღლე მარია პავლოვნა. მახსოვს ჩამოსულ მწერალთა გამოსვლა თეატრში, როდესაც პრეზიდენტში გამოაცხადეს დემიან ბედნის სიტყვა, თუ როგორ ახმაურდნენ გვერდზე მჯდომი მშვენიერი თბილისელი მოსწავლე ვაგონები, აქამდე ისინი ხომ მხოლოდ სახელმძღვანელოებიდან იცნობდნენ დემიან ბედნის, მაშინ არაჩვეულებრივად მომხიბლა პროფესორ შალვა ნუცუბიძის მგზნებარე სიტყვამ. ორატორმა მალლა აღმართა გენიალური „ვეფხისტყაოსანი“, როგორც ჩირაღდანი ისტორიის წყვედიდში, და კიდევ მახსოვს ერთი სიტყვა, რომელმაც ყველა განაცვიფრა, ეს იყო სიტყვა ნიკოლოზ ტიხონოვისა — პოემა პოემის შესახებ. და მახსოვს სტრიქონები, პოემის სტროფები ერწყმოდა სახეს ქალაქისას, რომელსაც თითქოს მამადავითის მთას ცისკენ აეტყორცნა. მახსოვს და არასოდეს დამავიწყდება არწივი, რომელიც მიაცილებდა ჩვენს საპეციალურ შატარებელს თბილისიდან-გორამდე, სადაც პლენუმის მონაწილეები მივიდოდით ი. ბ. სტალინის სახლში. მე და ა. ს. მაკარენკო ვიდექით ვაკონის ფანჯარასთან და თვალს ვადევნებდით ამ ფრინველის შეუპოვარ ფრე-

ნას. ანტონ სემიონოვიჩმა მითხრა: — ხომ გესმით, რამდენად ზუსტხარავიყოფილა სტალინისათვის, ^{სტალინისათვის} რომ ეწოდებინა „ჩვენი პარტიის მთის არწივი“...

შთაბეჭდილებები მოედინებოდნენ ყოველი მხრიდან. ჩვენ პირველად მოვისმინეთ მაშინ „სულიკოს“ მელიოდია და აკაკი წერეთლის მომაჯადოებელი სიტყვები, ცუდი სმენის გამო, რომელზედაც მიღებულია ასეთი გამოთქმა — დათქმა ყურზე ფეხი დააბიჯაო, ცუდ დღეში ვიყავი. ვაიძულეები ამხანაგებს, გაემეორებინათ სიმღერა, რომელიც მომწონდა. „სამად გამოილა ის ერთი, ვარსკვლავად, ჩიტად, ვარდალო“...

ამას იმიტომ ვწერ, რომ დავადასტურო უბრალო და მნიშვნელოვანი ქეშმარიტება: ქართული პოეზია, „სულიკო“, და აკაკი წერეთლის ლექსი „განთიადი“ მე აღვიქვი მთელი სულითა და გულით ნამდვილი, ცოცხალი საქართველოს მეშვეობით, რადგან ვიყავი იმ ქვეყანაში, რომელმაც წარმოშვა პოეტი, პოეტი, რომელიც მთაწმინდასთან ერთად ჩაფიქრებულიყო:

„მგოსანი გრძნობამორევეთ
თვალს ავლუხს არეშარესა
და გულის-ასუხს ნარანარად
უმღერის ტურფა მხარესა.

ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო,
სნეული დაებრუნებულვარ,
მეურნალად შემეყარეო!...“ —

ამ სტრიქონების ხმას აყოლილი, მათში გამოხატული სანუკვარი გრძნობებით დატყვევებული, მე ავდიოდი მთაწმინდაზე. იმ დღეებში ფუნქცილიორი რატომღაც არ მუშაობდა. მიხვეულ მოხვეული გზით ნელ-ნელა ავდიოდით, ხშირად ვერადებოდით. „თვალს ვავლებდი არეშარეს“ და მე შემეძლო შემეგრძნო ქალაქი, რომელიც ჩემს თვალწინ იშლებოდა... დიდხანს ვერ მოეციოდი ალექსანდრე გრიბოედოვისა და ნინო გრიბოედოვას საფლავს. როგორც ლექსს, ისე ვიმეორებდი წარწერას:

Ум и дела твои бессмертны в памяти русской, для чего же пережила тебя любовь моя, — ვიმეორებდი და მაგონებოდა, რომ ეს სიტყვები ეკუთვნოდა პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულს.

ყოველთვის მალეღებდა ილია ჭავჭავაძის „ქართვის დედის“ სიტყვები:

მოვიცლათ წარსულ დროებზე დარდი,
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი
ჩვენ უნდა მოვეყო მომავალი ხალხს.

წლები გავიდა, და ჩვენ მივყვებით ერთ ვარსკვლავს, ერთად ვჰქედავთ მთელი ხალხების ბედ-იღბალს: „მნათობი სხივებს მალლით ჰფენს, თავდადებულის საფლავსა...“

ჯერ კიდევ მოსკოვში სერგეი ტრეტიაკოვის ოჯახში გავიცანი ნატო ვაჩნაძე და აი მე ვესტუმრე მის ოჯახს თბილისში. მე ყოველთვის აღტაცებული ვიყავი ნატოთი, როგორც ყველა, არა მხოლოდ მისი მსახიობური სილამაზით და ქალობით, არამედ მისი მომხიბლავი ჰქუა-გონებით. იგი მოხერხებულად მეთათურობდა თავის სამ მოზრდილ ვაჟიშვილს, რაც ჩემთვის მოულოდნელი იყო. მის ოჯახში შეხვედი მეგობრების ვიწრო წრეს ფატი თვალთვაქს, ბესო ჟღენტს, გიორგი ლეონიძეს, გათენებამდე ვსაუბრობდით ხელოვნებაზე. ნატო ვაჩნაძე ეკუთვნის იმ ქალთა რიცხვს, რომელთაც საბჭოთა ხელისუფლებამ მისცა „ნებისყოფა ნიჭის გამომდევანებისა“. ამასი ხედავდა ტალანტის გამარჯვების პირობებს ჩვენი კინორეჟისორი ვსევოლოდ პუდოვკინი. ერთი ჰქუა კარგია, თარი—უეტესი. ქალი დაეწია მამაკაცს, რომელსაც იგი ისტორიულად ჩამორჩა, ხდება მისი თანატოლი, მაგრამ იგი უსწრებს კიდევაც მამაკაცს, რადგან, ხდება რა თანასწორი, ქალი ამასთან ერთად ინარჩუნებს მას, რაც მამაკაცებს არ გააჩნიათ და რასიც ვერ დაეწევიან ქალს — ქალის ჰქუას. აი ასეთი იყო ნატო ვაჩნაძე. მე ვლაპარაკობ არა ქალზე, არამედ ხალხზე, ნატო ვაჩნაძეც ხომ იყო

ერთ-ერთი ღირსშესანიშნოება თბილისისა — ასე უწოდებდნენ მას, ასე ექცეოდნენ მას.

მე ვაფასებ მის მოგონებებს მაიაკოვსკიზე, მასში მთლიანად გამომქდავდა თარი ნიჭი, რომელზედაც რუსული ანდაზა ამბობს, რომ ასე სჯობსო.

როგორც კი ჩამოვედი თბილისში, რასაკვირველია, პირველ დღეებშივე გავემზავრე ქუთაისს, რათა მენახა ქალაქი და იმ გიმნაზიის შენობა, სადაც ვლადიმერ მაიაკოვსკი სწავლობდა, და მენახა ის მამაპაპური ჭადარი, ექვსი კაცი რომ ხელს ვერ შემოაწედნენ დარომლის ძირშიაც მართლმსაჯულებას ეწეოდა იმერეთის მეფე სოლომონი, ჩვენი საუკუნის დასაწყისში კი დარბოდა პატარა ქუთაისელი გიმნაზისტი — მომავალი პოეტი. თბილისში დაბრუნებისას გავიცანი მაიაკოვსკის მრავალი თანატოლი. და მისი მასწავლებელი, ვიყავი მათ ოჯახებში, სადაც ვხვდებოდი ისეთ მეგობრულ, გულუხვ და სასიხარულო მასპინძლობას, რომელიც ყოველთვის ელის საქართველოს სტუმარს.

რუსთაველისადმი მიძღვნილი პლენუმში დეკემბერში მიმდინარეობდა. მოსკოვიდან ჭურჭიანი წამოვედი. ხოლო თბილისის სადგურზე შინ დაბრუნებისას, კოსტუმებით დავდიოდით. ამ მოგზაურობიდან ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს წელიწადის სხვადასხვა დროში ემოგზაურობდი — არნახული ზომისა და ფერის ახლად შემოსული ბოლოკი და კიტრები, თითქოს ილუსტრაცია იყო მაიაკოვსკის სიტყვებისა ამ ქვეყნიური სამოთხის — საქართველოს შესახებ.

უკან დაბრუნებისას აღმოვჩნდი დემიან ბედნის მეზობელ კუპეში. ჩვენ ერთმანეთს ვუზიარებდით თბილისში გატარებული დღეების შთაბეჭდილებებს, ვიგონებდით შეხვედრებსა და დაკვირვებებს. აღტაცებაში მომიყვინა უბრალო ხალხის გულითადობამ. ერთხელ მე, ალექსი ნოვიკოვ-პრიბოისთან და სხვა მოსკოველ ამხანაგებთან

ერთად, ჩავედი სარდაფში და დავიკავეთ მაგიდა. ჩვენს გვერდით თბილისელთა ერთი ჯგუფი მხიარულობდა. როგორც კი გაიგეს, რომ მეზობელ მაგიდაზე მოსკოველი მწერლები ვისხედით, რომლებიც შოთა რუსთაველის პლენუმზე ვიყავით ჩამოსულები, შემოგვთავაზეს მაგიდების შეერთება და დაიწყო ლხინი, ჩვენ ვივაჟაკით, არ შევირცხვინეთ თავი „რუსული მოლხენის“ მხრივ, მაგრამ აშკარად ჩამოუვარდებოდით რიგითი ქართველ მკითხველებს სადღეგატელოების წარმოთქმაში. ისინი ძალზე კმაყოფილები იყვნენ, რომ მათს საზოგადოებაში იყო „ცუსიმას“ ცნობილი ავტორი ნოეიკოვ-პრიბოი და სულ მის სადღეგატელოებს სვამდნენ. აღუქსეი სილიჩი ქართულ ეროვნულ საქმელებს და ღვინოს ხელს არ აკლებდა, მაგრამ თვითკრიტიკის გრძნობას მაინც არ კარგავდა მისი შექების გამო:

— იცით, რატომ მიყურებენ ქართველები ასე? — მიჩურჩულა თავისი ტამბოვერი გამოთქმით, — შე ხომ მათთვის არა მხოლოდ „ცუსიმას“ ავტორი ვარ, მე ხომ ერთი იმთავიანი ვარ, რომელიც სასწაულით გადარჩა იამონელებთან უბედური ბრძოლების შემდეგ, იღრჩობოდა ცუსიმის სრუტეში და გამოცურა, ცოცხალი გადარჩა... აი, ისინი მთელი გულისყურით შესცქერიან არა მწერალს, არამედ სასწაულით გადარჩენილ კაცს. აი რითი ვარ მე ცნობილი...

ჩანდა, დემიანიც არ დაეტრეპებინათ უპატივეცემულოდ თბილისში ეგვიპტე-ცი-ნოდა, რომ ისმენდა ზნეშის წინამძღობს ნოეიკოვ-პრიბოის შესახებ და გამაგებინა, რომ მასაც კარგი დრო გაუტარებია ერთ წვეულებაზე. დაფინებით შეკითხებოდა, მე, რომელსაც ამდენი დამიწერია პოეზიის შესახებ, თუ რატომ არაფერს ვწერ მის შესახებ. მე ხუმრობა დავიწყე: დამნაშავე არა მხოლოდ მე, შენცა ხარ მეთქი. დავიხსოვე მისი ნაამბობი თუ როგორ სეირნობდა ვ. ი. ლენინთან ერთად კრემლის ეზოში, ართობდა მას ათასნაირი საინტერესო ამბით, სალაღობო, სახუმარო ლექსებით. ლენინი ისვენებდა. იცინოდა. დემიანს შეხედურები ჰქონდა სტალინთანაც, რომელთანაც იგი საუბრობდა პროფესიული ხასიათის ლექსებზე — როგორც პოეტი პოეტთან.

ვმგზავრობდით შობის დღეებში (ახალი სტილით). მეზობელ კუპეში ოღვა ივანოვანამ — ლ. ს. სობოლევის მეუღლემ — მოახერხა, ლამაზად მოერთო ნაძვისხე.

„აწმყო შობილი წარსულისაგან არის მშობელი მომავალისა“ — ეს სიტყვები წარუმძღვარა ეპიგრაფად ილია ჭავჭავაძემ თავის ლექსს „ქართლის დედას“. ათასხუთასი წელი იცოცხლა თბილისმა. მომავალს, კომუნისტურ მომავალს ქადაგებს აწმყო და წარსული. მოსკოვი და თბილისი. ჩვენ თამამად შევცქერით მომავალს, რადგან ერთ ვარსკვლავს მივყევით.

პეპანი პეპანეჟი



ღაბაღების ღღუს გიღოცავ თბიღისო

პირველად მე რამდენიმე წლის წინათ ვნახე.

მე შენთან ბედნიერი მოლოდინით აღსავსე მოვედი და არც მოვტყუებულვარ. ფუნკელიორის ოღნავ მოქანავე

ვაგონებმა შენს ცისქვეშეთში ამიყვანა და იქიდან, შენი ციდან დაგინახე შენ.

სალამო ხანი იყო.

ჩემს გვერდით ქალის თხელი მოსასხამი თეთრ ტალღად ირხეოდა და მის

ფონზე თბილისის ლამიონები ციმცი-
მებდა. სინათლები ისე ირწყოდა, რო-
გორც შავ ხავერდზე გაბნეული ძვირ-
ფასი თვლები. და თუკი უფრო კარგად
დააკვირდებოდი, ზოგიერთი მათგანი
ქალის თმებში ჩაწულად მოგჩვენე-
ბოდა. მე მაშინ შევივრძინე, რომ გაივ-
ლის მრავალი წელი, არ იქნება არც ეს
თეთრმოსასხამიანი ქალი, არ ვიქნები
მე, ხოლო სხვა ვინმე ორნი გადმოხე-
დავენ ლამეულ თბილისს და ძირს, მისი
ლამიონები ისევე იციმციმებენ, რო-
გორც ძვირფასეულობა შავ ხავერდზე.
რალაც მარადიულია თბილისში...

მე მიყვარს დილაადრიან მის ბაზარ-
ში გავლა, სადაც ქარეისფერი ყურძნის
მტევნები, ლინლიანი, ზევიდან ვარდის-
ფერი, შიგნიდან კი ოქროსფერი ატმე-
ბი აწყვია. თვალს იტაცებს ლაპლაპა
ტორპედოების მსგავსი ბადრიჯანი,
მუქი-წითელი ბროწეულები, რომელთა
დახეთქილი კანიდან ასეული მარგალი-
ტის თვალი ბრწყვიალებს, ხოლო წიწ-
ბატისა და ჭინჭის სურნელებას რაღა
შეედრება?

როდესაც ვკითხულობ საუკეთესო

ქართველ პოეტებს. მე მგონია, რომ მათი
წიგნების ფურცლებიდან ამ სურნელებ-
ბის ნიავეც ჭრის.

და როდესაც იქ, ბაზარში გამხდარი
გოგონა მაწონს გადმომისხამს და მე
ნელ-ნელა ვწრუბავ მას, ვფიქრობ, რომ
სამუდამოდ წავა ის, ვინც დღეს ყიდის,
ის, ვინც ყიდულობს, ისიც, ვინც მისი
სურნელებით სუნთქავს, მაგრამ მარად-
ეამ დარჩება გამხდარი გოგონა და ვინმე
მიერთმევს მაწონს დიდი და ნელი
ყლუბით.

რალაც მარადიულია თბილისში...

მე ვიცი, გაივლის მრავალი, მრავა-
ლი წელი, შეიცვლება მისი ქუჩები, ლა-
ლიძის წყლების ვიტრინებით, მაგრამ არ
შეიძლება შეიცვალოს ამ ქუჩების მე-
ლოდია, მღელვარე, მიმზიდველი, მაც-
დური რალაცაში და იმავე დროს არც
მაცდური, და ვინც შემდგომ ამ ქუჩებ
ზე გაივლის, დაე, მოუსმინოს ამ მელო-
დიას. დაე; გაიგონოს იმათი ნაბიჯების
ხმა, რომლებმაც ოდესღაც აქ გაიარეს.
და, შესაძლებელია, ჩვენი ნაბიჯების
ხმაც გახდება თბილისის ქუჩების მელო-
დიის შემადგენელი ნაწილი.

ი. ლიპინსკი



იბრწყინე, თბილისო

პირველად 1925 წელს ჩავედი ძველსა
და სახელოვან თბილისში, რომელსაც
ძველებური მოხატული ქსოვილის
მსგავსად გადაეშალა თავისი წარმტაცი
ქუჩები, მოედნები და შესახვევები
მტკვრის კლდოვან ხეობაში. ირვლივ
გორაკებზე ჯიქურ ავარდნილი უძველესი
ციხე-სიმაგრეები და ტაძრები მაგო-
ნებდა ამ ხალხის დიდ ისტორიულ
წარსულს. ამ ქალაქის დიდებულ მკვიდ-
რთა ციტადელის სილამაზით გაოცე-
ბულს არ მეგონა, თუ დადგებოდა ეამი,
როდესაც ამ ქალაქში ისევ მომიყვანდა
ჩემი ოცნება.

ჩემ მიერ თბილისის პირველი გაც-
ნობის დღიდან განვლო საბჭოთა ცხოვ-
რების ბრძოლითა და შრომით აღსავსე
წლებმა. და როდესაც ახალი ნაწარმოე-
ბის თემამ მომიყვანა საქართველოს დე-
დაქალაქში, მივხვდი, რომ საბჭოთა ის-
ტორიის პირველ ათწლეულში მოქმე-
ქართველებთან ურთიერთობაში, მათ-
თან ერთად მუშაობაში, მეგობრობაში,
ბევრი რამ შევიტყე უხუცესსა და მას-
თან ერთად მარად ახალგაზრდა ქართ-
ველი ხალხის შესახებ. იდეურად გამო-
ბრძმედილი რაინდი ბოლშევიკის აღექ-
სანდრე ელიაძისა და მისი ახალგაზრდა

დის ქეთევანის სახეები შევიდნენ ჩემს რომანებში „განთიადი“ და „საბჭოების დილა“, ისინი თითქოს თავის თავად გამოიძერწნენ და მოძებნეს შესაფერი ადგილი ჩემს ტრილოგიაში, რომელიც მიუძღვნა ინტერნაციონალური ერთიანობის თემას, და რომელიც აკავშირებდა ამიერკავკასიის ხალხებს რუს ხალხთან, ჯერ კიდევ ცარიზმთან და კაპიტალიზმთან რევოლუციური ბრძოლების დროს. ეს თემა დაჟინებით მიკარნახეს მე თბილისის შესანიშნავმა არქივებმა, ამაზე მეტყველებდნენ ძველ ბოლშევიკებთან შეხვედრები.

ქალაქის უძველესი ქვები მეჩურჩულებოდნენ ტანჯვაში გამოვლილ და სისხლის წილ მოპოვებულ საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაზე, ახალი სახლების მაღლა ატყორცნილი კედლები მაუწყებდნენ ხალხის სოციალისტურ სიქაბუკეზე, კომუნისმის მშენებელ ყველა საბჭოთა ხალხთან ერთად. საქართველოში მოგზაურობამ საშუალება მომცა გავცნობოდი ხალხის მარადიულ ფესვებს, — ქართველ გლეხებს, ვისმა შრომისმოყვარეობამაც განაპირობა უდიდესი წარმატებანი საკოლმეურნეო მშენებლობაში.

ხოლო რამდენი რამ მოგვიტხრო ჩვენ ყველას საქართველოსა და ქართველი კაცის მსოფლგაგების შესახებ დიადმა ქართულმა ხელოვნებამ — დაწყებულმა

უძველესი ოქრომკვდლობიდან და რუსთაველის უცვლად პოემიდან, რომელიც აგრეთვე ამოტვიფრულმა მანქანებმა ფურცლებზე.

მე-19 საუკუნის შესანიშნავი ქართული ლიტერატურა, ქართველ მწერალთა საუკეთესო ნაწარმოებები, თვითმყოფადი და ნოვატორული ქართული ხელოვნება, რომელიც არაჩვეულებრივი ელვარებით გამოქვდა თეატრსა და ფერწერაში, ცეცხლოვანი და მგზნებარე ხალხური ცეკვები, — ყველაფერი ეს ჯერ კიდევ ცოცხლობს ჩვენს მეხსიერებაში, ყოველივე ამას ჩვენ, ყველა ეროვნების საბჭოთა ადამიანები აღფრთოვანებით ტაშს ვუჭრავდით მოსკოვში, საქართველოს დეკადის დროს, ყოველივე ამან არაჩვეულებრივად გაამდიდრა საბჭოთა კულტურის და ხელოვნების საერთო საგანძური. და მეც ჩემი შემოქმედებითი გამოცდილებიდან ვიცი, თუ როგორი კეთილნაყოფიერია ეს გავლენა. ქართველი მეგობრების საუცხოო სტუმართმოყვარეობის მეხეებით, ჩემთვის სამარადეამოდ ძვირფას ქალაქში ყოველთვის ისე ვვარძნობდი თავს, როგორც საკუთარ სახლში.

იბრწყინე კიდევ მრავალ ათასწლეულს ჩვენი ქვეყნის სხვა დანარჩენ დიდებულ ქალაქებთან ერთად, უძველესი თბილისო, საბჭოთა მიწა-წყლის მშვენებავ!

ოკნს პერიოდი



„მნათობის“ რეაქციას

ქვირფასი სიმონ ჩიქვანიძე

გავიგე თუ არა, რომ თბილისი ემზადება თავისი თხუთმეტსაუკუნოვანი იუბილესათვის, დამებადა სურვილი მოგმართოთ თქვენ.

სამწუხაროდ, მე მხოლოდ ერთხელ მომიხდა თბილისში ყოფნა. აღრიანი გა-

ზაფხული იყო, და ქალაქიც პირველი ყვავილობის საკვირველი სურნელით იყო აღვსილი. ალბათ ეს უკეთესი დროა თქვენი მშვენიერი ქალაქის გასაცნობად.

რამდენიმე დღე დავყავი საქართველოს ძველთაველ დედაქალაქში. მის

შესასწავლად ეს მეტად მცირე ვადა იყო, მაგრამ იგი საკმარისი აღმოჩნდა მის შესაყვარებლად: მე თბილისი, როგორც იტყვიან, „პირველი შეხედვისთანავე შემიყვარდა.“ მინდოდა გაუთავებლად მეხეტილა ქალაქის მომხიბვლელ ქუჩებსა და შესახვევებში, მაგრამ მე ხომ ქართველთა სტუმარი ვიყავი და ამ გარემოებაში — ვაგლახ! — იმთავითვე განსაზღვრა ჩემი დროსტარება — მე უფრო ხშირად გულუხვად ვაშლილ სუფრას ვუჯექი და მასპინძელთა სტუმართმოყვარეობით ვტკებობდი!

ესა თუ ის ქალაქი თავს შეგაყვარებს ხოლმე არა მარტო თავისი გარეგნული იერით, სილამაზითა და ღირსშესანიშნავი რელიეფებით. როდესაც მე რუსთაველის პროსპექტზე ვსეირნობდი, მტკერის ახალი სანაპიროთი ვტკებობდი, ქალაქის დიად და წარმტაც პანორამას გადავყურებდი მამადავითის სიმალიდან თუ მეტეხის მკაცრი და დახვეწილი არქიტექტურით ვიყავი მოხიბლული, მე არ შემეძლო არ მეფიქრა უდიდესი მადლიერებით მათზე, ვინც აღმართა ეს ქალაქი, შეიტანა მასში სიოცხლე, შეამკო და მორთო იგი, ვინც საუკუნეთა მანძილზე იცავდა მას მტერთა შემოსევისაგან, არ შემეძლო არ მეფიქრა მათზეც, ვინც დღეს ავსებს თბილისის ქუჩებსა და შენობებს, შრომობს მამულის საკეთილდღეოდ — ქართველ ხალხზე, ეგზომ ხალისიან, ენერგიულ, ლამაზ და სტუმართმოყვარე ხალხზე!

ძვირფასი შთაბეჭდილებანი თქვენს წარმტაც დედაქალაქზე დღესაც ცოცხლობენ ჩემში, თუმცა არა ერთმა წელმა გაიარა ჩვენი სავალალოდ ხანმოკლე ნაცნობობის შემდეგ. შეუძლებელია მათი დავიწყება, და გულმაიფიყიც რომ ვიყო, ამის ნებას არ მომცემდა ის შესანიშნავი გახსენებები, რომლებითაც ასე უხვად გვასაჩუქრებდით თქვენ უკანას-

კნელ წელთა მანძილზე. მე, როგორც მხატვარი, ბუნებრივია, ყველაზე უფრო თქვენი სახვითი ხელოვნებით ვიყავ დამინტერესებული. სიოცხლის ხალისით გამსჭვალულნი და ყვავილებით დამშვენებულ მდელოსავით ფერადოვანი იყო ფესტივალის დღეებში მოსკოვში გამართულ მსოფლიო გამოფენაზე წარმოდგენილი ახალგაზრდა თბილისელ მხატვართა ნამუშევრები. ქარბი, ხალისიანი ფერებით გამოირჩეოდა საქართველოს რესპუბლიკის განყოფილება ოქტომბრის ორმოცი წლისთავისადმი მიძღვნილ საყავშირო გამოფენაზე. უდიდესი ინტერესი გამოიწვია დეკადის დღეებში გამართულმა ქართული სახვითი ხელოვნების გამოფენამ. ხელოვნების ყველა ჰემ-მარიტი დამფასებელისა და მოყვარულთათვის ნამდვილ ზეიშად და დღესასწაულად გადაიქცა თბილისის შესანიშნავი მომდერალის — ლადო გუდიაშვილის გამოფენა.

ჩვენ, მოსკოველებს, თქვენთან ერთად გვანიჭებდა სიხარულს ქართული დეკადის უნახავი წარმატება, ლენინის პრემია, რომელიც ღირსეულად მოიხვეჭა უბრწყინვალესმა არტისტმა — ვახტანგ ქაბუციანმა.

მე მინდა იმედი გამოვთქვა, რომ მოსკოვისა და თბილისის ხელოვანთა თანამეგობრობა კვლავაც ასე ნაყოფიერად განვითარდება, რომ ჩვენი ხელოვნება კვლავაც მზარდამზარ ივლის, რათა ურთიერთი გაამდიდროს.

ნება მიბოძეთ, ეურნალ „მნათობის“ ფურცლებიდან გადავცე მის მკითხველებს ჩემი გულითადი მოლოცვა მათი მშობლიური ქალაქის სახელოვანი იუბილეს გამო და ვუსურვო წარმატება მშვიდობიან შრომაში თბილისის, მოსკოვის და მთელი ჩვენი საშობლოს საკეთილდღეოდ.



თბილი ქალაქი

ქალაქ თბილისის დაბადებიდან თხუთმეტი საუკუნე უსრულდება. ეს არის—ერთ-ერთი უძველესი ქალაქთაგანი საბჭოთა კავშირში. მშვენიერია მისი უძველესი ძეგლები. თქვენ გრძნობთ საუკუნეების სუნთქვას, როდესაც შეხედავთ მტკვრის მარჯვენა მხარეზე უძველესი ციტადელის ნანგრევებს, რომლის გარშემო ოდესღაც ვითარდებოდა ქალაქი, ესიყვარულებით ანჩისხატის ბაზილიკას და სიონის ტაძარს, რომელიც შექმნილი არიან მე-6-7 საუკუნეებში.

ამასთან ერთად ჩემთვის თბილისი ყოველთვის არის მარად უქცნობი სიკაბუჯის ქალაქი.

მომიტევონ მე, მაგრამ ჩვენი დიდი ქვეყნის ყოველ ქალაქს, განვიციდი, როგორც ცოცხალ ადამიანს.

მე კარგად ვიცნობ და მიყვარს მოსკოვის ყოველი ნაკეთი და ხალეზი, მიყვარს მისი მთლიანი, ძლევამოსილი სახე.

ნამდვილი ცოცხალი ადამიანებივით ვხედავ, ნათელ გორგზ, მშვენიერ ლენინგრადს, ზღვის ზვირთთაცემასავით მოხმარე, მოგუგუნე სამხრეთულ ოდესას და მრავალ სხვა ქალაქს.

ასეთივე კოცხალი და ადამიანური წარმოდგება ჩემ წინაშე თბილისიც.

მას 1500 წელი შეუსრულდა, მაგრამ არაფრით არ შემოძლია წარმოვიდგინო იგი მოხუცი, ჭლადრით შემოსილი.

იგი — ახალგაზრდაა, და როდესაც თბილისზე ვფიქრობ, მის აღნაგობასა და სახეში ვხედავ და ვგრძნობ ხალხის ცოცხალ ხასიათს, სილაშაზეს და შრომისმოყვარეობას, ნიჭსა და სიბრძნეს, პოეზიასა და ძალას.

თბილისის სიკაბუჯე შეიძლება იგრძნოთ ყველგან.

ის იგრძნობა დაზგათმშენებელი ქარხნის საამქროებში, სადაც იბადება და

ფართო გზაზე გამოდის ნორჩი ქართული ინდუსტრიის მიერ შექმნილი ახალი დაზგები, სადაც გამოცდილი მუშების გვერდით, რომლებშიც ცოცხლობს ნოვატორული სული, იზრდება და სრულყოფილი ხდება ახალგაზრდა მუშათა კადრები.

ამ სიკაბუჯეს გრძნობ მავთულებში ელდენის უხმო და უხილავ დენაში, ელექტრო ენერჯიის შრომით ძალაში, რომელსაც იძლევიან ახალი, ნორჩი ელექტროსადგურები და როდესაც შეკუყურებ სინათლეს, რომელიც ელვარებს ქალაქის ლამპიონებში, ფიქრობ შეუხარე და სწრაფ მდინარეზე, რომელიც გამოდის ტბაწყურის ტბიდან, რომელიც იქ, სადღაც, მთებში, ორიათას ხუთასი მეტრის სიმაღლეზე, უძილო ღამეებში გატარებულ შრომაზე, ამ მდინარეზე აგებულ ხრამის ჰიდროელექტრო სადგურზე, საქენერგოს ერთ-ერთ მრავალ სადგურთაგანზე. რომლითაც უზრუნველყოფილი იყო თბილისის ენერგეტიკული მეურნეობის განვითარების საფუძველი.

ამ სიკაბუჯეს, მომწიფებულს, ხედავ და ისვენ თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის კლასებში, დიდ შენობაში, რომელიც რეკავს და მღერის, როგორც უზარმაზარი მუსიკალური კოლოფი, და ყოველ კლასში კაბუჯის მარჯვენა მართოლვარებით ხატავს საუკუნეების მიერ შექმნილ დიდ ხელოვნებას.

და რა ძლიერებით გრძნობ ამ უქცნობ სიკაბუჯეს თბილისის თეატრებში, სადაც წინანდებურად ისმის აკაკი ხორავას ისევ ახალგაზრდული, განუმეორებელი, ძლიერი ხმა, აღიძვრება ვახტანგ ქაბუჯიანის სწრაფი, მგზნებარე, თავბრუდამხვევი ცეკვა, — თეატრებში, სადაც მულამ ახალგაზრდა და მშვენიერ-

რია ცოცხალი ძალა შემოქმედებისა.

ქვირფასია სიკაბუტის ეს ლალი სუნთქვა თბილისელ მეგობარ-პოეტთა ბრძნულ და ღრმა პოეზიაში, მათ ლექსებში, რომლებიც ჩვენ ვიცით და ვიმეორებთ, როგორც ჩვენთვის ახლობელ და ქვირფას სტრიქონებს, პროზაიკოსების წიგნებში, რომლებიც მოგვითხრობენ ხალხის შემოქმედებითს შრომაზე, მათ ფიქრებსა და მისწრაფებებზე, მათ ზრუნვასა და სიხარულზე, მათ გამარჯვებასა და ბრძოლებზე.

და, როდესაც ახლა ვფიქრობ თბილისზე, მე ვხედავ მის კვიპარისებოვით სწორ ქუჩებს, მე ვგრძნობ მის ჰაერს, მისი ვენახების ღვინოსავით ჰაეროვანს,

მე ვგრძნობ მის ცას, ხალას, გამჭვირვალე სილაკვარდევში, რუქილევი-გენათებულისა დიდი, კეთილი მზის სხივებით.

სახელი თბილისი ამ ქალაქმა მიიღო თბილი გოგირდოვანი წყაროების გამო.

დიახ, ეს არის თბილი. ქალაქი. იგი გამთბარია არა მარტო საქართველოს მცხუნვარე მზით, იგი გამთბარია მშრომელი ხელების მგზნებარე ძალით, ხალხის დიდი და ბრძენი გულის სითბოთი.

საუკუნოდ გამთბარია იგი განუწყრელი მეგობრობის ქვირფასი და მიმზიდველი სითბოთი, რომელიც გვაკავშირებს ჩვენ. რუს ხალხს, ჩვენს მეგობარ ქართველ ხალხთან.

უკაინის სსრ

ლიბიხი უოსაკიი



თბილისი—კიევი

მატარებელი უახლოვდება ქალაქ თბილისს. მზის ჩასვლისას გამოვდივართ კიევის ვაგონიდან და გვეხვევიან ქართველები. ყოველ ჩვენთაგანს აქ ჰყავს ახლო მეგობრები და ამხანაგები.

ჯერ კიდევ ქალაქში შემოსვლისას ვაგონის ფანჯრიდან გავცქეროდით და ვეცნობოდით ქალაქის ლანდშაფტს.

თბილისი გადაშლილია შენ თვალთა წინ, როგორც უზარმაზარი წიგნი — აიღე, გადაფურცლე და ჩაწვი ქართული მიწა-წყლის მატრიანეს. საქართველოს მთელი გმირული ისტორია გამოხატულია დედაქალაქის ლამაზ და მძლავრ სახეში.

ჩვენს წინ მჩქეფარე მდინარის ნაპირას ამართულან მაღალი მთები, პირამიდულად აწვილილი მწვანე ხეები. და გიზიდავთ ლამაზ და წარმტაც კვარტალებად განლაგებული ქალაქის მყუდროება.

დიდმა მხატვარმა, ბრძენმა და გამჭ-

რიახმა სტრატეგმა ამოიჩნია ეს ადგილი მეურნეობისა და ინტელექტუალურ ცენტრად ერის შემოქმედებითი საქმიანობისათვის.

და აი ჩვენ უკვე თბილის-ქალაქის ქუჩებში ვართ. სადღაა ის თბილი წყარო, ვინ გვაჩვენებს ჩვენ იმ ლეგენდარულ ნაკადულს. რომლის გარშემოც ცხოვრობდნენ ქართველთა მამაპაპანი თავიანთ-ოქროსსაწმისიანი კრავების ფარებით.

საღაა ის ქა, საიდანაც გინდა დალიო ცივი წყალი, რომ ცოტათი მაინც იგრძნო სულეირი სამყარო იმ ქალაქის ფუნქციონებისა, რომელსაც ისეთი ლამაზი და სიმბოლურად მრავალმნიშვნელოვანი სახელწოდება აქვს — თბილისი.

თბილისი უკვე რამდენიმე ასწლეულია, რაც ბრწყინავს ელვარე ვარსკვლავად—კიევის-მოსკოვის-ტაშკენტის - პეკინის-დელის-ცარეგრადის-კაიროს - სოფიის - პრატის - რომის - პარიზის თანა-

ვარსკვლავედში, ქალაქებისა, რომლებიც თბილისის მსგავსად იყვნენ მზის საერთაშორისო ბრძოლის კერები—წყვილიანი ღამის წინააღმდეგ, სითბოსი — ყინვასა და სიცივის რეაქციის წინააღმდეგ, თავისუფალი შრომისა — მონობის ბორკილების წინააღმდეგ.

იამაყეთ, ქართველებო, მთელ მსოფლიოში საყვარელი მზის სადარი თბილის-ქალაქის წარმტაცი სილამაზით! ჩვენ, უკრაინელები, ვამაყობთ თქვენი თბილისის-კიევის თანამომის — სიდიადით!

იამაყეთ თქვენი წინაპრების დიდებით, ეს არაა დასაძრახისი, თუკი მამაპაპათა საქმე გაგრძელებული და გამრავლებულია ღირსეული შთამომავლობის მიერ!

აი ჩვენ გადავდივართ მჩქეფარე, მუდამ მზისკენ სწრაფმსროლი ქართული დნებრის ნაკად-მტკვარზე... ჩვენ, დაბლობების მცხოვრებთ, სარკესავით წყნარი დინების მდინარე დნებრის ბასეინიდან, გვიძნელდება დავინახოთ მქუხარე მტკვარის სარკეში წყნარად გამოკვეთილი გამოსახულება იუბილარი — ქალაქისა.

— რამდენი წლისაა თქვენი მედღეობე?

— თხუთმეტი ასეულისა! — წკრიალებს პიონერების ხმა.

— თხუთმეტი საუკუნე! — ისმის ეს სიტყვები კომკავშირის ხეივნის სიმაღლეებიდან, რომელიც ყველაზე მაღლა დასდგომია თავს ქალაქის კვარტალებს.

აი ჩვენ უკვე მთაწმინდაზე ვართ, მუდამ მშენებელი ქალაქის ყველაზე მაღალ სართულზე, სტალინის პლატოზე.

— ჰორიზონტის სიგანე, ცის სიმაღლეები, ქარის ენერჯია ჩვენ მივიღეთ, როგორც სასუქარი დედა-ბუნებისაგან, — ამბობენ ჩვენი ძმები — ქართველები, — აი „თბილისის ზღვა“ ქალაქთან, კულტურის პარკები მაღალ მთებზე, თბილისის ახალი კვარტალები, აღმოცენებული მეორე სართულად ძველი ქალაქის თავზე, ყოველივე ეს კი უკვე შექმნილია ჩვენი თაობის მიერ, ჩვენ

გავამრავლეთ ჩვენი მამების საქმე.

სალამოს მაღალი პლატოვანი ქალაქის პანორამის შეხედვა გაგმობს! ღმინდ-შაფტის ცეცხლოვანი ფერებით.

— სალამოს თბილისი, ესაა გადამობრუნებული ზეცა! — ამაყად გვეუბნება ცნობილი რუსი პოეტის სიტყვებს თბილისელი მეგობარი.

გიორგი ლეონიძე გვიჩვენებს ძველი ქალაქის პოეზიის ლაბირინტებს: სიონი, თამარის კოშკი, ბაზარი, მშრომელთა ძველი ქოხები.

სიმონ ჩიჭოვანს მივყავართ საოცარ ფუნიკულიორზე. იგი გვაჩვენებს ნაციონალურ სიწმინდეს — მთაწმინდას. ჩვენ ვდგავართ ნიკოლოზ ბარათაშვილის საფლავთან, რომელიც ჩაფლულია ცისფერ ყვავილებში, ვკითხულობთ შეყვარებული ქართველი ქალის აფორიზმს გრიბოედოვის ძეგლზე.

ალექსანდრე ბარამიძეს ნაციონალურ მუზეუმში მივყავართ და იგი შლის „დავითიანის“ ხელნაწერს, რომელიც ჩვენთან, მირგოროდში დაიწერა ორასი წლის წინათ.

აკაკი ბელიაშვილს მივყავართ სახლში, კალინინის ქუჩაზე, რომელიც გაზრწყინებულია დიდი ილიას მოღვაწეობით. აქ ჰვაჭვავაძე „ივერიის“ ფურცლებზე იცავდა ჩვენს უკრაინული კულტურის მოღვაწეებს, რომლებიც დევნილიყვნენ მეფის თვითმპყრობელობის მიერ.

აქ, ამ კიბეებზე ამოდიოდა რედაქციაში სოსო ჯუღლაშვილი გულში პოეზიით და ხელში ლექსებით.

აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე შლის ჩვენს წინ თბილისის ისტორიის უძველეს პოეტურ ეტრატებს და თვალნათლივ ცოცხლდება ცოცხალი პოემა, რომელიც შექმნილია შთამომავლობის მიერ დაწყებული შოთა რუსთაველიდან.

პიონერთა სასახლის ახალგაზრდა მხარეთმცოდნეები და პოეტები იწერენ თავიანთ დღიურებში თქმულებებს შაბათობებზე და კვირაობებზე ახალი მშენებლობების შესახებ, ისინი, თავიანთი ძმებისა და მამების მსგავსად,

შემოქმედნი და ბატონ-პატრონი არიან მსოფლიოში ულამაზესი ქალაქისა!

მაგრამ, ჩვენ, კიეველები. არა მარტო სტუმრები ვართ მედლეობე ქალაქისა. კიევში მცხოვრები რუს მოქალაქეებს კავშირი ჰქონდათ თამარ მეფისა და შოთა რუსთაველის მიწა-წყლის ხალხთან, ეხმარებოდნენ ურთიერთს თავიანთი დედაქალაქების შენებაში, ურთიერთს ამდიდრებდნენ მუსიკით, ხუროთმოძღვრებით, მხატვრობით.

მე-18 საუკუნეში თბილისიდან ჩვენთან მოდიოდნენ დავით გურამიშვილის შთამომავლები და გვეხმარებოდნენ კიევის წმიდა ანდრეას ულამაზესი ტაძრის შენებასა და სამშობლოს დაცვაში ინტერვენტების შემოსევისაგან.

მე-19 საუკუნეში უკრაინელების — ალექსანდრე ნაეროცკის და მიკოლა გულაქის შთამომავლები გახდნენ თბილისის მოქალაქენი და თავდადებით ზრდიდნენ ქართველ ბავშვებს. თბილისის შვილები კი სწავლობდნენ კიევის აკადემიაში.

მეოცე საუკუნეში ლადო კეცხოველი კიევში და ლესია უკრაინკა თბილისში ამტკიცებდნენ ამ ორი ხალხის მეგობრობას, და ეს საუკუნე შეიქნა საქართველოს და უკრაინის ნათესაობის მწვერვალად.

სამოქალაქო ომში, როდესაც კიევი სისხლისგან იცლებოდა, სტალინი, ორჯონიძე, ვასილ კიევიძე, ლუკიანე თაბუკაშვილი — ეროვნული თან, არტიომთან, ანტონოვ-ოვსენკოსთან, პრიმაკთან, იური კოციუბინსკისთან, ზატონსკისთან ერთად ლენინის მოწოდებაზე

ისწრაფოდნენ დახმარების ხელი/გაეწოდებინათ, კრილობებისაგან დაცლილი კიევისათვის. მძუღუნტერინაციონალური წითელი არმია, რომელიც ჩვენი კიევისაკენ მიისწრაფოდა, აგუგუნებდა სიმღერას:

От Днепра и до Тифлиса,
От большой реки,
Идут смело, идут рьяно
Красные полки...
Ведь недаром побеждает
И идет вперед
От Днепра и до Тифлиса,
Трудовой народ!..

ჩვენი ხალხების მშრომელი ურთიერთ გამამდიდრებელმა ერთიანობამ გაიმარჯვა და საუკუნეობრივ განამტკიცა შემოქმედებითი ძაობა.

დღევანდელ თბილისის დღესასწაულს ზეიმობს ჩვენი კიევიც.

ქართველთა ზეიმი მთელი უკრაინის ზეიმიად გადაიქცა.

უკრაინელი გემთმშენებლები აღნიშნავენ საქართველოს დედაქალაქის 1500 წლისთავს, ქმნიან ჩვენი ნათესაობის და მარადიული ინტერნაციონალური ერთიანობის ძეგლს — ნიკოლაევი დაწყებულია მშენებლობა შავი ზღვის ახალი ტანკერისა „თბილისის“ სახელწოდებით.

აყვავდი, იზარდე და იზარე მრავალათასწელს, ჩვენო დიდებულო თბილის-ქალაქო! ჩემი ხალხის პოეტები დღეს ბულბულებივით გალობენ შენს ბაღებში, საიუბილეო ტანკერის მშენებელთა ჩაქუნის ხმები ჟღერს სიმფონიად, რომელსაც ისმენენ მთელი მსოფლიოს ხალხები.

ბელორუსიის სსრ

პეჩანს გომკა



საქართველოს გული

ცოტახნით გნახე, წავედი მერე,
გულმა ვერ დათმო შენი უბნები,
ასე მგონია, ჩქრიალა ჩქერებს
მტკვრისას მე ახლაც ვესაუბრები.

შენს მთებზე ლექსის ციცილი დავინთე,
ვერ შევაჩერე ფიქრთა ჩანჩქერი.
მე თითქოს დღესაც მამადავითხე
ვარ და ქედუხრულ მხარეს დავცქერი.



დაცქერის... შრომის სიმღერა მესმის.
ვერ მოისვენებს ქართველი ისე...
ქალაქი ძველი და უმდიდრესი
ხალხის მარჯვენამ აზიდა ცისკენ.

ბალებს ხეივანებს ჩაუვლი გზებით,
ამ სილამაზით მკერდი მიღელავს,

აქ ჩემს მეგობარ პოეტებს ვხვდები
და მათობს მათი ლალი სიმღერა...
დიდო ქალაქო, შენი მზე ცაზე
ჭკუენად ვერავინ ვერ დაგინისლოს.
აუვაელი ასე ამაღლდი ასე.
შენ, საქართველოს გულო, თბილისო!
თარგმანი **ლადო სულაბერიძისა**

მიხვს ღინკოვი



იღვბრძელოს თბილისმა!

ათასხუთასი წელი...

მარტო წლების ეს რიცხვიც იწვევს
ღრმა პატივისცემის გრძნობას და გულ-
წრფელ აღფრთოვანებას იმით, რომ
დაკავშირებულია ასეთ ღირსშესანიშ-
ნავ თარიღთან. ათასხუთასი წელი... ეს
ხომ შემთხვევათა მთელი გროვია, კა-
ლარა საუკუნეების სიღრმეში ფესვებ-
გადგმული. ეს არის შრომასა და ბრძო-
ლაში ხალხის ჩამოყალიბების ისტო-
რია, ხალხისა, რომელიც კმნიდა თავის
ცხოვრებას, თავის ბედსა და უკეთეს
შომავალს.

ქალაქ თბილისის ისტორია, — ეს
იგივე ქვეყნისა და ხალხის ისტორიაა.
ათასხუთასი წელი — ეს თხუთმეტი
საუკუნეა, ათეული და ასეული თაო-
ბები ცვლიდნენ ერთმანეთს. ამ ხნის
განმავლობაში თაობები უკვალოდ არ
ქრებოდნენ, მათი ცხოვრება, მათი შრო-
მა და მზრუნველობა წარუხოცელ
კვალს ტოვებდა: თაობების კვალი
შემიჩნევა ქალაქის სახეცვლაში, მის
ზრდასა და განვითარებაში, მის ხასია-
თში, მის ტრადიციებში, მისი მატერია-
ლური და სულიერი კულტურის ძეგ-
ლებში, რომლებიც ათასხუთასი წლის
განმავლობაში დაგროვდა.

ლამაზი და თავისებურია თბილისი,
მასში შესანიშნავადაა შერწყმული შო-
რეული წარსულის ის თვისებები, რომ-
ლებიც შემონახულია უძველეს ტაძ-

რებსა და ციხე-სიმაგრეებში, მტკვრის
განუწყვეტელ დუღუნში, და ყოველივე
ის ახალი, რომელიც მძაფრად იზრდე-
ბა და იფურჩქნება, რომელიც დამახა-
სიათებელია თანამედროვე ბედნიერი
საბჭოთა ხალხის ცხოვრებისათვის: შე-
სანიშნავი ფაბრიკა-ქარხნები, ამწვანე-
ბული მინდორ-ველები, ბალები, ქუჩე-
ბი და მოედნები, სასახლეები, მუზეუ-
მები და თეატრები, უმაღლესი სასწავ-
ლებლები, სკოლები, ბიბლიოთეკები...
ირგვლივ კი უსაზღვრო მთიანეთის სა-
ნახაობა, რომელიც გახსენებთ, რომ
თქვენ იმყოფებით მთიან ქვეყანაში,
მზიურ საქართველოში, თავისუფლების-
მოყვარე მოძმე ხალხის სამშობლოში.

ლამაზია თბილისი დღისით. განუმეო-
რებელია მისი სახე ღამით, როდესაც
ელემენტროლაშიონების უსაზღვრო ტალ-
ლა აღერსიანად ეგებება მოგზაურს,
მთიანი გზებით სტუმართმოყვარე და
მყუდრო ქალაქში რომ ეშვება.

თბილისში რამდენიმეჯერ ვყოფალ-
ვარ ომამდე. ვიცი, რომ უკანასკნელ
წლებში იგი სულ უფრო მომხიბლავი
და ლამაზი გახდა. მთელი ჩემი ცხოვ-
რების მანძილზე ძვირფას მოგონებად
დამრჩა თბილისში გატარებული დღე-
ები. თბილისსა და სხვა ქალაქებში, სა-
ქართველოს სოფლებში ჩვენ ვეცნობო-
დით ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრე-
ბას, მათ შემოქმედებით შრომას, ძველ-

სა და ახალ ლიტერატურას, მათ შესანიშნავ ხელოვნებას. აქვე ჩაისახა შემოქმედებითი კავშირი ქართველ მწერლებთან, რომლებიც ჩვენი გულითადი მეგობრები და ამხანაგები გახდნენ. საქართველომ, მისმა ხალხმა, მათმა ზნეჩვეულებებმა ღირსეული ადგილი პოვეს ბელორუსი მწერლებისა და პოეტების შემოქმედებაში. თბილისში პირველად ნამდვილად გავცანით ქართული პოეზიის მომხიბლავ წყაროებს, უკვდავი რუსთაველის შემოქმედებას, ქართველი კლასიკოსების ცოცხალ სიტყვას, ქართველი ძმების მხატვრული სიტყვის ყველა თავისებურებას. ბევრი ცეცხლოვანი სტრიქონი უძღვნა საქართველოსა და მის ხალხს ჩვენმა სახალხო პოეტმა იანკა ჯუპალამ. ქართველი პროზაიკოსები და პოეტები წერდნენ ჩვენი მიწის შესახებ. გულების ამ ძმურ შეხმინებაში, ეხედავთ ჩვენი საბჭოთა ხალხის მეგობრობის ძმურ დამოკიდებულებას, იმ მეგობრობისა, რომლის ხელშეხებას გამოვლენას ჩვენ ეხედებით თანამედროვე საბჭოთა ცხოვრების ნებისმიერ უბანზე. ბელორუს ხალხს არ ავიწყდება, რომ უკანასკნელ ომის მჭიდვარ დღეებში, ბელორუს

პარტიზანებთან ერთად მტერს ვაეცურად ებრძოდნენ ქართველ ხალხის მამაცი შეილები, მათ მხოლოდკაცებმა დიდებული თბილისის მკვიდრნი. მე უკვე აღარ ვლაპარაკობ სამამულო ომის იმ უთვალავ ფრონტებზე, სადაც მხარიმხარ, ხელი-ხელ ჩაყიდებულნი — გამძვინვარებული მტრის წინააღმდეგ — შეტევაზე მიდიოდნენ რუსები, ქართველები, უკრაინელები, ბელორუსები და ჩვენი საყვარელი სამშობლოს სხვა მოძმე რესპუბლიკების შეილები.

ძველი ქალაქია თბილისი. მაგრამ ახლა იგი განახლებული ახალგაზრდობით ცხოვრობს. საბჭოთა წლებმა მას დაუბრუნეს ნამდვილი ახალგაზრდობა, შთაბერეს ცოცხალი ძალა, გზა მისცეს მისი ზრდის უსაზღვრო პერსპექტივას, მისი მცხოვრებლების ბედნიერებასა და სიხარულს, მთელი ქართველი ხალხის ნამდვილ აყვავებას, ხალხისა, რომელიც სხვა ხალხებთან ერთად თავიანთი შემოქმედებითი შრომით, წარმატებით იკვლევს ნათელ გზას კომუნისტურ მყობადში.

დაე, მარად ცოცხლობდეს თბილისი! დიდება მოძმე ქართველ ხალხს!

უბეკეთის სსრ

ზაიაზ რაშიროვი

★

უძველესი და მარად ჰაბუკი თბილისი

ათასუთასი წელი! დიდი ისტორიული გზა! ადამიანის მესხიერებას არ ძალუძს დაიმახსოვროს ის აურაცხელი ისტორიული მოვლენები, რომლებიც ამ ქვეყნად მოხდა, თბილისი კი დღესაც მხნედ გამოიყურება.

ინელია თბილისის მომხიბლავი სილამაზის გადმოცემა, სადაც გარინდებული სიძველეთა დიდებული სიმშვიდე შერწყმულია ნათელი, ცოცხალი, მრავალფეროვანი, მრავალხმიანი ახალი თბილისის სინამდვილესთან.

ჩვენთვის განსაკუთრებით ძვირფასია თბილისი იმით, რომ მისი მოგონება დაკავშირებულია — მსოფლიო პოეზიის მარგალიტის „ვეფხისტყაოსნის“ შემქმნელის — შოთა რუსთაველის, გამოჩენილი პოეტების დ. გურამიშვილის, ს. ორბელიანის, ი. ჯავახიძის, ა. წერეთლისა და მრავალ სხვათა სახელებთან.

ჩვენთვის განსაკუთრებით ძვირფასია თბილისი იმით, რომ მისი მოგონება დაკავშირებულია რუსული და მსოფ-

ლიო ლიტერატურის გიგანტების გრი-
ბოდოვის, პუშკინის, ლერმონტოვის
მხატვრული სიტყვის დიდი კორი-
ფეის — გორკის ცხოვრებასთან და
ლიტერატურულ შემოქმედებასთან.

ჩემთვის, როგორც ლიტერატორისა-
თვის, განსაკუთრებით ძვირფასია თბი-
ლისი, იმიტომ, რომ იქ ცხოვრობენ და
მუშაობენ ჩვენი შესანიშნავი მეგობრე-
ბი, ბრწყინვალე ლიტერატორები — გა-
ლაქტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, სა-
მონ ჩიქოვანი, ირაკლი აბაშიძე, გრი-
გოლ აბაშიძე და მრავალი სხვა სიტყ-
ვის ოსტატი, ვისი შემოქმედებაც ფარ-
თოდაა ცნობილი უზბეკი მკითხვე-
ლისათვის, ისე, როგორც ყველა საბჭო-
თა ხალხისათვის.

ბევრია ჩვენს ქვეყანაში მშვენიერი
ქალაქი. უსაზღვროდ ახლოსაა ყოველი
საბჭოთა ადამიანის გულთან ჩვენი
მშობლიური და საყვარელი მოსკოვი—
დიდი, ძლიერი, მდიდარი და ბედნიერი,
ისეთი, როგორიცაა ჩვენი ქვეყანა, ისე-
თი, როგორიცაა ჩვენი მრავალეროვანი
და მრავალმილიონიანი ხალხი. მოსკოვის
ჩირალდნები ბრწყინავენ მთელს დედა-
მიწაზე მშვიდობის, მეგობრობის და
ხალხთა აყვავების სიმბოლოდ. მთელი
ჩვენი ფიქრები, მთელი ჩვენი აზრები

და იმედები, ჩვენი შთაგონება და აღ-
ფრთოვანება დაკავშირებულია დიდ
მოსკოვთან — ჩვენი გიგანტური სახელ-
მწიფოს დედაქალაქთან, როგორც ადა-
მიანის ერთიანი გული.

ჩვენ მოხარულნი ვართ, რომ მოსკოვ-
თად ერთად ყოველწლიურად იზრდება,
იფურჩქნება და ლამაზდება ჩვენი საშ-
შობლოს ყველა ქალაქი — მოსკოვის
ძმები.

არ შეიძლება აღტაცების გარეშე
ლაპარაკი რუსული ქალაქების დედის—
უძველესი და ქაბუჯი კიევის შესახებ,
შეუღარებლად აუწერელი სილამაზისა
და დიადი ლენინგრადის შესახებ, რომე-
ლიც შევიდა მთელი დედამიწის მშრო-
მელთა შეგნებაში, როგორც რევოლუ-
ციის აკვანი, ჩვენს მზიურ ბაღებში
ჩაფლულ ტაშკენტზე, ახლად აშენებულ
მშვენიერ ქალაქებზე, ერევანზე და
სტალინაბადზე.

დღეს, ბედნიერად ვზემობთ რა მშვე-
ნიერი თბილისის ათასხუთასი წლის იუ-
ბილეს, ჩვენ ვზემობთ მთელი საბჭო-
თა ქალაქების დვიძლი ძმის იუბილეს,
ჩვენ ვიზიარებთ დიდებული და მშობ-
ლიური ქართველი ხალხის სიხარულს.

სალამი შენ, მზიურო და მარად მწვა-
ნე, უძველესო და ქაბუჯო, ბედნიერო
და მხიარულო თბილისო!

სუღიჲან რუსკაჲი



მ რ თ ა რ

(ქართულ მეგობრებს)

მე მიყვარს თქვენი საშშობლო მხარე,
მიწა ძველი და მიანიც ახალი.
მე მიყვარს, თქვენი მთაწმინდის მთვარე,
ზეცა ლურჯი და მთები მალალი.
ეს სიყვარული აკვნიდან დამყვა,
კუბოს კარამდე კიდევ მეყოფა.
ვიცი, ქართველი, როგორ სცემს
თაყვანს

ერთგულ შეფიცულ ძმას და მეგობარს.
ჩვენი დროშები ლაღად გაშლილი
რამდენ ჰირ-ვარაზ არის ნახული.
როგორ ჰგავს ერთურთს ვაჭრილ
ვაშლივით
თქვენი და ჩვენი ზამთარ-ზაფხული.
თქვენ მეზობლები კი არ ხართ მარტო,
ძმები ხართ ჩვენი საქმით და სიტყვით.

ამ ქვეყანაზე ერთი მზე გვათბობს,
 ამ ქვეყანაზე ერთი ვზით ვილტვით.
 წარსულის ბოლმა გამჭარალა სულაც,
 მოდის ახალი ცხოვრების ქარი.
 სამშობლოს ტრფობამ და სიყვარულმა
 გამარჯვებათა გავვილო კარი.
 ჯერ კიდევ ძველად ჩვენი პაპები
 ერთმანეთს ძმურად უყოფდნენ ლუკმას.
 იმათ ნაჩვენებ გზას არ ავცდებით,
 გვინათოს მარად იმათა შუქმა.
 დავდივარ, ვფიქრობ საქართველოზე,
 ვუყურებ თბილისს და ფრთები მესხმის.
 მტკვარს მთის და ბარის სურნელი
 მოსდევს

და თითქოს იწვის ქალაქის ეშხით.
 აქ ხომ თენდება სამშობლოს ჰიმნით,
 აქ ხომ ქვაშიაც სიცოცხლე ფეთქავს,
 აქ ხომ ვაგიფის შეირბა სიმი
 რომ ჩემი ხალხის საღამო ეთქვა.
 მირბა ფატალი აქ შლიდა ფესვებს,
 იღვა მომავლის დღეთა თავდებად
 ჩემი სიმღერაც ისწრაფვის თქვენკენ
 და წყაროსავეთ აღარ თავდება.
 ეს ჩვენი ძმობა ბევრის მთქმელია,
 ლხინში თამადა, ჭირში ლომკული,
 ერთად მღეროდნენ, ერთად მღერიან

ჩვენი საზი და თქვენი ჩონგური.
 ვარ მომღერალი ახალ დარბეზს,
 სანანის მთაზე ამაღლებულ,
 გამარჯვებული ქვეყნის პოეტი
 ვარ ერთა ძმობით გაღლებული.
 ლექსს ტრფიალების ცეცხლი გაუჩნდა,
 შეუღეწია გულის ფიცარი
 და, როგორც მტკვარი მინგჩაურთან,
 თბილისისაკენ ისე ვიჩქარო.
 მუხლო მანძილით არ მოიღლები,
 დაუშრეტელი ძალა გაქვს ისე.
 მინდა ზეიმზე სავსე სიმღერით
 გული დაეცალო თბილისის ცისქვეშ,
 დაე, ქართველმა ლამაზმანებმა
 პანგი გაშალონ ომახიანი,
 იღგეს გარშემო მზის ბრწყინვალემა
 და შიშხინებდეს მწვადი ცვრიანი.
 ვიხაროთ ჩვენი ქვეყნის მიღწევით,
 ვადილოთ ძმები, ამხანაგები.
 ერთურთს კოცნიდნენ ჩვენი ჭიქები,
 როგორც ეს ჩვენი ძმობის ბაგენი.
 მე მიყვარს, თქვენი სამშობლო მხარე,
 მიწა ძველი და მაინც ახალი,
 მე მიყვარს თქვენი მთაწმინდის მთვარე
 ზეცა ლურჯი და მთები მალაღი.

თარგმანი მახტანზ გორგანელიძისა

მიჩა იბრაჰიმოვი



საყვარელი ქალაქი

ამინდი წყნარი, მაგრამ დაბუთული
 იყო. მზის სხივები ვაგონის კუბეში
 ფანჯრიდან იჭრებოდა და ვავარვარუ-
 ბულ ნემსებზე იწვევდა მგზავრებს.
 რკინიგზის ხაზზე გაყოლებულ ქადრის
 ხეებზე ფოთოლი არ ირხეოდა.

ნათელი უღრუბლო ცა მოღუშული
 გვეჩვენებოდა, შორეული ტყის მიღმა
 ცხელი მირაჟი რუხი ქაფივით მოსდებოდა
 პორიზონტს. მგზავრებს მსხვილი
 მარგალიტებივით უგორავდათ სახეზე
 ოფლი.

პირველად მივდიოდით თბილისში.

— რამდენია კიდევ თბილისამდე? —
 დაინტერესდა ჩემი ბაჭოელი მეგობარი.

— დღეს ჩავალთ. აღელვება არაა სა-
 ჭირო, — დაამშვიდა ჩემი მოუთმენელი
 მეგობარი ჩვენმა შეაუღლაშებთანმა, მა-
 ლალი ტანის თანამგზავრმა, რომელმაც
 გასულ საღამოდან მხიარული ხუმრო-
 ბით, სიმკვირცხლით და გონებაშახვი-
 ლობით მთელი ვაგონის სიმპათია დაი-
 სახურა. ის იყო რუსთაველი ინჟინერი
 და ბრუნდებოდა მივლინებიდან — აზ-
 ვერბაიჯანის მეტალურგთა ახალგაზრდა
 ქალაქიდან — სუმგაიტიდან.

— თბილისშიც ასეთი სიტყვებია? — შევეკითხე მე.

ინყინებდა ეშმაკურად მოკუტა თვალი და თქვა ისეთი ხმით, რომელშიაც იგრძნობოდა ძალზე დიდი სულიერი სითბო.

— არ ვიცი, თბილისში ცივა თუ ცხეულა, ვიცი მხოლოდ ერთი — იქ ყოფნა კარგია!

თბილისში დღის მეორე ნახევარში ჩამოვედი. მზე შეუწყნარებლად აცხუნებდა, მაგრამ ქალაქმა თავისი სილამაზით მართლაც ისე დაგვატყვევა, რომ სიტყვა-პაპანაქება სულ გადაგვაიწყვდა.

საუცხოოდ მოიკლაცნება თბილისს შუა ულამაზესი მტკვარი, უზარმაზარი სახლები, ქუჩის ორივე მხარეს ჩამწკრივებული ხეთა ზურმუხტისფერი გვირგვინი, ხშირი მწვანე პარკები და ბაღები ალამაზებენ ამ შესანიშნავ ქალაქს.

რუსთაველის პროსპექტი მთელი დღის განმავლობაში შეიძლება დაუღალავად იარო ერთი კიდიდან მეორე კიდემდე და ყოველთვის აუცილებლად თვალში გეცემათ ადრე ვერსუშუმჩენველი სილამაზე. ახალი შენობები, ხელოვნების ახალი ძეგლი, ადამიანის ხელით შექმნილი პეიზაჟი ახარებს გულს.

ბევრი ქალაქი იყოფა „ძველ“ და „ახალ“ ნაწილად და ამ ნაწილს შორის ჩვეულებრივ იგრძნობა უფსკრული ანდა წინააღმდეგობა. აქ კი, თბილისში, იგრძნობა რაღაც სხვა, რაღაცნაირი შეთანხმება ძველი და ახალი ქალაქისა და ამ არაჩვეულებრივი პარმონიის შემქმნელი ხალხია, მისი შესანიშნავი გემოვნება ყოველთვის, ყველაფერში გაბედულად ამქლავებდა და ამქლავებებს საკუთარ თავს.

თბილისი პოეტურად ლამაზია. მისი სილამაზე დიდებულია, უძველესია. საოცარი შენობების ყოველი ქვა მშვენიერი ნიმუშია ნათელი, სიცოცხლის მოყვარული ქართული ხუროთმოძღვრებისა. მასში ცოცხლობს გული სასწაულმოქმედი ხალხისა, იგრძნობა მისი გულის ცემა, მისი შთაგონება.

შეიძლება, სწორედ ამიტომ ხარობს ასე გული, ვალერსება ამ შენობას გამე-

ლელის თვალი. შეიძლება, სწორედ ამიტომ გაიძულეს ეს ქალაქი ^{შროგონო} დიდი ქართველი მწერლის ილია ქავჭავაძის სიტყვები: — „ყველაფერი საღმრთოა, ჩემო ძმაო, რაც კაცის გულს გაუთბია, თითონ დამწვარა, ზღაპრისა არ იყოს, სანთელსავით და სხვისთვის კი გაუნათებია“.

ათასხუთას წელს განუწყვეტლად, დაუღალავად, შეუღრეკელი ნებისყოფით მუშაობდა, ქმნიდა, აშენებდა თავის დედაქალაქს მოძმე ქართველი ხალხი.

1500 წელი! რა დიდებული, რა მნიშვნელოვანი თარიღია! მისმა ისტორიამ, რომელიც აღმოცენდა ასწლოვან წყვილადში, გაიარა სისხლიანი შუასაუკუნეების წლები, რამდენი შეუბრალებელი გააფთრებული ბრძოლა აღბეჭდილა მის ფურცლებზე. აღბეჭდილა ბრძოლა ტომთა შორის, დაუსრულებელი კინკლაობა ფეოდალთა, შეჯახება ქვეყნებისა თუ სახელმწიფოებისა, რელიგიური თუ მეცნიერული პაექრობანი.

ფეოდალური უთანხმოება და შფოთი ქვეყნის შიგნით, საშინელი უცხოელების შემოსევა... როგორი უმაგალითო გამირობა და ვაჟაკობა დასჭირდათ ქართველ ხალხს, რათა დაეძლია ყოველივე ეს, გაფრთხილებოდნენ თავიანთ უძველეს კულტურას, გაეტარებინათ საუკუნეების გრივალში და ამავე დროს განევითარებინათ იგი, აეყვანათ ახალ სიმაღლემდე ხალხის მორალური ძალის ზრდასა და განმტკიცებასთან ერთად. მისი შემოქმედებითი სულის ამაღლებასთან ერთად იზრდებოდა, მტკიცდებოდა და მაღლდებოდა თბილისი — მისი სახელი და დიდება.

ათასხუთას წელს ცვლიდნენ თაობები ერთმანეთს; ყოველი მათგანი იბრძოდა და ჭირსა შიგან მაგრდებოდა. დაკოჟრილი ხელებით თლიდა ქვას, ასხამდა დუღაბს, ყოველ წელს ახალ-ახალ შენობებს აღმართავდა, რგავდა ნორჩ ხეებს, გაყავდა სულ ახალი და ახალი ქუჩები.

ყამთა ქარიშხალს მრავალგზის აღუგვია ერთ დღეში და ნანგრევებად უქცე-

ვია ის, რაც მშრომელ ხალხს უშენებია საუკუნეების მანძილზე, მაგრამ ეს დიდი და გმირი ხალხი, პატრიოტი და მშენებელი ხალხი სულით არ ეცემოდა არასოდეს! იმუშებდა ჭრილობებს და ხელახლა იწყებდა შენებას, აღადგენდა ნანგრევებიდან თავისი ქვეყნის გულს — თბილისს, აქცევდა მას ეროვნული ერთობის სიმაგრედ.

ქართველი ხალხის მგზნებარე პატრიოტიზმი, წმინდა სიყვარული მშობლიური კერისადმი მუდამ იწვევდა მისი მტრების მძევნეარებას. ასეთი მტრობით შეპყრობილმა ალა-შაჰმად-ხანმა — ირანის დესპოტმა მბრძანებელმა, წააწყდა რა ქართველების ვაჟაკურ წინააღმდეგობას, შეთვრამეტე საუკუნის ბოლოს გადაწვა თბილისი.

სისხლის მსმელმა ცეცხლწამკიდებელმა ნაცარტუტად აქციეს ათასი სახლი. დამპყრობელებმა თბილისელები ცის ქვეშ დატოვეს, მაგრამ, თბილისის განადგურება ვერ შეძლეს. „ნაგა-Тбилиси“ — „პატარა თბილისი“ ეწოდებოდა ერთ-ერთ უღამახეს, უძველეს აზერბაიჯანის ქალაქს — შუშას. გამპყინვარებული შაჰ კაჯარი ამ პატარა ქალაქში მოკლეს. საძულველი ტირანი საკუთარ სისხლში ჩაიხრჩო. მამაპაპურ მიწა-წყლიდან განდევნეს რა საქართველოში ალა-შაჰმად-ხანთან ერთად მოსული მძარცველები, ქართველებმა ახალი გულმოდგინებით აღადგინეს მშობლიური ქალაქი.

აზერბაიჯანელი პოეტები, სახალხო მომღერალი — აშულები საუკუნეების მანძილზე აღიდგებდნენ თავიანთ სიმღერებსა და ლექსებში თბილისის მშენიერებებს, მორალურ ძალას და ქართველი ხალხის კეთილშობილებას, მათ უშიშარ ბრძოლებს დამპყრობელთა წინააღმდეგ. ხალხის სიბრძნესა და გონიერებას.

როდესაც სისხლისმსმელი მტრები შავ ღრუბლებად მოეფინებოდნენ თბილისს, წვავდნენ და ანგრევდნენ ქალაქს, არ ინდობდნენ აკვანში მწოლ ჩვილებსაც კი, აზერბაიჯანელების გული რისხვით იესებოდა, წმინდა ალად აღინთებოდა

მათში ეს რისხვა და სიძულვილი საზოგადოებრივი მტრების მიმართ.

ასეთ მძიმე დროს **ქართველები** და აზერბაიჯანელები დახმარების ხელს უწვდიდნენ ურთიერთს. არც ერთი არ ზოგავდა ერთმანეთისათვის არაფერს. კეთილი სიტყვა, წარმოთქმული ამ მძიმე, შავ დღეებში, მისწრაფება მეგობრებთან ერთად გაიზიარო მათი მწუხარება და ბედ-იღბალი ნუთუ ეს არ არის გამოვლინება ნამდვილი ძმობისა.

ამაღლელებად წერს ერთ-ერთ თავის მრავალრიცხოვან ლექსში, თბილისში შაჰ კაჯარის მხეცობის დაღის შესახებ შეთვრამეტე საუკუნის აზერბაიჯანელი პოეტი შიქესტა-შირინი. გული გიჟანკალებს, როდესაც კითხულობ თბილისის ტრაგედიის ამ სტრიქონებს.

დიდი აზერბაიჯანელი პოეტის ვაგიფის თბილისისადმი მიძღვნილი ლექსებში აღსაყვება მგრძნობიარე სიყვარულით ქართველი ხალხისადმი, მეგობრობაში ერთგული, მაგარი ქართველი ძმებისა და დებისადმი. პოეტი თბილისს უწოდებს სინათლისა და ბედნიერების სავანეს: „ეს ედემია, ბაღი შვებისაო“. პოეტი აღტაცებით ამბობს:

„ეს იმნირი ადგილია, რომ
შუქი შეფარისთვის მიუწვდენია,
მას, ვითა მზესა, სხივები თვისი
მოთლი ქვეყნისთვის მიუღენია.
იგი მტრისა და ორგელისათვის
არის შავი დღის დამყენებელი,
ხოლო თუ ვინმეს გადაეფარა,
ჩრდილი იმისი მაიოცლებელი...“

ქალარა თბილისის ისტორია — ესაა ცოცხალი წელთაღრიცხვა ამიერკავკასიის ხალხთა ერთობლივი ბრძოლებისა, მათი უძველესი მეგობრობისა და ძმობისა. უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ საშინელი ბრძოლების დროს ეს ქალაქი იყო ქართველების, აზერბაიჯანელებისა და სომხების ძმობის სიმაგრე.

საქართველოს მშენიერი ღედაქალაქი ახლობელი და ძვირფასია აზერბაიჯანელებისა და სომხებისათვის. არ შეიძლება წარმოვიდგინო აზერბაიჯანელი, რომლის სულშიაც სიტყვა „თბილისი“ — არ აგონებდეს, არ აღვიძებდეს

ყველაზე თბილ, ყველაზე ნაზ გრძნობას. აზერბაიჯანისა და სომხეთის ბევრი დიდი სწავლული და მხატვარი დაბადებულა თბილისში, გაზრდილა თბილისელებს შორის, წერდა და ქმნიდა ყოველდღიურ მეგობრობაში — ჩვენთვის ყველასათვის მშობლიურ საქართველოს მოწინავე ხალხთან ერთად.

თბილისის საზოგადოებრიობას შორის ჩამოყალიბდა დიდი აზერბაიჯანელი მწერლისა და ფილოსოფოსის, ახალი რეალისტური აზერბაიჯანული ლიტერატურის ფუძემდებლის მირზა ფატალი ახუნდოვის ლიტერატურულ-ფილოსოფიური შეხედულებები. ახუნდოვმა თბილისში დაწერა, დაბეჭდა და სცენაზე დადგა ახლა ფართოდ ცნობილი მისი კომედიები, საქართველოს დიდ მწერლებთან და მოწინავე ხალხთან ჰქონდა მას მტკიცე მეგობრობა.

თბილისში გაეცნო მირზა ფატალი მოწინავე რუსეთის საზოგადოებრივი აზროვნების რევოლუციურ-დემოკრატიულ რწმენას, აქ დაუკავშირდა იგი რუს პროგრესულ მწერლებსა და პოეტებს.

თბილისშივეა მირზა ფატალის საფლავიც. ცოტა ხნის წინ ჩვენმა მოძმე ქართველებმა ამ საფლავზე მშვენიერი მონუმენტი დაადგეს. ამ მოვლენამ კიდევ უფრო მეტად გააძლიერა წრფელი ძმური კავშირის გრძნობა ჩვენს გულებში.

სახელდობრ, თბილისში 1907 წელს დაიწყო გამოცემა, არა მარტო აზერბაიჯანში, მთელ მუსლიმანურ აღმოსავლეთში ცნობილმა სატირულმა ჟურნალმა „მოლა ნასრედინმა“, რომელსაც ეჭირა შეურბეგბელი, რევოლუციური ბრძოლის პოზიცია ფეოდალურ გადაინაშთებისა და კოლონიალური ჩაგვრის წინააღმდეგ.

„მოლა-ნასრედინის“ რედაქტორმა დიდმა აზერბაიჯანელმა მწერალმა — დემოკრატმა ჯალილ მამედყული ხადემ თბილისში გაატარა თავისი ცხოვრების მნიშვნელოვანი წლები, დაწერა ამ ქალაქში თავისი ყველაზე საუკეთესო ნაწარმოების ნაწილი. ჯალილ მამედყული ხადეს გაცხოველებული კავშირი ჰქონ-

და თბილისის რევოლუციურ ფენებთან. იგი ღრმა პატივისცემელი იყო ქართველი ხალხისა, კარგად ესმოდა, იცოდა და უყვარდა ქართული კულტურის საუკეთესო ტრადიციები.

ჟურნალი „მოლა-ნასრედინი“ ამტკიცებდა ქართველი, აზერბაიჯანელი და სომეხი ხალხების მეგობრობას, ეწეოდა დიდ აღმზრდელობითს მუშაობას მასებს შორის, სატირის მომავლდინებელ ლახვარს სცემდა პროვოკატორებს, რომლებიც ისწრაფოდნენ ამ სამ მოძმე ხალხს შორის მტრობა და შუღლი ეთესათ, მოუწოდებდა ერთობისა და მეგობრობისაკენ.

როდესაც ვლადიმერ ისტორიული მეგობრობის შესახებ, ჩვენი ხალხების ძმურ კავშირსა და ურთიერთდახმარებაზე, თბილისის გვერდით არ შეიძლება არ დავასახელო — გორი. ვის არ გაუგონია გორის სემინარიის შესახებ იქ უსწაველია მრავალ მათგანს, ვინც გამოდიოდა რევოლუციამდელ აზერბაიჯანში შუასაუკუნეების უმეტრებისა და სიბნელის წინააღმდეგ, ავრცელებდა ცოდნასა და განათლებას, მთელი გულით ცდილობდა ხალხისთვის აეხილა თვალი. გამოჩენილი კომპოზიტორი უზეირ პაჯიბეკოვი, დიდი სწავლული ფრიდენბეგ ქოჩარლი გორის სემინარიის კედლებიდან გამოვიდნენ.

აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომეხი ხალხის ძმური კავშირი ძალზე ძველია. მათი კულტურა განუშორებელი კვანძებითაა ერთმანეთთან დაკავშირებული. მრავალი წლის მანძილზე თბილისი იყო აკვანი, როგორც ამ ამოზისა, ასევე კულტურული სულიერი ახლობლობისა.

თბილისს ამ ხალხის დაახლოებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის. დიდი წვლილი გაიღო მან ამ ხალხთა ყოფაცხოვრებისა ლიტერატურისა და ხელოვნების შინაგანი კავშირის შექმნისათვის. დაწყებული მეცხრამეტე საუკუნიდან ეს ქალაქი იყო ამიერკავკასიის პოლიტიკისა და კულტურის ცენტრი და მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ჩვენი ხალხის ერთიან

ბრძოლებში თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის.

თბილისი ჩვენი ხალხების განსაკუთრებით გამოცოცხლებულ და კიდევ უფრო ახლო კავშირის ცენტრად გადაიქცა საბჭოთა ხელისუფლების დროს. აქედან დაიწყო განხორციელება მრავალმა აუცილებელმა ღონისძიებამ, რომელთაც ითამაშეს მნიშვნელოვანი როლი ამიერკავკასიის ხალხების ცხოვრებაში და კულტურულ აღმავლობაში; აქ იქნა მიღებული მრავალი ისტორიული გადაწყვეტილება. თბილისში ჩატარებულმა ამიერკავკასიის მნიშვნელობის ყრილობებმა და თათბირებმა ჩვენს ხალხს სოციალიზმისათვის ბრძოლის ბიძგი მისცა.

თბილისში ჩატარებული „თეატრალური გაზაფხული“, ამიერკავკასიის ხალხთა მუსიკალური ფესტივალი, წარმოადგენდა მნიშვნელოვან მოვლენას, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა ხელოვნების მუშაკთა მეგობრობა. აზერბაიჯანის ახუნდოვის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში სიყვარულით სრულდება დიდი ქართველი კომპოზიტორის ფალიაშვილის ოპერა „დაისი“. აზერბაიჯანელი მკაყურებლები შეუხელებელი ინტერესით უყურებენ ქართულ ფილმებს და გულთბილად მიესალმებიან თავისი მოძმე ქართველების მნიშვნელოვან მიღწევებს ამ სფეროში.

მინდა აღვნიშნო, რომ თბილისი — ეს არის საყვარელი ქალაქი, სადაც ხშირად ვხვდებით ერთმანეთს ჩვენ, მწერლები, ყოველი შეხვედრის დროს მუდამ გატყვევებს ქართული სტუმართმოყვარეობის გულწრფელობა გულუხვად გა-

ლილ ქართულ მაგიდაზე, და როდესაც ვისმენ გულლია, გულწრფელ ქართულ სიტყვებს, მგონია ხელმეორედ მსგებნელები.

მაგრამ არა მარტო ასეთი შეხვედრები აახლოებენ ჩვენს ცხოვრებას. ხალხის სულიერი სიმდიდრე — აი, უმაღლესი წყარო სიამოვნებისა. თბილისში ჩვენ პირველად გავცანიით შოთა რუსთაველის, გურამიშვილის, ჭავჭავაძის, მათი ღირსეული წარმომადგენლების ლეონიძის, ტაბიძის, ჩიქოვანის, აბაშიძის (მე მხედველობაში მყავს ორივე, როგორც ირაკლი, ისევე გრიგოლი) ლორთქიფანიძის, ბელიაშვილის და მრავალი სხვა ქართველი მწერლებისა და პოეტების მშვენიერი ნაწარმოებები. შემდეგ კი ჩვენ ვთარგმნეთ მათი წიგნები მშობლიურ ენაზე. ათასობით აზერბაიჯანელი კითხულობს ახლა ამ ნაწარმოებებს, სწავლობენ ცხოვრების სიბრძნეს.

ახლა, ქართველი ძმების გულისხმას აყოლილნი, ვზეიმობთ თბილისის 1500 წლისთავს. ერთიანია კავკასიონის მთები, მათი განშორება ერთმანეთისაგან შეუძლებელია. სწორედ ასევე ერთიანია ჩვენი გულები, ერთია ჩვენი ბედნიერება.

ათასი წელია ერთი გვაქვს სუფრა, ერთი გვაქვს პური, მარილი, ერთიანია ჩვენი შრომა. ამ დიდი ერთობის აკენაშია ჩვენი დედაქალაქები თბილისი, ბაქო და ერევანი.

მაშ იზარდოს და იღლეგრძელოს საქართველოს უმშვენიერესმა დედაქალაქმა — ათასხუთასწლოვანმა თბილისმა. მეგობრობისა და ძმობის ჩაუქრობელ ჩირაღდნად ენთოს სამარადქამოდ!

სომხეთის სსრ

მაკაჩიოს საიანი



თბილისელ მემობრებს

დღეს საქართველოს უძველესი დედაქალაქი ზეიმობს თავისი არსებობის ათასხუთასი წლისთავს.

თბილისი ამიერკავკასიის საუცხოო

ქალაქია, იგი მშვენიედაა იმ უზარმაზარი მთავორიანი მხარისა, რომელიც გაწოლილია შავი და კასპიის ზღვებს შორის.

1901 წელს ახალგაზრდა მხატვარს პირველად მომიხდა კავკასიის ქედის ბუმბერაზი სიმაღლეების გადალახვა და უეცრად აღმოვჩნდი მდინარე მტკვრის ხეობაზე ორიგინალურად, ფანტასტიკურად მიკრულ ქალაქში, რომელიც მაღალი კლდეებითაა გარშემორტყმული. მის ორიგინალურ ხედს ძალზე უწყობდა ხელს მრავალრიცხოვანი ტაძრების წვეტებიანი გუმბათები, რომლებიც გაფანტული იყო მთელს ქალაქში.

ამ სანახებმა განსაკვიფრებელი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე, საქართველოს სამხედრო გზამ — დარიალის ხეო-

ბით, ყაზბეგმა და ბოლოს თბილისმა, საქართველოს ამ უძველეს ქალაქში — ცხოვრების განსაკუთრებულ კულტურით.

დღეს საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის თბილისის სახე ძალზე შეიცვალა, იგი გახდა მაღალნიჭიერი ქართველი ხალხის კულტურულ-პოლიტიკური და სამრეწველო ცენტრი. ვუსურვებ მოძვე ქართველ ხალხს უსაზღვრო ბედნიერებას და თავისი ქვეყნის აყვავებას.

მაგრად ვეხვევი ჩემს თბილისელ მეგობრებს, მშობლიური მხარის დიდების შემქმნელთ.

იკანერ ქოჩაკი

ხელოვნების დამახორებული მოღვაწე, მხატვარი-მოქანდაკე



ქომლის ქვაბთა ქვა

ერთხელ მე ჩემს ბაღს — გაზაფხულის მზეს რომ ვადარებ — ვკითხე: ამქვეყნად სანამ მოხვევლ სად იყავ-მეთქი.

პატარამ მითხრა, რომ ის მუდამ ამ ქვეყნად იყო, რომ წილნაყარი იყო მუდამ ამ ცხოვრებასთან. —

ეგრევე მეც, ჩემო მშობლიურო, ტყბილო თბილისო, მარადეამ შენთან ვიყავი და შენს გვერდით ვიყავ.

როცა ჯერ კიდევ ფეხშიშველი და თმაგამლილი ჰქროდი შენ, როგორც უსიერი ტყეების სული,

და ნადირთ მეფეს და ირმების ჯოგის მეურვეს გოგირდის ბული თავზე გედგა, ვითა გვირგვინი, —

მაშინ მე ბაღი — უთვისტომო და უსამშობლო — შენს კვალს მოვდევი და ვკოცნიდი ნატერფალს შენსას.

უქმად დიოდნენ მოჩუხჩუხებ, თბილი წყარონი, შენ კი ველური, სიყვარულით გულშეუძვრელი

ულრანში რბოდი... მაგრამ უცებ ტყემ უსიერმა და დიდმა მთებმა დაიგრგვინეს გულშემზარავად.



დაფეთებულნი გადმოცვივდნენ ქურციკნი კბოდით,
ვით გრიგალისგან დარბეული ხეთა ფოთლები,

ზარდაცემულნი ტყის ნადირნი, შეძრწუნებულნი
უცნაურ შიშით-შიშიმალნენ თვის ბუნაგებში

და მთით გადმოდგა შავ ტაიქზე ამხედრებული
მეფე ვახტანგი — გოლიათი იბერთა მეფე...

შენთა მშვენიებამ, შენმა ტურფა შემოგარენმა
თვალი მოსწყვიტა საქართველოს სვიან მბრძანებელს.

ჩამოხტა ცხენით, დაიარა შენი მიდამო
და მერე ჩუმად მოგეხვია, ვით ლამაზ დიაცს...

მან თავის მხლებელთ, დიდაზნაურთ, ერთგულ მეომართ,
აქ განუცხადა საიდუმლო გულსდაფარული:

სატახტოდ იქცევს ეს ადგილი, თბილი წყლის გამო
აწ და მარადის წოდებული თბილისქალაქად!

ამხედრდა მეფე, მიეფარა თვალს მეყვსეულად
და არ იცოდი, ცხადში ნახე ის თუ სიზმარში.

მაშინ იქ ვიდექ მე ყმაწვილი ცისფერთვალემა, —
ოქროს უზანგი ვახტანგ მეფეს მე დაეუჭირე...

აგრე აშენდა საქართველოს დიდი სატახტო,
ტურფა ქალაქი, სასწაული, დიდი ქალაქი.

ბჭემალალი და სრული — ყველა ქალაქის თვალი,
თბილის ქალაქი, საქართველოს დედაქალაქი.


პატარძალივით მეფურ ტახტზე იჯდა თბილისი,
აღმოსავლეთის ქალაქების თვალი უებრო.

როცა ტიროდა — მარგალიტის ცრემლებს აფრქვევდა,
როს იცინოდა — ებნეოდა გულს იავარდი...

შენ რუსთაველმა თავს დაგადგა ოქროს გვირგვინი,
მთელ ქვეყანაზე სხივოსანი გამოგაჩინა.

შენ საიათნოვამ გიგალობა, ჩემო ქალაქო,
შენი ტახტის წინ ფიანდაზად გაშალა გული.

მეც — გადავსერე დედამიწის ოთხივე კუთხე
და მოგიტანე საგანძური აურაცხელი,



პინდუსტანური ატლასი და თვალმარგალიტი,
სხვა ქვეყნებიდან საქონელი ათასნაირი.

შენმა შეიღებმა გულს ჩამიკრეს მე ღვიძლ ძმასავით,
დამიყვავეს და გამამზნევეს, მცეს ნუგეშინი.

შენა ხარ ჩვენი დედაბოძი, დიდი სატახტო
აღორძინებულ და ქედუხრელ კავკასიისა.

როგორც ვარდის ბუჩქს შხამიანი იქედნეს გესლი
ევრე გესლავდა საზარელი შხამი მტერთა გულს.

და ერთხელ, შავ დღეს, სიავის დღეს მტერი ურიცხვი
შემოგესია, დაგარბია, გაგაპარტახა.

ხელში სანთელი გეჭირა და ჩაგიქრო იგი,
ვარდის გვირგვინი გეხურა და ფეხქვეშ დაიგდო.

შენი ლომგული მეომრები — ნათელშინანი
დიღხანს იბრძოდნენ, ხმლით კაფადნენ ბნელს შემოქცეულს,

მაგრამ მომხედურთა მოძალებამ, შურმა, ლალატმა,
შავი ღრუბლებით მოგიქუფრა ნათელი სახე.

მაშინ მე შენს სისხლს, მამულისთვის მსხვერპლად შეწირულს
გულით ნაყური ჩემი სისხლიც შევეუზიარე.

შენ არ იყავი განა ჩემი ერის მფარველი,
შენ არ იცავდი განა იმას განსაცდელისგან?!

დავით-ბეგს შენ არ შეეწიე — მძლეოთა მძლეველი,
მტერთა მსახვრალი და ნაკურთხი მარჯვენის ძალით?

შენ გიგალობეს აშულეზმა — მამაცოთა კერას
ვაეკაცობის ბჭეს დაუქცეველს, სულს შეუმუსვრელს...

მერე ცბიერმა მბრძანებელმა დაგადგა თვალი,
ქვებუდანობით, ვერაგობით ტახტი მოგტაცა.

უნდოდა შენი გასავისი, შენი ხსენება
შენი ცხოვრება აღეგავა მიწისპირიდან.

საუკუნეზე უმეტეს ხანს თავს დაგჩხოდა,
მაგრამ პაპათა ზნე მაინც ვერ შეგაცვლევინა...

მაგრადნაგები ფუძე გქონდა, ბერმუხასავით
იდექი შენ და მტერი როგორ ამოგაგდებდა!



წაიღოს ქარმა-დააკლდება ზღვას ქვიშა განა?
სანამ მზე ნათობს — შენ სიმღერა არ დაგელევა!

თბილისო შენმა სიყვარულმა შემიძრა გული
და ამ გულიდან დაწურული სიმღერა გითხარ...

ვერარა ძალა ვერ შემესრავს სიყვარულს ჩვენსას,
ვერარა ძალა ვერ შეარყევს ჩვენს მტკიცე კავშირს...

ქართველი კაცის ქედუდრეკი, ამაყი სული
მულაჟ იყო და კვლავ იქნება შეუმუსკრელი.

შენი ბუდიდან წამოფრინდნენ არწივებივით
რევოლუციის გულზვიადი ჯარისკაცები.

შენი ძუძუთი გაიზარდა ფოლადის კაცი
საქთემპყრობელი, წინამძღოლი ჩვენი ქვეყნისა.

როგორც ყოველთვის — მე შენს გვერდით ვიდექი მაშინ,
მეც შენივ მსგავსად აღისფერი დროშა მეჭირა.

შენს მოედნებზე ვყიყინებდი, შენებრ ველავდი,
ძმობას, ერთობას ვუმღეროდი გულბობოქარი...

ვიგონებ ახლა და მაოცებს, ვით მაოცებდა
შენი მხნეობა, შემართება, შეუპოვრობა.

მე მიყვარს შენი მცხუნვარე მზე, შენი ლურჯი ცა,
გოგირდის წყალი გამკურნავი, მაცოცხლებელი.

მიყვარს შენი მტკვრის მზიარული სანაპირონი,
და მთვარიანი ღამეების ზმა სევდიანი.

მიყვარს მე შენთა ნაშიერთა ამაყი მზერა,
მათი მიმობერა ვაყვაცური, მათი სიქველე.

შენი ქალების ლერწამივით რხეული ტანი,
და სიყვარულით ანთებული ნუშის თვალები.

მიყვარს მე შენი სიმღერები მრავალხმიანი,
მიყვარს და მულამ მეყვარება, ჩემო თბილისო.

დე, შენთან ერთად მეც ვიხარო ძმური გულითა,
დე, ერთად რეკონ ჩვენი ძმობის სამრეკლოებმა.

დე, გამარჯვების სიმღერებმა კვლავ იგუგუნოს
და ერთად ეღერდეს ყველა ჩვენი საგალობელი.



ვისაც კი ჩვენი გათიშვა სურს, დე დაითრგუნოს,
დე, მოიკვეთოს ის მარჯვენა, რომელიც გავცურის.

ჩემო თბილისო, გაძლიერდი, აყვავდი უფრო,
წითელ ვარდევით იყვავილე მრავალყამიერ!

თარგმანი **თამაზ ჩხენკელისა**

ამოვ გრამი



ზღაგაგმისი ქალაქი

ყოველ ქალაქს, როგორც ყოველ კაცს, თავისი ბიოგრაფია გააჩნია. თავისი დაბადების დღე, თავისი თვითმყოფადი სახე, ჰქვიანი თვალები, ოქროს გამარჯვებები, მითროლოვარე გული და მზესავით ნათელი გონება.

თბილისი — ძმური საქართველოს დედაქალაქი — უღამაზესი ქალაქია. თბილისი არ არის არც სიმბოლო, არც მითი თუ ლეგენდა, არც სიმღერაა მგოსნისა. თბილისი სინამდვილეა. მამაცი ხალხის ისტორიის გმირია, ის არის მთლიანობა მშფოთვარე ცხოვრების, პოეზიისა და კულტურის, შრომისა და გამარჯვებების.

თბილისის დაარსებიდან ათასხუთასი წელი მტკიცედ აღბეჭდილა ქართველი ხალხის სახელოვან მატეანეში. ეს მნიშვნელოვანი თარიღი ხალხის შემოქმედებისა და შესანიშნავი უძველესი კულტურის გამარჯვების ზეიშია.

საუკუნეთა ქარიშხალმა თავისი კვალი დატოვა თბილისის ვაჟკაცურ სახეზე. ისტორიკოსნი რაინდი — ქალაქის მზერაში აღტაცებულნი კითხულობენ მისი მხედრობის ისტორიულ გამარჯვებებს. ამ რაინდის წინ განერთხნენ რომაელ, ირანელ და თურქ დამპყრობელთა ურდოები.

თბილისი გული იყო კლასიკური დიდი პოეზიისა, რომელიც მეგობრობდა და აკავშირებდა ხალხებს მაღალ იდეალებსათვის, თავისუფლებისათვის, პუმანურობისათვის, სიმართლისა და უწინდესი

მინდესი გრძნობებისათვის ბრძოლაში.

თბილისი პოეტთა გენიალური წინაპრის, უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ შემქმნელის ქალაქია. რუსთაველის პოემამ ქარავანივით მოიარა ქვეყანა და სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში.

თბილისი დიდ ქართველ მოაზროვნეთა — ვაჟა ფშაველას, ილია ჭავჭავაძის, ნიკოლოზ ბარათაშვილის ქალაქია. თბილისში ცხოვრობდნენ და ჰქმნიდნენ თავიანთ ნაწარმოებს გაბრიელ სუნდუკიანი, ოვანეს თუმანიანი და რაფი. აქ შექმნა თავისი საუკეთესო ნაწარმოებები ცნობილმა აზერბაიჯანელმა დრამატურგმა მირზა ფატალი ახუნდოვმა.

თბილისის ამყამა ფრთებმა შეიფარა მეფის რუსეთის თვითმპყრობელობის მიერ დევნილი დიდი რუსი პოეტები — პუშკინი, ლერმონტოვი, გრიბოედოვი, აგრეთვე დეკაბრისტი პოეტები. პუშკინი და ლერმონტოვი კავკასიის განუყოფელ წარმტაც სილამაზესა და კავკასიის ხალხთა თავისუფლების მოყვარულ ადამ-ჩვეულებებს უმღეროდნენ.

ლეგენდარულ თბილისს თავისი დიდი რევოლუციური ისტორია აქვს, აქ მოღვაწეობდნენ ლენინელი-რევოლუციონერები: სტალინი, ჯაფარიძე, კეცხოველი, შაუმიანი და სხვები, რომლებმაც მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ამყად ატარეს მუშათა კლასის განთავისუფლების დროშა, დროშა კომუნისტებისა.

ჩემთვის, როგორც სომეხი პოეტისათვის, ეს დიდი ისტორიის მქონე ქალაქი ძვირფასია იმით, რომ იგი ახლაც აგრძელებს თავის საუკეთესო ტრადიციებს, მეგობრობის, ძმური თანამშრომლობის, შემოქმედებითი გამოცდილების ურთიერთგაზიარების ტრადიციებს. თბილისი კეთილი და სტუმართმოყვარე მეგობარია. სადაც არ უნდა ვიყო მე, თბილისი მაინც ჩემ თვალწინ არის, ჩემს გულშია, ჩემს გვერდითაა. მისი მზიარული გამოხედვა ხშირად მესიზმრება მე. იქ გაშლილ სუფრაზე, მეგობრულ ნადიმზე ჩემი მეგობარი პოეტები სვამენ ჩემი ბედნიერების სადღეგრძელოს, მათ ახარებთ ჩემი მიღწევები. ისინი მეხმარებიან მე მეგობრული რჩევა-დარიგებებით.

მე არა ერთხელ ვყოფილვარ იმის მოწმე, ჩვენი უცხოელი სტუმრები დედამიწის ყოველი კუთხიდან როგორ ჩამოდდიოდნენ თბილისში, რათა დამტკბარიყვნენ მისი უძველესი არქიტექ-

ტურითა და ბუნების სიმშვენიერით. გული დიდი სიხარულით იტყება, როდესაც ხედავ როგორ რზრდება და ფარ-თოვდება შენს თვალწინ ახალი ნაგებობანი.

თბილისური განთიადის ლაქვარდოვან სივრცეში იჭრება საცხოვრებელი სახლების ახალი კვარტალები და ფაბრიკა-ქარხნების ახალი კორპუსები. ახალი პარკები, პროსპექტები, ქუჩები ქალაქს საზეიმო იერს აძლევენ. აქ გასაოცრადაა შერწყმული სიძველე და სიახლე, კლასიკური და თანამედროვე არქიტექტურა.

თბილისის ათასხუთასი წელი მთელი საბჭოთა კავშირის ხალხთა ზემოა.

ამ საზეიმო დღეს თანსა ვწევ და ვსვამ თბილისის — ულამაზესი ქალაქის აყვავების სადღეგრძელოს.

სომეხი პოეტების სახელით ვირწმუნები, რომ სომხური პოეზია თბილისის შთაგონებულ და ამალღებული გრძნობით გამოთბარ ლექსებს მიუძღვნინან.

მზანეს კაჩიანი



თ ბ ი ლ ი ს ი

ჩემს წინ უნახეს წიგნად გაშლილხარ და სიმღერების დაგარქმევ აკვანს, ძველი სიმღერა ჰგავს ცივ ქარიშხალს, ახალს — მაისის სურნელი დაკვარეს. მე მხოლოდ წამით გავხედავ წარსულს, იმ დღეს, როდესაც სისხლი არ წვიმდა. მე გორგასალის ხოხობს, ცად ასულს და ამალღებულს ვხედავ მთაწმინდას. აქ საძირკველი ჩაყარეს ისე, რომ მტერს ვერასდროს ამოეთხარა. კერიის კვამლი ამალღდა ცისკენ, „აქა მშვიდობა“ ეთქვათ, ეხარათ. შემდეგ... მომხედურთა ურდო მწუხრივით

ჩარხის უკულმა მოტრიალება. იყო ჩეხვა და იღვა წუხილა, და არ გაცილდნენ მორთვლიანებას რასაც მსახვრალი ბედი ეწვია, —

ქართველებს ისევ უმშვენიერიათ. ის, რაც სიძულვილს დაუღუწია, ძმობას, სიყვარულს უშენებია... შემდეგ, რაც მარად მემახსოვრება, შემოვუსწარი ახალ დიდებას: განახლებული ქვეყნის ცხოვრებას, ხალხთა ოცნების აყვავილებას. ასე მგონია, ჩემო თბილისო, მეც დავიცავი შენი კარები. ხარ პოეტების აზრის თილისმა და გაგებდე ლექსის ბწკარები, მოგონებათა ხარ მატრიანე, დაგყურებ რიდით, გფურცლავ ალერსით.

დღევანდელ დღისკენ შემატრიალებს შენი გულისთქმა უმხურვალესი. ხალისით ხედები ყოველ განთიადს, უფრო ბრწყინდები მშვენიერებით.

ლენინის ძეგლი მზისებრ ანთია,
სათავე ხალხთა ბედნიერების.
მე ამ მოედანს, ამ ძეგლს ვემთხვევი
და სიმღერებად ავბრაილდები.
ცად ამაღლებულს შემომეფრქვევა
მომავალ დღეთა განთიადები.
ზღვა სიხარულის გულში მთოვარო,
შენიც არ ვიყო, როგორ არ გაქო,
ცა-ფირუზ, ხმელეთ-სურმუხტოვანო,
მარად ჯველოს დედაქალაქო.
შენი რუსთაველის ქნარი ტკბილია,
უღიადესი და სხივთამთოვი...
აი, ოვანეს, დიდი ილია,
გრიბოედოვი და ახუნდოვი

შენთან არიან, შენს მკერდს
ჩაპკვრიან,
შენს უკვდავებას ნაზიარებნი,
ჩვენც ვეზიარეთ მათს აზრს მაღლიანს
და გულმართალნი დავიარებით...
თუ მოგეახლა ლაშქარი მტერთა,
ვერ გაგვიმკლავდეს გმირთა ბადიშებს.
თვით მტკვარიც დედა-ვოლგასთან
ერთად
მტერს დავიწყების ზღვაში გადუშევებს.
გიშურს ჯანმავარს, გხედავ მზიარულს
შენ, კომუნისმის აისის მაღლით.
დღეს კი შენს ათასხუთასწლიან შუბლს
ამკობს ორმოცი მაისის ვარდი.

თარგმანი **ემელიან შურდიანისა**

ბ რ ა ზ ი ლ ი ა

ქოჩი ახალს



ყვავილები ხოჭე ღიასისათვის

თბილისი პირველ დღიდანვე შემი-
ყვარდა. მისი ქუჩები თოვლით იყო და-
ფარული. მეტად ციოდა საქართველო-
სათვის ამ არაჩვეულებრივად მკაცრ
ზამთარს.

ჩემმა მოსკოველმა მეგობრებმა, ცოტა
არ იყოს, შერით შემომხედეს, როცა ვუ-
თხარი, თბილისში მივფრინავ-მეთქი.

„იქ მზე და სითბო დაგხვდებათ. აი
ისეთი, როგორც ვაზაფხულზე იცის. სა-
ქართველოში ზამთარი ყოველთვის
რბილია“. მაგრამ თბილისში ვერც აღ-
თქმულ მზეს შევხვდი და ვერც საამო
სითბოს, სამაგიეროდ, ადამიანების გულ-
წრფელი მეგობრობა დამხვდა, ღრმა და
მხურვალე...

მე მინდა მოვითხროთ ერთი ამბავი,
რომელიც საქართველოში გადამხდა. ეს
შემთხვევა, ჩემი აზრით, ნათლად მეტყ-
ველებს საბჭოთა ადამიანების გრძნობა-
თა სიფაქიზეზე, მათ კულტურაზე.

პირველ დღიდანვე შემიყვარდა მე-
ტი თბილისი, — ეს ძველთაძველი სა-

ტახტო ქალაქი. შემიყვარდა მისი უნი-
ვერსიტეტი, თეატრები, ახალი და ფარ-
თო ქუჩები, მისი ლამაზ-ლამაზი თვალ-
გიშერა ქალები; შემიყვარდა ევროპუ-
ლისა და აზიურის დახვეწილი შერწყმა
ხალხურ სიმღერებში, ცეკვებში, ზოგი-
ერთი პოეტის შემოქმედებაში — თუნ-
დაც გრივოლ ცეცხლამის პოეტურ ქმნი-
ლებებში:

მე დაეთესვ შენთვის ყანებს,
შენ გაივლი ბაღში
და სარკმლიდან სიხარული
შემოევა ოთახში.

დამწიფდება ხეხილები,
მზით დამტკვარი, ტკბილი,
და გადახსნი შენ ფორთოხალს
გრძელ თითების ფრჩხილით.

დღე შეიკრებს ნაირფერებს, —
ღია ფერის ჩიოი, —
აღუზალზე-შეფრინდება
შეჩვეული ჩიოი...

და იყო კიდევ სხვა რამ რაც უფრო მე-
ტად მაკავშირებდა თბილისთან. თბი-

ლისში ხომ ხოზე დიასია დაკრძალული, ესპანეთის კომუნისტური პარტიის ყოფილი გენერალური მდივანი, შეუდრეკელი ადამიანი, რომელმაც დოლორეს იზარტთან ერთად მთელი ესპანეთის მშრომელები წამოაყენა ფრანკოს წინააღმდეგ საბრძოლველად.

მე მინდოდა მივსულიყავი და პრესტესისა და ბრაზილიის კომუნისტური პარტიის სახელით გვირგვინი მიმეტანა ესპანელი ხალხის ღირსეული შვილის საფლავზე, ტრაგიკულად დაღუპული ხოზე დიასის საფლავზე, რომლის ნეშტი ჯერ კიდევ ელის სამშობლოს განთავისუფლებას, რათა საყვარელ მადრიდს დაუბრუნდეს.

მაგრამ ამ უღიმღამო დეკემბერში საქართველოს ზამთარი ერთობ მკაცრი გამოდგა. მაღაზიებში მხოლოდ ხელოვნური ყვავილები იყო გამოფენილი, — იმ წითელი მიხაკისა და ვარდებისაგან განსხვავებით, რომელიც მე მინდოდა წამელო ხოზე დიასის საფლავზე, — ყოველგვარ სურნელსა და ცოცხალ შეფერილობას მოკლებული.

სასტუმროს მოსამსახურე, რომელიც გვირგვინისათვის გავგზავნე, სამწუხარო ცნობით მიბრუნდა: „არაფერი გახლავთო, ხელოვნური ყვავილების გარდა“.

მაშინ გადავწყვიტე, მე თვითონ წავსულიყავი თარჯიმანის თანხლებით და ყვავილების მაღაზიაში შეცადე ყიდვა მაგრამ ამაოდ, — ყველგან უარყოფის ნიშნად იქნევდნენ თავს.

ერთ მაღაზიაში ყვავილების გამყიდველი ქალიშვილი დაინტერესდა, თუ ასე დაბეჯითებით რატომ ვეძებდი ზამთრის ამ სუსხიან საღამოს წითელ ყვავილებს.

მე ავუხსენი მას, თუ რას წარმოადგენდა ჩვენთვის, ბრაზილიელებისათვის, ხოზე დიასი.

„იგი ჩვენთვისაც ძვირფასი გახლავთ, მიბრძანდით სასტუმროში, ხვალ დღით გამოგიგზავნით გვირგვინს“.

მეორე დღეს შევძელი ხოზე დიასის საფლავზე პრესტესისა და ბრაზილიის კომუნისტთა სახელით წამელო ცოცხალი წითელი ყვავილების გვირგვინი, რომელზედაც სამ ენაზე — ესპანურ, ქართულ და რუსულ ენებზე იყო აღნიშნული მისი ძვირფასი სახელი და სიტყვა — „ესპანეთი“.

ამ სუსხიან ზამთარში საქართველოში არ დამხვედრია საამო სითბო, მაგრამ ეს სითბო თბილისელთა გულეებში ვნახე. გაზაფხული მათთანაა, — გაზაფხული ბედნიერი ცხოვრებისა!

თარგმანი პორტუგალიურიდან

მ. ფაშაშვილისა და ო. დემეტრაშვილისა

გ ე რ გ ა ნ ი ა

პროფ. ალექსანდრა ბიორივი. დოქტ. გეორგიუდა ბიორივი




რამდენიმე ღმე თბილისში

(ნაწევები წერილიდან)

გერმანელებს ერთი ანდაზა გვაქვს: „ვისაც უმოგზაურია, მას ბევრი ამბის თქმა შეუძლია“. ჩვენც ბევრი რამ გვექნება სათქმელი, როდესაც თქვენს სამშობლოში მოგზაურობის შემდეგ შინ დაებრუნდებით, მაგრამ თქვენც, ჩვენს

ქართველ მკითხველებს, გვინდა მოკლედ მოგახსენოთ, თუ რა მშვენიერი და დაუვიწყარი შთაბეჭდილებანი და განცდები აღიბეჭდა ჩვენს გონებაში ლამაზ საქართველოში მოგზაურობის შემდეგ.

მოგზაურობის მიზანი და მიზეზი ყო-



ველთვის სხვადასხვაა: ზოგნი მოგზაურობენ არდადეგების დროს, დასვენების მიზნით, ზოგნი გზად ნათესავეებსა და მოყვრებს მოინახულებენ. ჩვენი მგზავრობის მიზანი კი იყო, გაგვეცნო და შეგვესწავლა საქართველო და მისი მკვიდრნი.

უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებამ გერმანია-საბჭოთა კავშირის საზოგადოების მეშვეობით საქართველოში მიგვიპატივა. ჩვენ ეს მიპატიება სიმოწეებით მივიღეთ და შორეულ მგზავრობას არ შევეუშინდით. და აი, ერთ მშვენიერ მზიან დღეს თბილისის აეროპორტში ჩვენ უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე და ამავე საზოგადოების რამდენიმე თანამშრომელი შეგვხვდა და სასტუმრო „ინტურისტში“ მიგვაცილეს.

უაღრესად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე თქვენს დედაქალაქში გამეფებულმა სისხლსავე, მჩქეფარე ცხოვრებამ. ქალაქის ძველი უბნების გვერდით აღმართულია სახელმწიფო

მმართველობის ახალი შენობები და ინსტიტუტები, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ ფაბრიკა-ქარხნებს ცულის რიცხვმრავალი, მშვენიერი ბაღები, შესანიშნავი სანახავია მამადავითის მთაზე აღმართული ფუნიკულორის ზემო სადგურის შენობა, სტალინის სახელობის პარკში და სატელევიზიო ანძა. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე იმ გარემოებამ, რომ მდინარე მტკვარი ორ მხრივ კალაპოტშია მოქცეული და მას შესანიშნავი სანაპირო მიუყვება, და იმანაც, რომ თბილისის გარშემო მდებარე მაღლობები უნდა გამწვანდეს. ამ უკანასკნელის საწინდარი თბილისის წყალსაცავის შესანიშნავი ნაგებობაა. რა თქმა უნდა, წარსულში იავარქმნილი მიდამოს კვლავ ტყით დაფარვა, გამწვანება დიდ შრომას მოითხოვს, მაგრამ ახლანდელ თბილისელთა შთამომავლებს, სამაგიეროდ, თბილისის მახლობლად მშვენიერი სასეირნო და დასასვენებელი ადგილი ექნებათ.

ჩვენთვის დაუვიწყარია თბილისში საინტერესოდ გატარებული რამდენიმე შესანიშნავი დღე.

მეძსიკა

აქაზრო პაპაიანი



მომხიბლავი თბილისი

თბილისს და მის მცხოვრებლებს მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალურობა აქვთ. ეს არის პირველი, რაც თვალში გეცემათ.

ქალაქი ძალიან ლამაზია და ერთგვარად მექსიკურ ქალაქებსაც წაავას.

თბილისის კომკავშირელთა ხეივანი და გარსშემორტყმული მისი ბაღები ახლო მომავალში წარმტაც წაღკოტად გადაიქცევა.

თბილისელ ქალებს მხოლოდ მათთვის ჩვეული განსაკუთრებული სტილი აქვთ;

ისინი თავიანთი ფაქიზი და ნატიფი აღნაგობით სხვა, ჩვენ მიერ ნანახი და გაცნობილი ქალებისაგან დიდად განსხვავდებიან.

თბილისის დიდი ისტორია აქვს და, რა თქმა უნდა, მდიდარი ტრადიციები: ამაში დაგვარწმუნა თუნდაც ოპერა „ბესალომ და ეთერის“ მოსმენამ, რამაც შესაძლებლობა მოგვცა შეგვეგრძნო ქართველი ხალხის მდიდარი მუსიკალური ტრადიციების მრავალფეროვნება. ქართული ციკვები მეტად ციცხოვარ-

ნი და გრაციოზულია და მეტყველებს იმათ სულიერ სიფაქიზეტზე, ვინც ამ მშვენიერ ქვეყანაში ცხოვრობს, შრომობს და უნარს არ ზოგავს თავისი მომავლის გასაუმჯობესებლად.

და ბოლოს, საბჭოთა კავშირში მოგზაურობის დროს თბილისის ნახევართე-ერთი ყველაზე სასიამოვნო განსკლავი ჩემთვის. არა მგონია ოდესმე დაივიწყოს ჩემმა გულმა და თვალებმა თბილისი.

ღ ე ნ ი ნ გ რ ა ე რ ი

დ. ა. მასუღაიძე

თბილისის მხატვრული მორთულობის საპიოტხისათვის მის პირვანდელ პერიოდში

თბილისის ათას ხუთასი წელი საიუბილეო თარიღის გააზრება, ამ დროს მანძილზე მოთავსებულ მოვლენათა ისტორიულ სვლაში ჩაწვდომა, შემწნევა იმ შემოქმედებითი ძალი-სა, რომელიც უთვალავა თაობებმა ქალაქის ცხოვრებას დაამწნიეს — ასეთი მღვლეარე ფიქრებით ვარ აღსავსე. მძიებელი გონება სწვდებ-და საუკუნეებს, იგი ცდილობს, უწინარეს ყოვ-ლისა, თვალათალი წარმოიდგინოს ქალაქის გარეგნული სახე, მისი მხატვრული განვითა-რების პირველადი გეზი. ქვეყნის მარეალ ათასწლოვანი მხატვრული კულტურა ხომ შეძ-ლებდა იმ დროისთვის, სახელმწიფოს ანა-ღვრტრტრის ჩასახვისთანავე, ღირსეულად მის მოართვას. ვამბობ, სავარაუდოდ „შეძლებდა“, იმიტომ რომ პირვანდელი პერიოდის თბილისს ჩვენ არ ვიცილობთ ფაქტობრივად, დოკუმენ-ტრად, — არქეოლოგიამ ჯერ ვერ შეაგროვა გათხრების საშუალებით სუპირო მასალა, არა გააქვს ხელთ იმ დროის ქალაქის ჩანახატები, არც იმის აღწერა, თუ როგორ აღაშენა ტფი-ლისი და მცხეთა მერ მიცეალა...“

მაგრამ, ისე როგორც აღადგენენ ფიდასის ათენა-პალადის მხატვრულ თავისებურებას უგ-ვიანესი ზანის ხელისანთა რებლიკებითა და მონეტაზე გამოსახულებით; ისე როგორც აბი-ანეს შენიშვნების მიხედვით აღგვინენ ფაზისის ღმერთქალის ქანდაკების დამახასიათებელ ნაყ-ვთებს, რითაც ქალაქს ნამდვილი კოლხური სახე ეძლეოდა; ისე როგორც აღრეული შუა-საღუნის მასივტრ ნაყოობაში ყურადღე-ბას იმერტობს პალესტინის განთქმულ შენობათა აღბეჭდა — ასევე არა ნაკლებ კანონზოგირა, ვეძებთ იმერტის გამოყვანებითი ხელოვნების ძველებს შუა გრაფიკული რებლიკები ნამდვი-ლად არსებულ ნაგებობებისა, რომელნიც თავის დროს განსაზღვრავდნენ ამა თუ იმ ქართული ქალაქის მხატვრულ დონეს. ამ თვალსაზრისით არ შეიძლება არ შიიპყროს ჩვენნი ყურადღება გათხრების დროს არმაზის პიტაისებების სამარ-ხში აღმოჩენილ ვერცხლის ტაშტზე უბაღლო გამოსახულებამ (იხ. ნახატი 1).


იგი შესრულებულია ჭურჭლის გარე მხარე-ზე ნაჭედი ხაზებით. ჩვენ წინ კედლის მთლი-ანი ორნამენტაცია კი არაა, არამედ რთუ-ლი კომპოზიცია, რომელიც ქმნის ფრისს.

მისი მთავარი ფიგურაა უშუაველ ფარშ-ვანგი (მამალი), პირდაპირ მდგარი, ბოლო მას აწეული აქვს, ზემოთა წინწყლებიანი ფრთები, რომელნიც ფარავენ მას მარაოსავითაა გაშ-ლილი. ფრინველს თავი, თითქმის გველის-მსგავს კისერზეა, მუღმიც მოძრაობაშია და დიდებულად გამოიყურება. იგი გამოირჩევა ფრინველის ბოლოს ციმციმის ფონზე. ფრთები აქეთ-იქითაა გაშლილი, როგორც არწივის ცე-რამონიადრ და პერალდეკურ გამოსახულე-ბებზე. ფარშვანგი წარმოდგენილია მთელი თავისი ძლიერებითა და დიდებულებით, ლამა-ზი ფრთებით. წინა პლანზე წამოწეულია ვეულა-ის თავისებურება, რაც ამ ფრინველს აყენებს სხვა ფრთოსანთა შორის განსაკუთრებულ ად-გილზე.

დანარჩენი ორი ფარშვანგი ზემოტრად უხ-ლოელება მას. თავი მალა აქეთ აწეული, ბო-ლოები-მგარული და გაშვერილი. ფარშვან-გები შეადგენენ ერთიან მჭიდროდ გავრთი-ნებულ ჯგუფს, სადაც ცერემონიის მიხედვით გამოირჩევა წინამძღოლი და მის წინ წამოვი-მული სხვა ფიგურები. ნახატზე გამოსახული სცენა: კომპოზიცია შესაძლოა ბაძავს რომელი-ღაც საყურტო ზენ-ჩვეულებას ან სოციალური ვტიკეტს, მსგავსად იმისა, როგორც ბიზანტიუ-რი დეესოს ხატი ბაძავდა იმპერატორის კარის ნამდვილ ცერემონიას.

მაგრამ შეიძლება სხვა ახსნაც დავეშვათ, სახელდობრ: ჩვენთვის საინტერესო გამოსახუ-ლება ტაშტზე თავისი რეალური საფუძველით უშუალოდ არ გამოიმდინარეობს არც ერთი რთული ყოფაცხოვრებითი ცერემონიიდან.

1 გამოქვეყნებულია პუბლიკაციისში: „მცხე-თა“, ტომი I, თბილისი 1955 წ. ნახატი 38, ტა-ბულა 67.



ავი, შეიძლება სრული დარწმუნებით ითქვას, — გრაფიკულად გამოხატავს, უფრო მეტად ქანდაკების სახით, რეალურად არსებულ აგებულს. ასეთი რომ არსებობდა, თვითონ ფრინველი იპლევია სათანადო ჩვენებას.

მართლაც, ტაშტის ფრინველები ფარშავანები არ არიან წარმოდგენილი ერთმანეთთან უშუალო კავშირში, მათთან ერთად გავრთიანებულია ოთხი ზემოთკენ ახილული ნაკვებობა ერთნაირი ზომისა. თვითველი დაფარულია სამი პარალელური ღარით — კანელურით. ესენი უნდა ჩაითვალოს ბოქებად ან პილასტრებად. ფრინველი კედელს გარშემო არ უდრის, ავი იკავებს ტაშტის წრის მხოლოდ სამ მეოთხედს.

7. „მნათობი“, № 10.

ამ სექტორს, სადაც ფრინველი არაა და ერთი მეოთხედის ზომისაა, გაყოფის წერტილის მნიშვნელობა ეძლევა. განსაცვიფრებელია დიდოსტატის მხატვრული კულტურის დონე და ტაქტი, მან თავისუფალ სექტორში მოათავსა ასიმეტრიულად დაბატული ფოთოლი, რითაც უფრო ძლიერად გაუსვა ხაზი ამ სექტორის დამხმარე მნიშვნელობას. ამის გამო კანელირებული ბოქები ფრინველების უკან, პროფილში აღიქმებიან, როგორც სიმეტრიულად აგებული ფრინველის ჩამკეტავნი. სხვანაირად რომ ვთქვათ, მათ მიეცემათ ოთხსვეტებიანი აივანის კუთხის სვეტების როლი, ორ დანარჩენს კი შუა სვეტებისა. ამრიგად, კომპოზიციის წმინდა მხატვრულ

ლი ზერხები მივითითებენ, რომ ტამბის ფრინველ გამოსატრეულია ფარშავანების არა უბრალო ჯგუფი, არამედ განსაზღვრული მონუმენტური ჯგუფი, რომელიც იღვა ღია შენობაში—ტალანის ან აიენის სვეტებს შუა არსებულ საფრცხვში. თავისთავად ვასაგებია, რომ ასეთი ჯგუფი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ სეკულბტრული.

ყოცნობით თუ არა ამგვარ მონუმენტურ ქანდაკებას? არსებობს თუ არა ცნობა ამდაგვარ რამეზე ძველი ქვეყნების კულტურაში? არსებობს თუ არა საფუძველი, მივიჩნოთ იგი უბრალოდ რომელიღაც რომელი ქანდაკების მემორიულ გამეორებად?

მართლაც, რომში ვატკანის ზღში „დელა პინგა“ ცნობილია ფარშავანის დიდებული ქანდაკება მოოჭროვილი ბრინჯაოსაგან. ეს არის ნამდვილი მონუმენტური ნაწარმოები რომელი ხელოვნებისა. მისი სიმაღლე ერთ მეტრს აღემატება. იგი აღმოჩენილი იქნა იმპერატორ ადრიანეს მეგზოლეუმის (მშენებელია 135-138 წწ.) ტერიტორიაზე წარმოებული გათხრების დროს, რის შემდეგ გადატანილი იქნა „დელა პინგა“ ზღის ბელედერში, როგორც საუცხოო მხატვრული ნაწარმოები. არსებობს მოსაზრება, რომ ეს ფარშავანე თანდათანობით შეადგენდა მეგზოლეუმის გარშემო გაკეთებული მარმარილოს ვალავის ნაწილს.

ფარშავანის ქანდაკების დადგმა გალაკუნე, ან, როგორც ზოგიერთები ფიქრობენ, მთელი რიგი ფარშავანების დადგმა მეგზოლეუმის ვალავის გასწვრივ, არ შეიძლება ტრადიციული ყოფილიყო. ფარშავანის გამოსახულებას არა ჰქონდა სპეციფიკური, სულისმოსახსენებელი რიტუალის დანიშნულება. პირიქით, ჩვენი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნის რომში, თანამედროვეების მოწმობით, სავსე იყო ამ ლამაზი ფრინველით, იგი ზიდავდა ყველას პარკებსა და ხალხში. იგი შესამჩნევ იყო საზეიმო სუფრის გაწყობაში: შემწვარი ფარშავანე ზემოდან ყოველთვის იფარებოდა ფარშავანის ფრთებით და ვაშლილი ბილითი. რომში ისიც კი ახსოვდათ, თითქმის პორტენიმი (გარდაიცვალა ჩვენ ერამდე 50 წელს). ციცირონის განთქმულმა მოწინააღმდეგე ირატორულ ტრიბუნაზე, პარველმა მოთფიქრა ამ ძვირფასი ფრინველის შეწვა (მლინეუმი, 10. 22-23).

რომაული ხელოვნება და მხატვრული მრეწველობა ფართოდ იყენებდა ფარშავანის მისი სილამაზის გამო. ფარშავანის გამოსახულება მრავალად მოაოგება ტერაქოლზე, სანათურებზე. იგი გადაიქცა ორნამენტაციის საყვარელ მოტივად. ადრიანეს მეგზოლეუმის ვალავანზე დადგმულ ქანდაკებას, თუკი ნამდვილად იღვა იგი იქ, არ ჰქონდა ცერემონიალური ხასიათი.

მართლაც, ვატკანის ზღის ფარშავანე სწო-

რად დგას, ფრთები შეკრულა და ბოლო წამოშვებული აქვს. ზემოთა ფრთები, რომელნიც ბოლოს ფარავენ, მიწაზეა განთავსებული. კორპუსის სიმწვინდესა და მოქმედებას განსაზღვრავს ვადმოცემულია ზემოთა სიამაყე, რის გამო პლინიუსმა (10,22) თქვა, რომ „ფარშავანები ყველა ფრინველისაგან განსხვავდებიან როგორც გარეგნობით, ისე თავისი უპირატესობის შეგნებით, აგრეთვე დადებულებით“. ასევე დროს, სავსეობა რეალისტრალა დახასიათებული ფრინველის ჩვევები, კისრის თითქმის შეუწყრებელი მოძრაობის თავისებურება, თავი მაღლა აქვს აწეული. მდებრივ მოუსვენრობა ვადმოცემულია იმით, რომ მარცხენა ფეხი ოდნე წამოწეულია წინ და ცოტათი აწეული. მთლიანად გამოსახულება ღრმად რეალისტრალა ქანდაკების დადგმა ზუსტად ფორტალურია. თუ დავუშვებთ, რომ მეგზოლეუმის ვალავანზე ფარშავანები ერთ ჯგუფად იყვნენ გაერთიანებული, მაშინ ვატკანის ზღის ქანდაკებას უნდა ცენტრალური ადგილი ეჭიროს, რადგან იგი სწორად დგას. ქანდაკებების ასეთი განაწილებისას მეგზოლეუმის ჯგუფს უნდა ჰქონოდა სრულიად სხვა შინაარსობრივი მნიშვნელობა, ვიდრე ქართულ ტამბზე გამოსახულ ჯგუფს. უკანასკნელზე თვალსაჩინოა ცერემონიალური ჯგუფის დაყოფა და ცენტრალური ფიგურის წინ წამოწევა. ამიტომ იმპერატორ ადრიანეს მეგზოლეუმის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ბრინჯაოს ქანდაკება არ შეიძლება ჩაითვალოს არმაზის-ხევის ვერცხლს ტამბზე გრადუალად გამოსახული ჯგუფის პირველსაგანად.

ლიტერატურული ტრადიცია ადრიანეს სახელს უკავშირებს, აგრეთვე, ოქროსაგან გაკეთებულ ფარშავანეს საბერძნეთში. ამის შესახებ ცნობებს გვაქვს პავლანუსი (2. 17. ს): „ოქროსაგან გაკეთებული და მზრუნველი ძვირფას ქვებით მოჭედილი ფარშავანე მემორიულია (ე. ი. პერგიონს მიცენის ახლოს) იმპერატორმა ადრიანემ“. ამასთანავე, პავლანუსი გამოთქვამს შემდეგს აზრს: „შეწირა იმპერატორმა ამ ფრინველს თვლიან პერასადში მიძღვნილ ფრინველად“. თავითარი მითითება არ არსებობს, რომ ეს ოქროს ქანდაკება შედგებოდა არა ერთი ფიგურისაგან, არამედ წარმოადგენდა სამი ფრინველისაგან შემდგარ ჯგუფს. ამიტომ არავითარი საბუთი არა გვაქვს დავუკავშიროთ მას ის ცერემონიალური ჯგუფი, რომელიც, ჩვენი ვარაუდით, უნდა მდგარიყო იბერიაში ფართო დათვალვებების მიზნით.

ყველაფერი გვაძლევს ვადაართ ჩვენი ჯგუფი არა უბრალო მობაქვად, არა შექანიტურ გამეორებად იმპორტული ნიმუშისა. ფარშავანების რომელ გამოსახულებასა და იბერიულ ტამბზე ჯგუფს შორის პირინაბული უფსყრუ-

ლი არსებობს. ფარშავანის მხატვრული სახე ამიერკავკასიაში უკიდურესად რთული იყო თავის ვარიანტებში. საყაროს დანაწევრება კომპოზიციური დაპირისპირებებად აძლიერებს ამ სტატიაში წამოყენებულ კომოთეზას, რომ ეს ცერემონიალური და არა უბრალო, სკულპტურული ჯგუფი შესრულებულია სწორედ იმერიანში და დადგმულია ერთ-ერთ იმერიულ მოედანზე. ვაიხსენოთ, რომ მოზაიკური მოკირწყლეა არა უგვიანეს მე-4 საუკუნისა, უკანასკნელ წლებში რომ აღმოჩენილია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიჭვინთის ექსპედიციის მიერ, აგრეთვე მიგვაიხსენებს ბიჭვინთის მოზაიკის ისტატიკა მხატვრული სკოლის (ბიჭვინთა 1), ადგილობრივ საფუძველზე, და რომ ამ სკოლას ადრინდელი კავშირი ჰქონდა ბალესტიანასთან და არა პირდაპირი დამოკიდებულება ხმელთაშუაზღვის არსთან.

ქართულ აივანზე ფარშავანების ცერემონიალური ჯგუფის დადგმა განზორციელებულია არა უგვიანეს ჩვ. წ. 2 და 3 საუკუნეების შიჯნისა, დათარიღებას ასაბუთებს იმ სამარ-

ხის თარიღი, სადაც აღმოჩენილი იყო თვითონ ტაშტი კედლებზე გრაფიკული გამოსახულებით. ქართული ხელოვნება ვერ გაჩქარდებოდა, და არც გაჩერებულა, უმოდარად იმ დროდან, არ გაქავებულა ჩვენი ერის პირველი საუკუნეების მზა ფორმულებში.

თბილისის მოედანზე, მისი გაწვენების პირვანდელ პერიოდში, არ შეიძლება განზორციელებულიყო წინანდელი სახით ზემოთ აღწერილის მსგავსი რომელიმე წინანდელი სკულპტურული ნაწარმოები. ქართლში ქრისტიანობის მიღების შემდეგ, ქანდაკება, რომელიც ქალაქის ცენტრში იდგა, სხვა შინაარსისა იქნებოდა. ირანი გავლენას ახდენდა ხელოვნებაზე, ჯერ-ჯერობით არ ვიცით ფაქტიურად, თუ რას გამოხატავდა ქანდაკება, რომელსაც ვერაულოთობთ თბილისის მოედანზე დადგმულს. მაგრამ ქვეყნის მხატვრულ კულტურას ჰქონდა, როგორც ვნახეთ, დიდი ხნის გამოცდილება, რათა გაემდიდრებინა განვითარებაში შყოფი ქალაქის გარეგნული სახე, იმ ლამაზი ქალაქისა, რომლის ათასხუთასი წლის იუბილეს ვიხდით ახლა.

სარგის კაკაბაძე



თბილისი მე-5 საუკუნის მეორე ნახევარი

თბილისის უძველესი ისტორიიდან. თბილისის, როგორც დასახლებული პუნქტის, ისტორიის უძველესი პერიოდი ივარგება ათასეული წლების წყვლიაში. გადმოცემა, რომ ერთმა მეფემ (უკუთ, მეთაურმა) თბილისის ტერიტორიაზე ნადირობის დროს მოკლა ხოხობი, რომელიც გოგირდიან ცხელ წყალში ჩაუარდნილიყო და მოხარულიყო, რამაც მიიქცია სხუნეული მეთაურის ყურადღება და აქ დასახლდა, თუ რამდენადმე მაინც მომზად ფაქტს ასახავს, უნდა მივითვინოთ უფრო ახალი ჭეის (ნეოლითის) ხანის მართლაც, ენეოლითის (ქვის და სპილენძის შერეულ) ხანაში და, განსაკუთრებით, ბრინჯაოს ხანაში თბილისის მიდამოებში უკვე დადასტურებულა ადამიანის ცხოვრების კვალი. ევსეს ვარშეა ამით, რომ, ყოველმეზობევაში, უკვე III ათასეულიდან ჩვენ ერამდის (როდესაც ხდება ენეოლითიდან ბრინჯაოს ხანაში გადასვლა) ადამიანის ჯგუფები უკვე ცხოვრობდნენ თბილისის მიდამოში და, მასშალადმე, თვითონ თბილისშიც. სხენებული გადმოცემა მონადირე-მეთაურის შესახებ სწორედ ასახავს ერთს ვარგებებას, რომ თბილისს, როგორც დასახლებული პუნქტის, წარმოშობა, მჭიდროდ დაკავშირებულია გოგირდიან ცხელ წყლებთან, რო-

მელთა სამკურნალო თვისებებს აღამაინ ადვილად შეიცნობდა უძველეს ხანაშივე. სახელი „თბილისი“ ამ წყაროებიდან არის წარმომდგარი.

მეორე გარემოება, რომელიც ხელს უწყობდა (ყოველმეზობევაში, შემდეგში) თბილისის წამოწყევას, იყო ის, რომ სწორედ თბილისში შედარებით მრავალწელიანი და ამიტომ ფონით არა ყოველთვის ვასასვლელი მტკვარი უძედად ხედება კლდოვან ვიწრო ვაკეში. ამ მიზეზით მაშინდელ პირობებში ამ ადგილას შედარებით მოსახერხებელი იყო მედშივი ხილდის გამართვა. ხილდს ესაჭიროებოდა დაცვა და ამიტომ უძველეს ხანაშიც ამ ხილდთან უნდა ყოფილიყო რაღაც სიმარტე. ამ სიმარტის და ხილდის მეპატრონე ვეარი და მისი ხელქვეითი თემი და შემდეგ ტომი უკვე უპირატესობრივ მდგომარეობაში ჰყვებოდა შედარებით სხვა აბლომასლო თემებთან და ტომებთან. ამგვარად თბილისის გეოგრაფიული მდებარეობა თავიდანვე ხელს უწყობდა ამ პუნქტის წინ წაწეევას. ქართული ხალხის მეგრულ მერტყველბაკლოზე თბილისს ეწოდება ქართი, ხოლო ჩვენეივე ხალხის მეორე, ქართლურ მერტყველბაკლოზე — მარტივად ქალაქი. ორივე ეს სახელი ერთმანეთის სინონიმი. სიტყვა ქალაქი ცნო-

ბილი იყო სპარსელში და აქიდან არის შემოსული სომხურში და ქართულშიც, როგორც ჩანს, აქემენიანთა ხანაში (6 ს-ნიდან ჩვ. ერამდის). რა სიტყვას ზნაობდნენ მანამდის ამის ნაცვლად ქართველი ხალხის ქართლურ მტრეველებში, ზუსტად არ ჩანს, მაგრამ თითქმის ეს უნდა იყოს მეგრულ კოლოში ეხლად კი თბილისისათვის ხმარებული სახელი ქართი. ქართა დას. საქართველოში ნიშნავს შემოზღუდულ ადგილს (ამჟამად სპეციალურად პირუტყვისათვის). მართლაც, საერთოქართული ქართი უკავშირდება ირანულ კვტრას (ეს სიტყვა იყო სომხურშიც და ცნობილი იყო სამხელო საუკუნეების ქართულშიც ამ ფორმით, როგორც სპარსულიდან ნასესხები), სლავურ და რუსულ სიტყვას ვრად, ვოროდ, იგოროდით.

შუა საუკუნეების ზოგიერთ საისტორიო წყაროში თბილისი მოხსენებულია ფიტიკარანის სახელწოდებითაც. ეს სახელი სპარსულია და ნიშნავს კარანის ტახტს (რეზიდენციას). სპარსეთში კარანი ერქვა მხარის გამგეს; ეს ტერმინი დადასტურებული აქვს, მაგ., ქსენოფონტეს. ძველი და ახალი აღთქმის ტექსტების ქართულ თარგმანში კარანი ნიშნავს მსენა და მმართველს, ე. ი. ისეთ პირს, რომელსაც უფრო სამეურნეო-საფინანსო საკითხები ეხებოდა.

ფიტიკარანს, ბუნებრივია, ეწებოდა საცმოდ მნიშვნელოვანი სიმაგრეც და შეუძლებელია, ამ მიზნით არ ყოფილიყო გამოყენებული თბილისის მადლობები და გორები. მართლაც, თბილისი ზედა ციხეს და მის არეს ძველიდანვე მწოდებოდა ჯღლა. ეს ძველი სპარსული სიტყვაა, შემდეგ შესული არაბულშიც და ნიშნავდა ციხეს. მაშასადამე, თბილისს ციხე ჭონია კარანების დროსაც, მაგრამ პირველი ცნობა თბილისში ქვეითობის ციხე-სიმაგრის აგების შესახებ დაკავშირებულია ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობასთან. შსოფლიო ისტორიულ მეცნიერებაში მიღებული აზრით, რომელიც დამყარებულია ბერძნული არათანადროული ავტორების ცნობებზე (თანადროული ცნობები დაკარგულია), ალექსანდრე მაკედონელი სრულიად არ ყოფილა საქართველოში. მაგრამ მთელი რიგი უტყუარი ცნობები, როგორც დავიანახავთ, მეტყველებენ ამის წინააღმდეგ, რომ ალექსანდრე მაკედონელი ყოფილა ა/კავკასიაში, ამას ადასტურებს არა მარტო უძველესი ქართული წყარო (მოქცევაი ქართლისაის ქრონიკა), არამედ ცნობები ამის შესახებ ყოფილი ძველს შუა-სპარსულ (ფაჰლურ) მწერლობაში და იხსენიებს ამას, უფრო ძველს წყაროზე დაყრდნობით, რომელიც კვირტ კურცი რუფი.

მას შემდეგ, რაც ალექსანდრე მაკედონელმა დიდ ომში ისსსთან დამარცხა სპარსეთის მე-

ფე დარიელი (ქართული გამოთქმით) ანდა დარიუს კოლომანი 333 წ. ჩვ. წინამდის) მან დიპლომა სირია და შემდეგ ეგვიპტეც, სპარსეთი დიდ ომში გაეგამელასთან კვლავ შეეცადა მაკედონელთა შეტევის შეჩერებას (331 წ.), მაგრამ ამაოდ. სპარსელები კვლავ დამარცხდნენ, რას შემდეგ ახალი ბრძოლების გადახდით ალექსანდრე მაკედონელმა დაეკავა მედია და ბაბილონი. მალე სპარსეთის მეფე დარიელ (დარიუს) კოლომანი მოკლულ იქნა.

ჯერ კიდევ ბაბილონიდან ძველი არაბული წყაროების მიხედვით (რომენიცი, თავის მხრივ, ძველ ფაჰლურ წყაროებს ეყარება), ალექსანდრე მაკედონელი მიგმართება თბილისისაკენ. ეს არაბული წყაროებია: მე-10 ს-ნის (914 წ.) სპარსელი ავტორი (ისტორიკოსი) ტაბარი (ისწერდა არაბულად), უსახელო ნახიჟულ-ტავაზის (ისტორიების კრებული) და კიდევ ერთი წყარო. თბილისში ალექსანდრემ დაყო ორი კვირა, აქ მან განკარგულა ვასცა (ცხელი, ვარნიზონის დაყენებით) თბილისში ციხის აშენების შესახებ. ცნობა ამის შესახებ აქვს აგრეთვე გომარნილ პოეტს ნიხამი განჯელს (მე-12 ს.).

ამგვარად ცხადია, რომ ალექსანდრე მაკედონელის დროს თბილისის ციხე კვლავ აუშენებიათ.

თბილისიდან ალექსანდრე, იგივე ისკანდერი (ამ სახელით იცნობდნენ მას წინა აზიაში, სპარსეთის აქემენიანთა ყოფილი მონარქის ქვეყნებში) გაემართა ბარდასკენ და შემდეგ სპარსეთისაკენ (დეტალებზე აქ არ ვწერებები).

რომელიც მწერალი კვირტ კურცი რუფი (1 ს.) გადმოგვცემს, რომ ალექსანდრე მაკედონელმა დაყო კავკასიაში 17 დღე (ფაჰლურ წყაროებში ორი კვირა ყოფილა ნახევენები), სადაც დასახლების ნება მისცა 7 ათას კავკასიელს და, აგრეთვე, თავისავე ამ ჯარისკაცებს, რომელთა სამსახური მისთვის არ იყო საჭირო; მის მიერ აგებულ ციხეს ალექსანდრეს სახელი დაერქვაო.

ახლაც თბილისის მეციდრი მამაშაღიანების (თურქ-სპარსული) ჩამომავალნი თბილისის ზედა-ციხეს ისკანდერის სახელს ეძახიან.

კვირტ კურცი რუფის ცნობაში, რასაც ვიყრებთ, თუმცა ქალაქის სახელს ავტორი არ გადმოგვცემს, ამ ქალაქში, მისი ცნობის მიხედვით, დასახლებულნი 7 ათასი კავკასიელი, საფიქრებელია, ქართველები არიან. მაგრამ ამ ცნობაში უნდა იგულისხმებოდეს არა მარტო თბილისის, არამედ მთელი მისი მხარის მოსახლეობა, რადგან ამდენი სელის მოთავსება მარტო ერთ პუნქტში საუკეთესოა.

მოქც. ქართლისაის შესავალი ნაწილი, ეგრეთწოდებული ექსცერპტი (რომელიც უძველეს ქართულ ქრონიკას წარმოადგენს და III — II.

ს-ნის მიჯნაზე ძვ. წ. დაწერილი ნაწარმოებიდან მოკლე ფაქტობრივ ნუსხას მოიკვას), გადმოგვეცხს, რომ აღეკანაძრე მაკედონელმა ქართველს სახელმწიფოს მმართველად დასვა აზო, ძე არიან ქართლისა მეფისაო. ეს აზო მოვიდა დაჯდა მეფედ „ძველ მცხეთას“.

ზემოთქმულის შემდეგ ცხადია, რომ აზოს რეზიდენცია უნდა ყოფილიყო თბილისში, სადაც ყოფილა ძველ-მცხეთა, გასარჩევად ახალი მცხეთისაგან. მცხეთა ნიშნავს მსხემლა ანუ ძველქართულად — დროებით მცხოვრებთა ადგილს. ეს დროებით მცხოვრებნი უნდა ყოფილიყვნენ ვაჰარ-ხელოსანნი. თბილისში, მაშასადამე, ყოფილა (საფორტებელია ზედა-ციხის ქვემოთ მტკვრის ნაპირს) ასეთ მსხემლა საცხოვრებელი პატარა უბანი.

აზოს შემდეგ ფარნავაზის დროიდან მეფეების რეზიდენცია გადატანილ იქნა არმაზში და შემდეგ მცხეთაში (ახალ მცხეთაში, როგორც იტყობა ექსკურპტის აქტორი).

აზის შემდეგ თბილისი კვლავ იხსენიება 369 წლის ამბებთან დაკავშირებით, როდესაც სპარსეთის მიერ მიღებული ზომებით აღმ. ქართული ქვეყნები მოყვა სასანიანთა მონარქიის ზეღუპვით, ხოლო დასავლეთი და სამხრეთი ქართული ქვეყნები კვლავინდებურად რაშის იმპერიის პოლიტიკური გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ. ამდროინდელი ქართველი მეფის ვარაზ-ბაქურის დროს ქართლში მოვიდა ჯარით სპარსელების მხედარმთავარი, რომლის მიერ აწეწებულ იქნა თბილისის ზედა-ციხე. ცხადია, აღწეწანდრე მაკედონელის დროინდელი ციხე ამ დროს უკვე მნიშვნელოვნად დაზიანებული ყოფილა და საჭირო ხდებოდა მისი მეტი ნაწილის კვლავ გაშენება ანდა რეკონსტრუირება. როგორც ჩანს, ეს სამუშაოები ჩატარებულ იქნა დაბალი ღირსებით, რადგანაც ვახტანგ გორგასალის დროს საჭირო შეიქნა ამ ციხის კვლავ რადიკალურად აღდგენა.

მთელი ამ ხნის განმავლობაში თბილისი შეადგენდა ციხის შქონე სოფელს, მაგრამ ზღუდიანი ჭალაჲი ის არ იყო.

თარიღების საკითხი. დიდი მნიშვნელობა აქვს თარიღის დაზუსტებას, თუ როდეს მოხდა თბილისის გამოცხადება ახალ დედაქალაქად. მაგრამ ამისათვის საჭიროა ჯერ გარკვეული იქნეს, საერთოდ, ვახტანგ გორგასალის მმართველობისა და ცხოვრების დროის თარიღები.

უნდა ითქვას, რომ ვახტანგ გორგასალის გარდაცვალების თარიღის შესახებ ზევნ მოგვეპოვება მხოლოდ ერთი ქრონიკული ცნობა, დაცული ვერცხე წოდებულ აფხაზთა მეფეთა ქრონიკაში (თ. გორდანი, ქრონიკები, I, 50):

ქრონიკონსა 155, დასაბამითგან 6539 ვახტანგ გორგასალი მიიკვალა. ამისდაგვიან ცნობა ქონდა ზელთ, როგორც ჩანს, ვახუშტის, რო-

მელიც ვახტანგ გორგასალის გარდაცვალების თარიღად 499 წელს მიიჩნევდა. ეს თარიღი გამოდიოდა შემდეგი ანგარიშით. (დსსსსსსსსსსსს 6539 წელი ჩვეულებრივი ბერძნული კალენდრის სელსაც) ანგარიშით (ქრისტეშდის, 5508 წლის გამოკლებით) იძლეოდა 1031 წელს. მაგრამ ამას უნდა გამოკლებოდა ქართველებში მიღებული ერთი ციკლის 532 წელი, რის შემდეგ რჩებოდა 499 წელი.

ვახუშტის თარიღი აშკარად გაუგებრობაზე აღმოცენებული. 522 წელს ან ამის ახლოს სპარსელებმა ვაჰუქმეს ქართლში შევიბა. ხოლო ვახტანგ გორგასალის შემდეგ, ვიდრე ამ წლამდის ქართლს (საქართველოს) განაგებდნენ მეფეები დანი, ძე მისი ბაქური, შემდეგ ფარსმანი, კიდევ სხვა ფარსმანი და უკანასკნელი მეფე ბაქური (იგივე გურგენი). 23 წელიწადი ხუთი მართველისათვის მეტად მცირე დროა, მით უმეტეს, რომ ზოგ შემთხვევაში მეფობა მაშინდელ ვილზე გადდიოდა (დაჩის ძე ბაქური).

ვახტანგის დროს სპარსეთს განაგებდა მეფე პეროზი (ფირუზი), რომელიც (სინქრონიკული ცნობების შედარების მიხედვით) გამეფდა სპარსეთში 457 წლის ბოლოს და მოკლულ იქნა შუა აზიაში ჰუნებთან ომში 484 წლის 24 მაისს, პეროზმა 483 წ. გამოგზავნა საქართველოს თავისი ჯარი, რომელმაც დაამარცხა ქართველები და ვახტანგი აიძულა შიდა-ქართლიდან გაქცეულიყო ეგრისში (დას. საქართველოში). პეროზის დაღუპვის შემდეგ ახალი მეფის ელარშის დროს სპარსეთის პოლიტიკა რადიკალურად შეიცვალა: ქრისტეანობის დევნა შეწყდა, სპარსელების ჯარი გაიწვიეს ქართლიდან და ვახტანგს უკან დაბრუნდა შიდა-ქართლში. მალე ამის შემდეგ ვახტანგი სისიკედილოდ დაპირლ იქნა ბრძოლის დროს და როგორც ფარსადან გორგოჯანისძის მიერ (XVII ს.) გადმოღებული სპარსული მხარბიდან ჩანს, ეს ბრძოლა ვახტანგს მოუხდა მოთარეშე თურქ-ხაზართა რაზმთან. ამასთანავე, ჯუანშერის თხრობის ერთი შეუსწორებელი ტექსტიდან ჩანს, რომ ქართველები ამ ბრძოლის დროს შეადგენდნენ 248 კაცს, ხოლო თურქ-ხაზარები — 748 კაცს. ჯუანშერის მოთხრობლი აქვს, თითქოს ვახტანგს ბრძოლა

1 ვახუშტის ამ თარიღს იმეორებდნენ მარი ბროსე, პლ. იოსელიანი და დიმ. ბაქრაძე. შ. ჯუანშელი ვახტანგ გორგასალის სიკედილს ათარიღებდა (საქ. ისტორია, I, 1906 წ., 225) 532 წლით, ივ. ჯავახიშვილი 502 წლით (ქართველი ერის ისტორია, I, 1928 წლ. გამ., 267, 1951 წლ. გამ., 290). ვახტანგის სიკედილს მე მოვაკუთვნებდი წინადაც (შემოკლებული ისტორია საქართველოსი, ძველი ისტორია, 1920 წ., 22) 500 წლის ახლო დროს, ხოლო შემდეგ (საიხ. კრებული, II, 1929 წ. 18) 485 — 488 წლის ახლოს. სხვა თარიღები წარმოადგენილი არ ყოფილა.

ქონდა თვით სპარსეთის მეფესთან, მაგრამ იქ აშკარა ვაუგებრობაა, რადგანაც ჯუანშერის ცნობაში იგულისხმება სულ სხვა ომი და ისიც არა სპარსეთის მეფესთან, არამედ ამ მეფის ერთ-ერთ პიტაბშთან ან დიდ მარზანთან, რომელნიც მოზრდილი ოლქების მმართველნი იყვნენ და მეფეებადაც იხსენიებოდნენ (თვით სპარსეთის მეფე კი იყო მეფეთ-მეფე).

როგორც ვნახეთ, ვახტანგის გარდაცვალების თარიღად ევრეთ წოდებულ აფხაზთა მეფეთა ქრონიკაში ნახვებია 155 წელი. ამ დროს ქართველებში წელთსათვალავად მიღებული იყო ქართლის მოქცევა.

ქართლის მოქცევის ანუ ქრისტიანობაში ჩვენში ოფიციალურად დამკვიდრების წელწად მიღებული იყო სხვადასხვა თარიღი, დაწვრილებული 276 და 317 წლიდან, ვიდრე 355 წელმდის. 1928 წ. (საისტორიო კრებული 11) მე ასეთ თარიღად ვუჩვენებდი 311 წელს. ამჟამად, სხვა სინქრონიკულ მასალათა გამოყენებით, შეიძლება საკმაოდ ზუსტად ქართლში ქრისტიანობის ოფიციალურად დამყარების თარიღად აღებულ იქნას 306 წლის 20 — 21 ივლისი.

მოქც. ქართლისაჲს ქრონიკა ანგარიშობს, რომ ქართლის მოქცევიდან ნინო გარდაიცვალა მერჯე წელს. ეს ქრონიკა შემდეგში შესწორებულ იქნა და თარიღში დაშვებულ იქნა შეცდომა (მტკიცდება ამის მიზეზი). ამ ქრონიკაში შეცდომით შესწორებული ქრონიკოგია ნინოს სიკვდილს მიაკუთვნებდა 338 წელს (იგულისხმება 14 იანვარი), რის გამო ქართლის მოქცევა იქ მოდის (306 წლის ნაცვლად) 330 წლისათვის. განსხვავება არის 24 წელი. ვახტანგის გარდაცვალების თარიღი ამ გადაანგარიშებამდის ნახვებში იქნებოდა ქართლის მოქცევიდან (155 + 24 =) 179 წელს, რაც უდრის (რადგანაც წელიწადი იულის კალენდარით 1 მარტიდან იანვარიშებოდა) 484 წ. 1 მარტიდან 485 წ. 28 თებერვლამდის.

ვახტანგის გარდაცვალების თარიღის შესახებ არის მეორე ცნობაც. ჯუანშერის სიტყვით, მირიანდანი ვახტანგამდის 157 წელმა გაიწლო, ხოლო მირიანი გარდაიცვალა (მოქც. ქართლისაჲს ჰელინისეული ვარიანტით) 21-ე წელს (იგულისხმება ქართლის მოქცევიდან), ე. ა. 326 წლის 1 მარტიდან 327 წლის 28 თებერვლამდის,

1 ვახუშტის თარიღი იყო 317 წ., დიდუბა დე-მონპერესი — 276 წ., მ. ბროსესი — 328 წ., პლ. იოსელიანისა — 318 წ.; დიმ. ბაქრაძე ვახუშტის თარიღს იმეორებდა, თ. ყორღანიას ახეთ თარიღად 323 წელს თვლიდა, მ. ჯანაშვილი — აგრეთვე 323 წ., ა. ჯავახიშვილი — 337 წ., კ. კეკელიძე — 355 — 356 წელს.

უნდა ვიგულისხმეთ 327 წლის იანვარ-თებერვლი. ამის შემდეგ 157 წელი უწევს 484 წელს. მაშასადამე, ვახტანგი მართლაც გარდაიცვალა 484 წელს, შემოდგომიხე.

როდესაც 483 წელს სპარსეთმა ქართველებს ომი აუტეხა, ვახტანგი 60 წელს იყო მიწვენილი. ამიტომ ვახტანგის დაბადების წელიწადად ვახტანგის 423 წელი. ვახტანგი შეიღი წლისა იყო, როდესაც მისი მამა (მეფე მირდატი) გარდაიცვალა (ეს მომხდარა 430 წელს). ამის შემდეგ ქართლს ვანავებდა ვახტანგის დედა საგდუბტი, რომელიც იყო ა/კავასიის აღმ. ნაწილის მარზანის ბარზაბოდ პიტაბშის ასული. ფაქტურად ქართლი ამის შემდეგ სხენებული მარზანის გამგებლობის ქვეშ იყო. 432 წლის ახლის მოხდა დიდი მნიშვნელობის ფაქტი: სპარსეთმა გააუქმა სომხეთის სამეფო და ის დაუმორჩილა სხენებულ პიტაბშს ბარზაბოდს (მირ-შაჰუს).

ზოგი რამ ქართლის ეთარებმიან 430 — 450-იან წლებში. ამ ხანში შიღა-ქართლს დიდად აწყუბუნდა ოსების თარეშული თაღდასმები. ჩრდილო კავასიიდან ოსების ერთი სათარეშო რაზმი თავს დაესხა კასპს და ააოხრა ის, რაზმმა თან გაიტაცა ვახტანგის მკირეწლოვანი და ვახტანგი ამ დროს 15 წლისა იყო. მის გარშემო შეიკრიბნენ ქართველები. სპარსელების ხელი-სულუბამაც მას აღმოუჩინა დახმარება, რადგანაც სპარსეთის მთავრობა ცდილობდა, არ ედმოემეა ჩრდილო-კავასიიდან სხვადასხვა სათარეშო რაზმები. ამის შემდეგ ვახტანგი გაემართა ჩრდ. კავასიისაკენ დღეს გამოსახსნელად. დარიალის იქით მდ. თერჯზე მას შეეჯახა ოსთა ერთ-ერთი მთავარი ზაყათარი თაღის ჯარით. როდესაც ზაყათარი შეაწყალობა იყო, ვახტანგმა მას ესროლა ისარი და მოკლა. მეთაურის სიკვდილმა დემორალიზაცია მოახდინა ოსებში და ისინი დამარცხდნენ. ვახტანგის და განათავისუფლებულ იქნა (438 წ.).

ამ ამბავის შემდეგ ვახტანგი გაიწვიეს სპარსეთში, სადაც მან დაჰყო თითქმის ოც წელი. უნდა ითქვას, რომ ჯუანშერი, რომელსაც ვახტანგ მეფის ხანის შესახებ კარგი, მაგრამ მოკლე (ჩვენამდის არამოწეწნილი) წყარო ჰქონია ხელთ, მეტად თვითნებურად ეპყრობა ფაქტებს და მათ აღაგებს თავისი ხელოვნური კონცეფციის მიხედვით. ვახტანგის შესახებ არსებობს ჯუანშერზე აღრინდელი წყარო ევრეთოდებული უწეებულუბა ქართლის მეფეთა შესახებ. ამ უწეებულუბაში სწერია — ვახტანგი ყრმობიძულებით წაიფანეს სპარსეთშიო. ყრმად კი, საბა ორბელიანის ლექსიკონით, ვაჟი იწოდებოდა 15 — 20 წლის ასაკში.

სპარსეთის მეფედ 438—456 წწ. იყო იებდ-გერდ II. მის დროს ცეცხლთაყვანისმცემლობამ ირანში აშკარა ომი გამოუცხადა ქრისტიანობას. ქრისტიანები, კერძოდ, სომხეთში და ქართლ-

მი მრავალი წლის მანძილზე დიდი თავგამოდებით იცავდნენ თავის რწმენას, ასე რომ სპარსეთის მთავრობა ბოლოს იძულებული გახდა ხელი ეღო ქრისტიანობის დევნაზე და სომეხებსა და ქართველების მიმართაც აეღო შემარბივებული ხაზი. სპარსეთში წყაყენილი და იქ სამსახურში მყოფნი სომეხები და ქართველი წარჩინებულნი დააბრუნეს თავიანთ ქვეყანაში. ბოლოს როგორც სპარსეთის ვასალურ მმართველად, მაგრამ მაინც მეფედ დაბრუნდა ვახტანგის (მანამდის ქართლს სპარსელების მარზპანი ვაჟგაბდა). ველია ნელაბის წყაროს ცნობით, ამ რეზიდენტის დროს სპარსელებს გაუშენებიათ მცირე ციხე შემდეგდროინდელ სანაში მტკვრის მარცხენა ნაპირას. აქედან სწამს, რომ თბილისი 450-იან წლებში უკვე მნიშვნელოვან პუნქტად ითვლებოდა მთი უმეტეს, რომ სხენებელი მარზპანის რეზიდენცია, საფიქრებელია, იყო არა მცხეთაში, სადაც სამეფო სახლის წევრნი ცხოვრობდნენ, არამედ თბილისში. ამით 450-იან წლებში უკვე მომზადებული იყო ნიადაგი თბილისის გადაქცევისათვის დედაქალაქად.

ვახტანგის უკან დაბრუნება ქართლში მოხდა 455 წლის ბოლოში ან 456 წლის დასაწყისში. ეს დაბრუნება არ მომხდარა ვახტანგის მხრივ მთლად უკომპრომისოდ. ამიტომ მცხეთაში დაბრუნებული იყო ხმები, რომ ვახტანგი ცეცხლთაყვანისმცემლობაში გადასულაო. ეს არ იყო მართალი. მაგრამ, როდესაც ვახტანგი მცხეთაში შემოსვლისას, მაშინდელი ჩვეულის თანახმად, გამოცხადდა სამთავროს მონასტერში (სვეტიცხოველის ზის ეკლესია უკვე კარგა ხანია თვისთავად დაიწვრა) და აქ მან ლოცვა-კურთხევის მისაღებად დაიწყო უფრო მომადლოდ ამბიონზე შემოსილად მღვდლმარტ ქართლის მთავარეპისკოპოსის მიქელის წინაშე (რომელიც ვაჭვავიძისას მისი აღმზრდელი იყო), სხენებული ხმებით გაბრაზებულმა ამ მიქელმა ვახტანგს პირში ფეხის ქუსლი ჩაყრა იმდენად მაგრაღ, რომ მას კბილიც ჩაუჭტურია. უწყებულება გადმოგვეცემს, რომ ვახტანგი ამის საპასუხოდ პირველ ხანებში იმუქრებოდა — სრულად აღმოეფხვრა ქრისტიანობის ქართლშიო. მაგრამ ეს უკვე შეუძლებელი საქმე იყო. მთელი ქართლის კულტურული საქმიანობა (მწერლობა და მწიგნობრობა, ხელოვნება და ხელოვნობა) დაყვებული იყო ქრისტიანული ეკლესიის სამსახურში. ცეცხლთაყვანისმცემლობა, თავისი ჩამორჩენილობის გამო, ვერ შეუწყობდა ხელს და პირიქით, დასცემდა ქართული კულტურის განვითარებას. ამიტომ ვახტანგმა, როგორც მთლად იმუქრებმა და დიდად ჭკვიანმა სახელმწიფო მოღვაწემ, მალე კვლავ იბრუნა პირი ქრისტიანობაში (თავისი მუქარა მას არ განუხორციელებია).

ეკლესიის მეთაურთან ისეთი მწვავე კონფლიქტი, როგორიც მოუვიდა ვახტანგს, მაშინდელ

პირატებში დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო. ვახტანგს ამ კონფლიქტის შედეგად ვაჭვევი-სათვის უნდა დაეცადა, რადგანაც მიქელ მთავარეპისკოპოსის საკითხი კონსტანტინოპოლის პატრიარქს უნდა გადაეწვეოდა. ამიტომ ბუნებრივია, რომ ვახტანგს არც შეეძლო მცხეთაში საცხოვრებლად დარჩენა და მთელი თავისი კართი (ე. ი. მართველი აპარატი, მცველი რაზმით და სხ.) ის სხვა ადგილას გადავიდოდა. ასეთ ადგილად, ზემოთ თბილისის შესახებ თქმულის შემდეგ, თბილისი უნდა ყოფილიყო, და ასეც მოხდა.

მიქელ მთავარეპისკოპოსი კონსტანტინეპოლის პატრიარქმა გაიწვია თავისთან და შემდეგ ის მოათავსეს ერთ ბერძნულ მონასტერში. ქართლში კი მოხდა ეკლესიის რეორგანიზაცია.

თბილისის გაოცხადება დედაქალაქად.
ჩვენამდის (ეგრეთ წოდებულ წერილთა წიგნში) მოღწეულია ერთ ქართულ საეკლესიო კრებაზე დამსწრე 23 ეპისკოპოსის სია. ამ კრებას არ დასწრებთან ვერცხის და სამხრეთ-ქართლის და ჰანეთ-ტრაპიზონის მხარის ქართველი ეპისკოპოსები, რადგანაც ისინი ქართლის ეკლესიას არ ემორჩილებოდნენ და ექვემდებარებოდნენ სამხრეთ-ქართულ ცალკე ეკლესიას ანდა უშუალოდ კონსტანტინოპოლის პატრიარქს. სხენებული ქართული საეკლესიო კრება მოხდა სომეხთა კათალიკოსის ბაბუგენის და ქართლის ეკლესიის მეთაურის ეპისკოპოს (მთავარეპისკოპოს) გაბრიელის დროს. ბაბუგენის კათალიკოსობის დრო ადგილი დასადგენია უკვლავ უფრო სანდო ცნობის მიხედვით, ის კათალიკოსად სომეხეთში უნდა ყოფილიყო 458 — 465 წლებში. ამ დროს მოხდა სხენებული ქართული საეკლესიო კრება, რომელზედაც მონაწილეობას იღებდა, სხვათა შორის, მეფის კარის ეპისკოპოსი პეტრე და თბილისის ეპისკოპოსი საქალაქი ცხადია, მაშასადამე, რომ ამაზე ცოტა წინ თბილისი უკვე იმდენად შესამჩნევი პუნქტი ყოფილა, რომ იქ ცალკე ეპისკოპოსი დაუწინაშედა. თბილისის ეპისკოპოსების კათედრა შემდეგში ყოველთვის სიონის ტაძარში იყო. ამიტომ სიონის ტაძრის საფუძვლის ჩაყრა 457 — 460 წლების ახლო დროს უნდა მიეწეროს.

როგორც ჩანს, მიქელ მთავარეპისკოპოსის გადაყენების შემდეგ ვახტანგმა ადგილობრივი მღვდლმარებობისა და ქართულ წამყვანი წრეების სათვის ანგარიში გაიწვიოთ ხელი მოჰკიდა ქართული ეკლესიის ახლად დაარსებას, რაც საკმარის იყო ცეცხლთაყვანისმცემლური სპარსეთის წინააღმდეგ შინაგანი ფრონტის განსამტკიცებლად. ამ მიზნით გამარჯვებული იქნა სამღვდლოთა და გამარჯვებულ და გუმიკობებულ იქნა საეკლესიო საქმის ხელმძღვანელობა ადგილებზე ახალი საეპისკოპოსო კათედრების შექმნით. მაშინვე, როგორც ჩანს, დაიწყო მზადება ავტოკეფალიობის (თვით-თავობის), ე. ი. ეკლესიის

სერი ავტონომიის მოსაბოცებლად კათალიკოსობის დაფუძნებით. კათალიკოსობა შემოღებულ იქნა ქართლის მოქვეყნიდან 170 წელს, ე. ი. 475 წელს, საფიქრებელია, რომ ამ დროისათვის მცხეთის სევეტიცხოელის დიდი ტაძარი, რომლის მშენებლობა ვახტანგმა წამოიწყო, უკვე დამთავრებული იყო. საერთოდ, გადაწყვეტილი იყო, მცხეთა ვაგხადათ ვართულებული საეკლესიო ცხოვრების ცენტრად (ეს ჩანს ჯუანშერის თბრობიდან დაჩის მართელობის შესახებ), ხოლო საერთო ხელისუფლების ცენტრად გამოცხადებულ იქნა თბილისი.

ვახტანგის და მისი კარის თბილისში პირველი გაღმოსვლა უნდა მიეწეროს უშუალოდ მიქელ მთავარეპისკოპოსთან კონფლიქტს, მაგრამ ამას მოჰყვა შედეგად თბილისის საბოლოოდ ამორჩევა დედამამამ და იქ დიდი მშენებლობის დაწყება. ეს უნდა მომხდარიყო შემდეგ 456 წლისა და უადრეს 463 წლისა (როდესაც თბილისში უკვე ეპისკოპოსია სავარაუდებელი) ანუ უფრო მიახლოებით 456—462 წლების ახლოს. მაშინვე, როგორც ჩანს, შეუდგნენ ქალაქის მშენებლობას თბილისში.

არსებობს ცნობა (მართალია, უფრო გვიანდელი), თუ რას ნიშნავდა ქალაქის დაარსება. ეს ცნობა გაღმოსვლემს მე-11 ს-ნის შუაში ატენილი ქალაქის გაშენებას: წარწერა ამის შესახებ, ახლანდელი მართლწერითი იყოთხება ასე: „ძლიერბან მეფეთა მეფემან ბაგრატ უბრძანაჲს მიწასა მათსა მირიანს, პატრონსა ჩემსა (წერს ამის შესახებ ატენის ტაძრის წარწერაში ამ მირიანის ყმა ატენის ციხისთავი თარხონისძე) სეფესა ზურას (სამეფო ზურას) შინა ქალაქისა შენება. გაუმარჯვა ღმერთმან და ბედმან მეფეთმეფობისა მათისამან. ვითა სწადად მეფობასა მათსა, ვერე ავაშენეთ დარბაზი და ქალაქი. შევეწყვილა მეფობამან მათმან, სასახლენი აღვიღნი და საქუღბაგენი მევიდრად ნებიერობით გვიბოძა მირიანსა და ყმათა მისთა, რომელთაჲცა შენებაი შექმლო“. მანასადავით, ქალაქის მშენებლობისთვის საჭირო იყო ადგილი „სასახლეს (სახლების ასაშენებელი) და საქუღბაგენი“. ქალაქში შენობები იყო — დარბაზი, ქუღბაგენი და საციოვრებელი სახლები. ამიტომ თბილისშიც თავიდანვე უნდა ვაშენებულყო დარბაზი მეფისათვის, ქუღბაგენი ვაჭარ-ხელისათვის და საციოვრებელი სახლებიც. ამას გულისხმობს უწყებულების ცნობა, რომელიც ვახტანგ ვორგასალის თბილისში მშენებლობის შესახებ დასყენითი სახით გაღმოსვლემს, რომ ვახტანგმა „აღაშენა ტფილისი და მცხეთა მუნ მიეტანა“. ამით მეფის და მისი კარის რეზიდენციად, მცხეთის მივივრად, გადაიტყა თბილისი, მაგრამ თბილისის ციხის რეკონსტრუქცია და ქალაქის ზღუდის (გალაყის) მშენებლობა ვახტანგის მეფობის ბოლოში დაიწყო და უწყებულების ცნობა თითქოს ამას არ გულისხმობს.

მართალია, ჯუანშერი თბილისის ქალაქის აშენების დაწყებას მიაწერს ვახტანგის მეფობის ბოლო წლებს, ხოლო მის დამთავრებან (კერძოდ ზღუდის შემოღებას) ვახტანგის მეფობის დაჩის მმართველობისას. მაგრამ ცხადია, რომ ჯუანშერმა გამოიყენა მის დროს თბილისის ზედა-ციხეზე არსებული წარწერა (ამაზე იხ. ქვემოთ), რომელიც მხოლოდ ციხის რეკონსტრუქციას და ქალაქის გალაყის დამთავრებას ვულისხმობდა და ეს ცნობა შეუდგომით თვით ქალაქის დაფუძნების თარიღად მიიჩნია.

პლ. იოსელიანს, რომელიც ამ შემთხვევაში უპირველად პირველ რიგში ეკლესიურ წრეებში დაეცა ხალხური გაღმოსვლებით სარგებლობა, ჩამოთვალა აქვს ხუთი ეკლესია, რომელიც ვახტანგმა გააშენებია თბილისში (ეს ამბობს ამ ეკლესიათა გვგამების შედგენაზე, მაგრამ ცხადია, რომ გაღმოსვლაში ლაპარაკი იქნებოდა თვით ეკლესიების აშენების შესახებ; პლ. იოსელიანმა კი ეს ცნობა გადააყეთა ჯუანშერის ცნობის მიხედვით, თითქოს თვით ქალაქი თბილისიც არსებობდა გაშენებულყო დაჩი მეფის დროს). ეს ეკლესიები შემდეგია: სიონის დიონის-შობლის ეკლესია, მეტეხისა, როგორც კარის ეკლესია, ჯუჯარისა — სახელწოდებით გოლგოთის ეკლესია, ბეთლემისა, რომელიც შემდეგში (შემდგომ საუკუნეებში) გადავიდა სომხების ხელში და მას ფეოხაიის ეკლესია დაერქვა, და მესხეთე იყო მთავარანგელოზ-მიქელის სახელზე. ამ უკანასკნელი ეკლესიის ნანგრევებზე გვიან შემდეგ აშენებულ იქნა წმ. ვითარის კარის ეკლესია, მოღწეული ზეინამდის არც ერთი ეს ეკლესია არაა პირვანდელი სახით დარჩენილი. ზოგი გადაეთებულა რადიკალურად (მაგ., ჯუჯარის ანუ გოლგოთისა), სხვები კიდევ — ახლად აგებული, მაგრამ საყურადღებოა, რომ გაღმოსვლა ვახტანგ ვორგასალის ხანას მიაწერდა ამ ხუთთვე ეკლესიის აშენებას.

თბილისის სიონის გაშენებას ვახტანგ ვორგასალის დროს იდასტურებს დოკუმენტალური მასალი. მოქ. ქართლისაის ქრონიკა (VII ს.) გაღმოსვლემს, რომ გვარამ ერეკლესის დროს (627—629 წლების ახლოს) „ტფილისისა მევიდროთა დღესა ეკლესიასა დაიწყესა ნახევარსა იქმოდა ყოველი ერი და ნახევარსა ერესთაჲნი“. ლეონტი მროველს (ჩემი აზრით უს. I ნახ.) ეს ცნობა დახუცებული აქვს შემდგენიარად: „გვარამ ერეკლესისმან განახლა საფუძველი ტფილისისა სიონისა“. ცხადია, რომ თბილისის სიონის ქვეტყობის შენობა, როგორც ეს ზემო-

1 Пл. Иоселиани. Описание древностей города Тифлиса, Тифл., 1866 г., 11.

ქვემოთ პლ. იოსელიანის დამოწმება ყველგან გულისხმობს ან ამ წიგნს, ან მის შვირე წიგნს — Города, существовавшие и существующие в Грузии, Тб., 1850 г.

თავი იყო მოხსენებელი, მანამდისაც არსებობდა, მაგრამ გვარამის დროს მისი საფუძველი შეირყა, კედლის ნაწილმა დაიწია, რის გამო სა-
ჭირო გახდა საძირკვლის ნაწილის განახლება.
ეს ეტყობა სიონის ტაძრის გვემას, სადაც
შენობის კედლები არ არის სრული სიმეტრიით
წარმოდგენილი. სახელდობრ, ცხადად ჩანს, რომ
სამხრეთი კედლის ნაწილი, მისი კატასტროფი-
ულად დაზიანების გამო, დურგარევიან და ხე-
ლახლად აუშენებიათ (არაფერს იძლევა ამ სა-
კითხისთვის ახალს სუშუბატის ქრონიკა, რადგან
ის იმეორებს მოქც. ქართლისაის ცნობას).

„სიონი“ ებრაული სიტყვაა, ნიშნავს **მხივრს**,
ბრწყინვალეს. ასე ეწოდებოდა იერუსალიმის
ყველაზე სამხრეთ გორაკს, რომელზედაც გაშე-
ნებულ იყო სოლომონ მეფის სასახლე და რო-
დობზედაც შემდეგ ირად მეფემ გააშენა დიდ-
ებული ტაძარი (დანგრეულ იქნა რომაელების
მხერ). აქედან „სიონი“ ვრქვა საერთოდ ღვთის
იესოვას საკრებულოს და თვითონ იერუსალიმ-
საც (შვილის სიონისა ნიშნავდა იერუსალიმის
შეღობ). ხოლო ქრისტიანებისათვის სიონი ვრ-
ქვა სააქაო ეკლესია — შუკრებულებას. მცხეთის
სეკტიცხოველის საყდარს სიონის სახელი შერჩა
მისი რეკონსტრუქციამდის, ხოლო თბილისის
მთავარ ტაძარს თავიდანვე დაერქვა სიონი და
სხ. რადგანაც თავდაპირველად ტარებში შენდ-
ებოდა სამწაიანი ბაზილიკის ტიპისა, ამიტომ
ხშირად სიონს ავიგებდნენ ასეთ ნაგებობებთან,
მაგრამ ასეთი გაიგივება მოკლებულია სიზუს-
ტეს. ატენში მე-7 ს-ნეში გაშენებული იყო
ჯვარის სახის გუმბათოვანი ეკლესია, რომელ-
საც სიონი ვრქვა.

**თბილისის ციხის რეკონსტრუქცია და
გადაწინის მშენებლობა.** იაკობ რეინვესისთვის
თბილისში გადაუციათ თბილისის ციხის
კედელზე მის დროს (1778 — 1783 წლე-
ბში, ხარეზობთ), როგორც ჩანს, ძლიერ დე-
ფექტურად მოწყველილი წარწერის შინაარსი.
რეინვესს წერდა, რომ ძველი წარწერის მიხედ-
ვით, რომელიც კლდე ჩანს ძველ ზედა-ციხეზე,
თბილისი დაარსებულია ვინმე მთავარ ლივანგის
მხერ 1063 წელსო. წარწერა დაწერილი იქნე-
ბოდა მრკლოვანი ასოებით, რომელთა წაკითხვა
რეინვესს თვითონ არ შეეძლო (თუმცა მას შეს-
წავლელი სქონდა ჩვეულებრივი ქართული).
ხსენებული წელი მიღებული უნდა იყოს შემ-
დეგნარიად: 1063 წელი ევროპაში (რუსეთი-
თურთ) და ბერძენებში მიღებული სათვალავით
უდრიდა დასაბამიდან (5508 + 1063 =) 6571
წელს. ასე ანგარიშობდა, როგორც ჩანს, რეინ-
ვესი. ქართული ანგარიშით კი, ეს უდრის
6571 — 6604 = 967 წელს, რომელსაც მე-13
მოქცევის სათვალავის დასაწყისამდის უნდა გა-
მოაკლდეს 780 წელი და მივიღებთ 187 წელს.
ეს ქრონიკონი უნდა უოფილიყო თბილისის,
ზედა-ციხის წარწერაზე. ის იანგარიშებოდა ქართ.

ლის მოქცევის პირველი წლიდან (306 წ./ 1
მარტ. — 307 წ. 28 თებ.), რაც იძლევა 492 წ. 1
მარტ. — 493 წ. 28 თებ. უფრო ადრე წელს ანგ-
თანავე, გასათვალისწინებელია გუგუშვილის ცნო-
ბა, რომ სიკვდილის წინ თრითვე წლით ადრე
ვახტანგს დაეწყო ქალაქ თბილისის მშენებლობა
და „საფუძველი ოდენ დაედგა“. მისმა შემევიდ-
რემ მეფე დანიშნა განასრულა ზღოვანი ტრეფ-
ლისისანი, ვთხო ემხანა მეფესა ვახტანგს“. ცხა-
დი ხდება, რომ ჯუანშერი ყველაფერს ამას
წერს ხსენებული წარწერის მიხედვით, რომე-
ლიც მის დროს მთელი იქნებოდა. წარწერა
ქორაგმების გახსნით და აღმადელი დამწერ-
ლობით შეიძლება აღდგენილი იქნეს შემდეგნა-
რად: „ქრისტეც, შეიწყალე მეფე გორგასალი
ვახტანგ, (რომელმან ახლად აღაშენა ციხე ესე
და განეშორა (ე. ი. დამთავრდა ციხე) წელსა
რპზ“ (187). გამოდის, რომ ციხის რეკონსტრუქ-
ცია დაწყებულია 480 წლის ახლოს და დამთავ-
რებულია 492 წელს.

არაბ იბნ-ხორდადბეს (846 — 847 წლ. ახლ.)
სიტყვით, სპარსეთის მეფემ ხოსრო-ანეშირვანმა
(539 — 578) გააშენა ჯერხანის (ქართლის) ქვე-
ყანაში ქალაქი (ციხე) სუცდაბილ (საგოვდებელი)
და იქვე (იველისხმება მტკვრის მეორე ნაპირს)
ციხე, რომელსაც დაარქვა სახელი ზაბ ფერუზ-
კობად, ე. ი. ფერუზ — კობადის კარი. აქ ორი
ცნობაა შერეულად წარმოდგენილი, საგოვდ-
ლის ციხე ახლანდელი მეტეხის არეში გაუშე-
ნებია ხოსრო-ანეშირვანს, ხოლო მასზე ადრე
თბილისის ციხე გაშენებული უოფილა პეროზ
(457 — 484 წ.) და მისი შვილი კობადის (490 —
530 წ.) დროს. ზემოთქმულის მიხედვით ცხა-
დია, რომ აქ იველისხმება საგოვდების პირდა-
პირ მდებარე თბილისის ციხე. განსხვავება არის
ის, რომ სპარსელები თბილისის ციხის ახალს
რეკონსტრუქციასაშენებდას ანგარიშობდნენ თა-
ვანთი (ე. ი. სპარსეთის) მეფეების მართველო-
ბის მიხედვით. ამით მართლაც დასტურდება,
რომ ვახტანგის მართველობის ბოლოში, დაახ-
ლოებით 480 წლიდან დაწყებულ იქნა თბილი-
სის ციხის რეკონსტრუქცია, რომელიც დამ-
თავრდა დანის დროს.

XI ს-ნეში, ქართველი მემატიანის მოწმობით,
ამ ციხეს ვრქვა დერო-ი-ჯელალ — არაბულ-
სპარსულად დიდების კარი. შემდეგდროინდელი
სახელი ამ ციხისა იყო კლდე ნარი-ყალა (ნარინ-

1 ვახუშტი თავის გეოგრაფიაში თბილისის ზე-
და-ციხისათვის იხსენიებს სახელს შურის-ციხე.
წყაროებში ასეთი სახელი არ არის შემონა-
ხული. ეს უნდა იყოს ხალხური სახელი, რომე-
ლიც ტოცხალი იყო ხალხურ თქმაში ვახუშ-
ტის დროსაც. რატომ წარმოიშვა ასეთი სახე-
ლი, არ ჩანს. შეიძლება ეს იყოს არაბული სი-
ტყვა შური — საპუო და იქ იკრიბებოდა არაბე-
ბის დროს საამიროს საპუო.

ყალა, თერჭულად და სპარსულად — მოხდენილ-ლაშაზი ციხე).

ქართული წარწერა, რომელიც ზედა-ციხეზე იყო მითავსებული, შეეხებოდა მხოლოდ ციხის მშენებლობას და არ გულისხმობდა თვით ქალაქს, რომელიც ამ დროს უკვე არსებობდა. ეს ჩანს კიდევ შემდეგიდან.

მოკლე ქართლისის ქრონიკა გადმოგვეცემს, რომ ღაჩის დროს (ქალაქა) ტფილისს კაცნი დასახდნენ და მარიამ წმიდის ეკლესია აღამუნესო. ეს ეკლესია არის ბოლო დრომდის ხალხში წმინდა მარინეს ეკლესიად ცნობილი (ეგრეთ წოდებული ანჩის-ხატისა) სამნაიანი ბაზილიკა, რომლის კედლები შიგნით ზოგადად კარგადაა მოწყვენილი.

ქრონიკა ამ შემთხვევაში უნდა გულისხმობდეს თბილისის მაშინდელ ამ განაპირა ადგილის დასახლებას მცხეთიდან გადმოსული საკათალიკოსო კაცებით (ტფილისს კაცნი დასახდებოდეს-ო, ამბობს ქრონიკა). მხედველობაში მისაღება, რომ მარინეს (ანჩის-ხატის) ეკლესია ითვლებოდა კათალიკოსის მეტოქსად (განყოფილებად) თბილისში და ასეთ მეტოქსად ის იქნებოდა თავიდანვე. გამოდის, რომ კათალიკოსს ახალ დედაქალაქში გადმოუყვანია მცხეთიდან სვეტიცხოვლის კაცების ნაწილი და დაუსახლებია ისინი. საფიქრებელია, რომ მცხეთიდან გადმოსული ეს პირნი უფრო ხელისნები იქნებოდნენ. კათალიკოსმა გააშენა სხენებული ეკლესია, რომელიც გადაიქცა საკათალიკოსო მეტოქსად თბილისში.

ამგვარად, ქრონიკის ფრაზა, რომ „ქალაქსა თფილისს კაცნი დასახდებოდეს და მარიამ წმიდა ეკლესია აღამუნეს“, უნდა გავოფილ იქნეს ორ ნაწილად: 1) თბილისს ამ განაპირა ადგილას დასახლდნენ მცხეთიდან გადმოყვანილი საკათალიკოსო კაცები (ქრონიკის ავტორს უმოთვარესად სწორედ საეკლესიო ცხოვრების ამბები აინტერესებს) და 2) ამ გადმოყვანასთან ერთად გაშენებულ იქნა მარიამ წმიდის ეკლესია (საფიქრებელია, თვით კათალიკოსს ინიციატივით და მისი ხარჯითაც, მაგრამ ახლად დასახლებულ „კათა“ შრომის და ნაწილობრივ რესურსებისა ც გამოყენებით).

თბილისში ამ დროს უკვე ყოფილა სხვა ეკლესიებიც, პირველ რიგში ეპისკოპოსის საყდარი სიონი. რომ თბილისში ამ დროს ახალდასახლებულ სიონს ეკლესია დაეწყოთ, ის თავისი სახელით იქნებოდა მოხსენებული და არა მარიამ წმიდისად. მართალია, სიონიც ლეთისმობლის სახელზეა გაშენებული, მაგრამ მას თავიდანვე თავისი სახელი ჰქონდა.

სხენებული ცნობები ეკლესიის, გაშენების გულისხმობენ თბილისის განაპირა უბანში, საკუთრად ქალაქი კი ცალკე არის საგულისხმებელი. ეჭვს გარეშეა, ამგვარად, რომ 480 წლის ახლოს დაწყებულა თბილისის ციხის

რეკონსტრუქცია და ამის შემდეგ (დანი შედის დროს) გაუშენებიათ ქალაქის გალავანი. ეს გალავანი უნდა ყოფილიყო აღიზნება *არდგანად* X ს-ნის I ნახევრის არაბის *გუგუჩაქანის* აღიზნებაში ამბობს, რომ თბილისს აღიზნის გალავანი აქესო. დაახლოებით X ს-ნის შუა რეზივარში აღიზნის გალავანი თბილისში შეცვლილ იქნა ქვითიარის გალავნით.

თბილისის განლაგების შესახებ ვახტანგ ვარგასაძის და დანის დროს. თბილისის განლაგების სურათი ამ ძველი ხანისთვის ძნელი აღსადგენია, მაგრამ ქვემოთ მიიწე წამოყენებულია საამისო ცდა არსებული მასალების მიხედვით. ბელას შიერ 853 წელს თბილისის აღებისას ტაბარის (X ს.) დასახლებულა აქვს თბილისის ციხე-გალავანს კარები, სულ ზუთი: კარი მიდნისა, კარი კარისასი, კარი ბატარა, კარი რაბატისა და კარი სალდებილისა. მატინე ჯელალედიდის შემოსვის დროს იხსენიებს სამხრეთისკენ განძის კარს, ხოლო ვახუშტის დროს, XVIII ს-ნში, შემდეგი კარებია ჩამოთვლილი: კოჯარის-კარი, დღმის-კარი, მედნის კარი და ქვემო კარი. უკვე ამ სახელების შედარებიდან ჩანს, რომ თბილისის განლაგება ძველ ხანაში და XVIII ს-ნში სხვადასხვა ხასიათისა. XVIII ს-ნში (და ამის უახლოეს წინა ხანაში) კარებს სახელი აქვთ მოთვან მიმაღალი გზის მიმართულების მიხედვით (კოჯარისა, დღმისა, XIII ს-ნში კიდევ განძის ანუ განჯის კარი). ტაბარის შიერ IX ს-ნისათვის დასახლებული კარების სახელები (რომელნიც, საგულისხმებელია, V ს-ნიდან მოდებიან დაკავშირებულია ქალაქის ცალკე ნაწილებთან.

1) მიდნის კარი (რადგანაც სიტყვა „მიდანი“ არაბულია) ქართულად უფრო ადრე იქნებოდა სანავარდოს კარი (ნავარდი სპარსულიდან ნასესხები სიტყვა) ანდა ასპარეზის (სპარსულივე წარმოშობის სიტყვაა, რომელიც იყო და არის სომხურშიც). ქალაქის გალავანის გარეთ უნდა ყოფილიყო სანავარდო ან ასპარეზი. შარდენი 1673 წელს აღნიშნავს, რომ მეფის სასახლის წინ (სამხრეთით) მტკვრის ნაპირას არის შიერდანი, რომელზედაც ათასამდის ცხენი დაიტევო.

2) კარის-ის კარი; სიტყვა კარის აქ უნდა იყოს ქართული, მოცემული ნათესაობითს ბრუნვაში. ჯუანშერი იხსენიებს უჯარმის კარად ნინო-წმიდას, რომელიც უჯარმის ციხეს 14 კლომეტრითა დაშორებულა. ქვიჯიჯის ძველის-ბული ციხის მიმდგამ სოფელს ჯიხაშ-კარი (ციხის კარი) ჰქვია. შიერ. კიდევ ოდნეშევე უწელი-კარი, გული-კარი (ყულეს, იგივე ბულეს ძველი სალოცავის მიმდგამი სოფელი) და სხვა. თბილისის ციხე-გალავანსაც ჰქონდა თავისი კარი, ე. ი. მიმდგამი სოფელი და აქეთვე გამსულელ კარს ერქვა სახელად კარის-კარი. ეს კარი უნდა ყოფილიყო ხარფები, იგივე შემდეგ

დროინდელი (XVII—XVIII ს-ნებში) სეიდ-აბაღი. ხოლო ამ კარის კარი (გასასვლელი) არის იგივე შემდეგდროინდელი ვანძის (განჯის) კარი.

3) პატარა კარი, საფიქრებელია, იგივეა, რომელიც აღნიშნულია ვახუშტის და ზოგა სხვის გვემაზე. ეს იყო მცირე კარი ციხე-გალავნიდან წავისის წყალზე გაღებული და მცირე ხდით სხენებულ ხარფებს სოფელ-კარის-კენ გზის მიმდებარე.

4) რაბატის კარი. რაბატი ასურული სიტყვაა (არის არაბულშიც). ასურულში რაბატე ნიშნავდა ქალაქის მიმდებარე ვარეთუბანს, არაბულშიც (რაბიტ) იმავე მნიშვნელობისაა და საცხოვრებელსაც ნიშნავს. რაბატი IV ს-ნისთვის მოხსენებულია მცხეთაში. ნინოს ცხოვრებაში მწყემს-სებო ეუბნებიან ფარავნის ტბასთან მისულ ნინოს, რომ ჩვენ ვართ „ზოგნი დაბბთ, ზოგნი საფურცლით, ზოგნი ჭინჯარელნი (სოფლების სახელებია ძველი მცხეთის მხარეში) და რაბატელი დიდისა ქალაქისა მცხეთისანი“. მართლაც, ამას წერს X ს-ნის ქართველი ავტორი (ნინოს ცხოვრების სირიულად გადმოთარგმნელი), მაგრამ ტერმინი რაბატი აქ დაახლოებით ნინოს დროსაც ქართლში ხმარებაში უნდა ყოფილიყო. ჯუღაშვილის სიტყვით, უკარმასაც ვახტანგ გორგასალის დროს ჰქონდა თავისი რაბატი. რაბატად ახალციხეში ბოლო დრომდის იწოდებოდა ციხე-გალავნის მიმდებარე, კარგად დასახლებული უბანი. მესხეთის წვრილ ქალაქებს და მნიშვნელოვან პუნქტებს, გურჯისტანის ვილაიეთის დაეთობის მიხედვით, XVI ს-ნეში ჰქონდათ ანალოგიური რაბატები. თბილისის რაბატიც V ს-ნის II ნახევარში უკვე უნდა ყოფილიყო.

თბილისის ძველი გვემას-სურათების განხილვისას მიღებულ მოწინააღმდეგეებში შეიძლება ითქვას, რომ ზემო მოხსენებელი მოედანი სანაჯარდო ან ასპარეზი უნდა ყოფილიყო მტკვრის ნაპირას სიონის ჩრდილოეთით ჩამავალი ვალაყნიდან, რაბატი კი ამის დასავლეთით მდებარე და მჭიდრო მოსახლეობის მქონე ფართობია.

5) საღვთისძის კარი, ცხაბა, არის საგაღვთისძის კარი, რომლიდან ხიდის მუშევრებით მიდიდა გზა მომავალი ისან-ავლაბრისკენ.

თბილისის ტერიტორიის სამხრეთი საზღვარი ჩანს 1429 წლის საბუთიდან, რომლითაც მეტეხის ღვთისმშობლის საყდარი თბილისში სოფელ კრწანისით გადაეცა მცხეთის სვეტიცხოვლის საყდარს (კათალიკოსს). სოფელ კრწანისის საზღვრები ამ საბუთში ნაჩვენებია (ეხლანდელი დამწერლობით) შემდეგნაირად: „თაბორის ველს-სიამდს, მის ჩამოსწყრივ ლედვისა ხევი მტკვრისა პირამდინ და მის წაღლით შინდისის ბოლომდინ შარამდისინ და შარას წაღლით თელეთურის სამძღვრამდისინ. რაოდენ მის წვერ-

ზედან წყალი ვარდმოვა, წვერს აქეთ კრწანელმსა დარჩეს“¹. ლედვის ხევი ვადმოედის თაბორის ქვემო ნაწილის მხრიდან და შინდის ირბად, შემდეგ მოხვევით, ვიდრე თბილისის ძველ სამხრეთურ სიმაგრემდის, რომლის ნაშთი (ვეი-ანდელი ბურჯები) მოღწეულია ამის სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით ფართობზე მოდიოდა სოფელი კრწანისი. ამ ბურჯების სამხრეთით იყო ქართველების მთავარი სიმაგრე აღა-მამამად-ხანთან ბრძოლის დროს და ამის სამხრეთით მდებარე ველზე იყო ბრძოლბი. იმიტომაც ამ ბრძოლას ჰქვია კრწანისის ომი.

თბილისის ჩრდილოეთ ბუნებრივ საზღვარს წარმოადგენდა სოლაღაის წყალის ხრამი და კალაპოტი, რომლის ზემოთ და აგრეთვე გაყოლებით ქვედა ნაწილში შემდგომ ხანებში გაშენებულ იქნა ვალაყანი. ამ ხრამის და კალაპოტის ჩრდილოეთით იწყებოდა უკვე ვერე, რომლის ნაწილს სხენებული გალავნის გაშენების შემდეგ (შემდგომ საუკუნეებში) დაარქვა ვარეთუბანი. ვერე იყო უკვე ზეუღლებართი სოფელი. ახლოს ქალაქის ტერიტორიასთან იყო კალოუბიცი, რის გამოც ეს ფართობი იწოდებოდა კალოუბნად. შემდეგ კალოუბანში გაშენებულ იქნა მცირე უფუგმათო ეკლესია, კალოუბნის ეკლესიის სახელით ცნობილი (ამ ადგილას ეკლესია არსებობდა 1930-იანი წლების დაწყებამდის). სოფელ ვერეს ეკრა ვერეს-წყლის ხეობაში თბილვანი, ხოლო ჩრდილო-დასავლეთით — სოფ. დიღობი.

თბილისის ვანლაგების წარმოსადგენად ვახტანგ გორგასალის ხანაში მნიშვნელობა აქვს იმ ცნობებს, რომლებიც არსებობს 627 წელს ერეკლე კეისრის მოკავშირე ზაზარების მიერ თბილისის აღების შესახებ. მოქცე. ქართლისაი მე-8 ს-ნეში განასხვავებს ერთმანეთისაგან თბილისს და კალას (6 ს-ნეში „მცხეთა ათხელდებოდა და ტფილისი ეშენებოდა, არმანნი შემცირდებოდეს და კალა კალიდდებოდა“). მაგრამ, იმავე დროს, იქვე კალა მოხსენებულია, როგორც ტფილისის ნაწილი („კალა ტფილისისა“). ამგვარად, კალა ცალკე იხსენიება, მაგრამ ის მაინც თბილისის ნაწილს შეადგენს.

ლეონტი მროველი (9^ს). იმავე ამბების შესახებ ვადმოგვეცხეს: „დღესეკრა კეისარმან ტფილისი, ხოლო ციხესა კალასასა დარჩეს კაცი და არა მოვრთნეს მეფესა (ირაკლისს)“ აქაც თბილისი სხვა და კალა სხვა. თბილისთან ამ დროს თავისი ჯარით იყო თვითონ ერეკლე კეისარი, რომელმაც სტეფანოსთან შემდეგ ქართლის ერისმთავრად დანიშნა ვახტანგ გორგასალის ჩამოშვალად აღარანსე („რომელი ერისთაობდა კახეთს“, ერეკლემ მას მისცა ტფილისი და მთავრობდა ქართლს. დათრევა მასთან ერისთავი (ზაზართა), რომელსა ერეკლე ჯიბდა და უბრძანა, ბრძოლა კალისა და თვით წარემართა მეფე“. რამდენიმე დღის შემდეგ ზაზარებმა კალაც აი-

¹ სპ. ხასიტ. არქივი, ფ. № 1449, საბ. № 557.

დეს და ციხისთვის ცოცხლივ ტყავი გააძევეს და ასე მოკლეს.

მისე დასტურანეს (აღსკრებულს) აქვს ამ ამბის შესახებ მოცემული ორი ვერსია, ცხადია, აღებული ორი სხვადასხვა წყაროდან. ის მოგვითხრობს (II, § 11), რომ ჯერ ხაზარებმა და შემდეგ, მათთან შეერთებით, კეთსარმა ირაკლიმ თავის ჯარით ალყა შემოარტყეს აგანებიერებელ, სავაპრო, სახელოვან და დიდ ქალაქ თბილისს*, რომ სპარსეთის მეფემ ხოსრომ მანამდე გამოგზავნა ქალაქის მცველთა გასაძლიერებლად ათასი რჩეული ცხენოსანი თავისი პირადი დაცვის ჯარადან და რომ რომეებმა თან მოიტანეს თავისი მოგონილი ოთხბორბლიანი მხინვენი და სხვა ასეთი იარაღები, რომელთაა ისინი ურტყამენი კედლებს და ამტვრევდნენ მის უზარმაზარ კედლებს და რომ თავდამსხმელნი ყრიდნენ მდინარეში ქვევით და ქვიშით გაეცხებულ უზარმაზარ გუდებს, რათა ამით უკან გაეზრუნებიათ მდინარე, რომელიც ქალაქის ერთი ნაწილის გვერდით მიდიოდაო.

მეორე ადგილას (II, § 14), იგივე ავტორი უბრალებდა იმავე ამბავს და გადმოგვცემს უკვე სხვა დეტალებს — რომ ხაზარების წინამძღოლმა ალყა შემოარტყა ქალაქს (თბილისს) და ბრძოლებით შეაწყობა მცხოვრებნი, რომელნიც ორი თვის განმავლობაში თავს იცავდნენ. ხაზარების მეთაურმა „უბრალო ხალხიდან ბევრი დაატყვევა და დახარხო (მდინარეში)“. შემდეგ „ერთი მეორეზე დადგომით ხაზარები ავიდნენ გალაგანზე და გადავიდნენ ქალაქში, რომელიც აღებულ იქნა ქალაქში დატრიალდა საშინელი ამბავი. თავზარდაცემულნი შიგ მყოფნი იმალებადნენ საჩუქრის სახურავებზე, სვანი კიდევ (ბუხრების) შიღებში და ბევრი კიდევ აშურებდა გელესის წმიდა თაღების ქვეშ და ეპოტონებოდნენ საკურთხველის კუთხეს“. ხაზარებმა ყველანი დახოცეს, ქალაქი გაიკარეეს, შეკრბეს დიდძალი ოქროთა და ვერცხლთაგანა.

ამ ცნობებშიც ჩანს, რომ ქალაქს გალაგანი ჰქონდა ვარშემორტყმული. გალაგანს ვარკო, ეხლანდელ ხარფხში იყო ღარიბი ხალხი. ხაზარებმა ბევრი მათგანი დაატყვევეს ანდა მდინარეში გადაყარეს. ქალაქის ცალკე ნაწილს შეადგენდა ალა, რომელსაც ჰქონდა ციხე (ციხესაც ალა ეწოდებოდა). ხარფხში მდებარეობდა დამლობში მტკვრის ნაპირას, ისეთ ადგილას, სადაც შესაძლებელი იყო ქვევით და ქვიშით სავსე გუდების წყალში ჩაერთ ქალაქის ამ ნაწილის წყალით დაფარვა. მსგავსობაში მისაღებია ამასთანავე რომ ხაზარების ჯარს თბილისზე მოსვლა შეეძლო უფრო საშრეთ-აღმოსავლეთიდან, ბერძნებისას კი — სამხრეთ-დასავლეთიდან, მასთანავე, ეს უბანი მდებარეობდა ალას სამხრეთითაც, ე. ი. წაქისის-წყლის სამხრეთით იმ დაბლობში, სადაც გვიან შემდეგ (მგ., XVIII ს-ნეში) ბაღები იყო გაშენებული (ცერეთ წოდებული სეი-

დაბადის ბაღები) და სადაც ძველად იყო გოგირდის ცხელი წყაროები მრავალი ჰქონდა (ახლანდელი ბალნეოლოგიური სადგურის ანუ შიქი, ქალაქს ჰქონდა გალაგანი უფრო საშრეთ მხარეზე, მდინარეების, იქ, სადაც აქამდის დარჩენილია შემდეგდროინდელი კედლის ნაშთი კომეობითურთ. ეს კედელი მაშინ გაშენებული ყოფილა უზარმაზარი ლოდებიდან. ამის შემდეგ შემდეგდროინდელ განჯის-კარამდის, რომელიც იყო მთავარი შესასვლელი ალაში, ქალაქი გამაგრებული უნდა ყოფილიყო ჩაჭრილი ზეცი და ზედ გაშენებული უფრო აღიზის კედლით. ადგილის თვისება ამის შესაძლებლობას იძლეოდა. განჯის კარის მისადგომიდან წაქისის-წყლის გაყოლებით, ვიდრე მტკვარამდის კვლავ უნდა ყოფილიყო დაცვის კედელი, როგორც ეს ყოფილა XVIII ს-ნის II ნახევარში (სერაფევის ამ დროინდელ სურათზე არის ასეთი კედელი კომეობით და ქონგურებით).

რაც შეეხება ალას, ის წარმოადგენდა ქალაქის შემოზღუდულ ცალკე ნაწილს მაგარი ზედაციხით. ამ ზღუდის მოცულობის შესახებ შეიძლება ითქვას შემდეგ:

არსებობს თბილისის ძველი პანორამის ოთხი ძველი სურათი და ცალკე კიდევ 1) ვახუშტი ბატონიშვილის მიერ (აღბათ 1720 წლის ახლოს) შედგენილი გეგმა, 2) მიშევიჩის გეგმა 1780-იან წლებისა. სხეუბული ოთხი სურათია: უცნობი დამხატვის, ტურნეფორისა 1700 წლის, შარდენის 1673 წლის და სერაფევის 1785 — 1790 წლების ახლი დროს. არის კიდევ ერთი სურათი, უცნობი წარმოშობისა, მაგრამ ის იწვევს ზოგიერთ ეჭვს და ამიტომ ვაჩიხილს ვარგეშ რჩება.

უსახელი სურათი წარმოგიდგენს თბილისის პანორამას უმეჩეთოდ ხიდს ყურესთან. მართლაც, შარდენი ამბობს, რომ მის დროს (1673 წ.) თბილისში მეჩეთი არ იყო. ამ დროს (1670 დენის წიგნი წარმოდგენილია სხვის მიერ ცოტა ადრე დამზადებული სურათი.

შარდენის მოგზაურობის აღწერილობაზე დართული თბილისის სურათი, რომელზედაც ხიდს ყურეში შაპისმაილის დროს გაშენებული მეჩეთია გამოყვანილი, ამაზე ადრინდელი დროის უნდა იყოს. ხოლო, რადგანაც ამ სურათზე როსტომ მეფის დროინდელი ნაგებობანიც არის (სასახლე და სხ.), ამიტომ ამ სურათის შედგენა უნდა მიეკუთვნოს 1660 წლის ახლი ხანას. ამის შემდეგ შაპისმაილის დროინდელი მეჩეთი ავარტულ მღვთმარეობაში მოპყლილა და ამით აიხსნება, რომ შარდენის დროს მეჩეთი თბილისში სრულებით არ იყო. ცხადია, რომ შარდენის წარმოდგენილია სხვის მიერ ცოტა ადრე დამზადებული სურათი.

შარდენის სურათზე ასახულია ის კედელი თავისი კომეობით, რომელიც ქართლის მეფის როსტომის დროს გააგდეს 1652 წლის ახლოს

ზედა-ციხიდან ვიდრე მტკვარამდის ზღის-ყურის და იქვე მდებარე მეჩეთის ჩატანებით ამ ზღუდის შიგნით. ვარდა ამისა, ამ სურათზე წარმოდგენილია ის ვალაყანიც, რომელიც, ვახუშტის სიტყვით, შაჰ-აბაზ II-ის (1642—1667) დროს 1650 წლის ახლოს მოაქვს თბილისს ვიდრე სოლოლაკის ხევამდის და ახლანდელი ანისხატის ეკლესიის არემდის). ზედა-ციხის კოშკების მგერი ნაწილი ამ ნახევარად მორგვლებით არის გაშენებული, მეტეხის ციხის კოშკები კი შილიანად ასეთი ხასიათისაა. ვარდა ამისა, მეტეხის ციხეს მიწნეებული აქვს ჩრდილოეთით დაბლა ჩამავალი ახალი ვალაყანი მორგვალა კოშკებით.

ტურნეფორის სურათზე ყველაფერი ეს სხვაგვარადაა წარმოდგენილი. რასტომ მეფის დროს ზედა-ციხიდან მტკვარამდის გაშენებული კედელი სრულიად არ არსებობს. ზედა-ციხის კოშკები, ყველა (13), ოთხკუთხაანია ოდნავ შემოთქმულ შიგნითაა (ტურნეფორის სურათზე) მტკვარამდის მდებარეობს. ზემოთ მოხსენიებული მინაშენი (ვალაყანი კოშკებით) მტეხის ციხეს არ აქვს, კოშკები კი მორგვალაა.

ტურნეფორისივე სურათზე ასახული ზედა-ციხის ოთხკუთხედიანი კოშკებს და აგრეთვე ოთხკუთხედიანი კოშკებისავე დიდ უმეტესობას (იშვიათი გამონაკლისის გარდა) ქალაქის ვალაყანზე და მტეხის ციხეში აშკარად მივყავართ ძველ ხანაში. ის ზოგადად ძლიერ მოგვგონებს უჯარმის ციხეს მისი ოთხკუთხედიანი სწორი კოშკებით, რომელიც ვახუშტის დროსაა გაშენებული. რასაკვირველია, ვახუშტის დროიდან, უკვე, XVI ს-სავე, ე. ი. თითქმის ათასი წლის სიგანეზე თბილისის ციხე ბევრჯერ საფუძვლიანად შეკეთდებოდა. მაგრამ ზოგადი გეგმა დაკლები იყო და ამიტომ ვახუშტის დროინდელი ზედა-ციხის მიხედვით მიიჩნეოდა წარმოსადგენად ტურნეფორისივე სურათს აქვს თავისი მნიშვნელობა. ეს ძველი ნაგებობა მტეხის ციხეზე გაუფრთხილათ რასტომ მეფის და შაჰ-აბაზ II-ის დროს, როდესაც აღშენებით თბილისის ახალი ზედა-ციხე ძველს მხოლოდ ნაწილის დამატებით.

რაც შეეხება ქვედა-ვალაყანს (ზღუდეს), რომელიც ციხიდან ქვევით ჩამოდიოდა, ის თავდაპირველად (ვახუშტისა და ღანის დროს) გაშენებული უნდა ყოფილიყო ალიზისგან, რადგანაც ალ-ისტაბრი (930 წლ. ახლ.) ამბობს, რომ თბილისის ორი ვალაყანი აქვს თიხისაო (უნდა იგულისხმებოდეს ქალაქი და ცალკე კიდეც ისანი). ხოლო ალ-მეკაღდამი (985 წლ. ახლ.) გადმოგვცემს, რომ თბილისი მტკვარის ორსავე ნაპირზეა და ნაპირებს აერთებს ზიდი; ვალაყანი ქვისაა, მაგრამ ხით შემოკრულიაო. ამ ცნობების მიხედვით, ქვეციხის ვალაყანი თბილისში გაუშენებიათ 950 წლს ახლო ხანაში. ვალაყანს, როგორც ტურნეფორისიველი პანორამიდან ჩანს, ოთხკუთხედი კოშკები ჰქონია.

მეტეხის ციხეზე განიკადა რეკონსტრუქცია და დაახლოებით რასტომ მეფის დროს გადართობა. ამიტომ ნათელია, რომ ვახუშტისა და ღანის დროს ცნობილ ძველ პანორამიდან უფრო ძველი უნდა იყოს ტურნეფორისივე სურათი, რომელიც გადმოღებულია დაახლ. XVI ს-ის დღეიდან. ამ სურათზე ზედა-ციხის ჩრდილოეთ მხარეა და აღნიშნულია აკედელი, რომელიც სახმარი წყალი წაყვას ხევიდან შედიოდა ციხეში. ეს აკედელიც ფარსადან გიორგი-ჯანაშვილ-მოსხენებული აქვს 1625 წლისათვის, როდესაც გიორგი სააკაძემ თბილისის ქალაქი დაიკავა და ზედა-ციხეში მყოფ საპარტახების გარსიზონს კი ალყა შემოარტყა. აკედელის ბოლოდან კედელი ტურნეფორისივე სურათზე ჩამოღის ქვევით კლდის-უბნის ეკლესიის მცირედ ჩრდილოეთით, ქვეით კიდე დაბლობში უხვევს სამხ.-აღმოსავლეთისაკენ და სიონის ტაძრის მცირედ ჩრდილოეთით ჩამოღის მტკვარამდის.

ზემო ნათქვამის მიხედვით მივიღებთ ასეთ სურათს: ვახუშტის გორგასალის და ღანის დროს ქალაქის ვალაყანი სიონს უვლიდა ზედა-ციხეს და ჩამოდიოდა გიორგიანის მცირე მანძილზე ჩრდილოეთით. ქალაქის ზღუდის ჩრდილოეთით მტკვარის მარჯვენა ნაპირს იყო ასპარეზი ანუ სანაყარო. შემდეგ კი მიდიოდა ისევ დასახლებული უბანი, სადაც მტკვარის ნაპირს გაშენებულ იქნა წმ. შარაპის ეკლესია, შემდეგში ანის-ხატისად წოდებული.

გუანაშვილის იხსენიებს, რომ სპარსთა მეფე (უფრო სპარსთა ჩრდილოეთის პაღლახანი, ე. ი. ჩრდილოეთის მხარის მმართველი) და ვახუშტი თავიანთი რაზმ-ჯარებით შეხდნენ ერთმანეთს მოსალაპარაკებულად აველსა კალისასა. კალს, მასმასადამე, ჰქონდა ველი. იქ უნდა იგულისხმებოდეს სხენებული სანაყარო (მოვანი) და მის მიმდებარე ფართობი მტკვარის ნაპირის აღმა.

ამ სანაყაროს დასავლეთით და ჩრდ.-დასავლეთით მიდიოდა რაბატი, დასახლებული უბანი, რომელიც ქალაქს გარეუბანს წარმოადგენდა.

რაბატი სწუდებოდა კედლიდან ადგილამდის. ამ უბანდ აშკარად კედლიდან და უწყლო, შეიძლება ითქვას, უდაბურ ადგილს — პალესტინაში ბეთლემთან (სადაც დაიბადა იესო) ამ დროს უკვე არსებულ ქართულ მონასტრის ნაშთი მოგონება. — მიეცა სახელად ბეთლემი. ეს იყო მთელი ამ კლდოვანი და უდაბურ უბნის სახელი. იქ გაშენებულ იქნა მონასტერი (ბეთლემისად წოდებული, სომხური გამოთქმით, ახლანდელი ფეხიანი).

ქალაქის ზღუდის (წაყვისის წყლის) სამხრეთით მიდიოდა თბილისის კარი, ე. ი. სოფელი. ეს არის ზარფეხი. ეს იყო სოფელი, რომელსაც მიჰყვებოდა საბაღ-საბოსტნე ადგილები (შემდგომდროინდელი ორთაქალა და სხ.).

შემდგომ ხანებში ამ კარსაც ჰქონდა ზღუდვ-სიმბარეები. სამხრეთ მხარეზე ყოფდ ასეთ ნაგებობათა ნაშთი ახლაც არის. პლ. იოსელიანის ამბობს, რომ ქალაქის ამ ნაწილს თაბორის ფერ-დობიდან ხარფუხში ციხე-გალავნისკენ განძის კარის მისაღვამდის ბევრჯან ჰქონდა რაღაც ზღუდე (შესაძლებელია, ალიზის). სერგვეის სურათზე ქალაქის ამ ნაწილს კომუნიანი გალი-ვანი იქნეს წაეცისის წყლის მარჯვენა (სამხრეთ) ნაპირზე.

მოსახლეობა ვახტანგ გორგასალის დროს უნდა ყოფილიყო მცირედ შინე საგოდებულში, რადგანაც იქ შეტების ეკლესია იქნა გაშენებულ-ლი.

შეტების ვარდა, ვახტანგის დროს გაშენებულ სხვა ეკლესიათაგან (ბერძნების ეკლესიის ვარ-და) ორი (სიონის და ჯვარის) იყო შიგნით კა-ლას ნაწილში და ორი — რაბატში (ბეთლემისა და კიდევ ერთი მომავალი წმ. გორგის კარის ეკლესიის ფართობზე). ქეტიკარის ერთი ეკლეს-ისა უნდა ყოფილიყო თბილისის სიველ კარში (მოსე კალენკეტელის თბრობის ცნობა). ეკლეს-ისას, მაშინდელი ჩვეულების თანახმად, გააშე-ნებდნენ ზედა-ციხეშიც.

ზემოთქვლიდან ჩანს, რომ მართალი იყო ვახუშტი, რომელიც წერდა — საყუთრიც წყი-ლისი (ძველად) ერქვა გორგორის ცხელი წყი-ლისი არეს წაეცისის-წყალის სამხრეთით, ხოლო ზედა-ციხის მიმდგომი მხარე კალას შეადგენდაო. საფუძველი იქნეს, მაშასადამე, თბილისის მკვიდრ შამქალიანებში ბოლო დრომდის დარჩენილ ცნო-ბას, რომლის მიხედვით, ისინი თბილისის ზედა-ციხის მთელ მიმდგომ მხარეს კალს (კალას) ეძახდნენ და ახლაც ასევე უწოდებენ.

ამასთანავე თბილისში თავიდანვე დასახლ-დნენ ბერძნებიც, რომელთაც აგრეთვე ითვნიეს ეკლესია თავისი (პლ. იოსელიანის ცნობა). ამგ-ვარად, თბილისში V ს-ნის II ნახევარში უნდა ყოფილიყო 8 ეკლესია შინე (ზის და უბრალო ეკლესიების გარდა). იყო აგრეთვე ციველკაყ-ვანსმცემელთა სალოცავი (ერთი ასეთი სა-ლოცავის ნაშთი მოწვენილია ფეოდალის ეკლეს-იის სამხრეთით). ქართულად მას ეძახდნენ სა-კერპოს, ეს პლ. იოსელიანის ცნობაა, ხოლო სპარსულად — „ათეშგა“-ს, რაც ცეცხლის ადგილს ნიშნავს. ეკლესიებს და სალოცავებს ჰყავდა თა-ვისი შრეები, სულ ცოტა 30 მაშინდელი მოზრ-დილი კოპი შინე. ამგვარად თბილისში V ს-ნის მეორე ნახევარში, სულ ცოტა, სამი თასამ-დის სული არის საგელისსმებელი.

ცვლელად საქალაქო ცხოვრებაში. მე-5 ს-ნის პირველ ნახევარამდის (თანათუდით) ქალაქები ქართლში წარმოადგენდნენ მცირე ოლქების მე-თაურთა რეზიდენციებს. ქართლი (იბერია), ე-ი. აღმოსავლური ქართული ქვეყნები და ნაწი-ლობრივ სამხრეთული მხარეების, კლარჯეთის ჩათვლით, გაყოფილი იყვნენ ცალკე მცირე და

მოზრდილ ხეებზე, რომელთა სათავეში იდგ-ნენ მამასახლისები¹.

ყოველ სამამასახლისოს, საფუძვლებული, ჰქონ-და თავისი ცენტრი, ქალაქში წარდგებულ ქა-ლაქი — შემოზღუდული, გამაგრებული ადგი-ლი). ასე იყო სპარსეთში, სადაც (როგორც ამას, ტაბარის მიხედვით, დასაყენიდა ნელდუ-ე) ყოველ მცირე ოლქს, რომელიც ქალაქადც იწოდებოდა (შაბრ, რაც სპარსულად ქალაქს ნიშნავს), ჰქონდა თავისი შაპრისტანი (ქალაქის გამაგრებული ნაწილი). საყურადღებოა, რომ ჯუანშერი ვახტანგის ახალგაზრდობის დროს-თვის (როდესაც მოეწყო ლაშქრობა ისეთზე) ამბობს, რომ ვახტანგმა შეკრიბა „ქალაქნი“. ქა-ლაქებზე იქ იგულისხმება მცირე ოლქები — სამამასახლისოები, კერძოდ მათი უფროსები ანუ მეთაურები.

ზემოთაქვამით აიხსნება, რომ ქართული ქვეყნების ტოპონიმიაში საკმაოდ ხშირად წარ-მოდგენილია სახელი ნაქალაქევი ხშირად ისეთ ადგილას (მაგ., შინან ადგილისში), სადაც ქა-ლაქს შეეძლო მხოლოდ ასე თუ ისე შემოზღუ-დულ და გამაგრებული პუნქტის ფუნქციის შეს-რულება. თვით ვახტანგმა ვაშენა ზოგი ქალაქი არა ადგილად მისაღვამ მთა-ადგილას პერგში (პერგთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში): „მუნ ქენა ქალაქი ერთი შორის ორთავე ეკლესიათა, რომელი იგი (ეკლესია) აღაშენა მანვე“ და იქ დასვა ეპსკოპოსიც. გამოთქმაც, „მუნ ქენა ქა-ლაქი ერთი“ თითქოს გულისხმობს გამაგრებულ ადგილს, რომელიც ამ შემთხვევაში ეპსკოპო-სის ადგილსამყოფელი უნდა ყოფილიყო.

ახლა კი ქალაქების ბასიათა იცულება. რო-გორც ჩანს, ახალ გაშენების გზაზე დამდგარმა თბილისმა მიიღო სხვა ხასიათი. ჯერ ის სანახევ-როდ დაზიანებული ციხის ამარა იყო (ციხეს მღუე დასპირდა რეკონსტრუქცია). სოფელი თბილისი, ჯუანშერის მოწმობით, მანამდის აიხ-რებელი იყო. ქალაქს ახლ გაღვანი ჰქონდა, მაგრამ ახლა იქ უკვე იყო თვითმოქმედი მოსახ-ლეობა, რომელიც ნაწილობრივ შინე ევაკარ-ხელისანთაგან არის საგულისხმებელი. როდეს-საც ვახტანგის შვილის დაიი მეფის დროს მცხეთა, როგორც ამას ამოწმებს შემატანე, ვა-დაეცა კათალიკოსს, მაშინ მოსახლეობას ნაწი-ლი მცხეთიდან გადასახლდა თბილისს. ასე უნდა იქნეს გაგებული მოქც. ქართლისაის ქრონიკის ცნობა, რომ დაიი მეფის დროს „ქალაქსა ტფი-ლისს კაცნი დასხდებოდესო“. ამ ქრონიკის ონტერესებს მხოლოდ საეკლესიო ცხოვრების ფაქტები, ამბობს ის, შეეფიცის მოხსენების გარდა, სხვა ამბებზე სრულებით არ ჩერდება. ბუნებრივია, რომ, როდესაც კათალიკოსმა დიმი-

¹ ამის შესახებ იხ. ს. კაკაბაძე, ქართული სა-ხელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები, საბს-ტორიო მოამბე, 1924 წ., 1, 29 — 53, 78 — 108.

ტკიცა მცხეთა, ბევრი იქიდან ამაჯობინებდა ახლად გაშენებულ სამეფო ქალაქში გადასახლებას თუნდაც კათოლიკოსის პატრონობის ქვეშ დარჩენილთ. გადმოსულნი უნდა ყოფილიყვნენ საქაიოდ ბლომად (არა ნაკლებ 500 სულსა) და ბევრი მათგანი უნდა ყოფილიყო შემღებულნი, რომ შეტლეს საქაიოდ მოზრდილი მარია-წმიდის ეკლესიის აშენება.

თავიდანვე თბილისს მიეცა ხალხის შიერ მარტივად „ქალაქის“ სახელი. როგორც ცნობილია, ქართველები თბილისს ძველი დროიდანვე მარტივად „ქალაქს“ უწოდებენ. დოკუმენტურად ეს დადასტურებულია მე-12 ს-ნში, მაგრამ ეს იხსენება მხოლოდ იმით, რომ მე-12 ს-ნის პირველ ნახევრიდან საუბრეთა სიღრმეში (მე-9 — 12 ს. პირველ ნახევარი) ჩვენამდეც, საერთოდ, ქართული საბუთი ან მისი ტექსტის ექვეი ცალია მოწვენილი.

ახალი ტიპის ქალაქი წარმოადგენდა თავდაცვის თვალსაზრისით საიმედო პუნქტს, იქვე იყო გაცხოველებული ხელოსნობა და ვაჭრობა. მაგრამ მოსახლეობის თვალსაზრისით ნაწილი მიიწი ცხოვრობდა მიწათმოქმედობით და მესაქონლეობით. ნინოს ცხოვრებიდან ჩანს, რომ ფარავანზე მყოფი მწყემსები ქალაქ მცხეთის რაბატიდან იყვნენ, თავიანთი პირტუვის სამწყემსურად წამოსულნი. უჯარბის შესახებ ჯერანშერი პირ-დაპირ ამბობს, რომ ვახტანგმა აქ ააგო დიდი ციხე, რადგანაც ეს ადგილი ეკუთვნოდა მიხინია მესაქონლეობისათვის და ნადირობისთვისო. აი, როგორ ისახებოდა, საერთოდ, ამ ხანის ქალაქის სურათი. უფრო გვიან, მართალია, სომხეთის მთავარი ქალაქის ღვინის შესახებ, მე-9 ს-ნის შუა ხანებისათვის მე-10 ს-ნის სომეხი ისტორიკოსი თომას არწრული წერს შემდეგს: „ზამთრის შესუსტების შემდეგ და გაზაფხულის მოახლოებისას... ღვინის ველზე იგრობოდა სამხრეთული ქარი... მიწათმოქმედნი შეუდგნენ მზადებას ხენათვისათვის, მონადირეები ეშაადებოდნენ სანიდროდ წასახელელად. ვაჭარნი იწყებდნენ დიქარს თავიანთ შორეულ მოგზაურობაზე, მწყემსებმა იწყეს ცხვრის ფარებს შეგროვება ტალახიან ველებზე გასარეკად. ყველა, საერთოდ, ცდილობდა თავისი საქმისათვის მოეციდა ხელი“.

ანალოგიური სურათი საგულისხმებელია ამ დროს საქართველოს ქალაქებისთვის და, მით უმეტეს, უფრო ადრინდელ ხანაში.

ამქრები. მცხეთაში მცხოვრებნი სხვადასხვა ფეხსაცმლის მკერავნი, ხელოსნები (მეჯადიარენი და მუხამლენი), ეესტათი მცხეთელის ცხოვრების მიხედვით, ცეცხლთაყვანისმცემელი იყვნენ.

საერთოდ, მცხეთაში ურადღებას იქცევს ტყავის წარმოება. მცხეთის რაბატის ზოგ მცხოვრებს ხომ ბლომად ჰყავდა პირტუვი, ხოლო თვით მცხეთაში ტყავეულობის დამზადების სა-

ფუძველზე განეთარებული ყოფილა ორი მსგენებელი სახელოსნო დარგი — მეჯადიარეთა (ჯადიარე — საბას ლეწიკონით და მუხამლენი — ფეხსაცმელი) და მუხამლეთა (ე. წ. ქალაქის მცხოვრებელთა). ამ დარგის ხელოსნები შეკავშირებულნი იყვნენ ცალ-ცალკე კორპორაციებად. რომელთა სათავეში უფალნი იდგნენ და ორივე კორპორაციის წევრნი ცეცხლთაყვანისმცემელი ყოფილან (VI ს-ნში ცეცხლთაყვანისმცემელი ქართლში სპარსთა სახელით იცნობდნენ). ამიტომ ორივე ეს კორპორაცია ქრისტიანობის ჩვენში გაერცელების წინა ხანიდან უნდა მოდიოდეს. მცხეთაში სხვა ხელოსნებიც უნდა ყოფილიყვნენ. მაგრამ ისინი იქნებოდნენ ქრისტიანები და ამიტომ მათ შესახებ ეესტათის ცხოვრებაში არაფერია ნათქვამი.

ეესტათი იყო ერთ-ერთი ამ კორპორაციის წევრი. ის 30 წლისა მოვიდა მცხეთას (500 — 505 წლ. ახლ.) ადარზადგანის ქალ. განაქადან. ის იყო მოვიცის ძე და შთამომავლობით დაბალი წრიდან. პაგიოვრადი მას უწოდებს „ქაცხს“ და „ყრმასს“. მცხეთაში ის მუხამლეთის შესწავლას და შემდეგ სახელოსნოს მოწყობას მოუწოდებოდა 2 — 3 წელიწადი მიანიც. საყურადღებოა, რომ ეესტათი მალე გამხდარა შედარებით შემღებელი ხელოსანი და მწარმოებელი. უკვე დაყოლოებულიც, მას ჰყავდა „მონა-მხედალნი“. რაჟი ეესტათი მუხამლე იყო, ეებს გარეშეა. რომ ამ თავის (თუნდაც ორიოდ-სამაოდ) მონას ის ამუშაებდა თავის სახელოსნოში.

კორპორაციის განმკველის მიხედვით, სომეხთა კათალიკოსის იოანეს დროს, 560-იანი წლების ახლო, დიდი ცეცხლი მოედო სომხეთის სატახტო ქალაქ ღვინში სპარსელების ჰამპარს. მანასადამე, ღვინში ამ დროს ყოფილა სპარსელების (ცეცხლთაყვანისმცემელთა) სახელოსნოთა ჰამპარი (სპარს. ჰამპარ ნიშნავს თანამომუშავეს). საფიქრებელია, რომ მცხეთაშიც ეესტათი მცხეთელის დროს ცეცხლთაყვანისმცემელი ხელოსნები ასევე ჰამპარად ამ მამარად იქნებოდნენ გაერთიანებულნი.

ჰამპარი აქ უნდა გავებულ იქნეს იმგვარად, რომ გარკვეული დარგის (ერთის ან რამდენიმეს) ხელოსნებს ეკავათ ერთი რიგი ან მცირე უბანი. მართლაც, შემდგომ საუკუნეებში, და თვით XIX ს-ნეში, წინა აზიის მეტი ნაწილის ქალაქებში და, კერძოდ, თბილისში თვითველი დარგის ხელოსნები ერთ რიგში მუშაობდნენ, ასე რომ მათი სახელოსნოები ერთიმეორის გაყოლებით იყვნენ მოთავსებულნი. აქედან, ბუნებრივია, შეიქნა ერთი და იმავე დარგის მომუშავეთა ორგანიზაცია, რომელსაც ავრთვე (ჰამპარი) დაერქვა.

¹ ეესტათი მცხეთელის ცხოვრების დროს მე ვაკუთვნებ უფრო ადრეულ წლებს, ვიდრე ეს მიღებულია.

ამ ცნობიდან ჩანს, რომ, რაც სომხეთის მამონდელ მთავარ ქალაქ ღენსა და ქართლს შორის მუდმივი ურთიერთობა იყო, ქართლში V—VI და, შესაძლებელია, მეოთხე საუკუნის უკანასკნელი მესამედლიდან ეკვე შემოსული იყო ტერმინი ამქარი. ქართული ჭვეუნების მებრწოლში არაბული პატრონობის დამყარების (VIII ს.) შემდეგ ოფიციალურ და საქმიან ხმარებაში ქართულად შემოვიდა სათანადო არაბული ტერმინი ფორმით „სანადი“, მაგრამ ტერმინი პამქარეს ცოცხალი იყო. ის ჩვენში კვლავ იკადებს ჭრის XVIII ს-ნის II ნახევარში და მარტო-პარტო პატრონობს XIX ს-ნეში.

ზემო თქმულის მიხედვით საფიქრებელია, რომ თბილისში საამქრო წესებს ფეხი უნდა მოეკიდა დედაქალაქად გამოცხადებიდან, ე. ი. ვახტანგ გორგასალის დროიდან. XIX ს-ნის პირველ ნახევარში თბილისში დაცულ ვადმოცემათა მიხედვით, ყველაზე ძველ ამქრად აღგოლობრივ ითვლებოდა მეტყვეთა ამქარი. თბილისში წყავის-წყალის შესართავთან, სადაც ამ წყალს ერთგოდა გოგირდის წყაროების ნაწილი, თავიდანვე ხსენებული ცხელ-თბილი წყალის მეორებით მეტად ხელსაყრელი პირობები იყო ნელ ტყავის დასამუშავებლად. ამიტომ არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ტყავის დამუშავების ხელოსნობა და სათანადო ამქარიც თბილისში თავიდანვე მოწყობილიყვნენ. ამას მიუყვებოდა ხელოსნობის ზოგი სხვა დარგიც, რაც საქართ იყო, პირველ რიგში, თვით ქალაქის და მრავალრიცხოვანი სამეფო კარის მოსამსახურებლად.

ამდროინდელ (სასანიანთა) სპარსეთში ქალაქთა მცხოვრებლების წამყვან მასას შეადგენდნენ თავისუფალი მოქალაქენი, რომელნიც უშუალოდ მეფის (სახელმწიფოს) ეუთენილებას წარმოადგენდნენ. მათ ამიტომ მინიჭებული ჰქონდათ გარკვეული უპირატესობანი. ამით აიხსნება, რომ მოქალაქედ ვახლომას ხშირად მიიწერაფოდა მიწათმოქმედიც, მონაზე ხომ ზედმეტია ლა-

პარატი. სახელმწიფოს მეთაურის მიმართ მოქალაქეც მონა-ქვეშევრდომი იყურებოდა, მთავარსაზოგადო ცარიელი სიტყვა *მოსლირთა* (მოსლირთა).

რადგანაც თბილისი ქართველებში თავიდანაც იხსენიება მარტოვად როგორც „ქალაქი“, თითქმის დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ასეთი სახელწოდება მას მიეცა ვახტანგის დროსვე და მაშინვე გაჩნდნენ თბილისის მოქალაქენი, სხვადასხვა პრივილეგიების მქონენი. პლ. იოსელიანს ჩაწერილი აქვს ასეთი ცნობა. მოქალაქეები იყვნენ მხოლოდ თბილისში. ხოლო სხვაგან საქართველოში მოქალაქეთა წოდება არ იყო და მხოლოდ XVIII ს-ნეში (უფრო ამ საუკუნის მეორე ნახევარში) მოქალაქეები გაჩნდნენ გორშიც, ხოლო თვით თბილისში მხოლოდ ამ საუკუნეში მოქალაქეთა სახელი გავრცელდა წერილ ხელოსნებზედაც. მაინც პირველხარისხოვანი მოქალაქენი, რომელნიც, 1793 წლის აღწერით, თბილისში 76 კომლს წარმოადგენენ, განახლებულდნენ თავის თავს მეორე-ხარისხოვან მოქალაქეთაგან (ისინი მაშინ შეადგენდნენ 480 კომლს), მით უმეტეს, წერილ ხელოსან-მოქალაქეთაგან, რომელნიც თავისი უფლებებით გლეხების თანაწორად ითვლებოდნენ.

შემდგომ საუკუნეებში, მაგ., ბექას და აღბურღის კანონებით, საბატი თეთრი ანუ დიდი ვაჭარი უცხო, ე. ი. მეორეხარისხის აზნაურის ტოლად ითვლებოდა. ამის მიმყოლი ჩვეულებრივი ვაჭარი მსახურზე დაბალი იყო, მაგრამ მაინც ბევრად სჯობნიდა კარგ გლეხსაც კი (უცხო აზნაურის და საბატიო ვაჭრის სისხლი ფასობდა 12 ათ. თეთრი, ჩვეულებრივი ვაჭრისა — 6 ათ. თეთრი, კარგ გლეხისა — ათასი თეთრი და ჩვეულებრივი გლეხისა — 400 თეთრი). ამ მონაცემებით, სხვა ცნობების უქონლობის გამო, ზოგადად შეიძლება წარმოდგენილ იქნეს, თუ რა ხასიათის პრივილეგიები უნდა ჰქონოდათ მიცემული თბილისის მოქალაქეებს, ე. ი. მსხვილ და საშუალო ვაჭრებს, ვახტანგ გორგასალის დროს.

ბეჰან როსთოქიანიძე



ახალი თბილისის ცენტრი


მთებდავად იმისა, რომ ჩვენს დედაქალაქს არა აქვს მკაცრი ხერკოთმოდერნი თვალსაზრისით არც ერთი დასარულეებული ანაბზოლო, იგი მაინც უღამაზესი ქალაქია. ეს უმეურლები ქალაქი დღესაც აბაღაზრდად გამოიყურება.

მდინარე მტკვრის გასწვრივ გაზრდილი ქალაქი 20 კალომეტრზე მეტი სიგრძითაა გაჭიმული, მაგრამ სივანეში ხელს უშლიან ვაშლას,

ერთი მხრივ, მთაწმინდა და, მეორე მხრივ, მახათის მთა.

მთის ტბასავითაა თბილისი ჩაწოლილი მთებს შორის, და ყველგან, მხოლოდ სამხრეთით, კახეთის გზატკეცილის გასწვრივ, შედარებით გამწილი ადგილისაყენ გაიჭრა ერთი გაყრუება; ქალაქის უბნები მალე დღემის ვულესაც დაფარავს.

მართლაც, თვით ქალაქში თავისუფალი საბ-



შენებლო ნაკვეთები აღარ არის, ვაკეცა და საბურთალოც, ღრმადღეცა და ნავთლელიც უკვე საესვა ახალი შენობებით.

ბუნებრივმა ფაქტორებმა ერთგვარად განსაზღვრეს ქალაქის ვადართოების პირობები, ქალაქის სიღამებზე.

თბილისის ტერიტორიული ზრდის თავისებურება — მისი განვითარება შედარებით ვიწრო ზოლად მდინარის აღმ-სტორიის ყოველ ეტაპზე კმნიდა ახალ სურათს და ამის გამო ცენტრი თანდათანობით მამჩრეთიდან ჩრდილოეთისაკენ ირაცვლებდა.

ქალაქის უძველესი უკრები გოგირდის აბანოების უბანში უნდა ყოფილიყო, შემდეგ მეტეხი და შტრის ციხე გახდა ქალაქის ცენტრი, მეთვრამეტე საუკუნეში კი ცენტრი დღევანდელი ვრცელეს მოედნის მიდამოებშია, რუსეთის ადმინისტრაციის მიერ შექმნილი ცენტრი ვრცელს მოედანსა და სასახლის ქუჩას მოიცავდა.

დღევანდელი თბილისის ცენტრი ლენინისა და რუსთაველის მოედნის შორისაა მოქცეული, იგი მთავრდის კალთებით არის შემოხაზული და, გარდა რუსთაველის პროსპექტისა, მოიცავს საპრობოების ცენტრალურ მონაკვეთსაც სტალინის ზიდიდან — ბარათაშვილის ზიდიდამდე.

ესაა ვითარებაში ქალაქის ცენტრის ასეთმა თანდათანობითა გადაინაცვლებამ ის შედეგი გამოაქვს, რომ თბილისი მედამ ახალგაზრდა ქალაქის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

ქალაქი თითქოს მტკვრის აღმა მიამოიკვებდა და ძველი უკან რჩებოდა, როგორც ისტორია, როგორც თავისებური მუზეუმი, რომელიც ტურისტებისა და სიძველეების მოყვარულთა ყურადღებას იპყრობს.

ურევნის მოედანი და რუსთაველის პროსპექტი თავისი მთავარი მონახაზით ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე ჩამოყალიბდა, მაგრამ დღეს სრულიად შეიცვალა ქალაქის ამ ნაწილის სურათი.

დღევანდელი მოედანი დღევანდელი ლენინის მოედნის მხოლოდ მცირე ნაწილს შეადგენდა. ქარვასლის დანგრევის შემდეგ მოედანი დიდად გაიზარდა და თავისი ზომებით ქალაქის „მთავარი მოედნის“ სახელის შენაფერისი გახდა, მაგრამ — მხოლოდ ზომებით. მოედნის შემომზღველელი ფსალღები კი არც თავისი მხატვრული ღირსებით და არც ცალკეულ შენობათა ურთიერთთან შეწყობით არ უბასუხებენ ანსამბლას მოთხოვნილებებს. დიდი ლენინის ძეგლმა, რომელიც მოედნის შუაში აღიშართა, ერთგვარი ცენტრი შექმნა მოედნის კომპოზიციაში, ხოლო პეტეისის სვეტის გადღობვამ და ყვავილნარის მოწყობამ ლენინის ძეგლის წინ საგრძნობლად გააუმჯობესა მოედნის სახე-რასაკერძეული, ლენინის მოედნის დასაბურთაობა.

ლებულ სურათს მხოლოდ მაშინ მივიტყვო, როდესაც მოედნის ირგვლივ არქიტექტურულად უფარგისი და უმეტეს წილად მხარგრე ბული შენობები ახალი შენობებით შემოცვლენ.

აქვე აღსანიშნავია სასაბურთალოს პროსპექტების მქონე და შეტად მასშტაბური მცირე მოედანი ქართული ხელოვნების მუზეუმის წინ, სადაც პეტეისის პატარა ძეგლმა, როგორც იქნა, შესაფერისი ადგილი მოიხაზა.

რუსთაველის პროსპექტით ჩვენმა ქალაქმა შეიძლება იამაყოს. ყოფილი სასახლის ქუჩის გაანაირებისა და დანარჩენი ნაწილის რეკონსტრუქციის შემდეგ თბილისის ეს მთავარი მაგისტრალი სრულიად ახლებურად გამოიყურება და, მართლაც, მდიდრულსა და საზეიმო ხასიათს ატარებს. უპირველეს ყოვლისა, საზეიმო ხასიათს მას ანიჭებს დიდებული ჰაერების ხეივანი და განიერი ყვავილნარები, რომლებიც მანქანების სავალ ნაწილს ტროტუარებისაგან ყოფს.

შენობების ზეოთმოძღვრულ-მხატვრული ხარისხი აქაც არათანაბარია, მაგრამ ყველაზე წარმოსადგეი სახლები ისე დვას, რომ გამოვლელის უფრადღებას იპყრობს. რუსთაველის პროსპექტი არ არის სწორხაზოვანი. იგი მოქნილადაა მოხრილი სასტუმრო „თბილისთან“ და ამ მოხვეულობაში დგანან ისეთი მაღალი ზეოთმოძღვრული ღირსების ძველი შენობები, როგორცაა სასტუმრო „თბილისი“, რუსთაველის თეატრი და მათთან ახლო მდებარე სახლები.

რუსთაველის პროსპექტზე მდებარეობს საქართველოს საბჭოთა არქიტექტურის ისეთი ღირსშესანიშნავი ნაწარმოებები, როგორცაა საქართველოს მუზეუმი, პარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის შენობა, მთავრობის სახლი და კავშირგაბმულობის სახლი.

პროსპექტი ბოლოდებუა ნახშირის შრეწველობის სამმართველოს შენობით და რუსთაველის ძეგლით.

რუსთაველის პროსპექტის ეს ახალი შენობები ქართული საბჭოთა ზეოთმოძღვრების განვითარების გარკვეული ეტაპის მაჩვენებელია.

საქართველოს მუზეუმის ფასადი (არქ. ლ. სვეეროვი) ქართული ვროვნული სტილის ძიების ერთ-ერთ პირველ საფეხურს წარმოადგენს საბჭოთა საქართველოს არქიტექტურაში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წლებში არქიტექტურითა წინაშე დადგა ამოცანა, რომ ზეოთმოძღვრების ახალი მანარის გამოხატვით ვროვნულ ფორმებში. აქ-კი, ბუნებრივია, გარკვეული სიმძლეები წარმოიშვა. საჭირო იყო ქართული ზეოთმოძღვრების თავისებურებაში გარკვევა და ისეთი ზიდი პოენა, რომელიც თანამედროვე მშენებლობის ამოცანებს დააკავშირებდა იმ

საფუძვლებთან, რომლებსაც ეყრდნობოდა ძველი ქართული ხეროთომოდლები.

სწორედ ამ საფუძვლების გაეთვალისწინებლობამ არა ერთი და ორი შეცდომა გამოიწვია ახალი თბილისის მშენებლობის პირველ ეტაპებზე. ამოცანისადმი ზერულე მიდგომამ, ძველი ხეროთომოდლებების ძეგლებიდან ამა თუ იმ მოტივების მექანიკურმა გადმონერგვამ მოგვცა ფსევდო-ქართული ხეროთომოდლებების რამდენიმე უბადრეო ნიმუში.

ამიტომ ჰქონდა თავის დროზე (1829 წ.) პრინციპული მნიშვნელობა საქართველოს მეზეუმის ფასადის პრობლემის გადაწყვეტას. არქ. ნ. სვეერიოვი დიდი გულისყურით სწავლობდა ქართული არქიტექტურის ძეგლებს და ამან მას საშუალება მისცა ქართული ფორმები უფრო ვაზარებულად გამოეყენებინა თანამედროვე ხეროთომოდლებში.

მთავრობის სასახლეს მთავარი კორპუსი (არქ. არქ. გ. ლეძევა და ვ. კუკორინი, გ. ნაპარძის მონაწილეობით), რომელიც ამ ხუთიოდე წლის წინათ დამთავრდა, ეროვნულ ფორმებთან ძიების ბევრად უფრო მაღალ საფეხურს წარმოადგენს და მის ხეროთომოდლებში (ავტორების ნიჭთან ერთად) აღბეჭდილია ის გამოკდილება, რომელიც ქართულმა სახეობათა ხეროთომოდლებებამ შეიძინა, შევეთრად ასახულია ის შედეგები, რომლებიც მიღებულია არქიტექტურის ძეგლთა გულდასმითი შესწავლის საფუძველზე.

ქუჩიდან მცირე დახვევა და გრანიტის საფეხურებით შექმნილი სტილობატი ხაზს უსვამს შენობის მნიშვნელობას და საჭირო მანძილს ქმნის მისი ფასადის აღსაქმნელად. ამ ბოლო დროს შექმნილ პატარა კორპებს სეკილია და ქაშეთის ეკლესიის წინ სკვერის სივლით შეაქვთ პროსპექტის ამ მთავარი ნაწილის სურათში, ისინი მთავრობის სახლს მონუმენტური ფასადსათვის თვალათხედვის ახალ წერტილებს ქმნიან. საჭიროა დინერგის სასტუმრო „ინტურისტის“ მეტად დაძველებული შენობა, რის შედეგად ვაფართოვდება მოედანი მთავრობის სახლის წინ და ქალაქის დიდი ნაწილისათვის ცენტრალური ანსამბლის სანახაობა გაიხსნება.

ვაკშირგამბელობის სახლის რეკონსტრუირებული ფასადი (არქ. ი. ჩხეველი) ქართულ სახეობათა ხეროთომოდლებში ეროვნული ფორმის ძიების იმავე პრინციპებს ემყარება, რასაც მთავრობის სახლის მთავარი კორპუსის ფასადი. იგი კარგად ამოლოებს ჯორჯიანუილის ქუჩის ბერსექტივას და თვალსაჩინო ადგილს იჭერს რუსთაველის პროსპექტის მხატვრულ სურათში.

მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის ხეროთომოდლება (არქ. ე. შიუხევი) იყენებს ევროპული კლასიკის ორდერს:

ქართული ეროვნული მოტივები უმთავრესად დეტალების გადაწყვეტაში გამოყენებული. სულტურის ორიგინალური განწყობა ფასადის კომპოზიციაში — დიდი თემატური გორაკიფობისა და ფრანკის სახით — ქართული ხეროთომოდლებების საუკეთესო ტრადიციებზეა დამყარებული.

მიუხედავად იმისა, რომ ინსტიტუტის შენობას აქვია საჭირო თავისუფალი ვარემო, საჭირო სივრცე, იგი მაინც უნდა მივიჩნიოთ რუსთაველის პროსპექტის ანსამბლის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილად.

რუსთაველის პროსპექტი მთავრდება რუსთაველის ძეგლთ და ჯერ კიდევ ნაწილობრივად დამთავრებული საქანაშორის შენობით.

ეს ადგილი ჯერ კიდევ არ არის ხეროთომოდლებულად ჩამოყალიბებული. მართალია, რუსთაველის ძეგლი პროსპექტის უკანასკნელი მონაკვეთის ღერძზეა დადგმული, მაგრამ ძეგლის უკან, მდლობებზე არსებული განაშენიანების ქაოსურობა საგრძნობლად არღვევს სურათის მთლიანობას. საქანაშორის სახლის პომპუზური ფასადი მაღალი კოშკით ოღნაგადაც არ ევრება დღევანდელი მოედნის მცირე ზომებს. გლბაქიძის დაღმართის გასწორებასთან დაკავშირებით ანსებობს ამ ადგილის ძირფესვიანი რეკონსტრუქციის პროექტი, რომლის შემდგომი დამუშავებისა და არსებული ტექნიკური სიძველების გადღაღხვის შემდეგ შესაძლებელი გახდება ქალაქის ცენტრის ამ შერად მნიშვნელოვანი მონაკვეთის ხეროთომოდლებული ორგანიზება.

ამავე ცენტრის შემადგენელ ნაწილად გვესახება მტკვრის სანაპიროების ნაწილი ბარათაშვილისა და სტალინის ხიდების შორის. ევებს ვარეშვა, რომ მტკვრის კალაპოტის მოწესრიგებამ და მის გასწვრივ მუქანე ნარგავების ზოლების მოწყობამ სრულიად შეცვალა თბილისის საერთო სურათი, გაამდიდრა და გაააღიწია იგი. მნიშვნელოვანია, რომ ქალაქის ცენტრის ფარგლებშია მოქცეული სანაპიროების ყველაზე უხედავ გამოყანებული მონაკვეთი, მარქსის ხიდი — თავისი ძველებური თაღებით — დღეს სიმუქანეშია ჩაფლული. სტალინის მონუმენტი, ფართო ხეივანები და ყვავილნარები ხაზს უსვამენ სანაპიროს ამ ნაწილის მნიშვნელობას. მომავალში სანაპიროს ბაღებსა და კომპარტების ხაზს შორის მდებარე განაშენიანება იიღება, რის შემდეგ მუქანე ნარგავების უწყვეტი სისტემა შექმნება რუსთაველის პროსპექტისა და სანაპიროების შორის.

ბარათაშვილის ქუჩის ღერძზე დგას სტალინის სახელობის პარკი. მთავარი შენობა და მის გვერდით — ატვორცილი სატელევიზიო კოშკი. სადაც არ უნდა იყოთ თბილისში ან მის მიდამოებში, ამ ორ ნაგებობას ნათლად დაინახეთ. მშენებარად მოჩანს ისინი თბილისში შემავ-

ლი ყველა გზიდან. პირველი, რასაც დაინახავს თბილისის მახლობელი ადამიანი, სწორედ პარკის შენობა და სატელევიზიო ანთა. სტალინის სახელობის პარკის მთავარი შენობა, რომელიც, ამავე დროს, ფუნქციონირის ზედა საღვურის წარმოადგენს, 1938 წელსაა აშენებული. ამ ადგილის მნიშვნელობა ქალაქის პერიფერიისთვის თავის დროზე ცხარე კამათი გამოიწვია ჯერ პროექტის განხილვისას და, ბოლოს, შვეიცოლოპის განხორციელების შემდეგ.

ავტორებს (ზ. ჭურდიანი, ნ. ჭურდიანი და ა. ვალობუცი) უსაყვედურებენ, რომ მათი შენობა ბრტყლად ყვეთდა მთის მწვერვალს და არ ეგვივებოდა მის მონახულობას. ამ საყვედურში ბევრი რამ ვალაქარბებულია, მაგრამ სავსებით უდავოა, რომ მთაწმინდისა და მის მწვერვალზე დადგმული შენობის სილუეტში გარკვეული ნაკლი იგრძნობოდა; სატელევიზიო კომ-

ქის დადგმის შემდეგ კი პირიორტალურ მშენდ ხაზს და მარტივ რიტმულ დანაწევრებას დაუპირისპირდა მძაფრი და მსუბუქი ვერტიკალი სატელევიზიო კომქისა. ამ დაპირისპირებაში საერთო სურათი გააწონასწორა და სრულყოფილი გახადა. სამწუხაროა, რომ ამ სურათში, თუმცა უმნიშვნელო, მაგრამ მინც საგრძნობი დისონანსი შეაქვთ საბაგირო გზის ნაკვობობებს.

ასეთია ზოგადი მონახაზით დღევანდელი თბილისის ცენტრი, რომელიც იმ შთაბეჭდილების განმსაზღვრელია, რომელსაც ქალაქი ტოვებს მნახველზე.

თბილისის მოგონება თუ გინდა, უმალ წარმოიდგენ რუსთაველის პრისპექტს, სანაპიროებს, მწვანე ქაპაროვით რომ არტყია ქალაქის ცენტრს, და მთაწმინდას — უბეში ჩახტებულ დი პანთონი, რომელიც და ფუნქციონირის ზედა სადგურით, რომელიც, განსაკუთრებით ღამით, ქალაქს მბრწყინავე გვირგვინივით ადგას.

გოგრაი ბეჰანიშვილი



თბილისის წარსული, აწყო და მომავალი

კაცობრიობის ისტორიაში ქალაქს, როგორც დასახლების ერთ-ერთ მთავარ ფორმას, დიდი ადგილი უძირავს.

ქვეყნის ძლიერება და კულტურის დონის ამაღლება ყოველთვის მკაფიოდ იყო გამოხატული ზრდასა და კეთილმოწყობაში. უძველესი დროიდან ქალაქის განვითარების პრობლემა იმურობდა პროგრესული მცდევაარების ყურადღებას.

უდიდესი მოზაროვნების კარლ მარქსის, ფრიდრიხ ენგელსის, ლენინისა და მათი მიმდევარების ნაშრომებში მოპოიება საინტერესო მონახარებანი ქალაქის შესახებ.

საუკუნეთა მანძილზე ქალაქი თანდათან იცვლის თავის სახეს, დაკავშირებათ იმ საზოგადოებრივ ფორმაციასთან, რომელშიც ის ეითარდება; აქედან წითელია, რომ ქალაქებს, ცოცხალი ორგანიზმის მსგავსად, ჩასახვისა და დაარსების თარიღი აქვთ.

წარსულში ქალაქები უცხად არ იქმნებოდნენ. ისანი ვითარდებოდნენ დასახლებული პუნქტებიდან, ხელმეწყოზ ფაქტორებთან დაკავშირებით. პუნქტიოვია, რომ ყველა ქალაქის დაარსების თარიღი საზეიმო ვითარებაში აღინიშნება, ასე მგალითად: 1947 წლის 4 აექტემბერს საბჭოთა კავშირის მშრომელებმა ზეიმით აღნიშნეს ქალაქ მოსკოვის დაარსებიდან 800 წლისთავი; 1951 წლის ივლისში საფრანგეთში

იზეიმა პარიზის დაარსების 2000 წლისთავი; 1951 წლის ნოემბერში საბჭოთა ლატვიის მშრომელებმა აღნიშნეს თავის რესპუბლიკის დედაქალაქის რიგის არსებობის 750 წლისთავი; 1953 წლის ივნისში შვეციის დედაქალაქ სტოკჰოლმა აღნიშნა თავისი არსებობის 700 წლისთავი. ლენინგრადის მშრომელებმა 1957 წლის ივნისში აღნიშნეს ქალაქის 250 წლისთავი.



ამ შემთხვევაში ჩვენ აღნიშნავთ თბილისის 1500 წლისთავს, როდესაც თბილისი საქართველოს მეორე სატახტო ქალაქად იქცა მსებეთასთან ერთად.

თბილისი მსოფლიოს უძველეს ქალაქთაგანია. არქეოლოგიური მონაცემები მოწმობენ, რომ თბილისის ტერიტორია დასახლებული ყოფილა ჯერ კიდევ ჩვენ წელთაღრიცხვამდე. ყველაზე ადრინდელი, ჩვენ დრომდე მოღწეული, ცნობა ქალაქ თბილისის შესახებ გეოთენის 368 წელს, როდესაც საქართველოს (იბერიის) სატახტო ქალაქად ჯერ კიდევ მსებეთა იყო. ძველი ქართული მატთანე „მოქცევაი ქართლისაი“ 368 წლისთავის მოვუთხრობს, რომ იბერიის მეფის ვარაზ-ბაქურის დროს „მოვიდა სპარსთა მეფისა პატიაზნი ტფილითჲ ქალაქად იცხედ და ქართლი მისსა ხარკსა შეუდგა“...

ამ ცნობიდან, რომელიც დაუცავს უძველეს ქართულ მატარებს და რომლის სინამდვილეში დამკვიდრება არ შეიძლება, ირკვევა, რომ 368 წელს თბილისი უკვე არსებობდა არა როგორც უბრალო დასახლებული პუნქტი, არამედ როგორც ციხე-ქალაქი.

საქართველო უძველეს კულტურის სამყაროს გუთუნის, საქართველოს უძველესი სატაქტო ქალაქი მცხეთა იყო. მასთან შედარებით თბილისის მიდამოებს, გარდა სტრატეგიული მნიშვნელობისა, შემდეგი უპირატესობა აქონდა:

- მშენიერი ბუნება და კარგი ტერიტორია;
- კარგი კლიმატური პირობები;
- წყაროები მდინარე, მტკვარი;
- ევირო კლდოვანი კალაბოტი მტკვარზე (მეტეხთან) ხიდის ასაგებად.
- დიდი სტრატეგიული გზების გადაკვეთა—ჯვარედინი;
- ცხელი სამკურნალო წყაროები.

ძველი ქართული წყაროს ცნობით, სახელგანთქმული ქართველი მეფე ვახტანგ გორგასანლი, ვარსაზ-ბაყურის მეფეებს თაობის შთამომავალი „ამუნებდა ქალაქსა თბილისსა“, ხოლო მისმა შვილმა დარამ (მე-6 საუკუნის პირველი წლები) განასრულა ზღუდენი ტფილისისანი“.

როგორც ზემოთაღნიშნული ჩანს, გორგასანლს მიუღია ისტორიული მნიშვნელობის გადაწყვეტილება საქართველოს პოლიტიკურ ცენტრად გაეხადა ციხე-ქალაქი თბილისი, რომლის წინააღმდეგაც უპირატესად მიმართული იყო გარეუცე ძალის აგრესია, ვახტანგს დიდი მუშაობა გაუჩაღებდა თბილისის სატაქტო ქალაქად შეზადებისათვის. მაგალითად, ამ დროს აუშენებია არა მარტო ზღუდე ძველი დანგრეული აკროპოლისა, არამედ დაუწყია მშენებლობა დიდი ზღუდე-გალავანისა, რომელსაც თავის ფარგლებში უნდა მოექცია მთელი ქალაქი-თბილისი. ვახტანგ გორგასანლის მეფობა იწყება, ტრადიციული ქრონოლოგიის თანახმად, 446 წელს და გრძელდება 502 წლამდე. ამ ეპოქაში თბილისის მნიშვნელობას ის მოწმობს, რომ მე-5 საუკუნეში არსებობდა საეპისკოპოსო. ამ დროიდან თბილისი არის საქართველოს პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ცენტრი, მისი უდიდესი სავაჭრო-სახელოსნო ცენტრი. ამ დროის ცნობა თბილისზე ეკუთვნის მე-6 საუკუნის ბიზანტიელ ისტორიკოსს თეოფინეს, რომელიც სპარსთა წინააღმდეგ ქართველთა 571 წლის აჯანყების გამო ამბობს, რომ „თბერთა დედაქალაქი იყო თბილისი“.

ჩვენა დედაქალაქის — თბილისის შემდგომი ისტორია განსაკუთრებით მდიდარი და რთულია.

მრავალჯერ დანგრეულა და აღდგენილა თბილისი. მაგრამ აქ მოხატულია არასდროს

არ მოსპობილა. მისი ციხე-სიმაგრის კედლები, უბნები, ქუჩები, მტკვრის სანაპიროები მრწყე-ქართველა ხალხის გმირობისა, ხალხის, რომელიც საუკუნეების განძირულ თავდასწირულად იბრძოდა თავისი დამოუკიდებლობისათვის.

ქალაქი ძველი ბერძნული მითოლოგიური ფრინველის — ფენიქსის მსგავსად ცოცხლდებოდა და ვითარდებოდა ქართველმა ხალხმა თბილისი დიდი სიყვარულით შემოსამასხე ამბობდა:

„ენტარა ქება როგორ ითქმის ამ თბილის-ქალაქისაო, ზამთარი იცის ბროლისა, ზაფხული ზურჩხტისაო“.

ხალხს თბილისი მიველ ციხე-სიმაგრედ მიახნდა, მისი ცხელი გოგირდოვანი წყაროები — უკვდავების წყაროდ.

მრავალ ენაზეა შემკული და აწერილი თბილისის აბანოები.

ერთ-ერთი ხალხური ლექსი ვაუწყებს:

„ქალაქის აბანოები ბადალი ზმელეთისაო, ძირიდან ამუნებულა აუზები აქვს ქვისაო. ენც შევა, აგრე გავიხდის, როგორც თოვლიან მთისაო, ქალი და რძალი გამოდის, ვთა ვვავილა ხისაო“.

ისტორიული მონაცემის საფუძველზე, მოსახლეობა თბილისის აბანოების მიდამოში (წყაროსუბანა) ჩნდება (ქვედან მიიღო ქალაქმა თავისი სახელწოდება „თბილისი“). ამიტომ იყო, რომ უძველესი დროიდანვე ამ უბანს „თბილისი“ ეწოდებოდა.

ბუნებრივია, რომ აბანოები, რომლებიც აქ არსებობდნენ, მეფის სავანეგეო მზრუნველობის ქვეშ უნდა ყოფილიყო. წინათ აბანო მარტო საბანაოდ არ იყო განყოფილი, მას დიდი საზოგადოებრივი დანიშნულება ჰქონდა. იქ ბანაობასთან ერთად, ხდებოდა სხეულის დაზღუვა, სამკურნალო პროცედურები, ტანზე თმის ზელოვნური დაცემა, პურმარლის მიღება; აქვე წუდებოდა კომერციული საქობები, შეთანხმებები და სხვა. მთელი დღის განმავლობაში აბანოში იწვოდა საკელი, რომელიც კარგ სურნელებს აფრებდა აბანოს დარბაზებში. იქვე უკრავდა საამერი მუსიკა. ამიტომ აბანოები ყოველთვის ღია იყო და ხალხს გათენებამდე შეეძლო შეიგ ყოფნა, ისე როგორც სასტუმროში.

ამით ახსენება ის გაჩაჩოება, რომ თბილისის აბანოები ძალზე განთქმული იყო როგორც აზიის. ისე ევროპის ქვეყნებში.

აბანოების მშენებლობასთან ერთად, საქირო იყო ცხელი წყლის შეყვანა აუზებში, ანუ წყალსადენის მოწყობა, წყლის გამოყვანა იწუ

კანალიზაციის მოწყობა. ამანოებში, აგრეთვე, საქარო იყო ცივი წყლის მოწყობა როგორც სასმელად, აგრეთვე გასაგრილებლად. აქედან გამომდინარე, უძველესი დროიდან ამანოებში მოწყობილი წყალსადენი და კანალიზაცია კომუნალური და საინჟინერო ტექნიკის ჩანასახად უნდა ჩაითვალოს ქალაქ თბილისში. ამის საფუძველზე უნდა მოწყობილიყო წყალსადენები სასახლეებში, ბაღებში და სხვ.

ამანოების მშენებლობის განვითარებამ თბილისში წარმოშვა საცხოვრებელი სახლი — დარბაზი. თბილისში განვითარდა აივნები, როგორც სახლის განუყოფელი ნაწილი. საქართველოს დედაქალაქ თბილისს შემთხვევით როდი უწოდებენ მრავალიაიანი ქალაქი. განსაკუთრებით საინტერესოა აივნები მხატვრულ-არქიტექტურული თეატრალისით; ისინი მდიდარ მასალა წარმოადგენდნენ ხალხური ხუროთმოძღვრული შემოქმედებისათვის.

სახელგანთქმული რუსი მწერალი ა. ს. გრიბოედოვი თავის მოხსენებაში „ბარათი თბილისის ახალი მშენებლობის უკეთ წარმართვისათვის“ 1827 წლის ივნისში, სხვა ღონისძიებებთან ერთად, აღნიშნავდა:

„არათუ არ შეუშალით ხელი, არამედ უნდა მოუწოდოთ კიდევ სახლის პატრონს, რომელსაც სურს იქონიოს დახურული აივნები ანდა ხის შეშაბანდი სახლის გარშემო“.



ყველაზე ბრწყინვალე ხანა თბილისისათვის მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს დადგა. შემთხვევითი არაა, რომ ამ ეპოქაში, მთელი ხალხის შემოქმედებისა და კულტურის მქალაქი აღმოაჩინოს პირობებში, შესაძლებელი გახდა გენიალური ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ პოემის დაწერიდან 750 წლისთაის აღნიშვნა 1937 წელს და ამჟამად თბილისის დედაქალაქის 1500 წლის იუბილე.

ზოლშევიცერმა პარტიამ, საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოს მშრომელი მასები ჩააბეს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დიად საქმეში.

საბჭოთა ხელისუფლებმა მკვეთრად შეცვალეს საბჭოთა კავშირის ხალხთა ეკონომიკური პირობები, აამღლეს კულტურული დონე და მოუპოვეს მათ ბედნიერი, სამშური ცხოვრება.

თბილისის პარტიული ორგანიზაციის შეიქმნეებითი ენერჯია, პირველყოფისა, მიმართული იყო მუშათა რიონების კეთილმოწყობისა და მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისაკენ. ქალაქის განაპირა უბნებმა უმაჯალიყოლ იცვალა სახე, აღიპარათა ფაბრიკა-ქარხნების კორპუსები, აშენდა ახალი დიდი საცხოვრებელი ახ-

ლები, სკოლები, საავადმყოფოები. მანამდეო ბაგები და სხვა ნაგებობები, გაყვანილია ქუჩები, აგებულია ხიდები და სხვა ნაგებობები ნაგებობანი, მოწყობილია პარკები და პარკები.

დედაქალაქის მცხოვრებნი ჩვენს მიღწევებს მშობლიური ქალაქის მაგალითზე ხედავენ. მართლაც, ევლარ იცნობთ ლენინის სახელობის რაიონს, რომლის მთავარ, ძველ ნაწილს, წარსულში აგდებულად „ახალციხეს“ („ახალციხე“) უწოდებდნენ. მართლაც, აქ ყოველგვარი გვემის ვარემე აგებული იყო პატარა სახლები, ქოხები, ვიწრო ქუჩები, რომლებიც დამით გუნათებელი იყო და, თანაც, მოწყვეტილი ქალაქის ცენტრს, — ასე გამოიყურებოდა წარსულში მოწინავე მუშათა უბანი.

ამჟამად ეს რაიონი, სადაც უმთავრესად რკინაგზალები ცხოვრობენ, სრულიად შეცვლილია. საკარნობლად გაფართოვდა მისი ტერიტორია, მუშებისათვის აშენდა სანამუშაო სახლები, გაგანიერდა და მოასფალტდა ქუჩები; დაირგო მწვანე ნარგავები, მისი კვარტალები ცენტრთან დაკავშირებულია ტრამვაით, ავტობუსებით, რაიონის ტერიტორიაზე მდებარეობს სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-გაგონშემკეთებელი ქარხანა, კიროვის სახელობის დზგაომშენებელი ქარხანა, ელმავალშენებელი ქარხანა, შამანოვობინატ, ჩიის გადამწონი ფაბრიკა, კონიაკის ქარხანა, პლასტმასის ქარხანა, მეტალურგიის, ქაშიურაი, საფეიქრო, ქსოვილის, მუსიკალური ინსტრუმენტების და მთელი რიგი სხვა ახალი საწარმოები.

ამ რაიონის ფაბრიკა-ქარხნების პროდუქცია საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთაც გადის.

მრეწველობის დარგში ლენინის რაიონს თბილისში წამყვანი ადგილი უკავია.

დიდებუ-მუშათა რაიონი, ოდესღაც ოკრობოკრო, მოქვირწყლავი ქუჩებით — საბჭოთა ხელისუფლების დროს გარდაქმნა და ქალაქის კეთილმოწყობილი უბანი გახდა. დიდებუში არსებული მუდლის ქარხანა „საბჭოთა საქარო-ველო“ ცნობილია მთელ საბჭოთა კავშირში. აქ გაჩნდა რკინიგზის დიდების სადგური, რძის კომბინატი და მთელი რიგი ახალი ქარხნები: ლითონის კონსტრუქციის, ხილის წყლის, პურის, ელექტრომექანიკური, ასფალტბეტონის და სხვა ახალი წარმოებები.

ევლარ იცნობთ დღეს მეორე განაპირა უბანს — ვაჟს, სადაც ადრე ობლად ორი შენობა იდგა: ქართული გიმნაზია და სასულიერო სასწავლებელი. აქ გაყვანილია ფართო, მოსაფალტებული, მწვანე ნარგავებით გაშვენიერებული ილია ქავეჯაიძის სახელობის პრისპექტი, რომლის ორენე მხარეს წარმოიშვა არქიტექტურულად ლამაზად გაფორმებული საცხოვრებელი სახლების გრანდიოზული კვარტალები, აგებულია საავადმყოფოს დიდი კორპუსები და მთელი რიგი სამეცნიერო და სასწავლო დაწე-

სებულებათა შენობები. ქუჩის ანსამბლი დღით-დღე მშვენიერდება.

ამ პროსპექტის საბაჟო წარმოადგენს ვაკის ახალი პარკი მთელი რიგი საინჟინერო ფიზკულტურული ნაგებობით. ეს პარკი გაშლილია 180 ჰექტარზე და მნახველთა აღტაცებას იწვევს; პარკის სიღამაზეს ხელს უწყობს რელიეფური ტერიტორია.

ვერაზე, მელიქიშვილის ქუჩა 13 მეტრიდან გაფართოვდა 30 მეტრამდე. რეკონსტრუირებულ ქუჩაზე აგებულია არქიტექტურულად ლამაზად გაფორმებული შენობები. მათ შორისაა ახალი კეთილმოწყობილი სასტუმრო „საქართველო“.

ვაკის მომიჯნავე რაიონი — საბურთალო, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ დაქობებულ ტალ მიდამოს წარმოადგენდა, აქ-იქ გაფანტულ ერთსართულიანი ქობნაებით, დააგეგმა და გაშენდა დიდი საცხოვრებელი სახლებით, მთელი რიგი სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებათა შენობებით, რომელთა შორის გამოირჩევა ვ. ი. ლენინის სახელობის რკინიგზის ინჟინერთა ინსტიტუტის, კროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის და სხვა სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებათა კორპუსები.

ამჟამად საბურთალოში წარმოებს მსობრივად საცხოვრებელ სახლების, დაწესებულებათა კორპუსების მშენებლობა, რაც ახლი მომავალში ძირფესვიანად შეცვლის საბურთალოს რაიონის გარეგნობას.

თბილისის 1500 წლის იუბილესთან დაკავშირებით წარმოებს ვაკე-საბურთალოს დამაკავშირებელი ქუჩის მშენებლობა.

საბურთალოს ის ნაწილი, სადაც ვაჭრთა მოედანია, ასბინიანი საცხოვრებელი სახლით, ციხის შენობით, ზოოპარკით, ვარაზისხევის ქუჩით და სხვა — ქალაქის ერთ-ერთი ულამაზესი კუთხეა.

გოგირდის ცხელი სამკურნალო წყაროების უბნის შეთავაზებით 1937 წლის ნოემბერში მწყობრში ჩადგა თანამედროვე ტიპის პირველი დიდი საბაზაზო შენობა, რომელიც ურჩადლებს იზერობს თავისი არქიტექტურული გაფორმებითა და კეთილმოწყობილობით, რაც თანამედროვე მედიცინის ყველა მოთხოვნებს ასრულებს.

ამ უბნის რეკონსტრუქციის სამუშაოები მართკ ბალნეოლოგიური საბაზაზონით როდი განისაზღვრება. გაშენდა 300 არაგველის სახელობის ლამაზი პარკი, მეტეხის ძირში (ორ ძველ ხიდს შორის). აშენდა ახალი რკინაბეტონის ხიდი. ორთაქალაში მტკვარზე აშენდა ახალი კომუნალური მიდროელექტროსადგური. კაშხალის აგებით მდინარის დონემ ორმეტრით მეტრით აიწია, რაც შესაძლებელს ხდის მიდა-

საქალაქო ნაოსნობის მოწყობას ორთაქალიდან სტალინის სახელობის ხიდამდე.

გარდა ამისა, მიდროელექტროსადგურიდან განსათავსებელია რეკონსტრუირებულია ვახტანგ გორგასალის სახელობის ქუჩა, განხორციელდა საკანალიზაციო კოლექტორების მშენებლობა და მათი საშუალებით საკანალიზაციო წყლებით ქალაქართ გაყვანა.

გათართოვდა და ხელახლა დააგეგმა ივანე-ბრის და ნავთულის მთელი ტერიტორია. ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის ფართო აღმართი (ყოფილი ციციანოვის აღმართი) საშუალებას აძლევს ნავთუღდავლობის მოსახლეობას, ქალაქის ცენტრს დაუკავშირდეს, ხოლო ოქტომბრის და სტალინის რაიონებთან დაკავშირებულია სხვადასხვა სახის გულმჯობესებული ტრანსპორტით.

დღეს ოქტომბრის რაიონის მთავარი ნაწილი რადიკალურად შეცვლილია. ამჟამად აქ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებია აშენებული.

მტკვარის მარცხენა სანაპიროზე აგებულია და კიდევ შენდება ლამაზი სახლები. ისტორიას ჩაბარდა ძველი ქობნაები, პრიმიტიული სამხეჩარაგები და ზანტად მშრუნავი წყლის წისქვილები.

სამუთია საქართველოს დედაქალაქი სურათად იზრდება და ლამაზდება.

მოაშენილიდან მოჩანს განახლებული ქალაქის წარმატო პანორამა.

თვით მოაშენიდას პლატო, არც ისე დიდხნის წინათ უდაბური და უწყლო ადგილი, გადაიქცა თბილისის მშრომელთა ერთ-ერთ ყველაზე სავაჭარელ კუთხედ — სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკად.

პარკს აშენებებს მთავარი შენობა, რომელიც მოპირკეთებულია მარმარილოთი და გრანიტით. მის არქიტექტურულ სახეში ნაციონალური ქართული მოტივები პარმონიულად ფრწყმის სიხარულის გრძობების გამოხატვის.

თბილისის 1500 წლისათვე განაპირა უბნების ზრდა-განვითარებასთან ერთად გაღამაზდა და ძირფესვიანად შეიცვალა ქალაქის ცენტრალური ნაწილიც.

ქალაქის ცენტრში მდებარეობს ვ. ი. ლენინის სახელობის მთავარი მოედანი. აქ აღმართულია სამუთო სახელმწიფოს დამარცხების ვ. ი. ლენინის ძეგლი. ბევრს უკრთ კიდევ ასოვს მოედნის წინანდელი სახე, როცა მის ცენტრში იდგა ქარავასლის შენობა, რაც ზღუდადა მოძრაობას და ამბანჯეებდა მთლიან ანსამბლს.

ლენინის მოედნიდან იწყება რუსთაველის პროსპექტი. მის აშენებებს მთელი რიგი არქიტექტურულად გაფორმებული ნაგებობანი. მთავრობის სასახლე. მარქს-ლენინის ინსტიტუტის ფილიალი, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე, რუსთაველის სახელობის დრამატული თეატრის, სასტუმრო „თბილისის“ და სხვა შენო-

ბები. მშენებ ნარგავები და უცვლილარი წარმტაც შთაბეჭდილებას ტოვებს მნახველზე.

თბილისის იუბილესთან დაკავშირებით მშენებლობის პროექტშია სამგზავრო სახავირო გზა, რომელიც შეაერთებს რუსთაველის მოედანს სტალინის სახელობის პარკთან შთაქმინდაზე.

უცვლავ გრანდიოზული, რაც კი თბილისში სოციალისტური რეკონსტრუქციის წლებში შეიქმნა, ეს არის სტალინის სახელობის მარჯვენა და მარცხენა სანაპირო.

სანაპიროების აგებით გადამწყდა სერაიოზული ტექნიკური პრობლემა, რასაც ქალაქისათვის უდიდესი ეკონომიური და სავაჭვარო მნიშვნელობა ჰქონდა.

სანაპიროს აგების საკითხი წარსულშიაც ბევრჯერ დასმულა ქალაქის თვითმმართველობის სხდომებზე, მაგრამ ამის განხორციელება მხოლოდ ჩვენს ეპოქაში გახდა შესაძლებელი.

სანაპიროების მშენებლობასთან ერთად, მდინარე მტკვარზე აიგო რკინა-ბეტონის ლამაზად გაფორმებული ხიდები, ჩელუსკინელების, სტალინის სახ. მეტეხის (ორთავალესთან) და ქალაქის განაპირა ნაწილი — დიდუბისა. ამ სამშენებლო ნაბიჯებთან დაკავშირებით ბოლო მოეღო გ. წ. „მადლიოვის კუნძულის“ არსებობას, რომელიც უსუფთაოების კერას წარმოადგენდა. ამჟამად აქ მშენებერი პარკია გაშენებული. ამ პარკის ზემო ნაწილში აღმართულია თეთრი ქვისაგან გამოკეთილი სტალინის ძეგლი, რომელიც გაიხსნა 1939 წლის 21 დეკემბერს.

რეკონსტრუქციის შედეგად უკანასკნელ წლებში დიდად გაუმჯობესდა ვაკზლის მოედანი, ოქტომბრის ქუჩა, ჩელუსკინელების ქუჩა, პლენაროვის პროსპექტი, ბრძოლის, ტელმანის, საბუკის ქუჩები და სხვ. „დინამოს“ სტადიონი, რომელიც თავისი მთავარი ფასადით გამოდის ტელმანის ქუჩაზე, ერთ-ერთი უცვლავ დამახასიათებელი შენობაა თბილისში.

ქალაქის ზრდასთან ერთად, დღითიდღე იზრდება და უმჯობესდება ქალაქის კომუნალური მეურნეობის სხვა დარგებიც, როგორცაა წყალსადენი, კანალიზაცია, ელექტროგანათება, ტრანსპორტი გაშენება და სხვ.

დიდი ქალაქისათვის, როგორც თბილისში, წყალსადენის მოწყობის საკითხი დიდ პრობლემას წარმოადგენს. როგორც ცნობილია, თბილისი წინათ არ იყო უზრუნველყოფილი არც სასმელი, არც სასაწყავი წყლით. შემორჩენილია ისტორიული საბუთები, საიდანაც ჩანს, რომ აჭერი მოსახლეობა ძველად ხმარობდა წვევისისა და სოლოლავის წყალს.

მე-18 საუკუნის ისტორიკოსის ფ. ვორგიჯანის ცნობით, ვიცით, რომ სოლოლავის წყალი ქალაქში, თბის მილბთან ერთად, ხის ღარებითაც შემოდოდა. გეოგრაფის ვახუშტის

ცნობით, საბურთალოს ველის მოსარწყავად აუთალა რე ვერიდან მოტანდოდა მკალაქის სიმკერის მიხედავად, წყალზე შედგენილ ბრძანებით, ზუსტად აწარმოებდნენ და საამისოდ სავანგებო მოხედელები დაწინაწავთ.

მე-19 საუკუნის ნახედიდან, რაცა დაიწყო თბილისის სწრაფი ზრდა, ქალაქის წყლით მომარგება მდინარე მტკვარით ხდებოდა. ზოგიერთებს დღესაც აბსოვთ ზვეწში ძველი „თულუხები“, რომლებიც ხის კასრებითა და ტყავის გუდეებით კარდაკარ დაატარებდნენ მტკვრის წყალს; მიხედავად ამისა, რომ მოსახლეობა ამ წყალს შაბით წმენდდა, იგი მაინც არ იყო პიგენერი.

მე-19 საუკუნის 60-იან წლებში თბილისის წყლით მომარგების საკითხი კიდევ უფრო გაშევადა და 1861 წელს აგებულ იქნა კერძო წყალსაქაი (ე. წ. ყორღანოვის „წყალსადენი“), რომელიც მტკვრის წყალს აწოდებდა რუსთაველის პროსპექტსა და მის მომიჯნავე ქუჩებს. წყალსაქაის საშინაო შენობა მოთავსებული იყო მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, აღმადნად სტალინის სახელობის ხიდის ქვემოთ. აქედან წყალი თუჯის მილებით აღიოდა რეზერვუარში, რომელსაც ხისაგან გაცეთებული ორი განყოფილება ჰქონდა. წყალი რეზერვუარიდან ლითონისა და თბის მილებით მიედინებოდა ქალაქში. 1888 წელს ყორღანოვის წყალსადენი დღე-ღამეში 44600 ვედრო წყალს აწვდიდა მოსახლეობას. 1887 წლის 17 ნოემბერს მტკვარსა და ყორღანოვის წყალსადენიდან ერთდროულად აღებული წყლის ნიმუშების ანალიზში, დადასტურა რომ ყორღანოვის წყალსადენიდან ამოღებული წყალის ქაიბერი ბაქტერიოლოგიური შემადგენლობა მდინარის წყალზე გაცილებით უარესი იყო, რომ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში ცნობილი საზოგადო მოღვაწის დ. ყიფიანის ინიციატივით ქალაქის გამგეობამ დაიწყო საიბებო სამშეოები ისეთი წყალსადენის ასაგებად, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა ქალაქის უზრუნველყოფა ხარისხოვანი სუფთა წყლით.

კვლევა-ძიების შედეგად ქალაქის გამგეობა შეჩერდა ავქალის წყაროებზე. 1885 წლის მარტში დაიწყო სამშენებლო სამუშეოები, რაც ორნახევარ წელშიადას ვარძელდა. 1887 წლის სექტემბერში წყალსადენი მწყობრში ხადდა. ის იყო კავკასიაში პირველი საქალაქო ნაგებობა.

ავქალის წყალსადენის ამუშეებიდან თითქმის ოთხი წლის შემდეგ თვალსაიხრო გახდა, რომ წყალი მაინც არ იყო საკმარისი ქალაქის მოთხოვნილების დასაცმყოფილებლად. აღსანიშნავია 1892 წელს კომისიის შემოაბო თბილისის წყლით მომარგების გასაუმჯობესებლად. კომისიაში მონაწილეობდნენ ცნობილი საზოგადო მოღვაწეები, ქალაქის თვითმმართველობის ხმისხედი: ე. მაჩაბელი, ნ. ნიკოლაძე, დ. სარაჯიშვილი,

ნ. ცხევაძე, გ. ქართველიშვილი, ვ. მიქელაძე და სხვები. თბილისისთვის დაიწყო უფრო საიმედო წყაროების ძებნა. უფროდღებან იყარბდა ეიწვალის, ბულაჩაურის, წალკის, ნატატარისა და სავტრამოს წყაროები. მაგრამ ქალაქის ბელმძღვანელთა დაინტერესებლობამ და ქალაქის ზაზინის სიღარიბემ შეუძლებელი გახდა წყაროების შესწავლა და მძლავრი წყალსადენის აგება. წალკის წყალსადენის პროექტი, რომელიც 1904 წელს მიუწვენიელმა ინჟინერმა ი. მეიმა შეადგინა, ქალაღზე დარჩა. დავაყოფილდნენ ავქალის წყალსადენის გაფართოებით. აგრეთვე, განუხორციელებელი აღმოჩნდა ნატატარისა და ბულაჩაურის წყაროების წყალსადენების პროექტი.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს დაიწყო რეალურად ახალი წყალსადენის აგების საფიხი.

1921-29 წლებში სამიებო სამუშაოების გულდასმით შესრულების შემდეგ, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ცნობილი ინჟინრები ლ. დიასამიძე და გ. ზინანიშვილი, ახალი წყალსადენის ასაგებად ნატატარის წყაროებზე შენერდნენ. 1930 წელს დაიწყო ნატატარის წყალსადენის მშენებლობა. პარტიის, მთავრობის, დახმარებით 1933 წლის 1 აგვისტოს წყალსადენის პირველი რიგის სამუშაოები დამთავრდა და იგი ექსპლუატაციაში გადაეცა ქალაქს. უძველესმა ქალაქმა თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე პირველად მიიღო ნანატრი სუფთა წყალი. ეს დღე სამუდამოდ აღიბეჭდა თბილისელთა მეხსიერებაში.

ნატატარის წყალსადენის პირველი რიგის

მშენებლობის დამთავრების შემდეგ შესრულდა მეორე რიგის სამუშაოები. მას შემდეგ თბილისისში აგო, აგრეთვე, ორთქვალის, ქვუთხაურის, სამგორის, ასალი წყალსადენები, გაუმჯობესდა ძველი ავქალის წყალსადენის მუშაობაც. ამჟამად გაათვალისწინებულა ქალაქში წალკის წყლის გამოყენება.

ბევრი ისტორიკოსი და მოგზაური აღწერის სახელგანთქმულ ხეხილის ბაღებს, რომლებსაც დიდი ფართობი ეკავა როგორც თვით დედაქალაქში, ისე მის გარშემო.

ახლა ქალაქში თითქმის არ მოაპოვება ისეთი რაიონი, რომელსაც თავისი კულტურისა და დასვენების პარკი არა ჰქონდეს.

თუ თბილისზე ბევრი რამ თქმულა, ბევრი რამ დაწერილა ამ საუკუნედი ქალაქის შესახებ, ეს იმიტომ, რომ მისი სახელი აღრიდანვე ვასცლა საქართველოს ფარგლებს, და შემოხვევითი არაა ის აზრები, რომ მისით დაინტერესებული ბევრი მოგზაურისა და უცხო პირივნებისთვის ახალი ფურცელი გადაეშალა.

თბილისში მოდის ათასობით ტურისტი, შინაური თუ უცხო სტუმარი, ისინი თბილისში მიღებული ღრმა შთაბეჭდილებებით კმაყოფილი ბრუნდებიან თავიანთ სამშობლოში.

თბილისის წინაშე კიდევ ბევრი ამოცანებაა დასაბული, საჭიროა მეტი საცხოვრებელი ფართობი, სასმელი წყალი, გამწვანება და მრავალფეროვანი ტრანსპორტი.

თბილისი თავისი არსებობის 1500 წლისთვის ახალ-ახალი გამარჯვებითა და მიღწევებით ეგებება.

კირილ ზეანძვირი



თბილისის მხატვრების შემოქმედებაში

უხსოვარი დროიდან არსებობდა თბილისისში სახეთი ხელოვნება. ძირითადად ეს იყო საეკლესიო ფრესკები და სამეფო სასახლეების ფერწერა. საქართველოს მტრების გაჟღმებულმა ბარბაროსულმა თავდასხმებმა ვანადგურეს თბილისის თითქმის ყველა სასახლე და ნაწილობრივ ეკლესიებიც. ჩვენამდე მოაღწია ანონისტატის ეკლესიამ (მე-17 ს.), სადაც შენარჩუნებულია ორნამენტი, შესრულებული სკრაფიტო.

რუსეთთან შეერთების შემდეგ ხელახლა აღორძინდა მხატვრული ცხოვრება თბილისში. ამ დროიდან შეგერჩა ანონიშური მხატვრების ნაწარმოებები. ესენი იყენენ უპირატენ-

ზო, ჩემი ფერწერლები (მე-19 საუკუნის დასაწყისი). რომელნიც სიყვარულით და მგრძობიარედ ხატავდნენ ნატურას — მოქალაქეები, ქალები, ბავშვები, მხედრები, თავადები და სხვ. ძველბურ ტანსაცმელში გამოყვობილნი ზეიმური პოზით დგანან მოდელები მკურებლის წინ. ამ დროს ცნობილი იყენენ მხატვრები ოენათამიშვილის ოჯახიდან, მათგან პორტრეტისტი ავაფონ ოენათამიშვილი (1815-1893) ბრიულოვის მოწაფე იყო, თანდათან ჩნდებიან პროფესიონალი მხატვრები, რომელნიც თავიანთი ოსტატობით ხელს უწყობდნენ ქართული ფერწერის განვითარებას.

გასული საუკუნის 50-იან წლებში დიდი

სახელი მოიხვეჭა გრიგოლ მაისურაძემ (1814-1885). იგი აღქვანდრე ქავეკვიას უმა იყო, პოეტმა შეამჩნია მისი მიდრეკილება მხატვრობისადმი, ვაგზავნა პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში, სადაც ტარსა შეეჩვეყნათან ერთად სწავლობდა ბრიულოვთან. (აკადემია დაამთავრა 1844 წ.). სამშობლოში დაბრუნებულმა მაისურაძემ შეასრულა მთელი რიგი ფსიქოლოგიურად მძაფრი პორტრეტები, სადაც აღბეჭდა თავისი დროის გამოჩენილი პირები.

რომანოვ გველესიანი, აღქვანდრე ბერიძე, დ. გურამიშვილი ხატავდნენ ჰუმანიზმისა და დემოკრატიზმის სულით გაჯღნთილ ნაწარმოებებს, რითაც გაამდიდრეს ქართული ფერწერა. მათ მიერ შესრულებულ პორტრეტებს ეპოქის დოკუმენტების მნიშვნელობა ენიჭებოდა.

ამავე დროს თბილისში მოღვაწეობდა რამდენიმე რუსი მხატვარი. მათ, ქალაქის სილამაზითა და თავისებურებით მოხიბლულებმა, შექმნეს მრავალი სურათი და ჩანახატი თბილისის ადგილებსა და ტიპებსა. გრიგოლ ვაგარინი (1810-1893) ყველაზე ცნობილია მათ შორის. ხაზის შესანიშნავი ოსტატი ვაგარინი ხატავდა ნარიყალის, მეტეხის, შაიხანის, ორთაქალის ბაღების პანორამებს, ყოფა-ცხოვრებითს სცენებს, ტიპებს, ლამაზი ქალების პორტრეტებს. ყველაფერი ეს ლიტერატურის წესით გამოიცა ალბომის სახით 1857 წელს (Caucase pictoresque). ვაგარინმა შეასრულა აგრეთვე სიონის ტაძრის ფერწერა, აქ მან გამოიყენა ქართული ფრესკების შოტივები. საინტერესოა მისი ესკიზები თბილისში თეატრის შერობის ასაგებად. თეატრი გაიხსნა 1851 წ. ვაგარინმა ამ თეატრის შინაგანი გაფორმება და ყველა სამხატვრო სამუშაო შეასრულა.

უნგრელი მხატვარი მიხეილ ზინი (1829-1906) მოღვაწეობდა თბილისში 1880-1888 წლებში. აქ ზინიმ შეასრულა „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები, აგრეთვე თბილისის ტიპაჟისა და ადგილების ჩანახატები. გერმანელი მხატვარი ფრანკენი აეტორია დიდი ტოლოსი — „თბილისი ორთაქალის მჭრიდან“. რუსი მხატვრები ლაგორიო და აივაზოვსკი აღტაცებული იყვნენ თბილისით და რამდენიმე სურათი უძღვნეს ჩვენს ქალაქს.

მეტროპოლიტ საუყუნის მეორე ნახევარში უფრო გამდიდრდა ქართველ მხატვართა ნაციონალური კადრების მოღვაწეობა. ნიჭიერი ახალგაზრდობა უმადლეს მხატვრულ განათლებას ღებულობს პეტერბურგში, მოსკოვში, მიუნხენში, პარიზში. საქართველოში დაბრუნებისთანავე ისინი თბილისის მხატვრული ცხოვრების ცენტრში ექცვიან და თავისი ოსტატობით აღტაცებაში მოყვანთ მკურნებლებს.

გიგო გამაშვილი (1862-1936) დიდი დიპლომატის მხატვარი, მგზნებარე პატრიოტი. მან მთელი თავისი შემოქმედება საყვარელ ხალხს

უძღვნა. ჩვეული ბჭყენივლებითა და ოსტატობით შეასრულა თანამედროვეთა პორტრეტები, ასახა თბილისის ცხოვრება (ს. დემურჯანი და სხვ.). აღქვანდრე მარკუშევიცი (1859-1933) ცნობილია როგორც სოციალური თემის მხატვარი. გლენთა ცხოვრების ამსახველი მისი სურათები ამხელდნენ სოციალურ უკუღმართობას. რამდენიმე ეტიუდი უძღვნა მრავალმიწილმა თბილისმა. მისე თითვე პეტერბურგდან დაბრუნების შემდეგ შეუდგა ახალგაზრდა მხატვრების აღზრდის საქმეს სახალხო სტუდიაში. ამავე დროს იგი მუშაობდა თბილისისადმი მიძღვნილ მთელ რიგ სურათებზე. თბილისს მ. თითვე ხატავდა დიდი პოეტური აღმადრენით. თბილისი დღისით, თბილისი დღით, თბილისი ღმით — ყველა ამ სურათში ეოცლობს ლამაზი და მომხიბლავი ქალაქი. განსაკუთრებით საინტერესოა ძველი თბილისის სერია, „მთვარიან ღამეში“, „თბილისი ზაქმით განათებული“ და „ღამეში შრომისადმი“. გიგოზ ზაინვალდინმა რამდენიმე სურათი უძღვნა თბილისს.

თბილისში დაარსდა ფერწერისა და ქანდაკების სკოლა, რომელიც შემდეგ სამხატვრო აკადემიად იქცა. ამ სკოლაში ასწავლიდნენ გამოცდილი პედაგოგები ი. თელიფსოვსკი, ო. შერტლინგა, ბ. ფოგელი, ე. თათევოსიანი. ამ პედაგოგებმა არა ერთი მხატვარი აღზარდეს და ამავე დროს შექმნეს მთელი რიგი სურათები, სადაც თბილისის ცხოვრება და მცხოვრებლები იყვნენ აღბეჭდილი. ბ. ფოგელა გამოირჩევა ფერების გრძნობით. დასამახსოვრებელია მისი „სახლი ა. აკოვინის ქუჩაზე“ და სხვ. ო. შერტლინგი, მკვთარი და მადლიანი კარიკატურების აეტორი, ხატავდა აგრეთვე თბილისის ტიპებს. ე. ლანსკე და ო. შარლემანი ასწავლიდნენ სამხატვრო აკადემიაში და ამავე დროს თბილისის მრავალი შესანიშნავი ჩანახატი შექმნეს. თეატრალური მხატვარი და ნიჭიერი ფერწერალი ვ. სილაჰმან-გრისთავი შეფარებული იყო თავისი ქვეყნის წარსულში. „კარანისის ველი“ ამ სიყვარულის ამკარა დამადასტურებელია: სურათზე გამოხატულია კრწანისის გმირები (თბილისს რომ იცავდნენ გომეგებით), და კრწანისის ველი საღამო დამს. სურათი საველა ტრავიზით. ვ. შარაბაძისმა შექმნა მრავალფერუბიანი კომპოზიცია ძველი თბილისის დღესასწაულისა — „ყვენობა“. გ. მესხი წერს თბილისელ თანამედროვეთა პორტრეტებს. შესანიშნავია ა. ციმაკურიძის თბილისის ფრამენტები კარგი ფერწერით, ცერანის ფერებით.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ხალხის წიაღიდან გამოსული მხატვრების შემოქმედება. მთხუდავად იმისა, რომ მათ სამხატვრო განათლების მიღების არავითარი საშუალება არა ჰქონდათ, მაინც შეძლეს მიეღწიათ დიდ წარმატებას გან-

საიფიქრებელი სურათებითა და ნახატებით. ნიკო ფირისმანიშვილმა და ეანო ხოჯაბეგოვმა თავისებური ნაწარმოებები დავეტირეს. ნიკო ფირისმანიშვილმა შექმნა რამდენიმე თბილისური პეიზაჟი: „არსენალის შოა ლამით“, „ფინიკიანი“, „ვირების ხიდი“ და სხვ. შერთად გამოშავებულია და დამახასიათებელი თბილისელი მოქალაქეების, ვიკრებისა და კონტოების სახეები სურათებში „ქეიფი“, „მზარეული“, „მეგზოვე“, „ორთაქალის ლამაზი ქალები“ და სხვ. ხაზის შესანიშნავმა ოსტატმა ეანო ხოჯაბეგოვმა ქალღმღვთვანე ფანქრით შექმნა შრავალ-ფიგურის კომპოზიციები და სცენები თბილისის ცხოვრებიდან: ქეიფი, ყვენობა, ცეკვა, მუსიკა-ტრედი და სხვ. ამ მხატვრების ნამდვილი აღიარება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს მოხდა.

ღვთი გველესიანს ახასიათებდა შახელი თვალა და მტკიცე ხელი, რითაც იგი აღწევდა გამოსახვის გასაოცარ სიზუსტეს. გრავიორის მკაცრობით ზატავს იგი თბილისის ძველ სახლებს, არც ერთი აგური, არც ერთი ბზარი არ გამოშარებოდა მის. მაგრამ ასეთი დეტალიზაცია სრულადაც არ არღვევდა სურათზე გამოხატული ობიექტის მთლიანობას. გველესიანმა ვარკვეული გაცენა შოახდინა თბილისისადმი მიძღვნილ გრაფიკაზე.

იზრდებოდა თბილისი, და მასთან ერთად მრავლდებოდა მხატვრების რიცხვიც. ახალი სახელები ამშვენებდნენ უფლებლოთრ გამოფენებს. სხვადასხვა სკოლებსა და აკადემიებში აღზრდილი მხატვრების ახალგაზრდა თაობა გაბედულად მოღვაწეობდა მხატვრების ძველ თაობის წარმომადგენლებთან ერთად. მშობლიური თბილისისადმი სიყვარული აერთიანებდა სხვადასხვა ნიქორების და შესაძლებლობების მხატვრებს. აი მათი გვარები: ლადო გუდიაშვილი, ღვთი კავაბაძე, ქეთო მალაშვილი, ა. ბაქაშვილი-მელიქოვი, კირილე ზდანევიჩი, ირაკლი თოიძე, ელენე ახვლედიანი, ირაკლი-გამრეკელი, ზოგა ვალიშვილი.

მხატვრები შეუდგნენ არა მარტო ისტორიულ და უოფაცხოვრების სურათებზე მუშაობას, არამედ რეკლამული თემაზედაც. ოქტომბრის რევოლუცია, სამამულო ომი, დღევანდლობის ამბები იღვლებდნენ მხატვრებს, ისე როგორც ხელოვნების სხვა დარგების მუშაებს. მართალია, ამ დროს თავი იჩინა სხვადასხვა „იშემიით“ გატაცებამ (ფეტერიზმი, კონსტრუქტივიზმი და სხვ.), მაგრამ ჯანსაღმა სულმა მაინც დასძლია უოველგვარ იშემებს და მხატვრების წინაშე, პარტიისა და ხელისუფლების ბრძნული ხელმძღვანელობის წყალობით, გადაიშალა სოციალისტური რეალიზმის ფართობა.

ლადო გუდიაშვილი, ყველა მხატვარზე უფრო „თბილისელი“, შახელი თვალით ჩასწ-

ვდა ქალაქის სულს. მისთვის არ არსებობს თბილისის საიდუმლოება. დღევანდელი მოქულებები, ლეენდები, სიმღერები, წიგნები, მანი, დღესასწაულები — ყველა ეს იქცევა მისი სურათების სიუფეტად. არც თბილისის ვიბრული წარსულია დაეიწყებულა. ზოგჯერ ეს სიუფეტები პოეტობენ გრაფიკულ განსახიერებას ვირტუოზულ ხაზობრივ კომპოზიციონში. ლ. გუდიაშვილის ფერწერა სავსეა ღრმა შინაარსით, რაც ფერების საშუალებითაა გადმოცემული ხან მიწრალი მუქ გამაში, ხან ცისარტყელის ნათელ ტონებში გასხივისნებულ-მრავალი ნაწარმოებით ლ. გუდიაშვილი აღწევს მსოფლიო ფერწერის მწვერვალს.

ღვთი კავაბაძე, მხატვრობაში ახალი გზების დაუღალავი მაძიებელი, პირველ ხანებში ექსპერიმენტულმა მუშაობამ რეალიზმს დაეშორა, მაგრამ საბჭოთა სინამდვილე გამოიყვანა იგი შემოქმედებითი ჩიხიდან და მან შექმნა შესანიშნავი სურათები. ღ. კავაბაძის ნახატების სერია „ძველი თბილისი“ — ეპოქის უტყუარი დოკუმენტია, ქეთო მალაშვილმა სიყვარულით და დაივიწყებით შეასრულა თბილისის საუფეთესო აღმამანების შრავალ პორტრეტები. მცენიერებისა და ხელოვნების წარმომადგენლები, მუშები და ნოვატორები, სტუდენტები და ქალიშვილები დახატული არიან პროფესიონალიზმის კარგი სტილით, ლამაზი ფერწერით. აღამამის ინდივიდუალობა ყოველთვის გადმოცემულია ზუსტად, გაჯაჭობების ვარდენა. ბაქაშვილი-მელიქოვი ნაყოფიერად მუშაობს როგორც პორტრეტის, ისე ეანრის დარგში. მისა მცირეზომის სურათები „ორთაქალაში“, „თბილისი“ ღირსეულად ამშვენებენ ჩვენს მუზეუმებს. ამ სტილიზაციის დამწერიც ერთ დროს გატაცებული იყო „მემარტხენე ფერწერით“, მაგრამ მაინც შეძლო რამდენიმე სურათის შექმნა თბილისზე გუაშითა და ზეთით; ზოგიერთი მათგანი ინახება მუზეუმებში, ირაკლი თოიძე რევოლუციის პათოსით აღტყინებულ ხატავს მძაფრს მოძრაობით აღსავსე სურათს „აწიული არმის შესვლა თბილისში“ და სხვ. ელენე ახვლედიანი დაქიზად ხატავს სიღამის ბინდში გახვეულ თბილისის სახლებს და აივნებს, ზამთრის პეიზაჟებს. ორიგინალური ფერადებით, წერის თავისებური მანერით გამოიჩინება ე. ახვლედიანი სხვა მხატვრებისაგან. ირაკლი გამრეკელს უფარდა მშობლიური ქალაქი. შრავალ მის თეატრალურ დეკორაციას ემწევა თბილისის არქიტექტურის გაცენა. მან შეასრულა ძველი თბილისის შესანიშნავი პერსპექტივები და ქალაქის ფერადი-ფრამგენტები ბრწყინვალე „გოიტირა საყაძე“, „ღლიტი“, „ნაპირწილიდან“ და სხვ. ნიქორი პოლონელი მხატვარი ზოგა ვალიშვილი უფრო რვა წლის იწყებს ხატვას. ახალგაზრდობა მან გაატარა თბილისში, რომელიც მის მეორე სამშობლოა

ეცა, და სავარელი ქალაქი რამდენამე შესა-
ნიშნავ ნაბატსა და ეტიუდში აღბეჭდა
თბილისში მიღებული სმბატრო განათლება
იმდენად სრულყოფილი აღმოჩნდა, რომ ევრო-
პაში წასვლის შემდეგ იგი აღიარებულ იქნა,
როგორც ფერწერის დასრულებული, გამოჩე-
ნილი ოსტატი.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემ-
დეგ პართულ ხელოვნებას ფართო პერ-
სპექტივები გაეხსნა და კეთილშეოფელი შე-
დეგი არ შეიძლება მალე არ გამოჩენილიყო.
მართლაც, უკანასკნელ საყოფიერო გამოფენაზე
პართულ მხატვართა კოლექტივი გამოირჩეოდა
როგორც გამოფენილი სურათების სიმრავლით,
ასევე ოსტატობით, ფერადულობით, გამოსახვის
სიძლიერით. ამ მხატვართა უმრავლესობა საბ-
ჭოთა უმაღლეს სასწავლებლებში შეიკაბა აღზრ-
დილი. მწელია ყველა ამ მხატვრის უბრალო ჩა-
მოთვლაც კი ისინი ორ ჯგუფად შეიძლება
გავყოთ — უფროსი და უმცროსი. ყველა მათ
აერთიანებს საერთო საყვარელი თბილისისა-
დისი. ი. ვეფხვაძემ დახატა თბილისის ისტო-
რიის თემაზე სურათები „გამარჯვებული
ერეკლე მეორის დაბრუნება თბილისში“, „პუშ-
კინი თბილისში“, „წითელი მოაქეთ“ და სხვ.,
რომლებიც ფერადულობით და ობიექტივობით
გამორჩევიან. მისი შეილი, ა. ვეფხვაძე, ავა-
დმეორედ განათლებული, კოლორიტის გრძნო-
ბით დაჯილდოებული, აგრეთვე შემოაბს თბი-
ლისის ისტორიის თემაზე. ნიჭიერი მოქანდაკე
თამარ აბაყელია ამავე დროს იყო ორიგინალ-
ური და შესანიშნავი მხატვარი, გამოხატა-
ველობით ძალით გამოირჩევა მისი სურათი
„თბილისის დაცვა 626 წელს“, რომელიც გა-
მოსახავს ბიზანტიელებთან და ხაზარებთან
ომის ერთ ეპიზოდს. აბ. ქეთათელაძემ მცხინ-
ვარე ფერებით ასახა „ალა-შამალ-ხანის შემო-
სევა თბილისზე“; გაათარებულ წინააღმდე-
გობას უწევდა დამპყრობლებს მეომრები და
თბილისის მცხოვრებნი. აბ. ქეთათელაძის
კეთუნიის აგრეთვე პოეტების — ტყეპალი ტა-
ბიძის, პალო იაშვილის და სხვათა პორტრე-
ტული ჩანახატები. დ. ქეთათელაძემ და ლადო
ქეთათელაძემ შესანიშნავი გრაფიკულ ფერცლებ-
ზე სავარულით აღბეჭდეს მათი თბილისი.

ხვენი დროის საუკეთესო პართულმა პოეტე-
ბმა — ი. გრიშაშვილმა, პ. იაშვილმა, ტკიან
ტაბიძემ, ვალაკიონ ტაბიძემ, ე. ვაფინდი-
შვილმა, გ. ლეონიძემ, ს. ჩაქოვანმა, კ. კალა-
ძემ და სხ. თბილისისადმი მიძღვნილ თავიანთ
შესანიშნავი ლექსებით, რომელნიც აღსავსე
აჩიან ლირიკული სითბოთი და მღვდლურე
გრძნობით, „ღლი გავლენა მოახდინეს უკანას-
კნელი ათეული წლების პართულ მხატვრობაზე;
სურათები გამდიდრდნენ პოეტური შინაგანი
სილამაზითა და სისხლსავსე ცხოვრებით.

მხატვრების ახალი პლეადის წარმომადგენ-

ლი უჩა ჯაფარიძე დასრულებული ჩახატის
ოსტატი. მის შესრულებული ქვეს რეალისტ-
ური პათოსით აღსავსე დიდ სურათი „პიერ-
საპირველმაისო დემონსტრაცია თბილისში
1901 წელს“, რომელიც გმობლავს ნაბატის
სრულყოფით და თბილისის პროლეტარიატის
წარმომადგენელთა მკვეთრი დახასიათებით. კ.
სინაძე წარმატებით შემოაბს როგორც ისტო-
რიულ-რეალისტურ, ასევე პორტრეტულ ქა-
რში. უფრადღებს იაყრობს მისი ტილო „დი-
ლა“. პ. ბლიოტიკინმა დახატა კარნავალი თბი-
ლისში. კ. ხუციშვილი შემოაბს თბილისის ბრ-
დუსტრიალური პეიზაჟს ასახვაზე. მისი საინ-
ტერესო ძიებანი ამ მეტად მწელ ქანში წარ-
მატებით დავერგვინდა: „გავიცივა რკინიგზის
სახელსწრში“ (1936 წ.), „ელშავალის ქარხა-
ლა“, „ზოობარკა“, „ტრასა ვაკე-საბურთალო“. კ.
გრძელშვილმა შექმნა ტემპერამენტული სურ-
ათი „მამაკე თოფში“. თბილისის უკანასკნელი
დამცველი ზარბაზნის ესერის ალა-შამალ-ხანის
მეომრებს, რათა არც ერთი მტკაველი მიწისა
არ დაეთმოს შათ. მეორე სურათია „შარქისი-
ტული წრე“. ჰაბუკეების ჯგუფი არალეგალურ
ად ეფულება პოლიტიკულდნას თბილისის პეი-
ზაჟის ზღაბრულ ფონზე, იქ, სადაც ახლა კომ-
კავშირის ზეივანია. თბილისის ოქობლესათვის
მხატვარი აშალებს თბილისის პანორამს (ბარა-
თაშვილის აღმართიდან). შალვა შამალაძემ და
იორამ შამალაძემ შესარტულს სურია თბილისის
სადმი მიძღვნილი ლამაზი ავაკრულებსა და სურ-
ათებისა. ვახტანგ ჯაფარიძე შემოაბს გუაშით
და კარგ შედეგებსაც აღწევს. იგი ფაქიზი კოლო-
რისტია გატაცებული თბილისით: „დილა“, „ბა-
რათაშვილის აღმართი“, „ნარიყალა“ და მრავა-
ლი სხვა სურათი. შესანიშნავი თბილისური ეტა-
ლებების მხატვარია ვევორქ გვიგორიანი: „ალ-
ვის ხე“, „ახალი თბილისი“ და სხვ. შ. მკუ-
შვილი მყარი ფერწერის ოსტატი. კარგია მისი
სურათები „სმარსელების განდევნა თბილისიდან
1748 წ. პატარა კახის მიერ“ და „მეტეხის ცი-
ხის დაცვა 1226 წელს“. ორივე სურათი გა-
მოირჩევა გამოხატველობის სიძლიერით და კო-
ლორიტის ღირსებით. ს. მისიაშვილი ცნობილია
როგორც მინიატურისტი და პატალური ქანრის
ოსტატი. ფაქიზად შესრულებულ მის მომხბ-
ლავ მინიატურებში თბილისი წარმოგვიგვება
პოეზიითა და სილამაზით აღსავსე. სამასი არა-
გველებს გმირული თვალდებვა — ს. მისია-
შვილის საყვარელი თემაა. გმირები ფეხქვეშ
თელავენ მტრებს, რათა გადაარჩინონ ერეკლე-
სურათი დინამიკურია და ფერწერით მდიდარი.
ს. ნადარეშვილი გულკეთილი ირონიით ხა-
ტავს თავის გმირებს ყოფაცხოვრებშითა სურა-
თებში. ს. ქობულაძე მძლავრი ფორმების ოს-
ტატი. შოთა რუსთაველის „გუგუხისტყაოსნის“
ილუსტრაციები — ხელოვნების თვალსაჩინო
წარმომება. ბევრ მის სურათში თბილისის

თემა ირქიტეტურულად წარმატებითაა გადაჭრილი. ნ. თამაშვეა კარგიდ გრძნობს ფერს და ფორმას თავის თბილისურ ნატურმოტივში. ე. მეშელავა ფიქიზი ღირსებით ღამასად ასახავს თბილისის სემინარიის შენობას. მ. ბერძენიშვილი ავტორია თბილისისადმი მიძღვნილ საუცხოო გრაფიურების სერიისა „შემოდგომა“ და „ფუნჯელორი“, სადაც ნახატს სიფაქიზე შეზამებულია ღამას ფერთან. ე. ბეგურაია ბევრს მუშაობს თბილისის თემებზე. აღსანიშნავია „მზიანი ეზო“, ამთაწმინდა კოშკეშირის ზეინდიან და სხვ. აგრეთვე დ. გორდევკის კარგი პორტრეტი. ე. ბაღდავაძე მკვეთრად გრძნობს თბილისის ტიპებს, ქართულ ქალს ნაციონალურ ტანსაცმელში. ე. ბაღდავაძის ფერწერა მკვეთრია და შთაბეჭდული. ა. გიგოლაშვილი ავტორია პოპულარული სურათისა „თბილისის ზღვაზე“, რომელიც გამოირჩევა ცოცხალი საღებავებითა და ახალგაზრდა ქალვათა სახეებით. შ. მებრძველი გატაცებულია საქართველოს პეიზაჟით და ხალხით. აღ. ელენტი ეკუთვნის სურათები „ისანი“, „მეტეხი“, სანატორესოა აგრეთვე მისი პეიზაჟი „დაბახანა“. რ. სტურუა მონუმენტური ფერწერის ოსტატი, მან შექმნა კარგი სურათი „დავით აღმაშენებელი თბილისში 1122 წელს“. ვ. ტროტაძემ და გ. გულენაშვილმა შეასრულეს საიუბილეო საფოსტო მარკის ნახატი. ვ. ტროტაძემ ავტორია ღამასი პანოსი — შთაწმინდა და ელბაქიძის აღმართი. გ. გულენაშვილს ეკუთვნის სურათი „ვახტანგ გორგასალი თბილისის გოგირდის წულბთან“.

თბილისის სამხატვრო აკადემია უკანასკნელ წლებში მანძილზე ნაყოფიერად მუშაობს, ყოველწლიურად იგი უშვებს ნიჭიერ ახალგაზრდა მხატვრებს. საერთო მხატვრული განათლება და

სპეციალური დახვეწელება საშუალებას აძლევს მათ სინტერესო სურათები შექმნან, ახალი თბილისი მათთვის უფრო მშვენიერია, ვიდრე ძველი, რაც საესქიზით შეტყუარდება. ახალგაზრდა მხატვრებიდან, რომელნიც თბილისის თემას ამუშავებენ, აღსანიშნავია ა. ბანძელაძე, ი. ახობაძე, ვ. ბურდული, რ. ჯაფარიშვილი, ს. ქეთათელაძე, ე. მეშაირიაშვილი, ო. სულავა, ვ. თოთბაძე, დ. ზუნდაძე, ს. ჩახოიანი, ვ. ჩირინაშვილი, ო. შიუკაშვილი. ა. დილაბრიანი, ე. კალანდაძე და სხვ. გრაფიკელებიდან — ვ. ბეღელია, ნ. ბრაილაშვილი, გ. გორდელაძე, დ. ყუბანიშვილი, ზ. ლუგავა, დ. ნოდია, რ. თარხანიშვილი, ლ. ცუცქერიძე, ერისთავი და სხვ.

შშობლიური ძველი ქალაქის, მარად ახალგაზრდა თბილისის იუბილესათვის მხატვრები ამზადებენ ახალ სურათებს, რომლებიც აღბეჭდავენ ახალი თბილისის მშენებლობას, მის მცხოვრებლებს. თბილისის 1500 წელი აღინიშნება გამოფენებითა და საღმრთაშაულო შორთულობით. ჩვენი მხატვრების ესკიზებით გაკეთებული რამდენიმე ასეული პანო დაამუშვენებს ქალაქს, არასდროს „მოხუცი“ თბილისი არ ყოფილა ისეთი ღამასი და შორთული, როგორც დღეს. მხატვრები თვალნათლივ აჩვენებენ, როგორც სტუმრებს, ისე თბილისელებს, თუ რა გაყვითდა საბჭოთა ხელისუფლების დროს ჩვენს ძველის-ძველ ქალაქში. სტუმრები და თბილისელები ცხადივ ნახავენ რევოლუციის ერთ-ერთი ბასტიონის, გმირობისა და მამაცობის აყენის დიდებასა და აღმავლობას. ჩვენი მხატვრები ხელნაწილ ჩაიღებულნი მოქუყებიან ხალხს, შშობლიურ კომუნისტურ პარტიას კომუნისტისაყენ მიმავალ ნათელ გზაზე.

მორი ნაიჩაძე



საქართველო და თბილისი უცხოელის თვალით

ამ წერლის მიზანი ინფორმაციულია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ავტორის ცდას, ერთგვარ ლოგიკურ წესრიგში მოიყვანოს მასალა და ზოგიერთი დასკვნა გამოიყვანოს აქედან.

სიტყვა ეხება სახელოვანი ფრანგი მწერლის ალექსანდრ დიუმას (1803-1870) მოგზაურობას საქართველოში გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში. ეს უადრესად სანტერესო, სანახევროდ რომანტიკული „ვიოიჟი“ თითქმის გზადაგზა აღწერა თვითონ მწერალმა თავის ვრცელ დღიურში; მისი რუსული

თარგმანი, რომელიც 1861 წელს გამოიცა თბილისში, 712 გვერდს შეიცავს და გაყოფილია ორ ნაწილად. მხოლოდ სინანული შეიძლება გამოითქვას იმის გამო, რომ ეს წიგნი არ არის თარგმნილი და გამოცემული ქართულად. მისი საქირობა გამართლებული აღწნობდა არა უბრალო ლიტერატურული ცნობისმოყვარეობით, არამედ ჩვენი ეროვნული კულტურის ინტერესებით. მახელი თვალთ აღჭურვილი, ქართველთა პიტივისმცემელი და მოყვარული უცხოელი მწერალი მრავალმხრივ საყურადღებო მასალას გვაწვდის თავის ვრცელ მემორარბ-

ში. ალექსანდრ დიუმის სამოგზაურო დღიურის ცოცხალი ისტორიულ-ენოგრაფიული დოკუმენტია. მწერლის პირად შთაბეჭდილებებთან ერთად ჩვენ შევხვდებით აქ ორმოცდაათიანი წლების ადამიანებთან გასაუბრებებს, მათ მონოლოგებს, მოგონებებსა და პორტრეტებს, რომელნიც საკმაოდ დამარწმუნებლად გამოიყურებიან. ბევრი რამ ამ მასალიდან დაღსატურებებს პოეზიის სხვა წყაროებში და ბევრაც ისეთია, მხოლოდ და მხოლოდ აქ რომ შევხვდებით და სხვაგან არსად. შეუძლებლად შეიძლება თქვას, რომ იმ ეპოქის მკვლევარმა გვერდი არ უნდა ათაროს ფრანგი მწერლის ამ საუბრებელს სამოგზაურო ფოტობუკი.

შეძლებულია სათანადოდ არ დავეფასებინა ამ წიგნის მნიშვნელობა საქართველოს საერთაშორისო პრესტიჟის თვალსაზრისითაც.

მცხრამეტე საუკუნის უცხოელ მწერალთა შორის არაის არ დაუწერია ჩვენს სამშობლოზე ასეთი ვრცელი, დამწირლებითი წიგნი. საქართველოს გმირული წარსული, მისი საზღვრავანი პოლიტიკური შესვრებების ისტორიული როლი და დამსახურება, ჩვენს მიწა-წყალზე მიმობნეული ისტორიული ძეგლები, ჩვენი ბუნების ესთეტიკური მშვენიერებანი, თბილასი, თამარის ციხეები, მცხეთა, სამხედრო გზა, ანანური, გორი, სურამის უღელტეხილი, ქუთაისი, გელათი, რიონი, ფოთი, „ომი საქართველოს თავდაზნაურ-გლეხთა პირისპირ დაღისტნისა და ჩუჩნელთა“ და სხვა აწერილია ისეთი გულსუბრთია და სითბოთი, რომელსაც შეეძლო ასე თუ ისე ნათელი წარმოდგენა მიეცა ევროპელისათვის უცნობ შორეულ ქვეყანაზე და სიუვარულის ვრძნობა ჩვენსაზღვრებინა მის გულში ამ ქვეყნის მიწა-წყალზე მცხოვრება, დიდი წარსულისა და კულტურის მქონე ხალხის მიმართ. ამ ფონზე, ჩასაკვირველია, თითქმის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმ ხარვეზებსა და შეცდომებს ისტორიული ფაქტების ვადმოცემამში, რომელთაც არც ისე იშვიათად შევხვდებით დიუმის წიგნში. ჩვენი აზრით, ეს სავეტებით ბუნებრივი მოვლენაა. პირიქით, საკვირველია, რომ ფრანგ მწერალს სულ რაღაც ორიოდე თვის განმავლობაში ასეთი სიუვარული შეუძნეველია ჩვენი ქვეყნის წარსულიცა და თანამედროვეობაც. მოვიყვან ზოგიერთ ამონაწერს.

აღ. დიუმა და მისი თანამგზავრი მხატვარი მონივ აღმოაპოვებელიდან ტარანტასით ესტუმრნენ საქართველოს, ამიტომ ქართული სურათებიდან მემუარებში პირველად შევხვდებით კახეთს, რომელსაც ფრანგი მწერალი „კავკასიის ბაღსა და საქართველოს ზეარს“ უწოდებს.

დედოფლის წყაროში დიუმამ დაათვალიერა ჩვენი შესანიშნავი ისტორიული ძეგლი — თამარის ციხე და ასეთი სიტყვებით აუწერია იგი ვერობლებს:

„თამარ მეფე, რომელიც საყოველთაო პოპულარობით სარგებლობს საქართველოში, უწმინდა ლელოციკოს თანამედროვე იყო... და მას მსგავსად, მაგრამ მასზე უფრო სეგბედნიერად და მეტსმეტად მკაცრად ებრძოდა მუსლიმანებს. როგორც ნორმანდიაში ყველა ძველ ციხე-კოშკს მიაწერენ რბობერტ-დიბაოლის, ასევე საქართველოშიაც ყველა ამგვარი სიძველეს თამარ მეფის კეთილგზებად სთვლიან. ამრიგად საქართველოში ასორმოცდაათამდე თამარის ციხე-კოშკია... ფრიად საგულისხმოა, რომ ყველა მათ წარმტაცი გარეგნობა აქვთ და უმშვენიერესი ადგილმდებარეობა...“

„ცხენებს მოვახტით და ოც წუთში გავქვნილეთ ოთხი ან ხუთი ვერსი... უცებ ერთ მოსახვევზე ჩვენს თვალწინ აღიმართა ეს ციხე-კოშკი მთელი თავისი დიდებულებით; იგი დგას განმარტოვებულ პეკზე, რომელიც ვადაყურებებს მთელს აღმოსავლს და პორაზონებად აქვს უმშვენიერესი კავკასიონის ქედი... უნებურად გვებადება აზრი, რომ მის ნაპარლებში გაიჭროლა არა მარტო ეპოქა, არამედ რევოლუციებიცა“.

ასეთივე ესთეტიკური თვლით არის დანახული მემუარების გორის ციხე:

„მისი ნანგრევები წინაან კლდის მწვერვალზე და იმ მხრიდან, საიდანაც მე მას ვეცქეროდი, შევძლებული იყო იმის გაგება, როგორ აღიოდნენ იქ მისი მშენებლები. ადამიანს შეიძლება უფრო ეფიქრა, რომ ღმერთმა ჩამოუშვა იგი ციდან და შეეღვალა წამოდგა კლდეზე“.

დიდი სიუვარულით არის აწერილი გელათის მონასტერი და მისი ელტურული და მხატვრული ძვირფასეულობა, სადაც, ალექსანდრ დიუმის აზრით, განირჩევიან ლეითმობლისა და წმინდა გიორგის ხატები, განსაკუთრებით პირველი, რომელსაც იგი „მეხუთმეტე საუკუნის უმშვენიერეს ძეგლად“ მიიჩნევს, შემდეგ — დარბანდის კარი და ტაძრის საღარო, რომელიც საესეა ძვირფასი ხელნაწერებით, მარგალიტით ნაჭარგი შესამოსვლით, ტიარებით, გვირგვინებით, ერთი სიტყვით, ასეთი განჭეულით, რომ სიძველეთა მოყვარულმა „შეიძლება ჰკუადეარტოსო“.

მემუარებში რამდენიმე თავი აქვს მიძღვნილი თბილისს. ექვსი კვირა გაატარა დიუმამ „ქართულ სამოთხეში“ (სე უწოდებს იგი საქართველოს დედაქალაქს), მოხიზლულმა მისი იერით, ისტორიული წარსულით, სიონის ტაძრით, რომელსაც ერთობს უმშვენიერეს ნაგებობად თვლის მთელს რუსეთში, ქარვასლებით, ბაზრებით. გოგირდის აბანოებით, ხელოსანთა ოსტატობით, სიახური თეატრით, ქართული ინტელიგენციის კეთილმოზობებითა და სტუმარსამსახრობით, „მე თითქმის ყველაფერი დავათვალერე თბილისში და მის ცხოვრებაში, — წერს ის, — და მთელი ჩემი სიზო-

რების განმავლობაში არსად ისე სიამოვნებით არ მიმშვავია, როგორც აქ. ერთადერთი, რასაც უჩივის მწერალი, ესაა ცინფერის ფრანგული ჭალადის უსოვნელობა, ამას კი იყო წლის ლიტერატურულმა მუშაობამ სამუდამოდ მიმჩვიოა. „მე არც ერთ სხვა ჭალადზე აზროვნება არ შემძლია... ქართველებმა ჩემზე ბედნიერები არიან, ისინი არ საჭიროებენ ჭალადს იმისათვის, რომ იქონიონ ჭკუა“.

როგორც პუშკინი, ისე ალ. დიუმაც აღტაცებულია ჩვენი გავიარის ამანოებით. რატომ არ უნდა პქონდვას ასეთი საუცხოო ამანოები პარისს, წერს იგი, იმ დიდ ვერობედ ქალაქს, რომელიც განირჩევა სხეულის სიამოვნებითა სიყვარულით; კარგი იქნებოდა პარისელებს თბილისიდან გამოეწერათ ამ თავისებური აღმოსავლური სიამოვნების ასეთი ოსტატები, როგორც აქაური მექისენი არიან. და ფრანგი მწერალი ვულფრედელი აღტაცებითა და თანაც რბილი იუმორით აღწერს ამ ოსტატების „ვარჯიშობას“ აღმზანის სხეულზე. მთელი ექვსი კვირის განმავლობაში ალ. დიუმაც თურმე ყოველ მესამე დღეს დაიარებოდა თბილისის ამანოებში.

არც ერთ იმდროინდელ მწერალს არ აუწყვრია თბილისის საოპერო თეატრი ისე თვალნათლად და პოეტურად, რომ იგი შეიძლება დღეს გვერდში ამოვეყენოთ ალ. დიუმას მოგონებითა ამ ნაწილს. ხანძრის შემდეგ ქარვალად გადაქცეულ თეატრის შენობას ვნით გამოთქმულ აღტაცებაში მოპყავს მწერალი. „მისი დარბაზი, — წერს იგი, — გრძნეულთა სასახლეა არა სიმდიდრით, არამედ გემოვნებით; მასში შეიძლება ათი თუშნის ვარაყე არაა, მაგრამ სინდის ქვეშ უნდა ვთქვა, რომ თბილისის თეატრის დარბაზი ერთ-ერთი უმშვენიერესია იმ დარბაზთა შორის, რომლებიც მე მინახავს. მას კიდევ უფრო მეტად ამშვენიერებენ უტურფესი მანდილოსნები და ამ შხრივ, ისევე როგორც ზურთთ-მოძღვრებისა და სხვა სამკაულთა შხრივაც, თბილისის დარბაზს, მაღლობა ღმერთს, აღიარებენ დარჩენია სანატრელი“.

დიუმას სიტყვით, მოშინებულელი იყო სცენის ფარდა. მის მარცხენა მხარეს გამოსახული ყოფილა რესთისი, ხოლო მარჯვენა მხარეს — საქართველოს სიმბოლური რეალოები. ერთი მხრივ პეტრებურგი, ნევა, მოსკოვი და კრემლი, მეორე მხრივ — „თბილისი თავისი ისტორიული ციხე-კოშკების ნანგრევებით, ბაზრებით. ციხეებო კლდეებით, ვედურის და დამოუკიდებელი მტკრით, კამაშა ცით, დაბოლოს, მთელი თავისი პოეზიით. კვარცხლადისი ძირთან, რუსეთის მხარეზე. გამოსახული იყო კონსტანტინის ჯვარი, ციხისი ბეწვეული, ვოლგის თევზეული, უკრაინის პურეული, ყარაიმის ხილი, ვ. ი. რელიჯია, მიწათმოქმედება, ვაჭრობა, სილხე; საქართველოს მხარეზე კი — ძვირფასი ქსილილები, ჩინებული იარაღი, მყოვრცხილი თოფები, ვარაყითა და სილოის ძელი შემეული ხანჯლე-

ბი, ოქროს ან ვერცხლის ზარნიშაინი ხმლები, მოჭრილი ვერცხლის სურნებ, ცხელი გამშვენიერებელი ჩანგები, სპილენძის ქვანახედიჩები, შავი ხის ზურნები, ვ. ი. მორთულობა, ომი, ღვინო, ცეკვა, მუსიკა... თბილისის თეატრი თუ ყველაზე უყეთესი არა, ყოველ შემთხვევაში, ერთ-ერთი. საუყეთესოა მთელს მსოფლიოში“.

მეშურების ამ ადგილას ფრანგი მწერალი ერთ მოხდენილ კომპლიმენტს სთავაზობს ქართველ ქალებს:

„თბილისში არ არის მიღებული ვიზიტად შესვლა თეატრის ლოკებში, როგორც იტალიაში იცანა“. ორიოდ ლოკის გარდა ყველა ღიაა. „ეს უნდა ჩაეთვალოთ დარბაზის ერთადერთ ნაქალდ, მაგრამ იგი ვეუთენის არა ზურთთ-მოდერებს, არამედ კეთილშობილური ხელოვანის თავაზიან მიხედრილობას; ქალი ხომ უფრო ღამაში გვეჩვენება მაშინ, როდესაც მისი სახე გამობატულია წითელ ან ბროწეულისფერ ფონზე და ჩასმულია ოქროს ჩარჩოში; მაგრამ, რასაკვირველია, ხელოვანმა იცოდა, რომ ქართველი მანდილოსნები არ საჭიროებენ ამ ხელოვნრობას“.

ასეთია ამ წიგნის რამდენიმე ამონაწერი, რომლებიც, ვეუტრობ, კარვად გვაგარანობინებენ მის ელტურულ-ისტორიულ მნიშვნელობასაც და ავტორის ესთეტიკურ გემოვნებასაც.

მაგრამ მე ახლა უმთავრესად სხვა ამოცანა მაინტერესებს და ცოტა უფრო დაწვრილებით უნდა შევჩერდე მის განმარტებაზე.

•
•

როდესაც დიუმა ლაბრაიკობს ქართველებზე, ეგება ეს წყენს წარსულს, ზნერვეულებებს, ხასიოთს თუ გარეგნობას, მისი გული გამოსცემს მხოლოდ გულწრფელი აღტაცებისა და სიხარულის ხმებს. სილაღ, სიმამაცე, სტუმართმოყვარობა, კეთილშობილება და სილამაზე მწერალს მაინია ქართველთა ერთეულ თვისებებად, და ეს მისი სიტყვით, მარტო სუბიექტური შთაბეჭდილება კი არ არის, არამედ უცხოელთა მტკიცე და საუოველთათ აზრია, თუნდაც რომელიმე შთავანს შემთხვევა მისივემოდა ერთხელ მაინც ენასა ქართველი და რაიმე ურთიერთობა პქონოდა მასთან. აი როგორ ღამაგაობს დიუმა ამის შესახებ:

„რა აზრისა ხართ ქართველებზე, შევეკითებ ერთხელ ბარონ ფინოს, საფრანვეთის კონსულს თბილისში, რომელმაც უყვე სამი წელი იცხოვრა მათ შორის.“

„ეს არის უნაკლო და ყველა სიყთით დაჯილდოებული ხალხი, — მიპასუხა მან. რის იტყვით ამ ქების შესახებ, რომელიც წარმოიქვა ფრანგმა, ფრანგი კი, რასაკვირველია, საუკეთესოდ მიჩნევენ მხოლოდ ფრანველს და კაცხავს ყველაფერს, რაც ფრანველი არაა.“

„სიმაჰაიეთ განთქმული ერთი რუსი მეუბნე-
ბოდა: „უნდა ნახოთ ქართველები ბრძოლაში...
იქ ისინი ჩვეულებრივი ადამიანები კი არ არიან,
არამედ ზეტაინები, რომელთაც ძალუთ იერისმით
აიღონ ტიტა.

„არა, ქართველი კაცო სუფრაზე უნდა ნახოთ...
მეუბნებოდა უკვე ერთი საპატია ვერმანელი.

„ბარონიც მართალს ამბობდა, რუსიც და
გერმანელიც“.

ალექსანდრ დიუმას მემუარები, ჩემი აზრით,
საყურადღებოა იმიტომ, რომ აქ მკითხველი იპო-
ვის ქართული ეროვნული ხასიათის სურათს,
რომელსაც მით უფრო მეტი დამარწმუნებელი
ძალა აქვს, რომ იგი მოხაზულია სრულად უწი-
ნაზრახული უცხოელი ადამიანის ხელით.

ვცავდით ამ სურათს ალექსანდრემ იმ ცალკეული
შტრახების მიხედვით, რომელთაც საკმაო სი-
უხებით გვაწვდიან დასახელებული მოვრონებები.

სიმაჰაიე ქართული ხასიათის პირველი თეო-
სებაა, რომელიც ალექსანდრ დიუმას ვულწრ-
ფულ გაოცებასა და აღტაცებას იწვევს.

შეტვრამეტე საუკუნე სამოციან წლებამდე
ნამდვილად იმსახურებს კავკასიური ილიადის სა-
ხელწოდებას. რუსეთის მეფის ხელისუფლებამ
დიდი ენერჯია და ნივთიერი სახსრები ფაილო,
რათა ორთაიანი არწივის წინაშე დეჰოკებინა
თავისუფლებისმოყვარე კავკასიის ხალხები, ამ
შხრივ ყველაზე მეტი „სიკერპე“ გამოიჩინა ძნე-
ლად მისადგომმა მთაშ. მართალია, ურანგ
მწერალს მცირე ხანს მოუხდა კავკასიაში ყოფნა,
მავრამ, ჩამს, იგი არც თუ ისე ცუდად ვრკვე-
ოდა აქეთრ ხალხთა მეამბოხე განწყობილებებში.

ამიერ-კავკასიასა და, კერძოდ, საქართველო-
ში, წერს დიუმამ, დიდი საქმიანობა შეიძლება გა-
იმილოს. მრევველობის ვანვითარება წინ წას-
წევდა ხალხის კეთილდღეობას, შემოიტიანდა
ცივილიზაციას, რასაც ბუნებრივად მოჰყვებოდა
მშვიდობიანი ცხოვრება. მავრამ ამის განხორ-
ცილება ძნელია. „უფრო ადვილია ზოტო ადა-
მიანი, ვიდრე განათლება შეიტანო მთაში. კა-
ციის მოსაყვავად საჭიროა მხოლოდ თოფის წა-
მალი და ტყვია, მისი განათლებისთვის კი აუცი-
ლებელია რაღაც სოციალური ფილოსოფია, რო-
მელიც ყველა მთავრობისათვის როდია მისაწე-
დომი. ბარი დამორჩილებულ იქნა მოკლე ხნის
განმავლობაში, მავრამ ბარს ხელშეკრულება რო-
დი დაუდგია, მან უბრალოდ მიიღო იგი. ვარეგ-
ნულად დამორჩილებული ბარი არსებობდა
მტრული დარჩა იმისადმი, ვინც დამორჩილა
იგი. აქაურმა უძლურმა სიძულვილმა თავშესა-
ხალი პოვა მთაში. მთიელებს წინააღმდეგობის
საიდუმლოება ბარის ნუგუნს წარმოადგენს; ომი
ბარის მტკიცებრბოთა ოხერისა და ვეების გამო-
ძახილია მხოლოდ“.

დიუმა იგონებს ალექსანდრე ბატონიშვილის

პატრიოტულ ლეონს და ვერცხლად ლაპარაკობს
შამილის ბრძოლებზე, რომელთაც ორმოცდათ-
იან წლებში უკიდურეს სიმაჰაიტრს მიაღწევს.

ქართველთა სიმაჰაიეს მრავალი შავალთოღამ
ალექსანდრ დიუმამ საგანგებოდ ჩერდება ორზე—
ილია ორბელიანზე და შეთე ვულუხაიძეზე.

გრიგოლ ორბელიანის უმცროს ძმას ილიას
(1814—1853) მწერალი ცალკე თავს უძღვნის
თავის მემუარებში. „ღვებებს თვითში ილიკო
ისეთი მოწინააღმდეგე იყო, — წერს იგი, — რო-
მლისაც არა მარტო ეწინაით, განციფრებულ-
იც არიან მისი სიმაჰაიეთ და პატეიკაც სეე-
მენი“.

ილიკო ორბელიანმა ცხრა თვე გაატარა შამი-
ლის ტყვეობაში. დაღისტნის იმაშ იმედი ჰქონ-
და, რომ ეს სახელგანთი ტუვე საშუალებას მის-
ცემდა დაებრუნებინა თავისი საყვარელი ვეი-
შვილი ჯემალ-ედინი, რომელიც ტყვედ ჩაუვარ-
და რუსებს და იმპერატორის კარზე იზრდებოდა
პეტერბურგში. ვერც ალერსმა, ვერც მუჭარამ,
ვერც წამებამ და სიყვდილებმა შიშმა ვერ აიძულეს
ქართველი ვეიკაცი, თანხმობა განეცხადებინა
ტყვეების გაცვლაზე. რამდენიმე თვე გაატარა
ილიამ ვედენის ორშოში, „რომელიც მიაჯავს მა-
მერტინის ციხეს რომში. მასში კობთ ჩაღიან და
როკა უკანასკნელს მოხსნიან, იქიდან ამოსულა
უკვე შეუძლებელია, თუნდაც ღია იყოს ხერხე-
ლი. ერთი ხელადა წყალი და შავი პური სავსე-
ბით ამთავრებენ ამ დილევის მსგავსებას მაჰერ-
ტინის ციხესთან. ადრე თუ გვიან ორთვეში
სიყვდილი გარდევალა ჯალათის ჩაურევლად“.

დიდი ხანი დაყო ილია ორბელიანმა ამ
ჯურბუმულში. იგი ცოცხალმყვადარი ამოიყვანეს
იქიდან. რამდენიმე დღის შემდეგ დახვრტა მი-
უსაჯეს, მავრამ შემართულმა ჩახმახებმაიც ვერ
შეირყიეს მისი სიმტკიცე და ერთხელ თქმული
სიტყვა. ამ განსაცდელზედ პერსიულ სიენას,
რომელსაც თავისი საღვთიიდან უკვერბა შიში-
ლი, საბოლოოდ გადაუწვევტა ქართველი ვეი-
კაცის ბედ. რანდრული კეთილშობილება, რომე-
ლიც უკვე ხანდაზმულ ანაქრონიზმს წარმოად-
გენდა ვეროპელისათვის, ჯერ ისეც ცოცხალი
იყო შეტვრამეტე საუკუნის კავსიის მთაინთო-
ში. ბინიდან მოულოდნელად გამოვიდა იმაში,
მოგვიტობრბს დიუმამ, იგი მიუხალოვდა ორბე-
ლიანს და ასეთი სიტყვებით მიმართა მას:

„ჩემთვის ბევრჯერ უკეთა შენი სიმაჰაიე. ახ-
ლა შე ჩემი თვალთ დავრწმუნდი ამ სიტყვე-
ბის სიმართლესი. ახადრბს არ მოვიხთხოვ შენ-
გან, მავრამ სიტყვა მომეცი, რომ არ ვაიქცევი.
ამ პირობით თავისუფალი ხარ“.

ილია ორბელიანის გმირობა მთელ ლეკთში
გათქვია. „მან დატოვა იქ მარაღილელი სიოენა
თავისთავზე“. ვაჟკაცობის დამფასებელი მთიე-
ლები მის სახელს მუდამ მოწიწებოთა და პა-
ტივისტებით წარმოუკვამდნენ. როკა 1854
წელს შამილის რეზიდენციაში მიიყვანეს ერთი
წლის წინათ ოსმალეთის ფრონტზე მოკლული

ახალგაზრდა ილიას ქვრივი და მცირეწლოვანი ვაჟიშვილი. ზღია ხაოხი აწვდებოდა გზებას და **აღწევს სახელგანთქმულ ვაჟაკის სახლობის** სახაველ. „აჰ ძვირფასე აღმიაწვებს გული აუჩვილად, როცა ტყვეებს უცქეროდნენ და ილიას დიად სიმამაცს იხსენიებდნენ. ისინი ცდილობდნენ თავიებურად ენუგეშებინათ ქვრივი. ზოგი ეუბნებოდა, რომ თქვენი ვაჟიშვილი გიორგი ზედგამოჭრილი მამაო და მისი ვინაობა რომ არ გეუბრება, ისედაც ვიცნობდითო, სხვები არწმუნებდნენ, თითქოს დანამდვილებით ვიცით, რომ თქვენი ქმარი მოკლული კი არაა, ტყვედ ჩაიარდა და ოდესმე ისევ ნახავთ, როცა მის დაბრუნდებითო. და ბოლოს... ამ ქანცვა მოლულს, შიმშილითა და ცუდი მოპყრობით გაწამებულ ქალს ყველანი დედოფელურ პატივს სცემდნენ“.

შთელი ეს ამბავი ფრანგ მწერალს ჩაწერილი აქვს თვითონ ორბელიანის ქვრივის სიტყვებით, რაც ამ მოვონებას უფოოდ მეტ ფასსა სდებს.

ქართველთა სიმამაცის მეორე სამაგალითო ნიმუშს ვაჟადის გამოჩენილი თუ ში მოჯირითე მეთ გულხაობი.

აღქმანდრ დიუმა ერთ საინტერესო ეპიზოდს გადმოგვცემს ამ უშიშარი გმირის ცხოვრებაში.

ერთ-ერთ ბრძოლაში სასიკვდილოდ დაჭრეს შეთეს უფროსი შვილი გრიგოლი, რომელიც გაგივებით უყვარდა მამას.

დაჭრილ ქაბუტს საშინლად აწუხებდა ქრალმა და ტყვიას კენესით გამოხატავდა.

ოთახში შემოვიდა შეთე. იგი მიუხალოვდა ხალიჩას, რომელზედაც დაჭრილი იწვა, შეჩერდა, თოფს დაეურდნო და წარბშეჭმუნენილი შეეკითხა მომავლად ვაჟაკს: ვინ გაეაზინე ამ ცოდვილ ქვეყანაში — მამაკაცი თუ დედაკაცი?

— მამაკაცი, მამა. — უპასუხა გრიგოლმა.

— მაგრამ თუ ეს ასეა. — სიტყვა შეუბრუნა შეთემ, — რატომღა ჩივის ეს მამაკაცი?

დაჭრილმა ხმა ჩაიკმინდა და ისე დალია სული, რომ ერთხელაც არ წამოუგუნესია.

მემორიუმში შევხვდებით ბერს შესანიშნავ აზრსა, რომლებიც ქართველი ხალხის ვაჟაკობაზე ვეღაპარაკებიან ცოცხალი, მკაფიო მავალითებით. ეს კი საფუძველს აძლევს ფრანგ მწერალს დასკვნას: „საქართველოში ისი-მამაკაცი არ ითვლება უპირატესობად, რადგან აქ ყველა მამაკაცია“.

უანგარი ხელგამილიობა — ასეთი ქართველი კაცის მეორე თვისება, რომელსაც უცხოელმა მწერალმა ყურადღება მიაქცია მაშინ, როცა ის ჯერ კიდევ საქართველოს საზღვრებს უახლოვდებოდა. „ქართველ ხალხს იმდენს ვა-

ცემა უყვარს, რამდენიც სხვენს — მალეზაო“, წერს იგი ქ. ნუხაში.

„საფრანგეთში, — განაცხობს იგი, — ხელგამილი კაცზე ამბობენ: ის ჩაყვთარ შარჯალსაც არ დაიშურებსო; მაგრამ ეს არის მეტაფორა, ხოლო ფრანგული მეტაფორა ბუნებრივ სინამდვილედ იქცა საქართველოში“, და ფრანგი მწერალი გვიამბობს ერთ, მართლაც, საოკარ ამბავს. კახეთისაკენ მიმავალმა აღქმანდრ დიუმამ ლაპარაკი ჩამოაგდო შარჯალზე, რომელიც აკლდა მის ქართულ ტანისამოსს; საკმარისი იყო ეს ეთქვა მწერალს, რომ ერთმა ქართველმა ოფიცერმა მაშინვე გაიძრო ახალ-ახალი შარჯალი და, საერთო მოწონებით წახალისებულმა, აძლული იგი საჩუქრად მიუღო მისგან. მეორე უშარჯლოდ დაარჩენილმა ქაბუტმა საბატოი სტუმრის ხლება უმცროს ოფიცერს დაავალა თვითონ კი წულეები აიწია, ჩოხა მტკიცედ შემოიხევა, ცხენს მოახტა და უკან გაბრუნდა.

ნაკლებ საყურადღებო არ არის ის ამბავი, რომელიც ფრანგ მწერალს შეემთხვა უკვე თბილისში.

„ერთხელ ხანჯალს ვევაკრებოდი მესაქურველს, — გვიამბობს იგი. — ამ დროს ჩამოიარა თავადმა ე(რისთავმა), რომელსაც ოთხი კაცი ახლდა. მე მას არ ვიცნობდი და არც მას ვიცნებ ოდესმე. მას ჩემი ვინაობა გააცნეს. მაშინ ის მომიახლოვდა და ასეთი სიტყვებით მიმართა ჩემს ახალგაზრდა რტს მთარგმნელს:

„მოახსენეთ ბ. დიუმას, ნუ იყიდის ამ ხანჯალს; უსათუოდ ზედმეტს გამოართმევენ და არც ზეირიან იარაღს მიჰყიდიანო“.

„მე მადლობა გადავუხადე თავად ე(რისთავს) რჩევსათვის და გაეშორდი... როცა შინ დავბრუნდი, იქ დამიხვდა თავადის ბარათი და ხანჯალი. ხანჯალი ოთხმოცი მანეთი ღირდა; მაგრამ ბარათი უფრო ძვირფასი იყო. საველისხმო ისაა, რომ ქართველს უარს ვერ ეტყვი, როცა ის რაიმე ნივთს გთავაზობს საჩუქრად; ეს რაგეთლებათ შეურაცხყოფად... გადჭრით უნდა ითქვას, რომ საქართველოს მადლი საზოგადოება არ არის გაჩენილი სპეცელაციებისათვის“.

ქართული სტუმართოვეერების, ხელგამილიობისა და გულმომართულების კომპლექსური გამოვლინება გვაქვს ქართულ სუფრაზე.

„როცა მე თბილისისკენ მივემგზავრებოდი, — წერს აღქმანდრე დიუმა, — ასე მეგონა, ნახევრად ვეღორ ქვეყანაში მივდიოდი... მაგრამ შევეცდი. თბილისი უოველმზრე ცივილიზებული და ევლტრული ქალაქი უოფილა თუ გნებავთ, ეს კარგად ჩანს მოსახლეობის ჩაცმა-დაბურეშიც. თბილისელი მანდილოსნები მოდების მხრედ მხოლოდ ორი კვირათ თუ ჩამორჩებიან ვეროპას და, ეკრძოდ, პაროზს. მაგრამ თუ თბილისელი იცნობენ პარიზის კორსეტებს, ვეკვებ, რომ პარიზელებმა იცოდნენ, როგორია ქართული სადელი თბილისში“.

ჩვენი სუფრის ორიგინალური აღიათი, თამა-

ღობა, სადღევრძელთა წარმოქმნის წესი, თავისებური ვასტრონომიული ასპარეზობა ღვინის სმაში ხუმრობის გუნებაზე აყენებს ფრანგ მწერალს, მაგრამ ამ ხუმრობაში გამოსწვივის იმ მგზნებარე ტემპერამენტის ქება და სიყვარული, რომლითაც ესოდენ უხვად იყო მომადლებული თვისი ამ მემუარების ავტორი.

ქართულ სუფრაზე უფრო მეტი სასმელია, ვიდრე საქმელი, უამბობს დიუმა თანამემამულეებს. ქართველები ღვინის დიდი მოტრფიალენი და უზომო მსმელები არიან. რა პეტრქლიდან არ სვამენ ისინი თავის საყვარელ კახერს? ხვამდე თასებიდან, გრძელუბლიანი და მცელღვაობიანი სურებიდან, ვეებრთოლა ხელსდებიდან, მოვრცხლილი ყაწწებიდან, რომღუბიც ისე გრძელია, როგორც როლანდის საყვირი, ფანტასტიური ვახებიდან, ქვაბებიდან ზოვიერთები კი — პირდაპირ ტკეებიდან (!) ქართულ სუფრაზე შეგიძლია ქაშო, როცა მოვესტრებება, მაგრამ სმა? — ნერას უკაცრავად ღვინის სმის წესი მკაცრად რეგლამენტირებულია. ღვინის დაღვევა შეგიძლია მხოლოდ მაშინ, როცა თამადა წარმოთქვახს სადღევრძელის თამადას ვეალება, აგრეთვე, განსაზღვრას სტუბიათა „სტომიქის მოცულობა“, ე. ი. ოქვენ იმდენი უნდა დალიოთ, რამდენსაც თამადა გიბრძანებთ. ქართული სუფრა საარაკო შეჯიბრებაა ღვინის სმაში და საქართველოში კარგი მსმელი კარგ ვაჯაკადაც ითვლება, მაგრამ შთერალა ქართველი არასოდეს არ მინახავს.

ერთობელ მეც მომიხდა მიმელი მონაწილეობა ამ შეჯიბრებაში და ქართველებს ვაჯობეო, გვარწმუნებს ფრანგი სტუმარი...

დამარცხებულებს ასეთი ჭების სიგელი მიტრთმევიათ გამარჯვებულისათვის: „ბ. ალექსანდრე დიუმა ვწუთა ჩემს ღარბ რედაქციას, სადაც მისთვის გამართულ სადილზე მან უფრო მეტი ღვინო დალა, ვიდრე ქართველებმა“. 1858 წლის 28 ნოემბერი. იფანე კერესელიძე, ქართული ეტრნალის „უცისკის“ რედაქტორი.



ქართველი ხალხის სილამაზემ საბოლოოდ მოხბობა ფრანგი მწერალი. თუ ამ თვალსაზრისით დავაკორიღებთ მემუარებს, იგი შეიძლება ჩათვალოს ჩვენი ხალხის ესთეტკურ პანეგირიკად.

„ჩემს მესიერებაში არასოდეს არ წაიშლება, ის შთაბეჭდილება — წერს დიუმა, — რომელიც ჩემზე მოახდინა პირველმა ქართველმა ვაჯაკადმა. ეს იყო 25-30 წლის ახალგაზრდა. იგი მიაგვდა „დედამიწაზე ჩამოსულ ანტიკურ ღმერთს“ ან „დიოსკურს, რომელსაც დაავიწყდა ოლიმპოზე ასვლა“. მე და ჩემმა თანამგზავრმა, მოიწემ ვანციფრებით შევიკედეთ, როდესაც ამ ლუთებრივი მშვენიერებით მომადლებულ ადამიანს შევაკეთო თვალი.“

აღ. დიუმა ვრცლად ლამაზობს ჩერქეზი ხალხის სილამაზის გამო. მათი სახელე ვასტრე: მელია მთელს მსოფლიოში. ჩერქეზი ქალის შესანიშნავი აპოლოგია ჯერ კიდევ მკერდმსმეტი საუეტენის სამოციან წლებში წარმოთქვა ერთმა პოლადიელმა მოგზაურმა ეან სტრუმი. აღ. დიუმა დასტურებს ამ დავიერებულ მოგზაურის აზრებს, მაგრამ დაასკნის: სილამაზეში ქართველს შეუძლია ჩერქეზსაც შეედავოსო. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ თეთიელის სილამაზე თავისებობი და თავისთავადაა. ფრანგი მწერალი ცდილობს მათი ესთეტკური ღირსების დიფერენციალური ვეევალინდა განსაზღვაროს. მიიელი ჩერქეზის სილამაზე ველური მომბიბულელობით ვანიჩრევა. ნაბლით, ჩაბალახით, ხანჯლით, ხმლითა და თოფით შეჭერვილი ჩერქეზი შუა საუეტუნების ცოცხალი წარმომადგენელია, „ქართული კი ვანასახიერებს მერვიდმეტე საუეტენის ცივილიზაციას; ესა ვენეცია, სიცლია საქართველო“.

როგორც მემუარებში ვაბნეული შენიშვნებიდან შეიძლება დავრწმუნდეთ, აღ. დიუმას ქართველთა სილამაზე წმინდა ანთროპოლოგიურ მოვლენად როდი მიაჩნდა აქ მღეველობაში მისალება არა მარტო ვარეგანი ფერმეხი, რომელია სრულქმნილება უმადესია, არამედ სულიერი ცხოვრების სიმდიდრე და კეთილშობილება. დიუმამ იცის, რომ უბრალო ხალხი ვაუნთოლებულია, მაგრამ მათი სახის ნაკეთობი, სიტყვაპასუხსა და მანერებში მშვენიერია შინაგანი სურეგებე გამოსწვივის. ენთეკ რუსოს იდეებზე აღზრდილი, მოგვიანო რომანტიზმის ვანწყობილებით შეპყრობილი მწერალი ერთგვარი სინანულით დაასკნის: ვავა დრო და ვანათლების სხივი შემოახათებს საქართველოში. „მაშინ ისინი ჩაიკვამენ შვე ფრეკებს, შემოახვევენ თერთ ხალსტუბებს, დიხბრავენ მრვეალ შლაბებს; მაშინ ისინი დავარავენ თავის მოვარაყებულ საჭურველს, მაგრამ მასთან ერთად — თავისი ველის ოქროსაც“.

მემუარებში უფრო დიდი ადგალი აქვს დამომობილი ორმოცდაათიანი წლების ქართველი ინტელიგენციის სურათებს.

აღ. დიუმას ჯერ კიდევ რუსეთის იმპერიის სატატო ქოლაქში უნახავს ეკატერინე ჭევეკაძე. „მე პატავი მქონდა პეტერბურგში ვამეცნო სამეგერლოს დედოფალი“, — წერს იგი. მას მემუელი ფერის წამოსასხამი ამშვენიებდა და მღდმივად თან ახლდა თორმეტი სამატო სეფე ქალი. მისი საზამთრო რეზიდენცია იყო ზუგდიდი, საზაფხულო კი — ვორდი. „მწელია ადამიანმა ნახოს ამაზე უფრო მდიდარი ნიშეში სილამაზისა, მას ითხი შვილი ჰყავს, ისინი ერთიმეორეზე ულამაზესნი არიან და დედამათნ ერთად ქმნიან ანამბლს, რომელიც ღერის ოქნებოდა დავვეყენებინა ანტიკურის ვერდით“.

თბილისის შთაბეჭდილებებიდან აღსანიშნავია

ორი ვიზიტი — ერეკლე მეფის შეიღებულ ორბელიანთან და ქავეკავაძესთან.

ქალბატონი ორბელიანი ორმოცი წლის მანდილოსანია. როგორც ჩანს, ის იყო ერთ-ერთი უღამაზესი ქალი თბილისში; პუდრა, რომელსაც ის, ჩემი შეხედულებით, სიკოტრაგისთვის ხმარობს, მისი სახის გამომეტყველებას XVIII საუკუნის ხასიათს ანიჭებს. მე არასოდეს არ მინახავს წარჩინებული ქალი, რომ მას ასეთი დიდებული გამომეტყველება ჰქონდეს. თუ თქვენ შეხედებით ქ-ნ ორბელიანს ჭეჩხაში, პირაღი ნაცნობობაც რომ არ გქონდეთ, უნებურად მისცემთ სილამს. ის არის დედა ერთ-ერთი უსაყვარლესი, მკვირცხლი, გონებაშეზოგილი და მოშინებულელი ახალგაზრდა მანდილოსნისა თბილისში*.

ეს ლამაზი ქალები ბუნებას დაუჯილდოებია ფაჭიზი ესთეტიკური გემოვნებით. მთავარმართების სასახლეში თქვენ ნახავთ იშვიათი აღმოსავლური ნოეთებით შემკულ სპარსულ დარბაზს. მათ შორის განსაკუთრებით განირჩევიან ოქროთი და ვერცხლით გალამაზებული ქართული მუსლიკური ინსტრუმენტები და ქართული მანდილოსანების ხელით მოქატგერი ბალიშები და ხალიჩები; ეს მშვენიერი ზარმაციები მხოლოდ იმისათვის იღებენ ხელში ნეშას, რომ ვერცხლისა და ოქროს ეარსკვლავებით შეამკონ თავისი ტმრების უნაეირები და იარაღის ბუდეები*.

ალექსანდრ დიუმამ დავიხატა აგრეთვე მეორე ქართველი მანდილოსნის — ანა ქავეკავაძის პორტრეტი.

გაზეთებს საფუძვლიანად არ მიეწინათ ის იმედი, რომ ზელისუფლება იყისრებდა უნივერსიტეტის მატერიალურ ხარჯებს. ისინი ისწრაფებენ გააღვიწონ საზოგადოებრივი და კერძო ინიციატივა და მოსახლეობის ფართო ფენების უფრადლებას მაქცევენ ამ საკითხისაგან. 1880 წ. „ნობორში“ მოთავსებულ სტატიისაში ლაპარაკია შეწირულებათა შესახებ უნივერსიტეტისათვის ობილისსა და სხვა ქალაქებში. განსაკუთრებით დაწვრილებით ამუშებენ ქუთაისის სათათბიროს მონაწილეობას. ქუთაისში უნივერსიტეტისათვის გაიღო 20 ათასი მანეთი. გაზეთს ეს მიანიჭა ერთ-ერთ ყველაზე სასიხარულო მოვლენად საქართველოს თანამედროვე ცხოვრებაში და უმატებს, რომ ქალაქის მოსახლეობას ზელმძღვანელობს: «Сознание той громадной пользы, которую может принести основание на Кавказе университета в нравственном, умственном и экономическом отношении»¹.

პრესის წარმომადგენლებს ესმით, რომ თვითონ ამ ფაქტში უნდა დაუმტკიცოს რუსეთის საზოგადოებრიობას, რომ ქართველი ხალხი შეგნებულად ისწრაფვის ცოდნისაგან, უმაღლესი განათლებისაგან, ეყრდნობა რა არსებულ სახსრებს, შეიძლება მან აღარ ითხოვოს, არამედ მოითხოვოს კიდევ უნივერსიტეტის გახსნა.

ამორიდან საზოგადოებას არ სურს შეურიგდეს ასეთ მდგომარეობას, როდესაც უმაღლესი განათლება მხოლოდ ცალკეული პირებისათვისაა ხელმისაწვდომი. იგი შხადაა ძალ-ღონე მოახმაროს მას, რომ მოაღწიოს უნივერსიტეტის დაარსებას, რათა, «Край, богатый природой и бедный в умственном отношении, удостоился чести иметь свой университет»².

რუსული პრესა თანაგრძნობით ადევნებს თვალყურს ბრძოლას, რომელიც გამართულია კავკასიის უნივერსიტეტის გარშემო და ათავსებს ცნობებს შეწირულებათა შესახებ, ამ სტატიების შესახებ, რომლებშიაც გამოთქმულია რუსეთის საზოგადოებრიობის დამოკიდებულება უნივერსიტეტისადმი. „დროება“ თუწყვამ: «ყველა რუსული გაზეთები, რომლებშიაც კი დაბეჭდილი იყო ტფილისისა და ქუთაისის ქალაქის რჩევე-

ბისა და ქუთაისის საზნაურო ბანკის გარდაწყვეტილება, რომ მომავალ კავკასიის უნივერსიტეტს ფულად შემწეობა აღმოუჩინებ, ცდიდა თანაგრძნობით იხსნიებენ ამ გარემოებას და ამბობენ, რომ თუ კი სადმე საქირთა, ზენში ახალი უნივერსიტეტის გახსნა, იქ, კავკასიაში არის საქირთოვო.¹ რუსულ გაზეთებში დაბეჭდილი მთელი რიგი სტატიები მზარს უქერდნენ კავკასიის საზოგადოებრიობას და აღნიშნავდნენ შთაბეჭდილებების სამართლიანობას.

რუსეთის ეურნალ-გაზეთებში ერთხმად აღიარა კავკასიის უნივერსიტეტის საქირთობა და სანუგეშო მოვლენადაც ჩათვალა ადგილობრივი საზოგადოებისაგან ცხოველი თანაგრძნობის გამოცხადება, რომელიც მართო სიტყვიერი არ ყოფილა².

უნივერსიტეტისათვის აქტიური ბრძოლა პრესის ფურცლებზე გრძელდება 80—90 წლებში განსაკუთრებით მძაფრდება იგი რევოლუციური აღმავლობის დროს, როდესაც ეს საკითხი შექცევა ბოლშევიკურ ორგანოში. „პრავედა“ ამხელს „ხალხთა დაბნელებას“ პოლიტიკას, რომელსაც შეფის ზელისუფლება ატარებდა და მზარს უქერს კავკასიის მოსახლეობას უნივერსიტეტისათვის ბრძოლაში.

„პრავედაში“ ნათქვამია:

«Больше 30 лет кавказское население просит открыть университет в г. Тифлисе. Собрано уже для этой цели больше 2-х миллионов рублей, а все университета нет...»

«Страх овладевает охранителями перед всяким лучом света, и они запугиваются в доказательствах. Светобольны всегда была и остается отличительным признаком для тех, которым выгодна народная темнота»³.

საზოგადოებისა და პრესის ხანგრძლივი და მძაფრი ბრძოლები მხოლოდ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ დაფიქრდნენა უნივერსიტეტის გახსნით.

¹ „დროება“. 1880 წ., 8/III, № 52.

² „დროება“, 1880 წ., 18/XI, № 243 „კიდევ კავკასიის უნივერსიტეტზე“.

³ «Правда», 1912 г., 26/V. (8 июня) № 23 «Патриоты и Народное обозрение».

¹ «Обзор» 1880 г., 19/I, № 395.

² იქვე. 28/2, № 484.



ბიოგრაფიული



ბილიპილან დილ გზაზე

(კოლაუ ნადირაძის პოეზია)

არაღ პოეტები, რომლებიც იშვიათად ჩანან ლიტერატურული ცხოვრების მთავარ პროსპექტზე, ისინი თითქოს დიდი ქალაქის განაპირას ეწევიან თავიანთ „პოეტურ მეტრეობას“ და შეფუტვრებით შეუმჩნეველნი რჩებიან, მაგრამ საკმარისია ერთხელ მაინც შეიხედოთ მათ თავისებურ „კარმიდამოში“, რომ დაუშვებარალი ინტერესით აღივსოთ და მოიწადინოთ ახლოს გაცნობა იმ ადამიანის სულიერი ცხოვრებისა, რომელიც ამ პოეტურ ბილს წლების განმავლობაში ქმნიდა. ასეთ პოეტურ ბილს მაგონებს კოლაუ ნადირაძის პოეზია. რადგან ყველა შედარება მეტნაკლებად არასრულია ხოლმე, მინდა აქვე დაეხსინო, რომ ამ მეტად თავისებური პოეტის შემოქმედება სრულიად არ არის განკერძოებული ჩვენი ლიტერატურული ცხოვრებისაგან: და თუ ამ პოეტს აქვს განწყობილებებისა და თემების თავისებური სფერო, გემოვნება და პოეტური კულტურა, ეს შით უფრო საინტერესოა ჩვენი პოეზიის მრავალწიან ორკესტროში. რადგან აქ პოეზიის ბალი ვახსენებ, არ მინდა ეს ვიწმემ ვიკოს, როგორც კ. ნადირაძის პოეზიის სენტიმენტალურ ხასიათზე ხაზგასმია, რაღაც „ვარდულულელიანობის“ მსგავსი რამ. ამ სიტყვისადაც აქ მხოლოდ და მხოლოდ სიმბოლიკურ ასაქმტში ვიღებთ.

კოლაუ ნადირაძის პოეზიის მრავალი თავისებურება და მათ შორის მთავარი, მის ინტონაციის დრამატული ხასიათი შემთხვევითი მოვლენა როდია. იგი პირობადებულია თვით პოეტის ბედით, მისი ცხოვრების რთული, წინააღმდეგობრივი ხასიათით. ამასთანავე, აქვეა გამვლავებული მისი პიროვნების ზოგი თვისება. უკიდურესი გულახდილობის მეშვეობით მას ძალუქს პირუთენელი, ყელამდე მართალი იყოს მკითხველთან. უნაზესი მგრძნობიარობა და ვაჟაკური პირდაპირობა პარმონიულად შეხამებულია კ. ნადირაძის პოეტურ ბუნებაში და ეს ქმნის მორალური სიწმიდის, ამაღლებული კეთილშობილების შთაბეჭდილებას — თითქმის ესთეტიკური კარტეგორიის ხარისხში აყვანილს.

ეს მეტნაკლებად ყველა ნამდვილი პოეზიის თვისებაა, მაგრამ აქ იმიტომაც ვთქვით ასე ხაზგასხულად, რომ კ. ნადირაძე თავისი შემოქმედების აღრეულ წლებში სიმბოლისტად იყო მიჩნეული, ხოლო სიმბოლისმისათვის უცხო როდია პოზა და ქარბი არტისტიკაში.

კ. ნადირაძის სიმბოლისტური გატაცებანი ინდივიდუალისტური მსოფლმეტრძნობით, ბოჰემის კულტით ხასიათდებოდა. ბოჰემური სულისკვეთება, თავდავიწყების ავადმყოფური ძიება მოასწავებდა დამნეველობას, ეპოქის ძალთა არასწორ განკურტას. ეს მოტივები მსოფლმხედველობრივად კ. ნადირაძესაც აახლოვებდა სიმბოლისტებთან. ნაწილობრივ თავს იჩინდა სიმბოლისტური ესთეტიკაც. მაგრამ კ. ნადირაძე მინც არ გაუწყვეტია არასოდეს თავისი ქვეყნის ეროვნულ ფესვებთან კავშირი. ამან გადაატანინა პოეტს მსოფლმხედველობრივ-ესთეტიკური კრიზისი და პოეზიის დიდ შარაგზაზე გამოაცვანა. ეს გარდაქმნა არ ყოფილა მკვეთრი და უტყარი. შინაგანი გარდატეხა პოეტის პიროვნებაში მძაფრ ტვივილებს იწვევდა. სამაგიეროდ, რამდენადაც მძაფრი იყო ეს პროცესი, იმდენად მკვიდრი, მყარი ხდებოდა პოეტის იდეურ-ესთეტიკური კრეფი. მას დღემდე შემორჩა ცხოვრების განსაკუთრებული, თავისებური ათვისების უნარი. თავისი პოეტური ინსტრუმენტი, რომელსაც ოდესღაც ჩანგის ლირიკული მგრძნობელობა ახასიათებდა, უცებ დაუფადად არ უქცეოა. საერთოდ, მისი პოეზიის თავისებურებაში ვერ შეიგება პუბლიცისტური პათოსი, რის გამოც კ. ნადირაძის ლექსებს ჩვენი ლიტერატურულ კრიტიკაში ხშირად უიღვეო ნაწარმოებებად მიიჩნევდნენ. აქ არ მინდა ხელაღებით ვთქვა, თითქოს ამისი საფუძველი არ იბოვეზოდეს ამ პოეტის შემოქმედებითს ცხოვრებაში. მაგრამ ისიც მინდა დავებატო, რომ თავისი პოეტური ბიოგრაფიის მეტად კარბისულ წლებშიც პოეტი შორს არ იყო თავისი ხალხის ინტელექტუალური თუ ემოციური ცხოვრებისაგან, მის სულშიც ხმაურობდა დიდი ეპოქის კარტებილები და პოეტის

პიროვნებად ურთულეს წინააღმდეგობებში იწრთობოდა. რევოლუციის პირველ წლებში ეს გამოხატა, ერთე მზრივ, ისტორიული წარსულისადმი მიბრუნებაში, გარდასული ეპოქების, ძეგლების რომანტიკულ ჰერტაჟში, მეორე მზრივ, ქალაქური ცხოვრების უარყოფაში. რუსულ პოეზიაში ეს ყველაზე მეტად სერგეი ესენინის პოეზიაში გამოვლიანდა. ამგვარ ვითარებაში დიდ გზაზე ვასკლას მხოლოდ ისტორიკები ახერხებდნენ, რომელთა მოქალაქეობრივი იდეალები, მთელი შინაგანი ცხოვრება ელტვოდა უკეთეს დღეებს. რუსეთის უდიდესმა პოეტმა ს. ესენინმა მიიღო ახალი ცხოვრება, მან თქვა: ვიღაც ყველაფერს, როგორც არისო, მაგრამ ახალი ცხოვრების ერთმნიშვნელოვან ნაფრთხვად განარღობდნენ, საფლავში ჩაბრუნა რაიზანის ველების და ისლიანი ქოხების უსაზღვრო სედა. ახალი სიმღერისთვის თვით ახალი ცხოვრების შექმნა იყო საჭირო:

«Надо жизнь сначала переделати, переделав, можно воспевати». —

თქვა ე. შაიკოვსკიმ სერგეი ესენინისადმი მიძღვნილ ლექსში. ქართველ სიმბოლისტებსაც მოუხდათ ამ მეტად საძნელო უღელტეხილზე გაველა.

ოცან წლებში პოეტის შინაგანი წინააღმდეგობანი მძაფრდება და დრამატული ხდება. მის შთაფრენებს თანაბარი ძალით ხიბლავენ გმირული ისტორიის ანტილიები და დაცემულობის, მღვრიე სულის „კოთიწილი შვილი“ პარიზის ლათინურ კვარტალიდან. მის სურს ერთმნიშვნელოვან მკვიდრად დააკეთიზროს „მალარ-მეს გედი და იმერეთში თამარის ხიდი“. საქართველოს ისტორიის რომანტიკული სურათების გვერდით პოეტის წარმოსახვაში ცოცხლდება „პირამიდები, ზემო სფინქსი“ („სამუში“) განრისხებული ფარაონის სახე, ნილოსის ნაპირები, „სადაც ფოეების სარკოფაგები ინახავენ მუშიებს ყვეფელს“. ცხრაათინ წლებში ამ თემით გატაცება შეინიშნებოდა ევროპის ბიტიოსიის ლექსების ცაკლში „Любимцы веков“. შეიძლება ნაწილობრივ აქედან შეუფიქრა იგი ქართველი სიმბოლისტების პოეზიაშიც. ასე თუ ისე, ე. ნადირაძის პოეზიაში ოცანის წლებში ამგვარი გატაცებით აღინიშნება და სიმბოლისტებისთვის დამახასიათებელი მწიგნობრულობითაც აღიბეჭდა. მაგრამ ამ გატაცებაში ე. ნადირაძეს თავისებურება ახასიათებდა. შორეული ასოციაციები მის ლექსებში გვიანი რომანტიზმის ელფერს უფრო ატარებდა. უფრო მეტად: თვით შორეულ სიმბოლისტურ თემებს არსებითად არ შეუფიქრა ე. ნადირაძის პოეტური ბუნება. რაინდობის, ტრაგიკული განწირულების საუკუნენი პოეტს მომხიბლავად ემზანებოდა, საქართველოს მშვენიერების ბიწირ ხელყოფას მანანა ორბელიანის სილამაზის შემუსვრას იბარებდა („ფიქრები კრწანისზე და მანა


ნანა ორბელიანზე“). „წარსულ დღეებზე ჩემი ოცნება და ნაღელიანი თვალს გაბეჭდა“ ტონს იძლევა მის ლექსებს, რომანტიკულ სახეებს მელანქოლით ნასილავდა. „შინაგანი წინააღმდეგობის მოლანდება, შორეული ზარების რეკა და ფარ-მეზარადის ლეწვის ხმა მის სულს ერთმნიშვნელოვანად ატარებდა, აქ საინტერესოა ფერების, სახეების სიმკვეთრე და სიციხლე, რაც ე. ნადირაძეს ქართველ რომანტიკოსებთან უფრო ახლოებს, ვიდრე ტიპურ სიმბოლისთან.

იმის ტირილი, პირველი ქალთა გოდება, ზარების გლოვა, აქლემების ზეული ნელი. სდუმს ნარიყალა ამართული შიშე ლოდებით, აჩავენ არის სიციხლისიგან ვაღამარწენელი. მზე ვაღამარა, ვანგისფერი მძიმობს ჰაერი, ხმა საოცარი ბრბოს მოედო, როგორც სახადი. გაწითლდა მტკარი და შეიქმნა სისხლის ნაირი, და საეკირველად იცრემლება ღვთისმშობლის ხატ.

ან: მზე დაწდა სისხლად, მაგრამ ბინდი უკრ გვიანდება, აწევა მტეტებს დახანტებით საღამოს ჩრდილი. და სოღანღღღის სიმადლეზე, როგორც ლანდება დაისის ცეცხლში სდგას ვრეკლე ხალაოწილი.

(„სპინქის ომი“)

ამგვარი სიციხადით, დრამატიზმით აღსავსე ისტორიის წარმოსახვა უფრო კლასიკურ ტრადიციას ეყრდნობა, ვიდრე რომელიმე მოდერნისტული სკოლის ესთეტიკურ პრინციპებს. აქვე ჩანს, რომ ე. ნადირაძე არ მიეღებოდა განსაკუთრებული პოეტური ხერხებსა ძიებას, მისთვის ადრეულ წლებშიც უცხო იყო პოეტური რეფორმატორული გატაცებები. ერთი რამ კი ამჟამად იგრწნობოდა მის ლექსებში. აცტორი ცდილობდა ლექსში ყოველი ფრაზა დიდა ემოციის დამტვევი ყოფილიყო. მის პოეტურ ფერწერაში არ არის ჭარბი საღებავები, მაგრამ არის შექ-ჩრდილების, კონტრასტების ზომიერი, დახვეწილი კომპოზიციაში გახზრებულიდ გამოყენების ცდები. ამიტომაც ამ ლექსებს არ ემზნება ესთეტიზმის დალი, რაც არცთუ ისე უცხო იყო ამგვარი თემების ახლებურად დამეშვევების დროს თუნდაც იმავე ე. ბრიუსოვისთვის. მაგრამ წარსულის ანაგვლების რომანტიკულ ხილვას ჰქონდა გარკვეული ჰვერქმსტიტი, რაც ე. ნადირაძის ინდივიდუალისტურ პრინციპებზე მფუთითებდა. მის რომანტიკული კოშკის კედლებში: ახალი ცხოვრების ხმაური ძნელად აღწევდა და ისიც გმირული ისტორიის მუხეფეში დიღხანს ყვეზადა თავის მუხას. ძველი ფოლიანტების, სახეშეცვლილი ძეგლების, გაფითლებული ფერცლების ხილ-



ვისას პოეტის ფანტაზია უჩვეულოდ იღვძებოდა, სინამდვილისდმი უნდობელი გული წარსულის ხმებით ცოცხლობდა. „მე ისევ ეს ოცნების მკერდია“, წერს იგი 1926 წელს ლექსში — „ოქროყანა“ და აქ უკვე მომავლის ხილვაც, მერმოსისკენ ლტოლვაცაა ნაგულისხმევი. მაგრამ აქამდე მან დასძლია თავისი პირადი ღრამა და ეს მკათლო ჩანს ლექსებში „IAPT ჩემს ბავშვებს“, „Correspondans“. აქ სიმარტოვის პოზა კი არ არის, არამედ უკმაყოფილება ამნაირი ხედვით. შინაგანი დუქვაყოფილებლობის, ეგოცენტრული შეზღუდულობიდან გაოსვლის სულისკვეთება მინც ჩანს შემოდგომის მწუხარე ფერებით გამოხატულ განწყობილებებში.

მისასვლელი ბილიკების ძიება, რაც, სავსტოდ, ახასიათებდათ ოციან წლებში სხვადასხვა მწწინავე პოეტებს, შემდგომი მსატრეველი სიტუვის გამოჩენილ სახეობა ოსტატებს.

დამალე ცრემლი შენი ტირილი
 არავს სურს და არვის სჭირდება...
 და განწყენილი დიდი ტკივლით
 ღმილით ყველას შეტრივდება.


და ეს ძველი „ტკივლებისგან განწყენდის“ პრიკესი როდი იყო ოლი.

აქ პოეტს შეელოდა სულეტი ნათესაობა თავისი ვრის ჯანსაღ ტრადიციებთან. მან ისიც იცოდა, რომ ამგვარი შემობრუნება ღრმად, შინაგანად უნდა მომხდარიყო. ყველაფრის ზილება დეკლარაციულად კი მას სინდისის წინაშე გაუმართლებელ სექციულად მიანდდა. ამგვარი ვეკატური პირდაპირობა უმავრებდა მას სტრიქონს და გულმართლობაზე დინდობილი პოეზია იღუღუღებდა მკითხველს. შინაგანი ტკივლების, სიმარტოვის მოტივებში უცებ გამოეცრა ხალხურ კილოზე დაწერილი ლექსი არსენა ოძელაშვილზე (არსენა“, 1923 წ.) და ნათელი ხეხებდა პოეზიის დაახლოების სურვილი ხალხურ საწყისებთან, ცხოვრების ხალხურ ხასიათთან, ამგვარი რამ სრულად შეუთავსებელია პოეტი-ინდივიდუალისტის მსოფლმეტარქმებასთან. შემოდგომის გახუნებული ცისა და ველის. „ფართობიანი, დიდი ქაღებებს“, მგდარი ფოთლების ფონზე „ახალგაზრდობის ოქროს დღეებთან“ განმორებული პოეტის ფიგურაც 1926 წელს დაწერილ ლექსში „აყუვებული ტყემლები“ ვაზაფხულის მსიორულ ზურგადგეში მიცურავს და სიცოცხლის ზეიმს ხელგამლიო ვეგებება. ეს არაა უეცარი გამხარულება. პოეტის ღმილში, მის ადიდებულ სიხარულში ძველი, ვადატანელი ტკივლების ნაკვალევიც ჩანს. ასე ვეგებება ბუნების ფერთა ფრიაშულს კარგა ხნის ავადყოფობის შემდეგ ბალი გასული აღმიაინი. აქ პოეტი გულწრფელად ვაგახრებელია იმით, რომ აღარ უშწრს „ცხოვრებას უბრად“. „მე ჩემად ვუზწერ მაღალ მყინვარებს და აყუვებულ ტყემლებით ვთვრებ...“ ავიდა მტრდღეით აფრენა ბიდან, რომ ცას ვაგვარა პატარი ღრებდა. სიცოცხლის ძალთა ამ მოზღვაგებას იგი სიხარულით ავად ვახლმას უწოდებს. და მას უნდა სტიქიონებში ვაფონოს ამ სიხარულმა, სიცოცხლით თრობამ, ისე როგორც აესებს მეტქმან წყლით მოხლოებული ვაზაფხული. „მე შინდა მოვეყვდ ერთ უყვდავ თქმამი“, წერს იგი: მას უნდა სიტყვაში აჯობის თავის თავს, თქვას მეტი, ვიდრე შეუძლია. მას უნდა ლექსი ჰვადეს შეწყყარის მოვარდნას, „რომ ვაგატამს და ცოცხლად დავგარბავს“, როგორც იტყოდა მისი მეგობარი ტიციან ტაბიძე. სინამდვილის ასეთი

გზოვარ და ვფიქრობ. მარტოობას ოთამში
 ვეძებ.

ნოემბრის ქარი ისევე-ისე ხეებში მოსტქვამს,
 მთვარის სხივები შემოქარდა მინებში სეცად,
 დახტულ ფანჯრებს შემოდგომის სიცივე
 ორთქლესა,
 ვზოვარ და ვფიქრობ. მარტოობას ოთამში
 ვეძებ.

ამ დახტულ ფანჯრებს თანდათანობით აყუვედა ახალი ცხოვრების ქარიშხალი და ათობში გამოეკტილ მარტოსულობას ძველი შეზღუდვარის თავმოყვარობასავით აფორიაქებდა. აგანა არ ვესმის რა საშინლად მძინეწარებს ქარი — კითხულობდა პოეტი 1919 წელს. მან უკვე იგრძნო, რომ ცხოვრებაში საკმარისი აღარ იყო „შემოდგომური პატიოსნება, კეთილშობილი კაცის სახელი“. მის სულს ისევ აჯადოებდა სპეტაკი ლეკვარად, იგი ელტვობდა უღრებულო ზეცის უბნობებს, „ქვეშაირტ საზომს არჩეულ სულთა“. ეს არ იყო განმარტოება ობივარტელისა. მისი ვანკრამოებაც აღსაესე იყო ამბოვრებული ცხოვრების მღელვარებით. მისი სიმარტოვე არ იყო ავადყოფური ეგოზომისა და მისტიკური ვერტერის გამოხატულება. ამოტრმიც ოციან წლებშიც კ. ნადირაძის ლექსებში იგრძნობოდა სპეტაკი შორალი აღამიანისა, რომელსაც ბევრი რამ ცხოვრებაში თავისებურად ვაეგება, მაგრამ პატივს სცემს აღამიანის სულდღობას, კეთილშობილებისა და ვაეკატობის უზალო მშვენიერებას. აქ უკვე ვერ იპოვით ვროტზმის, ვამიშვლებული ხორციელების კელტს, რაც ასე ორგანული იყო ზოგვართი სიმბოლისტი პოეტისათვის. „უარჯვ ვნების ცეცხლი მაედური და სიყვარული დაანთე სულში“, წერდა იგი. იგი ცხოვრებისკენ ისწრაფოდა. სიცოცხლის სიყვარული არასოდეს ჩამქრალა მის არსებაში. ამიტომ არც სიყვადლის ამოლოგამდე მისულა ოდესმე. „რომ ამტყუვადღეს შენი სიმღერით დღის სინამდვილად“... ამისთვის ეძებდა იგი ხმებსა და ფერებს. აქ უკვე შესამჩნევია ახალ ცხოვრებასთან



მოქარბებული ვანდა, გამაფრებელი ემოციები ახლა მომტრებული ძალით ვადმოიღვარა კ. ნადირაძის ლექსებში. ინტონაციის მთავარი ძარღვიც ეს კარბი გრძობიერებაა, რაც ღღუღღ მოჰყვა მის პოეზიას. კ. ნადირაძის სტრატონის ფრთიანობა და მსუფუ ფერები ახასიათებს პოეტურ აღწერაობებშიც კ. ამის შემდეგ თვალში აღარ გვევმათ შედარებით ტრანჟი მულოვია ლექსისა, რადგან პოეტს მთელი გულისყური სიტუვიერ ფერწერაზე გადაქვს. ბუნებისა და ქალის მშვენიერების უაღრესად მინორი ვანდა, მხიარული განწყობილების მკათო ფერებით გამობატული, აღსავსეა შინაგანი პოეტური ენერჯით:

მასოვს კალათი ტოტებს აქადე,
რომ დაგვერიფა ურბენი ზეზე,
და გიწეპავდენ ტუჩების კიდეს
შეიფე ლეღები დამსუღარი მზეზე, და სხვ.
(„თეთრი ტყემლები“)

ესე მივიდა იგი „დიდ გზასთან“, როგორც უწოლა მან ამ რამდენიმე წლის წინათ გამოცემული თავისი ლექსების ერთ წიგნს. იგი ახლა პირდაპირ ამბობს: „მშვიდობა თქვენდა, გულის გამგმირო, წარსულ დროების მძიმე სედედებო! მეც მიინდა მერგოს საქმე საგმირო და თქვენ გიმღეროთ, მშობელო მთებო“. მან უარი უთხრა უწინდელ გალობებს, ვრლი ტაძარში „მოთაფლისფერი სახეს მიმების“, „ღღისმშობლის შოგარო თვლებს“, და თქვა: „აღდეს ლოცვებისთვის დრო აღარ არისო“ („ოქროყანა“). იგი კვლავ განმსჭვალა მალალი პოეზიის ვრძობით, ნამდვილი აღსარების სათქმელად ვანგზებადა:


რომ ყველაფერი, რაც გულის აქდენდა,
რაც კი სტანჯავდა გონებას მწარედ.

რაც სისხლის ტრემლებს თვლებს ადენდა,
გამოეიტანა სიმღერით გარეთ...

ამნაირი განზრახვით მიდის იგი თანამედროვეობასთან და განახლებული გულის უტკნობი ოცნებები მიჰქვს, ვერ იფიწყებს დღუბულ მეგობართა „მჭირფას საფლავებს“ და მათი სახელი გამოაქვს, „როგორც მეომარს დაპრილი ზელით ერთი წაღვეჯი წართმეულ დროშის“. ახალი სინამდვილის სწორი ვავება და მხატვრული შეცნობა პოეტის ცოცხალ შთაგონებას უნდა ემყარებოდეს. მხოლოდ ასეთი თავისთავადობა მიანიჩა კ. ნადირაძეს პოეტური შემოქმედების პრინციპად. საყოველთაო ტრენდენტებს იგი მტრნაყლებად ანგარიშს უწევს, მაგრამ მთავარი მიანიც მისი საკუთარი მიდგომა, შეგრძნობა და აღმოჩენაა. ასე ფიქრობს კ. ნადირაძე და ეს პრინციპი მთლიანად გასდევს მის შემოქმედებას. ამასვე აღიარებდა იგი ოციან წლებშიც.

აქედან მოვლოდნელი არ უნდა იყოს კ. ნადირაძის შემოქმედების ღრმადრწინდინდინდური ბუნება. იგი არსებითად მჭაქმჭაქ მისხლციხობრების მთავარ პათოსს, ადამიანის ზნეობრივი ამაღლების, მისი სოციალური თავისუფლების პათოსს. მაგრამ ყოველივე ამის ვაგებამში მას საყვარელ დრამატულ ზოგადფიზიკურ დაურდნობა სურს. კ. ნადირაძე შემოქმედებითის პრინციპებს ძალზე მალა აყენებს და მწელად თუ დასძრავს სიტუვის იმაზე, რაც მისი სულიერი ცხოვრებისთვის ორგანული არ ვაშხარია.

ოცდაათიან წლებში პოეტის ლექსებში მკათოდ ისახება მწენი დროსთვის დამახასიათებელი მხატვრული პრინციპები, ელასიკური ტრადიციებსა და მოდერნიზმს შორის მერყუობაც თავდება. ახლა უკვე პოეტი ბზგასმით აღიარებს პოეზიის მალალ მოქალაქეობრივ დანიშნულებას, მისთვის ადამიანი და ბუნება—ეს „ორი სასწაულია“, რომლის მხატვრული შემეცნება ქმნის პოეზიის ქვემარბიტ მშვენიერებას. („პოეტს“). იგი პოეზიაში მოითხოვს გრძობისა და ფიქრის პარმონიას, რათა პოეტური სიტუვა-გარდქცევის სიბრძნის სინიდისის ზერხეზლის ძელად“. ელასიკოსების მსგავსად, პოეტი მას მიანიჩა წინსწარმბერეველად, ერის მოთავედ, რომელსაც უნდა ხიზლავდეს „პრმოლის ცეცხლი, ხალხთან ერთობა“. აქვე აღიარებს იგი შემოქმედების წყაროდ მძაფრ სულიერ მღელვარებას, როგორც იმპულსს ამღერებისას. აქვე უსვამს ხაზს პოეტის სულიერი მღელვარების დრამატულ ხასიათს. ვანწყობილებათა მრავალნაირობის და მათი გამობატვის მთავარ პათოსად გულწრფელობის, უკიდურესი შინაგანი სიმართლის აღიარებას. „შენ სიყვარულის უნივერსელი აბჯარი გმოსავს და შენი ერის უანვარო გული გენდობა“, წერს პოეტი, „ბრფობის ქარბეცხლი და საწყაროს იღუშალება, კეთილშობილერ ფიქრთა დღუვა, ეპოქის სუნთქვა უნდა აეურდეს შენი სულის უკედვე ძალებად, რომ სიქვე სიმღერა, გერ რომელიც არავის უთქვამს.“ აქ უკვე არსადა ინდივიდუალისტური ფილოსოფიისა და, კერძოდ, სიმბოლიზმისთვის ჩვეული სუბიექტივიზმის ნიშანწყაქი. აქ უკვე პოეტი დადგა მალალი პოეზიის ტრადიციათა მკვიდრ ნიდაგზე და სიყვარულის, „სამყაროს იღუშალების“, კეთილშობილერი ფიქრებისა და „ეპოქის სუნთქვის“ პოეტური გამობატვა მიზნად დაისახა. როულ ძიებაში მიკვლეული ეს მრწამსი მან სხვა ლექსებშიაც გამოთქვა და ამით თავის მხატვრულ მწრამსს ერთგვარი ჩამოყალიბებული სახე მისცა. აქ მზედველობაში მაქვს ლექსები „შოთა რუსთაველს“ და „ბუქინს“, სადაც კვლავ მალალი ზნეობრივი იდეალებისა და სოციალური თავისუფლების გამობატვაშია ქვემარბიტი პოეზიის უკვლევა გამწერტილი.



შენი საფლავი მონღოლებმა ვასთელეს ალბათ, როცა ბერდუჯის ნაპირებზე გავეტივდა

ხმალი.

მაგრამ სიმღერას შენი ვრი უსმენდა ხარბად და გვერდს გვიღიდა საუკუნეთ ქრონოლოგია.

მალი.

დღეს შენ სამშობლოს თავისუფალს უმღერო ისევ

მისი დიდების და გენიის გამომსახველი. და უკვდავების სიამაყით გონებას გვივსებს თვალმუდღამი ბრწყინვალეობა შენი სახელის. („მოთა რუსთაველს“).

აქ უკვე ნათლად ჩანს, რომ პოეტის სულიერი ცხოვრება ეროვნული კულტურის ემბაზშია განათლული და იგი, ვხაზავს, ისევ მშობლიურ საუნჯეთა ბრწყინვალეობას გამოუყვანია ფართო შარაზე („ოქროს ფრინველი ბაგრატის ნანგრევებზე“). ახლა მისთვის განსაკუთრებული ელვარება დასდებია ბუხრის გუგუნში მაშის მიერ მოყოლილ ზღაპრებში განცდილი ეროვნული გენიის ნაყოფს, რომელსაც აგვერდს აუღლიან მოძიდებით დრო და სიკვდილი“. იგი მზირად უძღვნის ლექსებს დიდებულ წინაპრებს, მეგობარ პოეტებს, ვიწროდ შათს პორტრეტებს კი არ ხატავს, არამედ მათი ნაფიქრალისა და ნაგრძნობის ვაზიარებით მათთან სულიერ ერთიანობაში წარმოშობილ ფიქრებსა და განწყობილებებს გამოხატავს. მის მხატვრულ სამყაროში პოეტის პირადი ვეშოვნებისა და მიღბეილებების მიხედვით ჩნდება პართული პოეზიის ტიტანები. რუსთაველის, ბარათაშვილის და ილია ჭავჭავაძის ქმნილებებში განჭვრეტს იგი პართული პოეზიის მთავარ ზვას და თავისი ინტონაციის სათავესაც აქვე იღებს, მათს გოლიაოთერ ფრთებქვეშ ავაკაცებს შეზას, მათი ეროვნული თუ ფილოსოფიური კთხეებითა შეპყრობილი. შეიძლება ამ მხრივ აჭარბებდეს კიდევ კ. ნადირაძე, წარსულის ასოციაციების სიხშირე ერთგვარი ანაქრონიზმად მოზანდეს მის პოეზიაში, უფრო მეტიც, ეს უკან ვწვევა მის მხატვრულ ფორმას, ცოცხალ სიმეგობის ელფერი აძლევს პოეტურ საღებავებს. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს პოეტის ისეთი ორგანული თვისებაა, თანაც, ყოველივე ეს პატრიოტიზმის ასპექტში წარმოდგენილი და, ამდენად, დღევანდელი ფერადობაც აქვს მაგრამ არსებითად ეს უარყოფითი მხარეა მისი მთავარი თემებისა და განწყობილებისა. მთავარი მისთვის წარსულის კულტურულ საუნჯეთა განჭვრეტაში, უკვდავ გენიოსების თაყვანისცემაში არის ინტელექტუალური სიღრმეების შეფასება და ეროვნულ-მოქალაქეობრივი გრძობები. როგორც ჩანს, მას საგანგებოდ იზიდავს პართული ინტელექტუალური ხასიათის პოეზია, მისთვის, აღამიანს ღვათაბრივი აზრებით აღბეჭდილი შემოქმედება. ამიტომ მისთვის აზრად

ქცეული განცდა მთავარია პოეზიაში, სხვა ყველაფერი, მათ შორის მელოდიაც, წყნდება მისი წელიწადიანი, ამიტომაც მისი ლექსები ხატობს რა მეტად მძიმეა, დარბაისლური, ზოგჯერ მონოტონურიც კი, სამაგიეროდ, ღრმაა, რთული მჭებრტყლების შემცველი.

მაშინაც კი, როდესაც პეიზაჟით გამოხატავს განწყობილებას, კ. ნადირაძე თავისებურ ფერწერას ქმნის. მშობლიური ვარემოს პოეტური სურათების ხატვისას იგი ვარემოს მსუბუქ ფერადონებას, მკაფიო მეტაფორებს იყენებს. მას უარესად გატყობილებული აქვს ჩვენი ბუნების კოლორიტის გრძობა. ტრადიციულად შემოდგომის სახეობას თუ გაზაფხულის აყვავებას იგი ქალური მშვენიერების გამომხატველად მიიჩნევს („შემოდგომის სტუმრობა“).

„მოვიდა ჩემად თვალზე დახრილი ვაზის ფურცლებით აბურდულ თმებში. მთვარე სურნელად იყო დაღვრილი ირმის ყვრილ ისმოდა მთებში.

შე დავინახე, როგორ სიფრთხილით ჩამოუარა ვენახის ზვარებას, როგორ აავსო ყვითლად ხეხილი, როგორ რაზავდა ზაფხულის კარებს“. და სხვ.

ეს ლექსი თავისი მდიდარი ფერწერით, ნამდვილი პოეტური ფანტაზიით ცოცხლად ხატავს ქართული სოფლის სურათს. და არა მარტო სურათს! აქ მთელი ნახატი აღბეჭდილია სიცოცხლეზე შევყარებული კაცის განწყობილებით. გლუხკაცური სიხარული, საერთოდ სოფლის თემა, ტრადიციულად დამკვიდრებული ქართულ პოეზიაში, კ. ნადირაძესთან თავისებურ ხასიათს ატარებს. კ. ნადირაძის ლექსება „იმერეთი“, „აფხაზეთში“ ოდნავ სვედიანი ფერწერით, შორს დარჩენილი ბავშვობისა და დედის მოგონებებით არის გამსჭვალული. „ისევ ხატები მიდიან წელა ვიწროდ ამოჭრილ სოფლის შარაზე, და მზის ჩასვლამდე თბები ელავს აიბინებულ გლეხის ყანაზე“. ეს ნაუნობი ხეები აფხიზლებენ პოეტს და მის სულში მშობლიური კუთხის უზადო შესართულს, სიცოცხლესთან დაბრუნების წყურვილს ამძაფრებენ.

და მიწა დათვრე ტკილად და წელა ამ ულავვარდეს, უძირო ზეითი, მოვხლო პტრა, როგორც რომ ძველად და ავათცხო შეავცეხლთან კეით. — და სხვა.

ეს გატაცება სოფლის იდილით ახალ ცხოვრებასთან პოეტის აქტიურ დამოკიდებულებას უდგაც მთვანინუნებს, რადგან სოფლს თვალსაჩინოდ დაეტრე არსებითი ცვლილება ჩვენ

წი რეგულაციის შემდეგ, ამიტომ ბუნებრივია, რომ ახალი სოფლის ყოფიანობების თემა კარბობს ჩვენს ლიტერატურაში დღემდე, საერთოდ, და პოეზიაში, ეკრანულ. სოფელთან მიზრუნება მრავალპირანხელი ინტელექტუალის ცხოვრებაში ხალხს იღვრების მიღება-გაზიარებასაც გულისხმობს. მიწის, გლეხკაცური უფის სიყვარულს ოპტიმისტური ელვარაღობა შექმნდა კ. ნადირაძის ლექსებშიც, თუმცა იგი კერძოდ ვერ გამოხატავდა მთელი სისასიით რთულ სოციალურ კატაკლიზმებს:

ქვეყანაზე ჩემო, ზეციით ნაყრბოხო,
უხვად მორწყულო მზითა და მთვარით!
მე შენს კალთებში დაეძვებ კუთხეს,
მოპეცი შენთან თავშესაფარი.

ისევ შემიშვი ღარიბ ფაცაში,
სადაც ქართულად აკვანს არწვეენ,
მანაზე შენი ზეცის კაშკაში,
მასმინე ხმები გულს რომ ანგრევენ.

რომ კიდევ ერთხელ, ქვეყნმა შევალად,
გაღვიძრბინო შენი ნოხები,
რომ ფეხიშვიელმა ვიარო ველად,
ფიქნობა კვამლი შენი კოხების.

სულ სხვა ფერები, სხვაგვარი კონტრასტები ლექსში „იფხაზეთი“. აქ არ არის საგრძნობი ტარბის გაღამწვარი ველებს მხურვალეობა ან „ფოთის უსაზღვრო სევედა და მარტობა დიდი ვეგების“. აქ პერიზი სულ სხვა მშვენიერებით არის აღმუქდილი... „როს თვალი ნაყნობ ნაბირებს აცდა და მზე ჩასვენდა ანთებრ ზღვაში“... „და როცა შორით ცისფერ ტალღებში ნაბირი მწვანელ ამოიბართა — მე თითქოს ვიღაც შემიღდა მხარში და გული გახდა ზღვასაღი ფართე“... „ზევართების სუნთქვა მარალიანი“... „თითქოს ვიღვეი შეღვას ბალთან, თითქოს ლაქვარდი მირონს მასმედდა“... „ბრწყინაღდენ მთები გამღნარო ზღვაში“... ასე ისახება ლექსში აფხაზეთის პერიზი. აქ ჩანს სიციოტლის სიყვარული, მშობლიური ბუნების პოეტური ვაცადა წარსულის მოგონებებთან ერთად. ნათელია დასკვნაც: „მგარამ მადლობით სავსე ვარ, რადგან მიწაზე გაქნდი, როგორც სულდგმელი“. ლირიკულ ფერწერაში მხიარული ფერების სიჭარბე თავისთავად მერტყველბს ამ პერიოდში კ. ნადირაძის პოეზიის ღრმად აღამიანურ ხასიათზე. უფრო გვიან მის პოეტურ ფერწერაში საგრძნობია სოციალური მოტივები ასეთია „ორფეოსის სიმღერა“, „ბათუმის ბალთან“, „ბათუმისკენ მწვანე კონცხიდან“, „როცა ვარდისფრად სუნთქავს პაერი“, „ნაყნობ კოლმურტრე ქილს“. აქ კ. ნადირაძის ლირიკული ინტონა-

ცია ითავებს განწყობილებს სოციალურ მხარეს და პოეტურ პერიზიში ჩნდება ახალი დროის მკაფიო ნიშნები, ახალი აღმზარის სულეფერი თავიანთებრბანი. „და სისხრტყე, სისხლამაზე მხოლოდ იქ სუნთქავს, სადაც არსებობს სამშობლოსთვის შრომა და ვარჯა“, — პათეტურად შესასხებს პოეტი. „სხვა სასწაულის მოწამე ხდება კოლხეთის მხარე კობით სავსე“... „თითქოს ლევენდა ცოცხლდება ისევ და დედაშიწა სიმღერას ამბობს“... „ზღაპრული ოქროს ამოაქვს თითქოს“... დამდგარა ეამი, როცა კოლმურტრე ვაყკის იმედანი სიმღერასკვბს ორფეოსის ვალობას „(ორფეოსის სიმღერა)“. ასლა: „ზღვისპირად სულსხვანაირად იწყებენ ჩურჩულს ვეკალიტები“... „ვარდისფრად სუნთქავს პაერი, როცა ვალობენ ზღვაზე ზეირთები“... „ნეტავ ვინ ფანტავს მარგალიტს ამღენს, ნეტა ვინ მაწედის ამღენ საუნჯეს“... „კარგია ზღვისებარ უძირო გულით ბუნების გრძნეულ ვნის მიგნება“... ასეთი სტრიქონები ტრნს აღვებენ პოეტის განწყობილებებს ახალს გარემოში. უოველივე ეს დავვირგვიწებულია ასეთი ზეაწეული, აგზნებული შედახილით:

თითქოს არასდროს ჩემს სიციოტლებში
მე არ მიხილავს ამგვარი ზეცა.
მზე დაფსდფსებს ჩაის ფოთლებში,
ზღვა აბრმეუმებს შლისა და კეცავს!

მარად ნორჩი და მარად უკვდავი
ბუნება ირველივ სიციოტლებს ძერწავს...
არა, არასდროს ჩემს სიციოტლებში
მე არ მიხილავს ამგვარი ზეცა.

(„როცა ვარდისფრად სუნთქავს პაერი“)

ამ ლექსების ტრნს ახალი ცხოვრებით გულწრფელი აღტაცება უღვევს საფუძვლად. მგარამ, აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ აღტაცების პათოსი ამ ლექსებში ვართანაირად ელტრს. აქ პოეტის სახეობა და ფერების ზოგადი სიმკვეთრე აკლია. მის სტრიქონებში უფერული მსკელობაც შემოიჭრება ხოლმე და პოეტური მერტყველება უკიდურესი გაუბრალოებით, პოეტური ფერების უფერულობით აღიბეჭდება. ზოგჯერ ასეთი თბილი სტრიქონების გვერდით — „კარგია, როცა ქენაში გახვალ და სულში ლექია რუსთველის მღერას, კარგია ძველა შეგობარის ნახვა და მისა-მურად მოხვევა ზელოს“ უკებ ასეთი უფერული, უმოციო სტრიქონები გეხვდება.

მე მიმანია ძმად და მეგობრად,
ვინც კი შრომობს და გილდოს ღებულობს,

მე მიმანია ნამდვილ მეორად
ისიც, ვინც ზემო შრომით ერთვულობს, —
და სხვა.
(„თბილისში“)

მაგრამ უკვე ნათელი ხდება, რომ პოეტის
ლირიკულ პეიზაჟებში თანდათანობით იჭრება
ახალი განწყობილებები, ახალი ფერები და
მთელ მის პოეზიას მანამდე უცნობი ოპტიმი-
სტური ელფერი ანიჭებს. ახლა უკვე სხვაგვარად
განცდიის იგი განახლებულ ქუთაისსა და
თბილისს. აქაც არის წარსულის ასოციაციები,
მაგრამ იგი უკვე პოეტს დღევანდლობის ფო-
ნად, მისი უფრო რეალისტური გამოხატვის-
თვის სჭირდება. აღრეც შემუშავებული პოე-
ტური აღწერილობის უნარი ახლა უფრო ფარ-
თოდ ვლინდება მის ლირიკაში („განახლებულ
ქუთაისს“, „თბილისის გამოღვიძება“).

დაღრილ ცრემლებით ავსებული, თითქოს
გამთხარო,
მტკვარი ტორტმანით მოადგება მეტებს
ხავსიანს,
რომ ვადაღვას ძველ სიმტიკის
თავშესაფარი...
მაგრამ, რეკრავს გაღიშებით უკვე
დამტკვარი
ქალაქი ზემო სიხარულით ისევ ხავსეა.
ღანის ლანდები აინჯრევა და აიშლება
ორბის ფრთებივით გაიშლება მთების
სივანე,
ვარსკვლავთ წარწერა ცის გუმბათზე
ამოიშლება,
მწვერვალებს სხივი დაედება ოქროს
ნიშნებად
და მთელი არე შეირბევა, ვით ოკეანე.
(„თბილისის გამოღვიძება“)

ასე ფართოვდება კ. ნადირაძის პოეზიაში
ცხოვრების პოეტური იდეის პორიზონტი. იგი
უკვე გარკვევით გრძნობს თავისი ხალხის მჯღის-
ცემას და თავისი სულის მღელვარებას უერ-
თებს ახალი ცხოვრების შენებაში გამძლეაწე-
ბულ „ეპოქის სუნთქვას“. სოციალური თემები
და მოტივები უკვე ორგანული ხდება მისთვის.
იგი წერს ლირიკულ პოემებს „ჩემი სამშობ-
ლო“ (გამოქვეყნდა მხოლოდ პირველი სიმღერა)
„წითელი მოედანი“ და „1905 წელი“. ეს ნა-
წარმოებები სხვადასხვა პერიოდშია დაწერილი
და არსებითად რევოლუციის თემის გამოხატვის
პოეტური ელვებია. პოემებში „წითელი მოედანი“
და „1905 წელი“ შეინიშნება ა. ბლოკის
„თორმეტის“ გავლენა. ამასთანავე, აქ არ არის
ბლოკის პოეტური ფორმის განსაცვიფრებელი
ბრწყინვალება და მის ნაკვალავს ეს პოეტური
ქრონიკები შედარებით მკრთალი ლირიკული

ფორმებით ხასიათდება. ამას ვერ ვიტყვით
პოემის ნაწყვეტზე „ჩემო სამშობლო“, ამ ყველაფერ
თავს იხენს კ. ნადირაძის შემთხვევითი პოეტური
ენერჯია და დღევანდელი ყოფის ლირიკულ
სურათებში დიდი სულიერი მღელვარებაა გამ-
ძლეაწებულში. ყოველივე ამის პარალელურად
კ. ნადირაძის პოეზიაში კვლავ იგრძნობა ბუ-
ნების რომანტიკულ-ფალოსოფიური წარმოსახ-
ვა. იგი არა თუ ემოჯუნება ამ შირივ კლასი-
კოსებს, არამედ, პირიქით, უჩუბტად მიუყვება
მათს ნაკვალავს. განსაკუთრებით საგაძმობია
ახალი ხასიათის ლექსებში ნ. ბარათაშვილის
ფალოსოფიური ლირიკის ინტონაციები. ბუნე-
ბის იდემალებაში იგი მარადიულსა და ამაღ-
ლებულს ეძიებს („კოლხეთის სიღამობი“).
„ამაღლდი სულით, შეუერთდი შენც ამ სამყა-
როს! დაგვე წუთიერ და წარმავალ გრძნობათა
ზრახვა, რომ შეუერთდე პარმონის უძირო
წყაროს, რომ პოეო სიბრძნე იმ ფოთოღშიც,
ხეზე რომ ვაჰმა...“ „ნუ შფოთავ, გულო, მოი-
შორე ჭუნუვათა ბარგი და შენც ანღერდი მარა-
დიულ ტალღების ხმაზე“. უფრო ღრმად ეს
განწყობილებები, „სამყაროს იდემალები“ პოე-
ტური წვდომა თავს იჩენს ლექსებში „ჩემი
ვარსკვლავი“, „მე მოვიარს დილა“. აქ უკვე
ავტორი ბევრ რამეშია დაეალება „შემო-
ღამება მთაწმინდაზე“-ს გენიალური ავტორი-
საგან.

ჩემო ვარსკვლავო, შენს სიმაღლემდე ამო-
ღის სული შევნიღ თბლად!
ჩემო ვარსკვლავო, შენამდე აღწევს
კაცთმოყვარეობის უკვდავი გრძნობა.
შენამდე აღწევს, ჩემო ვარსკვლავო, ჩემი
გულისთქმა და ჩემი ტრფობა.
შენამდე აღწევს ფრინველთა ლოცვა, ყვა-
ვილთა სუნთქვა, ტყეთა შრილი
ზღვათა და ქართა ჭმუნვა და ოხვრა და
მთვარის შუქზე ცეართა ცილი.
ბავშვის ბავთა ღიმილი ნაზი და დიდი
სუვედა ადამიანის...

...რადაც დიდი და ღვთაებრივი სივარსკ-
ვლავთის წიაღში ზდება
ეგების ფიქრი და სიყვარული
აქ განსიყვრებს და აქვე ჩნდება.
შემდეგ იღვრება სულდგმულის გულში
მხოლოდ სიტყვას და აღარ კვდება?
რადაც დიდი და ღვთაებრივი ადამიანის
სულშიაც ზდება.

აქ ზენაარული სამყაროსკენ სწრაფვა, სამ-
ყაროს იდემალებათა სულიერი წვდომა,
„ობლად შევნიღა სულის“ საუბარი უზი-
ლეთ ვარსკვლავთან, ყოველივე სულიერის
ნლოღვა მარადისობის სივანისკენ ბარათაშვი-
ლის ლირიკის შედეგებშიაა შთავრებული და
დღევანდელი კაცის ინტელექტუალურ-ემოციუ-
რი ამაღლებს მანიშნებელია. ძნელია აქ ღაპა-

რაც პოეტური აზროვნების აბსტრაქტულ ხასიათზე, რადგან ამგვარი განწყობილებანი სავსებით კანონზომიერია ჩვენი დროის ადამიანის სულიერი სამყაროსთვის. ამ ლექსებში, სიყვარულ-სიციხის მარადიული მოტივების გარდა, არის სხვა რამეც, რითაც სავანეობოდ ძვირფასი ხდება იგი. მე შეგვევლობაში მაქვს ადამიანის სულიერი სიდიადის ის კემანისტური შეგრძნება და ზნეობრივი სიფაქიზე, რომლითაც გამსჭვალულია კ. ნადირაძის ფილოსოფიურ-რომანტიკული პლანის ლირიკული ნიმუშები. ეს უფრო მკაფიოდ ჩანს ლექსებში „მე მიყვარს დილა“ და „შენ ჩემში ცოცხლობ“. აქ ასოციახლის გრძნობა და თვით სიყვდილის გარდღევალობა“ მშობლიური ქვეყნისა და ადამიანის დიდ სიყვარულთან არის შენივთებული:

მე მიყვარს დილა, როცა ფანჯრებში შემოვა
შე და მერცხლის გალობა.

როცა მახარებს სიციხის გრძნობა და თვით
სიყვდილის გარდღევალობა.

მე მიყვარს დილა, როცა ფანჯრებში შემოვა
შე და მერცხლის გალობა.

შეტებისა და სიონის ფონზე ლექსში „არწონისის გმირი თითქოს ასწევს სისხლიან ფარებს“, აფრენილი მტრედების გუნდისა და მზის სხივების შარაყანდღღში მშობლიური ქვეყნის მშვენიერებაა განკვერტილი. აქ საოცარი ძალით ელინდება პოეტის დრამატული სული სამშობლოს სიყვარულისა და წარმატებულობის შეგრძნებაში. ამოძახილში „განა არ ვიცი, რომ მოვა ეამი და ვერ ვახილავ შენს მთებს და პულებს? მინდვრის ყუავილში ან ხის ფოთლებში ოდესმე მაინც გაეახულ თვალში“ ისევ და ისევ სიციხის ღრმა სიყვარულია გამოხატული და არ არის მისტატი. თუ მთელ ამ ფილოსოფიაში, რომანტიკოსებისაგან განსხვავებით, ცოტა რამ სიხალეა, სამაგიეროდ, აქ არის კ. ნადირაძის პოეზიისთვის საერთოდ ჩვეული დიდი მორალური სიფაქიზე, როგორც ადრეც აღვნიშნეთ, ესთეტიკური კატეგორიის ხარისხში აყვანილი. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ პოეტი აღწევს დახვეწილ ლირიკულ აზროვნებას, მკაფიო კომპოზიციას ქმნის და მასი სახეები, თვით ასეთი ცენტრალური პოეტური შეთავორა „ხაერდის კიბის საფერებებით დადი სიწმე ჩამოიღეს ციდან“ შორსაა სიმბოლისტური ესთეტიკისაგან. უფრო მეტიც: ბარათაშვილის პოეზიის გაყვანილ აქ ისეთი რატმელი თავისებურებაა მიგნებული, რომელიც ღრმა შინაგანი მუსიკით პარამონიტლად გქსოვება ფილოსოფიურ-რომანტიკულ განწყობილებებს. ეს „მომივე მელოდები“ საერთოდ უყვარს კ. ნადირაძეს და აღბათ შემოხვედით არ უნდა იყოს მის პოეტურ სამყაროში მსოფლიო მუსიკის ორი გენიის ბუთოვენისა და


„ღვთაებრივი ბახის“ გამოჩენაც. მეგობრებსა და საყვარელ კალთან ურთიერთობაშიც იგი ამჟღავნებს მალალ ფაქიზ გრძნობებს. ექვთვე ლების, რაინდული კეთილშობილებისა და ვაჟ-ვაკობის სილამაზეს და კიბის დღესავით სქელ სველიანი ტლანჭი და არტისტული. სიყვარული-უიღრესად დრამატული განცდა—მის სულიერ ცხოვრებაში ხშირად უყავიორდება წარმავლობის განცდას და ამით ეს გრძნობა კიდევ უფრო ადამიანური ხდება.

მედამ გაისმის შენი ხმა-ჩემში — უქნობ
ყუავილად გულში ჩარგელი
ვიღრე ვარსებობ, შენ არ მომკვდარხარ და...
არაფერი არ დაქარგულია
მე მასულდგმულებს ეს დიდი ტანჯვა და
სიყვარულით ვარ გათანჯული,
აღარ ვაჩქარებ შეხვედრას შენთან: ეამი
ამისთვის არ დაქარგულია
მე მინდა სიყვდილს ჯერ გაეშკაღდე და
გულში მიზნად მაქვს დასახელი:
ცოტა ხანს დაერჩე, როგორც მურტველი,
სადაც შენ კიდევ ხარ შენახული.
(„შენ ჩემში ცოცხლობ“).

ბუნებისა და სიციხის რომანტიკული განცდა, ღრმად ჩაღიჭება ყოველივეზე უტუთარ ბეჭედს თავისებურებისას ანეამს კ. ნადირაძის ლექსებს. იგი გრძნობს ადამიანისა და გარესამყაროს უღჭიჭეს კავშირს და ძალიტს პოეტურად გამოხატოს ეს ყოველივე.

პატარა ბავშვი თამაშობს ზღვასთან
ტალღების სუნთქვა შორიდან იამის,
აღვის ხე ჩრდილით ისვენებს გზასთან
და მოზრიალუ სიგრილეს ისერის.
ზღვის პირას უხვიარ, დრო უხზოდ მიდის,
მზე დარჩა ქვეშე და ბავშვის თმებში.
სალამოვდება სიჩუმე დიდი,
როგორც, ნათელი, შემოაღის ჩემში.

კ. ნადირაძეს უაღრესად გამახვილებული აქვს სიტყვის გრძნობა. მაგრამ მისთვის უტუთა სიმბოლისტებისთვის ჩვეული ლექსის გარეგნული ფემატებით გატაცება. ბოლო წლებში მან ერთგვარად გაამდიდრა თავისი ლექსის ინტონაცია მუსიკალური ელემენტებით. ეს პროცესი პოეტური ფორმების გადახლისებისა კ. ნადირაძის პოეზიაში ძნელად შესამჩნევია, მაგრამ იგი მაინც არის. ამის ნიმუშა ბრწყინვალე ლექსი „წიწმურიდან საგურამომდე“ და ზემოთ განხილული ლექსები — „ჩემს ვარსკვლავს“, „მე მიყვარს დილა“, „წიწმურიდან საგურამომდე“ მრავალნაირ პოეტურ ზეარსზეა აგებული. აქ არის მულოდური თქმეც, ბარათაშვილისთვის ჩვეული შეტახილიც, პეი, არავგო, არავიანი“, არის ეპიკური სურათოვნებაც.



წიწამურიდან საგურამომდე ველიანი და
 პატარა გზაა,
 წიწამურიდან საგურამომდე სიციცხლეს
 გავლა ნეტაეი რაა
 წიწამურიდან საგურამომდე ამრიალებულ
 ფოთლების ზღვაა

პეი, არაგვო, შიამპე შინც, შენ სამას ჩაონდს
 თუ რას უმღერდი,
 როგორ აღზარდე ქართველ ქოხებში და
 ქართულ აკუნს როგორ ურწყევდი
 პეი, არაგვო, მაშინაც აღბათ, ამავე სეედას
 მოაქვებდნი.

მცხეთის კარამდე გაისმის ძელების და
 მღზარალის მსხერევის ხმაური:
 მცხეთის კარამდე წარსულ ბრძოლების ისევე
 ატყდება აერზაური.
 მცხეთის კარამდე რეკავს ჯაგშანზე
 დაჯახებული ხმალი ფშაური.

საქართველოს ისტორიის ტრაგიკული სურათის ასეთი მუქი ფერებით გამოხატვა, პოეტური ფრაზის განმეორებით მთავარი მოტივების გამძაფრება და დრამატული ტონი უველაზე მეტად ახასიათებს ქ. ნადირაძის უაღრესად თავისებურ პოეტურ შემოქმედებას. იგი უკა-

ნასკნელ ხანებში აქვეყნებს ლექსებს, სადაც პოეტური ენერჯიის დაუშრეტელმა ნაგებობა საგანგებოდ მიიწია აღენიშნო ლექსთა შემკობას, მიძღვნილი შალვა კაშიაძისადმი, სადაც აეტორი დიდ ზნეობრივ სიფაქიზესთან ერთად დიდ პოეტურ ოსტატობას ამჟღავნებს. იგი არ არის ნაყოფიერა პოეტი, ბევრს ფიქრობს და ცოტას წერს. სამაგიეროდ, მისი განცდილი და გაფიქრებული ღრმა და იშვიათად თუა თქმულის განმეორება. იგი გაუტყუელი რწმენითა და შემოქმედებითი ალტკინებით არის აღსავსე. ამიტომ ეს საუბარი ქ. ნადირაძის პოეზიაზე მისი ერთი ლექსის ასეთი სტრატეგებით შეიძლება დავამთავროთ:

მადლობა მზესა და ჩემს ოცნებას,
 დატყობროლობას, ცეცხლში რომ მახვევს,
 ჩემს დღემდე სპეტაკ პატიოსნებას
 და კეთილშობილ ფიქრებს და ზრახვებს!
 და შენცა გმადლობ, სხივო დილისა,
 გულში რომ ატან და ლექსებს კვსავ,
 რომ სიტყვას ჩემსას აძლევ თილისმას
 და ჩემში ნათელ სიხატულს სთესავ.
 შე ერთი სიბრძნე ვეგრძნე ნამდვილი
 და ეს გაღმეკცა სიციცხლის ბგერად:
 რომ თვით საკვდილიც არის ადვილი,
 თუ სიკვდილამდე ვიყვარს და გჯერა.



ბიოგრაფიკული



ღმრთედა „ორი ბაიაკოვსკის“ შესახებ ფაქტების
სამსჯავროს წინაშე

ბიოგრაფიკული ნაშრომის დაბადება

1. კამათი პოშიროსთან

პირველი შეხვედრა მიაკოვსკისა პოშიროს-თან მოხდა 1915 წელს. მაშინ ისინი აშკარად ვერ შეთანხმდნენ. ორი პოეტის კამათი გან-მეორდა მრისხანე 1918 წლის დასაწყისშიც, როდესაც „ღრუბელი“ კვლავ გამოჩნდა პეტ-როგრადის ქუჩებზე. მაგრამ ამჯერად ცენ-ზორთა მიერ დაუფხბრევი „შარკელით“. მია-კოვსკის მიერ ცხრასახუთეშეშე ნაწინასწარ-შეტყუებელი რევილუციია ახლა უკვე ბოლოქ-რობდა და ახალი, ჯერუნახავი სინწყვეით იყო წამოყენებული საკითხი ადამიანის (და, მაშასადამე, პოეტის) ადვილის შესახებ ამ რე-ვილუციისში. მიაკოვსკი ეკამათებოდა პოში-როსს ადამიანის შესახებ.

დღიჯად და ატყუარებულად მოვეთხრობდა ბრძა მოხუცი ხალხთა გრანდიოზულ შეტყუ-ებებზე: ერკინებოდნენ ერთმანეთს თანაბარ მამაკე და ლამაზი გმირები, წყვეტდნენ თა-ვიანთ მეგობართა და თვისტომთა ბედ-ილბაღს. მიაკოვსკი ყვიროდა და ზჭარობდა, ის ამხალეზდა თავის ადამიანს კლასთა ბრძოლი-სათვის და იცოდა, რომ „რევილუციური ომი“ ყველა ილიონებზე, ლიტერატურებზე ან პოლტა-ვებზე უფრო მნიშვნელოვანი იყო („Битвы революции посерьезнее Полтавы“). და რომ მასში მონაწილე ადამიანები არ წაგაყდნენ ტროადელ თუ აქვეულ დევგმირებს. ამ ადამ-იანებმა დღეს პირველად ჩამოიგდეს კისრიდან „ღუთაებრივი უღელი“, პირველად იგრძნეს თა-ვი საყუთარი ბედ-ილბლის შემოქმედად. შრო-მისი და ბრძოლასში, „ფარბიკა-ლამბორბორბია-თა ხმაურში“ და „რევილუციური ომებში“ ამ-კვიდრებდნენ მიაკოვსკის გმირები თავიანთ სულიერ სიმადლეს და ადამიანურ ღირსე-ბას. რევილუციის პოეტისაც ჰქონდა უფლება მათი სახელთი, ჩვეული ახალგაზრდული აღტყუ-ნებით და სითამამით შეეძახა:

Плевать, что нет
у Гомеров и Овидиев
людей, как мы,
от копоты в оспе.
Я знаю — солнце померкло б,
увидев

наших душ золотые россыпи!
Жилы и мускулы — молить верней.
Нам ли вымаливать милостей времени!
Мы —
каждый
держим в своей пятерне
миров приводные ремни!

ადამიანის ბედი თვით ადამიანის ხელში აღმოჩნდა; მისი სულიერი სიმადლე და კენ-თების ძალა კი — ბედნიერი მომავლის ერთად-ერთი საწინდარი. მათ მავგერობას ვერ გაწე-დნენ მორჩილება, ქედმოხრა და მიწეგრ თუ ხეციერ ღმერთებისადმი მიმართული ლოცე-ბი. პოშიროსის თანამედროვენი და წინაპრები თავიანთ საუკეთესო თვისებებს ღმერთებს მააწერდნენ. სინამდვილის სტიქიის წინაშე უძ-ლურნი და უილაჯონი, ისინი თავიანთ ოცნებას ძლიერ ადამიანზე აქსოვდნენ მითებში, ლეგენ-დებში და თქმულებებში: «В образе бога человек воплощал свои лучшие желания, свои мечты о всеведении, о всемогуществе», но «жрецы и церковники, уничтожив рели-гиозное творчество как искусство, создали из религиозных представлений народа без-дарные и устрашающие системы морали».

მიაკოვსკის თანამედროვენი კი, რომელმაც ისტორიისში პირველმა შეიგნო არა მარტო ბუნების მტრული სტიქიის, არამედ ყველგაზე დამყარებულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა კიდევ უფრო მტრული სტიქიის დაძლევის შესაძლებლობა, უკვე მშვენიერად გაიგო ღუთა-ებრივი ყოვლისშემძლეობის ილუზორობა:

Я думаю — ты всеильный божище,
а ты недоучка, крохотный божище..

ადამიანის ძლიერება, მისგან განყვარებულ-ლი და ღმერთის მიერ მოთვისებული, კვლავ, გაათყუებული, დაუბრუნდა ადამიანს.

ამით თავლებოდა მიაკოვსკისა და პოშირო-სის კამათი 1915-1918 წლებში; და ამითვე იწყებოდა მათი მეორე, უფრო სერიოზული, თემცა არა ნაკლებ პათეტური შემაჯკრება —

1 1915 წელს დაიბეჭდა პირველი, ხოლო 1918 წელს მეორე გამოცემა მიაკოვსკის პოემისა „ღრუბელი შარკელით“.

1919 წელს¹ ამკერადაც სიჭმე ეხებოდა ახალ გმირებს, „რევოლუციის ეპოსისა“ და „ტროიადის ეპოსის“ ახალ შეპირისპირებას, რევოლუციურ „ილიადისა“ და ბლოკადის მარწმუნებში

გამოგულდულ წელთა სისხლიან „ოდისეას“ სიჭმე ეხებოდა რევოლუციის გმირული ეპოსის დაბადებას.

II. გმირები და ყოველდღიურობა

„ჩვენ უარეველი გმირები“ — ფრანგი კრიტიკოსის ვოკივეს მიერ მოკლულ ფორმულურებულ ეს აზრი არსებითად წარმოადგენდა დასკვნას ბერძენული რეალიზმის განვითარების მთელი ისტორიიდან. ბერძენული ეპოქისათვის რომ მტრული და უცხო იყო პეროიკული ხელოვნება — ამაში ჯერ კიდევ მიღწერი და პეველი დარწმუნდნენ, თუმცა პირველი მათგანი ამ ფაქტში თავისი დროის „ფილოსოფიური სულის“ დაცემას ზედავდა, ხოლო მეორე — აშკარა უპირატესობას ამ სულისად, რომლის საბოლოო გამოვლინებად მას საკეთილად ფილოსოფიური სისტემა მიაჩნდა. მიღწერის შემოქმედებითი ცხოვრებამ პეროიკის მტკიცებულ ძიებებში ჩაიარა, პეველის სისტემა კი, რომელიც პრესის „ქრისტიანული სახელმწიფოს“, როგორც „აბსოლუტური იდეის“ რეალური ყალიბის, უპირატესობას ვაძნობით იყო გამსკვადელი, გადაიქცა მიღწერის ძიებათაგან „განდგომილ“ ვიღველმ მასტერის ფილისტერული იდეალის ფილოსოფიურ პარალელად. და თუ მიღწერს თავის ძიებებში არ იყო ნაბიჯის სიმტკიცე და ფეხქვეშ მყარი ნიადაგის ვაძნობა, ბერძენული ფილისტერი, პეროიკით, მტრად ღრმად ჩაეფლო ამ ნიადაგში, ვერ გაუწორა თვალი მომავალს, ისტორიის ზეაღინდელ დღეს. ისტორიის ირონია კი იმაში მდგომარებადა, რომ მიღწედავად მიღწერის ძიებათა სუბიექტური უპირატესობისა, თუი სინამდვილე ხდოდა შეუძლებლად მათს განმარტებებას. ან პეროიკის მოკლებული რეალური ცხოვრებას ასახვა, ან ფანტასტიკურ, გამოგონილ გმირთა ხატვა და წარსულის რომანტიზაცია — ასეთი იყო ამ ეპოქის ხელოვნის წინაშე წამოჭრილი დილემა. „ფორმალური გმირები უკან იხევედნენ რეალური მოვლენების წინაშე“ — წერდა ზოლა ბალზაკის შესახებ და მასაც კი სდებდა ბრალს სახეთა ზედმეტ „პეროიკაიზაში“. ბელინსკი კი „ნატურალური სკოლის“ ყველაზე უფრო დაბნეპასათებულ ნიშნად თვლიდა იმას, რომ მან, „оставив в покое героев, которые на земле являются гораздо реже, нежели в фантазии поэтов, обратилась к ...будничной жизни“.

ყოველდღიური ცხოვრებისაკენ“ შებრუნება, მისი სიმართლით ასახვა — კრიტიკული რეალიზმის დიდი დამსახურება იყო, მაგრამ ამაშევე იყო მისი ერთგვარი შეზღუდულობაც — მისი წარმომოხიბ ეპოქის შეზღუდულობით განპირობებული. მაგრამ აი, რუსული რევოლუციური პროლეტარული მოძრაობის ვარიეტაჟზე კვლავ ვაისმა ხმა, ხმა მაქსიმ გორკისა, რომელმაც თითქმის მკვლავდით აღადგინა პროპიეთოსისა და მერკულესის სახეები, ბილინური დეკვირტების სახეები. ხოლო კლასიკური რეალიზმის ერთ-ერთმა უკანასკნელმა მოკიანმა, მისმა უბუნებარანუსმა წარმომადგენელმა ვულკავარიანად შეურისხა ამ ხმის პატრონს, უსაყვედურა მას ადამიანთა ყალბი და ვადამებებული პეროიკაცია, ცხოვრებისეული სიმართლისაგან უკანდახევა. ტოლსტოიმ მიუთითა ახალგაზრდა გორკის, რომ პეროიკული სახეები საერთოდ — ოდისესი, პერკულესი და ყველა პოგატირი მხოლოდ ძველი ხელოვნების მიერ შეიძლება ყოფილიყვნენ შექმნილი, ვანაიდან თანამედროვე ხელოვნება ვითარდა ყველაზე მაღლა იყვენეს არა მტრულ ძალებთან გმირულ შებრძოლებას, არამედ მოყვასთა სიყვარულს. შაიაკოვსკი სწორედ იმიტომ ვეამათებოდა პოშიროსს, რომ მისი გმირები ღმერთთა ნება-მოჩილი იყვენენ, მაგრამ, თუმცა ღმერთთა ვეაღის ქვეშ, პოშიროსის გმირები მაინც იბრძოდნენ თავიანთი ამქვეყნიური ბედნიერებისათვის. ტოლსტოი კი ადამიანის სრულ მარჩილებას ქადაგებდა. იმიტომაც არ არის ვასაკერი, რომ იმ მხატვართა პოლემიკური პათოსი, რომელიც რევოლუციური აქტივისზმს ვანტრკიციანისათვის იბრძოდნენ, უგზომ ზნორად იყო მისამართული ასეთი ქადაგების წინააღმდეგ. ადამიანში შებრძოლის ვარყოფა... აი პუნქტი, სადაც ვარამოვენიჩინა ვარტავეუშინაში ვადადიოდა“ (გორკი). ადამიანში შებრძოლის ვანმტკიცება — აი წერტილი, სადაც თანხვედროდნენ ახალი პეროიკული ხელოვნების. სოციალისტური რეალიზმის ხელოვნების დიდ ფუძემდებელთა — გორკისა და შაიაკოვსკის იდეურ-შემოქმედებითი ძიებანი.

III. რას ფიქრობდნენ ამაზე პეველი და...

ხაზს უსვამდა რა იმას, რომ მისი ეპოქისათვის უცხო იყო პეროიკული საწყისი, და

¹ პოქმა „150.000.000“-ზე მეშობის წელი.

უარყოფდა რა ახალი პეროიკული ეპოსის დაბადების შესაძლებლობას, პეველი შეეცადა დაეხანათებინა საზოგადოების ეს აუცილებელი მდგომარება, რომლის საფუძველზედაც

შეიძლება მხოლოდ ეპიკური მსოფლმეტრებისა და ეპიკური ხელოვნების აღმოცენება: „Наиболее подходящим характером всего жизненного состояния, служащего задним планом для эпоса, является то, что для индивидуумов оно имеет форму уже наличной действительности и все же сохраняет с ними теснейшую, самобытную живую связь; ибо если бы выдвинуты на первый план герои должны были сперва закладывать основы общего состояния, то определение того, что есть или должно стать, приобрело бы субъективный характер больше, чем это допустимо в эпосе, не будучи в состоянии выступать в качестве объективной реальности“.

განსაზღვრა რა ამგვარად „სამყაროს ეპიკური მდგომარეობა“, ჰეგელი ამტკიცებდა, რომ ისეთი წესწყობისათვის ტიპური უნდა იყოს ზნეობრივ და ოჯახურ კავშირთა შექმნა, აგრეთვე წარმოშობა ეროვნული ერთანობისა, რომელიც აკავშირებს ხალხს თმისა თუ მშვიდობის დროს, თუმცა ეს კავშირები უკვე არ უნდა უპირისპირდებოდნენ ინდივიდუალურ ნებას საყოველთაო, ხალხისაგან დამოუკიდებელ და მასზე მაღლა მდგომ კანონთა საბით.

ეპიკური ასახვის მოდელად ჰეგელს მიაჩნდა დამტკიცებულ ერთა შეტაკებანი, მაგრამ არა დინასტიური, პარტიული ან სამოქალაქო ომები, რომლებიც არღვევენ მოქმედებისა და ხასიათების მთლიანობას, არამედ მხოლოდ ის ომები, რომელთაც გააჩნდა „ერთი ხალხის მეთაობის წინააღმდეგ ამხედრების მსოფლიო-ისტორიული უფლებამოსილება“. გამოირჩევა რა ამგვარად სამოქალაქო ომები ეპიკური

რკალიდან, ჰეგელმა კიდევ უფრო შეაჯივლა ეს რკალი მრეწველობის ხარჯზე⁽¹⁾ აღმოცენებულ აგრეთვე უცხო უნდა იყოს ერთანობის „მოქმედება“ ამყარად გამოვლენილი ფეტიშისტური ხასიათის გამო.

დღეს ზეგნების ნათელია ჰეგელის სქემის ძლიერი და სუსტი მხარეები. მისი ძალა იმაშია, რომ თუმცა მსტიფიციკრებულ, იდეალისტურ ფორმად, მაგრამ მან მიანიჭა სწორად აღნიშნა „სამყაროს ეპიკური მდგომარეობისაგან“ „ბურჟუაზიული მდგომარეობის“ ზოგიერთი მთავარი განმასხვავებელი თვისება. სქემის მთავარი სისუსტე კი მდგომარეობდა ავტორის პრეტენზიაში მიეცა თავისი სქემისათვის „საყოველთაო ფორმა“, დაესვა წერტილი იქ, სადაც ისტორიული პროცესი მხოლოდ იწყებდა წინასტორიის მდგომარეობიდან კაცობრიობის ნამდვილი ისტორიის ფაზაში გადასვლას. საყმარისი იყო ამ პრესიული წერტილის უფლებება, რომ მთელი აუცილებლობით წამოიჭრებოდა მთელი რიგი კითხვები: ყოველგვარი სამოქალაქო ომი თუა მოკლებული „მსოფლიო-ისტორიულ უფლებამოსილებას“? ყოველგვარი მრეწველობა თუა მტრულად განწყობილი ეპოსის მიმართ? „პირველ პლანზე წამოწეული გმირების“ მიერ მოცემული ყოველგვარი „განსაზღვრება“ თუ ატარებენ ამ ზომება „სუბიექტურ ხასიათს, ეიდრე ეს დასაშვებია ეპოსისათვის?“ და ა. შ.

ამ საკითხების სწორი თეორიული გადაწყვეტა შესაძლებელი იყო მხოლოდ სოციალისტური მსოფლმხედველობის ჩარჩოებში, მათი პარტიკული გადაჭრა კი მხოლოდ „სოციალისტური ხასიათის ფაქტების“ (როგორც ამბობდა გორკი) ნიადაგზე წარმოშობილი სოციალისტური რევოლუციის ხელოვნებაში.

IV... და მარქსი

აღნიშნავს რა „პოლიტიკური გეონომიის კრიტიკის“ ცნობილ „შესავალში“ „დინასტიკობრივი“ მოვლენის ანუ „არათანაბარ შეფარდებებს მატერიალური წარმოების განვითარებისა, მავალითად, მხატვრულის მიმართ“, მარქსი გადადის ეპოსის კონკრეტული ფორმის განხილვას და ამტკიცებს, რომ იგი — „в своей классической форме (ხაზი აქ და ქვემოთ ჩემია — გ. მ.), составлюющей эпоху в мировой истории... никогда не мог быть создан... как только началось художественное производство как таковое; что, таким образом, в области самого искусства известные формы... возможны только на сравнительно низкой ступени художественного развития“.

აღნიშნავს რა შემდეგ ამ წინააღმდეგობათა ზოგადი ფორმულირების სიძნელეს, მარქსი მიუთითებს, რომ „греческая мифология составляла не только арсенал греческого искус-

ства, но и его почву“. მარქსი განსაზღვრავს, გამოყოფს და იხილავს ერთ-ერთ მათგანს — ბერძნული ხელოვნების პრობლემას. მარქსი განსაზღვრავს მითოლოგიას, როგორც ხალხურ ფანტაზიაში ყოველივე საგნობრივის — ბუნებიდან დაწყებული საზოგადოებამდე — შეფენებულ-მხატვრულ ვადაშეშვებას და დასაყენის, რომ მარქსული ხელოვნების საწინააღმდეგარის ევრაზიის შემოხვევაში ვერ შეადგენდა საზოგადოების ისეთი განვითარება, რომელიც გამოირჩევა ყოველგვარ მითოლოგიებებს და რომელიც, მამასადაშე, მოთხოვნის მხატვრისაგან მითოლოგიისაგან დამოუკიდებელ — ფანტაზიას. „Возможен ли Ахиллес в эпоху пороха и свинца? Или вообще „Илиада“ наряду с печатным станком и типографской машиной? И разве не исчезают неизбежно сказания, песни и музыки, а тем самым и необходимые предпосылки эпической поэзии,

с появлением печатного станка? Всякая мифология преодолевает, подчиняет и формирует силы природы в воображении и при помощи воображения; она исчезает, следовательно, с действительным господством над этими силами природой”.

ასე რომ, მარქსი გადპირით უარყოფს ანტიკური პერაოკული ეპოსის რაიმე სხვა საფუძველზე აღორძინების შესაძლებლობას. მაშ რა ვუყოთ ასეთ შემთხვევაში გორკისა და ზაიაკოვსკის შემოქმედებით იღებებს? ანდა ზომ არ არის მარქსის მსჯელობა ჰეგელის სქემის უბრალო განვითარება, მისი, ასე ვთქვათ, თარგმანი მატერიალისტურ ენაზე? „შესავლის“ არა ერთი კომენტატორი დადებით პასუხს იძლეოდა ამ კითხვაზე, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე როდია. ჰეგელი არ ცდებოდა, როდესაც უარყოფდა ჰერძელის ხელოვნების შექმნით აღდგომის შესაძლებლობას და აღნიშნავდა პერაოკულ-გაიკური საწყისის არაორგანულობას მისი თანამედროვე სამრწველო ეპოქის მიმართ. მაგრამ იგი დიდად ცდებოდა, როდესაც საყოველთაო, აბსოლუტურ ხახათს ანიჭებდა თავის დასკვნას და უარყოფდა პერაოკული ეპოსის ახალი ფორმების შექმნის შესაძლებლობას მომავალში. ჰეგელისაგან განსხვავებით მარქსი ამბობს, რომ ეპოსის შექმნა შეუძლებელია მხოლოდ „მის კლასიკურ ფორმაში“. ის ლაპარაკობს ეპიკური ხელოვნების მხოლოდ „გარკვეულ ფორმებზე“, რომელთა წარმოშობა დასაშვებია მხოლოდ „შედაბრებით დაბალ საფეხურზე“. თუ მარქსი, ჰეგელის ევალად აღნიშნავდა ეპოსის არაორგანულობას „საფანტისა და ტუფაწამლის ეპოქის“ მიმართ, ის ზომ კონკრეტულ-ისტორიულ ეპოქას გულისხმობდა — კაპიტალიზმის ეპოქას — და არა რაღაც განკვეთულ, შეტეფილ ეპოქას „სამრწველო ეპოქას“ საერთოდ! „ზედმეტი ღირებულების თეორიის“ ფერცლებზე მარქსმა (მისამართის სრული დახუსტებით) მასხარად აიგდო ბერევაზიულ ეპოქაში აღორძინების ცდები: „Капиталистическое производство праждебно некоторым отраслям духовного производства, каковы искусство и поэзия. Не понимая этого, можно прийти к выдумке французов XVIII столетия, о-

менянной еще Лессингом: так как мы в механике и т. д., ушли дальше, дрееших, то почему бы нам не соддаться и зтотд? И вот является «Генрида» взамен «Нил-ады»”.

როგორც ვხედავთ, იქ ლაპარაკია კონკრეტულად „კაპიტალისტური წარმოების“ ეპოქაზე და არა რაღაც განკვეთულ „სამრწველო ეპოქაზე“.

ცერია. იგი მონაწილეობდა ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლაში. ხოლო ინკლისელი ჯარსკაცი თუ ოფიცერი მეორე მსოფლიო ომის ვითარებაში თავდამცველი იყო და არა თავდასხმელი. ამიტომაც, ერთი შეხედვით, თითქმის არაფერია გრეის ტრამში ისეთი, რაც გამტყუებდა მას პროგრესისა და პემანისონის თვალსაზრისით. მიუხედავად ამისა, ადელი შესამჩნევია, რომ ავტორის მიერ უაზროდ აქცენტი სწორედ მასზეა დასმული. ისიც ვასაგებია, თუ რა არის ამ უაზროდის კონკრეტული აზრი.

გრეის მსგავსად ომის შემდეგ დემობილიზებული ოფიცერი უოლკი ბოლად თმობს მეომრის ტანსაცმელსა და პათოსს, რამდენადაც მისთვის ომი სრულად არაა პირადი მოწოდებისა და ღირსების საქმე. ამიტომაც იგი ცხოვრებაში პოულობს ადგილს. გრეი კი ცხოვრებაში უადგილოდ რჩება, რადგან შედრის რესპექტი ვერ დაუთმია. გრეი საშინლად „გაბიბოვებული“ ჩანს ავტორის მიერ სწორედ მისი ზოგადმილიტარისტული პათოსის გამო.

გრეისათვის ომში ბრძოლის წარმოება და, ასე ვთქვათ, ფიზიკური ბრძოლის წარმოება ავტრისთვის მიერ უბრალოდ თავსმოხვეული იძულება კი არ არის, არამედ მისი მოწოდებაა. ამგვარი განწყობილება და შესატყვისი პოლიტია კი პოტენციურად თვითონ არის ავტრისთვის; და ფოლკნერის მახვილი სწორედ აქ ურტყამს.

არც ისაა შემთხვევითი, რომ ავტორი უაზროდის ობიექტად ინკლისებს ირჩევს და არა, ვთქვათ, გერმანებს, რომელიც სხვაზე მეტად პასუხისმგებელი მეორე მსოფლიო ომის საშინელებათა გამო. ფოლკნერს უნდა გამაყუენოს არა უბრალოდ რომელიმე ვრისა და რომელიმე პოლიტიკური წრის მილიტარისტული ტენდენცია, არამედ ასეთი ტენდენცია საერთოდ, სიადე არ უნდა იჩენდეს იგი თავს.

ამგვარ პიზიციიში ყარვად შეღავნება ზოგადი კონცეფცია: თანამედროვე მსოფლიოში უაზრობა და ბოროტებაა ომის წამოწყება ანუ, სხვაგვარად, ტოტალური ფიზიკური ძალადობის აქტი.

იგივე თვალსაზრისია გატარებული გრემემ გრინის „წყნარი ამერიკელის“ ძირითად იდეურ ხაზად.

ერთი შეხედვით თითქოს არაფერი აქვს ვასაკიცი წყნარი ამერიკელს, პილს; იგი ყოველდღიურ ურთიერთობაში წყნარი კაცია, მორიდებული, სქესობრივ-მორალური სისამკაცოთაც კი ზანიათდება; ხოლო საზოგადოებრივ მოღვაწეობისას გულწრფელად სჯერა, რომ პროგრესისა და დემოკრატიის სახელით მოქმედებს. მიუხედავად ამისა, ამკარაა, რომ პილი მოთხოვნაში უაზროდის ობიექტადაა შერჩეული. რა უნდა იყოს ამ უაზროდის კონკრეტული აზრი? პილი თავისი იდეების განხორციელების


მიზნით მიმართავს ფიზიკურ ძალადობას, ტერორს, — იგი ომის წამოწყებია. პილს „ფიქრობს, რომ მიზანი ამართლებს“ საწყობებს გრემემ გრინს კი მაინცა, რომ თანამედროვე მსოფლიოში ტერორი და ომი — ეს ისეთი სიშველებაა, რომელსაც ვერ გაამართლებს ვერაფერი იდეა; პირიქით, იგი შესატყვისი იდეის სიყალბისა და არაბუნებრივობის უპირველესი სიმპტომაა. პოლიტიკური იდეა, რომელსაც დაწმენების გზით ვერ მიიღებს თანამედროვე ადამიანთა უმრავლესობა და რომლის განხორციელებაც, მაშასადამე, მასობრივი ტერორის გამოყენებას მოითხოვს, ძირშივე ყალბი იდეაა. გრემემ გრინი მაინცდამაინც არ ირწევს პილისა და მისი სულიერი მამის იორკ პარდინგის პოლიტიკურ პროგრამას თვითრად პლანში. იგი აქცენტს სვამს ამ პროგნოზზე განპირობებული ტერორისა და სისხლისღვრის ფაქტზე და ამით ანიჭებს თვით პროგრამას სიყალბისა და არაბუნებრივობის იერს. „თქვენ შედაე რაღაც „ომებსა“ და „კრატებზე“ ლა-ფარკობთ, მნიშვნელობა კი ფაქტებს აქვს“, — ეუბნება ფაულერი (რომელიც ავტორის პიზიციის ამკლავებს) პილს. დამახასიათებელია ფაულერის „არაერთგზის განმეორებული ფრაზა: „მძულს ომი!“ და აქ ომისადმი სიძულვილი გამოთქმულია ერთგვარად უმისამართოდ: „ნიშვნელობა ამას კი არა აქვს, თუ ვინ ვის წინააღმდეგ იწევს ომს, არამედ ომის წამოწყებას საერთოდ; თი ესაა, უწინარეს ყოვლისა, უაზროდისა.“

ნაწარმოების მორალი ყარვად ჩანს ბაირონის სიტყვებში, რომლებიც ავტორმა პიტონს ხებით წაუმძღვარა თბრობას: სულთა სახსენლად და სხეულთა მოსაკვიინებლად, საუკეთესო მისწრაფებათა საფუძველზე, მრავალი ხერხი გამოიგონა ჩვენმა გონებამახვილმა საუკუნემ.

დამახასიათებელია, რომ ფაულერი (ანუ ავტორი) მზარს არ უქვრის აზრითარ მკვლელობას, მაგრამ მთხედვადეად ამისა, მონაწილეობას დებულობს პილის მკვლელობაში. ეს კი სიმბოლურად ნიშნავს ომს ომის წინააღმდეგ, „წყნარი ამერიკელი“ მახვილი მხედრება ამერიკის იმპერიალისტურ-ავტრისული პოლიტიკისა.

თანამედროვე კაცობრიობის ცნობიერებაში პილტრეული ფიზიკური ბოროტმოქმედების კლასიკური ნიმუშადაა წარმოდგენილი. მაგრამ პიტლერის პოლიტიკას სხვადასხვა მხრიდან შეიძლება შეედავინ. და თუ რა მხრიდან ედავება შეწერალი პიტლერის პოლიტიკას, ამაში ჩანს მისი ზოგადი კონცეფცია.

რემარკი (ყამი სიცოცხლისა და ყამი სიკვდილისა) და ფოიბტენანგერი („მეხმე ლუტენხაკეი“) აქცენტს სვამენ ადამიანთა ფიზიკური და, აქედან, სულიერი არსებობის ტოტალურ შეზღუდვასა და ზეყოფაზე, რაც პიტლერულმა ბანდამ მოიმიქმედა. უწინარეს ყოვლისა, სწორედ აქედან იღებს სათავეს მათი უაზროდისული პათოსი.



ფრად დამახასიათებელია, რომ რემარკი ასე დაეინებით ამახვილებს უფრადღებამ ადამიანთა ელემენტარულ საარსებო ფიზიოლოგიურ მოთხოვნებებზე (ზაფხურისა და იმერმანის სედეანო საუბარი ფიზიოლოგიური მოთხოვნალების მოსტუმრებისას, ბუტკერის ოცნებანი მსუქან ცოლზე, მისი სისოწარკვეთილება ამ უკანასკნელის დამკვლევების გამო, პასაჟები გრებერისა და ელზაბეტის სასიყვარულო სცენებიდან).

ამგვარი ადგილები რომანში ზოგჯერ შეიძლება ნატურალისტურ გადაჭარბებამდე მოგვეყვანოს, მაგრამ ისინი ძალზე რელიეფურად ამტკიცებენ მწერლის კონცეპციას: კაცობრიობის თანონოიერი და კულტურული განვითარების თანამედროვე დონეზე იმ ზომამდე შეზღუდო ადამიანთა არსებობა, რომ მათ ელემენტარულ-ფიზიოლოგიურ მოთხოვნებებთან ნორმალური დაკმაყოფილების საშუალებანი წაართვა ხანგრძლივად, — აი, ესაა უბრალოდ ბოროტება და უბრალოდ ამვე დროს.

შრავალნაირ პოლიტიკურ პროგრამას იცნობს მსოფლიო. ზოგი მათგანი რაიმე ბუნებრივ საზოგადოებრივ ტენდენციას კი არ ემყარება, არამედ უბრალოდ პოლიტიკური ბანდიტიზმის ხასიათს ატარებს. და არის ხოლმე ისეთი ისტორიული სიტუაციები, როცა ამგვარი პოლიტიკური პროგრამა, შენიღბული დემოკრატიული ფრანკოლოგიით, გარკვეულ შთაბეჭდილებას ახდენს საზოგადოების საგრძნობ ნაწილზე, რის შედეგადაც სახელმწიფო ძალაუფლება შესაძლოა ავანტურისტთა ზელში აღმოჩნდეს. ასე მოხდა ფაშისტური რეჟიმის ქვეყნებში. კაცობრიობა ცდილობს მომავლისათვის თავი დაიზღუდოს მსგავსი მოვლენებისაგან. ამიტომაც იგი მიესწრაფის გააცნობიეროს პოლიტიკური ავანტურისმისა და ბანდიტიზმის სიმტკიცები. პროგრესული კაცობრიობის ეს ბუნებრივი მიწრაფება და ინტერესი პოლიტიკური ბანდიტის წინასწარვე გამოცნობისა და მხილები-სადში ზნორად აისახება ხოლმე თანამედროვე საზღვარგარეთულ ლიტერატურაში. ასე ჩანს, მაგალითად, ვრემკე გრინის „წყნარ ამერიკულსა“ და ფოიბტანგერის რომანში „ამები ლუტენზაკები“.

გრემკე გრინი ენერგიულად ახუტებს პოლიტიკური ბანდიტისა და ავანტურისტის ტიპს.

პოლიტიკური ბანდიტი არასოდეს არ ამიშვლებს საზოგადოების წინაშე თავისი მომწაფეობის ეგოისტურ საწყისებს, იგი ყოველთვის რაიმე ენერგიულ, ასე ვთქვათ, მესიანურ საქველმოქმედო იდეას ედარება (დამახასიათებელია, რომ პიტლერიც კი გერმანელი ზალის მსხლელისა და, საერთოდ, მსოფლიოს გამაჯან-საღებლის პოზაში იდგა).

პაილს სჯერა და ცდილობს, რომ სხვაც დააჯეროს თითქოს იგი ზოგადსაქველმოქმედო იდეებითაა ამოძრავებული. აქ ამჟამაა ხაზგასმა:

ბანდიტი ზნორდ „წმინდანის“ ნიღაბს ატარებს ხოლმე და ეს ზოგჯერ ისე ხდება, რომ თვითონ მისგანაც გაუცნობიერებელი სინქსანსტროში შენიღბულობის ფაქტი.

მაგრამ პაილის ხასიათსა და საქციელში შეიძლება სახიფათო დეტალები, რომელთა მიხედვითაც უნდა გამოიყნოს კაცმა ავანტურისტი. მიღრეკილება დოგმატიზმისა და შეზღუდვარი ფანტიზმისადმი, ფაქტების უვალუბლოყოფა და კრიტიკულ-ლოგიკური განსჯის შენაცდლება ინტელტურ-ემოციური პათოსით — აი, ეს არის ერთ-ერთი ფუნდამენტური დეტალი პოლიტიკური ავანტურისტის ხასიათსა და საქციელში.

პაილის ცნობიერებაში ავტორიტეტის მიერ ჩანგრედილი, ავტაიტებული იდეა აბსოლუტურად იმორჩილებს ყოველივეს. იგი ფაქტებს ამოწმებს ავტაიტებული, „ავტორიტეტული“ იდეის მიხედვით და არა — პირიქით: ფაქტებს, რაც უნდა შრავალნაირმეტყველი იყვნენ ისინი, არ შეუძლიათ რაიმე კორექტების შეტანა პაილის პოლიტიკურ პროგრამაში. ამ მხრით მისი ცნობიერება ერთბაშე შეუვლია. დამახასიათებელია: პაილი საზოგადოებრივ ფაქტებს იწინააღმდეგობას ატარებს. „ავანტურისტი მერე შეამოწმოს პარდინგის მიხედვით?“ ხოლო თვითონ იორკ პარდინგი ასეთნაირად არის დახასიათებული: იგი წინასწარ შეიშუშვებს რაიმე კონცეფციას და შემდეგ მის ქვეშ მოაქცევს ფაქტებს. ნიშანდობლივია ისიც, თუ როგორ უჭირს პაილს იმის დაჯერება, რომ მისი სული-რი მამა იორკ პარდინგი შესაძლოა შეცდეს რაიმეში, ხოლო ფაქტური საგანგებოდ განუ-მარტავს, — შეცდომა ადამიანურიო. ფრად სიმტკიცურად მოჩანს ვრემკე პაილის ხასიათის შემდეგი დეტალი: იგი დემოკრატიზმის სახელით მოქმედებს, მაგრამ სრულიად ცალ-დებულად არა თვლის თავს ანგარიში გაუწიოს თვითონ დემოსს იმ მხრით, თუ როგორ და რა ურჩევნია მას. პაილი ისე ექცევა ადამიანებს, თითქოს ისინი ბავშვები იყვნენ და თვითონ არ იცოდნენ რა სჯობს მათთვის. ამიტომაც ეცილობს დააძალოს მათ თავისი პროგრამა ისევე, როგორც შრუენველი მამა დააძალებს ხოლმე პატარა შეილს რაიმე წამალს. დამახასიათებელია პაილის ფრაზა: „უნდა ვაძილოთ ეს ადამიანები ის იწამონ, რასაც ეუბნებიან. არ შეიძლება, რომ ისინი თვითონ ფიქრობდნენ თავიანთ თავზე“.

პოლიტიკური ავანტურისტის ნიშნებს დახუტების მხრივ საინტერესოა აგრეთვე ფოიბტანგერის „ამები ლუტენზაკები“. აქაც ძირითადად იგივე სიმტკიცებია მინიშნებული, რაც აწინა ამერიკულში. ისევე ლუტენ-ზაკი (რომელიც რამდენადმე პიტლერის პარა-ლელია რომანში) და თვითონ პიტლერიც დახასიათებული არიან, როგორც შეზღუდვარი ფანტიკოსები, როგორც ინტელტურ-ემოციური

„წესით“ მთაბრუნენი და ა. შ. ისიც ხაზგასმულია, რომ ავანტურისტი ზოგჯერ ხალხის ქველმოქმედი მკურნალის პოზაში დგება ხოლმე (ერთი ფაშისტი მოხელე ეუბნება პაულ კრამერს: „ჩვენ მხოლოდ იმას მივესწრაფით, რომ გამოვასწოროთ და შევაგნებინოთ. ჩვენ მკაცრ დროში ეს შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მკაცრი ზომების საშუალებით. თქვენ, რა თქმა უნდა, შეგიძლიათ დაგვადანაშაულოთ იმაში, რომ ცხენის დონებით ვიყენებთ წამალს, მაგრამ უნდა გაიგოთ, რომ ეს მკურნალობის ჩვენი მეთოდია“ და სხვა). ფოიბტვანგერი ყურადღებას ამახვილებს კიდევ ერთ საინტერესო მომენტზე: პოლიტიკური ავანტურისტი ყოველთვის გვხვს იღებს საზოგადოების შედარებით უკულტურო ფენაზე, ზემოქმედებს მასზე და აბერბებს მოი-

პოვოს გავლენა. ხოლო ინტელიგენცია, რომელიც განვითარებული კრიტიკული უნარებს გამოჰნელად ემსხვერპლება დემოკრატიის მიმართ, ხდება ტერორის ობიექტი. ინტელიგენციისადმი დაპირისპირება მეტად სიმბატომატურია ფაშისტური პოლიტიკისათვის.

შესაძლებელია ბევრ რამეში ვეღავთ პემინგუეის, ფოლენგის, ფოიბტვანგერის, რემარკსათუ გრინს მათი ზოგიერთი მოსაზრების გამო. მაგრამ ერთი რამ კი ცხადია: მათი ნაწარმოების ძირითად იდეურ ხაზად იოლად გამოიყნობა სიციცხლის დაღსტურების პათოსი, მისი შეზღუდვის, ტერორისა და ომის უარყოფის პათოსი.

ამით ისინი გამოდიან, როგორც ჩვენი აქტიური მოკავშირენი მშვიდობისათვის ბრძოლაში.



როსტომ ბეჟანიშვილის მოთხრობების კრებული



როსტომ ბეჟანიშვილის მოთხრობების თემა ყოველთვის ცხოვრებისეულია, თანამედროვე-მწერალს სწამს სინამდვილის შთამბეჭებელი ძალა, აქვს უნარი ჩვეულებრივ მოვლენაში დაინახოს სიღამაზე, ღრმად განიცადოს იგი და ასევე განაცდევინოს მკითხველს.

რ. ბეჟანიშვილი უკვე შესამე წიგნის ავტორია და მის მხატვრულ შემოქმედებაში სულ უფრო მკაფიოდ მკლავდება მისწრაფება — წარმართოს თბრობა ისე, რომ მოქმედებაში წარმოგვისახოს ცოცხალი ინდივიდუალური ხასიათები. ამ მხრივ დამახასიათებელია ორგვერდიანი ნოველა „სიამაყე“. რა მცირეა სამოქმედო ასპარეზი პატარა უქნობი გმირისა, რაოდენ ვიწროა მოთხრობის ექსპოზიციისათვის ფონი, მაგრამ რა მეტყველი, ცოცხალი სახე იძვრება ჩვენს წინს. აი, ცხენ-შემბული ფორიანი პატარა ბიჭს საწვევი მოაქვს ტრაქტორისტებისათვის. მას დიდი კაცის შარვალი აცვია. გრძელ და განიერ საღდათურ ჩექმებში დინჯად მიმოივებს. მამა ფრონტზე და-კარგვია და ისღა დარჩენილა ოჯახის ბურჯად. ორიგინალური სახე! მერე როგორ ეხამება მისი გარეგნობა მისსავე შინაგან ბუნებას, მოქმედებას, ხასიათს... პატარა ბიჭს ფორიანი მოულმდნელად ლაფში ჩაეფლო. ბეკრი ეცადა, მაგრამ ვერ ამოართვა. საცაა უნდა ატირებულყო, მაგრამ ვიღაც მადლიანმა ლაფიდან ამოუტანა ფორიანი და მშრალ გზაზე დააყენა: „მერე მთლად გაწითლებული და ოფლად დაღვრილი ლურჯას გაუგებარა, უკან აღარ მოუხედეს, თვალს ისე მიუფარა“.

არ შეიძლება მკითხველმა სიყვარულითა და გულთბილი ღიმილით არ გააღვენოს თვალი ამ პატარა მემკაცს...

მაგრამ რატომ უწოდა ამ ნაწარმოებს ავტორმა „სიამაყე“? ეს სიტყვა ძალზე ვიწროა და არ გამოდგება დედამაზრის ვასაებად. აქ უფრო მეტია ნათქვამი: ბავშვის მიერ საყოთარი უმწიკობის მწვევე შეგნება, დარცხვენა, თავის თავთან შინაგანი ბრძოლა, ყველაფერი ეს ნათელი ფსიქოლოგიური ნიუანსებითაა გადმოცემული. აქ არის მხატვრობა, სიმართლე. სივრცის, დროსა და სიტუაციის მასალის სიმკვირველი. ეს არის ცხოვრებიდან ამოღებული პატარა მიწინაველი სურათი, სიფრთხილით და გემოვნებით დამუშავებული.

გარეგნობისა და სულიერ თვისებათა ასეთსავე შერწყმვაში წარმოვიდგება „ღიბრიალანთ

ბარბარეს“ სახე. იგი ჩვენი „ნაცნობი-უცნობია“, მასზე თითქოს სადღაც წაგეოთხობავს ან მოგვაგონებს ოდესღაც და სადღაც ნახულ ადამიანს.

მართალი ადამიანური ხასიათი ერთგვარ სუსტ მხარესაც შეიცავს. ეს კარგად ესმის მწერალს. ამიტომაცაა, რომ დადებით პერსონაჟებს რ. ბეჟანიშვილის მოთხრობებში თუ ნოველებში ახასიათებთ უბრალოება, ზოგჯერ ადამიანური ცალმხრივობაც, რაც ოდნეადაც არ უკარგავს მათ მიწინაველობას. თვით ღიბრიალანთ ბარბარეს ხასიათსა და მხატვრულ სახის ნახაზობაში გაღაპრებულული არაფერი შეიმჩნევა. მაგრამ აქვე ვხვდით დაესძინოთ, რომ გაერმოსთან ურთიერთობის ფონზე ზოგა რამ გაზედადებულია ყველას გულშემატიკიერი, მარტოხელა მოხუცი დედაკაცი, რომელსაც ქვეყნის ჰირ-ვარაში, სოფლის შინაური ცხოვრება თავის პირად ცხოვრებად გაუხდია, ებმება საყოლმურნეო შრომას. სოფელი კი ისე შესწვევიან მას, რომ უმისოდ „ყველამ მოიწყინა, ყურები ჩამოყარა, დანადგელა... მინდორზე დოღს აღარ უკრავდნენ საცეკაოდ... სიმღერას აღარ ამბობდნენ“... ცხადია, აქ გადამქუებულია შტრიხები, დარღვეულია ზომიერების გრძობა. მიუხედავად ამისა, ამ ნაწარმოებს გააჩნია თავისი უღაფო ღირსება, მიწინაველობა, რაც კიდევ უფრო გაიზრდებოდა, რომ ეს ნაკლი არა კქონოდა.

კეთილბობთ პატარა ნოველებს „თაფლო“, „კვი“ და ჩვენ წინაშე იხატება ადამიანთა სხვადასხვაგვარი ბუნება, სხვადასხვაგვარი გარემო, სხვადასხვაგვარი ჩვევანი და მისწრაფებანი, რომლებიც საერთო უკაში განსახიერებენ და სამახსოვრებელ კრებითს სახეებს.

ყველა ამ ცალკეულ ნაწარმოებათა შედარებითსა შეიძლება შევნიშნოთ მსგავსება მხოლოდ მხატვრული საშუალებებისა და ხერხების გამოყენებაში. მაგრამ მწერლის მიერ დასატული თვითთელი ხასიათი თუ სახე დამოუკიდებელია. ამით ჩვენ არ გვიწინა ვთქვათ, თითქოს რ. ბეჟანიშვილის მხატვრული პროზა შეზღუდული ან ერთფეროვანი იყოს. პირიქით, სარეცენზიო მოთხოვნების წინაშე მხატვრული საშუალებათა მრავალფეროვნებით გამოირჩევა. თვითთელი მოთხრობა, ნოველა თუ მინიატურა განსხვავებულ მხატვრულ პრინციპზეა აგებული, თხრობის დამოუკიდებელ მანერას ემყარება. მამ რა არის ის საერთო, რაც მსგავს მხატვრულ საშუა-

ლებათა გამოყენებაში ვეგელისსმობთ? ეს არის ხასიათების წარმოსახვისას მკვეთრი ხახვასმა ადამიანის ერთი განსაკუთრებული დამახასიათებელი თვისებისა, რომელიც განსაზღვრავს მის ინდივიდუალობას.

ასეთ პრინციპზეა აგებული ნაწარმოებები „სიამავე“, „ლიბრიანო ბარბარე“, „კევი“, „თაფლო“, „ფერისცვალება“ და სხვა.

დაკვირვებელი შეითხველი უთუოდ შენიშნავს ერთ გარემოებას: ნაწარმოებთა გმირები თავისი ინდივიდუალური ნიშნების გარდა ერთმანეთისაგან სხვა რამითაც გამსხვავდებიან, და პეგანან კიდევ ერთმანეთს. ამ შეხედებით თითქოს ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრულ, სამუდამოდ უცვლელ ადამიანთა ხასიათებს. ესენი რველი სოციალური ყოფის, გაბატონებულ კლასთა ნაშეინრი არიან. ერასტი, კოკონა, მათს ცხოვრებას ატმასნილი ოტია, რომელთაც მოთხრობა „გვგულში“ ვეცნობით, თითქოს ახადრით გამსხვავდებიან მორალურად ერთმანეთისაგან. მათს გარშემო ბევრი რამ იცვლება წლებს მანძილზე, მაგრამ მოწყვეტილი ხალხს და ცხოვრებას სამუდამოდ უცვლელად რჩებიან და ბუნებრივია, რომ ისინი როგორცეც სტატუტურად ვამოიყურებიან. ამასთანავე ამ ნაწარმოებში თითქოს არ არის დადებითი გმირი. მის როლს ასრულებს მძაფრი სატირა, რომელსაც მწერალი საკმაო ოსტატობით პფლობს.

სულ სხვა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე, როდესაც მწერალი გვიხატავს თანამედროვე ადამიანთა ხასიათებს. ამ ჩვენ წინაშე ისახება მარად დიდებრომელი, მეოცნებე, მიზანსწრაფი მებრძოლი ადამიანების ბუნება. მოვლენების განვითარების კვალდაკვალ ჩვენ ვხედავთ მათს სულიერ განვითარებასაც. ნაწარმოებებში: „მოებიან“, „ბუდე“, „ზამთრის საღამო“, „მადლი ტრფობისა“ მწერალი სადად, დამჯერებლად მოგვითხრობს, როგორ იზრდებიან საზოგადოებრივად, როგორ მადლდებიან მორალურად ადამიანები, რომლებიც ჩვენი მარად განვითარებადი სინამდვილის ცხოველყოფილ გარემოებაში ცხოვრობენ.

ხაზი უნდა ვავსევს რ. ბეგანიშვილის მხატვრული სტილის ერთ თავისებურებასაც. როდესაც მწერალს სურს დაგვიხატოს ხასიათი, ამ სიტყვის ფართო გაგებით, მაშინ მოვლენათა განვითარების ექსპრესია უმეტეს შემთხვევაში შეკავებულია. ეს ვასაგებიცაა. ამ დროს მთე-

ლი უფრადლება მწერალს გადააქვს ადამიანის ინდივიდუალური ხასიათის მხატვრულ-განსახილველს. მის ემსახურება ამხტვი მხატვრული მეთოდების განვითარება.

პირიქით, როდესაც მწერალს სურს მოთხვეულის ყურადღება შეაწაროს რომელიმე გრანდიოზულ მოვლენაზე, ასეთ შემთხვევაში წინა პლანზე ვადმოიანაცვლებს ამბის თხრობა, მოვლენათა სწრაფი, დამახტული განვითარება, სადაც ხასიათები ხსნიან მოვლენის არსს და თვით მოვლენების მიღმა ხანს ადამიანთა ცხოვრების სურათები. ჩვენ ამ შემდგელობაში გვაქვს „წყალი-დილობა“, რვეოლუციური თემაზე დაწერილი ნაწარმოები, რომლისთვისაც ახალგაზრდა მწერალს წარმატებით გურთმეგია თავი და მხატვრული სიტყოველით, ისტორიული კოლორიტის შენარჩუნებით დაუხატავს რვაქციის შემდგომ წლებში მშრომელთა მასების მოძრაობის აღმავლობის სურათი,—მდინარე ლენაზე მუშების დახვრება, რამაც უდიდესი ბიძგი მისცა რვეოლუციური მოძრაობის განვითარებას მთელ რუსეთში.

რ. ბეგანიშვილის მოთხრობებში იშვიათად შეგვხვდებით უშიზნო ლირიულ გადახვევას. მას უუვარს აუღელვებელი, დინჯი, ძარღვიანი თხრობა. ამას მწერალი შეგნებულად აკეთებს. ხოლო თავის პოეტურ ბუნებას იგი ამვლავნებს მინიატურაში „შენდამი“, რომელიც წარმოადგენს ამაღლებულ სიმღერას სიყვარულზე.

რ. ბეგანიშვილი სერიოზულად ვეიდება სიტყვის შერჩევას, ბევრს ფიქრობს ფრახის მხატვრულ დამუშავებაზე. ეს უთუოდ იგრძნობა მისი მოთხრობების კითხვისას, მაგრამ მის წინ კერ კიდევ დგას ძნელი ამოცანა: ახალი სიტყვიერი მარაგის შემოქმედებით ათვისება, მისი კიდევ უფრო მიახლოება ხალხურ მეტყველებასთან, მეტი შემოდროგება სათქმელისა და რაც მთავარია, ენის მხატვრული ქსოვილის „დავერცხვა“.

ამ წიგნიდან ვამოტანილი შთაბეჭდილების მიხედვით თუ ვმსჯელებთ, ჩვენ წინაშეა ხასიათებისა და ვანწყობილების ნიჭიერი მხატვარი, რაც შეეხება თვით ამ მოთხრობის წიგნს, იგი კარგი შენამენია ჩვენი ქართული საპოთა პროზისათვის.

რ. ოსკონიკიძე

ფრიდონ ხალვაშის ლექსების კრებული



საქართველოს სამხრეთი, საქვეყნოდ სახელგანთქმული ციხისძირი და მწვანე კონცი, მათ-

ფრ. ხალვაში. „სიმღერა შენზე“. სახელგამი, 1958.

ხინჯური და ბათუმი. მარადმწვანე მანდარინი და ლიმონი, კვიპროსი და პალმა... ხან ლურჯად მოკამყნე. ფრთფარფატა თოლიებით აკლებული, ხან ბობოქარი და პრანზორიული ზღვა, ნაპირს რომ წალავით ემუქრება — მო-



მავადობებელ სიღამაზეს ანიჭებს შავიზღვისპირეთს. ვინ არ მოხიბლულა ამ კუთხის პეიზაჟით, პავით, ხალხით. აქარა — მუდმივი გაზაფხულის მხარე. საქართველოს განუყოფელი ნაწილი, „რამდენ ავღარასა და რამდენ კენესას იტანდა ეს ცა, ეს ზღვა, ეს მთები“ ამბობს პოეტი. აქარაღმა, მამაკი ქართველები, პირველნი რომ ეკეთებოდნენ სამხრეთიდან მოვარდნილ ნიაღვარს, კოროხის ლანქარივით შავსა და ამზარუნეს ველურ სულჯუთიათა შთამომავალს, ცბერამა და ვერავმა, ანტოლის უდაბლიდან გადმოხვეწილმა ურუმმა მუქარითა და მოკუყვებით რჯული და სახელი, ზოგჯერ გვირცე შეავლანუვინა, მაგრამ ქართველის სული და ევაკუდური შემართება, თავისუფლებისაკენ ღბოლღვა და მიწრაფება ვერ სძლია. სწორედ ამ თვისებამ იხსნა აქარა სამუდამო გადაშენებისაგან. სამისი წელი იბრძოდა და მომავალს იმედოვნად შესცქეროდა აქარა, შესცქეროდა საქართველოს, და აქარას ნამდვილი სახელი — საქართველო, ევლავ დუბებუნეს.

კთხულაბ ფრ. ხალვაშის ლექსების წიგნს — „სიმღერა შენზე“, და გიტაცებს პოეტის ვულწარფელობა. პოეტი არ იმერებს შედარებებსა და ეპიტეტებს რათა თავისი მშობლიური კუთხე — აქარა ცოცხალ და მიმზიდველ ფერებში წარმოგვისახოს. პოეტი აქარას განიხილავს, როგორც საქართველოს განუყოფელ ნაწილს, რომელსაც წარსულის ავადმოსავლობარი ცრემლები შეშრობია. „ველარ მოსწყვეტეს რუსთაველის ენას ჩვენი აქარა, ჩვენი მესხეთი“. და აქარელმა „ისევ გაშალა ქართული წიგნი და თვალებიდან აკრიფა ღამე“ — ამბობს პოეტი. ამ სტრიქონებით აეტორი მოკლედ და სხარტად გადმოგვეცემს აწმყოს ნათელ სურათს. დღეს პოეტის სამშობლოს საზღვარი გადამიჭეღია „პარპატებიდან სახლნამდემ“. ლექსი „ჩემი სოფელი“ აღსავსეა ღრმა ინტერნაციონალური გრძნობებით. მეგობრობისა და ძმობის ეს ქემშარტი გრძნობა ფართო ადვილს პოელობს აეტორის მთელ რიგ სტვა ლექსებშიც. ბუნებრივი, უმწელო და ღრმა იმპიანისტურთა კრებულში შეტანილი პირველი ლექსი, რომელსაც პარტიას უძღვნის პოეტი, პარტიამ გახადა პატარა აჭარული ბიჭი პოეტი და ცხოვრების ფართო ვაზზე გამოიყვანა, საშუალება მისცა მოსკოვისათვის „ჩემი ქალაქი“ ეწოდებინა:

შენ ქვეყანაზე გაზაფხულად გადიაარე,
სინათლე ასეი ყოველ ფოთოლს და ყოველ ღეროს,
შენ დაუროვე ადამიანებს
მზე სატრფიალო და სასიმღერო.

პოლიტიკურ თემებს პოეტი ღირიყული განედით წარმოგვისახავს. „შენმა ძალღონემ მდიანარეთა დენა შეცუალა, გზები აჩვენა ყველა

თაობას“ აღფრთოვანებით ამბობს პოეტი ლექსის დასასრულს.

„სიმღერა შენზე“ — ასევეწოდება წიგნს მიმღერა საყვარელი სამშობლოსადმი მიძღვნილი. პოეტის პატრიოტული განცლა ყველა ლექსში გამოსტყვიის, თუნდაც ვისი პირდაპირი თემა სტვა იყოს. სამშობლოს გარეშე არც სიყვარული, არც სიცოცხლე არ არსებობს პოეტისათვის. „ეს ხმა სამშობლოს ემსახურება, ვინაც სიყვარულს მამლევს იმედად“ — ამბობს პოეტი. ეს არის პოეტის ზოლი დედა-სამშობლოსადმი. ეს დიცი წითელ ზღოდ გასდევს მთელ წიგნს.

ლექსი „ბალადა მეჩუენურზე“ ღრმა ემოციური ზემოქმედებას ახდენს მკითხველზე. პოეტი მწუხარედ იგონებს იმ შავებულ წლებს, როდესაც თურქთა მონობაში მყოფი სამშობლო მხარე იტარებოდა და ნადგურდებოდა. „სამას წულოწაღად ჩემს გულში ენთო ხანძარი“ — ამბობს პოეტი და აუწმებს მკითხველს ჯერ კიდევ ცოცხალ ლეგენდას შემონახულ აქარაში. მეჩონგურე თავისი მწარე ნარკვი სიმღერით ხალს ბრძოლისაკენ მოუწოდებს. იგი თურქებმა შეაპყრეს და სიყვდილით დასაჯეს. სიყვდილის წინ მეჩონგურის ნათქვამი სიტყვები საბრძოლო მოწოდებად გაისმის:

მთებო, როს აღსდგეს ქართველობა
დამწვარი მდელიზე.
სოქვით, რომ ემლოროდით მრავალტანჯულ
საქართველოზე,
რამდენი ჩაწვა სამარგში
ემირი ლომგული,
თქვით როგორ მოგველეს სიმღერისთვის
შე და ჩონგური!

მეჩუენურეს სახით პოეტი უმღერის მგოსანს, რომლის მართალი სიტყვა და სიმღერა უკვდავია და უკლათის იღესილი მახვილიც ბუღავია მის წინაშე. ლექსი „აქარა“ თითქოს ლოგაციური გაგრძელებაა ზემოდმოყვანილი ლექსისა. „აქარას“ წინა სტროფებში ევლავ შავი წარსულის ანარკულია, მაგრამ მომდევნო სტრიქონები თანამედროვე ალირბინებულთა და გამშენიერებულთა აჭარის ნამდვილ სურათს წარმოსახავს. „აუფავდა ქვეა და გორიხი, აუფავდა მიწა დამწვარი“. მოწონების ღირსია „თხილისი“ და „მე არ ეცივნები შენი სტუმარი“ — ეს ლექსი გამოქვეყნდა გასულ წელს აქარის ზელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის დღეებში და თავისი ღრმა შინაარსითა და ღირიული ძღერადობით მიიპროსა ზოგადობებს უტარადლება. პოეტის შინაგანი განცდა და წრფელი გულისთქმა, გულმართალი და გულადი სტრიქონები აჭარისწულის მდინარევით მოედინება და მკითხველზე ღრმა ემოციის ახდენს. „მე შენი მტყვარის ერთი ზეირთი ვარ. მე შენი მიწის ერთი კენეი ვარ, მე შენი ნანკის ერთი სიმი ვარ. და შენი ზეცის ერთი მეტყვანალი, მე საქართველოს დიდი სიმღერა გუღნი

ჩაენთე, ვით ნაყვერცხალი... შენი შვილი ვარ, შენი პოეტი" — მიმართავს ავტორი თბილისს. ამ ლექსის ყოველი სიტყვა ემსახურება ადამიანში სიყვარულისა და მამულისადმი ტრფიალის ძალზე აღზევებას. რომ შევიგრძნოთ და ვაივო ყოველივე ის, რაც შენს გარშემო ხდება, რომ ვაივო ცხოვრების ღრმა არსი, უნდა იყო ადამიანი ამ სიტყვის ნამდვილი ვაგებით, (ლექსი „თუ არ ვიყვარს ადამიანი“).

ფრ. ხალვაშის ლირიკის მთავარი თემა ადამიანია პოეტის სიტყვა ადამიანის ფიქრებსა და მისწრაფებებს გამოხატავს. კაცობრივების იდეის გადმოსაცემად პოეტი ორიგინალურ ნიუანსებს იყენებს. უბედოცესტური ხასიათის თემა აქ ჩამოსხმულია ლირიკულ ფორმაში:

მე მოსკოვში ვარ, მეგობარო, ამ ვახუხულზე და ვგრძნობ ჩემია ეს ხველეთი, ეს ცა შოღანი, მგერამ ეს მიწა, ეს სიღურჯე ვარსკვლავი თუ მზე არაფერია, თუ არ ვიყვარს ადამიანი.

კარგია ლექსები „მეც დავებრდები“, „სივარცხელი“, „სოფელში კაცის ჩრდილქვეშ“, „შომავალი საუკუნის ახალწლისთვის“, „მოვა დრო“. აი, რას ამბობს პოეტი ამ უკანასკნელ ლექსში:

ვაქვებ ყოველივე ადამიანურს; ცხოვრებას, შრომას, ტრფიალებას, აღერს, ფერებას, — დიდება, ქვეყნად უახლესი გზებით სიარულს, — ბრძოლას, სიციოხლეს და დაბერებას.

ცალკე უნდა აღინიშნოს ნაზიმ მიქშეთისადმი მიძღვნილი ლექსები „ის“, „სადღევრამელი“, „აღბათ“, „ღამშვიდობება“. ამ ლექსებში ავტორი გვიხატავს თურქეთიდან გადმობეჭვილი პოეტის განცდებსა და აზრებს, ანსხვავებს ნაზიმის თურქეთის მმართველი წრეების თურქეთისაგან. „მალე, მძიმე, მეც დამეხატეოთ ასე, ამგვარად, ჩემთან, სტამბოლში“ — ამბობს ქართული სტუ-

პართოყვარებით მოხიბული ნაზიმის ეს სტრიქონები ღრმად ოპტიმისტურია.

მკითხველი კმაყოფილი ტრეპეჯე ლექსებით „ვარსკვლავები ხედავენ“, „გუფუზლიყინილუე“, „ნაშთარი დედაქალაქში“, მთელი რიგი უსათაურო, მინიატურული ხასიათის ლექსებით. ლექსში „ვპატყეებ“ პოეტი მიმზიდველად და ცოცხლად გადმოგვცემს ქართული კაცის თავგამოდებას სტუმრებისადმი. „ამაღლდებიან სახლის თაენი, თუ მოვივიდა ტუბილი სტუმარი“ — ასეთი ხალხური თქმები ხშირად შეგხვდება ფ. ხალვაშის ლექსებში.

ფრ. ხალვაშს კარგად ეხერხება პეიზაჟის დახატვა და მისი საშუალებით ადამიანის განწყობის გადმოცემა. ადამიანის გარეშე პოეტისათვის არ არსებობს ბუნება. აღსანიშნავია ლექსები „მთის ტბა“, „ზაფხული“, „კავკასიონი“, „სიხე ტყეში“, „წვიმაში“ და სხვა. მთელ რიგ ლექსებში პოეტი უმღერის და აღიღებს უმწიკელი და სპეტაკ სიყვარულს, რომელიც ადამიანს ავეთილშობილებს და სიციოხლის ხალისს მატებს. პოეტის ლირიკა ამ თემაზე დაწერილ ლექსებში განსაკუთრებით უშთალოა.

კრებულში ზოგჯერ მკითხველი შენიშნავს სუსტ, ფერმკრთალ სტროფებს, გადამღერებულ რითმებს, პროზაულ თქმებს, როგორცაა „ციხ ქვეშ კორღზე რომ საღმე დავჯდები“, „ყველაფერი ხომ არ ახდება რასაც ინატრებ“, „ყოველი ფესვი, ყოველი ღერი გამოიღვიძებს, გამოფხიზლდება“, „სოფელი, მიყვარს ცა, მიწა, ხილი“ და სხვა. წიგნში შეინიშნება თემატიკის ერთგვარი ერთფეროვნებაც.

ფრ. ხალვაში სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა დიდი სამამულო ომის შემდეგ. პოეტის პირველი წიგნი „მზის ქვეყანაში“ გამოიცა ამ თვე წლის წინათ. „სიმღერა შენზე“ პოეტის მეშვიდე წიგნია. როცა ამ ორ წიგნს ერთმანეთს ადარებთ, ამჩნევთ თუ როგორ გაზრდილა და დავაყაყუბულა პოეტი, როგორი ორიგინალური ელფერი მიუღია მის ლექსებს. ამიტომ ბუნებრივად მიგვიჩნიათ პოეტის სიტყვები: „ლექსის ქვეშ იყოს ჩემი სახელი. მე ლექსი ჩემზე მაღალი მინდა“.

ალ. კოჭია

მონოგრაფია ალექსანდრე წუწუნაძეზე



ალექსანდრე (ალიოშა) წუწუნაძე ქართული სასცენო ხელოვნების დიდი მოამაგეა. ის თითქმის 57 წლის მანძილზე ემსახურებოდა ამ ფრიად საბატიო საქმეს ჯერ როგორც მსახიობი, ხოლო შემდეგ როგორც რეჟისორი და სათავაძრო სპეციალისტი ორგანიზატორი. ა. წუწუნაძე დიდი ენთუზიაზმით და უშრეტო ენერგიით იბრძოდა ქართული სასცენო ხელოვნების მტკიცედ დამკვიდრებისა და აღმავლობისათვის. ბევრი რამის გაეცემა შესწლო და ქართული კულტურის

განვითარების ისტორიაში საბატიო ადგილი დაიკავა. მწერალ დ. კასრაძეს კარგი საქმე გაუკეთებია, რომ შესანიშნავ ხელოვანზე მონოგრაფია დაუწერია.

ავტორი დაწერილებით მოგვითხრობს ალიოშა წუწუნაძის ცხოვრების თავგადასავალს, მის მონაწილეობას 1905 წლის რევოლუციურ მოძრაობაში, აგეწერს ამ ხელოვანის შემოქმედების გზებს და მოღვაწეობას. ავტორის განკარგულებაში ჩანს, მრავალი საყურადღებო მასალა ყო-

ფილა და ის თავ-თავის ადგილზე ბევრ ახალ საინტერესო და ბევრს კიდევ მივიწყებულ ცნობებს გვაწოდებს.

ა. წუწუნავა დაბადდა 1881 წ. 16 იანვარს ქ. ოზურგეთის (ქ. მახარაძე) ახლო მდებარე სოფელ ლისაურში. დაწყებითი სწავლა მიიღო ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებელში. მის სასკელო ხელოვნების დარგში მუშაობის სურვილი მოწვევითს პერიოდში აღერდა და ამისათვის ერთხანს იმპერსი მიიღოა იმ საიერეე წარმოდგენას, რომელიც მას უნახავს ოზურგეთში დაახლოებით 1892 წ. ცირკში ნანახის ზეგავლენით თერამ პატარა აღიომა და მისი სკოლის ამხანაგები აკრობატობით ერთობდნენ თავს. აკრობის სიმართლიანად ჩერდნენ მომავალი ხელოვანის ამ ბავშვურ გატაცებაზე და ამბობს: „მართალია ეს პატარა ეპიზოდია, მაგრამ მნიშვნელოვანი. იგი პატარა საცემელია, რომლიდანაც შეგვიძლია დავინახოთ შორეულ წარსულში უკეთესი უმაჩვილის გულში გაღვიძებული ინტერესი ხელოვნებისადმი“ (გვ. 9).

ბავშვების აკრობატობით გატაცებას უფრადღება მიაქცია ქართული ენის მასწავლებელმა, ცნობილმა პედაგოგმა ივ. ვომელაურმა და სახანობითი ხელოვნებით დაინტერესებულ მოწვევებს გამოყოფა ცალკე საათები, აცნობდა თეატრის ისტორიას, დრამატურგიას და სასკენო ხელოვნებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ყმაწვილები ისე დაინტერესდნენ, რომ თვითვე დაიწყეს სასკოლო წარმოდგენების მართვა. ამ წარმოდგენების ორგანიზატორ-მეთაური იყო ა. წუწუნავა. რეჟისორობას კი ივ. ვომელაური ეწეოდა. შემდეგ ეს წრე სკოლის ვიწრო ჩარჩოებში ვერ მოთავსდა და ალ. წუწუნავასივე მეთაურობით წარმოდგენების მართვა დაიწყო გურიის დაბა-სოფლებში. ამ წრეში ა. წუწუნავა მუშაობდა 1896 წლამდე. სამოქალაქო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ განაგრძო სწავლა თბილისში სამასწავლებლო („სასოციატო“) ინსტიტუტში. ის ხშირად დადიოდა წარმოდგენებზე და ამავე დროს 1898 წლიდან დაიწყო მუშაობა, როგორც სკენის მოყვარემ, აეპლის აუდიტორიასთან არსებულ მუზა-ხელოსანთა სახალხო თეატრში. ამავე პერიოდში საბოლოოდ გადაწყვიტა სკენაზე მუშაობა. ამ მიზნით ინსტიტუტს თავი დაანება, გაემგზავრა ქუთაისში და თეატრში ჩაირიგა მსახიობად. თეატრს მამინ ჩენი სახელოვანი მსახიობ-რეჟისორი ლ. მესხიშვილი მეთაურობდა. შერამე დადოსვე ხელმძღვანელობით ერთხანს თბილისის თეატრშიც მუშაობდა. 1905 წ. გაემგზავრა მოსკოვში, სურდა სახმატრო თეატრთან არსებულ სტუდიაში ჩარიცხვა და სარეჟისორო დარგის შესწავლა. მაგრამ ეს ერთხანად ვერ მოხერხდა. ის მოსკოვივე დატოვა. ხელი მიჰყო თვითგანვითარებას. ამავე დროს ჩაეწერა მსახიობ ვ. არახიძის მეთაურობით შემდგარს ე. წ. წითელ რაზმში და აქტიური მონაწილეობა მიიღო 1905

წლის რევოლუციურ მოძრაობაში, ბოლოს შევიდა სახმატრო თეატრის სტუდიაში და სწავლობდა დიდი ვატაკებით.

1909 წ. 26 იანვარს მან პარტიაში წახმოდგენა დადგა თბილისში, ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლთან მოქმედ სახალხო თეატრში, სადაც უმთავრესად სკენის მოყვარეები მუშაობდნენ. დაეურბებულს ახვერა დრამატურგის განბოილ მანუციოს განხორციელებული პიესა „ოორისი ასული“. მან სექტატკლის დადგმისას პირველად გამოიყენა სახმატრო თეატრის სტილი და მეთოდები. წარმოდგენამ დიდი შთაბეჭდილება დასატოვა და პრესამაც ქება შესახა.

ამის შემდეგ მიწვეული რეჟისორ-ხელმძღვანელად ქიათურის თეატრში, შერამე მუშაობდა თბილისის და ბაქოს ქართულ თეატრში და სხვ. აკრობის სიტყვებით რომ ვთქვათ: „ქართულმა თეატრმა სულ მალე იგრძნო ა. წუწუნავის ხელი, რომელმაც თეატრში მსახიობთა თვითნებობას და შევლებურ უნახიზსაგებობას სასტიკო საზღვარი დადო, დაამყარა დისციპლინა“ (გვ. 70).

1918 წ. 18 მაისს ა. წუწუნავა დაინიშნა თბილისის სახელმწიფო თეატრისა და ბალეტის თეატრის კომისრად და ამის შემდეგ ხსენებულ თეატრს აქ მოსცილება. აქ მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე, ბოლოს კი მთავარ რეჟისორად. ამ თეატრში პირველად დადგა შესანიშნავი ქართული კომპოზიტორების დ. არაყიშვილის ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე“, ზ. ფალაშვილის — „ამესალომ და ეთერი“, ვიქ. დოლიძის კომედიური ოპერა „ქეთო და კოტე“ და სხვ.

ალ. წუწუნავა დროგამოშვებით, პარალელურად კინოფილმების დადგმებზეც მუშაობდა და თვალზეა პირველ ქართველ კინორეჟისორად. მან დადგა ფილმები: „ქარისტინე“, „ორი მონადირე“, „ინი არის დამნაშავე“, „ხანუმა“ და სხვ.

მონოგრაფიის ავტორი ბევრი საყურადღებო ფაქტების გადმოცემით და მისი კომენტარებით დამაჯერებლად ავიწყებს ა. წუწუნავას ცხოვრებას, შემოქმედებითი მუშაობას და პრაქტიკულ მოღვაწეობას. წიგნი მოხელნილი ენით არის დაწერილი, შეუნელებელი ინტერესით ეითხება და კარგ შთაბეჭდილებასაც სტოვებს.

მაგრამ, სამწუხაროდ, ამ კარგს შრომას ზოგიერთი ნაკლიც თან სდევს, რაზეც გვინდა შეეჩერდეთ.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ა. წუწუნავა კინოფილმების დადგმებზეც მუშაობდა და მთელი რიგი დადგმებიც განახორციელა. წიგნის ავტორი XXV თავში ამბობს: „ჩვენ ვინგებ გვერდი იუხვიეთ ა. წუწუნავას, როგორც პირველ ქართველ კინორეჟისორს და საზოგადოდ ჩენი კინომარწველობის განვითარების დიდ მოამბავს“-ო და ა. შ. (გვ. 105) და ა. წუწუნავას ამ დარგში მუშაობის შესახებ ცნობებს მხოლოდ 16 სტრიქონში გადმოგვცეს. წიგნი საშუალო ფორმატისაა და არის 112 გვერდი. ავტორს არ

უნდა გაპაროდა მხედველობიდან, რომ ის ამ შე-
სანიშნავ მოღვაწეზე ვრცელ მონოგრაფიას სწერ-
და და არა უბრალო ნარკვევს. მონოგრაფიაში კი
სწორედ იმავე მოტივებით, რომლის საფუძველ-
ზეც „გვერდი აუხვია“ ა. წუწუნავას როგორც
კინომოღვაწეს, ეს საკითხი ფართოდ უნდა გა-
შუქდეს და მისთვის ქართულ კინემატოგრა-
ფიის განვითარების საქმეში თავისი ადგილი უნ-
და მიეჩნია. ვფიქრობთ, ეს აუცილებელი იყო.

მეორეც, ა. წუწუნავა 1918 წლის 18 მაისიდან
განუწყვეტლივ ოპერის დარჯში მუშაობდა.
მკითხველისათვის გაუგებარი რჩება, ის აღნიშ-
ნულ პერიოდში სულ ერთნაირად მოსწყდა თუ
არა დრამატულ თეატრს, თუ კიდევ რაიმე კო-
მეორი ჰქონდა. ა. წუწუნავს მოღვაწეობას და-
ზუსტების მიზნით კარგი იქნებოდა ავტორი ამ
საკითხს გაეყოფა მინც შეხებოდა.

ამ ორი ხარვეზის ამოვსებით ავტორი ამ შე-
სანიშნავ მოღვაწეს უფრო მეტივე პორტრეტს
მოგვცემდა.

წიგნში არის წერილობრივი შეცდომები და გა-
უგებრობები: ავტორი წიგნის 10 და 11 გვერ-
დზე ვაღმოგვეცემს, რომ ა. წუწუნავა სამიქალა-
ქო სასწავლებელში მოწაფეობის დროს გაეცნო
სხვადასხვა დრამატურგების ნაწარმოებებსო და
ამ დრამატურგთა შორის დასახელებულია
ნ. აზიანიც. ამის შემდეგ დაუწყია წარმოადგენების
მართვა, რაც გაგრძელდა 1896 წლამდე, ამ
პერიოდში ის ნ. აზიანის დრამატურგიას ვერ გა-
ეცნობოდა, რადგან აზიანმა პირველი კომედია
„ინჯილერი ან ღობტური“ დასწერა 1897 წ.
დამდეგ, ხოლო ის პირველად წარმოადგინეს
თბილისში 1898 წლის იანვარში. მეორე კო-
მედია „ფული და ხარისხი“ დასწერა იმავე
1898 წ. და წარმოადგინეს 21 ოქტომბერს. და-
ნარჩენი მიუხედავად იქ უფრო გვიან არის დაწე-
რილი.

წიგნის მე-15 გვერდზე ნათქვამია, თითქოს
ცნობილი მსახიობი ნიკო ვოკორიძე იყოს ავჯი-
ლის აუდიტორიის ერთ-ერთი დამაარსებელი.
ავჯალის აუდიტორია დაარსდა 1893 წ. ხოლო
ნ. ვოკორიძემ იქ მუშაობა დაიწყო ოთხი წლის
შემდეგ — 1897 წ. ასე რომ, ის ოთხი წლის
შემდეგ აუდიტორიის დაარსებაში მონაწილეო-
ბას ვერ მიიღებდა.

გვ. 14 ავტორი ერთსა და იმავე სასწავლ-
ებელ ჯერ „საოსტატო სემინარიაში“ უწოდებს,
მერმე კი „საოსტატო ინსტიტუტში“. რეალურში
არსებობდა მხოლოდ უკანასკნელი, „საოსტატო
სემინარიები“ კი არსებობდა ვოისა და ხონში
(ქ. წულუკაძე). ინსტიტუტი და ეს სემინარიები
ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ როგორც
უფლებებით, ისე სასწავლო პროგრამებითაც.
მათი ერთმანეთში არცაა შეუქმლებელია.

იმავე გვერდზე ნახსენებია ცნობილი ბოლშე-
ვიკი პროკოფი ჯაფარიძე, რომელსაც, თვით
რჩევებში ხან „ალიოშა“ ჯაფარიძედ — იცნობენ,
ხან „გოლუბინად“. 77 გვერდზე ეს პროკოფი
(ალიოშა) ჯაფარიძე — „ტრიფონ (ალიოშა)
ჯაფარიძედ“ იქცა.

ავტორს 39 გვერდზე მოყვანილი აქვს ეანდო-
მერიის არქივში აღმოჩენილი დოკუმენტი, რო-
მელიც დათარიღებულია 1905 წ. 28 აგვისტოს
რიცხვით. ის ეხება ქუთაისის თეატრს და მის
ხელმძღვანელს ლ. მესხიშვილს. ეს ადგილი
ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს ეს
დოკუმენტი პირველად გამოქვეყნებისას გ. ცი-
ციშვილს თავის შრომაში — „შავა და დია-
ნის დრამატურგია“, იხსენიოდა კი ეს მასალა
პირველად გამოაქვეყნა ა. ფაღვამ თავის
წიგნში — „ლადო მესხიშვილი“ 1938 წ. (იხ.
გვ. 170).

მონოგრაფიის 87 გვერდზე ვკითხულობთ
ა. წუწუნავამ 1919 წ. თებერვლის ოცდაერსა-
თვის დანიშნა“ ზ. ფალიაშვილის ოპერის „აბე-
სალომ და ეთერის“ პირველი დადგმა და სპექ-
ტაკლიც თითქოს გამართულა კიდევ, ხოლო
იმავე წლის 25 თებერვალს კი ეს ოპერა მე-
ორედ დადგეს თვით კომპოზიტორის საიუბილე-
ოდ. „აბესალომ და ეთერი“ პირველად დადგეს
აღნიშნული წლს 21 თებერვალს და არა 28
თებერვალს, ხოლო 25 რიცხვში ის მართლაც და-
დგეს მეორედ. ჩვენ ამ შემთხვევაში უძველად
კორექტურულ შეცდომასთან გვაქვს საქმე. კო-
რექტურული შეცდომები კი — ჩვენ სხვაგანაც
შევამჩნიეთ.

სახარო ზარსანი

საკვმთა საქართველო სახალხო მუხრეოგის ალდგენის კერიოდში



იფრი კაპარავას სარეცენზიო ნაშრომი პირვე-
ლი წიგნია, რომელიც მონოგრაფიულად სწა-
ვლობს საბჭოთა საქართველოს ისტორიის ერთ
უაღრესად საინტერესო მონაკვეთს. სახალხო
მუხრეოგის აღდგენის პერიოდს.

ნი ისტორიკოსები ეალში არიან საბჭოთა-მე-
რიოდის ისტორიის შესწავლის საქმეში. ნა-
ვლებად არის მონოგრაფიები ისტორიის ამ მო-
ნაკვეთზე. თითქოს ყველა ესმის საკითხის აქ-
ტუალობა, საქმე კი ადგილიდან არ იძვროდა.
უამკველია, ი. კაპარავას ნაშრომი ამ ხარვეზს

არა ერთბელ ყოფილა მითითებული, რომ მუ-
ხრეოგის აღდგენის პერიოდში

ავსებს და სადღეისო ამოცანებს ეხმარება.

მართალია, იმ პერიოდზე, რომელზედაც ი. კაპარავა მუშაობს, არსებობს ცალკეული გამოკვლევები და სტატეები, მაგრამ ეპოქის შესახებ ერთიანი მონოგრაფიული გამოკვლევა ჯერ არ არის და, ამდენად, ი. კაპარავას უამირის გატეხა მოუხდა. შეიძლება ავტორის ამა თუ იმ დებულებას არ დეთანხმო, მაგრამ ეს სრულიადაც არ ამცირებს მის ნაშრომს, რადგან არც ერთი მოსაზრება უსაბუთოდ და ზერედედ წამოყენებული არა აქვს.

მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლიანი ცოდნა და საარქივო მასალებზე ხანგრძლივი მუშაობა ი. კაპარავას საშეალებას აძლევდა არა ერთი საკვლევი საკითხი ახლებურად დავსა და მრავალი ორიგინალური მოსაზრება წამოყენებინა. ნაშრომს წითელი ხაზით გასდევს ერთიანი ობიექტური, სწორი აზრი იმის შესახებ, რომ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი ხალხი რთულ ისტორიულ პერიოდებში აშენებდა ახალ სოციალისტურ სამყაროს და ქვედა თავის უცუთეს ამწყობსა და მომავალს.

ნაშრომის შესავალში მიმოხილულია ზოგადისტორიული სურათი მე-19 საუკუნის საქართველოს ისტორიის ძირითადი მოვლენებისა და ნაწევნების ის ობიექტური შედეგი, რაც საქართველოს რუსეთთან შეერთებას მოჰყვა. ავტორი სამართლიანად მიუთითებს, რომ „რუსეთის დიდი განმათავისუფლებელი რევოლუციის გარეშე, მას შემდეგ, რაც საქართველომ მტკიცედ დაეკავშირა თავისი ისტორიული პარტიული ხალხის ბედს, შეუძლებელი იყო ზარბაზნი ხალხის განათავისუფლება სოციალური და ეროვნული თავისუფლებისთვის“. ამ თავის დებულების საილუსტრაციოდ ავტორს არა ერთი კონკრეტული ფაქტი აქვს დამოწმებული.

ნაშრომის პირველი თავის ძირითადი დებულება ასეთია: სახალხო მუდრუნობის აღდგენისათვის ბრძოლის პერიოდში ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასმა და გლეხობამ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის პირობებში, უმოკლეს ვადაში აღადგინეს იმპერიალისტური და სემოქალაქო ომებით დანგრეული სახალხო მეურნეობა, განამტკიცეს საბჭოთა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილება, მოამზადა ბურჟუაზიის ეკონომიური დამარცხება და სოციალიზმის გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში (გვ. 21).

ი. კაპარავას არა ერთი საბუთო მოაქვს იმის ნათესაყოფად, რომ ე. ო. ლენინმა სახელმძღვანელო მითითებებს აძლევდა ქართველ ბოლშევიკებს საბჭოთა საქართველოს მშენებლობის კონკრეტულ მოვლენებზე. შრომის პირველ ნაწილში ი. კაპარავა წერს: „ე. ო. ლენინმა საქართველოს კომუნისტების მისცა სოციალისტური მშენებლობის მუდრუნული გეგმა. მიუთითა ამ გეგმის განხორციელებისათვის პარტიული და საბჭოთა მშენებლობის რუსეთის მდიდარი ისტორიული

გამოცდილების მნიშვნელობაზე და ამავდროულს გააფრთხილა მორიდებოდნენ ამ გამოცდილების შებლენურ განმეორებებს. დასაბუთებულად ლენინმა მიუთითა საქართველოს ისტორიულ განვითარების იმ თავისებურებებზე, რომელთა გამო საქართველოს კომუნისტები უნდა მორიდებოდნენ რუსულ შებლონს და უნდა შეემუშავენინათ თავისებური, ადგილობრივი მასალები ტაქტიკა“.

თუ პირველ თავში საუბარია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების ორგანიზების შექმნისა და განმტკიცების კონკრეტულ საკითხებზე, მეორე თავში ავტორი მოგვიხსენებს იმ თავისებურ პირობებზე, რომლებმაც დღის წესრიგში დააყენა ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის აუცილებლობა.

ავტორის აზრით, ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების აუცილებლობა ნაკარანვეი იყო ქვეყნის საშინაო და საგარეო ხასათის შემდეგი ფაქტორების: 1. ამიერკავკასიის რესპუბლიკებში მძლავრი ანტისაბჭოთა პარტიების მოღვაწეობით, რაც საფრთხეს უქმნიდა მუშერ-გლეხურ ხელისუფლებას ქვეყნის შიგნით; 2. იმპერიალისტური ინტერვენციის საფრთხით, განსაკუთრებით თურქეთის მხრივ, რომელსაც აქეზებდნენ და მხარს უჭერდნენ ანტარტის ქვეყნები საბჭოთა ამიერკავკასიის წინააღმდეგ;

3. იმპერიალისტური და სემოქალაქო ომით დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენის აუცილებლობა, რომლის გარეშეც შეუძლებელი იყო მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცება და სოციალიზმის მშენებლობა ამიერკავკასიაში; 4. ამიერკავკასიის ხალხთა შორის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების მიერ ჩათყვანილი უფლისა და უნდობლობის აღმოფხვრის, ნაციონალური მშვიდობიანობის შექმნისა და განმტკიცების აუცილებლობა; 5. ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ურთიერი დახმარებისა და სოციალისტური თანამშრომლობის აუცილებლობით (გვ. 75).

ავტორი საკმაოდ ვრცლად და დამაჯერებლად მოგვიხსენებს, თუ რა ბრძოლა და ენერგია დასჭირდა ბოლშევიკებს ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნისა და განმტკიცებისათვის.

როგორც დაინახეთ, პირველ ორ თავში საუბარია საკითხის, თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ, პოლიტიკურ-ორგანიზაციულ მხარეზე, ე. ო. როგორ და რა პირობებში ჩდებოდა საბჭოთა ორგანიზების შექმნა და განმტკიცება.

მესამე თავი ეხება ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობას, სახალხო მეურნეობის აღდგენასა და ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღებას. ეს თავი, სხვა თავებთან შედარებით, უფრო დიდია მასალის ისე გადართვით, რომ ისტორიული მონოგრაფიის ფარგლებს სცილდება. იგი უფრო ეკონომისტის საქმე იყო. ვიღაც ისტორიკოსისა, მაგრამ იმის გამო, რომ საკითხის ეს მხარე ზემს სპეციალურ ლიტერატურაში დღემდე

დღე სათანადოდ არ არის შესწავლილი, ავტორის შავი სამუშაოს გაკეთება მოუხდა და აქ, ჩემი აზრით, საგნებზე უფრო მეტია საუბარი, ვიდრე ამ საგნების შემოქმედზე — ცოცხალ ადამიანზე. მიუხედავად ამისა (ამ თავის შესახებ ჩვენს შინაშენებს ქვემოთ წარმოვადგენთ), ავტორის მიერ მოცემული რიგი დასკვნები მართებულია მთავრად.

ასე, მაგალითად, მესამე თავის პირველი სტრიქონები ასე იწყება: „საბჭოთა ხალხმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა სამოქალაქო ომში, განადგურა შინაგანი კონტრრევოლუცია, დაამარცხა და განდევნა უცხოელი ინტერვენტები; დაიწყო მშვიდობიანი მშენებლობის პერიოდი. საბჭოთა ხალხის წინაშე წამოიჭრა ფრიად მძიმე და რთული ამოცანა — მტრული, კაპიტალისტური ვაჭრობის პირობებში იმპერიალისტური და სამოქალაქო ომით დანგრეული სახალხო მკურნელობის უმოკლეს ვადებში აღდგენის ამოცანა“ (გვ. 138).

ამ ამოცანის გადაჭრისათვის ბრძოლა, განაგრძობს ავტორი, რთულს პირობებში მოუხდა ჩვენს ხალხს, მაგრამ იგი დამლულ იქნა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. საქართველოს მაგალითზე, კონკრეტული მასალის დამოწმებით, კარგად არის ნათქვამი ამ დარგში წარმომებული მუშაობა. მეოთხე თავში საკმაოდ დამაჯერებლადია მოთხრობილი იმის შესახებ, თუ როგორ იბრძოდნენ დამარცხებულნი კლასები გამარჯვებული საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ და როგორ სძლია მათ პარტიამ და ხალხმა. ავტორი სამართლიანად შენიშნავს, რომ „მრევლეთაობის სოციალისტურმა ნაციონალიზაციამ, რევოლუციურმა აგრარულმა რეფორმამ და ეროვნული კითხვის ინტერნაციონალისტურმა გადაჭრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, გააქტიურა დამარცხებული, მაგრამ ჯერ კიდევ გულანდგურებული შემამულერ-ბურჟუაზიული კლასები და მათი პოლიტიკური პარტიები“ (გვ. 268).

ამას ზედ ერთვოდა თვით კომუნისტურ პარტიამ უკლონისტოა და სხვა მერყეე ელემენტთა უპაჩინებო ბრძოლა კომუნისტური პარტიის ძირითადი ხაზის წინააღმდეგ. ისეთ პირობებში, როცა ომით მიყენებულ სიძნელეებს გამოქვეყნა ეკონომიურ სიღუბიერეს განიციდა, ვასავებია თუ რა რთული იყო ახალგაზრდა საბჭოების მუშაობა. მიუხედავად ამისა, კომუნისტურმა პარტიამ მოიბილიზაცია უყო თავის ძალებს, ჩააქრო დამარცხებული კლასებისა და პარტიების კონტრრევოლუციური გამოცდები.

დრო და პირობები ახალი საბჭოური წყობილების სასარგებლოდ მოქმედებდა, მშრომელთა მატერიალური მდგომარეობა წლითი წლივით უმჯობესდებოდა, რაც იწყებდა მათი პოლიტიკური აქტივობის ამაღლებას ქვეყნის სახელმწიფოებრივ და სამეურნეო ცხოვრებაში. საამისო დაქტები ა. კაპარავას უხედა აქვს დამოწმებული

სარეცენზიო ნაშრომის მეხუთე და მეექვსე თავებში.

შრომის უკანასკნელ თავში, საუბარია საქართველოში ეკლტურული მშენებლობის საკითხებზე. სკოლა, მეცნიერება, მწერლობა, ხელოვნება, თუმცა სქემატურად და მოკლედ, მაგრამ მაინც ავტორის უფრადღების გარეშე არ არის დარჩენილი.

როგორც ვხედავთ, ავტორის საკითხთა ფართო წრე აუღია საკლევად და თავისი შეხედულება გამოუთქვამს ყველა მათგანზე. დამოკიდებულად იმისა, რომ ბევრ მსჯელობასა და დასკვნას შეიძლება არ დაეთანხმო, ა. კაპარავას ეს მონოგრაფია უთუოდ შენიშნავს ქართული ისტორიული მეცნიერებისათვის.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნაშრომი უნაკლოა და რაიმე შენიშვნას არ იმსახურებს.

ჩვენი შენიშვნები ორგვარი ხასიათისაა. შენიშვნების ერთი წყება უფრო სურვილს ჰკავს. მე, როგორც ისტორიკოსი, ისტორიკოს — მკვლევარისაგან მოეითხოვ, ფაქტები და მოვლენები საერთო ისტორიული ფონის შესატყვისად იყოს შესწავლილი. აი, რა მაქვს მხედველობაში:

1. ჩვენი ავტორი ვაღიბებული იყო ვჩვენებინა, როცა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, როგორი იყო საზოგადოებრივ-ეკონომიური წყობა, როგორი იყო კლასობრივი დაჯგუფების შეფარდებითი სურათი; რომელ კლასს რა ადგილი ეუთუენოდა ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობაში. მართალია, ამ საკითხებზე მას აქა-ე აქვს საუბარი, მაგრამ ასე საკითხის ფართოდ წარმოდგენა ავტორის მსჯელობას სხვა მოვლენებზე კიდევ უფრო დამაჯერებელს გახდის და, ჩვენი აზრით, შრომაც მოივებდა მით უმეტეს, რომ ე. ი. ლენინის საამისო მითითება რუსეთის მიმართ ჩვენი ავტორისათვის ცნობილია. მართალია, ეს ძნელი საქმე იყო, რადგან საამისო კვლევა, რამდენადაც შე ეციო, სპეციალურად არაიყოს არ უწარმოებია, მაგრამ, ვიმეორებ, ეს აუცილებელი იყო ისეთი ხასიათის ნაშრომისათვის, როგორიც სარეცენზიო ნაშრომია. ალბათ, ამით აიხსნება, რომ მრავალ ადგილას (ზოგაერთის გამოკლებით) გლუბობა წარმოადგენილია რაღაც ერთიან მთვლად და არა მისი მრავალი სოციალური ფენით.

2. ნაშრომის ზოგი თავი (ჯანსაყობრებით — მესამე) გადატვირთულია ფაქტობრივი მასალებით იმდენად, რომ ნაშრომი საგნების მიმოხილვას უფრო მოვავონებთ, ვიდრე ამ საგნების მკვლევარად ცოცხალი ადამიანების საქმიანობის ისტორიას.

3. კარგი იქნებოდა, საკომეურნეო წამოწყებათა პირველი მაგალითების ვრცელი მიმოხილვა მოეცა და ეჩვენებინა ამ პირველი „კომუნების“ კონკრეტული საქმიანობა, ეჩვენებინა მათი როლი საკომეურნეო მშენებლობის უზარმაზე.

4. როცა ამა თუ იმ ლიტერატურულ მიმართულებას აფასებს, ა. კაპარავა ჩვენი გამოჩენილი

მწერლების იმდროინდელ შეხედულებათა კრიტიკას იძლევა და, თან, იქვე, სქოლიოში შენიშნავს, რომ ისინი დღეს გამოჩენილი მწერლები არიანო. რა თქმა უნდა, ისტორიას შეეკეთება არ სჭირდება, მაგრამ ისტორია არც წარსულის გახსენებაა მხოლოდ. კარგი იქნებოდა, რადგან ავტორმა საჭიროდ დაინახა ამ მწერალთა კრიტიკა, მათი დღევანდელი მდგომარეობაც წარმოეჩინა და ეჩვენებინა ის ევოლუციური გზა, რომელიც მათ გაიარეს. ასევე ითქმის მეცნიერებზეც.

შენიშვნების მეორე წყებად მივიჩნევთ:

1. 29-ე გვერდზე ისეა საუბარი, თითქოს მენშევიკებმა ბათუმის ოლქში შემოღებულ თურქები და თვითონ თავი შეაფარეს დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიულ ქვეყნებს. ს. ქავთარაძე, რომელიც მაშინ ბათუმში იყო, სულ სხვა რამეს წერს და ამ საქმეში მას უფრო დაეკერება.

2. ავტორის მსჯელობაში, თუმცა ხშირად არა, მაგრამ შეიშინევა წინააღმდეგობანი, ასე, მაგალითად, 143-ე გვერდზე სწერია: „საქართველოში პოლიტიკური გადატრიალება დაემთხვა მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოთა პერიოდს. ამ გარემოებამ, მოხედავად საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიღებული ღონისძიებებისა, შეაფერხა ხვნა-თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარება. მას ხელი შეუშალა აგრეთვე სოფლად ძველი ავტარული ურთიერთობათა მსხვერვისა და ახ-

ლის ჩამოყალიბების გახანგრძლივებლმა პროცესმა“. ამან მოუსაველიანობა გამოიწვია, რის გამოც ხორბალზე დაღებული გადასახადის მხოლოდ 8 პროცენტი იქნა აკრედიტი. 155-ე გვერდზე კი ავტორი გვატყობინებს: „პირველი საბჭოთა გაზაფხული მშრომელი გლეხობის დიდი პოლიტიკური და შრომითი აქტიურობით აღინიშნა, პირველ თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარების საქმეს მთელი სერიოზულობით მოყიდა ხელი საქართველოს რევოლუციურმა ხელისუფლებამ“.

3. ზოგ შემთხვევაში ავტორს სტატისტიკური მასალა მოაქვს, მაგრამ არ უთითებს, საიდან არის მოტანილი ეს მასალა (გვ. 375 და ა. შ.).

4. შრომაში ცხრილები და პროცენტული დაჯამებუბია მოტანილი. მათგან მეტი წილი თვით ავტორის მიერაა შედგენილი, მე სავანებოდ მხოლოდ ერთი მაგალითი გაეკონტროლე და შეცდომა აღმოჩნდა (გვ. 372).

ასეთია ის ობიექტური შთაბეჭდილებანი, რომლებიც სარეცენზიო შრომის წაკითხვის დროს მივიღე. როგორც ვხედავთ, წიგნი უნაკლო არ არის, მაგრამ მასში დაღებითი იმდენია, რომ ნაკლი არ ჩრდილავს მას. ვიმეორებ, წიგნი დაღებითი შენაძენია ქართული ისტორიული მეცნიერებისათვის.

პროფ. დ. გვაბიტიშვილი

რედაქტორი, ს. ჩიქოვანი

სარედაქციო კოლეგია:

დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, ლ. კალანდაძე (პ/მგ. მდივანი), გ. მარგვე-
ლაშვილი, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 63. ტელეფონი 2-13-42, 2-11-66.

ბელმოწერილია დასაბეჭდად 14/X-58 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 12. შეკვეთა 484.
უე 06753. ანაწყობის ზომა 7 $\frac{3}{4}$ ×12 $\frac{1}{2}$. ქალაქის ზომა 70×108. ტირაჟი 6500.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფგამომცემლობის ბეჭდვითა
სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры
Грузинской ССР. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

53

ახალი წიგნები

საბჭოთა მწერალი



უიარაღო — თბულებათა სრული კრებული. ტ. 2. რედ. გრ. ჩიქოვანი. გვ. 558, ფასი 20 მან. 20 კაბ.

ლესინგი — დრამები. რედ. ო. ჯინორია. გვ. 525, ფასი 21 მან. 40 კაბ.

სერგო კლდიაშვილი — მყუდრო საგანე. რედ. გრ. აბაშიძე. გვ. 334, ფასი 4 მან. 45 კაბ.

ნინო დოლიძე — ახალი გზები. რედ. გ. ნატროშვილი. გვ. 216, ფასი 5 მან. 25 კაბ.

სიმონ წერაია — მკვლევების უბანში. რედ. ბ. ჩხეიძე. გვ. 478, ფასი 9 მან. 75 კაბ.

მიხეილ ხანიკიძე — ჩემი ბაღის ფეხვლები. რედ. ა. შენგელია. გვ. 31, ფასი 70 კაბ.

რაბინდრანათ თაგორი — ლირიკა და წერილები. თარგ. თამაზ ჩხენკელიძე. რედ. ო. კობლაძე. გვ. 126, ფასი 2 მან. 10 კაბ.

თურქული მოთხრობები — თარგმ. ნოდარ ჯანაშიასი. რედ. გრ. ჩიქოვანი. გვ. 57, ფასი 1 მან. 10 კაბ.

ზოჯა აჰმად ხასი — ინდური მოთხრობები. რედ. თ. შავიშვილი. გვ. 56, ფასი 1 მან. 10 კაბ.

სპარსული მოთხრობები — რედ. კ. ფალავა. გვ. 141, ფასი 4 მან. 20 კაბ.

მაჰმუდ თეაშური — კაცნა. თარგ. ნანა ფურცელაძისა. რედ. თ. კობლაძე.

გვ. 53, ფასი 1 მან. 5 კაბ.

საბლიბრაში

რაფაელი ჯიჯვანილი — სპარტაე. თარგ. ნინო ყიფიანისა. რედ. ვ. ბეწუქელი. გვ. 53, ფასი 22 მან. 40 კაბ.

ვ. ი. ა. ნ. — ჩინგიზ-ხანი — თარგ. ქეთევან ნადირაძისა. რედ. ნ. კლანდარიშვილი. გვ. 386, ფასი 8 მან. 50 კაბ.

ვ. ოსტევა — ჯადოსნური სიტყვა. თარგ. მ. ქავჭავანიძისა. რედ. ქ. ქუჩუაშვილი. გვ. 36, ფასი 3 მან. 10 კაბ.

გ. ზარდალიშვილი — აზიის მთებსა და ტრამალებში. რედ. ე. გოგოლაშვილი. გვ. 66, ფასი 2 მან. 10 კაბ.

ავღანური ჰეპათები — თარგ. ე. ლეფერაშვილისა. რედ. ქ. ნადირაძე. გვ. 32, ფასი 1 მან. 50 კაბ.

გრიგოლ ცეცხლაძე — ტოლები. რედ. ქ. ქუჩუაშვილი. გვ. 38, ფასი 3 მან. 30 კაბ.

რევაზ ასაფეი — სისბლის წვეთები. თარგ. თ. ჯანგულაშვილისა და ზ. ლორთქიფანიძისა. რედ. ალ. გომიშვილი. გვ. 78, ფასი 1 მან. 60 კაბ.

3360 8 2.

6. 307/208



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ“

ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО
ГРУЗИНСКОЙ ССР

«САБЧОТА САКАРТВЕლო»